

ნინო ჩიქოვანი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი,
დავით მაცაბერიძე, ქეთევან კაკიტელაშვილი

**იდეოლოგიის ნარატივები
საქართველოში:
მრავალეთნიკური ქართველი ერის
სათავებთან
(1860–1918)**

თბილისი

2014

ნაშრომში განხილულია იდენტობის ფორმირების პროცესი საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. გაანალიზებულია ეთნიკური ქართველებისა და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების (სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, აფხაზები, ებრაელები) იდენტობის მშენებელი ნარატივები და მათი ურთიერთმიმართება. ემპირიულ საფუძვლად, ძირითადად, გამოყენებულია საკვლევ პერიოდში გამოშვებული ქართული და არაქართული პრესის მასალები. ნაშრომი განკუთვნილია კულტურის კვლევების, ისტორიის, პოლიტიკის მეცნიერებების, აგრეთვე სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა მიმართულებების პრობლემეტიკით დაინტერესებული მკითხველისათვის.



პროექტი „იდენტობის ნარატივები მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან“ განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის N31/37 მეშვეობით

არაკომერციული გამოცემა

სამეცნიერო რედაქტორი: მალხაზ თორია

რედაქტორი: ნანა კაჭარავა

შინაარსი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	6
თავი I.	
ნაციონალიზმის ეპოქა და იდენტობის პრობლემის აქტუალიზაცია: ზოგადი კანონზომიერებანი და ლოკალური თავისებურებები. იდენტობის ნარატივების ფორმირების საფუძვლები საქართველოში.....	12
1.1. ცნებები და ტერმინები	12
1.2. ქართული ნაციონალიზმის ფორმირების იმპერიული კონტექსტი.....	17
1.3. ინტელექტუალები და მათი როლი ნაციონალური იდენტობის ფორმირებაში.....	23
1.3.1. იდენტობის საკითხის აქტუალიზაცია	23
1.3.2. ინტელექტუალები და მათი როლი.....	26
1.3.3. თერგდალეულები	30
1.3.4. მეცნიერული ისტორიოგრაფიის/საისტორიო დიდი ნარატივის ჩამოყალიბება.....	42
თავი 2.	
ქართული იდენტობის ნარატივის ფორმირების პროცესი.....	53
2.1. საკითხის შესწავლის მდგომარეობა	53
2.2. ქართული იდენტობის ნარატივი	64
2.2.1. კულტურული და ტერიტორიული ინტეგრაცია	64
2.2.2. იდენტობის ფორმირება და მიმართება „სხვასთან“. საკუთარი თავის ძიება (თვითიდენტიფიკაცია)	76
2.2.3. ქართული ენის პრობლემა	85
2.2.4. ისტორიული მეხსიერება, ეთნიკური მრავალფეროვნება	90
2.2.5. ავტონომია და თვითადმინისტრირება	97
თავი 3.	
სომხების, აზერბაიჯანელების, ოსებისა და აფხაზების იდენტობის ნარატივები.....	107
შესავალი	107
3.1. საკითხის შესწავლის მდგომარეობა	107
3.2. სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები და აფხაზები: იდენტობის მშენებელი ნარატივების ურთიერთმიმართება	114

3.2.1. ქართულ-სომხური ურთიერთობის ნარატივი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პრიზმაში.....	115
3.2.2. ქართველები, ოსები და აფხაზები: იდენტობების ურთიერთმიმართება	159
თავი 4.	
ებრაული იდენტობის ნარატივი.....	178
4.1. საკითხის შესწავლის მდგომარეობა	178
4.2. ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნარატივი.....	183
4.3. ებრაული იდენტობის ნარატივის ამსახველი ტექსტები (1860-1890-იანი წლები).....	188
4.4. თვითიდენტიფიკაციის საკითხი ქართველ ებრაელთა შორის.....	221
ინფორმაცია პუბლიკაციათა ავტორების შესახებ.....	249
Identity Narratives in Georgia: at the Origins of Multiethnic Georgian Nation (1860-1918). Summary.....	255
დანართი	287

წინასიტყვაობა

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ბაზაზე. პროექტზე მუშაობდნენ ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, მაია ქვრივიშვილი, ივანე წერეთელი, ირაკლი ჩხაიძე, დავით მაცაბერიძე.

ნაშრომის ავტორები დიდი მადლობას უხდებიან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს მასალების მოძიებაში გაწეული დახმარებისათვის. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ნაირა ბეპიევას, რომლის თანადგომის გარეშე ვერ შევძლებდით ოსურენოვანი მასალების მოძიებასა და თარგმნას. დიდი მადლობა ქალბატონებს ხათუნა გაფრინდაშვილსა და ირმა ხოსიტაშვილს სომხურენოვან მასალებზე მუშაობაში მონაწილეობისათვის.

საგანგებო მადლობა კულტურის კვლევათა მიმართულების სტუდენტებს ელენე ბოდაველს, თამთა სიხარულიძეს, ეთერ კოტრიკაძესა და გვანცა მამარდაშვილს, რომლებსაც დრო და ენერჯია არ დაუშურებიათ წიგნზე მუშაობის პროცესში ჩვენს დასახმარებლად.

ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომი მკითხველთა ინტერესს გამოიწვევს. ავტორთა ჯგუფი მადლიერებით მიიღებს შენიშვნებისა და რჩევებს, რომლებიც დაგვეხმარება შემდგომ მუშაობაში.

შესავალი

კვლევის მიზანი და ამოცანები. იდენტობის კვლევები კულტურის მეცნიერებათა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და თანამედროვე ეპოქისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. იდენტობის პრობლემები ინტერდისციპლინური შესწავლის სფეროა. იდენტობის ნარატივების კვლევა საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ იდენტობის ფორმირების პროცესსა და მის დინამიკას, განვსაზღვროთ მისი მიმართება სხვა სოციალურ პროცესებთან. იდენტობის ნარატივები ის ტექსტებია, რომლებიც გამოსატყვევს ამა თუ იმ ხალხის მიერ მსოფლიოში საკუთარი ფიზიკური, კულტურული და ინტელექტუალური ადგილის აღქმას, აგრეთვე იმას, თუ როგორ სურს მას, რომ აღიქმებოდეს „სხვების“ მიერ. ისინი განსაზღვრავს ინდივიდის, როგორც ამა თუ იმ ეთნიკური/კულტურული ერთობის წევრის, ქცევას და მის დამოკიდებულებას სხვა ერთობათა წევრებთან. ეს ტექსტები — პუბლიცისტური წერილები, საისტორიო და ლიტერატურული თხზულებები, პოლიტიკურ პარტიათა თუ სხვა გაერთიანებათა პროგრამები, ჰიმნები, სხვადასხვა ტიპის გამოსახულებანი, მემორიალები და სხვ. — საფუძველს უქმნის კონკრეტული ერთობის მიერ საკუთარი თავისა და სხვების აღქმას.

ჩვენთვის ერთგვარ შთაგონების წყაროდ იქცა 2006-2010 წლებში საისტორიო კვლევების ინსტიტუტისა (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი) და თანამედროვე კვლევების ცენტრის (სოფია) მიერ განხორციელებული პროექტი „კოლექტიური იდენტობის დისკურსები ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში (1770-1945)“, რომელიც აისახა იმავე სათაურის მქონე მრავალტომიან გამოცემაში.¹ ეთნიკური და კულტურული იდენტობის ფორმირების პროცესები დასახელებულ რეგიონში ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებთან. თუმცა ჩვენ გაცილებით მოკრძალებული მიზანი დავისახეთ როგორც ქრონოლოგი-

¹ Discourses of Collective Identity in Central and Southeast Europe (1770-1945). Texts and Commentaries. Volume 1, 2, 3.1, 3.2. CEU Press, Budapest-New York.

ური, ასევე თემატური თვალსაზრისითაც: საკვლევი პერიოდი მე-19 საუკუნის ბოლო მესამედითა და მე-20 საუკუნის პირველი ორი ათწლეულით შემოვფარგლეთ, ხოლო გასაანალიზებელი მასალა — ძირითადად, პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული წერილებით. ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებამდე მუშაობის პროცესში მივედით: ტექსტების რაოდენობა იმაზე გაცილებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით (მიუხედავად იმისა, რომ ტექსტების არცთუ მცირე რაოდენობა, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოვიძიეთ, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ), ამიტომ სხვა ტიპის ტექსტების ჩვენთვის საინტერესო კუთხით შესწავლა სამომავლოდ გადავდეთ და ზემოთ დასახელებული ნარატივების გაანალიზებასა და კონტექსტუალიზაციას შევეცადეთ.

ჩვენი მიზანი იყო მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ჩამოყალიბებული იდენტობის ნარატივების შესწავლა, იდენტობის მშენებელი მნიშვნელოვანი ტექსტების მოძიება და თავმოყრა, მათი ავტორების შესახებ ინფორმაციის, ნარატივების ურთიერთმიმართებისა და კონტექსტის გაანალიზება.

ამ მიზნის შესაბამისად შესრულებულმა სამუშაომ განსაზღვრა ჩვენი ნაშრომის **მეცნიერული სიახლე**, კერძოდ:

- შევისწავლეთ იდენტობის ნარატივების ფორმირების პერიოდი; გავაანალიზეთ, ერთი მხრივ, საქართველოს რეალობა, მეორე მხრივ, იმპერიული კონტექსტი, რაც აუცილებელი იყო იდენტობის ნარატივების ადეკვატური და კომპლექსური გააზრებისათვის.
- მოვიძიეთ ქართული, ებრაული, სომხური, აგრეთვე, მასალის მისაწვდომობის შესაბამისად, აზერბაიჯანული, აფხაზური და ოსური იდენტობის ნარატივები; თავი მოვუყარეთ, დავაჯგუფეთ, გავაანალიზეთ; შევეცადეთ იმ ავტორთა შესახებ ინფორმაციის შეკრებას, რომელთა სახელები ნაკლებად არის ცნობილი, ან რომლებიც ფსევდონიმით იბეჭდებოდნენ. ეს იყო პირველი ნაბიჯი საქართველოს ეთნიკური უმცირესობების იდენტობის ნარატივების თავმოყრისა და კომპლექსური შესწავლის გზაზე.
- შევარჩიეთ გამოსაქვეყნებელი ტექსტები; გავიაზრეთ იდენტობის ნარატივების ძირითადი ნაწილი;
- ქართულ ენაზე ვთარგმნეთ ზოგიერთი ტექსტი, რომლებიც სხვა ენებზე იწერებოდა და ქვეყნდებოდა;

– შევისწავლეთ მე-19-20 საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში შექმნილი იდენტობის ნარატივების ურთიერთმიმართება; კულტურათაშორისი კავშირები და საზიარო გამოცდილება, სხვადასხვა ეთნიკური და კულტურული იდენტობის სპეციფიკური თავისებურებები.

ჩვენ მიერ შესწავლილი საკითხების კვლევის აქამდე არსებულ მდგომარეობას ქვემოთ, ცალკეული ნარატივების ანალიზის დროს განვიხილავთ. ახლა კი დავკმაყოფილდებით იმის აღნიშვნით, რომ იდენტობის მშენებელი მრავალფეროვანი ტექსტები კარგა ხანია შეისწავლება ქართული აზროვნების ისტორიის, პოლიტიკური აზრის, პუბლიცისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ფარგლებში, აგრეთვე, ზოგ შემთხვევაში, როგორც წყარო საქართველოს ისტორიის კვლევისათვის. გამოქვეყნებულია ცალკეული ტექსტები. თუმცა, ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება იდენტობის პრობლემის კონტექსტში მათ გააზრებაზე. ამ მხრივ, ბოლო წლებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ქართველ მეცნიერთა მიერ, რომლებიც აქტიურად შეუდგნენ იდენტობის პრობლემების კვლევას. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, ერთი მხრივ, ნაციონალიზმის თეორიათა კონტექსტში ქართული იდენტობის პრობლემების გააზრების მცდელობანი,¹ მეორე მხრივ — ქართველთა რელიგიური და კულტურული იდენტობის ფორმირების ისტორიული ჭრილის შესწავლისადმი მიძღვნილი ცალკეული შრომები.² მაგრამ დღემდე მხედველობის მიღმა რჩებო-

¹ თევზაძე, გიგი. ქართველი ერის დაბადება. იდენტობა და იდეოლოგია. ოლიტელური და სოციეტალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა. *ქართველი ერის დაბადება. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007)*. თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 5-26; რატიანი, სერგო. „სარწმუნოებით ქართველი“: სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება. *დასახ. კრებ.*, გვ. 28-47; აფრასიძე, დავით. სახელმწიფოსა და ერის ფორმირება თანამედროვე საქართველოში: დაუსრულებელი პროექტი? *დასახ. კრებ.*, გვ. 92-133; დას სხვ.

² პატარიძე, ლელა. ქართული იდენტობა. *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*. თბილისი, გამომც. „არტე“, 2005, გვ. 217-226; პატარიძე, ლელა. *პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII საუკუნეების ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრების“ სამყარო*. თბილისი, კავკასიური სახლი, 2009; ჩხარტიშვილი, მარიამ. თვითდასახელება როგორც ქართული იდენტობის მარკერი. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, თბილისი, 2006, გვ. 204-218; ჩხარტიშვილი, მარიამ. *ქართული ეთნიკური რელიგიური მოქცევის ეპოქაში*. თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009; ჩიქოვანი, ნინო. ეთნიკური და რელიგიური ფაქტორები ქართველთა კულტურული თვითიდენტიფიკაციის პროცესში (ისტორიული ასპექტი). *მარიამ ლორთქიფანიძის 85 წლისადმი მიძღვნილი შრომების კრებული*. თბილისი, 2007, გვ. 116-132; ბოლქვაძე, თინათინ. *ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“*. თბილისი, „უნივერსალი“, 2010 და სხვ.

და ის ფაქტი, რომ ამავე პერიოდში ყალიბდებოდა საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების იდენტობის ნარატივებიც. მათი ამსახველი ტექსტები არ ყოფილა თავმოყრილი და შესწავლილი. შესაბამისად, არც ქართული და სხვა იდენტობის ნარატივების ურთიერთ-მიმართება გაანალიზებულა.

პრობლემის აქტუალობა. მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულები და მე-20 საუკუნის დასაწყისი მნიშვნელოვანი პერიოდია იმპერიულ სივრცეებში იდენტობის პრობლემათა აქტუალიზაციის თვალსაზრისით. ავსტრია-უნგრეთის, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებში შემავალი ხალხების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის თან ახლდა იდენტობის ძიების პროცესი. შედეგად, შეიქმნა ნარატივები, რომლებიც ეთნიკური და კულტურული იდენტობის განსაზღვრის საფუძველი გახდა.

თვითიდენტიფიკაციის პრობლემა საქართველოში მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან გააქტიურდა. ამ პერიოდიდან ჩამოყალიბებას იწყებს ქართველთა იდენტობის ნარატივი, უმთავრესად, პუბლიცისტური წერილებისა და ლიტერატურული თხზულებების სახით. მე-20 საუკუნის დასაწყისში იგი დიდი ნარატივის/მასტერ-ნარატივის ფორმით ყალიბდება, უფრო მრავალფეროვანი ხდება, ემატება პროფესიული საისტორიო ნარატივი, აგრეთვე მემუარული ლიტერატურა, პოლიტიკური პროგრამები, მანიფესტები, მონოდებები, მუსიკალური და დრამატული ნაწარმოებები.

საკვლევ პერიოდში საქართველოში იდენტობის ფორმირების კუთხით მიმდინარე პროცესებმა ლოგიკური გაგრძელება და ასახვა ჰპოვა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიის მუშაობასა და თავად კონსტიტუციაში. 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩამოყალიბებული საქართველოს სახელმწიფო თავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ მიიჩნევდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში ჩამოყალიბებული მასტერ-ნარატივი, პრაქტიკულად, დღემდე განაგრძობს არსებობას და განაპირობებს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების თვითაღქმასა და ურთიერთ-დამოკიდებულებას. ამგვარად, იდენტობის ნარატივები ქმნიან დროით ღერძს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. 1990-იანი წლების ეთნოკონფლიქტებისა და სახელმწიფოს

მშენებლობის რთული გამოცდილების გააზრების შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ დისკურსში გაჩნდა „მრავალეთნიკური ქართველი ერის“ ცნება და გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის მიმართულებით. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ დღეს საქართველოს დეკლარირებული მიზანია, ერთი მხრივ, სამოქალაქო ინტეგრაცია, მეორე მხრივ კი — ეთნიკური/კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება, ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის იდენტობის პრობლემათა კვლევის აქტიულობა კიდევ უფრო ნათელი გახდება.

ვფიქრობთ, კვლევის შედეგები გააფართოებს ისტორიული ხედვის პერსპექტივას და გაამდიდრებს ცოდნას საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების შესახებ; ხელს შეუწყობს კულტურული მრავალფეროვნების, როგორც მრავალეთნიკური და მრავალკულტურული ქვეყნის ძირითადი ფასეულობის გაცნობიერებას; საშუალებას მოგვცემს, უფრო სრულად აღვადგინოთ მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში მიმდინარე ეთნიკური და კულტურული იდენტობის ფორმირების პროცესები და მათი კონტექსტი. მიღებული შედეგები ასევე შეავსებს და ახალი მასალით გაამდიდრებს მომიჯნავე სფეროებს — საისტორიო მეცნიერებას, ლიტერატურათმცოდნეობას, პუბლიცისტიკის ისტორიას, პოლიტიკური აზრის ისტორიას, ნაციონალიზმის კვლევებს. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იგი ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის როლის გააზრებას საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოების ფორმირებაში.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი წარმოადგენს თეორიული ნაწილისა და რამდენიმე კონკრეტული კვლევის (case study) ერთობლიობას. თეორიულ ნაწილში გაანალიზებულია ნაშრომში გამოყენებული ცნებებისა და ტერმინების შინაარსი; შესწავლილია საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარება მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში და იმპერიული კონტექსტი, რომელშიც ეს ვითარება ყალიბდებოდა; წარმოდგენილია იდენტობის პრობლემის აქტუალიზაციის ზოგადი კანონზომიერებები და ლოკალური თავისებურებანი; განსაზღვრულია ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესში ქართველ ინტელექტუალთა როლი და მათი მოღვაწეობის მნიშვნელობა. კონკრეტული

კვლევები ეხება ქართული, ებრაული, სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური და ოსური იდენტობის ნარატივების ფორმირებისა და განვითარების პრობლემებს. მუშაობის პროცესში გამოყენებული იყო ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი (კვლევითი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და ანალიზი, მონაცემთა შეკრება, მასალის ორგანიზაცია, საბოლოო ტექსტის შემუშავება), ემპირიული კვლევისა (ტექსტების მოძიება, კლასიფიკაცია, ანალიზი) და კონკრეტული კვლევის (რომელიც იძლევა თეორიული მიდგომებისა და ემპირიული მონაცემების დაკავშირების საშუალებას) მეთოდები.

თავი I

ნაციონალიზმის ეპოქა და იდენტობის პრობლემის აქტუალიზაცია: ზოგადი კანონზომიერებანი და ლოკალური თავისებურებანი. იდენტობის ნარატივების ფორმირების საფუძვლები საქართველოში

1.1. ცნებები და ტერმინები¹

იდენტობა – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის არსს, მის რაობას. ქეთრინ ვუდვორდის სიტყვით, იდენტობა გვისაზღვრავს, ვინ ვართ ჩვენ, რა კავშირი გვაქვს სხვებთან და რა ადგილი გვიჭირავს სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობთ.² იდენტობა განაპირობებს ადამიანის ქცევას, იმას, თუ როგორ შეასრულებს იგი სხვადასხვა ცხოვრებისეულ „როლს“. კულტურულ იდენტობას განსაზღვრავს ენა, რელიგია, ტერიტორია და სხვა მახასიათებლები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავი და ჩვენთვის საყურადღებოა საერთო/გაზიარებული ისტორია. როგორც პოლ ლორენცი (Paul Lawrence) აღნიშნავს, კულტურული იდენტობის განცდა პოლიტიკურად ძალიან სასარგებლო იყო სახელმწიფოსთან მოსახლეობის შეკავშირების თვალსაზრისით. ამიტომ ნაციონალური ისტორიები ხშირად დაკვეთილი და ნახალისებული იყო პოლიტიკური ელიტების მიერ, ზოგჯერ – გამოგონილი და კონსტრუირებულიც კი. ნაციონალური ისტორია წარმოიშვა როგორც პასუხი ცვალებად მსოფლიოში იდენტობის ახალი ფორმის საჭიროებაზე, მაგრამ შემდეგ პოლიტიკურად

¹ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში გამოყენებულია კულტურის კვლევებსა და ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიებში დამკვიდრებული განსაზღვრებები.

² Woodward, Kathryn. Concepts of Identity and Difference. *Identity and Difference*. London, Sage, 1997, p. 1-2.

სასარგებლო გახდა; იგი, ერთსა და იმავე დროს, ასახავდა ნაციონალიზმს და განამტკიცებდა მას.¹

ეთნიკური ჯგუფი — ადამიანთა ერთობა, რომელსაც აკავშირებს საერთო ისტორიული მეხსიერება და საერთო წარმომავლობის მითი. ეთნიკურ ჯგუფს აქვს განუმეორებელი, სხვებისგან განსხვავებული კულტურა და ნეს-ჩვეულებები. „ეთნიკური ჯგუფის, როგორც სოციალური ორგანიზაციის, ფორმის ძირითადი საფუძველი უფრო მეტად კულტურულია, ვიდრე ბიოლოგიური. უფრო მეტიც, დიდი ტერიტორიული ნაციონალური სახელმწიფოების მოსახლეობა თითქმის ყოველთვის ძალზე ჰეტეროგენულია იმისათვის, რომ საერთო ეთნიკურობა გამოხატოს.“²

ეთნიკურობა (ethnicity) — საერთო წარმომავლობაზე, ენაზე და, გარკვეულწილად, კულტურულ ფასეულობებზე დამყარებული ერთობისადმი — ეთნიკური ჯგუფისადმი — მიკუთვნებულობა. როგორც ე. ჰობსბაუმი აღნიშნავდა, „ეთნიკურობა, თითქმის ყოველთვის, ... უკავშირდება საერთო წარმოშობას და სამშობლოს, საიდანაც ვითომცდა გამომდინარეობს ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრების საერთო მახასიათებლები. „ნათესაობისა“ და „სისხლის“ ცნებებს ერთი ჯგუფის წევრების შეკავშირებისას და უცხოთა გამიჯვნისას აშკარა უპირატესობა ენიჭება.“³ ეთნიკურობას, მოკლედ, შემდეგნაირად განსაზღვრავენ: ეთნიკურობა – ეს არის იდენტობა ერთ რომელიმე ეთნიკურ ჯგუფთან.

ერი/ნაცია — ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ხშირად გამოყენებული ცნება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში; მისი შინაარსი დამოკიდებულია თეორიულ ჩარჩოზე, რომლის ფარგლებში მას გავიაზრებთ. ერიკ ჰობსბაუმს თავისი ცნობილი ნაშრომის შესავალ ნაწილში მოჰყავს უოლტერ ბაჯეტის (Walter Bagehot) ცნობილი სიტყვები: „რა არის ერი, ჩვენ ვიცით მხოლოდ იქამდე, სანამ ამის შესახებ რამეს გვკითხავენ... ერები სულაც არ არიან ისეთივე ძველი, როგორც თვით ისტორია.“⁴ როგორც ერნესტ გელნერი

¹ Lawrence, Paul. Nationalism and Historical Writing. *The Oxford Handbook of the History of Nationalism*. Ed. By John Breuilly. Oxford University Press, 2013, p. 725.

² ჰობსბაუმი, ერიკ. *ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან*. პროგრამა, მითი, რეალობა. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012, გვ. 87.

³ იქვე, გვ. 86.

⁴ იქვე, გვ. 7, 10.

აღნიშნავდა, „ერი, როგორც ადამიანთა კლასიფიცირების ღვთით ბოძებული მეთოდი, როგორც ხელშეუვალი ... პოლიტიკური ბედისწერა, უბრალოდ, მითია. ნაციონალიზმი ... ხანდახან ადრეულად არსებულ კულტურებს ერებად გარდაქმნის, ზოგჯერ ხელახლა გამოიგონებს ხოლმე მათ და, ხშირად, ანადგურებს, აი, ეს არის რეალობა.“¹ ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიების თანახმად, ნაცია — ეს არის კონსტრუირებული ფენომენი, ერთობა, რომელიც „წარმოსახულია“ მისი წევრებისა და ლიდერების მიერ (ბენედიქტ ანდერსონი²). ჩვენი სამუშაო დეფინიცია ნაციის სწორედ მოდერნისტულ გაგებას ემყარება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ერი მნემონიკური ერთობაა, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო მესიერებით.

ნაციონალიზმი — იდეოლოგია და პოლიტიკა, დამყარებული ნაციონალური განსაკუთრებულობის იდეაზე. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს „ჩვენიანებს“ და „სხვებს“, ზოგ შემთხვევაში – „მეგობრებს“ და „მტრებსაც“. გარკვეული აზრით, ნაციონალიზმი ეროვნული გამორჩეულობისა და სხვა ერებთან მიმართებაში უპირატესობის იდეაზე დამყარებული ფენომენია, განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში იგი ერების გაერთიანების და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა. განასხვავებენ ეთნიკურ (ექსკლუზიურ) და სამოქალაქო (ინკლუზიურ) ნაციონალიზმს. პირველი ემყარება საერთო ეთნიკური, ენობრივი თუ კულტურული წარმომავლობის პრინციპს, ხოლო მეორე – ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობას.

1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ნაციონალიზმს უფრო მეტად განიხილავენ როგორც „მოდერნულობის“ ფუნქციურ კომპონენტს ან პროდუქტს და მას ინდუსტრიალიზაციის ეპოქას უკავშირებენ (კარლ დოიჩი, ერნესტ გელნერი). 1980-იანი წლებიდან მეცნიერებმა, რომლებიც ასევე ხაზს უსვამდნენ ნაციისა და ნაციონალიზმის ფენომენების მოდერნულობას, აქცენტი გადაიტანეს მათი კონსტრუირების, გამოგონებისა და წარმოსახვის მექანიზმებზე. ერიკ ჰობსბაუმი და ბენედიქტ

¹ Gellner, Ernest. *Nations and Nationalism*. Ithaca, N.Y., Cornell University Press, 1983, p. 48-49.

² ანდერსონი, ბენედიქტ. *წარმოსახვითი საზოგადოებანი*. თბილისი, „ენა და კულტურა“, 2003.

ანდერსონი ხაზს უსვამდნენ ნაციონალიზმის *შექმნის* (ცნობიერად თუ არაცნობიერად) გზებს (ჰობსბაუმი – „ტრადიციათა გამოგონება“).¹ ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტური თეორიის წარმომადგენლები (ჯონ არმსტრონგი, ენტონი სმითი) 1980-იან წლებსა და 1990-იანების დასაწყისში ამტკიცებდნენ, რომ თანამედროვე ნაციების წინამორბედი ერთობები იყვნენ ეთნიკები, რომლის წევრებს ჰქონდათ ჯგუფური იდენტობისა და წარსულის განგრძობადობის ძლიერი განცდა; ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ, როგორც არმსტრონგი უწოდებს, „მითურ-სიმბოლური“ კომპლექსებით, რომლებიც მოგვიანო ხანის ნაციონალური ისტორიების დამახასიათებელ ბევრ თემას მოიცავდა (ხალხის რჩეულობა, სამშობლოს ცნება, წარსული ოქროს საუკუნის ხსოვნა).²

ნაციონალური ნარატივი — მოთხრობა ამა თუ იმ ერთობის წარსულის შესახებ, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოიადგენს საზოგადოება საკუთარ თავს, აგრეთვე იმას, თუ როგორ იცვლებოდა მისი მდგომარეობა და გარესამყაროსთან მიმართება დროთა განმავლობაში. ნაციონალური საისტორიო ნარატივი — ეს არის წარსულის ისტორიულად და კულტურულად განპირობებული ინტერპრეტაცია, რომელიც აყალიბებს ინდივიდის/ჯგუფის წევრის სტატუსს, როლს, უფლებებს, მოვალეობებს, მოსალოდნელ ქცევებს, ერთმანეთთან ურთიერთობის წესებს, ლეგიტიმაციას ანიჭებს სოციალურ ორგანიზაციას, ყოველდღიურ პრაქტიკასა და ცხოვრების წესს. ნაციონალური ნარატივი ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ ისტორიულ ეპოქასთან და იდეოლოგიურ ტენდენციებთან.

პროფესიული საისტორიო ნარატივი ნაციონალიზმის ეპოქაში და მასთან მჭიდრო კავშირში ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა ქვეყანაში ნაციონალური ისტორიოგრაფიის სხვადასხვა ტრადიცია შეიქმნა, მაინც შეიძლება საუბარი მათ საერთო მახასიათებლებზე: ყველა მათგანი მოიცავს უძველესი წარმოშობის, მემკვიდრეობითობისა და უწყვეტობის, გამირული წარსულის, ოქროს საუკუნის, გაღებული მსხვერპლის, განსაკუთრებულობის/ღვთის რჩეულობის, ეროვნული

¹ Lawrence, Paul. დასახ. ნაშრ., გვ. 723.

² იქვე, გვ. 723.

გმირების თავგანწირვის თემებს, რომელთა ნაწილი, ს. ბერგერის სიტყვით, შუა საუკუნეებიდან არის ალებული. ნაციონალური ნარატივები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ჯგუფის შეკავშირებაში, უზრუნველყოფენ მის კავშირს როგორც წარსულთან (ზოგჯერ წარმოსახვითთან), ასევე მომავალთან. ნაციონალური ნარატივის მთავარი ფუნქცია ჯგუფური იდენტობის განცდის ჩამოყალიბება და განმტკიცებაა. პიტერ მანდლერის (Peter Mandler) აზრით, სწორედ „ნაციის ნარატივმა“ – მოთხრობამ საერთო ბედით დაკავშირებული ინდივიდების დროში თანაცხოვრების შესახებ – შესძინა ნაციონალურ იდენტობას განსაკუთრებული მნიშვნელობა სხვა ტიპის იდენტობებთან შედარებით, რომლებიც უფრო მეტად ანმყოსკენ არიან მიმართული.¹

დიდი ნარატივი/მასტერ-ნარატივი. ამ ტერმინს ვიყენებთ ს. ბერგერის მიერ შემოთავაზებული განსაზღვრებით: ეს არის „დომინანტური ნარატივი, წარმოდგენილი ტექსტებით, რომლებიც მიჩნეულია განსაკუთრებით დახვეწილად, სრულყოფილად და ავტორიტეტულად. იგი ხშირად გამოიყენება როგორც მთელი დანარჩენი ლიტერატურის ინტერპრეტაციის საფუძველი. ლეგიტიმიზებული და ინსტიტუციონალიზებული მასტერ-ნარატივი ქმნის ნაციონალური ისტორიის წერის ერთგვარ ჩარჩოს, გვანვდის რა წარსულის აღქმისა და ინტერპრეტაციის ბრწყინვალე ნიმუშებს, წარმოგვიდგენს, ვინ არიან ნაციონალური ისტორიის ცენტრალური ფიგურები და აქტორები, ვინ ვართ ჩვენ და ვინ არიან ისინი, ვინ არის მიჩნეული მტრად. სწორედ ამ საისტორიო მასტერ-ნარატივის მეშვეობით ანიჭებს ხალხი მნიშვნელობას წარსულსა და იდენტობას.“²

იდენტობის მშენებელი ტექსტი/იდენტობის ნარატივი. ამ ცნების დეფინიციას დავესესხეთ მრავალტომეულის „Discourses of Collective Identity in Central and Southeast Europe (1770-1945). Text and commentaries“ ავტორებს. მათი განსაზღვრების თანახმად, „იდენტობის მშენებელი ტექსტი/იდენტობის ნარატივი“ – ეს არის, პრაქტიკულად, ნებისმიერი სახის ტექსტი, მიუხედავად იმისა, საჯარო დანიშნულებით დაინერა იგი თუ არა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს კოლექტიური იდენტო-

¹ Lawrence, Paul. დასახ. ნაშრ., გვ. 724-725.

² Berger, Stefan. The Comparative History of National Historiographies in Europe: Some Methodological Reflections and Preliminary Results. *Nations and their Histories. Constructions and Representations*. Ed. by Susana Carvalho and Francois Gemenne. Palgrave Macmillan, 2009, p. 33-34.

ბის ჩამოყალიბებისათვის. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, საისტორიო თხზულებანი, ისტორიული რომანები, პოლიტიკური თუ კულტურული მანიფესტები, ფილოსოფიური ტრაქტატები, ეროვნული კონსტიტუციები, რევოლუციური სიმღერები, აგრეთვე ის ტექსტები, რომელთაც არ აქვთ საჯარო ფუნქცია – კერძო კორესპონდენციები, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და სხვ.¹

1.2. ქართული ნაციონალიზმის ფორმირების იმპერიული კონტექსტი

ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები 1860-იანი წლების შემდეგ. საგლეხო რეფორმისა და მომდევნო წლების რეფორმების შემდეგ ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. საქართველოს კუთხეებს შორის თანდათან მზარდი ეკონომიკური კავშირები ბოლოს უღებდა ადრინდელ კარჩაკეტილობას და საერთო ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების საფუძველს ქმნიდა. აგრარული სექტორი, რომელიც მეურნეობის საფუძველს წარმოადგენდა, სავაჭრო-სააღმსახურებო ურთიერთობაში ებმებოდა. ფართოვდებოდა შინაგანი ბაზარი, იზრდებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა, რომელშიც მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა კუთხე ებმებოდა. იზრდებოდა და ფართოვდებოდა ვაჭართა ფენა. მემამულეთა ნაწილი ცდილობდა, თავის ხელში აეღო ვაჭრობის ორგანიზება. მათ ნაწილს 1880-90-იან წლებში მსხვილი სავაჭრო ფირმები ჰქონდა.²

სავაჭროსთან ერთად, ვითარდებოდა სავაჭრო კაპიტალი. 1860-იან წლებში გაჩნდა ფულის შემნახველ-გამსესხებელი პირველი ამხანაგობები, რომელთაც მცირე საბრუნავი თანხა ჰქონდათ და მცირე ხანს თუ ახერხებდნენ არსებობის შენარჩუნებას, მაგრამ მათ ადგილას ახალი ამხანაგობები ჩნდებოდა, რამაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი 1890-იან წლებში მიიღო.³ კრედიტის ახალი ფორმა თანდათან

1 Discourses of Collective Identity in Central and Southeast Europe (1770-1945). Text and commentaries. Volume 1. Late Enlightenment. Emergence of the Modern 'National Idea'. Ed. by Balázs Trencsényi and Michal Kopeček. CEU Press. Budapest. New York. 2006, p.8.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.5, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1970, გვ. 340.

³ იქვე, გვ. 340.

დევნიდა ვაჭრობა-მევახშეობის ძველ ტრადიციას და აჩქარებდა სოციალური დიფერენციაციის პროცესს.

თავადაზნაურობის დიდ ნაწილს გაუჭირდა ახალ რეალობასთან შეგუება და გაღატაკების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საქმეს ვერც თბილისისა (1875 წლიდან) თუ ქუთაისის (1876 წლიდან) სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკიდან აღებული სესხები შევლოდა, რომელთაც თავადაზნაურობა ყოველდღიური საჭიროებისთვის იყენებდა ან, სულაც, უმიზნოდ და უმისამართოდ ხარჯავდა, რის გამოც სესხის დაფარვას ვერ ახერხებდა და ბანკში დაგირავებულ მინებს კარგავდა. ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვებოდა ხოლმე: ბანკისგან მოითხოვდნენ განსაკუთრებულ შეღავათებს, სესხის გასტუმრების გადავადებას, რასაც ბანკის მესვეურები მიუღებლად მიიჩნევდნენ. ამავე დროს, ეს უკანასკნელნი ახერხებდნენ, მიღებული მოგების ნაწილი სკოლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაფინანსებისათვის მოეხმარებინათ. თავადაზნაურობის მეორე ნაწილი უფრო წარმატებული აღმოჩნდა: 1890-იან წლებში სოფლად არსებობდა მეურნეობები, რომლებიც მოცულობითა და ტექნიკური აღჭურვილობით ფრიად დანინაურებული იყვნენ.¹ მაგრამ ეს ვერ ცვლიდა საერთო სურათს: მე-19 საუკუნის ბოლო მესამედში თავადაზნაურთა ეკონომიკური (და, შესაბამისად, პოლიტიკური) პოზიციები მკვეთრად შესუსტდა, რადგან მათი უმრავლესობა მზად არ აღმოჩნდა ახალ გამოწვევებთან გამკლავებისათვის.

თავადაზნაურთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაქვეითებას თან ახლდა საშუალო კლასის, განსაკუთრებით, თბილისის მდიდარი მოქალაქეების აღზევება, რომელთა ხელში თავს იყრიდა სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის დიდი ნაწილი. მათი უმრავლესობა ეთნიკური სომეხი იყო.² მათ დიდი სარგებელი ნახეს რუსეთის ამოქმედებულ ახალ შიდა ბაზარზე, რითაც დიდი ეკონომიკური ძალაუფლებაც მოიპოვეს.³

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.5, გვ. 370.

² Suny, R.G. *The Making of the Georgian Nation*. Indiana University Press, Hoover Institution Press, 1988, p. 116.

³ ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა*. თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც., 2007, გვ. 19.

ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი სოფლიდან ქალაქს მიდ-
იოდა და სახელმწიფო სამსახურში დგებოდა, ან ქალაქის თავისუფალ
ცხოვრებაში ებმებოდა. მათი ქონება შეძლებულ ვაჭართა ან შეძლე-
ბული გლეხების ხელში გადადიოდა. თავადაზნაურობასთან ერთად,
ქალაქს მიდიოდა გლეხოვაც, რომელმაც საგლეხო რეფორმის შედე-
გად პირადი თავისუფლება მიიღო და რომელიც ქალაქში ეკონომი-
კური პრობლემების მოგვარების გზას ეძებდა. თბილისში ჩამოსულებს
ხვდებოდათ ქალაქი, სადაც სომეხი ვაჭრები და რუსი ჩინოვნიკები
ბატონობდნენ. ქართველმა თავადაზნაურობამ 1830-იან წლებში და-
კარგა წამყვანი პოზიციები და საკუთარ დედაქალაქში უმცირესობად
იქცა. მე-19 საუკუნის შუა წლებში თბილისის კომერციულ-ინდუს-
ტრიული კლასის დაახლოებით ორ მესამედს სომეხები შეადგენდნენ.¹
მათ გაბატონებული პოზიციები ეკავათ გილდიებში, რომელთა ხელში
იყო კონტროლი ვაჭრობასა და წარმოებაზე.² ამგვარად, სხვადასხვა
კლასის წარმომადგენელი ქართველები აღმოჩნდნენ კარგად დამკვიდ-
რებული, ფინანსურად ძლიერი ურბანული საშუალო ფენის პირის-
პირ, რომელიც სხვა ენაზე ლაპარაკობდა, სხვა ეკლესიაში დადიოდა
და განსხვავებული ფასეულობები ჰქონდა. სოციალური განსხვავება
კლასებს შორის გააძლიერა კულტურულმა და ენობრივმა განსხვავე-
ბებმა.³ თბილისთან შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ეთნიკურად
მრავალფეროვანი იყო სხვა ქალაქებიც, განსაკუთრებით აღმოსავლეთ
საქართველოში (ახალციხე, გორი, თელავი).

საუკუნის ბოლოსათვის, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ქა-
ლაქების მოსახლეობამ მკვეთრი ზრდა დაიწყო: 1886-1897 წლებში იგი
ოთხჯერ სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სოფლის მოსახლეობა. თბილი-
სის მცხოვრებთა რიცხვი 103 პროცენტით გაიზარდა, იგი ძირითადად
მიგრანტთა ქალაქი გახდა: ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 43,7% იყო
აქ დაბადებული და გაზრდილი.⁴

მე-19 საუკუნის მიწურულს, ქართველების მიგრაციის შედეგად,

¹ ჩხეტია, შალვა. *თბილისი მე-19 საუკუნეში (1865-1869)*. თბილისი, 1942, გვ. 208-209; ჯაოშვილი, ვახტანგ და სხვ. *თბილისი. ეკონომიკური გეოგრაფიული გამოკვლევა*. თბილისი, 1989, გვ. 125.

² Suny, Ronald G. დასახ. ნაშრ., გვ. 116-117.

³ იქვე, გვ. p. 116.

⁴ ჯონსი, სტივენ. დასახ. ნაშრ., გვ. 25.

თბილისში სომხების დემოგრაფიული უპირატესობა მკვეთრად შემცირდა. 1897 წლისათვის სომხები 38% შეადგენდნენ, ქართველები კი 26,3% (მთლიანად თბილისის გუბერნიაში ქართველების ხვედრითი წილი 44,3% იყო). ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური ნაწილის პროცენტული მაჩვენებელი ერთმანეთს უახლოვდებოდა (მაგალითად, რუსები 24,7% შეადგენდნენ), მაგრამ ქართველების ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები ჯერ ისევ სუსტი რჩებოდა.¹ ქალაქში ახლად ჩამოსული ქართველების უმრავლესობა უბრალო მუშახელი და გაღატაკებული აზნაურები იყვნენ, რომლებსაც ნორმალური სამუშაო არ ჰქონდათ.² მე-19 საუკუნის ბოლოსათვის თბილისში არსებული 7.929 სავაჭრო სახლიდან 4.206 სომეხი ვაჭრების საკუთრება იყო, 2.021 – ქართველებისა და 1.450 – რუსების.³ უდიდესი სამრეწველო საწარმოების 44%, მათ შორის, ადელხანოვის ტყავის თუ ენფინიანცის თამბაქოს გადამამუშავებელი საწარმოები სომხებს ეკუთვნოდათ. სომეხთა სიმდიდრე კარგი განათლების მიღების გარანტია იყო მათი შვილებისათვის, ამას ისიც ადასტურებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების სკოლებში სომეხი მოსწავლეები რიცხობრივად ჭარბობდნენ ქართველებს.⁴

სომეხი ბურჟუაზია, რომელსაც ეკონომიკაში გაბატონებული პოზიცია ეკავა, ქალაქის მართვა-გამგეობაშიც პირველობას ესწრაფვოდა.⁵ 1870-იან წლებში, ადგილობრივი მმართველობის არჩევითი სისტემის დანერგვასთან ერთად, რომელიც ქონებრივ ცენზს ემყარებოდა, სომხების პოლიტიკური პოზიციები განმტკიცდა. საქალაქო თვითმმართველობის ჩამოყალიბების შემდეგ, 1876-1879 წლებში, თბილისის ქალაქისთავი დიმიტრი ყიფიანი იყო, მაგრამ შემდგომში ეს პოზიცია სომხების ხელში გადავიდა. თბილისში 1902 წლისათვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 72 პროცენტს სომეხი მოქალაქეები შეადგენდნენ. საქალაქო სათათბიროში მათ უმრავლესობა მოიპოვეს და 1870-იანი წლებიდან 1917 წლამდე აკონტროლებდნენ კიდეც მას. ეს ფაქტი ქართველ და სომეხ ამომრჩევლებს შორის სერიოზული დაძაბულობას

¹ Suny, Ronald G. დასახ. ნაშრ., p. 116.

² ჯონსი, სტივენ. დასახ. ნაშრ., გვ. 29.

³ იქვე, გვ. 32.

⁴ იქვე, გვ. 32.

⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.5, გვ. 700.

ქმნიდა. როგორც ს. ჯონსი აღნიშნავს, ნაციონალიზმის თანამედროვე თეორეტიკოსთა აზრით, გამძაფრებული ურბანული დაპირისპირება ახლად აღმოცენებულ ნაციონალურ ჯგუფებს შორის ნაციონალისტურ მოძრაობებს წარმოშობდა.¹

ქუთაისის, სოხუმის, ფოთის, ოზურგეთისა და ბათუმის სათათბიროთა ხმოსნების უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, თუმცა მათ შორის ცოტა იყო ინტელექტუალური წრეების წარმომადგენელი, სწორედ ქონებრივი ცენზის არქონის გამო. ამ საკითხის მოგვარება ქუთაისელ მოღვაწეებს საქალაქო დებულების ერთი მუხლის გამოყენებით უცდიათ, რომლის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ნოქრებსაც. ქუთაისის მკვიდრ რამდენიმე განათლებულ კაცს საარჩევნო უფლება სწორედ ნოქრის მონაწილეობის აღებით მოუპოვებია, რომელიც, როგორც ჩანს, არც ისე ძვირი ღირდა. მაგრამ ეს ფაქტი 1888 წელს გამოაშკარავებულა და ამომრჩეველთა სიიდან ამოუშლიათ ცნობილი მოღვაწეები – კ. ლორთქიფანიძე, ივ. მესხი, დ. დადიანი, დ. ბაქრაძე, ივ. ჯაიანი, ნ. კანდელაკი, პ. ლორთქიფანიძე და სხვ.²

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის საქართველოში, რომლის მოსახლეობის 84 პროცენტი, 1897 წლის მონაცემებით, სოფლად ცხოვრობდა, ეროვნული პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბება დაიწყო. კუთხური განსხვავებები კვლავ ძლიერი იყო, მის შენარჩუნება-განმტკიცებას ხელს უწყობდა რუსული იმპერიული ხელისუფლება. 1897 წელს, მოსახლეობის აღწერის დროს, ქართველები დაყვეს ქართველებად, ინგილოებად, თუშებად, ხევსურებად, ფშავლებად, აჭარლებად, იმერლებად და გურულებად, ხოლო სვანები, მეგრელები და ლაზები ცალკე ქვეჯგუფად დააფიქსირეს. ს. ჯონსი მიიჩნევს, რომ „ეს უფრო რუსეთის იმპერიული კულტურის შედეგი იყო და არა „divide et impera“ პოლიტიკის ნაყოფი, რადგან კლასიფიკაცია და სტანდარტიზაცია პოლიტიკურად ხელსაყრელი იყო დაპყრობის დასაჩქარებლად და ახალი ტერიტორიების საბოლოოდ მისაერთებლად“, ხოლო იმპერიის პოლიტიკა, რომელიც კუთხურ განსხვავებულობას ითვალისწინებდა, რეალობის აღიარებაც იყო და ყოველთვის არ ემყარებოდა რაიმე წინასწარგანზრახულობას.³

¹ ჯონსი, სტივენ. დასახ. ნაშრ., გვ. 29.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, გვ. 702.

³ ჯონსი, სტივენ. დასახ. ნაშრ., გვ. 27.

ქართველ ინტელექტუალთა ნაწილი კუთხურ განსხვავებებს სერიოზულ დაბრკოლებად მიიჩნევდა საერთო ეროვნული იდენტობის განვითარების გზაზე. მაგალითად, ნოე ჟორდანიას 1894 წელს წერდა: „მხოლოდ ენა და გვარტომობა გვეუბნება, სუყველა ქართველები ხართო, მაგრამ ამ დასკვნამდინ ჩვენი ერი ჯერ არ მისულა... საქართველოს ნაწილები გრძნობენ უფრო განსხვავებას, ვიდრე ერთობას... სწორედ ეს შეგნება აკლია ქართველ ხალხს“.¹ მათ იმედი ჰქონდათ, რომ ტექნიკური პროგრესი, რკინიგზა და კავშირგაბმულობის საშუალებები მოშლიდა კარჩაკეტილობას, ერთმანეთთან დააკავშირებდა საქართველოს კუთხეებს, გააძლიერებდა ერთობის გრძნობას.²

მართლაც, რკინიგზამ ერთმანეთთან დააკავშირა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო: 1872 წელს დასრულდა თბილისი-ფოთის ხაზის მშენებლობა, 1877 წელს მას მიუერთდა ქუთაისი, 1883 წელს – ბათუმი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, 1897 წლის მონაცემებით, ქართველ მიგრანტთა მხოლოდ 14,5% ჰქონდა ლიხის ქედი გადაკვეთილი ორივე მხარეს.³ ახლა კი ადრე ერთმანეთისაგან იზოლირებული, თვითკმარი ქართული სოფლები, რომლებიც სუსტად იყვნენ დაკავშირებული ქალაქებთან, ერთმანეთს დაუკავშირდნენ, ერთმანეთი გაიცნეს.

როგორც ს. ჯონსი აღნიშნავს, „ბედის დაცინვას ჰგავდა ის, რომ რუსეთის იმპერიამ ხელი შეუწყო ეროვნული თანხმობის ხელახალ გაღვივებას ქართულ ინტელიგენციაში. რუსეთის სტრატეგიულმა და სამხედრო ინტერესებმა ქართული მიწების თავმოყრა გამოიწვია. გარდა ამისა, ცარისტულმა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ გააუმჯობესა კავშირგაბმულობა, დააჩქარა ურბანიზაცია და შექმნა საერთო ბაზარი. რუსი ჩინოვნიკების გამოჩენამ ქვეყანაში და ოსმალთა იმპერიასთან ომებმა განაახლა ეროვნული სოლიდარობის გრძნობა ქართულ ინტელიგენციაში.“⁴ რუსულმა კოლონიურმა მმართველობამ მშვიდობისა და უსაფრთხოების ერთგვარი გარანტია შექმნა და, მეტ-ნაკლებად, ხელი შეუწყო ეკონომიკურ წინსვლას. ახალი ვითარება ბიძგს აძლევდა, ერთი მხრივ, ეროვნული თვითშეგნების ამადლებას, მეორე

¹ ციტირებული: ჯონსი, სტივენ. დასახ. ნაშრ., გვ. 27.

² გაფრინდაშვილი, მიხეილ. *ქართული განმანათლებლობა*. თბილისი, 1966, გვ. 158.

³ ჯონსი, სტივენ. დასახ. ნაშრ., გვ. 25.

⁴ ჯონსი, სტივენ. დასახ. ნაშრ., გვ. 24.

მხრივ კი — ეთნიკურ კონფრონტაციას. გაძლიერებულმა კონტაქტმა ქალაქთან, სადაც სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა, განამტკიცა განსხვავების შეგნება ქართველებსა და სხვა ხალხებს შორის.¹

რ. სუნის აზრით, სეკულარული ქართული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება არ იყო სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენის დამთხვევის შედეგი. „ერის ჩამოყალიბება, სრული დემოგრაფიული, კულტურული და ინტელექტუალური აზრით, გაცილებით მეტია, ვიდრე განცალკევებული სოციალური ძალების გაერთიანება და იმპერიული ძალის რეპრესიული პოლიტიკური ინტერვენცია. ისტორიულად, ქართველი ერის ჩამოყალიბება ინტელექტუალთა და პოლიტიკოსთა შემოქმედებითი მუშაობის შედეგი იყო, რომელთა ინტერესი თავდაპირველად მიმართული იყო ეროვნული ენისა და ისტორიული წარსულისადმი, შემდეგ კი მათ შეძლეს სახალხო სენტიმენტების მობილიზება ნაციონალური მთლიანობის მისაღწევად.“²

ქართველი ერი ჩამოყალიბდა როგორც ქართველური, ისე, ნაწილობრივ, არაქართველური წარმოშობის ეთნიკური ჯგუფებისაგან, საუკუნეთა მანძილზე მათი თანაცხოვრებისა და ურთიერთქმედების შედეგად; „არაქართველური წარმოშობის ჯგუფები, რომლებიც კომპაქტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ ცოტად თუ ბევრად ვრცელ ტერიტორიაზე (აფხაზები, ოსები), დამოუკიდებელ ეროვნებად ყალიბდებოდნენ საქართველოში ერის წარმოქმნისა და კონსოლიდაციის პროცესში.“³

1.3. ინტელექტუალები და მათი როლი ნაციონალური იდენტობის ფორმირებაში

1.3.1. იდენტობის საკითხის აქტუალიზაცია

მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოში, ისევე როგორც სხვა იმპერიულ სივრცეებში, აქტიურად მიმ-

¹ Suny, Ronald G. დასახ. ნაშრ., გვ. 122.

² იქვე, გვ. 122-123.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, გვ. 458.

დინარეობდა ეთნიკური და რელიგიური იდენტობის გამოკვეთის პროცესი. მას შემდეგ, რაც ახალ — რუსეთის იმპერიის — პოლიტიკურ და კულტურული რეალობასთან ადაპტაციის პროცესი, ძირითადად, დასრულდა (მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი), ქართული იდენტობის განსაზღვრის საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალური გახდა. იგი გულისხმობდა პასუხის გაცემას კითხვებზე: ვინ ვართ ჩვენ — ქართველები? ვინ არიან სხვები? სად და რა ნიშნით გადის ზღვარი ჩვენსა და სხვას შორის? ვინ და რა ნიშნით შეიძლება იყოს ზღვარს შიგნით ან მის მიღმა?

იდენტობის ფორმირება რთული, მრავალმხრივი და ხანგრძლივი პროცესია, განსაკუთრებით — მრავალეთნიკურ, მრავალრელიგიურ და მრავალკულტურულ საზოგადოებებში. საქართველო ასეთ საზოგადოებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა და მიეკუთვნება. მრავალი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის თანაცხოვრების გარდა, მნიშვნელოვანია თავად ეთნიკური ქართველების ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება და რელიგიური სხვადასხვაობა. ეს გარემოებანი განსაზღვრავდა იდენტობის ფორმირების პროცესის თავისებურებებს. ქართული იდენტობის მშენებელ ნარატივებთან ერთად და მათ გვერდით, განსახილველ პერიოდში იქმნებოდა საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების იდენტობის ნარატივებიც, რომელთა შესწავლას ისახავს მიზნად წარმოდგენილი ნაშრომი.

მოდერნიზაციის გზაზე დამდგარმა რუსეთის იმპერიამ, რომელმაც მე-19 საუკუნის დასაწყისში შეიერთა პატარა ქართული სამეფოები, ხელი შეუწყო საქართველოს ეროვნული განვითარების პირობების შექმნას: ადგილობრივი ინტელექტუალები, მზარდად წიგნიერი ქართული საზოგადოება, ურბანიზაცია, გააქტიურებული კომუნიკაცია ქალაქსა და სოფელს შორის, კონტაქტები ევროპასთან მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ამ საქმეში.¹

მე-19 საუკუნის ბოლო მესამედში ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია საბაზრო ეკონომიკის ზრდამ. ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩაერთნენ მანამდე იზოლირებული სოფლები. მზარდი კონტაქტი ქალაქებთან, სადაც მრავალი სხვადასხვა რელი-

¹ Jones, Stephen F. *Georgia: The Long Battle for Independence*. M. Rezum (ed.). *Nationalism and the Breakup of an Empire: Russia and its Periphery*. Praeger Press, Westport, 1992, p. 73-126.

გიისა და კულტურის ადამიანი ცხოვრობდა, განამტკიცებდა ქართველთა და სხვათა შორის განსხვავების განცდას. რუსეთის კოლონიურმა ადმინისტრაციამ, მშვიდობისა და მეტ-ნაკლებად უსაფრთხო არსებობის გარანტიით, ხელი შეუწყო როგორც იდენტობის ფორმირებას, ასევე ეთნიკურ კონფრონტაციას.¹

რუსი მმართველების მხრიდან სოციალური და კულტურული თავისებურებების ნიველირების მცდელობამ გამოიწვია არა ქართველებისა და კავკასიის სხვა ხალხების ასიმილაცია, არამედ ნაციათა ჩამოყალიბება. „ცენტრალიზებული რუსული ადმინისტრირების, აგრეთვე ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდის წყალობით საქართველო ხელახლა გაერთიანდა – ჯერ პოლიტიკურად, შემდეგ კი ეკონომიკურადაც... ტრადიციული ქართული ელიტის ბევრი წარმომადგენელი ცარიზმის მსახური გახდა... ყმების გათავისუფლებისა და მოქალაქეთა საშუალო კლასის (უმეტესად სომხების) გაძლიერების კვალობაზე, ქართველი დიდებულები, რომლებიც ეკონომიკური გამომწვევის პირისპირ აღმოჩნდნენ, ვეღარ ასრულებდნენ ერის წინამძღოლის ფუნქციას. გამომწვევაზე პასუხები ამ კლასის შუა ფენაში გაჩნდა – ეს იყო დასავლური ლიბერალიზმი, ნოსტალგიური ნაციონალიზმი და, ბოლოს, მარქსიზმი.“²

სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კონტაქტმა და კონფრონტაციამ ხელი შეუწყო ქართველი ერის ჩამოყალიბებას. ქალაქებში, სადაც თავს იყრიდა ქართველთა სულ უფრო მეტი რაოდენობა, სხვადასხვა კულტურის ხალხთან ურთიერთობის პროცესში „ქართველობა“ უფრო მკაფიოდ და გააზრებულად უნდა განსაზღვრულიყო. საქალაქო ცენტრების მრავალეთნიკურ და მრავალკულტურულ კონტექსტში დგინდებოდა და გადაისინჯებოდა საზღვრები ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ს. ჯონსის სიტყვით, მე-19 საუკუნემდე ქართული ელიტა მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური იყო და, როგორც რ. ბრუბეიკერი უწოდებდა, „ასიმილაციონისტური“ კულტურის გამოხატულებას წარმოადგენდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ელიტაში სახელმწიფოებრიობის ევროპული იდეა გავრცელდა. ეთნიკურობა მათი ყურადღების ცენტრში მოექცა. აქცენტმა „ეთნიკურ მემკვიდრეობაზე“ გადაინაცვლა, რამაც, ისევ რ. ბრუბეიკერის სიტყვით, „დიფერენციალისტური“

¹ Discourses of Collective Identity..., p. 122.

² Suny, Ronald G. დასახ. ნაშრ., გვ. 114.

კულტურა ჩამოაყალიბა და გაამწვავა დაპირისპირება ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ეთნიკურ ჯგუფებს შორის.¹

როგორც სტივენ ჯონსი აღნიშნავს, „ცარიზმმა საქართველოში დაამკვიდრა ის, რასაც ბენედიქტ ანდერსონი „ნაციონალიზმის გრამატიკას“ უწოდებს“². თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „ნაციონალიზმის გრამატიკის“ გაგება-გააზრებამდე შორი და რთული გზა იყო გასავლელი.

1.3.2. ინტელექტუალები და მათი როლი

ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიებში ინტელექტუალები მიიჩნევიან რაციონალურ აქტორებად, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბებაში, ხალხის შეკავშირებაში, ნაციის შემადგენელი ნაწილებისა და მისი საზღვრების დადგენაში. ინტელექტუალთა საქმიანობის მნიშვნელობის აღიარება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს სხვა სოციალური ფენების როლის უგულვებელყოფას ნაციონალური იდენტობის ფორმირებაში, რადგან მაშინ ძნელი ასახსნელი იქნება, თუ რატომ გახდა პოპულარული სწორედ ნაციონალიზმის, და არა რომელიმე სხვა, დოქტრინა კონკრეტულ სივრცესა და დროში. როგორც პ. ლორენცი აღნიშნავს, „მათ, ვინც ცდილობს ნაციონალური სენტიმენტების შექმნას, ნარმატების იმედი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეთ, თუ სახალხო რეზონანსის მქონე იდეებით ოპერირებენ“.³

მკვლევართა ნაწილი არ იზიარებს კონსტრუქტივისტთა მიერ ინტელექტუალების მოღვაწეობის შეფასებას „ტრადიციათა გამოგონების“ თვალსაზრისით და ხაზს უსვამს „ჩვეულებრივი“ ხალხის როლს, რომლებიც ინახავენ და გადასცემენ მითებს, ძველ მოთხრობებს, სიმღერებს. სწორედ ისინი ასრულებენ ნაციონალური იდენტოფიკაციის პროცესში „საშენი მასალის“ როლს.⁴ და მაინც, ინტელექტუ-

¹ Jones, Stephen. Georgia: Nationalism from under the Rubble. *After Independence. Making and Protecting the Nation in Postcolonial and Postcommunist States*. Ed. by Lowell W. Barrington. The University of Michigan Press. Ann Arbor, 2006, p. 254.

² ჯონსი, სტივენ. სოციალიზმი ქართულ ფერებში..., გვ. 24.

³ Lawrence, Paul. დასახ. ნაშრ., გვ. 722-723.

⁴ Motyl, Alexander J. Inventing Invention: The Limits of National Identity Formation. *Intellectuals and the Articulation of the Nation*. Ed. by Ronald Grigor Suny and Michael D. Kennedy. Ann Arbor: University of Michigan Press, 2001, p. 57-75.

ალები, რომლებიც, სეიმურ მარტინ ლიპსეტის (Seymour Martin Lipset) სიტყვით, ქმნიან, ავრცელებენ, იყენებენ კულტურას და სარგებლობენ უდიდესი გავლენითა და უდიდესი ავტონომიით თავიანთ საქმიანობაში, ქმნიან არა მხოლოდ თავად ნაციას, არამედ მთლიანად დისკურსს და მნიშვნელობებს, რომელთა ფარგლებში შეიძლება ნაციის ფორმირება.¹

ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ ინტელექტუალები ნაციისა და ნაციონალიზმის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე შემოქმედნი არიან, ჩვენი კვლევა ცქართველ და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ ინტელექტუალთა ნააზრევის ანალიზს ემყარება. სწორედ ისინი აყალიბებდნენ ნაციონალური იდენტობის იდეოლოგიას, ასრულებდნენ „წარმოსახვით სამუშაოს, რომელიც აერთიანებს განცალკევებულ კულტურული ელემენტებს, შერჩევით ისტორიულ მებსიერებებს, ინტერპრეტაციებს, ამავე დროს, გვერდზე გადადებდნენ არასახარბიელოსა და არაგმირულს.“²

მე-19 საუკუნის ნაციონალისტი ინტელექტუალებისათვის ნაცია იყო ბუნებრივი, კულტურულად უნიკალური ერთობა და კაცობრიობა ამ ბუნებრივი ერთობებისაგან შედგებოდა. ამ გაგებას ეფუძნებოდა მთელი რიგი პოლიტიკური იდეები: ნაცია ადამიანთა მთავარი ლოიალურობის წყაროა; პოლიტიკური ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს, რომელიც ორგანიზებულია „ნაციად“; ნაციას უფლება აქვს ფლობდეს „საკუთარ“ ტერიტორიას, რომელიც მისი სამშობლოა; ნაციები აღიარებული და ინსტიტუციონალიზებული უნდა იყვნენ მათ საკუთარ სახელმწიფოებში.

ორიოდე სიტყვა ქართული ინტელექტუალური ელიტის ფორმირების ხელშემწყობ კონკრეტულ ფაქტორებზე. როგორც წესი, იმპერიული ხელისუფლება, ერთი მხრივ, ქმნის პირობებს ადგილობრივი განათლებული ფენის ჩამოყალიბებისათვის, მეორე მხრივ კი აბრკოლებს მის გადაქცევას ეფექტიან ინტელექტუალურ ელი-

¹ Kennedy, Michael D. and Suny, Ronald G. Introduction. *Intellectuals and the Articulation of the Nation*. Ed. by Ronald Grigor Suny and Michael D. Kennedy. Ann Arbor: University of Michigan Press, 2001, p. 2-3.

² იქვე.

ტად.¹ პირველი თვალსაზრისით, ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებათაგან უნდა აღინიშნოს: 1848 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის შექმნა; ახალი სკოლების – დანყებითიდან პრო-გიმნაზიის ჩათვლით — დაარსება; 1849 წლიდან კავკასიელი სტუდენტებისათვის წელიწადში 160 რუბლის ოდენობის სტიპენდიის დაწესება რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლისათვის.² 1854 წელს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტი გარდაიქმნა ცალკე ფაკულტეტად, რომელზეც შეიქმნა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. ბიუროკრატიული ბარიერებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, გამოიკვეთა რამდენიმე გაზეთი, რომელთაგან უნდა აღინიშნოს: „საქართველოს გაზეთი“, შემდგომ – „ქართული გაზეთი“ (1819-1821), რომელიც რუსულად იწერებოდა და შემდეგ ქართულად ითარგმნებოდა; „ტფილისის უწყებანი“ (1828-1832) – რუსული „ტიფლისკიე ვედომოსტის“ ქართული თარგმანი; ქართული კალენდარი, რომელსაც 1838-1941 წლებში ყოველწლიურად ბეჭდავდა პლატონ იოსელიანი; „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ (გამოდიოდა 1838 წლიდან) ქართული თარგმანი (1845 წლიდან). საინტერესო და ნიშანობლივი იყო ჟურნალ „ცისკრის“ ბედი: იგი 1852 წელს დააარსა გიორგი ერისთავმა და ამ წლის 1 იანვრიდან 1853 წლის დეკემბრამდე გამოდიოდა მისი რედაქტორობით; მისი მეშვეობით ქართველი შედარებით ფართო მკითხველი პირველად გაეცნო ქართველ, რუს და ევროპელ მწერალთა ნაწარმოებებს. 1857 წელს ჟურნალის გამოცემა განაახლა ივანე კრესელიძემ, რომლის რედაქტორობით იგი 1875 წლამდე გამოდიოდა და დიდი როლი შეასრულა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. სწორედ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოჩნდნენ პირველად თერგდალეულთა პირველი თაობის წარმომადგენლები და 1861-1867 წლებში აქტიურად თანამშრომლობდნენ მასთან, რამაც განაახლა და გამოაცოცხლა ჟურნალი. მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ხელისუფლების ოფიციალურ ორგანოს წარმომადგენდა გაზეთი „კავკაზი“, თუმცა იქაც, ზოგჯერ (განსაკუთრებით – დამატებებში), ლიბერალური და დემოკრატიული შინაარსის წერილებიც იბეჭდებოდა. 1846 წელს დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, შემდეგ — რუსული

¹ Kennedy, Michael D., Suny, Ronald. G. დასახ. ნაშრ., გვ. 30.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.5, გვ. 817.

თეატრი, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოება, 1860 წელს — კავკასიის არქეოგრაფიული საზოგადოება.

რონალდ გ. სუნი „ქართული ნაციონალური ინტელიგენციის“ პირველ წარმომადგენლებად რომანტიკოსებს მიიჩნევს, რომელთა ეროვნული მისწრაფებები 1832 წლის ანტიცარისტული შეთქმულების მარცხმა დაასამარა¹. ამის შემდეგ ისინი ბედს შეურიგდნენ და იმპერიის სამსახურში ჩადგნენ. მათი შემდგომი შემოქმედება უიმედობასა და დაბნეულობას ასახავდა, ძირითადად, ბრწყინვალე წარსულის იდეალიზაციითა და დაკარგულ დიდებაზე დარდით შემოიფარგლებოდა. ქართული რომანტიზმის უკანასკნელი, უბრწყინვალესი წარმომადგენელი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზმის დამამკვიდრებლად და ქართული ნაციონალიზმის წინამორბედად მიიჩნევა, 1845 წელს სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა.

1845 წელს საქართველოში მთავარმართებელი მიხეილ ვორონცოვი ჩამოვიდა და კავკასიაში ახალი პოლიტიკის განხორციელება დაიწყო, რომელიც 70-იან წლებამდე გრძელდებოდა. ვორონცოვმა, თანამედროვეთა სიტყვით, „ქართულ სულს აზიური ჟანგი ჩამოაშორა“².

როგორც მკვლევართა ნაწილი აღნიშნავს, ინტელექტუალებმა, მნიშვნელოვანწილად, „გამოიგონეს“ თანამედროვე ნაციონალიზმი მე-19 საუკუნეში. „ამ თვალსაზრისით, ნაციონალიზმი ფილოლოგების, ისტორიკოსების, პოეტების, მწერლებისა და ჟურნალისტების კულტურული ინტერვენციის პროდუქტია“³. ჩვენი კვლევა ქართველი და საქართველოს სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი მწერლების, პოეტების, ჟურნალისტების, აგრეთვე ქართველი ისტორიკოსების მიერ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში შექმნილი იმ ტექსტების შესწავლას ისახავს მიზნად, რომლებიც მათსავე მიერ დაარსებულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა და რომლებიც, ჩვენი აზრით, იდენტობის ნარატივებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ნაციონალიზმის თეორეტიკოსთა აზრით, ერები ნაციონალიზმის შემდეგ ჩნდებიან, ეროვნული სახელმწიფოებისა და ნაციონალიზმის

¹ Suny, Ronald G. დასახ. ნაშრ., გვ. 24.

² ჯონსი, სტივენ. სოციალიზმი ქართულ ფერებში..., გვ. 50.

³ Suny, Ronald G. დასახ. ნაშრ., გვ. 123.

შექმნის შედეგად და არა პირიქით.¹ ამ თეორიების გაჩენამდე დიდი ხნით ადრე მასიმო დ'აზელიომ (Massimo d'Azeglio) თავის ცნობილ სიტყვაში თქვა: „ჩვენ შევქმენით იტალია, ახლა ჩვენ იტალიელები უნდა შევქმნათ“²; მისი ეს სიტყვები ნაციისა და ნაციონალიზმის მკვლევართა მიერ ხშირად არის ციტირებული. ენტონი სმითის სიტყვით, ნაციონალისტური მოძრაობა იწყება არა საპროტესტო შეკრებით, დეკლარაციით ან შეიარაღებული გამოსვლით, არამედ ლიტერატურული საზოგადოებების შექმნით, ჯჟურნალების გამოცემით და ა. შ.³

სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობდა საქართველოში მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, როცა ასპარეზზე თერგდალეულები გამოვიდნენ. ისევე როგორც სხვაგან, აქაც ისტორიკოსები, ფილოლოგები, ხელოვანნი აარსებდნენ ლიტერატურულ და ენის საზოგადოებებს, თეატრებსა და საგამომცემლო სახლებს, გუნდებსა და სპორტულ საზოგადოებებს თავიანთი ნაციების „ასალორძინებლად“, მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯები ნაციის იდენტიფიკაციის (ანუ, როგორც თავად უწოდებდნენ, „თვითცნობის“⁴), დროსა და სივრცეში მისი ჩამოყალიბების, კულტურული და პოლიტიკური წარმომადგენლობითი ორგანიზაციების შექმნისა და ხალხის შემოკრება-გაერთიანების გზაზე.⁵

1.3.3. თერგდალეულები

1860-იან წლების დასაწყისში რუსეთის უნივერსიტეტებიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდობამ ქართველ მკითხველ საზოგადოებას ევროპელი და რუსი მოაზროვნეების ახალი პოლიტიკური და კულტურული იდეები გააცნო. „თერგდალეულებად“ წოდებულმა 1860-იანი წლების ახალგაზრდებმა „ახალი ქართული თვითშეგნების ძიებაში თავდაყირა დააყენეს არისტოკრატიული პატრიოტიზმის ძველი სამყა-

¹ ჰობსბაუმი, ერიკ. დასახ. ნაშრ., გვ. 18.

² იქვე, გვ. 63.

³ სმითი, ენტონი დ. *ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია*. ინგლისურიდან თარგმნა მ. ჩხარტიშვილმა. თბილისი, „არტანუჯი“, 2004, გვ. 28.

⁴ ვაჟა-ფშაველა. წერილი რედაქციის მიმართ. *თხზულებანი*. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1986, გვ. 636.

⁵ Hutchinson, John. *Cultural Nationalism. The Oxford Handbook of the History of Nationalism*. Ed. by John Breuilly. Oxford University Press, 2013, p. 77.

რო, შემოიტანეს ნაციონალიზმის, თანასწორი უფლებების, რეალიზმის, მეცნიერული პროგრესის ახალი ცნებები.¹

გაზეთებიდან, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ეროვნული იდენტობის ფორმირებაში, უნდა აღინიშნოს „საქართველოს მოამბე“ (1863 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით მისი 12 ნომერი გამოვიდა), „ივერია“ (1877-1906), რომელიც ჯერ ყოველთვიური ჟურნალის, შემდეგ კი ყოველდღიური გაზეთის სახით გამოდიოდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით, „დროება“ (1866-1885, რედაქტორები გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი), ნიკო ნიკოლაძის „ობზორი“ (1878-1880), „კვალი“ (1893-1904), „ცნობის ფურცელი“ (1896-1906) და სხვ. გამოიცემოდა დარგობრივი (სასოფლო-სამეურნეო, ლიტერატურული, სახელოვნებო) პერიოდული ორგანოებიც.

დიდი ყურადღება ექცეოდა ქართული წიგნის ბეჭდვას. 1851-1867 წლებში დაიბეჭდა იმაზე მეტი ქართული წიგნი, რაც წინა 50 წლის მანძილზე, მომდევნო წლებში ეს რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა.² იქმნებოდა საგამომცემლო ამხანაგობები, საზოგადოებები, ფართოდებოდა მკითხველთა წრე. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო ქართულ სახელმძღვანელოთა გამოცემა, აგრეთვე ქართული ლიტერატურის კლასიკური ძეგლებისა და უცხოური კლასიკის თარგმანების გამოქვეყნება. წიგნების ძირითადი ნაწილი თბილისში იბეჭდებოდა, თუმცა ისინი ქუთაისსა და სხვა ქალაქებშიც გამოიცემოდა.

საგამომცემლო საქმიანობა სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდებოდა. პერიოდული გამოცემები ხან ხელმომწერთა სიმცირის გამო იხურებოდა, ხან – ცენზურის მიერ, რომელიც, იმდროინდელ მოღვაწეთა სიტყვით, პეტერბურგის ცენზურასთან შედარებით ჯოჯოხეთური იყო. თუმცა, როგორც ს. ჯონსი აღნიშნავს, ცენზურაგავლილი მასალის არცთუ მცირე ნაწილი მაინც იბეჭდებოდა.³

1865 წელს აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლად არჩეულმა დიმიტრი ყიფიანმა საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა წამოაყენა. კამათი ბანკის საკითხზე დიდხანს გაგრძელდა. მისი წესდების შემუშავებაში, რომელიც 1874 წელს დამტკიცდა, აქტიურად მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძე. 1875 წელს

¹ ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში...*, გვ. 52.

² *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. 5, გვ. 813.

³ ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში...*, გვ. 52.

ამოქმედდა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, ერთი წლის შემდეგ — ქუთაისის ბანკი.¹ მათი მოგების ნაწილი კულტურული და საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებას ხმარდებოდა. ამ ბანკებმა სოლიდური თანხები გაიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული დრამატული საზოგადოების, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიისა და მისი შენობის, სკოლების, ქალთა სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის საზოგადოების, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის, უცხოეთში მოსწავლე ქართველი სტუდენტების დაფინანსების, ისტორიული ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოებისა და სხვა მსგავსი საქმეებისათვის. თბილისის ბანკმა ამ მიმართულებით 30 წლის მანძილზე 1 944 136, ხოლო ქუთაისის ბანკმა — 1 058 000 მანეთი დახარჯა.²

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში არსებულ დაწყებით სასწავლებლებში, გიმნაზიებსა და სემინარიებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, თუმცა ქართული ენის და ზოგი სხვა საგნის ქართულად სწავლება არ იკრძალებოდა. 1867 წლის დებულებით, სკოლებში რუსული ენის სწავლება გაფართოვდა, შემოღებულ იქნა ქართული ენის სწავლებაც, თუმცა არაქართველი მოსწავლეებისათვის ეს სავალდებულო არ იყო. 1873 წლის დებულებით, ქართული ენა საშუალო სასწავლებლების პროგიმნაზიურ კლასებში დატოვეს არასავალდებულო საგნის სახით. მაგრამ 1881 წლიდან ვითარება შეიცვალა.³ ამ წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ შეადგინა ახალი სასწავლო გეგმა და ცირკულარი, რომელთა მიხედვით, ყველა ტიპის სკოლებში დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება, რომელსაც საფუძვლად დაედანა არ უნდა სდებოდა და ე.წ. „მუნჯური მეთოდის“ გამოყენებას უნდა დაფუძნებოდა. ქართულ ენას, როგორც არასავალდებულო საგანს, პირველ და, ნაწილობრივ, მეორე კლასებში ეთმობოდა უმნიშვნელო რაოდენობის საათები. „მუნჯური მეთოდის“ დანერგვას თანახლდა სკოლებიდან ქართველი მასწავლებლების გამოდევნის პროცესი. 1883 წლიდან, განათლების მინისტრ დელიანოვის ინსტრუქციის თანახმად, „სეპარატიზმში შენიშნული“ ქართველები და სომხები დაშ-

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, გვ. 358.

² იქვე, გვ. 663.

³ იქვე, გვ. 815.

ვებული არ უნდა ყოფილიყვნენ სახელმწიფო სამსახურში. საუკეთესო ქართველი და სომეხი პედაგოგების დიდი ნაწილი სკოლებს ჩამოაშორეს. იანოვსკის მიერ 1885 წელს გამოქვეყნებული ცირკულარით, ქართული ენა სავსებით განიდევნა სკოლიდან. დედაენის სწავლება ოფიციალურად საოჯახო საქმედ გამოცხადდა. რუსი მოხელეები წინადადებას იძლეოდნენ, სამეგრელოს, სვანეთის და აჭარის სკოლებში, ქართულის ნაცვლად, სწავლება მეგრულად, სვანურად და თურქულად წარემართათ და რუსული ენა მათ საფუძველზე ესწავლებინათ.¹

ეს იყო სერიოზული გამოწვევა, რომელთანაც მხოლოდ სიტყვით დაპირისპირება შედეგს ვერ მოიტანდა. ქართველი ინტელექტუალები იწყებენ თანმიმდევრულ და გააზრებულ მუშაობას მშობლიურ ენაზე განათლების გასავრცელებლად. 1879 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მისი შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი იყო. საზოგადოება მიზნად ისახავდა წერა-კითხვის გავრცელებას ყველგან კავკასიაში, სადაც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა; იგი აარსებდა სკოლებს, ხელს უწყობდა უკვე არსებულ სასწავლებლებს, ხსნიდა სამკითხველოებს, ზრუნავდა პედაგოგიური კადრების მომზადებაზე, ქართულ ხელნაწერთა, ფოლკლორული და ნუმისმატიკური მასალების შეკრებაზე, ბეჭდავდა სახელმძღვანელოებს, ისტორიულ და ლიტერატურულ ტექსტებს. ქართულ ხელნაწერთა და უნიკალური ბეჭდური გამოცემების დასაცავად საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ბიბლიოთეკა. ყველაფერი ეს სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის, თავად წევრებიდან, სათავადაზნაურო ბანკებიდან და სხვ. მიღებული ფულადი სახსრების მეშვეობით კეთდებოდა. კერძო პირები უსასყიდლოდ გადასცემდნენ საზოგადოებას ხელნაწერი და ბეჭდური წიგნების კოლექციებს.²

1880-1890-იან წლებში რამდენიმე სკოლა დაარსდა. 1880 წელს თბილისში საზეიმოდ გაიხსნა პირველი დაწყებითი სკოლა, რომელმაც ერთი წელი იარსება. ბანკის სახსრებით გაიხსნა ქუთაისის ქართული სკოლა, შემდეგ კი მისი განყოფილება ძველ სენაკში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო სკოლების გახსნა ახლად შემოერთებულ აჭარაში. გამგეობის დავალებით, დიმიტრი ბაქრაძემ ბათუმში სახლი დაიქირავა და 1881 წელს

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.5, გვ. 644-645.

² იქვე, გვ. 655-656.

სკოლა საზეიმოდ გაიხსნა. 1882-1888 წლებში სკოლები გაიხსნა წინარეხში, ხელთუბანში, თიანეთში, გომარეთში. 1888 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ქართველებისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მზრუნველობით, მოხერხდა კავკავის ქართული სკოლის გახსნა.¹ ყოველივე ეს თანმიმდევრული მუშაობისა და დიდი ძალისხმევის გზით იყო მიღწეული.

1876 წელს გამოიცა იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, რომელიც ქართული იდენტობის ერთ-ერთ ძირითად საყრდენ წერტილად იქცა. 1912 წლამდე „დედაენა“ 32-ჯერ გამოიცა და, როგორც უწოდებენ, ქართული ნაციონალური იდენტობის ანბანად იქცა. გოგებაშვილისავე „ბუნების კართან“ და „რუსკოე სლოვოსთან“ ერთად, იგი ქართული საგანმანათლებლო სისტემის საფუძვლად მოგვევლინა. იაკობ გოგებაშვილმა საპროტესტო განცხადებით მიმართა კავკასიის საცენზურო კომიტეტს იმის გამო, რომ „ბუნების კარში“ შეტანილი „საქართველოს მოკლე გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღწერიდან“ 1885 წელს ცენზორმა ყველგან ამოშალა სიტყვა „საქართველო“ და იგი „ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიით“ ან „ქართლ-კახეთით“ და „იმერეთით“ ჩაანაცვლა.² ამგვარი ბრძოლა, ფაქტობრივად, ყოველდღიურ ხასიათს ატარებდა.

თერგდალეულები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველებში განათლებისადმი ინტერესის გაღვივებას. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ქართველობა ნაკლებად ისწრაფვოდა სკოლებისკენ და წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობით ჩამორჩებოდა სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს. იგი ცდილობდა, დაესაბუთებინა სწავლა-განათლების მნიშვნელობა და მაგალითის სახით იმ ხალხებს ასახელებდა, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ შვილებისათვის განათლების მისაცემად.³

კიდევ ერთი სფერო, რომლის მნიშვნელობა სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული ქართველ მოღვაწეებს, თეატრი გახლდათ. „ეგ ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს“; „ერთი

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.5, გვ. 657-658.

² იქვე, გვ. 664.

³ ჭავჭავაძე, ილია. ისევ განათლების საკითხებზე. თბზულებანი, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1964, გვ. 628; სიტყვა ილია ჭავჭავაძისა გლეხობისადმი მიმართული სოფელ წინამძღვრიანთკარში სამეურნეო სასწავლებლის დაარსების დროს. იქვე, გვ. 920-924.

საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა... [იგი] უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა“, წერდა ილია ჭავჭავაძე „შინაურ მიმოხილვაში“ 1879 წელს.¹ ჯერ კიდევ 1850 წლის 2 (14) იანვარს თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში, სცენისმოყვარულთა ძალებით, გიორგი ერისთავის „გაყრა“ დაიდგა, მისივე რეჟისორობით და მონაწილეობით. 1880-იანი წლებიდან დღემდე ეს თარიღი ქართული თეატრის დღედ აღინიშნება. 1851 წელს თბილისში მუშაობა დაიწყო გიორგი ერისთავის მიერ ჩამოყალიბებულმა პირველმა პროფესიულმა ქართულმა დასმა. იდგმებოდა ქართული ორიგინალური, აგრეთვე თარგმნილი და ქართულად გადმოკეთებული პიესები. თავდაპირველად მთავრობამ თეატრს ყოველწლიური ფულადი დახმარება დაუნიშნა, მაგრამ მალე აღმოაჩინა, რომ თეატრი ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი არ იყო და მისი შევიწროება დაიწყო. 1854 წელს გიორგი ერისთავი თეატრიდან წავიდა, ხოლო 1856 წელს თეატრი დაიხურა. მის აღდგენას ორ ათეულ წელზე მეტი დაჭირდა.

1880 წელს ჩამოყალიბდა ქართული დრამატული საზოგადოება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაში. საზოგადოება სათავეში ჩაუდგა ქართველ სცენისმოყვარულთა მიერ წინა წელს დაარსებულ „მუდმივ დასს“, რომელიც აერთიანებდა ცნობილ მსახიობებს მ. საფაროვას, ვ. აბაშიძეს, ლ. მესხიშვილს და სხვებს. საზოგადოების დამსახურება იყო ქართული დრამატული მწერლობის გამდიდრება ახალი ორიგინალური პიესებით, აგრეთვე ევროპული და რუსული დრამატურგიის გამორჩეული ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნა და მათი დამკვიდრება თეატრის რეპერტუარში. ეს იყო გიორგი ერისთავის მიერ თავის დროზე დაარსებული და შემდგომში დახურული ქართული თეატრის ხელახალი გაცოცხლება, რაშიც დიდი როლი შეასრულა გიორგი ერისთავის ვაჟმა დავით ერისთავმა. მან გადმოაქართულა ფრანგი დრამატურგის სარდუს „სამშობლო“, რომლის დადგმამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქართველ მაყურებელში. ამას მოჰყვა კატკოვის ცნობილი წერილი „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ და ქართველი მოღვაწეების (ილია ჭავჭავაძე,

¹ ჭავჭავაძე, ილია. შინაური მიმოხილვა (1879 წ. თებერვალი). თხზულებანი, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1964, გვ. 818-820.

აკაკი წერეთელი, გაზეთი „დროება“) არანაკლებ ცნობილი პასუხები. 1890 წელს დაიდგა აკაკი წერეთლის „პატარა კახი“, რომელშიც პატრიოტული სულისკვეთება სრულიად დაუფარავად იყო გამოხატული პატარა კახის მონოდებაში: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

1885-1890 წლებში გამოდიოდა გაზეთი „თეატრი“, რომელიც ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საშუალებად იქცა.¹ 1880 წელს დაიწყო და 1896 წელს დამთავრდა ე.წ. სახაზინო – ახლანდელი ოპერის – თეატრის მშენებლობა.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან საფუძველი ჩაეყარა ქართული ფოლკლორის თავმოყრასა და შესწავლას — ჯერ მოყვარულთა, შემდეგ პროფესიონალთა დონეზე. 1885 წელს ლადო აღნიაშვილმა შექმნა ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი პირველი გუნდი, რომელიც შემდგომ ცნობილი გახდა სახელით „ქართული ხორო“; მას სათავეში ჩაუდგა იმ დროისათვის თბილისში ოპერის სოლისტად ჩამოსული ჩეხი მომღერალი და ლოტბარი იოსებ რატილი (ნავრატილი). გუნდის პირველი კონცერტი გაიმართა 1886 წელს ქართულ თეატრში. 1890 წელს რატილმა ცალკე გუნდი შექმნა. იგი იწერდა და ამუშავებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს. 1890 წელს გამოიცა ლადო აღნიაშვილის მიერ შეკრებილი ხალხური ზღაპრები. 1894-1896 წლებში ლ. აღნიაშვილმა იმოგზაურა ირანში, იქაური ქართველების ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებათა შესასწავლად და 1896 წელს ჟურნალ „მოამბეში“ გამოაქვეყნა „მგზავრის წერილები“ წიგნიდან „სპარსეთი და იქაური ქართველები“. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ია კარგარეთელმა გამოაქვეყნა ქართული ხალხური სიმღერების სანოტო კრებული, აგრეთვე მის მიერ შეკრებილი ქართული პოეტური ფოლკლორის ნიმუშები. 1910 წელს მანვე დააარსა ქართული საგუნდო საზოგადოება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ინტელექტუალთა საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა განათლებისა და კულტურის სფეროებით. ისინი ცდილობდნენ წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობას და თავადაც იყვნენ ჩაბმული ამ საქმიანობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა: მან ჩამოაყალიბა ტყიბუ-

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.5, გვ. 659, 662.

ლის ქვანახშირის მწარმოებელთა ამხანაგობა, ხელმძღვანელობდა ჭიათურის მანგანუმის მოპოვების საქმეს, გაიყვანა ჭიათურა-შორაპნის სარკინიგზო ტოტი და მოაგვარა გადაზიდვის პრობლემა. ნიკო ნიკოლაძე ერთადერთი არ იყო, ვინც ამ მიმართულებით საქმიანობდა.

ილია ჭავჭავაძე თერგდალეულების მთავარი ფიგურა იყო. სწორედ მისი დამსახურებაა იმ დროს ჩამოყალიბებული ნაციონალური პროექტის კონტურების, მთავარი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა. ილიასა და თერგდალეულთა პირველი თაობის საქმიანობა ზუსტად თავსდება მიროსლავ ჰროხის მიერ განსაზღვრულ ნაციონალიზმის პირველი საფეხურის ფარგლებში: ეს იყო ბრძოლა კულტურული იდენტობისათვის, ენის გარდაქმნისა და ნაციონალური ისტორიის მიმართ ინტერესის გაღვიძებისთვის.

1861 წელს, პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, ილიამ თავისი მოღვაწეობა ენის საკითხით დაიწყო, რასაც „მამათა“ თაობასთან მწვავე დაპირისპირება მოჰყვა. „ენის კანონმდებელი არის არა „ანბანთ თეორეტიკა“ (იგულისხმებოდა ანტონ კათალიკოსის თხზულება, რომელმაც განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის პრინციპები – ნ.ჩ.), არამედ ხალხი“, – ამ პრინციპით დაიწყო მუშაობა მძიმე, საეკლესიო ენის საყოველთაოდ მისაწვდომი ენით შესაცვლელად. ერთ-ერთ არგუმენტად ევროპის გამოცდილებაც იყო მოშველიებული: „შემსუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანისა განა ცოტა საქმეა? ... ახლა მთელი ევროპა ცდილობს ყველაფრის გამარტივებას, გაადვილებას და, სხვათა შორის, ანბანისა და მართლწერისაც“¹. „სამი სტილის“ სისტემაზე დამყარებული სისტემის ნაცვლად, რომლის თანახმად, ლიტერატურა „მაღალი სტილით“ უნდა დაწერილიყო, შემოთავაზებულ იქნა ახალი, დემოკრატიული, ყველასთვის მისაწვდომი ლიტერატურული ენა, რომლის სტანდარტიზაცია ქართული ჟურნალ-გაზეთების („ივერია“, „მაცნე“ და სხვ.) მეშვეობით მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ თერგდალეულთა შორისაც არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ენასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე, ისინი თანხმდებოდნენ ენის, როგორც იდენტობის ერთ-ერთი

¹ ჭავჭავაძე, ილია. შინაური მიმოხილვა, მარტი 1881. თხზულებები 5 ტომად, ტ. 5, თბილისი, 1987.

ძირითადი მსაზღვრელის და საზოგადოების კონსოლიდაციისათვის მისი მნიშვნელობის თაობაზე. გარდა ამისა, როგორც იაკობ გოგებაშვილი ამბობდა, მშობლიური ენის სწავლა ბავშვს ხალხის სულსა და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიასთან აკავშირებდა.

იდეოლოგიის პრობლემის მნიშვნელობა ილიამ შემდეგნაირად განსაზღვრა: „დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისგან“. „ვინა ვართ და რანი ვართ?“¹ – ასე ჩამოაყალიბა ილიამ კითხვა, რომელზე პასუხი ისტორიას უნდა გაეცა. 1888 წელს იგი წერდა: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, განყალბება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს... წარსული მკვიდრი საძირკველია ანმყოფი, როგორც ანმყოფი – მომავლისა. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძენისაგან, რომ ანმყოფი, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო... რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშინ დავვივიწყებ ჩვენი ცხოვრების საძირკველიც, და თუ ასეა – რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი ანმყოფი, ჩვენი მერმისი?“² ილიას აზრით, არც საერთო ენა, არც საერთო რწმენა და წარმომავლობა ისე არ აკავშირებს და აერთიანებს ხალხს, როგორც საერთო ისტორია.³

თერგდალეულები სხვა ხალხების გამოცდილებას იშველიებდნენ და ცდილობდნენ, კონკრეტული მაგალითებით გაემყარებინათ საკუთარი პოზიცია. „ეს მნიშვნელობა ისტორიისა ერის გამოცოცხლებისათვის კარგად იცოდნენ თავის ერის გულშემატკივართა სხვა ქვეყნებში... გამოღვიძება ერისა უგემურის ძილისაგან ყველგან აქედამ დაიწყო და ამ გზით გამოფხიზლებულ ერის კეთილდღეობასა და ხელახლად აღორძინებას დღეს ბევრგან ჩვენის თვალთ ვხედავთ“⁴. 1894 წელს ნიკო ნიკოლაძე სტატიის „კომუტი და დეაკი“ უნგრეთის გამათავისუფლებელ მოძრაობას აანალიზებდა და საქართველოსათვის სასურველ მაგალითად ფერენც დეაკის გზას მიიჩნევდა.⁵

¹ ჭავჭავაძე, ილია. შინაური მიმოხილვა, მარტი 1881. *თხზულებები 5 ტომად*, ტ. 5, თბილისი, 1987, გვ. 153.

² ჭავჭავაძე, ილია. ერი და ისტორია. *თხზულებები 5 ტომად*, ტ. 4, თბილისი, 1987, გვ. 165-168.

³ იქვე, გვ. 165.

⁴ იქვე, გვ. 168.

⁵ ნიკოლაძე, ნიკო. კომუტი და დეაკი. *თხზულებები*, ტ. 9, თბილისი, 2006.

აღსანიშნავია, რომ თერგდალეულთა ინტერესი ისტორიისადმი, რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, წარსულზე კი არა, მომავალზე ფიქრით განისაზღვრებოდა. „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ვდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი. ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“,¹ წერდა ილია. „ძველი დრო გათავდა. ვინცებთ ახალ ცხოვრებას, ახალ ისტორიულ პერიოდს. ეს პერიოდი უნდა იყოს ჩვენი თავისთავადობისა და დამოუკიდებლობისაკენ დაბრუნება... ადამიანმა წარსულს პატივი უნდა სცეს... ისტორია არის დიდი გაკვეთილი, მაგრამ ეს იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ ხალხმა წარსულით იცხოვროს. ეს შეუძლებელია და დამლუპველი, რაც მთავარია, ანტიბუნებრივი... ცოცხალი ადამიანები არქეოლოგიასაც მომავალი განვითარების ინტერესებისთვის იყენებენ და არა წარსულის კერპთაყვანისმცემლობისთვის“,² წერდა ნიკო ნიკოლაძე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი: თერგდალეულები აღნიშნავდნენ ყველა ეთნიკური ჯგუფისა და რელიგიური აღმსარებლობის პატივისცემის ფაქტს საქართველოს ისტორიის ყველაზე წარმატებულ პერიოდებში. 1905 წელს ვაჟა-ფშაველამ გამოაქვეყნა სტატია „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომელშიც წერდა: „გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვანე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მონინავე ერებს.“³

თერგდალეულებს დაპირისპირება უხდებოდათ საქართველოს მომავლის მიმართ ნიჰილისტურად განწყობილ თანამემამულეებთან. ამ თვალსაზრისითაც, შეიძლება დავინახოთ პარალელი ევროპაში მიმდინარე პროცესებთან, სადაც, როგორც ერიკ ჰობსბაუმი აღნიშნავს, ლიბერალური ნაციონალიზმის კლასიკურ პერიოდში, დაახლოებით 1830-1880 წლებში, ინტელექტუალთა ნაწილი, მათ შორის ისინი, ვინც ნაციონალური ლიბერალიზმის მონინაალმდევე არ ყოფილა, თვლიდა, რომ ზოგ მცირე ნაციონალობას და ენას არ ჰქონდა მომავალი და, რომ მცირე და მეორეხარისხოვანი ეროვნებებისათვის დიდ სახელ-

¹ ჭავჭავაძე, ილია. *ლექსები და მოთხრობები*. თბილისი, 1959, გვ. 7.

² ბაქრაძე, აკაკი. *ნიკო ნიკოლაძე*. თბილისი, 1989, გვ. 175-178.

³ ვაჟა-ფშაველა. *კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი. თხზულებები*. თბილისი, 1986, გვ. 41.

მნიფოებთან შეერთება მხოლოდ სასიკეთო იყო, რადგან ამით ისინი თავიანთ წვლილს შეიტანდნენ კაცობრიობის განვითარებაში.¹ თვით მცირე ეროვნებათა წარმომადგენლებს შორისაც იყვნენ ისეთები, ვინც დიდ ეროვნებასთან საკუთარ ინტეგრაციას პოზიტიურად აფასებდნენ ან, როგორც მაშინ იტყოდნენ, პროგრესის კანონებს აღიარებდნენ, ან შეგუებული იყვნენ, დაეთმთ ის საკუთარი, რაც, მათი აზრით, თანამედროვეობას აღარ შეესაბამებოდა. მაგალითად, უელსური ენის მხარდამჭერებმა მე-19 საუკუნის უელსში მშობლიური ენის ვარგისიანობა თანამედროვე სამყაროში საეჭვოდ მიიჩნიეს და ბილინგვიზმის აუცილებლობა და უპირატესობა აღიარეს. „დაე მოკვდეს იგი (უელსური ენა) კეთილშობილურად, მშვიდობიანად და ღირსეულად, ჩვენგან ცოტაოდენი თუ ისურვებს მისი ევთანაზიის გადადებას. ვერანაირი მსხვერპლი, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს იგი, მის აღსასრულს ვერ შეაჩერებს“, ამბობდა ერთ-ერთი მათგანი.² ორმოცი წლის შემდეგ მცირე ერის კიდევ ერთი წევრი, წარმოშობით ჩეხი, სოციალისტი თეორეტიკოსი კარლ კაუცკი ამბობდა: „ეროვნული ენები სულ უფრო მეტად ექცვიან შინაური გამოყენების საზღვრებში და იქაც მათ ხმარობენ, როგორც ოჯახის ძველ, ანდერძით დატოვებულ ავეჯს, რომელსაც მონინებით ვეპყრობით, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული გამოყენებისათვის თითქმის გამოუსადეგარია“.³

საქართველოში ასეთივე პოზიციაზე იდგნენ, მაგალითად, გიორგი მუხრანბატონი და ივანე ჯაბადარი. პირველი მათგანი რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი სახელმწიფო მოხელე იყო. 1872 წელს მან თბილისში გამოაქვეყნა წიგნი „ეროვნულ ინდივიდუალობათა არსისა და დიდ სახალხო ერთეულთა საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის პროგრესი გულისხმობდა მცირე ერების მოსპობას, დიდი ხალხების გაბატონებას და დიდი მოცულობის „სახალხო ორგანიზმების“ შექმნის აუცილებლობას. მისი აზრით, პატარა ხალხებს არ შეეძლოთ სრულყოფილი სახელმწიფო ერთეულების შექმნა, ამიტომ მსხვილ ეროვნულ ერთეულებში უნდა გათქვეფილიყვნენ. მუხრანბატონი თვლიდა, რომ მცირერიცხოვანი ერების ენებს საგანმანათლებლო მნიშვნელობა არ ჰქონდათ, მათ

¹ ჰობსბაუმი, ერიკ. დასახ. ნაშრ., გვ. 49.

² იქვე, გვ. 51.

³ იქვე, გვ. 51.

მარადიული ჩამორჩენილობა ელოდათ, თუ არ დაივიწყებდნენ მშობ-
ლიურ ენას და არ ამეტყველდებოდნენ მრავალრიცხოვანი ხალხების
ენებზე. მცირე ხალხების მისწრაფება ინდივიდუალური არსებობის
შენარჩუნებისაკენ მუხრანბატონს არამარტო უიმედოდ, არამედ მავ-
ნედაც მიაჩნდა.¹

ივანე ჯავახიანი ქართველი რევოლუციონერ-ნაროდნიკი იყო. 1889 წელს პეტერბურგში გამომავალ ჟურნალში „სევერნი ვესტნიკ“ გამოაქვეყნა „წერილები საქართველოზე“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ქართული კულტურა სპარსულის ანარეკლი და აჩრდილი იყო და ქართველ ხალხს არ შეუქმნია რაიმე ორიგინალური და თავისთავადი.²

ე. ჰობსბაუმის შეფასებით, ამ თვალსაზრისში შოვინისტური არაფერი იყო, იგი სულაც არ ყოფილა მტრულად განწყობილი ენისა და კულტურის მიმართ. იმ დროისათვის ეს პროგრესის კანონებისადმი კოლექტიურ მსხვერპლად აღიქმებოდა.³ სწორედ იგივეს აღნიშნავდა აკაკი ბაქრაძე ქართველ ნიჰილისტებთან დაკავშირებით: „ყველაზე უფრო მტკივნეული ის იყო, რომ ნიჰილისტები არ ყოფილან ქართველი ხალხის მტრები. მათ უყვარდათ საქართველო, მაგრამ არ სწამდათ მისი ეროვნული ენერჯია.“⁴

შეიძლება ითქვას, რომ თერგდალეულების საქმიანობამ ხელი შეუწყო ქართული საზოგადოების კონსოლიდაციას, რომელსაც ორი განზომილება ჰქონდა – ჰორიზონტალური და ვერტიკალური. ჰორი-
ზონტალური მნიშვნელობით, აქ იგულისხმება ქვეყნის ცალკეული ნაწილების გაერთიანება საერთო სახელით „საქართველო“ (თუმცა ოფიციალურად ეს სახელი არსად ფიგურირებდა), ვერტიკალური მნიშვნელობით – სხვადასხვა სოციალურმა ფენამ და წოდებამ გააც-
ნობიერა თავიანთი საერთო ქართული იდენტობა, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე კლასობრივი იდენტობა.⁵ თერგდა-
ლეულებმა სათავე დაუდეს ქართულ ნაციონალურ პროექტს და წარ-

¹ ბაქრაძე, აკაკი. მეცხრამეტე საუკუნე. *თხზულებანი*, ტ.2, თბილისი, გამომც. ნეკერი-ლომისი, 2004, გვ. 505-506.

² იქვე, გვ. 506.

³ ჰობსბაუმი, ე. დასახ. ნაშრ., გვ. 51.

⁴ ბაქრაძე, აკაკი. მეცხრამეტე საუკუნე, გვ. 505-506.

⁵ Gigineishvili, Levan. Post- reform History Textbooks in Georgia: Changing Patterns and the Issue of Minorities in Georgian History. *History Teaching in Georgia: Representation of Minorities in Georgian History Textbooks*. CIMERA. Geneva, 2007, p. 8-9.

სულის, როგორც საერთო იდენტობის საფუძვლის, გააზრებით იდეური ნიადაგი შეუმზადეს მეცნიერული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბებას. როგორც ს. ჯონსი აღნიშნავს, „თერგდალეულებმა ... გარდაქმნეს თავიანთი სამშობლოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება და, სერგი მესხის სიტყვებით რომ ვთქვათ, შეარყიეს ქართველი ინტელექტუალების „გაქვავებული და ობდაკრული არსებობა“.¹

1.3.4. მეცნიერული ისტორიოგრაფიის/საისტორიო დიდი ნარატივის ჩამოყალიბება

ნარსულის კონსტრუირება ნაციონალურ ისტორიებად ახალ დროში გაჩნდა. ჩაანაცვლეს რა ნარსულის მორალური, ფილოსოფიური და რელიგიური ხედვა, ნაციონალისტებმა შეიმუშავეს ნაციონალისტური განვითარების ახლებური ხედვა. ისტორია – რეალური თუ წარმოსახვითი – განსაზღვრავს ნაციონალურ იდენტობას და ფასეულობებს. ნაციონალური მოძრაობები ყალიბდება საერთო ნარსულის გარშემო, რომელიც აერთიანებს ხალხს ერთ ნაციონალურ ჭერქვეშ, ისტორიული მემკვიდრეობითობის ერთგვაროვანი ხედვით.² ისტორია საზოგადოების მასწავლებელი და სოციალური განახლების წყარო გახდა. ინტელექტუალებმა გააღრმავეს და გააფართოვეს იდენტიფიკაცია ტერიტორიულ სამშობლოსთან, ხელი შეუწყვეს ფასეულობათა საერთო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელმაც შეაკავშირა სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება, „გააერთიანა ნაციონალური თემები ისტორიულად ავთენტური სენტიმენტებით და პრაქტიკით“.³

საქართველოში მეცნიერული ისტორიოგრაფიის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნის ბოლოს. იგი ჩამოყალიბდა რუსეთის პოლიტიკასთან დაპირისპირების პირობებში, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველთა ისტორიული მემკვიდრეობის რეკონსტრუქციას იმპერიული მიზნების შესაბამისად. ამ ვითარებაში, ისტორია საფრთხის

¹ ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში...*, გვ. 51.

² Carvalho, Susana and Gemenne, François. Introduction. *Nations and their Histories. Constructions and Representations*. Ed. by Susana Carvalho and François Gemenne. Palgrave&Macmillan, 2009, p. 1.

³ Hutchinson, John. Cultural Nationalism. *The Oxford Handbook of the History of Nationalism*. Ed. by John Breuilly. Oxford University Press, 2013, p. 77.

ქვეშ მყოფი ეთნიკური იდენტობის გადარჩენისა და აღდგენის მთავარ საყრდენად იქცა. როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, ნაცია გაიაზრებოდა სხვათა საპირისპიროდ, რომლებიც ხშირად წარმოდგენილი იყვნენ როგორც „ისტორიული მტრები“.

ს. ჯონსის სიტყვით, ქართველები მიმართავდნენ თავიანთ ხანგრძლივ ისტორიას, რათა დაესაბუთებინათ საკუთარი უპირატესობა რუს კოლონიზატორებთან შედარებით.¹ ქართველებისათვის, ისევე როგორც ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნისათვის, რომელთა წინაშე ნაციონალური სახელმწიფოს იდეოლოგიური დასაბუთების ამოცანა იდგა, გამორჩეულობის იდეამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. შევიწროებისა და ტანჯვის თემები საშუალებას აძლევდა ქართველებს, მკაფიოდ გაემიჯნათ ნაციონალური ისტორია მჩაგვრელი სხვისგან.²

ისტორიკოსები ცდილობდნენ, წარმოეჩინათ ნაციონალური მემკვიდრეობის ყველა მხარე, როგორც განსხვავებული ძველი ცივილიზაცია და დაეცვათ გარეშე ხელყოფისაგან. ისტორია განივრცო, გაღრმავდა, სისტემატიზდა, რადგან ისტორიკოსები ცდილობდნენ ერვენებინათ მისი განმსაზღვრელი მნიშვნელობა, აშკარა ნყვეტილობების მიუხედავად, ანმყოსათვის და მომავლისათვის..... ისტორიკოსები კოლექტიური იდენტობის შემოქმედებად იქცნენ.³

საქართველოს ისტორიის მატერიალური და წერილობითი წყაროების მოძიებისა და გამოქვეყნების საქმეში დიდი როლი შეასრულეს დიმიტრი ბაქრაძემ და ექვთიმე თაყაიშვილმა. დ. ბაქრაძის ინიციატივით, 1873 წელს დაარსდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება, რომლის ბაზაზე მისივე თავმჯდომარეობით შეიქმნა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება (1881-1886). დ. ბაქრაძემ სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში. მოგზაურობის შედეგი იყო ნაშრომები „არქე-

¹ Jones, Stephen F. Old Ghosts and New Chains. Ethnicity and Memory in the Georgian Republic. R.S. Watson (ed.). *Memory, History and Opposition under State Socialism*. University of Washington Press, Santa Fe, 1994, p. 158.

² Berger, Stefan. The Comparative History of National Historiographies in Europe: Some Methodological Reflections and Preliminary Results. *Nations and their Histories. Constructions and Representation*. Susana Carvalho and Francois Gemenne (ed.). Palgrave Macmillan, 2009, p. 32.

³ Hutchinson, John. დასახ. ნაშრ., გვ. 79-80.

ოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ (1878), „შენიშვნა ბათუმის ოლქის შესახებ“, „ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი“ და სხვ. 1881 წელს, მისი თაოსნობით, თბილისში ჩატარდა რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ისტორიის კვლევის გაფართოებას. ბაქრაძის რედაქტორობით გამოქვეყნდა მე-18 საუკუნის ორი ქართველი ისტორიკოსისა და მოაზროვნის – იოანე ბატონიშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის – თხზულებები, ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის რუსული თარგმანი (1887) და სხვ. იგი წერდა ნარკვევებს საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე; 1889 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ისტორია საქართველოსი“ (უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე). დ. ბაქრაძე დიდ ყურადღებას უთმობდა მატერიალური კულტურის ძეგლებს, მათ აღწერას, სალექსიკონო მასალას. 1875 წელს ლექსიკონის სახით შეადგინა „კავკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში“ (რუსულ ენაზე), რომელიც შეიცავს ცნობებს საქართველოსა და სომხეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ, სათანადო ბიბლიოგრაფიითურთ. დიმიტრი ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის დამხმარე სამეცნიერო დისციპლინებს (პალეოგრაფია და სხვა).

თანამედროვენი ძალიან აფასებდნენ დიმიტრი ბაქრაძის მოღვაწეობას წარსულის გამომზეურებისა და ეროვნული თვითშეგნების გაღვივების კუთხით. მისი გარდაცვალებისას ვაჟა-ფშაველა წერდა: „ჰგლოვობს ყველა, ვისაც ესმის, რა არის ერი, ერის ისტორია, ეროვნული თვითცნობა“ და აღნიშნავდა, რომ ამ გულწრფელმა და დაულალავმა მუშაკმა „აღზარდა ჩვენში ეროვნული თავის ცნობა, თავის ვინაობის შეგნება, ... ჩვენს ფრთებშეკვეცილს ეროვნულ გრძნობას ფრთები შეასხა.“¹

ექვთიმე თაყაიშვილმა 1887 წელს დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ბერძნულ-ლათინურ ენათა განხრით და მცირე ხანს იქვე განაგრძო სამეცნიერო საქმიანობა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი გიმნაზიაში ბერძნულ და ლათინურ ენებს ასწავლიდა. სწორედ ამ დროს შეხვდა დიმიტრი ბაქრაძეს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მისი შემდგომი საქმიანობის სფეროს განსაზღვრაში. ისინი ხშირად ერთად მოგზაუ-

¹ ვაჟა-ფშაველა. წერილი რედაქციის მიმართ. *თხზულებანი*. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1986, გვ. 636.

რობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ეძებდნენ, კრებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, სწავლობდნენ და აბინავებდნენ მუზეუმში. 1902-1910 წლებში ექვთიმე თაყაიშვილმა სამჯერ იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ ნაწილში (თურქეთის საქართველო). ამ არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიცა პარიზში, 1930-იანი წლების მეორე ნახევარში. საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომლის მიზანი საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების ძეგლების შესწავლა იყო და რომელმაც ამ მხრივ უზარმაზარი მუშაობა ჩაატარა.

როგორც ჯონ ჰატჩინსონი (John Hutchinson) აღნიშნავს, „მეცნიერი ისტორიკოსები – ჟიულ მიშლე საფრანგეთში, ფრანტიშეკ პალაცკი ჩეხეთში, მიხაილო გრუშევსკი უკრაინაში, ნიკოლაე იორგა რუმინეთში – ნაციის განსახიერებად იქცნენ.“¹ საქართველოში ნაციის განსახიერებად ივანე ჯავახიშვილი იქცა, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული საისტორიო აზროვნებისა და მეცნიერული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

ივანე ჯავახიშვილმა განათლება სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო, სადაც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე სწავლობდა და იგი საქართველოსა და სომხეთის ისტორიის სპეციალობით დაამთავრა. 1904 წელს „ცნობის ფურცელში“ სტატიის სახით დაიბეჭდა მისი ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება“, რომელიც მოგვიანებით წიგნის სახით გამოიცა. ივ. ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა შეხედულება ისტორიაზე, როგორც მეცნიერებაზე, განსაზღვრა მისი მიზანი და ამოცანები, საზი გაუსვა ისტორიის მნიშვნელობას იდენტობის ფორმირებაში. ივ. ჯავახიშვილმა ასევე განსაზღვრა პროფესიონალი ისტორიკოსის მუშაობის პრინციპები. ისტორიას იგი თვითშემეცნების საფუძვლად მიიჩნევდა:

„ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს

¹ Hutchinson, John. დასახ. ნაშრ., გვ. 79.

თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი.“¹

„ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული... ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელად უნდა წარმოუდგინოს თავისი ერის წარსული თანამემამულეებს და უცხოელებსაც“²

იმ დროს არსებობდა შეხედულება, რომ საქართველოს მსგავს პირობებში მყოფი ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარსულის მიღწევების წარმოჩენას, ხოლო ნაკლოვანი მხარეების შესახებ წერა მამულიშვილურ ქმედებად ვერ ჩაითვლებოდა. ეს ე.წ. „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი“ ისტორია, თითქოს, კარგი იარაღი იქნებოდა ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლაში. ამ მოსაზრების საპირისპიროდ, ივ. ჯავახიშვილი წერდა:

„ეს მიმართულება ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად სრულიად გამოუსადეგარი გახლავთ, იგი ჩვენი საზოგადოებრივი და ნაციონალური საქმისათვის ფრიად მავნებლად უნდა ჩაითვალოს, იმიტომ რომ საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელდება, ვითომც საჭიროა ... ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოო კულტურა ჰქონდათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან, მოგვინიჭებია ყველა უფლებაო.“³

მისი აზრით, „ამგვარი მოქმედება ხალხს ბაქიობას, უსაფუძვლო ამაყოფას და კმაყოფილებას შეაჩვევს.“⁴ საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა მხოლოდ იმ პროფესიონალს შეუძლია, ვინც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ზოგჯერ ისტორიის ვერსიებს, რომლებშიც „ღირსებანი დიდებიან და ნაკლულოვანებები მცირდებიან“, პატრიოტული გრძნობითა და სამშობლოს სიყვარულით ხსნიან. ეს ადამიანები ხსნას წარსულში ეძიებენ, მაგრამ „რა დიდი ღვანლიც არ უნდა მიუძღოდეს ეროვნებას

¹ ჯავახიშვილი, ივანე. *მამულიშვილობა და მეცნიერება*. თბილისი, 1904, გვ. 13.

² იქვე, გვ. 4.

³ იქვე, გვ. 5.

⁴ ჯავახიშვილი, ივანე. დასახ. ნაშრ., გვ. 8.

ნარსულში, თუ იგი ანმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“.¹

მიუხედავად იმისა, რომ ივ. ჯავახიშვილს რამდენიმე წინამორბედი ჰყავდა საქართველოს ისტორიის მეცნიერული გააზრების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის ყოველმხრივ და სისტემურ შესწავლას სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი. მისი ნაშრომები საქართველოს ისტორიის ყველა ასპექტს ეხება. რამდენიმე ტომიანი ფუნდამენტური „ქართველი ერის ისტორიის“ გარდა, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას წარმოადგენს, მას ეკუთვნის „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში“, „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში“, „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, „ქართული ნუმისმატიკა-მეტროლოგია“, „ქართული პალეოგრაფია“, „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“, „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში მე-9-13 საუკუნეებში“, „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“, „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის სფეროში“, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ და ზოგიერთი სხვა. ივ. ჯავახიშვილმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ახალი საისტორიო წყაროები – როგორც წერილობითი, ასევე არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ ზეპირსიტყვიერი. თითოეული ნაშრომი მათ კრიტიკულ ანალიზს ემყარებოდა, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავდა, ეს ყველაფერი საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის მხოლოდ დასაწყისი იყო.

პრაქტიკულად, ივანე ჯავახიშვილის შრომები იქცა საქართველოს ისტორიის ე.წ. დიდ ნარატივად, რომელმაც განსაზღვრა საისტორიო მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებანი მომდევნო პერიოდისათვის. ეს იყო ისტორიკოსთა სამომავლო სამოქმედო გეგმის ერთგვარი მონახაზი. სხვა ქვეყნების მსგავსად, სადაც პროფესიული ისტორიოგრაფია იმპერიული გამონწვევის პასუხის სახით ჩამოყალიბდა, ქართული დიდი ნარატივიც ეთნოცენტრული ხასიათისა იყო და, ძირითადად, ქართველთა ისტორიას წარმოადგენდა. მართალია,

¹ ჯავახიშვილი, ივანე. დასახ. ნაშრ., გვ. 11.

ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორია კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ფართო კონტექსტში მოათავსა, მაგრამ თვით საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი მასში ნაკლებად იყო წარმოდგენილი. საისტორიო ნარატივის მიზანი იყო ქართველთა იდენტობის განმტკიცება, რისთვისაც საჭირო იყო მათი განსხვავებულობის ხაზგასმა როგორც „შიგა“, ასევე „გარე“ სხვების პირისპირ. ამ თვალსაზრისით, ქართული დიდი ნარატივი კარგად თავსდება ნაციონალური განსაკუთრებულობის ზოგად დისკურსში, რომელიც საერთო მახასიათებელი იყო ეთნიკური/ნაციონალური იდენტიფიკაციის პრობლემის წინაშე მდგარი საზოგადოებებისათვის.

ამრიგად, საქართველოში იდენტობის ნარატივების ფორმირების პროცესი შეესაბამება მიროსლავ ჰროხის მიერ გამოყოფილი ნაციონალიზმის სამი ფაზიდან პირველ ორს: 1) ცალკეული პატრიოტი მოღვაწეების ზრუნვა საერთო წარსულის სურათის შექმნაზე, ენაზე და, მათი მეშვეობით, კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაზე; 2) პატრიოტთა უკვე გამოკვეთილი ჯგუფის მიერ ნაციონალური იდეების გავრცელება საზოგადოების ფართო ფენებში, საგანმანათლებლო დაწესებულებების, გაზეთების, მწერლობის, თეატრის მეშვეობით. ამას მოსდევს მესამე ფაზა — ფართო სოციალური მოძრაობის ჩამოყალიბება, რომლის შიგნით ერთმანეთისაგან განირჩევა სხვადასხვა ფრთა. ჩვენი კვლევა პირველ ორ ფაზას მოიცავს.

ბიბლიოგრაფია

- ანდერსონი, ბენედიქტ. წარმოსახვითი საზოგადოებანი. თბილისი, „ენა და კულტურა“, 2003.
- აფრასიძე, დავით. სახელმწიფოსა და ერის ფორმირება თანამედროვე საქართველოში: დაუსრულებელი პროექტი? ქართველი ერის დაბადება. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007). თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 92-133.
- ბაქრაძე, აკაკი. მეცხრამეტე საუკუნე. თხზულებანი, ტ.2, თბილისი, „ნეკერი-ლომისი“, 2004.
- ბაქრაძე, აკაკი. ნიკო ნიკოლაძე. თბილისი, 1989.
- ბოლქვაძე, თინათინ. ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“. თბილისი, „უნივერსალი“, 2010.
- გაფრინდაშვილი, მიხეილ. ქართული განმანათლებლობა. თბილისი, 1966.
- ვაჟა-ფშაველა. კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი. თხზულებები. თბილისი, 1986.
- ვაჟა-ფშაველა. წერილი რედაქციის მიმართ. თხზულებანი. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1986.
- თევზაძე, გიგი. ქართველი ერის დაბადება. იდენტობა და იდეოლოგია. ოლიტეტალური და სოციეტალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა. ქართველი ერის დაბადება. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007). თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 5-26.
- ნიკოლაძე, ნიკო. კოშუტი და დეაკი. თხზულებები, ტ. 9, თბილისი, 2006.
- პატარიძე, ლელა. პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII საუკუნეების ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრების“ სამყარო. თბილისი, კავკასიური სახლი, 2009.
- პატარიძე, ლელა. ქართული იდენტობა. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბილისი, გამომც. „არეტე“, 2005, გვ. 217-226.

- რატიანი, სერგო. „სარწმუნოებით ქართველი“: სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება. *ქართველი ერის დაბადება. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007)*. თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 28-47.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ.5, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1970.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ.5, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1970.
- სმითი, ენტონი დ. *ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია*. ინგლისურიდან თარგმნა მ. ჩხარტიშვილმა. თბილისი, „არტანუჯი“, 2004.
- ჩიქოვანი, ნინო. ეთნიკური და რელიგიური ფაქტორები ქართველთა კულტურული თვითიდენტიფიკაციის პროცესში (ისტორიული ასპექტი). *მარიამ ლორთქიფანიძის 85 წლისადმი მიძღვნილი შრომების კრებული*. თბილისი, 2007, გვ. 116-132.
- ჩხარტიშვილი, მარიამ. *ქართული ეთნიკური რელიგიური მოქცევის ეპოქაში*. თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009.
- ჩხარტიშვილი, მარიამ. თვითდასახელება როგორც ქართული იდენტობის მარკერი. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, თბილისი, 2006, გვ. 204-218.
- ჩხეტია, შალვა. *თბილისი მე-19 საუკუნეში (1865-1869)*. თბილისი, 1942.
- ჭავჭავაძე, ილია. *ერი და ისტორია. თხზულებები 5 ტომად*, ტ.4. თბილისი, 1987.
- ჭავჭავაძე, ილია. *ისევ განათლების საკითხებზე. თხზულებანი*, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1964.
- ჭავჭავაძე, ილია. *ლექსები და მოთხრობები*. თბილისი, 1959.
- ჭავჭავაძე, ილია. შინაური მიმოხილვა (1879 წ. თებერვალი). *თხზულებანი*, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1964.
- ჭავჭავაძე, ილია. შინაური მიმოხილვა, მარტი 1881. *თხზულებები 5 ტომად*, ტ.5. თბილისი, 1987.

ჭავჭავაძე, ილია. სიტყვა ილია ჭავჭავაძისა გლეხობისადმი მიმართული სოფელ წინამძღვრიანთკარში სამეურნეო სასწავლებლის დაარსების დროს. *თბზულებანი*, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ჯავახიშვილი, ივანე. *მამულიშვილობა და მეცნიერება*. თბილისი, 1904.
ჯაოშვილი, ვახტანგ და სხვ. *თბილისი. ეკონომიკური გეოგრაფიული გამოკვლევა*. თბილისი, 1989.

ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა*. თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც., 2007.

ჭობბაუმი, ერიკ. *ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან*. პროგრამა, მითი, რეალობა. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.

Berger, Stefan. The Comparative History of National Historiographies in Europe: Some Methodological Reflections and Preliminary Results. *Nations and their Histories. Constructions and Representation*. Susana Carvalho and Francois Gemenne (ed.). Palgrave Macmillan, 2009, p. 29-45.

Carvalho, Susana and Gemenne, François. Introduction. *Nations and their Histories. Constructions and Representations*. Ed. by Susana Carvalho and François Gemenne. Palgrave&Macmillan, 2009, p. 1-3.

Discourses of Collective Identity in Central and Southeast Europe (1770-1945). Text and commentaries. Volume 1. Late Enlightenment. Emergence of the Modern ‘National Idea’. Ed. by Balázs Trencsényi and Michal Kopeček. CEU Press. Budapest. New Yourk. 2006.

Gellner, Ernest. *Nations and Nationalism*. Ithaca, N.Y., Cornell University Press, 1983.

Gigineishvili, Levan. Post- reform History Textbooks in Georgia: Changing Patterns and the Issue of Minorities in Georgian History. *History Teaching in Georgia: Representation of Minorities in Georgian History Textbooks*. CIMERA. Geneva, 2007.

- Hutchinson, John. Cultural Nationalism. *The Oxford Handbook of the History of Nationalism*. Ed. by John Breuilly. Oxford University Press, 2013, p. 75-96.
- Jones, Stephen F. Georgia: The Long Battle for Independence. M. Rezum (ed.). *Nationalism and the Breakup of an Empire: Russia and its Periphery*. Praeger Press, Westport, 1992, p. 73-126.
- Jones, Stephen F. Georgia: Nationalism from under the Rubble. *After Independence. Making and Protecting the Nation in Postcolonial and Postcommunist States*. Ed. by Lowell W. Barrington. The University of Michigan Press. Ann Arbor, 2006, p. 248-276.
- Jones, Stephen F. Old Ghosts and New Chains. Ethnicity and Memory in the Georgian Republic. R.S. Watson (ed.). *Memory, History and Opposition under State Socialism*. University of Washington Press, Santa Fe, 1994.
- Kennedy, Michael D., Suny, Ronald. G. Introduction. *Intellectuals and the Articulation of the Nation*. Ann Arbor, The University of Michigan Press, 2004, p. 1-51.
- Lawrence, Paul. Nationalism and Historical Writing. *The Oxford Handbook of the History of Nationalism*. Ed. By John Breuilly. Oxford University Press, 2013, p. 713-730.
- Motyl, Alexander J. Inventing Invention: The Limits of National Identity Formation. *Intellectuals and the Articulation of the Nation*. Ed. by Ronald Grigor Suny and Michael D. Kennedy. Ann Arbor: University of Michigan Press, 2001, p. 57-75.
- Suny, Ronald G. *The Making of the Georgian Nation*. Indiana University Press, Hoover Institution Press. 1988.
- Woodward, Kathryn. Concepts of Identity and Difference. *Identity and Difference*. London, Sage, 1997.

თავი 2

ქართული იდენტობის ნარატივის ფორმირების პროცესი

ნაშრომის ამ თავში გაანალიზებულია ქართული იდენტობის ნარატივის ფორმირების ძირითადი მიმართულებები. წარმოდგენილი კვლევა, უმთავრესად, მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე გამოძვალ ქართულ პრესას ეყრდნობა, რომელშიც გამოქვეყნებულია იდენტობის მშენებელი ნარატივების მნიშვნელოვანი ნაწილი.

2.1. საკითხის შესწავლის მდგომარეობა

მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის დამდეგამდე საქართველოს რეალობის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი, თუმცა ცოტაა ისეთი ნაშრომები, რომლებიც საკითხს იდენტობისა და ნაციონალიზმის კვლევების პერსპექტივიდან განიხილავენ. მიუხედავად აღნიშნულისა, პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს აკადემიურ წრეებში კვლევის ამ მიმართულებისადმი მზარდი ინტერესი შეინიშნება. უკანასკნელ წლებში გამოცემული ზოგიერთი ნაშრომი უშუალოდ ეხება ჩვენს საკვლევ პრობლემას და ცდილობს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში განვითარებული პროცესები განსხვავებული მიდგომების საფუძველზე შეისწავლოს. ამ მხრივ საყურადღებოა მარიამ ჩხარტიშვილისა და ქეთევან მანიას ორტომიანი გამოკვლევა „ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში („ივერია“ და მისი მკითხველი საქართველო)“. ნაშრომის მიზანია, ნაციონალიზმის კვლევებში არსებული თეორიული ცოდნის გათვალისწინებით, ქართული გაზეთის „ივერიის“ მაგალითზე, ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე დაკვირვება. თეორიულ ნაწილში განხილულია ნაციონალიზმის კლასიკოსთა ნაშრომების ნაწილი და დასაბუთებულია თანამედროვე თეორიული მიდგომების გამოყენების აუცილებლობა საქართველოში ერის ჩამოყალიბების

პროცესის ანალიზისთვის. ასევე მიმოხილულია საკითხის შესწავლის მდგომარეობა და პრობლემით დაინტერესებულ მკვლევართა შრომები. ავტორთა აზრით, არსებული ისტორიოგრაფიული პრაქტიკა, უმთავრესად, ქართველი ერის ჩამოყალიბების ეკონომიკურ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას, მოცემული ნაშრომის მიზანი კი „აზროვნებითი ფაქტების კვლევაა: ქართული ეროვნული იდეა და მისი იმპულსი ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობაზე“.¹ გამოკვლევის მოცულობით ემპირიულ ნაწილში გაანალიზებულია „ივერიის“ სრული ტირაჟი და მასში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც, ავტორთა აზრით, საქართველოს საზოგადოების ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესს ასახავს.

იგივე საკითხებს ეხება თინათინ ბოლქვაძის მონოგრაფია „ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია““. ნაშრომის პირველ თავში „ილია და გლობალიზაცია“ ავტორი ხაზს უსვამს ილია ჭავჭავაძისა და სხვა მოაზროვნეების შემოქმედების შესწავლის მნიშვნელობას თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის ფონზე. მსგავსმა კვლევებმა, შესაძლოა, ხელი შეუწყოს საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობას; „საფიქრებელია, რომ „ივერია“ ისევე, როგორც XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის ბეჭდური მედია მთლიანად, ბევრი კითხვის საპასუხოდ დაგვაცენებს სწორ გზაზე,“² აღნიშნავს ავტორი.

თ. ბოლქვაძის აზრით, სამი ათეული წლის მანძილზე გამომავალი პერიოდული ორგანოს მნიშვნელობის ჩვენება ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში შეუძლებელია ერთი ან, თუნდაც, რამდენიმე მონოგრაფიის ფარგლებში. ავტორმა ამოირჩია ზოგიერთი „ფუძემდებლური მნიშვნელობის მახასიათებელი“, რომელიც ქმნის ნაციონალურ ერთობას. მკვლევარი საუბრობს პრესის მნიშვნელობასა და როლზე საზოგადოებრივი სოლიდარობის ჩამოყალიბებაში, „ივერიისადმი“ ცენზურის დამოკიდებულებაზე, „ივერიის“ ურთიერთობაზე სხვა პერიოდულ გამოცემებთან. იგი

¹ ჩხარტიშვილი, მარიამ და მანია, ქეთევან. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში („ივერია“ და მისი მკითხველი საქართველო)*. თბილისი, „უნივერსალი“, 2011, გვ. 4.

² ბოლქვაძე, თინათინ. *ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას ივერია*. თბილისი, „უნივერსალი“. 2010, გვ. 56.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბეჭდური მედიის, კერძოდ „ივერიის“ როლს ქართული მწერლობის განვითარებასა და ქართული საზოგადოების „მწიგნობრობისადმის ინტერესის გაზრდაში.“¹

ნაშრომში კვლევის ცალკე მიმართულებად არის გამოყოფილი ომის როლი ნაციონალური კონსოლიდაციის საქმეში, ძირითადად, გაანალიზებულია 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი და მისი მნიშვნელობა ქართული საზოგადოების გაერთიანებაში. გამოკვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული ენის პრობლემებს ეთმობა. ავტორს შესწავლილი აქვს ქართული სალიტერატურო ენის კოდიფიკაციის საკითხები „ივერიაში“, ქართული ენის ფუნქციათა გაფართოება, ქართველურ ენათა კვლევის პოლიტიკური კონტექსტი XIX საუკუნის მეორე ნახევარში და სხვა პრობლემები.

მარიამ ჩხარტიშვილი და სოფიო ქადაგიშვილი თავიანთ სტატიაში² ქართული ნაციონალიზმის წარმოშობის გააზრებისთვის ყველაზე რელევანტურ მიდგომად ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტურ თეორიას მიიჩნევენ, რომელიც ენტონი სმიტს ეკუთვნის. თეორიის მიხედვით, მოდერნულ ეპოქაში ჩამოყალიბებული ნაციები მათ წინარე „ეთნიებს“ (ეთნიკურ ჯგუფებს) დაეფუძნენ. საქართველოშიც ასე მოხდა – მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული ეთნიკური ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა, რომლის საფუძველი პრემოდერნულ ხანაში არსებული ეთნიე იყო.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული კრებულში „ქართველი ერის დაბადება“ შესული რამდენიმე სტატიის ავტორები ჩვენს საკვლევ პერიოდში განვითარებული პროცესის გააზრებას თანამედროვე სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ჩამოყალიბებული თეორიული ცოდნის საფუძველზე ცდილობენ. მაგალითად, გიგი თევზაძე თავის პუბლიკაციაში³ მიმოიხილავს ნაციონალიზმის კვლევათა კლასიკოსების – ბ. ანდერსონის, ე. გელნე-

¹ ბოლქვაძე, თინათინ. დასახ. ნაშრ., გვ. 101.

² ჩხარტიშვილი, მარიამ. ქადაგიშვილი, სოფიო. ისტორიული ფონი: ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2011.

³ თევზაძე, გიგი. იდენტობა და იდეოლოგია. პოლიტიკალური და სოციალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა. ქართველი ერის დაბადება. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

რის, ე. სმიტის შეხედულებებს. მისი აზრით, ერი, როგორც იდეოლოგია, შუა საუკუნეებში წარმოიშობა, ერი, როგორც იდენტობის წყარო კი – მოდერნულ ეპოქაში. საქართველოში იდეოლოგიის იდენტობად ქცევის პერიოდი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარია. თევზაძის სიტყვით, განათლებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა და ქართველი ერი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან დაიბადა.

ამავე კრებულში დაბეჭდილ ნაშრომში¹ სერგო რატიანი საუბრობს ერის ცნების განსაზღვრის სირთულეზე და მიმოიხილავს ამ საკითხთან დაკავშირებული თეორიული ლიტერატურის ნაწილს. მისი აზრით, შუა საუკუნეებში ქართველი სარწმუნოებრივ იდენტობას წარმოადგენდა. ნაციონალური იდენტობა წინა პლანზე მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, სეკულარიზაციის პროცესის დაწყების შემდეგ იწვეს. ამ მოსაზრების დასაბუთებლად რატიანს განხილული აქვს ილია ჭავჭავაძის წერილები „ირლანდია და ინგლისი“ და „ოსმალის საქართველო“.

გიორგი ანჩაბაძე ნაშრომში „ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან ერის ჩამოყალიბების სტადიამდე“² ერის ჩამოყალიბების ეპოქად მე-18 საუკუნეს მიიჩნევს.

საკვლევ საკითხს არაპირდაპირ ეხება პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემული ნაშრომების ნაწილი. ზოგი მათგანი საყურადღებოა ემპირიული მასალის თვალსაზრისით, ზოგი კი გვიჩვენებს, თუ როგორია ქართველ ისტორიკოსთა ნაწილის დამოკიდებულება ჩვენთვის საინტერესო პრობლემებისადმი. დიმიტრი შველიძის ნაშრომი³, სადაც გადმოცემულია სოციალ-ფედერალისტური პარტიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია, ჩვენთვის საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მასში გაანალიზებულია 1900-იანი წლების ქართველი მოღვაწეების გიორგი ლასხიშვილის, გიორგი დეკანოზიშვილისა

¹ რატიანი, სერგო. „სარწმუნოებით ქართველი“: სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება. *ქართველი ერის დაბადება*. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

² ანჩაბაძე, გიორგი. *ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან ერის ჩამოყალიბების სტადიამდე*. *ქართველი ერის დაბადება*. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

³ შველიძე, დიმიტრი. *პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში*. თბილისი, „არსი“, 1993.

და ვარლამ ჩერქეზიშვილის „ეროვნულ-პოლიტიკური ნააზრევი და საქმიანობა“. ავტორი ასევე ეხება არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიას. მონოგრაფიაში განხილულია პუბლიკაციები გაზეთებიდან „ცნობის ფურცელი“ და „საქართველო“.

თამაზ ბერაძე 2008 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში¹ მიმოიხილავს ქართული იდენტობის ჩამოყალიბების ძირითად ეტაპებს უძველესი პერიოდიდან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ჩათვლით. იგი მიიჩნევს, რომ ტერმინებს – „ხალხი“ და „ერი“ – შორის არავითარი განსხვავება არ არის და ქართველი ერი, სულ ცოტა, ფარნავაზის ხანიდან არსებობს. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან განვითარებულ პროცესს თ. ბერაძე იდენტობის ახალ ეტაპად მიიჩნევს და არა თვისებრივად განსხვავებულ მოვლენად.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს არაპირდაპირ ეხება სალომე დუნდუას და ზვიად აბაშიძის გამოკვლევა.² ნაშრომის მიზანია იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობს საქართველოში „რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების სოციალურ და პოლტიკურ აქტორებად გადაქცევას, უზრუნველყოფენ სამოქალაქო ინტეგრაციის მაღალ ხარისხს და, შესაბამისად, ქვეყანაში მკვიდრი დემოკრატიის დამყარებას“. გამოკვლევის პირველ თავში – „ერად ქმნადობის პროცესი და საქართველო“ – გამოყოფილია ქვეთავი „ისტორიული რეტროსპექტივა“, სადაც მომხილულია იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები შუა საუკუნეებიდან დღემდე. ავტორები ეყრდნობიან ნაციონალიზმის კვლევების კლასიკოსების, უმთავრესად, ბენედიქტ ანდერსონის შეხედულებებს. ავტორების აზრით, საქართველო, სადაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ეთნიკური ნაციონალიზმი ყალიბდება, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლეთ ევროპულ მოდელთან, ამ მსგავსებას კი, ძირითადად, იმპერიული კონტექსტი განსაზღვრავს. ავტორთა მოსაზრებით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არქონამ და თვითგადარჩენისთვის ზრუნვამ ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის ფორმირება განაპირობა, რაც, მიუხედავად

¹ ბერაძე, თამაზ. ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები. *ეთნოლოგიური კრებული*. თბილისი, „უნივერსალი“, 2008, გვ. 3.

² დუნდუა, სალომე, აბაშიძე, ზვიად. *ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში*. თბილისი, „ინტელექტი“, 2009.

იმისა, რომ მას არ ჰქონდა ქსენოფობიური და შოვინისტური ხასიათი, აბრკოლებდა სამოქალაქო ინტეგრაციას.

დავით მალაზონიას მონოგრაფიაში¹ გამოთქმულია აზრი, რომ „ერი, როგორც ისტორიული კატეგორია, წარსულის წიაღში აღმოცენდა“, „ერის ცნების შინაარსობრივი და პრაქტიკული მხარეებიც იცვლება – მდიდრდება და მრავალფეროვანი ხდება“. მკვლევრის აზრით, თერგდალეულებს (ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი) სახელმწიფოებრივი ერთიანობის მიღწევის გზაზე გადამწყვეტ ფაქტორად მოსახლეობის ეთნიკურად ერთგვაროვანი შემადგენლობა მიაჩნდათ და ეროვნულ სიჭრელეს, ხალხებს შორის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების ზრდას კონსოლიდაციის შემაფარებელ გარემოებად თვლიდნენ, თუმცა მრავალეროვან სახელმწიფოში სხვადასხვა ხალხების თანაარსებობის მიღწევაც შესაძლებლად ესახებოდათ.

ვახტანგ გურულის ნაშრომი „ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია“ ეხება დამოუკიდებელ საქართველოსა და მის წინა პერიოდს. ავტორის აზრით, მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე არ არსებობდა ეროვნულ სახელმწიფოებრივი ცნობიერების მატარებელი პოლიტიკური ძალა. რაც შეეხება ქართველთა კონსოლიდაციის საფუძვლებს, იგი ასეთად ეროვნულ, ტერიტორიულ, ეკლესიურ და კულტურულ ერთობას მიიჩნევს.²

საკვლევ ეპოქაში განვითარებული პროცესებისა და ცალკეული ისტორიული ფიგურების მოღვაწეობის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია აკაკი ბაქრაძის ნაშრომები „ნიკო ნიკოლაძე“ და „ილია ჭავჭავაძე“. პირველ მათგანში განხილულია ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის ყველა ასპექტი სტუდენტობის პერიოდიდან სიცოცხლის უკანასკნელი წლების ჩათვლით – პუბლიკაციები, სხვადასხვა დროს გამოთქმული შეხედულებები, დამოკიდებულებები საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ, პრაქტიკული საქმიანობა, ურთიერთობები მისივე ეპოქის სხვა მოღვაწეებთან და სხვ.

¹ მალაზონია, დავით. *ქართული ისტორიოგრაფიული აზროვნება XIX საუკუნის მეორე ნახევარში*. თბილისი, „ქრონოგრაფი“, 2001.

² გურული, ვახტანგ. *ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია*. თბილისი, „უნივერსალი“, 2008, გვ. 17.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნაშრომის შემდეგი თავები: „მრწამსი“, „ულმობელი საქმის კაცი“ და „ოთხი პრინციპი“. შეიძლება ითქვას, რომ აკაკი ბაქრაძის ეს წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ ერთ კონკრეტულ პიროვნებას ეძღვნება, მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარის საქართველოში განვითარებული პროცესებისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია.

აკაკი ბაქრაძის მეორე წიგნი „ილია ჭავჭავაძე“ ნახევრად მხატვრულ სტილშია დაწერილი, რომლის თავებისა და ქვეთავების სათაურებად ავტორს ილიას (ძირითადად, მხატვრული) შემოქმედებიდან ამონარიდები აქვს გამოყენებული. ყურადღება, უმთავრესად, ბიოგრაფიულ დეტალებზეა გამახვილებული, თუმცა ასევე გვხვდება ეპოქის მნიშვნელოვანი მოვლენების ანალიზი.

ჩვენთვის საყურადღებო პერიოდს ეხება აკაკი ბაქრაძის ცალკეული სტატიებიც, სადაც გაანალიზებულია მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს საზოგადოებრივ აზრში არსებული ძირითადი მიმდინარეობანი. ა. ბაქრაძე თერგდალეულთა ასპარეზზე გამოსვლას ქართული საზოგადოების განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპის დასაწყისად მიიჩნევს.

საბჭოთა პერიოდში გამოცემული გამოკვლევების უმრავლესობა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების მკაცრი დაცვითარის შესრულებული. ნაციონალიზმის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა მხოლოდ ამ მიდგომის ფარგლებში იყო შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ნაშრომი ყურადღებას იქცევს და, ვფიქრობთ, რომ მათი გაცნობა საჭიროა საკვლევი საკითხის შესწავლის მდგომარეობის ანალიზისთვის.

სიმონ ხუნდაძის 1927 წელს გამოცემული მონოგრაფია¹ მოიცავს ორ დამოუკიდებელ ნაშრომს. პირველი მათგანი – „ქართველი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური იდეალები მეცხრამეტე საუკუნეში“ – ეხება საქართველოში ინტელიგენციის ჩამოყალიბებას და მისი აზროვნების დინამიკას მე-19 საუკუნის განმავლობაში. ავტორის აზრით, ინტელიგენციის „სოციალ-პოლიტიკური აზროვნების შემუშავებაზე“ ძირითადი გავლენა საქართველოს ეკონომიკურმა წყობილებამ, მისმა სამეურნეო სტრუქტურამ და ამ

¹ ხუნდაძე, სიმონ. ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში. თბილისი, სახ. გამ-ბა, 1927, გვ. 8.

ნიადაგზე აღმოცენებულმა სოციალურმა კლასებმა მოახდინეს. დიდი ყურადღება ეთმობა რუსეთის იმპერიის შემოსვლასა და საქართველოს დაახლოებას ევროპულ კულტურასთან. ავტორის მოსაზრებით, საქართველოს „კულტურულად აყვავება“ უნდა მიენეროს არა რუსეთის ხელისუფლებას, არამედ „ქართულ ნაციონალურ კლასებს და მის წარმომადგენელ ინტელიგენციას... ქართული მწერლობის, ქართული ენის, ქართული სკოლის გამშვენიერება ქართული ნაციონალური კლასებისა და მათი ინტელიგენციის საქმიანობის ნაყოფია. რუსეთის დამკვიდრებით საქართველო კოლონიალურ ქვეყნად გადაიქცა, მაგრამ ეს კოლონია თავისი კულტურული დონით არსებითად განსხვავდებოდა აზიის ჩამორჩენილი კოლონიებისაგან. რუსეთის პოლიტიკას ჩვენში კულტურული ერი დაუპირისპირდა, რომელმაც შეძლო თავისი საკუთარი კულტურული ძალების, სოციალური კლასებისა და ეკონომიკური სტრუქტურის განვითარება, მიუხედავად რუსეთის მთავრობის აგრესიული პოლიტიკისა“.¹

სიმონ ხუნდაძე 1860-იან წლებამდე არსებულ თავადაზნაურულ ინტელიგენციას ერთ მთლიან ოჯახად მოიხსენიებს, რომელიც საკუთარი წოდების წიაღშია ჩაკეტილი და გაჟღენთილია წოდებრივი ინტერესებით. მისი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები არ სცილდება კლასობრივ ინტერესებს. ამ ინტელიგენციის უკანასკნელი გაბრძოლება 1832 წლის შემთქმულება, რომლის დამარცხების შემდეგ თავადაზნაურობა საბოლოოდ იხრის ქედს რუსეთის იმპერიის ბატონობის წინაშე. ქვეთავში „ქართული ლიბერალიზმი“ ავტორი ყურადღებას ინტელიგენციის ორ ბანაკად გაყოფასა და თაობათა შორის დაპირისპირებაზე ამახვილებს.² ხუნდაძის აზრით, ქართული ლიბერალიზმის საფუძვლები თავადაზნაურთა ახალ ფენებში უნდა ვეძებოთ, რომელიც რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიურ გავლენას განიცდიდა და მყარი კავშირი ჰქონდა რუსეთის ინტელიგენციასთან.

წიგნში შესულ მეორე ნაშრომში – „ქართული მენშევიზმის სოციალური საფუძველი“ – საუბარია სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმართულების განვითარებაზე საქართველოში, იმ სოციალურ ბაზაზე, რომელსაც მენშევიზმი დაეფუძნა, მის

¹ ხუნდაძე, სიმონ. დასახ. ნაშრ., გვ. 30.

² ხუნდაძე, სიმონ. დასახ. ნაშრ., გვ. 50.

წარმატებებსა და წარუმატებლობაზე. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ უყურებდნენ მენშევიკები ეროვნულ საკითხს. ხუნდაძის აზრით, ქართველი მენშევიკები სამოციანელთა მიერ ჩამოყალიბებული „ეროვნული ჰიპნოზის“ დიდ გავლენას განიცდიდნენ. თვით ნოე ჟორდანიამ საკუთარი მოღვაწეობა „ნაციონალ-დემოკრატიული“ პროექტის ჩამოყალიბებით დაიწყო. მისივე პირველი სერიოზული შრომა „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ (1894) გაჟღერებულია ნაციონალისტური კონცეფციებით.¹

აკაკი სურგულაძე ნაშრომში „ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ“ ეხმაურება საბჭოთა პერიოდში ისტორიულ მეცნიერებაში ერის ცნების გარშემო გამართულ დისკუსიას. განხილულია ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი და მოცემულია საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაცია. ნაშრომი წარმოადგენს მარქსისტული იდეოლოგიის საფუძველზე დაწერილ კვლევას. როგორც იგივე პერიოდის სხვა ნაშრომებში, აქაც საუბარია „ფეოდალურ“, „ბურჟუაზიულ“ და „სოციალისტურ“ ერზე, ავტორი ტერმინოლოგიურ დაზუსტებებს გვთავაზობს და აცხადებს, რომ „ბურჟუაზიული ერის“ ნაცვლად, უმჯობესია გამოიყენონ „ერი კაპიტალიზმის ეპოქაში“, „კომუნისტური ერის“ ნაცვლად – „ერი კომუნისმის ეპოქაში“. ავტორი ერის ცნების მარქსისტულ-ლენინურ გაგებას ეყრდნობა და აღიარებს, რომ ერი მხოლოდ კაპიტალიზმის შედეგია. ქართველი ერის შესახებ საუბრისას აცხადებს, რომ ერის ცნება ჩვენში ხშირად ქართველობის ცნებასთანაა დაკავშირებული. ვამბობთ, მაგალითად, ქართველი ერის ისტორიას და ვგულისხმობთ არა ერად ჩამოყალიბებული ქართველების (რაც მე-19 საუკუნის შემდეგ ყალიბდება) ისტორიას, არამედ ისტორიას ჩვენი ხალხისა, უძველესი პერიოდიდან დღემდე.²

ქართველ სოციალ-დემოკრატთა მოღვაწეობას და, აქედან გამომდინარე, ჩვენს საკვლევ პერიოდს ეხება სტივენ ჯონსის წიგნი „სოციალიზმი ქართულ ფერებში, სოციალ-დემოკრატიის ევროპული

¹ ხუნდაძე, სიმონ. დასახ. ნაშრ, გვ. 106.

² სურგულაძე, აკაკი. *ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ*. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970, გვ. 30.

გზა, 1883-1917“. ავტორი ქართულ სოციალ-დემოკრატობას ერთ-ერთ წარმატებულ პოლიტიკურ ძალად მიიჩნევს მაშინდელ ევროპაში, რადგან სწორედ სოციალ-დემოკრატებმა მოახერხეს საქართველოს რესპუბლიკის შექმნა და დამოუკიდებლობის გამოცხადება. ლოგიკურია, რომ სოციალ-დემოკრატია გავლენას ახდენდა საზოგადოების სხვადასხვა ფენის იდენტობის განსაზღვრაზე. ს. ჯონსი საუბრობს როგორც ეთნიკური ქართველების, ასევე საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების იდენტობის საკითხებზე, საუბრობს რეგიონალიზაციაზე, სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელ ქართველებს შორის დამოკიდებულებაზე, იმონებს ნოე ჟორდანიას მოსაზრებას ფრაგმენტულობისაკენ ქართველთა მიდრეკილების თაობაზე, ეხება კუთხურობას და აცხადებს, რომ კუთხური განსხვავებები, რასაც ბარსა და მთას შორის განსხვავებებიც ემატებოდა, აფერხებდა საერთო ქართული ეროვნული იდენტობის განვითარებას. ს. ჯონსი სოციალიზმის იდეებით ქართველი ინტელექტუალების მოხიბლვის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ კუთხურობის დაძლევის პერსპექტივას ასახელებს: სოციალიზმი მათ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შექმნის იმედს აძლევდა, სადაც მრავალფეროვნებისა და მდიდარი ხალხური კულტურის სიმბოლოებად ქცეული რეგიონები საფრთხეს ვერ შეუქმნიდა ქართულ სახელმწიფოებრივ იდენტობას.¹

კვლევის ემპირიული საფუძველი. წარმოდგენილი კვლევა, ძირითადად, 1860-70-იანი წლებიდან 1910-იანი წლების ჩათვლით ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს ეყრდნობა. ფართოდ არის წარმოდგენილი ჟურნალ (შემდგომში გაზეთი) „ივერიაში“ დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები, რადგან ეს ბეჭდური ორგანო, 1900-იანი წლების დამდეგამდე, ქართული საზოგადოების კონსოლიდაციისა და ნაციონალური იდენტობის ფორმირების ძირითადი ინტელექტუალური წყარო იყო. გამოკვლევაში ასევე გაანალიზებულია ქართულ პერიოდულ გამოცემებში – „დროება“, „ცისკარი“, „კლდე“, „ერი“, „თანამედროვე აზრი“, „მოგზაური“ და ზოგი სხვა – გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები.

ჟურნალი „ცისკარი“ 1852 წლიდან გამოდიოდა. 1870-1880-იან წლებამდე, სანამ ბეჭდური პროდუქცია მრავალფეროვანი გახდებოდა,

¹ ჯონსი, სტივენ ფ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში...*, გვ. 26.

ქართველი ინტელექტუალები, „საქართველოს მოამბესთან“ და „დროებასთან“ ერთად, ძირითადად, „ცისკართან“ თანამშრომლობდნენ. აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი მოღვაწეობა სწორედ „ცისკარში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციებით დაიწყო. 1863 წლიდან გამოიცემოდა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელიც „თერგდალეულთა“ პირველი ბეჭდური ორგანო იყო. „საქართველოს მოამბის“ ტრადიცია 1866 წლიდან „დროებამ“ განაგრძო. „მოგზაური“ (1910), „თანამედროვე აზრი“ (1915), კლდე (1916) და ბეჭდური გამოცემები კარგად ასახავენ ქართული იდენტობის ფორმირების კუთხით მე-20 საუკუნის დასაწყისში განვითარებულ პროცესებს.

“ივერიის“ გამოცემა, რომელიც თანამედროვე ტიპის ერთ-ერთი პირველი მასობრივი ბეჭდური ორგანო იყო, 1877 წლიდან იწყება. პირველ ნომრებში გამოქვეყნებული წერილების მიხედვით ნათელია, რომ გამომცემელთა მიზანი იყო მრავალფეროვანი და მაქსიმალურად ტევადი ინფორმაციის მიწოდება მკითხველთა ფართო მასისთვის, რომელიც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური მუშაობის შედეგად იმავე პერიოდში ყალიბდებოდა.

ჟურნალ-გაზეთების ზოგად დანიშნულებასა და ფუნქციაზე „ივერიის“ პირველივე ნომერშია საუბარი: „...საზოგადოების ცხოვრების სარკე, შუამავალი მეცნიერებასა და საზოგადოებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის.“¹

„ივერიის“ რუბრიკები მრავალფეროვანი და შინაარსობრივად დატვირთულია – „წინამძღოლი წერილები“, „საქართველო“, „რუსეთი“, „უცხოეთი“, „კორესპონდენციები“, „მეცნიერება“ „ბელეტრისტიკა“, „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“, „ფელეტონი“, „სასამართლო“, „სხვადასხვა გაზეთის ნაამბობი“, „კერძო პირთა განცხადებანი“ და სხვ. – ეს იმ რუბრიკათა არასრული ჩამონათვალია, რომელსაც ჟურნალის მოცულობითი, დაახლოებით 15 გვერდიანი ნომერი მოიცავს. აქტიურად შუქდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობები და სხვ.

¹ „ივერია“, 1877, № 1, გვ. 2.

2.2. ქართული იდენტობის ნარატივი

2.2.1. კულტურული და ტერიტორიული ინტეგრაცია

კულტურული და ტერიტორიული ინტეგრაციის საკითხები ქართული იდენტობის მშენებელი ნარატივის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას შეადგენდა. 1870-იანი წლებიდან პრესაში ქვეყნდებოდა წერილები, რომელთა ავტორები ცდილობდნენ ქართველთა ერთიანობის ხაზგასმას და იმ საფრთხის წარმოჩენას, რომელიც ამ ერთიანობის გაცნობიერებას აბრკოლებდა. ამ კუთხით, ნიშანდობლივია „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილი „ვიცინოთ თუ ვიტყვით“, რომელშიც მოთხრობილია გორის საოსტატო სემინარიის ამბავი. სასწავლებლის დანიშნულება მასწავლებლების მომზადებაა, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოში უნდა დასაქმდნენ. ავტორის აზრით, ეს ფაქტი თავისთავად გულისხმობს, რომ სასწავლებელში უპირველესი ყურადღება ქართული ენის სწავლებას უნდა დაეთმოს, თუმცა, სემინარიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ქართული ენა არ ისწავლება. წერილის ავტორი მკაცრად აკრიტიკებს სასწავლებლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით, ეთნიკური ქართველები შიდა ჯგუფებად არიან დაყოფილი და ზოგიერთი კუთხის წარმომადგენლები არაქართველებად არიან მიჩნეული:

„წარსულს სექტემბერში გორის ამ სემინარიაში შევიდა ორმოცდაათი მონაფე. ამათ რიცხვში ოცდა თერთმეტი ყმაწვილი ქართველი, დანარჩენი სხვადასხვა გვარ-ტომობისანი არიან. მაშასადამე რაოდენობა ქართველთა ყმაწვილებისა შეადგენს ორ მესამედს მთელს რიცხვისას. მომავალშიაც, რასაკვირველია, ქართველთა მონაფეთა რიცხვი ამგვარადვე მეტი იქნება სხვებზედ. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ, ამის გამო მაინც ქართულს ენას სემინარიაში სავალი ექნებაო, მაგრამ სემინარიის გულის-ხმიერს გამგეობას სულ სხვა ფიქრი მოსვლია. მის დირექტორს მოუნვევია საშველად მეცნიერება, გამოუძიებია და დაუსკვნია, რომ ქართველები ქართველები არ არიანო. ჩამომავლობით, ამბობს იგი, სემინარიის მონაფენი ეკუთვნიან თორმეტს გვარ-ტომობასაო. ამათ შორის: რუსები არიანო ექვსნი, ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, სომხები

ექესი, პოლაკები ორნი, ინგილო ორნი, გურული ორნი, ფშავნი ორნი, აიხაზნი ორნი, უდინი ერთი, ჩერქეზი ერთი, ბერძენი ერთი. ამგვარად ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი ქართველებად არ უცვნია გორის სემინარიის მეცნიერებას. მაშ უფ. დირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვარონეჟელი რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვა და სხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ნუ თუ ამის თქმა სდომებია უფ. დირექტორს, რომ ისე სასაცილოდ ქართველი ქართველს განუშორებია... ?¹

ამ წერილში ნათლად ჩანს წუხილიქართველთა ერთიანობის პრობლემის გამო. ავტორი უპირისპირდება ეთნიკური ქართველების დაყოფის იმპერიულ პოლიტიკას. პუბლიკაციაში ასევე ვხედავთ „ივერიის“ გამოცემის ერთი-ერთ უმთავრეს მიზანს – ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ხელშეწყობას.

აკაკი ბაქრაძე თავის ერთ-ერთ ნაშრომში ანალოგიურ მაგალითად ასახელებს 1901 წელს გამოცემულ ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონის 33-ე ტომს, სადაც თბილისის გუბერნიის მოსახლეობა შემდეგნაირად არის დათვლილი: რუსები — 4.4%, ბერძენები — 2.7%, ოსები — 8.9%, სომხები — 23.9%, ქართველები — 45.0%, თუშები — 0.7%, ფშაველები — 1.1.%, ხევსურები — 0.8%, იმერლები — 1.1.%. როგორც ხედავთ, არც რუსები დაუშლიათ, არც სომხები და არც რომელიმე სხვა ხალხი. მარტო ქართველებია წარმოდგენილი დანაწევრებული სახით. ა. ბაქრაძის, აზრით, მოხდა ისე, რომ ჩვენი საერთო ეროვნული ეთნონიმი „ქართველი“ გაუთანაბრდა „ქართლელს“, საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის მკვიდრის სახელს.²

კულტურული ინტეგრაციისა და საზოგადოების კონსოლიდაციის პრობლემის გააზრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომმა და მისმა შედეგებმა. ჟურნალ „ივერიის“ რედაქცია აქტიურ პროპაგანდას უწევდა ომში ქართველების მონაწილეობას, რადგან ეს იყო „ოსმალის საქართველოს“, ანუ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების შანსი. „ივერიის“ ფურცლებზე

¹ „ივერია“, № 10, 1877, გვ. 1.

² ბაქრაძე, აკაკი. ყურადღება მივაქციოთ. თხზულებანი. ტ. 6. თბილისი, „ნეკერილომისი“, 2005, გვ. 255.

აქტიურად განიხილებოდა ომის ამბები, განსაკუთრებით, რუსეთის იმპერიის არმიის წარმატება აჭარისა და მესხეთის მიმართულებით.

სერია „ოსმალის საქართველო“ ცხრა წერილს მოიცავს. მისი მთავარი მიზანია, მკითხველს გააცნოს ოსმალის საქართველოში მცხოვრები ადამიანები – მათი გარეგნობა, ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები, შეხედულებები, იქაური კლიმატი და სხვ. ამ წერილების ძირითადი დანიშნულებაა იმის დასაბუთება, რომ „ოსმალის საქართველოც“ საქართველოა და მუსლიმი ქართველებიც ისეთივე ქართველები არიან, როგორც სხვა დანარჩენები. წერილების ციკლიდან ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო და ცნობილი პუბლიკაცია, რომელიც „ივერიაში“ 1877 წელს გამოქვეყნდა, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. ილია აქცენტს საერთო ისტორიაზე აკეთებს და იგი საზოგადოების კონსოლიდაციის ერთ-ერთ საფუძვლად მიაჩნია. სწორედ ამ წერილშია გამოთქმული დღეს საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრება: „ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეს ხოლმე ადამიანს, როგორც ერთობა ისტორიისა.“¹

წარსულისა და საერთო ისტორიული მემსიერების როლს საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში ხაზს უსვამენ სხვა ავტორებიც. რამდენიმე წერილში საუბარია იმაზე, თუ როგორ ცოცხლობს აჭარისა და მესხეთის მკვიდრთა მემსიერებაში ცნობილი ქართველი მეფეების სახეები და რამხელა მნიშვნელობას ანიჭებენ ადგილობრივები მათ მოღვაწეობას:

„მთელს მესხეთში ისეა განთქმული თამარ მეფის სახელი, როგორც ჩვენში. იქ თამარს მიაწერენ ყოველს ძველს შენობას, ციხე-სიმაგრეებს, მშენიერ ხიდებს და ტაძრებს... ძველის წარსულის ცხოვრებისა სახელოვანი მეფეები ახსოვთ, თამარ დედოფლის სახელი როგორც სამზღვარ აქეთ მხარე ყველა სოფელში იციან, აგრეთვე აჭარაშიაც იციან. ერეკლე მეფეს თუმცა არ უმეფნია, სახელი კი გავარდნილი აქვს და ლექსებშიაც თურმე კი მოიხსენიებენ, რომელნიც ჩვენის მხრით გადასულა. მაგალითად ასპინძის ომზე.“²

წერილებში ხაზი აქვს გასმული ისტორიულ რეალობას და საუბარია იმაზე, რომ აჭარა და მესხეთი საუკუნეების განმავლობაში

¹ „ივერია“, 1877, № 9, გვ. 1.

² „ივერია“, 1877, № 13, გვ. 12.

საქართველოს ნაწილი იყო. ავტორები აღწერენ ისტორიულ ფაქტებს და ასაბუთებენ, რომ „ოსმალის საქართველო“ საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

ასევე საინტერესოა ოსმალის საქართველოსადმი მიძღვნილი სხვა წერილები. ერთ-ერთ პუბლიკაციაში ავტორი ეყრდნობა ნაშრომს „სამი თვე ოსმალის საქართველოში“, რომლის ავტორმაც 1873 წელს იმოგზაურა აჭარასა და მესხეთში და აღწერა იქაური ყოფა. აღწერილია ოსმალის საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი და ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც, ავტორის აზრით, „წმინდა ქართველები“ არიან:

„...მთელი ეს სივრცე, რომელსაც აქ გიხსენებთ, უჭირავს ქართველ ტომს. ეს ტომი მთელს კინტრიშსა და აჭარის ხეობაში წარმოგიდგენთ ნამდვილ გურულებს... აქ ყველა მოსახლენი წმინდა ქართველები არიან: აქ ვერ ნახავთ ვერც ურიას, ვერც სომეხს, ვერც ოსმალს, ვერც ბერძენს. აქ სუფევს გურული ენა, თუმც ამ ენას მცირედ შერეული აქვს ზოგიერთი ოსმალური სიტყვები. ჭოროხის ხეობის პირად, მარჯვნივ და მარცხნივ, ქართულივე ენაა ხმარებაში.“¹

ენა განიხილება, როგორც იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მარკერი და საზოგადოების კონსოლიდაციის საფუძველი. უცნობი მოგზაური ქართულ ენაზე მოსაუბრე აჭარელ ბავშვებს „ჩვენებს“ უწოდებს:

„...ამასთან მოჩანდა ხალხი – პატარა ბიჭები. იმათი წივილი და ჟღავილ-ჟღუვილი მოგვესმოდა. აჭარლები პირველადა ვნახე და ვფიქრობდი, ნუ თუ ერთმანეთს თათრულად ელაპარაკებიან? ნუ თუ საქართველოს არსება აჭარაში გაქარწყლდა? ბოლოს ახლოს მივედი და... ღმერთო და ბედო! თურმე ჩვენი ყოფილა, ჩვენი! ბალები ქართულად იგინებოდნენ...“²

გარდა ენისა, ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა საერთო კულტურა – ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, ყოველდღიური ცხოვრების წესი და ა. შ.

„ჩვეულება, ხალხის რწმუნება, ყოფა ცხოვრება იგივეა, რაც ქართლს-კახეთში. ძველი ეკლესიების პატივისცემა

¹ „ივერია“, 1877, № 11, გვ. 2.

² „ივერია“, 1877, № 15, გვ. 13.

და დღესასწაულების გადახდა, სამღვთოს შეწირვა ისევე დარჩენილა, რაც აქეთ არის. სარწმუნოებით ისინი მაჰმადიანები არიან, მაგრამ ჩვეულებით, ხასიათით და ენით დღესაც ქართველნი არიან თითქმის ყოველსფერში...“¹

დიდი ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მკვიდრთა ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების აღწერას. პუბლიკაციების მიზანი ინფორმაციის მაქსიმალური გავრცელება და ერთმანეთის შესახებ ცოდნის შექმნაა, რაც, როგორც ცნობილია, წარმოსახვითი საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ერის ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოების კონსოლიდაციასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია ჯერ კიდევ 1870-იანი წლების დასაწყისში ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე. ხაზგასმულია სისხლით, ანუ გენეტიკური ნათესაობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია თურქეთის იმპერიის, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებზე, მესხებზე. მათ ავტორი ძმებს უწოდებს და დახასიათებისას პირველ ადგილზე გენეტიკურ ერთიანობას აყენებს:

„ჩვენს ძმებსაც, სისხლით და ხორციით მონათესავე მესხელებს ანუ საათაბაგოში მცხოვრებლთ, რომელთა შორის, როგორც აქ დავრწმუნდი, წერა და კითხვაც იციან ქართული, მოსცეს სარგებლობა, ასე სარგებლობა, რომ შეიტყონ თავიანთი მამა-პაპანი ვინა ყოფილან და ან თვითონ ვისნი შთამომავლობანი არიან და ვის ტომს ეკუთვნიან, თუმცა ბნელად გაგონილი აქუსთ. ქართული წერა-კითხვა ძლიერ უყუართ.“²

ჩნდება ტერმინი „ქართველი-თათარი“, რომელიც გარკვეულ იდენტობას აღნიშნავს. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ოსმალეთის იმპერიაში, ისტორიული ზემო ქართლის, ანუ მესხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველები, რომლებიც მამა-პაპით ქართველები არიან და რჯულის შეცვლის გამო მათ ავტორი „ქართველ-თათრებს“ უწოდებს. აქ ხაზგასმულია მესხის ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება.

¹ „ივერია“, 1877, № 5, გვ. 11.

² „ცისკარი“, 1870, № 5 გვ. 58.

„ქართველ-თათრების სოფელში რომ გაიაროს კაცმა, ნახავს ზოგიერთ ალავს ეკლესიას, რომელიც გადაუკეთებიათ მეჩეთად...“¹

„მაჰმადის სარწმუნოება აქ შემოუტანიათ ოსმალოებს, მაგრამ ეს ქართველი-თათრები [ეკლესიას — ი.ჩ.] ისე სასოებით ექცევიან, რომ ვერ შეუძლია მწყემსმა ახლოს საქონელი გაატაროს... ქართულ-თათრებს ვკითხე რა ეკლესია არისო და მიპასუხეს ანდრიას საყდარიო“²

„მინამ დავსწერდით რამეს კიდევ ამ შესანიშნავ მონასტრებზედ, მესხეთში, ანუ საათაბაგოში, უნდა გვეთქუა რამ ქართულ-თათრებ-მესხელების ჩვეულებაზედ.“³

აჭარელ მუსლიმებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, საყურადღებოა „ივერიაში“ 1885 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სადაც წერილის ავტორი აჭარლებს ისეთივე ქართველებად მოიხსენიებს, როგორც ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველობას. აღნიშნული პუბლიკაცია არის პასუხი „დროების“ ფურცლებზე აჭარელი ბეგების მიერ გამოქვეყნებულ სამადლობელ წერილზე:

„ვერ მოგვითმენია, რომ ჩვენი უგულითადესი სიხარული არ გამოვაცხადოთ იმ გრძნობით გამთბარის წერილის გამო, რომელიც დაბეჭდილი იყო „დროებაში“ ბათუმის ბეგების სახელითა. თქვენი ძმები ვართო, იწერებიან იგინი. ძმები ყოფილხართ და ძმები ხართ, თუმცა კი აქამომდე ერთმანეთს დაშორებულნი ვიყავით. ქართველის გულს თქვენ – ჩვენივე სისხლიდახორცი ქართველნი – თავისდღეშიარდაჰვიწყებხართ და ეხლა სჰჩანს, რომ არც თქვენს გულს ვყოლივართ ჩვენ დავინწყებულნი...“⁴

საზოგადოების რეინტეგრაციისა და კონსოლიდაციის საკითხი აქტუალური იყო 1900-იანი წლების ქართულ პრესაშიც. ქართველი მუსლიმების, აჭარლების, ინტეგრაციის პრობლემის განხილვისას იკვეთება სარწმუნოებრივი და ეთნიკური ასპექტები. სრულიად

¹ „ცისკარი“, 1870, № 5, გვ. 150.

² „ცისკარი“, 1870, № 5, გვ. 139.

³ „ცისკარი“, 1870, № 5, გვ. 140.

⁴ „ივერია“ 1885, № 6, გვ. 115.

ქართველობა ჩართულია იმ საქმეში, რასაც აჭარის დედასამშობლოში დაბრუნება ჰქვია. ამ საკითხზე იბეჭდება აპ. წულუკიძის მიერ შედგენილი „ძმური სიტყვა,“ რომელიც ეძღვნება ქართველ მუსლიმებს და წიგნის გაყიდვებით მიღებული შემოსავალი აჭარლების სასარგებლოდ გადაეცემა ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებას.¹ აჭარის ქართველ მაჰმადიანებს ეხმარებიან ასევე ტუაფსეში მცხოვრები ქართველები² და „დამშეული გურიის გლეხობა“, რომელიც უგზავნის 13. 25 კაპიკს,³ აგრეთვე მარტყოფის (კახეთი) სამკითხველო გამგეობა.⁴

ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აჭარლები მსოფლიო ომმა დააზარალა და ახლა მათ ხელის გამართვა ჭირდებათ. მათმა ნაწილმა სახლ-კარი მიატოვა და უგზო-უკვლოდ აქეთ-იქით გადაიხვეწა. ეს დახმარება კი მათ ქართველი ხალხის სხვადასხვა კულტურულმა საზოგადოებამ უნდა გაუწიოს. აჭარაში უნდა გავრცელდეს სულიერი კულტურა.⁵ ამისათვის მზად არის ადგილობრივი მოსახლეობა. იხსნება ხუთი ახალი სკოლა და თხოულობენ საღამოს კურსებს. იზრდება მოთხოვნა ქართულ წერა-კითხვაზე: „შესულიყო საყავეში არა აჭარელი, გაზეთი ამოეღო და კითხვას შესდგომოდა, გარდა იმისა, რომ მკითხველს ვერ იშოვიდა, დაცინვასაც კი მოჰკრავდა ყურს; ახლა კი შედით საყავეში და ამოიღეთ გაზეთი და აუარება ხალხი გარს შემოგეხვევათ და გაიგონებთ საერთო ხვეწნას: წაგვიკითხე, წაგვიკითხე.“ აღნიშნულია, რომ გუშინ სიტყვა ქართველი საღამოდავ სიტყვად მიაჩნდათ, ახლა კი სწავლა-განათლება ხელს უწყობს მათ გათვითცნობიერებას.⁶

საინტერესოა აჭარლების ლინგვისტური და სარწმუნოებრივი ასპექტების ურთიერთმიმართება. აჭარლების დღიური ლოცვები არაბული სიტყვებით, მაგრამ ქართული ასოებით არის დაბეჭდილი. განმარტებულია ამ თავისებურების მიზეზიც: „ესენი ქართულ ანბანს ადვილად სწავლობენ და ამ საშუალებით ლოცვებსაც ადვილად

¹ „თანამედროვე აზრი“, 1915, № 198.

² „თანამედროვე აზრი“, 1915, № 56.

³ „თანამედროვე აზრი“, 1915, № 60.

⁴ „თანამედროვე აზრი“, 1915, № 103.

⁵ „თანამედროვე აზრი“, 1915, № 121.

⁶ „თანამედროვე აზრი“, 1915, № 87.

კითხულობენ. ეს გარემოება კი მათში ადვილად ავრცელებს წერა-კითხვას.“¹

აჭარასთან და აჭარლებთან მიმართებაში წინ წამოწეულია საკითხები: როდის გაჩნდნენ ქართველი მაჰმადიანები, ქართველი მოლები, ხოჯები და ყადები; როდის და როგორ იწყება მაჰმადიანთა სწავლა-განათლების საქმე, რა წესები არსებობს მათ სკოლებში და როგორი საერო და სასულიერო სასწავლებლები არსებობს.²

სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობა და ქართველი ხალხის ყურადღება მსწრაფლ შეამჩნიეს აჭარაში. გვხვდება წერილი ქვემო აჭარის სოფელ ქედადან, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა აღფრთოვანებულია ქართველი მოძმე ქრისტიანების მხრიდან ხელის გამართვით და გვერდში დგომით. აღნიშნულია, რომ ეს თანაგრძნობა ამ ორ ჯგუფს უფრო შეაკავშირებს, ამიტომ ისინი [აჭარლები] „თქვენსკენ იცქირება და თქვენი მლოცველია, თქვენგან მოელის ხსნას“.³ ამ კავშირს კი ადრე წერა-კითხვის უცოდინრობა ახშობდა, დასძენს ავტორი.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ სტატიას უძღვნის აჭარის საკითხს, სადაც განხილულია, ერთი მხრივ, ქართველ ფედერალისტთა და, მეორე მხრივ, თურქ რადიკალ-ნაციონალისტთა გაზეთის – „აჩიგსოზ“ – სტატიები. აღნიშნულია, რომ ორივე *მებრძოლი ნაციონალიზმის* ტალღაზე დგას, გამარჯვება კი დემოკრატიას – ერთა თვითგამორკვევას უნდა დარჩეს.⁴ გაზეთი „სახალხო ფურცელი“ შენიშნავს: „სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო ერთი საქართველოა, სხვადასხვა სარწმუნოების ქართველები ერთი დედის შვილნი არიან.“⁵ „სახალხო ფურცელი“ ეპაექრება „თანამედროვე აზრს“, რომელიც აღიარებს, რომ რეგიონის ქართველებს ნაციონალური ცნობიერება შეეცვალათ და მათ მიმართ გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ კულტურული ზეგავლენა და არა ძალდატანება: „თუ სამაჰმადიანო საქართველოში ქართველები არ არიან, რა უფლების ძალით გინდათ იქ კულტურული მუშაობა გააჩალოთ?“⁶ ამგვარად, კარგად ჩანს, რომ იმ პერიოდის საქართველოში

¹ „თანამედროვე აზრი“, 1915, № 56.

² იქვე.

³ „თანამედროვე აზრი“, 1915, № 68.

⁴ „თანამედროვე აზრი“ 1916, № 28.

⁵ „თანამედროვე აზრი“, 1916, № 23.

⁶ „თანამედროვე აზრი“, 1916, № 25.

დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ ეთნიკურად ქართველ, მაგრამ სარწმუნოებრივი განსხვავების გამო ხასიათშეცვლილ აჭარლებთან ურთიერთობას.

ხალხის ერთიანობასა და საზოგადოებრივი კონსენსუსის აუცილებლობაზე საუბარი ჟურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „აღზრდა ერისა“. ავტორი ივანე როსტომაშვილი მიიჩნევს, რომ, ბავშვის მსგავსად, საზოგადოებასაც ესაჭიროება აღზრდა და განვითარება. მისი აზრით, ხშირად ვსაუბრობთ, თუ რა ცუდ მდგომარეობაშია ქართველი ხალხი, როგორ არის დაცემული და განადგურებული, თუმცა ამის მიზეზს არ ვკითხულობთ. პუბლიცისტი თვლის, რომ ამის უმთავრესი საფუძველი საკუთარი ხალხის აღზრდასა და ჩამოყალიბებაზე ზრუნვის ნაკლებობაა, აუცილებელია საზოგადოებაში სრული თანხმობა იყოს განვითარების ფუნდამენტურ პრინციპებზე.

„საჭიროა, რომ ჩვენში ხალხმა ერთი გარკვეული და ნათელი აზრი და შეხედულება იქონიოს თავისი ყოფა-ცხოვრების გაუკეთესების პირობებზე და საშუალებებზე, რათა ჩვენი ყოველი საზოგადო ქმედება ამ მხრათ იყოს ერთ სულ და ერთ ხორც.“¹

ივანე როსტომაშვილი ფუნდამენტურ საკითხებზე საზოგადოების თანხმობის მიღწევის უპირველეს პირობად კომუნიკაციის გაზრდას და საერთო საჭიროებებისთვის ერთიან მოქმედებას მიიჩნევს. ქვეყნის წარმატებისთვის აუცილებელია „გახსნა და განვითარება ხალხში იმ მიდრეკილებისა, რომელსაც მეცნიერნი ეძახიან მიდრეკილებას ურთიერთთადმი, ე. ი. სხვებთან ერთად ცხოვრებასა და მოქმედებისადმი;“² სადაც ხალხი გახსნილია ურთიერთობისათვის, იქ წარმატება მეტია, სადაც არა — მომავლის პერსპექტივა არ არსებობს.

„ოსმალის საქართველოსთან“ დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ცნობილი მოღვაწის, მუსლიმი ქართველის მემედ აბაშიძის შეხედულებები. იგი აჭარელი ქართველების ლიდერი იყო მაშინ, როდესაც ყველაზე მწვავედ იდგა „ოსმალის საქართველოს“ ერთიან ქართულ სივრცეში ინტეგრაციის საკითხი. მისი პუბლიცისტური ნერილების თუ საჯარო გამოსვლების დიდი ნაწილი სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება.

¹ „მოგზაური“ 1903, № 11, გვ. 795.

² იქვე.

1905 წლის 10 ივნისს, „მაჰმადიანების და ქართველების“ კრებაზე სიტყვით გამოსვლისას, მემედ აბაშიძე აღნიშნავდა, რომ რელიგიურმა სხვაობამ არ შეიძლება ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი შეაფერხოს: „ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ. ჩვენ დაკავშირებული ვართ თათრებთან სარწმუნოებით და ქართველებთან ეროვნებით...“ მისი სიტყვით, ქართველთა და მაჰმადიანთა შეკრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან გამოხატავდა მუსლიმი ქართველების მტკიცე კავშირს როგორც ქრისტიან ქართველებთან, ასევე „თათრებთან“. „ბედნიერი ვარ, ვხედავ რა, რომ ასეთივე ერთობა და მჭიდრო კავშირი აქვთ ჩემს თანამოძმე ქართველებს სხვა მაჰმადიანებთანაც. დღევანდელი კრება და აქ წარმოთქმული სიტყვები ამის უტყუარი დასტურია,“¹ ამბობდა მემედ აბაშიძე.

წერილში „დედა-ენა“ და სამაჰმადიანო საქართველო“ მემედ აბაშიძე საუბრობდა „დედა-ენის“ სახელმძღვანელოს მნიშვნელობაზე მუსლიმი ქართველებისთვის. ავტორის აზრით, ენა ის საძირკველი იყო, რომელზეც საქართველოს ეროვნული მთლიანობა უნდა აშენებულიყო. ეროვნულ-პოლიტიკური ერთობის აღდგენა როგორც ქრისტიანი, ასევე მუსლიმი ქართველების საერთო მიზანი გახლდათ. ამავე დროს, მემედ აბაშიძე აკრიტიკებდა შედგენილ სახელმძღვანელოს იმის გამო, რომ მასში გათვალისწინებული არ იყო ადგილობრივი თავისებურებები: „სამუსულმანო საქართველოში“ ისლამი განსაკუთრებით ძლიერია, ამიტომ, გაუგებრობისა და უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, ასევე შედეგის მისაღწევად, აუცილებელია ამ გარემოების გათვალისწინება და ენის სწავლების სწორი ტაქტიკის შერჩევაო, წერდა იგი. მ. აბაშიძის აზრით, „დედა-ენაში“ გამოყენებული ბევრი სიტყვა სრულიად უცნობი იყო მუსლიმი ქართველებისთვის, ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით უნდა ყოფილიყო შერჩეული საკუთარი სახელებიც, მაგალითად, სახელ „მაროს“ ნაცვლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო „მარიამი, ბეჰრა, აიშე“ და სხვა. აბაშიძე მოითხოვდა, რომ სახელმძღვანელოში, ქრისტიანული ლოცვის ნაცვლად, ისლამის წესების გათვალისწინებით შედგენილი ლოცვის რიტუალი უნდა ყოფილიყო შეტანილი. ასევე, სახელმძღვანელოდან უნდა ამოეღოთ

¹ „ივერია“, 1905, № 98, გვ. 4.

სხეულის ნაწილები, რომელთა შიშვლად ჩვენება „შერიეთის“ (შარიათის) კანონებით იყო აკრძალული. თუ მსგავსი გარემოებები გათვალისწინებული იქნება, ეს „განუდევნის მკითხველს შიშსა, განუწმინდებს გონებაში გატარებულ ყოველგვარ ეჭვს, მიემატება მშობლიური ენის შეთვისების ხალისი და შეიქმნება ჭეშმარიტი ღვიძლი შვილი თავისი მთავრებული დედა-ქვეყნისა,“¹ წერდა მ. აბაშიძე.

ქართველი ხალხის ნაციონალური კონსოლიდაციის თვალსაზრისით, საყურადღებოა მემედ აბაშიძის წერილი „მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების სულიერი ერთობა“. აბაშიძე იხსენებდა იმ დროს, როდესაც გურულები, მეგრელები და აჭარლები ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებული და აღნიშნავდა, რომ დღეს ვითარება შეიცვალა და „შეუგნებლობის მძლავრი კედელი, რომელიც ჩვენს შორის იყო აგებული, ეროვნული შემეცნების დიადი ისრით იქნა დაცხრილული.“² ამის დასტურად იგი შემდეგ ფაქტს ასახელებდა: აჭარას ესტუმრა ოზურგეთის მაზრის სოფელ ქაქუთის დეპუტაცია, რომელშიც შედიოდნენ მღვდელი ს. შავიშვილი, მეჩეთის მოლა ალი-ფეენდი ვარშანიძე, გერასიმე რამიშვილი და მემედ-ალა მეგრელაძე. დელეგაციის მიზანი იყო, ეთხოვათ ქართული დანესებულებებისთვის ქართული სკოლის შენობის გაფართოება და დედა-ენის გავრცელება. მემედ აბაშიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ სარწმუნოებით დაშორებული ქართველები საერთო ეროვნული მიზნისთვის ერთად იღვწოდნენ; „მაჰმადიან ძმებს დიდიდან პატარამდე, ქრისტიანმა ქართველობამ ძმური ნუგეშის ხელი გაუწოდა და შეძლებისდაგვარად შესაფერისი დახმარება აღმოუჩინა.“³

მ. აბაშიძე, ერთი მხრივ, დიდ ძალისხმევას იჩენდა მუსლიმ და ქრისტიან ქართველთა ეროვნული ერთიანობისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, მკაცრად იცავდა „სამუსულმანო საქართველოს“ მკვიდრთა რელიგიურ იდენტობას. წერილში „სარწმუნოება და ეროვნება“ ავტორი აკრიტიკებდა ისლამის ქართულ ენაზე სწავლებისა და ქადაგების ინიციატივას, რადგან მიაჩნდა, რომ ამისთვის დრო ჯერ არ იყო

¹ აბაშიძე, მემედ. „დედა-ენა“ და სამაჰმადიანო საქართველო. *თხზულებანი*. გამომცემლობა „სახალხო წიგნი“. თბილისი 1998, გვ. 70.

² აბაშიძე, მემედ. მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების სულიერი ერთობა. *თხზულებანი*. გამომცემლობა „სახალხო წიგნი“. თბილისი, 1998, გვ. 71.

³ იქვე, გვ. 72.

მომნიფებული. მსგავსი ინიციატივა მისასაღმებელია, თუმცა დროზე ადრე მისმა განხორციელებამ შეიძლება არასახარბიელო შედეგები მოიტანოსო, ფიქრობდა იგი: „ღმერთი შეგიძლია ყველა ენაზე ადიდო, მაგრამ ის ხალხი, რომელიც გუშინ იძახდა გურჯი ვარო და ქართველი არაო და ეს უბრალო სიტყვა (გურჯი), ქართულად ნათარგმნი, დიდ ცოდვად მიაჩნდა და თავის თავს ქართველად ვერ იწოდებდა, საღვთო წიგნების თარგმანს სრულებით ვერ შეურიგდება.“¹

რასაკვირველია, ისლამური საღვთო ლიტურგიის ქართულ ენაზე აღსრულება შესაძლებელი იყო, თუმცა ამაზე საუბარი აბაშიძეს ნაადრევად მიაჩნდა, რადგან რელიგიური ლიტერატურა ქართულ ენაზე არ არსებობდა.

„ყოველი ძალა და ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ გამოვზარდოთ ისეთი შვილები, რომლებიც შესძლებენ სარწმუნოებრივ საკითხების მაჰმადის მოძღვრებითგან ქართულ ენაზე გადმოთარგმნას. თორემ ეს კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ სხვა რომელიმე მოდგმის ხალხი – არც ჩინელი მუსულმანი და არც სტამბოლელი თურქი – არ გადმოგვითარგმნის ქართველ მაჰმადიანებს.“²

მემედ აბაშიძის შეხედულებით, მუსლიმი მხოლოდ მაშინ განიცდის სრულ სულიერ კმაყოფილებას, როდესაც ყურანს არაბულ ენაზე კითხულობს. მას ვერაფრით დაარწმუნებ, რომ ეს საღვთო წიგნი შეიძლება სხვა ენაზეც იყოს თარგმნილი. ნათარგმნი წიგნი მისთვის საღვთო მნიშვნელობას დაკარგავს. მას მოჰყავდა საჯავახოს სკოლის მაგალითი, სადაც, ჯვრის გვერდით, საპატიო ადგილი დაუთმეს ყურანს. ამ ფაქტმა ქართველი მუსლიმების დიდი სიხარული და ქრისტიანებისადმი ნდობის გაჩენა გამოიწვია. იმ შემთხვევაში, თუ ჯვრის გვერდით ნათარგმნი ყურანს მოათავსებდნენ, აბაშიძის აზრით, ეს მუსლიმების უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

მემედ აბაშიძე მკაფიოდ მიჯნავდა ერთმანეთისგან ეთნიკურ და რელიგიურ მიკუთვნებულობას: „ეროვნებას სარწმუნოებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. თუ ეროვნებას და სარწმუნოებას არ გავაცალკევებთ, მტრებს მასალას მივცემთ, რომ უვიც ხალხში

¹ აბაშიძე, მემედ. მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების სულიერი ერთობა, გვ. 102.

² იქვე, გვ. 105.

სხვადასხვანაირად გაავრცელონ თავისი ბოროტი სულისკვეთება“.¹ აბაშიძე ასახელებდა ალბანეთის მაგალითს, რომელიც, თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად, ერთმორწმუნე ოსმალებს დაუპირისპირდა.

ამრიგად, როგორც დავინახეთ ქართველი ხალხის კულტურულ და ტერიტორიულ ინტეგრაციაზე მსჯელობის დროს აქცენტი, ძირითადად, საქართველოს იმ ნაწილებზე კეთდებოდა, რომლებიც 1878 წლამდე ოსმალების იმპერიის შემადგენლობაში იყო და რომლის მოსახლეობაც სამი საუკუნის განმავლობაში თითქმის სრულად იყო მონყვეტილი ქართულ რეალობას. „ოსმალოს ქართველების“ საქართველოს წიაღში დაბრუნება და ქართული საზოგადოების ორგანულ ნაწილად ქცევა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ქართული ინტელექტუალური ელიტის უმთავრესი საზრუნავი იყო და ქართული იდენტობის ნარატივის ფორმირების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ქმნიდა.

2.2.2. იდენტობის ფორმირება და მიმართება „სხვასთან“. საკუთარი თავის ძიება (თვითიდენტიფიკაცია)

იდენტობის ფორმირება, ძირითადად, სხვასთან შეპირისპირების/შედარების საფუძველზე ხდება. ეს ნათლად ჩანს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქართველი ინტელექტუალები, საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, წარსულს იშველიებენ. ისტორიის პრობლემური საკითხების განხილვა, მის საფუძველზე საკუთარი ვინაობის გარკვევა თუ მომავლის ხედვის ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის მინურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

„სხვებთან“ მიმართების თვალსაზრისით, საინტერესოა „ივერიის“ რუბრიკა „უცხოეთი“. 1877 წლის პირველ ნომერში დასაბუთებულია ამ რუბრიკის მნიშვნელობა, ხაზგასმულია უცხო ხალხების ცხოვრებასა და მდგომარეობაზე ინფორმაციის ქონის აუცილებლობა:

„როგორც ადამიანისათვის ცალკე, ისე საზოგადოებისთვის საერთოდ, სხვისი მაგალითი დიდი რამ არის. ცუდი თუ კარგი,

¹ აბაშიძე, მემედ. მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების სულიერი ერთობა, გვ. 103.

ორივ გამოსაყენებელია, ცუდს ავიცდენთ, კარგს მივითვისებთ. აქედან სჩანს, რომ ყოველმა გაზეთმა ანუ ჟურნალმა უნდა შესაბამისი ადგილი მისცეს და ღირსეული ყურადღება მიაქციოს უცხო ხალხთა ცხოვრებას და მდგომარეობას, თუ სურს სხვისი მაგალითით თვით-ცნობა გაუადვილოს საზოგადოებას, ბედნიერების გზა აპოვნინოს, უბედურების მიზეზნი მოასპობინოს, იმიტომ, რომ ყოველ ამისათვის მაგალითი და ცნობანი სხვათა ცხოვრებაში აუარებელია.“¹

„სხვადა“, რომლის მაგალითით და რომელთან შეპირისპირებითაც ქართველი ინტელექტუალები „საზოგადოების თვით-ცნობის გაადვილებას“ ცდილობდნენ, ხშირ შემთხვევაში, სომხები გვევლინებოდნენ.

1881 წლის „ივერიის“ მე-7 ნომერში აღნიშნულია, რომ სომხობამ „ყველგან შეადგინა მჭიდრო საზოგადოება, როგორც ერთი ეკლესიის შვილთა ძმობა, სამრევლო. აიშენა ეკლესია, თავის სულიერი იმედის მიმცემი და შემართებელი, შექმნა სამრევლო სკოლა და გამართა სტამბა. დაიწყეს ჟურნალ გაზეთების გამოშვება, თარგმნეს და დაბეჭდეს თავისი მწერლობის ძველი და ახალი წიგნები. შვილებს ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში გზავნიან და მათი შემწეობით აცნობენ თავს ევროპას და დედა ქვეყნის ყურადღება მიაპყრობინეს.“²

სომხებისადმი ქართველების დამოკიდებულების თვალსაზრისით, საინტერესოა „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილი, სადაც გადმოცემულია ფრანგი „მსოფლიო მოგზაურის“ დელაპორტის (1768 წელს იმოგზაურა საქართველოში) შეხედულებები ქართველებზე:

„...[ქართველი] მამაკაცები არიან ამაყნი და ამპარტავანნი და ისე სძულთ სომხები, როგორც ჩვენ ურიები. რადგანაც სომეხნი კადრულობენ ყოველ-გვარს დაბალ საქმეს, ოღონდ კი ფულით გამორჩენა შეძლონ, თუ კარგად გავსინჯავთ, არაერთს მსგავსებას ვიპოვნით ქართველთა და ფრანცუზთა შორისა...“³

1884 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში „სომხეთისა და საქართველოს დამოკიდებულება ვიზანტიასთან“ ავტორი მიმოიხილავს ცნობილი დასავლელი მოაზროვნეების ნაშრომებს საქართველოსა

¹ „ივერია“, 1877, № 1, გვ. 8.

² „ივერია“, 1881, № 7.

³ „ივერია“, 1881, № 8.

და სომხეთის ისტორიის შესახებ. მისი აზრით, ამ ნაშრომებში ბევრი ლაფსუსი და უზუსტობაა, რისი უმთავრესი მიზეზიც ის არის,

„თუ ვინ რა სისტემას მისდევს ისტორიის შესწავლაში. თვით ძლიერი და ფრთხილი გონებაც ვერაფერს გახდება, თუ რომ იგი, რომელსამე ხალხის ისტორიის შესწავლის დროს, შედარებითი მეტოდით არ აღიჭურვება. ეს მეტოდი განსაკუთრებით საჭიროა სომხეთისა და საქართველოს ისტორიის გარკვევის დროს, ე.ი. საჭიროა, რომ სომხეთისა და საქართველოს მატრიანენი ერთი-ერთმანეთის შედარებით იქმნენ შესწორებულნი. უამისოდ არც შეიძლება, რადგანაც საქართველოსა და სომხეთის ბედი თავდაპირველადვე ისე არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი, რომ მათის ცხოვრების მრავალთა მოვლენათა გამოკვლევა უიმისოდ არ შეიძლება, თუ ამ ორივე ქვეყნის ისტორია თანაბრად არ იქნება შესწავლული.“¹

„ივერიის“ რუბრიკაში „პროვინციალური წერილები“ საქართველოს რეგიონებში მიმდინარე მოვლენებია აღწერილი. ერთ-ერთი წერილი, რომელშიც კორესპონდენტი მკითხველს გორის მაზრის ამბებს მოუთხრობს, მნიშვნელოვანია როგორც საქართველოში მცხოვრებ არაქართველებთან, ასევე სხვადასხვა კუთხის ეთნიკურ ქართველებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. აქ სხვა სომეხი და ებრაელია (ურია), ოღონდ არა ზოგადად, არამედ ვაჭრები, რომლებსაც მძიმე დღეში ჩაუგდიათ ქართული მოსახლეობა. ვაჭრობის ეს სენი ქართველების ნაწილსაც, კერძოდ, იმერლებსაც გადასდებია, რომლებიც კიდევ უფრო უპატიოსნოდ იქცევიან:

„მამასისხლად განსყიდვა, ერთის მხრივ, სანონში ლალატი, მეორეთი, ჯიბეს უსქელებს ჩვენს ვაჭარ სომხებს, ყელი ქონით ევსებათ, უდარდელი, მცონარე ცხოვრებისაგან იბლინძებიან ჩვენის ხარჯით და ჩვენ კი ლამის გვერდებში სინათლე გაგვივიდეს.

ბატონებო, ამას ვილა მოიფიქრებდა, თუ ჩვენი ღვიძლები, ქართველები – იმერლები უარეს დღეს დაგვაყენებენ. ვაჭრობაში გაჩვეული იმერლები არამც თუ სომეხს და ურიას აჭარბებს, ჭირზედ უარესნი ყოფილან. ჯერ იმერული მელა რა ყოფილა და მერე ვაჭარი რა იყვეს. ხაბაზები სულ ისინი არიან. ისეთ პურს

¹ „ივერია“, 1884, № 2, გვ. 72.

აცხოვენ, ურიას რომ დაარტყა, სამჯერ წმინდაო ღმერთოს ათქმევინებს.¹

საინტერესოა გაზეთ „კლდეში“ 1912 წელს დაბეჭდილი სტატია „სომხები საქართველოში“. ავტორი მკაფიოდ განსაზღვრავს სომეხთა იმ ნაწილს, რომლებთანაც ქართველებს საკუთარი დამოკიდებულება აქვთ:

„როდესაც ქართველები სომხებზედ ლაპარაკობენ, სახეში ჰყავთ ის სომხები, რომლებიც საქართველოში მოსახლეობენ. არამც თუ შორეული ადგილების სომხები, თვით მოსაზღვრე განჯის გუბერნიის სომხებიც კი არ შედიან დამოკიდებულების იმ სფეროში, რომელსაც ქართველ-სომეხთა ურთიერთობა ჰქვია. აქედან ცხადია, რა უსამართლოა ის აზრი, როდესაც ჩვენ საზოგადოდ სომხების სიძულვილს გვიკიჟინებენ.“²

ავტორი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს ქართველთა და სომეხთა უფლებები საქართველოში, რაც ურთიერთობის მონესრიგების საწინდარი გახდება. „საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა უნდა შეიგნონ ის აზრი, რომ საქართველოში პირველობა ქართველებს ეკუთვნით;“³ გაბატონებული ინტერესი ქართული ინტერესი უნდა იყოს, რადგან ეს საქართველოს მინა-წყალია. პუბლიცისტის აზრით, ეს მიდგომა არ შეიცავს ქსენოფობიის ნიშნებს და იგი ნებისმიერი განვითარებული ერისთვის მისაღები იქნება. თვით ერთა თანასწორობის უკეთილშობილესი თეორიაც კი მას ვერანაირ წუნს ვერ უპოვის. თუმცა, სამწუხაროდ, სომხებს საქართველოში ისეთივე ინტერესები აქვთ, როგორც ქართველებს და ამ ინტერესების დაპირისპირება განაპირობებს იმ ნეგატიურ შედეგებს, რომლებიც ხშირია ქართველ-სომეხთა ურთიერთობაში.

როგორც ვხედავთ, ამ პუბლიკაციების მიხედვით, სომხები გვევლინებიან იმ სხვად, რომელთან მიმართებაში ქართველები საკუთარ ვინაობას განსაზღვრავენ. ამის მიზეზი საქართველოს ქალაქებში იმ დროს მიმდინარე პროცესებში იძებნება, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. ზოგიერთ წერილში ჩანს დაპირისპირების ნიშნები, ზოგან პათოსი უფრო ტოლერანტულია. ნათელია ინტელექტუალების

¹ „ივერია“, 1877, № 6, გვ. 10.

² „კლდე“, 1912, № 8.

³ იქვე.

მცდელობა, რომ ქართული იდენტობა, ქართველების ფუნქცია და მომავალი მკაფიოდ განისაზღვროს, ასევე შემოიფარგლოს ის ტერიტორიული, კულტურული თუ პოლიტიკური საზღვრები, სადაც ქართველთა უფლებები წარმმართველი უნდა იყოს.

საკვლევო პერიოდში გვხვდება პუბლიკაციები, რომლებიც ნათლად მიუთითებს საკუთარი თავის ძიებაზე. წინა პლანზე იწევს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ყოფა-ცხოვრებასთან, ზნე-ჩვეულებებთან, კულტურასთან, ქართული საზოგადოების დადებით და უარყოფით მახასიათებელთა წარმოჩენასთან.

განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილი „ქვათა ღალადი“, რომელიც „ივერიაში“ 1899 წელს გამოქვეყნდა. ილიას ეს პუბლიკაცია ქართული ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებისთვის ბრძოლისა და სხვასთან შეპირისპირების მაგალითია. ილია მკაცრად ამხელს სომეხ სწავლულთა იმ ნაწილს, რომელთაც საქართველოს ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და ტერიტორიების დასაკუთრება დაუსახავთ მიზნად. იგი მიიჩნევს, რომ სომეხი მეცნიერები

„გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას, და რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც. ჩვენს ისტორიულს მატთანებებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა.“¹

წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მსაზღვრელი, რომელსაც ქართული ეთნიკური იდენტობა უნდა დაეყრდნოს, ისტორიაა, წარსული, რომელიც წინაპრებმა შემოგვინახეს და რომელსაც გვეცილებიან. ილიას აზრით, „ბრძოლაში“, რომელიც წარსულისათვის მიმდინარეობს, უპირატესობა სომეხებს აქვთ, მათ უკვე ევროპაშიც გაუტეხეს ქართველებს სახელი.

მიუხედავად ამკარად ეთნიკური ხასიათისა და სხვა ჯგუფთან დაპირისპირებისა, წერილში ვლინდება შემწყნარებლური ტენდენციებიც და მშვიდობიანი, ერთმანეთის პატივისცემაზე დამყარებული თანაცხოვრების სურვილი. „ერი, როგორც კრებული ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანისა და ჭკუათმყოფელ

¹ ჭავჭავაძე, ილია. „ქვათა ღალადი“. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. 5. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1987, გვ. 22.

ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება — სათაკილო საქციელია“,¹ წერს ილია და აღნიშნავს, რომ მისი მიზანი არ არის მთელი სომეხი ერის კრიტიკა, იგი მიუთითებს მხოლოდ ცალკეული სომეხი სწავლულების არაობიექტურსა და ხშირად მტრულ დამოკიდებულებაზე ქართული საზოგადოებისა და მისი ისტორიის მიმართ. ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის აუცილებლობას ილია წარსულზე დაყრდნობით ასაბუთებს. როდესაც სომხეთს უჭირდა, მაშინ საქართველოს საქმეც არ იყო კარგად, ასევე საქართველოც მუდამ სომხეთის დამცველი და ფარი იყო, აღნიშნავს იგი. „ჩვენ, ბევრი გვექონდა თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით,“ — დასძენს ილია წერილის დასასრულს.²

აღსანიშნავია, რომ „ივერიაში“ დაიბეჭდა გერმანელი მწერლისა და პუბლიცისტის, იმ დროს საქართველოში მოღვაწე არტურ ლაისტის წერილი ქართველების შესახებ, სადაც ავტორი არაერთ მნიშვნელოვან პრობლემას განიხილავდა. როგორც ჩანს, რედაქციას აინტერესებდა უცხოელის თვალთ ალქმული რეალობა, როგორც ერთგვარი „სარკე“ საკუთარი თავის „გარედან“ დასანახად.

ლაისტი მიუთითებს საქართველოში მეურნეობის სხვადასხვა დარგის ჩამორჩენილობაზე, ქართველთა სიზარმაცეზე, რაც კარგად ჩანს, თუ მათ კარ-მიდამოს და ყოველდღიურ ყოფას შევხედავთ. ავტორი საჭიროდ მიიჩნევს მეცნიერების განვითარებას და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნას:

„თუ რომელისიმე ერს უნდა თანამედროვე მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს და ან ესმოდეს, უეჭველად უნდა სთარგმნოს ხოლმე ისეთი სამეცნიერო ნაწარმოებნი, რომლებიც თვით ერს ვერ შეუქმნია თავის ენაზე, თუმცა ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ თვით ერი არა სცდილობს თავისით შექმნას სამეცნიერო თხზულებანი, განვითარება იმ ერისა იქნება მხოლოდ ზერელი, არა მტკიცე...“³

¹ ჭავჭავაძე, ილია. „ქვათა ღაღადი“. *რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად*. ტ. 5. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1987, გვ. 23.

² იქვე, გვ. 101.

³ „ივერია“, 1905, № 133.

ლაისტი აღნიშნავს საქართველოში სიტყვაკაზმული მწერლობისა და პუბლიცისტიკის განვითარებას, თუმცა მას არასაკმარისად მიიჩნევს. ავტორის შეხედულებით, მე-19 საუკუნის ლიტერატურისგან განსხვავებით, მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში „არ მოიპოვება თავისებური ლალი, ქართველური ელფერი... შეიძლება ვსცდებოდე, მაგრამ ვეჭვობ, რომ მათში ქართველური მე გამოკრთოდეს...“¹ მწერალი ასკვნის, რომ „ქართველთა კულტურის ასამაღლებლად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ქართველურ „მე“-ს ყოველმხრივი შესწავლა, მის ღირსება-ნაკლულოვანებით. მხოლოდ მაშინ მიეცემა მწერლობასა და ხელოვნებას თავისებური ხასიათი, მხოლოდ მაშინ იქმნება იგი ნამდვილი სარკე ქართველთა ცხოვრებისა.“²

არტურ ლაისტი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოში არსებულ კუთხურ სხვაობებს. მისი შეხედულებით, „ქართლელნი და კახელნი, თავიანთ დასავლეთელ მოძმეებთან შედარებით, უფრო უმოძრავნი არიან, საქმეში თაოსნობა არ იციან“. ეს თვისებები სპარსეთის კულტურულ გავლენას მიენერება, თუმცა ლაისტი თვლის, რომ არ შეიძლება სპარსეთისთვის მხოლოდ უარყოფითი გავლენის მინერა, რადგან „ფირდოუსის, საადის და რუმის სამშობლომ ბევრი სასარგებლო კულტურული განძი შესძინა მათ.“³

ძალიან საინტერესოა ამავე პერიოდში „ივერიაში“ გამოქვეყნებული ფელეტონი „რა არის კულტურა?“ ნერილის დასაწყისში ავტორი ეხება კულტურის დეფინიციის საკითხს და მოკლედ მიმოიხილავს ცნების გარშემო არსებულ ძირითად შეხედულებებს. მათი შეჯამების შედეგად, იგი გამოყოფს კულტურის ორგვარ გაგებას:

1. *კულტურა არის ცხოვრების განვითარების გარკვეული ეტაპი, მაშასადამე, ვისაც ამ ეტაპამდე არ მიუღწევია, უკულტუროა.*
2. *კულტურა არის ხალხის „ცხოვრების გამომხატველი“, განვითარების რომელ წერტილზეც არ უნდა იდგეს იგი.*

ნერილის ავტორი პირველ გაგებას ემხრობა და გვთავაზობს დასკვნას, სადაც ნათლად ჩანს საზოგადოების განვითარებისა და კონსოლიდაციის პროცესში კულტურის როლის მისეული ხედვა:

¹ „ივერია“, 1905, № 133.

² იქვე.

³ „ივერია“, 1903, № 137.

„კულტურის უმთავრესი დანიშნულებაა პროგრესი, ესე იგი დაუსრულებელი მისწრაფება ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, რა მხრივაც უნდა ავილოთ იგი ცხოვრება. ამ მიზნის მისაღწევად კი ხალხის „საზოგადო ნება“ და „საზოგადო შემეცნება“ უნდა იყოს შეგნებული და უნდა თანხმობით მიისწრაფოდეს ცხოვრების ამა თუ იმ დარგის განვითარებისკენ, ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, ესა თუ ის კულტურული მოძრაობა უნდა იყოს შედეგი უმრავლესობის ძალთა მოკრებისა. ხალხის „მნიშვნელოვანი ნაწილი“ კი არის ინტელიგენცია. ინტელიგენცია ასვამს თავისებურ ბეჭედს ხალხის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, აღორძინებს ლიტერატურასა და ხელოვნებას, იგი ხელს უწყობს ეროვნულ აზრის განვითარებასა. თუმცა ხალხი სხვადასხვა წევრებისაგან შედგება, მაგრამ ხალხსა აქვს საერთო აზრი, საერთო გულის თქმა, და აი, ამ საერთო გულის თქმით ხელმძღვანელობს ამა თუ იმ ხალხის ინტელიგენცია.“¹

ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ წერილში რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება იკვეთება. ავტორი მიუთითებს პროგრესზე, განვითარებაზე, უკეთესი მომავლის უზრუნველყოფაზე; ფელეტონში ნათლად ჩანს საერთო კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა და კულტურული ელიტის როლის გაცნობიერება. ამ საკითხებისადმი ინტერესი მე-19 საუკუნეში ერებისა და ნაციონალური იდენტობების ფორმირების პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია.

საინტერესოა არჩილ ჯორჯაძის პუბლიკაცია „ეროვნული საკითხის განმარტების გამო“. ჯორჯაძის სიტყვით, ვერც ერთ საზოგადოებაში ვერ შეხვდები ისეთ ბუნდოვან და გაურკვეველ შეხედულებას ეროვნებაზე, როგორიც ქართულ საზოგადოებაშია. იგი მიიჩნევს, რომ, მიუხედავად ბევრი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებისა, არსებობს ქართველთა ეროვნების განმსაზღვრელი ორი უმთავრესი კრიტერიუმი — ენა და ტერიტორია. მართალია, ტერიტორია იზრდებოდა და მცირდებოდა, ენაც მუდმივად განიცდიდა სხვადასხვა ზეგავლენას, მაგრამ ეს ორი რამ მაინც ეროვნების ძირითად მსაზღვრელად დარჩა. ავტორი წარმოგვიდგენს საკუთარ შეხედულებას იმაზე, თუ რა არის ერი:

¹ „ივერია“, 1905, № 155.

„მხოლოდ ის ხალხი ჩაითვლება ერად, რომელსაც აქვს თავის ხალხოსნობის შეგნება, თვითცნობიერება. მაშასადამე ერი თვითმცოდნე ხალხია, ეროვნება — შეგნება ნათესაობის და კავშირისა განსაზღვრულ ადამიანთა შორის.“¹

არჩილ ჯორჯაძე მიუთითებდა, რომ თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკურმა წინააღმდეგობამ და კლასთა ბრძოლამ ეროვნული ერთიანობა შეასუსტა. ამიტომ აუცილებელია ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა და ნაციონალურ კონსოლიდაციაზე ზრუნვა. „ერის ერთიანობა და განუყოფლობა უფრო მეტის კეთილდღეობის თავდება, ვიდრე მისი დანაწილება-დაქუცმაცება.“²

საყურადღებოა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნებული ივ. გომართელის წერილი „ქართველი ისრაელები“. შესავალ ნაწილში ავტორი ქართველთა ეროვნული ერთიანობის საკითხს პირველ მსოფლიო ომში განვითარებული პროცესების ფონზე აანალიზებს. იგი მიიჩნევს, რომ ომმა ქართველებს ერთი დიდი სარგებელი მოუტანა — ეროვნული თვითგამორკვევის გაღრმავება და გაფართოება. გომართელის აზრით, მწარე ისტორიულმა რეალობამ ქართველი ერი სარწმუნოებრივად დაყო და, რადგან ძველ დროში სარწმუნოება ნაციონალური იდენტობის უმთავრესი საფუძველი იყო, ამან ეროვნული ერთიანობის რღვევა გამოიწვია. საბედნიეროდ, დღეს ეს ასე აღარ არის: „დღეს თანდათან ფეხს იკიდებს ის ჭეშმარიტიაზრი, რომ სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა ეროვნულ ერთიანობას სრულად არ ეწინააღმდეგება. ქართველი ერის სარწმუნოებით სხვადასხვა ნაწილები ნელ-ნელა უბრუნდებიან თავის ერთადერთ დედას — საქართველოს.“³

ამრიგად, საკუთარი თავის ძიება და ნაციონალური თვითგამორკვევა ქართული ეთნიკური იდენტობის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. „თერგდალეულები“ პირველები იყვნენ, ვინც აქტიურად დაიწყო საუბარი ქართველი ხალხის როლზე, ადგილზე, წარსულისა თუ თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე, საზოგადოების დადებით და უარყოფით თვისებებზე. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა და განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა მე-20 საუკუნის დასაწყისში.

¹ ჯორჯაძე, არჩილ, ეროვნული საკითხის განმარტების გამო. <https://matiane.wordpress.com/2010/03/23/jorjadze-about-national-issue/>

² იქვე.

³ „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 39.

2.2.3. ქართული ენის პრობლემა

ენა იდენტობის ფორმირების ძირითადი საფუძველია. საერთო სალაპარაკო და სალიტერატურო ენა კრავს ეთნიკურ ჯგუფს, ქმნის ერთიან ნაციონალურ სივრცეს და მყარად აკავშირებს ერთმანეთთან ქვეყნის სხვადასხვა ნაწილს. ბენედიქტ ანდერსონის მიხედვით, სწორედ ენის საფუძველზე ყალიბდება „წარმოსახვითი საზოგადოება“, რომლის წევრები ერთ ენაზე ინფორმაციის გაცვლითა და კომუნიკაციით ხდებიან ერთი და იგივე ნაციონალური იდენტობის მატარებლები. მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ენის რეფორმირებამ, სალიტერატურო და სასაუბრო ენის დაახლოებამ ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში განმსაზღვრელი როლი ითამაშა. რუსიფიკატორული პოლიტიკის კვალდაკვალ, ენის დაცვა და გაძლიერება ქართველი ინტელექტუალების უმთავრეს საზრუნავად იქცა. ქართული ენის საშუალებით ხდებოდა ქართველთა ეთნიკური კონსოლიდაცია.

ქართულ პრესაში დიდი ყურადღება ეთმობა ქართული ენის საკითხს, აგრეთვე მისი სწავლების პრობლემას. ჟურნალ „ცისკარში“ ენა საერთო ეროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანეს მარკერადაა მიჩნეული:

„ეს არის შესანიშნავი, რომ ქართული ენა ისევ წმინდა და შეურყეველი არის, როგორც ყოფილა ადრინდელ საუკუნეებში, თუმცა ოსმალოსაგან დიდ შეინროებაში ყოფილა. ახალციხის ოთხსავე მხარეზე ტრაპიზონიდან, მთელი აქ მცხოვრებნი ლაპარაკობენ ქართული ენით, თუმცა გათათრებულები არიან.“¹

„საიდან ხარ, ასან? — ვარძიითგან, შენი ჭირიმე. — ეგ ქართული სად ისწავლე, ჩემო ასან? — „როგორ თუ სადა, ჩემო ბატონო! მამა-პაპის ენა არის ჩუენი, შენი ჭირიმე და მამა-პაპის ენას რომელი მოსცილდება, შენი ჭირიმე.“²

„ამ სოფელში ცხოვრობდნენ გათათრებული ქართველები, თუმცა ქართულსა ლაპარაკობენ და იქნება სურვილიცა ჰქონდეთ, ისევ ქრისტიანობის მიღებისა... დიდად ჰსურთ, როგორც შევნიშნეთ, შეუერთდნენ თავიანთ ახლოს მეზობლებს

¹ „ცისკარი“, ივლისი, წელიწადი მეცამეტე, 1869.

² „ცისკარი“. მარტი, წელიწადი მეოთხმეტე, 1870.

ქართველებს, რომელთაც ეკუთვნიან სისხლით და ხორციით; რომელთანაცა აქუსთ ერთი ნათესაობა, ერთი შთამომავლობა; ჭქონიათ სარწმუნოება; აქესთ ერთი ჩვეულება, ერთი სული და ერთი გული. როდესაც მთელი ხალხი ჰსცდილობს შეერთებასა იმ ნათესაობისას, რომელნიცა შეადგენენ ერთსა შთამომავლობასა და რომელნიცა ლაპარაკობენ ერთის ენით, ჩვენთვის დიდად სათაკილო უნდა იყოს, არ მივაქციოთ ყურადღება იმ მესხებს, რომელნიცა არიან ჩვენი ღვიძლი ძმები; რომელნიცა ლაპარაკობენ ჩვენის საყვარელის ქართულის ენით. ენა გვაქუს ერთი, ხალხნიც ერთნი ვართ.“¹

ადგილობრივ ენაზე განათლების სისტემის (განსაკუთრებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების) არსებობა ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამას კარგად აცნობიერებდნენ „თერგდალეულები“ და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას ცდილობდნენ. 1871 წელს საქართველოს იმპერატორი ალექსანდრე მეორე ეწვია. კამათი გაიმართა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ეთხოვათ ხელმწიფისთვის. „თერგდალეულთა“ ნაწილმა, ილია ჭავჭავაძის და გიორგი წერეთლის მეთაურობით, უმაღლესი სასწავლებლის დაარსების თხოვნა წამოაყენა, განსხვავებით უფროსი თაობისაგან, რომელიც თბილისში სამხედრო სასწავლებლის დაფუძნებას ითხოვდა.² საბოლოოდ, იმ პერიოდში საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსება ვერ მოხერხდა და იდეას ხორცი მხოლოდ 1918 წელს შეესხა, ივანე ჯავახიშვილის და მისი თანამოაზრეების ინიციატივით.

„ივერიაში“ 1881 წელს გამოქვეყნებულ „შინაურ მიმოხილვაში“ მკაცრად არის გაკრიტიკებული „სკოლის პროექტი“, რომელიც მოსწავლეებისთვის, დედაენის პარალელურად, რუსული ენის სწავლებასაც ითვალისწინებდა. წერილის ავტორის შეხედულებით,

„ბავშვმა ჯერ დედა ენაზედ უნდა გაისხნას გონება და უცხო ენის სწავლებას მხოლოდ მაშინ უნდა მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა ენაზედ საკმაოდ განვრთნილი იქნება. თუ გვინდა საკმაოდ ისწავლოს ბავშვმა უცხო ენა, დროც საკმარისი უნდა ჰქონდეს,

¹ „ცისკარი“, აგვისტო, წელიწადი მეთოთხმეტე, 1870.

² ბაქრაძე, აკაკი. თერგდალეულები. თხზულებანი, ტომი 2. „ნეკერი-ლომისი“, თბილისი, 2004, გვ. 534.

თორემ ორსა და სამს წელიწადში არამც თუ ვერ შეითვისებს უცხო ენას, თავ-ბედი ისე აერევა, რომ იმასაც კი დაივიწყებს, რისაც გაგება თავის დედა ენის შემწეობით მოასწრო.“¹

საყურადღებოა ამავე წერილის ერთი პასაჟი, სადაც გაკრიტიკებულია რუსეთის იმპერიული ხელისუფლების ინიციატივა სამეგრელოში მეგრულ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით. ავტორის აზრით, შეუძლებელია სასწავლო ენად მეგრულის დანერგვა, „ანბანის უქონლობის“ გამო. ავტორი აღნიშნულ ფაქტში ფარულ ანტიქართულ პოლიტიკას ხედავდა და მის აღსაწერად რუსულ ანდაზას იშველიებდა: „მეტის-მეტი მოლაქუცე მტერზედ უარესიაო.“²

წერილში ენასთან დაკავშირებული საკითხები კომპლექსურადაა გაანალიზებული. ავტორი, პრობლემებთან ერთად, დადებით ტენდენციებსაც გამოყოფს. მაგალითად, იგი აღნიშნავს მთავრობის მიერ ქართულ დრამატულ საზოგადოებასთან დაკავშირებით დამტკიცებულ წესდებას, რომლის თანახმად, „საზოგადოებას შეუძლიან ხელი შეუწყოს ქართულ წარმოდგენების გამართვას... შეუძლიან ქართულ ენაზე ბეჭდოს სხვა-და-სხვა სათეატრო თხზულებები და გამოსცეს სათეატრო ჟურნალი; შეუძლიან გამართოს ქალაქს თბილისში სათეატრო სკოლა.“³

გვხვდება ცნობა საქართველოს ეპარქიაში სამრევლო სკოლების რიცხვის შესახებ. 39 სკოლაში მარტო ქართველები სწავლობენ, 34 სკოლაში – ქართველები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, 32 სკოლაში – მარტო ბერძნები, ხოლო 58 სკოლაში რუსები სჭარბობენ; დანარჩენ სკოლებში სწავლობენ ოსები, უდები და აისორები. მცირე რაოდენობით არის სომხური სკოლები. არ არის დეტალური სტატისტიკა, თუ რამდენი სკოლა აქვთ ცალ-ცალკე ეთნიკურ ჯგუფებს, ამიტომ მოცემული სტატისტიკური ინფორმაცია შეჯერებულია მცხოვრებთა რაოდენობასთან, რაც აჩვენებს, რომ ქართველი მართლმადიდებელი 69 პროცენტია. მაგრამ ქართულად სწავლა მხოლოდ იმ სკოლებშია, სადაც მარტო ერთი ერის ყმანვილები სწავლობენ, ასეთი სულ 39 სკოლაა, 34 სკოლაში კი, სადაც უმრავლესობას ქართველები წარმოადგენენ, რუსულად იქნება სწავლა. 10.480 მცხოვრებ ქართველზე

¹ „ივერია“, 1881, № 2, გვ. 149.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 158.

1 ქართული სკოლა მოდის, რაოდენობით 10-ჯერ ნაკლებ ბერძნებს კი იმდენივე სკოლა აქვთ, მსგავს მდგომარეობაში არიან 8 ათასი ოსი, უდი, აისორი, რომელთაც 37 სკოლიდან საკმარისი რაოდენობა უნდა ერგოთ. დასმულია კითხვა, თუ რატომ მიენიჭათ ამ ეთნიკურ ჯგუფებს მშობლიური ენის სწავლის თვალსაზრისით ისეთივე და, ხშირ შემთხვევაში, უფრო შეღავათიანი მდგომარეობაც კი, როგორც მკვიდრ ქართველებს აქვთ?¹

1903 წელს „ივერიაში“ დაბეჭდილ ფელეტონში „არტურ ლეისტის აზრი ქართველ ერის შესახებ“ განხილულია არტურ ლაისტის ზემოთ დასახელებული ნაშრომი. ფელეტონის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ლაისტის დამოკიდებულებაზე ქართული ენისადმი, რომელიც გერმანელ მწერალს ქართველთა იდენტობის ერთ-ერთ უმთავრეს მარკერად და ერთიანობის განმსაზღვრელად მიაჩნია. იგი მიმოიხილავს გავლენებს, რომლებიც ქართულმა ენამ საუკუნეების განმავლობაში განიცადა და ასკვნის: „ქართულ ენას არ ჰქონია მიდრეკილება დიალექტების შექმნისადმი. საქართველოს ყველა მხარეებში სუფევს ერთნაირად ყველასათვის გასაგები ენა... ეს ერთნაირობა ენისა მით უმეტეს გასაკვირველია, რომ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეთა მკვიდრნი თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ერთმანეთში ხასიათით, ტემპერამენტით, სულიერი თვისებებით.“²

აღნიშნულია, რომ „ლიტერატურული უმოძრაობა“, რომელიც ამკარად შეიმჩნევა 1860-იან წლებთან შედარებით, ეროვნული ცნობიერების დაკნინების ერთ-ერთი მიზეზია: „დიახ, ჩვენი ლიტერატურა დაცემულია და მისი ყოფნა არყოფნას უდრის“. ამას კი, თავის მხრივ, ის განაპირობებს, რომ არ არის შემუშავებული სალიტერატურო ენა, თოთოეული საკუთარი გრამატიკით წერს და ვერ შეთანხმებულან ერთმანეთთან. ქართული ენა ბაბილონის გოდოლს არის შედარებული. გარდა ამისა, ვერ მოხერხდა ქართულ ენაზე სპეციფიკურ-ტექნიკური და სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება. საქართველოში არ არსებობს უნივერსიტეტები და აკადემია, არ გვყავს სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც იკისრებდა ტერმინოლოგიის შედგენას და ენის განმენდას; საერთო ენასა და გრამატიკაზე ვერ შეთანხმებულან მწერლები და ჟურნალისტები. ენის სრულყოფის

¹ „ივერია“, 1901, № 152.

² „ივერია“, 1903, № 137.

უპირველეს წინაპირობად კი ძველი მწერლობის და ხალხის გონების ნამოქმედარის – ხალხური პოეზიის – გამოკვლევაა დასახელებული.¹

ქართული ენის სწავლების პრობლემას ეხება 1903 წელს „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილი. პუბლიკაცია აღწერს ბორჩალოს მაზრის თრიალეთის საბოქაულოს სოფელ რუხაში არსებულ ვითარებას, სადაც „ცხოვრობენ ქართველები, რომელთაც დავინწყებელი აქვთ ქართული ენა... ოჯახის მონყობილობა თათრული აქვთ, ლაპარაკობენ თათრულად, მაგრამ ზნე-ჩვეულებანი კი ნამდვილი ძველი ქართული პატრიარქალური დარჩენიათ. რომელსაც გინდა ჰკითხოთ, ამაყად მოგიგებს, „მე ქართველი ვარო.“² წერილის ავტორი გვამცნობს, რომ ეს ქართველები მონადინებულები არიან, შეისწავლონ ქართული ენა, „ჩაიცვან ქართულად და ყოველისფრად დაუახლოვდნენ ქართველობას.“³ ამისთვის კი საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ენის პრობლემასთან დაკავშირებით, საინტერესოა ამავე პერიოდში „ქართველი ქალის“⁴ ფსევდონიმით გამოქვეყნებული პუბლიკაცია „ოსის ქალის აზრი მეგრულს ენაზედ“. წერილის ავტორი მოგვითხრობს ოსი ქალის ამბავს, რომელმაც კარგად იცოდა ქართული, თუმცა კომუნიკაციის პრობლემა შეექმნა თავის მეზობელ მეგრულ ქალთან ურთიერთობისას, რადგან ამ უკანასკნელმა მხოლოდ მეგრული იცოდა. მიუხედავად ამისა, მათ მალევე გადალახეს სირთულე და ცოტა ხანში მშვენივრად აგებინებდნენ სათქმელს ერთმანეთს. ურთიერთობის შედეგად ორივე მათგანმა აულო ალლო ერთმანეთის ენას. ერთობ საინტერესოა ოსი ქალის დასკვნა მეგრულ ენასთან დაკავშირებით: „გააფუჭე ქართული ენა და გამოვა მეგრული, გააკეთე მეგრული, გამოვა ქართული.“⁵ წერილის ავტორი ამ დასკვნას „მარჯვე განსაზღვრებას“ უწოდებს და ავითარებს საკუთარ მოსაზრებას, რომ არ შეიძლება სამეგრელოში სწავლა-განათლების მონყობა „გააფუჭებელ ქართულ“, ანუ მეგრულ ენაზე. „დღემდე თქვენ ყველანი ქართულს

¹ „ივერია“, 1901, № 70.

² „ივერია“, 1903, № 131.

³ იქვე.

⁴ სავარაუდოდ, სტატია პუბლიცისტ ალექსანდრა ნანეიშვილ-ფალავას ეკუთვნის, თუმცა იმავე ფსევდონიმს იყენებდა მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილიც.

⁵ „ივერია“ 1903, № 124.

თვლიდით მთავარ დედა-ენად და მხოლოდ მას ხმარობდით ჩვიდმეტის საუკუნის განმავლობაში – ეკლესიასა, სკოლასა, სასამართლოსა, ადმინისტრაციას და ყველა სხვა დანესებულებაში,¹ აღნიშნავს იგი.

სტატიაში „ნმინდა ქართული“ გამოკვეთილია ქართულის მეტოქეობა ფრანგულ ენასთან, თუმცა, ამავე დროს, პრობლემადაა წარმორჩენილი ქართულზე რუსული ენის გავლენის ზრდა.² სხვა სტატიაში აღნიშნულია უცხო ენაზე (ფრანგულად) ქართული ნაშრომების თარგმნის აუცილებლობა, რათა ევროპამ ახლოს გაიცნოს საქართველო. მადლობას უხდიან ალექსანდრე ხახანაშვილს „საქართველოს ისტორიის“ ფრანგულ ენაზე შედგენის გამო.³

1905 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ალ. ჯავახიშვილის მოწოდებაში „საზოგადოების საყურადღებოდ“ ვკითხულობთ:

„დღეს მთელი საქართველო მოითხოვს, რომ კავკასიაში სწავლა-განათლება იყოს მონყობილი სამშობლო ენაზე.

საოცარია! ქართველი ერი, რომელიც ჩამორჩენილი და ველური ეგონა რუსებს, დღეს განათლებულ ქვეყნებს ამოუდგა გვერდში და უნდა მასავით მოიწყოს თავისი ცხოვრება...

სწავლა-განათლება ახლად მონყობილ სამშობლო ენაზე მეტად რთული და ძნელი საქმეა, და სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ საზოგადოება ახლავე შეუდგეს საქმეს, – არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ ერთი და ორი ადამიანი ვერაფერს გახდება, იქ მრავალი თავდადებული მუშაკი არის საჭირო.“⁴

2.2.4. ისტორიული მეხსიერება, ეთნიკური მრავალფეროვნება

ისტორიული მეხსიერების და „მეხსიერების ადგილების“ ფორმირების თვალსაზრისით, საინტერესოა დიმიტრი ბაქრაძის სტატია „ზოგიერთი რამ ჩვენს ისტორიაზე, არქეოლოგიაზე, ყოფაცხოვრებაზე და სხვ. ათონის მთიდან მოტანილის ძველის წიგნის გამო“. წერილში დ. ბაქრაძე აღწერს ათონის მთის მონასტრის სავალალო მდგომარეობას და საფრთხეს, რომელიც იქ დაცულ ქართულ ძეგლებს

¹ „ივერია“, 1905, № 133.

² „ივერია“, 1903, № 4.

³ „ივერია“, 1901, № 107.

⁴ „ივერია“, 1905, № 58.

ემუქრება. ავტორის აზრით, აუცილებელია ამ ძეგლების (ხელნაწერები და სხვ.) საქართველოში ჩამოტანა და მუზეუმის დაარსება. დიმიტრი ბაქრაძე საინტერესოდ ასაბუთებს თბილისში მსგავსი დაწესებულების არსებობის აუცილებლობას:

„...მხოლოდ იმ ხალხს შეუძლიან იქონიოს საკუთარი ნამდვილი ისტორია, რომელსაც თავისი მუზეუმები აქვს. ჩვენ ჯერ ამგვარი საჭიროება არ გვესმის. გვსურს კი ვიქონიოთ ისტორია, მაგრამ შესაძლებელია კი ოდესმე ის შევიძინოთ? გინდათ სახლი აიშენოთ? ჯერ აირჩიეთ ადგილი, მასუკან იმ ადგილს მიზიდეთ ყველა საჭირო მასალა; თორემ უამისოთ სახლს ვერ აიშენებთო. მართალია ესა თუ არა? ისტორიაც სახლია, რომელშიაც უნდა იცხოვროს მთელმა ხალხმა. მივიღოთ ყველამ მონაწილეობა, ერთ ადგილას მოვზიდოთ ყველა მასალა, ვისაც რა გვაქვს, და შემდეგ მოვითხოვოთ ისტორიის აშენებაც. მოიფიქრეთ, ბატონო ქართველებო, ამ საგანზე და დააწესეთ თბილისში ისტორიული მუზეუმი; თუ არა, იყავნ ნება თქვენი!“¹

როგორც ვხედავთ, აქ სრულად არის გაცნობიერებული მუზეუმის, როგორც საერთო იდენტობის საფუძვლის — ისტორიის — საცავის როლი და მნიშვნელობა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში პრესის ფურცლებზე საყურადღებო დისკუსია მიმდინარეობდა იმის თაობაზე, თუ რა უნდა იყოს გადმოცემული ისტორიაში და რა — არა. სტატიამი სათაურით „ისტორიულ გადმოცემათა მსჯელობა“ საუბარია ისტორიული ფაქტების შერჩევით დაფიქსირებაზე, რაც არასასურველ პრაქტიკად არის მიჩნეული: მაგალითად, არც ერთ ისტორიულ თხზულებაში არ არის აღწერილი 1812 წლის ლაშქრობა, შიმშილობა და ომიანობა. ამ დროს ჟამიანობამ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი განწყვიტა. აღნიშნულია, რომ მსგავსი ცნობები აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს დღეს და ამ ცნობების „კრიტიკული თვალთ ანონ-დანონვა მომავალ თაობებს უნდა მიენდოს“.²

თავს იჩენს წარსულისადმი ერთგვარად ნოსტალიგიური და პესიმისტური დამოკიდებულება. ხაზგასმულია, რომ ჩვენი ისტორიული ძეგლები, ციხეები და მონასტრები, რომლის „კედლებზეც სისხლით

¹ „ივერია“, 1877, № 8, გვ. 14.

² „ივერია“, 1903, № 11.

ანერია ჩვენი ერის ისტორია“, ინგრევა, ჩვენ კი ფიქრადაც არ მოგვდის მათი დაცვა და შენახვა, იმიტომ რომ არ გვაქვს ეროვნული ცნობიერება. ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას ჩვენი ქართული სიმღერა და გალობა, „სადაც ჩაქსოვილია სულიერი ცხოვრება ერისა,“ მაგრამ ჩვენ არ ვცდილობთ მათ შეკვრა-შეერთებას, იმიტომ რომ არ გვაქვს ეროვნული ცნობიერება.¹ ახსნილია თვითცნობიერების ნაკლებობის მიზეზები: უპირველეს მიზეზად მიჩნეულია ის, რომ უბრალო ხალხი სიბნელესა და წყვდიადშია; ქართველი ხალხი არ ცდილობს უცხო ერებისთვის თავისი წარსულის გაცნობას და მათი ყურადღების მიქცევას; მეტადრე იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ არ ვიცნობთ ჩვენ წარსულს და ჩვენ ცხოვრებას.² ამ ნაკლის გამოვლინებად არის მიჩნეული ქართული მინის გაყიდვა. გულისტკივილია გამოთქმული მინის ნაჭერ-ნაჭერ გაყიდვის გამო თავადაზნაურობის მიერ, რომელსაც გაუქრა „სული მამა-პაპური და არ აქვთ შეგნებული ეროვნული თვითცნობიერება.“ ამას ვერც ევროპაში განათლებული თაობა შეცვლის, იმიტომ რომ ისინი არ ცდილობენ „ეროვნული გრძნობა-მისწრაფება შეაგონონ და გააცხოველონ თავიანთი ცოდნა-დაკვირვება და ეროვნული სარჩული დაუდონ ყოველ თავის ფიქრს და მოქმედებას.“³ ერთი სიტყვით, ქართველთა წინაშე მდგარი პრობლემები ეროვნული ცნობიერების ნაკლებობით არის ახსნილი.

ეროვნული ცნობიერების ნაკლებობის მიზეზად დასახელებულია გადაგვარების გზაზე დამდგარი ოჯახი, საიდანაც, „ჩვენდა სამარცხვნოდ“, განდევნილია ქართული წიგნი, ქართული ჟურნალ-გაზეთები, არ მიდის „ჩვენებურ ვითარებასა და მწერლობა-ლიტერატურაზე სჯაობა.“ გაკრიტიკებულია ქართველი დედა, რომელსაც „ამ საუკუნეში ... გარდაეცვალა გული ცხოველი“ და იგი „მოკისკისე ქალბატონებმა“ შეცვალეს, რომლებსაც ნაკლებ იზიდავთ გონივრულად შვილის აღზრდა და მამულიშვილის ვალის აღსრულება. სწორედ ამ მიზეზის გამო, ახალ თაობას არ აქვს „გარკვეული საზოგადოებრივი აზრი, ეროვნული თვითცნობიერება, ის უკიდურეს ეგოიზმით და ინდიფერენტობით არის შეპყრობილი.“ მსგავსი გადაგვარება კი დაკავშირებულია თვით „ნანინას“ შეცვლასთან: დედა

¹ „ივერია“, 1901, № 130.

² იქვე.

³ იქვე.

შვილს, სამშობლოს სიყვარულის ჩაგონების ნაცვლად, ჩინ-ორდენების სიყვარულს შთააგონებს და „კაი ადგილის შოვნას“ უნატრებს. ასეთი თაობა კი სულით და გულით დამახინჯებულია.¹ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ის ეროვნული ცნობიერება, რომელიც 60-იანმა წლებმა გამოაცოცხლა, დაკნინებულია. გახსენებულია ის როლი, რაც რუსულმა განათლებამ და რუსი მოაზროვნეების შრომების გაცნობამ ითამაშა ეროვნული თვითცნობიერების გამოღვიძების პროცესში.² ეროვნულობა სოციალური ცხოვრების საფუძველი უნდა გახდეს, ისევე როგორც ადრე ეკლესია იყო ქართველობის საფუძველი. აღნიშნულია, რომ *მამებმა* უარყვეს ყოველივე აზიური და ეროვნულობას ფართო გზა გაუკაფეს.³

გვხვდება ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ ენებზე საუბრობს მოსახლეობა და რომელ ენებზე აღესრულება წირვა-ლოცვა ახალციხის მაზრაში. კათოლიკეებმა ნაკლებად იციან რუსული, ქართველებმა კი იციან როგორც ქართული, ისე რუსული. მართლმადიდებელი ბერძენი და პოლონელი ბავშვები ლოცვას ბერძნულად და პოლონურად კითხულობენ, თუმცა მათ ქართულადაც იციან ლოცვები და საღმრთო ისტორია. მოყვანილია ადგილობრივი ცნობები კურსდამთავრებულთა შესახებ: 16 ქალიდან 11 ქართველი კათოლიკეა და 5 ქართველი მართლმადიდებელი. ჩამოთვლილია მათი სახელები და გვარები, და ერთ-ერთის, ბარბარე თამარაშვილის გასწვრივ მიწერილია კომენტარი, რომ ის ნათესავია ცნობილი ისტორიკოსის თამარაშვილისა, რომელიც რომში მოღვაწეობს. იქვეა კომენტარები გვარების გასწვრივ, ვინ კათოლიკეა, ვინ მართლმადიდებელი და ვინ – მაჰმადიანობიდან გადმოსული. ისიც არის აღნიშნული, რომ ადგილობრივები გაჭირვებული არიან და განსაკუთრებით ნიჭიერი კურსდამთავრებულები ვერ ახერხებენ სრული განათლების მიღებას, ვინაიდან ტფილისში ბავშვის გაგზავნა ბევრისთვის ხელმიუწვდომელია.⁴

ქართული პრესის ფურცლებზე ხშირია საქართველოს ისტორიულად განპირობებული ეთნიკური მრავალფეროვნების საკითხის განხილვა. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის

¹ „ივერია“, 1901, № 130.

² „ივერია“, 1901, № 129.

³ „ივერია“, 1903, № 6.

⁴ „ივერია“, 1904, № 132.

ტერიტორიაზე არაქართველი მოსახლეობა თავს ყოველთვის კარგად გრძნობდა.

„ამ გვარის სტუმართ-მოყვარეობისა გამო საქართველოს მინა-წყალზე ძალიან მრავალი სხვადასხვა უცხო თემის ხალხები დასახლდნენ..., ეს ფაქტები ამტკიცებს, რომ ამ ძველს დროში ქართველებს იმისთანა პოლიტიკა ეჭირათ, როგორც უჭირავთ ეხლა რესპუბლიკურ სახელმწიფოებს. ქართველები არავის უარს არ ეუბნებოდნენ, ვინც კი მოინდომებდა იმათ მინა-წყალზე დასახლებას, მაგრამ იმ პირობით, რომ საქართველოსთვის არ ეღალატნათ და ემოქმედნათ ქართველ ერისა თანა.“

როდესაც მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებსა და ქართული იდენტობის სამოქალაქო მახასიათებლებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ვაჟა-ფშაველას ცნობილ წერილს „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომელიც 1905 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა. ვაჟას ეს პუბლიკაცია ნაციონალიზმისა და იდენტობის სამოქალაქო ხედვის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ავტორის შეხედულებით, ყველა ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია, ისევე როგორც ყველა გონიერი კოსმოპოლიტი – პატრიოტი, რადგან „რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას.“ ვაჟა-ფშაველა თვლიდა, რომ აუცილებელია ყოველი ერისთვის ნაციონალური ნიადაგის განვითარება, რათა მან საკუთარი ნვლილი შეიტანოს კაცობრიობის განვითარებაში. ნებისმიერი ნიჭიერი და უნარიანი ადამიანისთვის კოსმოპოლიტიზმისკენ გზა ხსნილია, მაგრამ მხოლოდ „პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის მეოხებით“.

„კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვანე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ

¹ „დროება“, 1875, № 87, გვ. 4.

კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.“¹

ავტორი ასახელებს ნაციონალური ერთობის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ ისეთ კომპონენტებს, რომელებიც გაზიარებულია თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში: „დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა.“²

ვაჟა-ფშაველას ეს წერილი, ერთი მხრივ, ნათლად გვიჩვენებს ნაციონალური იდენტობის პრიმორდიალისტურ ხედვას; ავტორს მიაჩნია, რომ „პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს.“³ ეს შეხედულება ისტორიული ეპოქის კონტექსტიდან მომდინარეობს, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ნაციის ამგვარი გააზრება და ექსკლუზიური ეთნიკური იდენტობების ჩამოყალიბება. მეორე მხრივ, პატრიოტიზმი და საკუთარი ერის სიყვარული ვაჟას მხოლოდ სხვა ერების პატივისცემის პირობებში მიაჩნია ღირებულად. ეს უკანასკნელი მოსაზრება მკაფიოდ მიგვითითებს იმ რესურსსა და წინაპირობაზე, რომელიც მრავალეთნიკური ქართველი ერის ჩამოყალიბებისათვის არსებობდა.

თანაცხოვრებისა და ტოლერანტობის პრობლემასთან დაკავშირებით, საინტერესოა 1905 წლის ივნისში თბილისში, საადგილმამულო ბანკში ჩატარებული მაჰმადიანებისა და ქართველების

¹ „ივერია“ № 172, 1905, გვ. 2.

² იქვე.

³ იქვე.

კრების მიმდინარეობა და განსახილველი საკითხები. ქრისტიან და მუსლიმ ქართველებთან (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მემედ აბაშიძის გამოსვლა ამ კრებაზე) ერთად, კრებას აზერბაიჯანელთა (“თათრების”) წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, მათ შორის, ბაქოს გაზეთ „კასპი“-ს რედაქტორი ა. თოფჩიბაშევი. კრების თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძე აირჩიეს. განიხილეს „მაჰმადიანებისა და ქართველების“ პეტიციები და შეიმუშავეს საერთო მოქმედების გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ საკითხებში (მაგალითად, საარჩევნო და ნოდებრივი უფლებები) მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა იყო, კრების მონაწილეების აზრით, ამას ხელი არ უნდა შეეშალა „შეერთებისა“ და „სოლიდარობისთვის“. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მაჰმადიანები (აზერბაიჯანელები) ქართველებისთვის მოითხოვდნენ თვითგამორკვევის და ავტონომიის უფლებას, ხოლო ქართველები იგივეს გააკეთებდნენ აზერბაიჯანელებისთვის. ქართველებმა ასევე სურვილი გამოთქვეს, მაჰმადიანთა და სომხებს შორის შუამავლის როლი ეკისრათ, რათა მომავალში თავიდან აეცილებინათ სისხლისღვრა¹ და შეერიგებინათ ეს ორი დაპირისპირებული ხალხი. ქართველთა ამ ინიციატივას მხარი მუსლიმებმაც დაუჭირეს. კრებამ შეარჩია რამდენიმე მუსლიმი და ქრისტიანი, რომელთაც მუდმივი მიწერ-მონერა ექნებოდათ საერთო საქმესთან დაკავშირებით. საბოლოოდ, მიიღეს რეზოლუცია, რომლის მიხედვით,

„კულტურული წინსვლა და საზოგადოებრივ ნეს-წყობილების შეცვლა, განახლებულ ცხოვრების მოთხოვნილებათა თანახმად, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეროვნებათა შორის სრული სოლიდარობა იქნება დამყარებული. ამიტომ, ჩვენი საერთო სამშობლოს ყველა ნაწილების მჭიდრო შეკავშირება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს კულტურულ შემოქმედებითის მუშაობისათვის.“²

როგორც დავინახეთ, საკვლევი პერიოდის ქართული იდენტობის ნარატივი ქართველი ხალხის ეთნიკურ კონსოლიდაციას ემსახურებოდა, რის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარსული

¹ ამ დროს უკვე მომხდარი იყო სისხლიანი შეტაკება ბაქოში (1905 წლის თებერვალი).

² „ივერია“, 1905, № 98, გვ. 4.

და საერთო ისტორიული მეხსიერება წარმოადგენდა. ამასთან ერთად, ხაზი ესმებოდა ტოლერანტობის, განსხვავებული შეწყნარებისა და პატივისცემის აუცილებლობას, რაც ადრეული ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ. ქართველი ეთნოსის კონსოლიდაციის პარალელურად, იქმნებოდა მყარი საფუძველი მრავალეთნიკური ქართველი ერის ფორმირებისთვის, რასაც, ვფიქრობთ, გაანალიზებული მასალაც ადასტურებს.

2.2.5. ავტონომია და თვითადმინისტრირება

ერებისა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობაა თვითადმინისტრირების უზრუნველყოფა, ანუ თვითმმართველობის უფლება. ამ პრობლემას ქართული პრესის ფურცლებზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. წერილების ავტორები აქტიურად მოითხოვენ რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი უფლების მიცემას და ასაბუთებენ ამის აუცილებლობას: „სულ სხვა არის, როცა უმაღლეს მთავრობას თვის მეთვალყურეთ, მოხელეთ და ადგილობრივთა საქმეთა გამგეთ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ჰყვანან. მათ უკეთ იციან თავისი ვითარება, უკეთ იციან თავისი საჭიროება, უკეთ იციან თავისი თავის მოვლა, თავისთა საქმეთა პატრონობა.“¹

ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო საქართველოში ერობის შემოღების, ანუ თვითმმართველობის უფლების მოპოვებასათვის ბრძოლაში. 1871 წელს მან „კრებულში“ გამოაქვეყნა წერილი „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება.“ იგი ერობას განსაკუთრებულ მნიშვნელობასა თვითმმართველობის უფლების გამო ანიჭებდა.

„ერობის ყველაზე უფრო უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვაგლევივნებს, ჩვენ პატრონათ ჩვენვე გვხდის და ეს გარემოება, მარტო ეს – ეს ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ – გვამაღლებს კაცების ხარისხზე, ადამიანის ღირსებას გვაძლევს და გვაჩვენებს უმჯობეს, კაცურ ცხოვრებას... ერობა ქვეყნის განვითარების გარდაუვალი პირველი ნაბიჯია, პირველი საფეხურია, რადგან მანამდე და

¹ შურნალი „ივერია“, 1877, № 6, გვ. 1.

უიმისოდ შეუძლებელია მიაღწიო ხალხის ყოფის რაიმე მყარ გაუმჯობესებას. არ შეიძლება ხალხი გაიზარდოს უგზებოდ, უსკოლებოდ, უექიმებოდ, უკრედიტოდ, ორგანიზაციის თვინიერ. ყველაფერ ამას კი ერობა იძლევა. ამასთან ერთად, ხალხს ასწავლის დისციპლინას, თანდათან აჩვევს თვითმმართველობას, დამოუკიდებლობას“.¹

ნ. ნიკოლაძეს ერობის შემოღება საზოგადოების თვითშეგნების ამაღლების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად მიაჩნდა. თვითმმართველობის ჩამოყალიბება ხალხს საკუთარი პრობლემების მის მიერვე გადაწყვეტას ასწავლიდა. მისი აზრით, დრო იყო, პესიმისტურ განწყობილებებს ბოლო მოღებოდა, ყველას თავად ეზრუნა ქვეყნის განვითარებასა და ვითარების გაუმჯობესებაზე.

1879 წლის მიმოხილვაში ილია ჭავჭავაძე ამ წელს მომხდარ სამ ფაქტს ასახელებდა, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ საზოგადოებას „საკუთარის თაოსნობით, ღვანლით, შეწირულობით და ხელით“ საქმის კეთება ესწავლა: თბილისში ქართული სკოლის დაარსებას, სადაც სწავლის პროცესი დედა-ენაზე მიმდინარეობდა; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელსაც პირველდანიყებით სკოლებში დედა-ენაზე სწავლების უფლება მიენიჭა და ქართული თეატრის დასის ჩამოყალიბებას. საინტერესოა მიზეზი, რომლის გამო ილია ჩამოთვლილ ფაქტებს ასეთ მნიშვნელობას ანიჭებს: „ჩვენ მარტო ეს სამი მაგალითი ჩამოგიტვალეთ არა იმისათვის, რომ მაგის მეტი სანუგეშო არა მომხდარიყოს რა ჩვენს შორის ამ უკანასკნელ დროს. მაგრამ ეს სამი მაგალითიც საკმაოა მისთვის, რის თქმაც გვინდა. ყოველივე ეს, რაც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ, მით არის შესანიშნავი და ძვირფასი ჩვენთვის, რომ ქართველობის **საკუთარის თაოსნობით, ღვანლით, შეწირულობით და ხელით** (ხაზგასმა ჩვენია — ი. რ.) აშენდა და დამკვიდრდა“. ილია თვლიდა, რომ, თავისი მნიშვნელობით, ბოლო ოთხმოც წელს ეს ერთი წელიწადი გადასწონის, რადგან ეს იყო წელი, როცა „**ჩვენმა საკუთარმა თაოსნობამ თითქმის პირველი ფეხი აიდგა; როცა ჩვენმა ქართველობამ პირველ ხმამალლა სთქვა: კმარა, დროა ჩემს თავს მევე მოვუაროო**“ (ხაზგასმა ჩვენია — ი. რ.).²

¹ ნიკოლაძე, ნიკო. ერობა. მისი დანიშნულება და წესდება. *ქართული მწერლობა*. ტ. 14, თბილისი, 1997, გვ. 22.

² ჭავჭავაძე, ილია. *შინაური მიმოხილვა (1879 წელი, თებერვალი)*. თხზულებანი, თბილისი 1984, გვ. 823.

ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებული მოთხოვნები. „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, წერდა ილია 1881 წელს, სადაც სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ და მერე ისე, რომ თავიანთ მამაპაპეულ მიწა-წყალზე შეჯგუფული არიან ... ამიტომაც ერთ უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს სხვადასხვა რჯულის თუ სხვადასხვა ერის ტომნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ და მერე როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან.“¹ ილიას განცხადებით, რუსეთს არ ჰქონდა დადგენილი, თუ სად თავდებოდა რუსეთის სახელმწიფოს უფლება და სად იწყებოდა განაპირა ერებისა. როგორც ალ. ბენდიანიშვილი აღნიშნავს, ილია ჭავჭავაძეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მრავალეროვნული რუსეთის უნიტარული სახელმწიფოს აბსოლუტურ-მონარქიული წყობილების დემოკრატიულ და ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაცია.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველოს ავტონომიის იდეა წამოაყენეს, არჩილ ჯორჯაძემ სცადა საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრა, რომელსაც ავტონომიური მმართველობის უფლება უნდა მიეღო და მასში შეიყვანა აფხაზეთი, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი, ლაზისტანის ნაწილი, ახალციხის მაზრა, ქართლი, მთიულეთი, ხევი, სომხეთი (ნაწილი), კახეთი, ფშავ-ხევსურეთი და საინგილო.²

წერილში „ეროვნული საკითხი და ავტონომიური წყობილება რუსეთში“ ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ რუსეთი არა ეთნიკურად და ეკონომიკურად, არამედ მხოლოდ პოლიტიკურად ერთიანი სახელმწიფოა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ბევრია ისეთი ქვეყანა, რომელიც ადრე დამოუკიდებელი იყო, ან მეზობელ სახელმწიფოთა ნაწილს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ აუცილებელია ავტონომიური მმართველობის სისტემის შემოღება. იგი განიხილავს და ეთანხმება პოლონელების მიერ წარმოდგენილ ავტონომიის პროექტს, სადაც შემდეგი მოთხოვნებია წამოყენებული: 1. რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება უნდა ჩაერიოს მხოლოდ იმ საქმეებში, რომლებიც ავტონომიური მმართველობის ფარგლებს

¹ ბენდიანიშვილი, ალექსანდრე. *საქართველოს ისტორია, 1801-1921*. თბილისი, 1999, გვ. 114.

² ბაქრაძე, აკაკი. რა ელის საქართველოს. *თხზულებანი*, ტ. 6. თბილისი, „ნეკერი-თბილისი“, 2005, გვ. 716.

აღემატება. სხვა მხრივ, ავტონომიურ ერთეულებს მმართველობის სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეთ. 2. ყველა ეროვნულ ჯგუფს უნდა ჰქონდეს საკუთარი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების უფლება, სადაც სწავლების პროცესი ადგილობრივ ენაზე განხორციელდება. 3. იმ მხარეებში, რომლებიც მრავალეთნიკური და მრავალენოვანია, ყველა ენას თანაბარი სტატუსი და უფლებები უნდა ჰქონდეს.¹

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისა და თვითმმართველობის შემოღების აუცილებლობაა განხილული წერილში „თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია“. ავტორი მიიჩნევს, რომ ეს ნაბიჯი ერთნაირად მისაღები იქნება რუსი, პოლონელი, ფინელი, ქართველი, სომეხი და სხვა ხალხებისთვის. ეფექტური მმართველობისთვის საჭიროა დეცენტრალიზაციის პრინციპის სასწრაფოდ შემოღება და ეს თავად რუსეთის იმპერიის ინტერესებში შედის.²

მსგავსი პრობლემებია წარმოდგენილი პუბლიკაციაში „საერთო კანონმდებლობა და დამოკიდებული ეროვნება“. 1905-1907 წლების რევოლუციისა და პოლიტიკური ცვლილებების კვალდაკვალ, დღის წესრიგში დადგა საკითხი, თუ რა მოთხოვნები უნდა დააყენოს საქართველოს საზოგადოებამ ხელისუფლების წინაშე. წერილის ავტორი აკრიტიკებს საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც უარს ამბობენ ავტონომიის მოთხოვნაზე იმ მიზეზით, რომ ამას რუსი ხალხი არ მოიწონებს. მათი აზრით, უნდა დაგეგმავიყოს მხოლოდ იმით, რასაც რუსეთის საზოგადოება მოითხოვს და მოიპოვებს, „მაგრამ ჩვენ რომ რუსნი არა ვართ და, გარდა რუსულ მოქალაქეობრივ უფლებებისა, ეროვნული, ე. ი. „არარუსული“ უფლებებიც გვესაჭიროებაო? ჰკითხავთ თქვენ, მაგრამ თავისებურ „ერთობის“ მქადაგებელი ამ კითხვაზე პასუხს არ გაძლევთ და ვითომ ამით გაკმაყოფილებთ, რომ ეს უფლებები რუსის ხალხს არ მოეწონებაო.“³ პუბლიკაციის ავტორი აყალიბებს ქართული საზოგადოების ძირითად მოთხოვნებს და სურვილებს:

„ჩვენთვის უფრო სასარგებლოა გვექონდეს უფლება – ჩვენი შინაური ცხოვრება ისე მოვანყოთ, როგორც ჩვენს ადგილობრივ მოთხოვნილებათ და საჭიროებათ შეეფერება. ჩვენ გვინდა ჩვენისავე სისხლით მორწყულ მიწაზე ვიცხოვროთ, ტერიტორია

¹ „ივერია“, 1905, № 200.

² „ივერია“, 1905, № 44.

³ იქვე.

შევიწარჩუნოთ, მინადმოქმედს მამული მივცეთ, ენა დავიცვათ, თავისუფალი განათლება მივიღოთ... ერი, საზოგადოებაც არ დასტოვებს დაუსჯელად იმათ, ვინც ელობება წინ მის ბუნებრივ განვითარებას.“¹

მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება იკიდებს ფეხს. მისი წარმომადგენლები ასევე აქტიურად განიხილავდნენ დამოუკიდებლობისა და ავტონომიის საკითხს. მათი პოზიცია განსხვავდებოდა „თერგდალეულთა“ მიერ 1860-70-იან წლებში ჩამოყალიბებული ხედვისაგან. დისკუსია, ძირითადად, ეროვნული საკითხის გარშემო მიმდინარეობდა. სოციალ-დემოკრატები, წინა თაობისაგან განსხვავებით, უპირატესობას კლასობრივ და სოციალურ ინტერესებს ანიჭებდნენ.

1900-იან წლებში ქართული პრესის ფურცლებზე ფართოდ გაიშალა დებატები ამ საკითხებზე. 1905 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა ვლ. დარჩიაშვილის წერილი „კლასობრივი ანტაგონიზმი და საერთო ინტერესები“. პუბლიცისტი საზოგადოების განვითარების გზას კლასთა ბრძოლაში ხედავდა და აკრიტიკებდა იმ ავტორებს, რომლებიც კლასთა ინტერესების სოლიდარობა-თანხმობასა და ჰარმონიაზე საუბრობდნენ. დარჩიაშვილი მათ „წვრილ-ფეხობა მეცნიერების სახელით“ მოქადაგებს უწოდებდა, რომლებიც ცდილობდნენ, „დააბნელონ მშრომელი ხალხის კლასობრივი ცნობიერება, რადგან ამ უკანასკნელის მთელი მნიშვნელობა მათ ძალიან კარგად ესმით...“² დარჩიაშვილი შეურიგებელი იყო იმ „ნაციონალისტების“ და „ბურჟუაზიული იდეოლოგიების მიმართ“, ვინც ეროვნულ საკითხში კლასთა ინტერესების თანხვედრაზე საუბრობდა და ამბობდა, რომ კლასობრივი ინტერესების გვერდით არსებობს ნაციონალური ინტერესებიც, სადაც კლასებმა, „ერთი აზრით და ერთი გრძნობით გამსჭვალულებმა“, უნდა განახორციელონ საერთო საქმე:

„ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ვიდრე საზოგადოება კლასობრივი აგებულებისაა, ქვეყანაზე არ მოიპოვება არც ერთი ციდა ადგილი, სადაც შეიძლებოდეს ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა ერთმანეთს სული და გული გაუერთონ.

¹ „ივერია“, 1905, № 44.

² „ივერია“ 1905, № 182.

არ მოიპოვება არც ერთი სფერო, არც ერთი საკითხი, სადაც შეიძლებოდა კლასობრივი ანტაგონიზმის დავინყება, კლასობრივი თვალთახედვის წერტილის მიტოვება. ყოველივე საქმე, ყოველივე საკითხი მიუცილებლად ემორჩილება კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობას და თავის ახსნა-განმარტებას მიუცილებლად პოულობს კლასთა ბრძოლის ქარცეცხლში.¹

დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ ბურჟუაზიას რეალურად არა ნაციონალური, არამედ საკუთარი კერძო მიზნები ამოძრავებდა და, ეროვნული ინტერესების ნიღაბს ამოფარებული, მასზე ზრუნავდა. იგი უპირისპირდებოდა იმ ქართველ ინტელექტუალებს, რომლებიც საქართველოსთვის ავტონომიური სტატუსის მინიჭებას მოითხოვდნენ. დარჩიაშვილი „ნაციონალისტ“ და „ბურჟუაზიულ“ იდეოლოგთა შორის ასახელებდა გაზეთ „ივერიის“ რედაქციას და მის იმჟამინდელ ხელმძღვანელს ფილიპე გოგიჩაიშვილს. განსაკუთრებით მწვავედ უპირისპირდებოდა მის წერილს „ეროვნული საკითხი და ტერიტორიალური საოლქო ავტონომია“.² დარჩიაშვილის აზრით, მართალია, ავტონომიის მომხრეები ამბობდნენ, რომ ავტონომიური სტატუსის ქვეშ საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფი თანაბარი უფლებებით ისარგებლებდა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახლდათ, რადგან უპირატესობა მაინც ქართველებს მიენიჭებოდათ. იგი ასახელებდა თვითმმართველობის ერთ-ერთ პროექტს, რომელიც თბილისელმა ავტონომისტებმა წარმოადგინეს და, რომლის მიხედვით, ოფიციალურ ენად ქართულის აღიარებას მოითხოვდნენ. ავტორის შეხედულებით, ეს მოთხოვნა თავისთავად გულისხმობდა სხვა ენებისათვის ქართულთან შედარებით არათანაბარი პირობების შექმნას.³

დარჩიაშვილის შეხედულებებს გამოეხმაურა „ივერიის“ რედაქტორი ფილიპე გოგიჩაიშვილი, წერილით „კლასობრივი ინტერესები და ეროვნება“. ვლ. დარჩიაშვილი „სცნობს მხოლოდ ერთადერთ კლასობრივ ბრძოლას და უარყოფს საერთო ეროვნული ინტერესების

¹ „ივერია“ 1905, № 182.

² „ივერია“, 1905, № 166.

³ იქვე.

არსებობას, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულადაც,¹ აღნიშნავს გოგიჩაიშვილი და მკითხველს აცნობს გაზეთის ზოგად პოზიციას, რომელიც განსხვავებულია დარჩიაშვილის მოსაზრებებისაგან. ამის შესახებ არაერთხელ „გამოგვითქვამს ჩვენი აზრი და შეხედულებაო,“ დასძინს ავტორი. იგი დარჩიაშვილის წერილის ორ ძირითად ხარვეზზე მიუთითებს: 1) მხოლოდ კლასობრივი ინტერესების ცნობა და საერთო ეროვნული ინტერესების სრული იგნორირება; 2) თვითმმართველობის უარყოფა და ამ მოთხოვნის მხოლოდ ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების გამომხატველად მონათვლა, რომელიც არ გამოხატავს მთელი ერის საჭიროებას. წერილში ასევე მკაცრადაა გაკრიტიკებული ჟურნალი „მოგზაური“ და მისი მთავარი პუბლიცისტი ფ. მახარაძე, რომელმაც, ავტორის სიტყვით, „მატრაკვეცებად“ მონათლა ის ქართველი ჟურნალისტები, ვინც განათლება საზღვარგარეთ მიიღო და მახარაძის შეხედულებებს არ ეთანხმებოდა.²

ზემოთ შევხებით 1903 წელს ჟურნალ „მოგზაურში“ ივანე როსტომაშვილის მიერ გამოქვეყნებულ წერილს „ერის აღზრდა“. ავტორი საზოგადოების განვითარების უმთავრეს წინაპირობად კომუნიკაციის მაღალ დონეს ასახელებს, მისი მიღწევის ძირითად საშუალებად კი თვითმმართველობა, ანუ „თემობა“ მიაჩნია. როსტომაშვილი მიიჩნევს, რომ წარმატება სწორედ დეცენტრალიზაციის გზით მიიღწევა, როდესაც ქვეყანაში, ძლიერი იმპერიული ცენტრის პარალელურად, ასევე ძლიერი ადგილობრივი ცენტრები იარსებებს. ადგილობრივი თვითმმართველობა საზოგადოებას თვითორგანიზაციისა და თვითგანვითარების უნარებს ჩამოუყალიბებს.³

თვითმმართველობის და შემდგომში შესაძლო დამოუკიდებლობის იდეის ფორმირება ქართული იდენტობის ნარატივის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო. ავტონომიაზე საუბარი ჯერ კიდევ „თერგდალეულებმა“ წამოიწყეს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა დამოუკიდებლობის იდეის ირგვლივ, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმ პროცესის შედეგად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც 1860-იანი წლებში იღებს სათავეს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატებმა

¹ „ივერია“, 1905, № 166.

² იქვე.

³ „მოგზაური“ 1903, № 11, გვ. 797-800.

გამოაცხადეს, რომლებიც ადრე ამ იდეას არ იზიარებდნენ. როგორც გაანალიზებული ტექსტები გვაჩვენებს, დამოუკიდებლობის იდეა ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი და წარმატებული აღმოჩნდა ქართული იდენტობის ნარატივის ფორმირების პროცესში.

დასკვნა

ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ქართული იდენტობის ნარატივის ფორმირების რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი მისი ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე – მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე. გამოვყავით ქართული იდენტობის ნარატივის ფორმირების ძირითადი მიმართულებები: ენის პრობლემა, განათლების საკითხი, საერთო ისტორიული მეხსიერების ფორმირება, მოთხოვნები ავტონომიასთან დაკავშირებით და ზრუნვა თვითმმართველობის უფლების მოპოვებაზე. ეს გახლავთ ის ძირითადი საკითხები, რომელთა გარშემოც საკვლევ პერიოდში ქართული იდენტობის ნარატივი კონცენტრირდა. ცალკე უნდა გამოვყოთ ეთნიკური მრავალფეროვნების პრობლემა და მიმართება „სხვასთან“, რადგან მრავალეთნიკური ქართველი ერის იდეა სათავეს სწორედ ამ ეპოქაში იღებს. მიუხედავად ქართული იდენტობის ნარატივის ეთნიკური ხასიათისა, რაც იმპერიული კონტექსტით, რუსული კოლონიური პოლიტიკით და თვითგადარჩენაზე ზრუნვით იყო განპირობებული, პროცესების ანალიზმა ნათლად გვჩვენა სამოქალაქო ტენდენციები, რომელიც თან ახლდა ქართული იდენტობის ნარატივის ფორმირების პროცესს.

ბიბლიოგრაფია

წყაროები

„დროება“, 1875, № 87.

„თანამედროვე აზრი“, 1915, № 25, № 56, № 60, № 68, № 87, № 103, № 121.

„თანამედროვე აზრი“, 1916, № 23, № 25, № 28.

„თეატრი და ცხოვრება“. 1915, № 39.

„ივერია“, 1877, № 1 № 5, № 6, № 8, № 10, № 11, № 13, № 15.

„ივერია“, 1881, № 2, № 7, № 8.

„ივერია“, 1884, № 2, № 8.

„ივერია“, 1885, № 6.

„ივერია“, 1901, № 70, № 107, № 129, № 130, № 152.

„ივერია“, 1903, № 4, № 6, № 11, № 124, № 131, № 137.

„ივერია“, 1904, № 132.

„ივერია“, 1905, № 44, № 58, № 98, № 133, № 155, № 166, № 172, № 182, № 200.

„კლდე“, 1912, № 8.

„მოგზაური“, 1903, № 11, № 12.

„ცისკარი“. 1870, № 5.

სამეცნიერო ლიტერატურა

აბაშიძე, მემედ. „დედა-ენა“ და სამაჰმადიანო საქართველო. *თბზულებანი*. გამომცემლობა „სახალხო წიგნი“. თბილისი 1998.

აბაშიძე, მემედ. მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების სულიერი ერთობა. *თბზულებანი*. გამომცემლობა „სახალხო წიგნი“. თბილისი 1998.

აბაშიძე, მემედ. სარწმუნოება და ეროვნება. *თბზულებანი*. გამომცემლობა „სახალხო წიგნი“. თბილისი 1998.

ანჩაბაძე, გიორგი. ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან ერის ჩამოყალიბების სტადიამდე. *ქართველი ერის დაბადება*. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

ბაქრაძე, აკაკი. ნიკო ნიკოლაძე. თბილისი „ნაკადული“, 1989.

ბაქრაძე, აკაკი. ნიკო ნიკოლაძე. თბილისი „ნაკადული“, 1989.

ბაქრაძე, აკაკი. ილია ჭავჭავაძე. თბილისი, „მერანი“, 1984.

ბაქრაძე, აკაკი. მეცხრამეტე საუკუნე. თბზულებანი. ტომი 2. თბილისი, „ნეკერი-ლომისი“, 2004.

ბენდიანიშვილი, ალექსანდრე. საქართველოს ისტორია, 1801-1921. თბილისი, 1999.

ბერაძე, თამაზ. ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები. ეთნოლოგიური კრებული. თბილისი, „უნივერსალი“, 2008.

გურული, ვახტანგ. ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია. თბილისი, „უნივერსალი“, 2008.

- დუნდუა, სალომე, აბაშიძე, ზვიად. ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში. თბილისი, „ინტელექტი“, 2009.
- თევზაძე, გიგი. იდენტობა და იდეოლოგია. პოლიტეტალური და სოციალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა. ქართველი ერის დაბადება. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
- მალაზონია, დავით. ქართული ისტორიოგრაფიული აზროვნება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი, „ქრონოგრაფი“, 2001.
- რატციანი, სერგო. “სარწმუნოებით ქართველი”: სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება. ქართველი ერის დაბადება. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
- სურგულაძე, აკაკი. ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970.
- შველიძე, დიმიტრი. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. თბილისი, „არსი“, 1993.
- ჩხარტიშვილი, მარიამ, მანია, ქეთევან. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბექდურ მედიაში (“ივერია” და მისი მკითხველი საქართველო). თბილისი, „უნივერსალი“, 2011.
- ჩხარტიშვილი, მარიამ. ქადაგიშვილი, სოფიო. ისტორიული ფონი: ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2011.
- ჭავჭავაძე, ილია. ქვათა ღალადი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. 5. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი 1987.
- ხუნდაძე, სიმონ. ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში. თბილისი, სახ. გამ-ბა, 1927.
- ჯონსი, სტივენ ფ. სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, 1883-1917. თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007.
- ჯორჯაძე, არჩილ, ეროვნული საკითხის განმარტების გამო. <https://matiane.wordpress.com/2010/03/23/jorjadze-about-national-issue/>

თავი 3

სომხების, აზერბაიჯანელების, ოსებისა და აფხაზების იდენტობის ნარატივები

შესავალი

წინამდებარე თავში გააზრებულია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მცხოვრები სომხების, აზერბაიჯანელების (თათრები¹), ოსებისა და აფხაზების იდენტობის ფორმირების პროცესი. წარმოჩენილია, ერთი მხრივ, ქართველთა მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფების აღქმა, ხოლო, მეორე მხრივ, ეთნიკური ჯგუფების თვითაღქმა და საკუთარი ადგილის წარმოდგენა მრავალეთნიკურ ქართველ ერში. ნაშრომი ეფუძნება საკვლევ პერიოდში შექმნილ იდენტობის მშენებელ ქართულ და არაქართულ ტექსტებს, სადაც ნათლად გამოიკვეთა ქართველ და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შორის ურთიერთობების ძირითადი შტრიხები.

3.1. საკითხის შესავლის გეგმარაობა

საკვლევი პერიოდი სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების ინტერესის საგანია, როგორც პოლიტიკური ისტორიის, ასევე ეთნოსთაშორისი ურთიერთობების ფორმირების თვალსაზრისით. ნაშრომებში განხილულია როგორც ეთნიკური ჯგუფების ისტორია, ასევე მათი ტრანსფორმაცია ცვალებად პოლიტიკურ კონტექსტში.

ავთანდილ სონღულაშვილი, ნაშრომში „ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში“ რამდენიმე მომენტზე ამახვილებს ყურადღებას, რაც, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს იდენტობის ნარატივების კუთხით. „საქართველოში მცხოვრებ არაქართულ მოსახლეობაში საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა საკუთარი

¹ ასე მოიხსენიებდნენ ქართველი ინტელექტუალები საქართველოში მცხოვრებ დღევანდელ აზერბაიჯანელებს.

მენტალიტეტი, რაზედაც წინათ ყურადღება გამახვილებული არ იყო“. ავტორი მიიჩნევს, რომ საქართველოში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ არა მხოლოდ ისინი, ვისაც საქართველო მშობლიურ სახლად მიაჩნია, არამედ ისინიც, რომელთათვისაც საქართველო სასტუმროა; „მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც ცდილობს მიითვისოს ამ სასტუმროს საუკეთესო აპარტამენტები.“¹ ეს ამონარიდი ავტორს მოტანილი აქვს ი. ბოგომოლოვის სტატიიდან „მარადიული თანადგომა“, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1992 წლის 8 ივლისის ნომერში დაიბეჭდა.² როგორც ვედავთ, აქ აშკარად იკვეთება მომხვდურ-დამხვდურის ნარატივი.

ეთნოსთაშორისი ურთიერთობების ალტერნატიული გააზრების მაგალითია სტივენ ჯონსის ნაშრომი „სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917,“ სადაც ყურადღება გამახვილებულია ეთნოსთაშორისი ურთიერთობების იდეოლოგიურ-კლასობრივ ასპექტებზე. თავის მხრივ, ამ პერიოდის იდეოლოგიურ-კლასობრივი ურთიერთობები წარსული ინტერეთნიკური პროცესებით განისაზღვრა. საქართველოში მუშათა კლასის აღმოცენების და განვითარების შესახებ საუბრისას ს. ჯონსი შენიშნავს, რომ ქართველი მუშისა და მისი სომეხი ან „თათარი“ მეზობლის თანაცხოვრება მათ საერთო ინტერესებს არ განაპირობებდა, რაც, ალბათ, ისტორიული მემკვიდრეობით მიღებული უნდობლობის გამო ხდებოდა; ქართულ-სომხური ურთიერთობები მუდმივი დაპირისპირებით ხასიათდებოდა. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ანუ იმ დროიდან, როდესაც სომხები საქართველოში მასობრივად ჩამოსახლდნენ, ქართველებსა და სომხებს ერთმანეთთან დისტანციური ურთიერთობა და გულგრილი დამოკიდებულება ჰქონდათ. როგორც ს. ჯონსი შენიშნავს, თბილისში 1905 წლისათვის ეროვნული და კლასობრივი გრძნობები გადახლართული იყო – ხან ეროვნულობა (ან რელიგია) მძლავრობდა, ხან კი კლასობრივი კუთვნილება; ისინი, კონკრეტული კონტექსტისა და გარემოებების მიხედვით, ხან აძლიერებდნენ, ხან ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს.³

¹ სონლულაშვილი, ავთანდილ. *ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში*. თბილისი, მეცნიერება, 2002. გვ. 3.

² იქვე, გვ. 9.

³ ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში...*, გვ. 214-217.

იდენტობის ნარატივების კვლევის კუთხით, საინტერესოა ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი, რომელთაც ჩვენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსების საკითხის ანალიზის დროს ვიყენებთ. სოციალ-დემოკრატიის აღმავლობის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების წინა და თანმდევი პროცესები, ძირითადად, ოფიციალურ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში აისახა. ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტები თავმოყრილია ნიგნში „აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული“, თბილისი, 2004.¹ ამ ოფიციალური დოკუმენტების შესწავლა საჭიროდ მივიჩნიეთ, ვინაიდან საქართველოში ამ პერიოდში არსებული რეალობა კარგად ასახავს ბიუროკრატია და ნაციონალიზმის აღმოცენებას შორის არსებულ კავშირებს. როგორც გ. გლისონი შენიშნავს, „ეთნიკური იდენტობა დამოუკიდებლად ვერ წარმოქმნიდა ნაციონალიზმს, რადგანაც ამისთვის საჭიროა ეთნიკურობის პოლიტიზება და მობილიზებული პოლიტიზებული ეთნიკურობისთვის ლიდერობის არსებობა.“² ეს ყოველივე მძაფრად შეიგრძნობოდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიის გაჩენის პირველივე წლებიდან. ის, რასაც გლისონი *ტერიტორიულ ბიუროკრატია*ს და *ინსტიტუციონალიზებული ნაციონალურ ლიდერებს* უწოდებს, საქართველოში თანდათანობით აღმოცენდა სწორედ 1917-1921 წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ითვალისწინებდა ქვეყნის მრავალეთნიკურ ბუნებას და, მეტ-ნაკლები წარმატებით, ცდილობდა სახელმწიფოში მცხოვრები ეთნიკური

¹ კრებულის ავტორი და რედაქტორია თამაზ დიასამიძე. კრებულში შესულია 1917-1988 წლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსის ამსახველი 197 უმთავრესი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი, კერძოდ: 1. ავტონომიური რეგიონების სტატუსები და კონსტიტუციები; 2. სახელმწიფოთაშორისი, შიდასახელმწიფოებრივი და შიდარესპუბლიკური შეთანხმებები ავტონომიური რეგიონების სტატუსთან დაკავშირებით; 3. ავტონომიური რეგიონების, საქართველოს, (ჩრდილოეთ)კავკასიის ხალხთა გაერთიანებების, ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის და სსრ კავშირის ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული აქტები, მიმართული ამ რეგიონების სტატუსის ცვლილებებისაკენ; 4. საქართველოს და სსრ კავშირის კონსტიტუციები და კანონები ავტონომიური რეგიონების სტატუსის ევოლუციასთან დაკავშირებით; 5. სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

² Gleason, Gregory. *Federalism and Nationalism – The Struggle for Republican Rights in the USSR*. Westview Press, Boulder, San Francisco & London, 1990, p. 81.

უმცირესობების პოლიტიკური და, კულტურული უფლებების დაცვას, მათ ჩართვას ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

1917-1918 წლების ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, და, პირველ რიგში, აფხაზები და ოსები, რომელთაც ავტონომიური მმართველობა მიენიჭათ, სამართლებრივად უზრუნველყოფილი იყვნენ იმ პოლიტიკური და კულტურული უფლებებით, რომელიც მათი იდენტობის შენარჩუნებას ემსახურებოდა, კერძოდ, ამ ბრძოლისათვის აუცილებელი პოლიტიკური და კულტურული თვითგამოხატვის ინსტიტუტებით.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ეძღვნება ირაკლი გელენავას ნაშრომში „აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (1917-1921 წლები)“, მასში გაანალიზებულია მეფის რუსეთის უკანასკნელ წლებში საქართველოში არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ვრცლად არის მომოხილული აფხაზეთში არსებული სიტუაცია, ქართველებისა და აფხაზების ურთიერთდამოკიდებულება როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ავტორი აცხადებს, რომ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების განმავლობაში აფხაზ ხალხს მეთოდურად ამორებდნენ მოძმე ქართველებისაგან და არუსებდნენ. მას მოტანილი აქვს აფხაზური ანბანის შემქმნელის, რუსი კავკასიოლოგის პ.კ. უსლარის სიტყვები: მათ, აფხაზებს, არ შეუძლიათ ჰქონდეთ დამოუკიდებელი ლიტერატურა და არც ექნებათ (დამონშ. ო. ჭურღულია, კრიტიკული ნერილები, ტ. 2, სოხუმი, 1961, გვ. 13). იქვე აღნიშნულია, რომ აფხაზური სალიტერატურო ენის ფუძემდებლად ითვლება დიმიტრი გულია (1874-1960), რომელმაც 1907 წელს პირველად გამოსცა აფხაზური ანდაზები, გამოცანები და ენის გასატეხები. ავტორი აღნიშნავს, რომ მეოცე საუკუნის დაწყების აფხაზ ხალხს მთელი ისტორიის მანძილზე პირველად მიეცა საშუალება, თავის ენაზე წაეკითხა მხატვრული ნაწარმოებები და ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში აფხაზებს გვერდში ედგნენ და, შეძლებისდაგვარად, ხელს უწყობდნენ მოძმე ქართველები.¹ ავტორი ასევე საუბრობს აფხაზური ლიტერატურის

¹ გელენავა, ირაკლი. *აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან. 1917-1921 წლები*. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 20-22.

ჩასახვისა და ჩამოყალიბების პროცესზე. ირაკლი გელენავას აზრით, აფხაზურ ლიტერატურას, ერთი მხრივ, აფხაზური სინამდვილე, მრავალსაუკუნოვანი ხალხური ზეპირსიტყვიერება და ტრადიციები ასაზრდოებდა, მეორე მხრივ, ქართული და რუსული მწერლობა.¹ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ქართულ-აფხაზური საერთო ფესვების ძიებასა და მჭიდრო წარსული ურთიერთობის გამოკვეთაზე. ავტორი ცდილობს დაუპირისპირდეს აფხაზი ხალხის „ნებაყოფლობით“ რუსიფიკაციის წარატივს.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს და იქ მცხოვრებ ოსებს, ქართული საბჭოთა (და, რიგ შემთხვევებში, მომდევნო პერიოდის) ისტორიოგრაფია, სხვადასხვა წყაროების მოშველიებით, ასაბუთებს, რომ ოსების ჩამოსახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან შიდა ქართლში მე-17 და მე-18 საუკუნეებში თანდათანობით მიმდინარეობდა და მას თან ერთვოდა ქართული მოსახლეობის გამოდევნა.² ცხინვალში ოსური მოსახლეობა მხოლოდ მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან გაჩნდა, როდესაც იგი ბოლშევიკებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქად გამოაცხადეს. მაგალითად, ოთარ ჯანელიძე თვლის, რომ პოლიტიკური ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ ხელოვნური წარმონაქმნია და იგი ბოლშევიკებმა დაამკვიდრეს 1922 წლიდან. ცნება „სამხრეთ ოსეთის“ შემოღება საქართველოში რუსთა ბატონობის ხანას უკავშირდება. სიტყვათხმარებაში იგი XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან გვხვდება, თუმცა მას საბჭოთა ხელისუფლებამდე არც პოლიტიკური და არც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული შინაარსი ჰქონია.³ მიწა-წყალი, რომელზეც დღეს ე.წ. სამხრეთ ოსები კომპაქტურად სახლობენ, თავისად იჩემებენ და სურთ რუსეთს შეუერთონ, არასოდეს ყოფილა ოსეთის ტერიტორია. ოსი ხალხის ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთ კავკასიაშია. თვით ოს მეცნიერთა გამოკვლევებში აღნიშნულია, რომ არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლინგვისტური და სხვა წყაროების თანახმად, ოსთა ეთნოგენეზი სწორედ ჩრდილოეთ კავკასიის

¹ გელენავა, ირაკლი. *აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან. 1917-1921 წლები*. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 33-34.

² იხ. *საქართველოს ისტორია* ოთხ ტომად, რედაქტ. მაყვალა ნათმელაძე, ტ. 4, თბილისი, 2012.

³ ჯანელიძე, ოთარ. *სამხრეთ ოსეთის კონფლიქტური ზონა (ისტორია და თანამედროვეობა)*, თბილისი, 2007, გვ. 3.

ცენტრალურ ნაწილში მიმდინარეობდა, სადაც IX საუკუნიდან ალანთა ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა.

აფხაზებისა და ოსების შესახებ მოყვანილ ამ ორ მცირე პასაჟში შეიძლება დავინახოთ რუსიფიკაციის ფაქტორის გავლენა ეთნიკურ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის ურთიერთობებზე საქართველოში. ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის ეთნიკური განსხვავებების გაღრმავება ხდებოდა არა სმიტისეული აფხაზური და ოსური ეთნიკს კულტურული განვითარების საფუძველზე, რომელიც შორდებოდა ქართულ ეთნიკს,¹ არამედ არსებული განსხვავების პოლიტიზაციისა და ინსტრუმენტალიზაციის შედეგად, სადაც მნიშვნელოვან როლს რუსიფიკაციის პოლიტიკა ასრულებდა.

ამგვარად, საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებულ ლიტერატურაში გაანალიზებულია ეთნოსთაშორისი პროცესების პოლიტიკურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ასპექტები, თუმცა არ ჩანს იდენტობის ფორმირების პროცესები, რომლებიც, ერთი მხრივ, ინტელექტუალების მიერ იგეგმებოდა და იმართებოდა, ხოლო მეორე მხრივ, ეთნიკური ჯგუფების ისტორიის თუ კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური რეალობის გავლენით ჩამოყალიბებული ურთიერთდამოკიდებულებით განისაზღვრებოდა.

კვლევის ემპირიული საფუძველი. წარმოდგენილ ნაშრომში ემპირიულ საფუძვლად გამოყენებულია საკვლევ პერიოდში გამომავალი ქართული და არაქართული პრესა. ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციები იდენტობის მშენებელ მნიშვნელოვან ნარატივად მიიჩნევა, რადგან იგი ხელს უწყობს ჩვენ და სხვა ჯგუფებს შორის საზღვრის გავლებას და წარმოსახვითი საზოგადოების ჩამოყალიბებას.² თუ თვალს გადავავლებთ გაზეთების ფურცლებს, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა ნომერში საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების შესახებ. აქ კარგად ჩანს ქართველების და სომხების, აზერბაიჯანელების, აფხაზებისა თუ ოსების თანაცხოვრების ან დაპირისპირების ამსახველი ფაქტები, ზოგჯერ მიზანმიმართულად არის გამოკვეთილი ეთნიკური წარმომავლობა, სხვა შემთხვევებში

¹ ჩხარტიშვილი, მარიამ. ქართული იდენტობის მთავარი მარკერი. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბილისი, 2005.

² იხ. ანდერსონი, ბენედიქტ. წარმოსახვითი საზოგადოებები, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი, 2003.

საერთოდ არ ესმება ხაზი ეთნიკურ განსხვავებულობას. მაგალითად, დაცულია უამრავი მასალა, სადაც საუბარია შემოწირულობებზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა თუ სხვადასხვა სასწავლებლისათვის, ჩამოთვლილია შემომწირველთა გვარები და არსად არის აღნიშნული მათი ეთნიკური მიკუთვნებულობა. მეორე მხრივ, პრესაში დაცულია ცნობები ქალაქის საბჭოს არჩევნების შესახებ, რომელთა ავტორებიც ხაზგასმით გამოთქვამენ შეშფოთებას საბჭოში სომეხთა ბატონობის გამო, ან გამოხატავენ ქართველთა რაოდენობის გაზრდითა და სომეხთა რაოდენობის შემცირებით გამონვეულ სიხარულს. ეს გახლავთ იმ პერიოდის რეალობის ნათელი სურათი. აშკარაა ეთნოსთაშორისი ურთიერთობების წინააღმდეგობრივი ხასიათი.

საკვლევ პერიოდში მრავლად გამოიციემოდა რუსულენოვანი და სომხური გაზეთები, ასევე მცირე რაოდენობით, მაგრამ არსებობდა აზერბაიჯანული და ოსური გაზეთებიც. იმპერიულ სივრცეში რუსულენოვანი გაზეთების სიუხვე რთული ასახსნელი არ არის. სომხები ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი იყო იმ დროის საქართველოში; რაც მთავრია, მათ გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით (აკონტროლებდნენ ვაჭრობას და ფლობდნენ სანარმოებს), ასევე პოლიტიკური კუთხით (წარმოადგენდნენ თბილისის საქალაქო საბჭოს უმრავლესობას). ამდენად არ არის გასაკვირი, რომ სომხურენოვანი პრესა ყველაზე მრავალფეროვანია. ჩვენ, ძირითადად, დავეყრდენით გაზეთს „მშაკი,“ რომელიც 1872-1920 წლებში თბილისში გამოდიოდა. რაც შეეხება აზერბაიჯანულ გაზეთებს, რაოდენობის თვალსაზრისით, ისინი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სომხურს. ერთადერთი, რის მოპოვებაც საქართველოში შეეძელით, არის ჟურნალი „მოლა ნასრედინი“ – ყოველკვირეული პოლიტიკურ-სატირული ჟურნალი, რომელიც 1906-1908 წლებში თბილისში გამოიციემოდა, შემდეგ, 1931 წლის ჩათვლით, მისი გამოცემა განაგრძეს ჯერ თავრიზში, შემდეგ კი ბაქოში. მისი რედაქტორი და გამომცემელი იყო მწერალი და დრამატურგი ჯალილ ჰუსეინოლი მამედყულიზადე¹. ჟურნალი არაბული ტრანსლიტერაციით იბეჭდებოდა, რამაც პირველადი წყაროს

¹ ჯალილ ჰუსეინოლი მამედყულიზადე (1866-1932) — აზერბაიჯანელი მწერალი, განმანათლებელი, ჟურნალისტი.

დამუშავება მნიშვნელოვნად შეაფერხა. მუშაობის დამამთავრებელ ეტაპზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მივაკვლიეთ აზერბაიჯანის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ლათინურ ტრანსლიტერაციაზე გადატანილ გამოცემას. თუმცა ბიბლიოთეკაში ახალი გამოცემის მხოლოდ ის ნაწილებია წარმოდგენილი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო, თბილისში გამომავალი ჟურნალის ნომრები არ შედის. აფხაზურ ენაზე პირველი გაზეთი „აფსნი“ მხოლოდ 1919 წლის თებერვალში გამოვიდა.¹ რაც შეეხება ოსურ ნარატივს, ძირითადად, ვეყრდნობით თბილისში გამომავალი ოსური გაზეთის „ნოგ ცარდ“ (ახალი ცხოვრება) შეზღუდულ რაოდენობას, სადაც რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო ტექსტს მივაგენით. მოპოვებული საგაზეთო პუბლიკაციების დამუშავებამ და გაანალიზებამ მკაფიო და საინტერესო სურათი დახატა იმისა, თუ როგორ მიმდინარეობდა საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის იდენტობის ფორმირების პროცესი.

3.2. სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები და აფხაზები: იდენტობის მხედველი ნარატივების ურთიერთმიმართება

მოცემულ ქვეთავში გაანალიზებულია სომხების, აზერბაიჯანელების, ოსებისა და აფხაზების იდენტობის მშენებელი ნარატივების ფორმირებისა და მათი ურთიერთმიმართების საკითხი. აქ გვხვდება როგორც ამკარა წინააღმდეგობა, ასევე მეორე მხარის პოზიტიური მხარეების აღნიშვნა და მოწონება საკუთარი ჯგუფის სამომავლო განვითარებისათვის. ეს ასპექტები, ძირითადად, ჯგუფების პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების სფეროებში იკვეთება.

დასახელებული ტექსტები თავსდება ძმობისა და კონფრონტაციის წინააღმდეგობრივ პარადიგმაში. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ქართველებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ. სომხების ძლიერი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების გამო, ამ პერიოდში ამკარაა მეტოქეობა საქართველოში მცხოვრებ ქართველებსა და სომხებს შორის. მათგან განსხვავებით, დღევანდელ აზერბაიჯანელებს

¹ გელენავა, ირაკლი. დასახ. ნაშრ., გვ. 33-34.

(“თათრებს“) ქართველები პრობლემურ „სხვად“ არ მიიჩნევდნენ, რადგან ისინი უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მსგავსი დამოკიდებულება იკვეთება ეთნიკური ოსებისადმი, რომლებიც სწორედ ამ პერიოდში ჩნდებიან აქტიურად ქართულ რეალობაში და, აფხაზებთან ერთად, ქართული კულტურული სივრცის ნაწილად მოიაზრებიან. საფუძველს მოკლებული ჩანს ქართველებისა და აფხაზების „საუკუნოვანი“ დაპირისპირების, მათი წინააღმდეგობრივი ურთიერთობების მითი, რომელიც ზოგჯერ სამეცნიერო ნაშრომებშიც მეორდება. მართალია, დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა (1917-1918 წლები) და შემდგომ პერიოდში იკვეთება წინააღმდეგობა ქართველ და აფხაზ ეთნიკურ ჯგუფებს შორის (მაგალითად, პოლიტიკური წარმომადგენლობის საკითხზე), აფხაზები აჯანყებებს აწყობენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და ეს უკანასკნელი დაუნდობლად უსწორდება მათ, მაგრამ ძნელია ამ დაპირისპირების მონათვლა ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილ პრობლემად. ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველები და აფხაზები სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიამ უფრო დააშორა ერთმანეთს, ვიდრე ეთნიკურმა ფაქტორმა.

3.2.1. ქართულ-სომხური ურთიერთობის ნარატივი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პრიზმაში

მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე გამომავალი პრესა, როგორც ერთი მთლიანი ტექსტი, ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის მკაფიო სურათს ხატავს და კარგად ადასტურებს რონალდ სუნის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სომხებთან კონტაქტი და კონფრონტაცია იყო უპირველესი სტიმული ქართველთა თვითგანსაზღვრისათვის. ძირითადი პარადიგმა, რომელშიც თავსდება ქართულ-სომხური ურთიერთობის ნარატივი, არის ძმობა და, ამავე დროს, კონფრონტაცია. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველი ინტელექტუალები ღიად საუბრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხი ბურჟუაზიის მხრიდან მომდინარე საფრთხეებზე. შექმნილი სიტუაციის გამო, იზრდება ინტერესი ეთნიკური სომხებისადმი. სულ უფრო მეტი იწერება სომხების წარმოშობაზე, ისტორიასა თუ

დღევანდელობაზე. ჩვენი აზრით, მსგავსი შინაარსის პუბლიკაციები იდენტობის მნიშვნელოვან ნარატივებს წარმოადგენენ. მათში ხაზი ესმება ქართველთა და სომეხთა შორის ინტერესების, მისწრაფებების და სოციალურ-პოლიტიკური მოღვაწეობის თვალსაზრისით არსებულ განსხვავებებს. ქართველი მკითხველი, რომელსაც იმ პერიოდში ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ აქვს საერთო-ეთნიკური ერთობის განცდა და რომელშიც მძლავრობს კუთხური მიკუთვნებულობა, ეცნობა პუბლიკაციებს, სადაც მკაფიოდაა ხაზგასმული, თუ ვინ არის *სხვა* და ვინ შედის *ჩვენ* ჯგუფში.

ქართულ-სომხური ურთიერთობის ნარატივში ორი ძირითადი მიმართულება შეიძლება გამოიყოს. ესენია, ერთი მხრივ, პოლიტიკური და ეკონომიკური მეტოქეობა და, მეორე მხრივ, ისტორიული კავშირები, კულტურული ურთიერთგაცვლა და ურთიერთთანამშრომლობა, სადაც ისინი ერთმანეთს მისაბამ ნიმუშებადაც კი სახავენ. საკვლევი თემის ფარგლებში ეთნოსთაშორისი ურთიერთობის ეს ასპექტი განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან დადებით თუ უარყოფით კონტექსტში ეთნიკურ ჯგუფთა ურთიერთშედარება ხელს უწყობს ეთნიკურ დონეზე *ჩვენ* ჯგუფის კონსოლიდაციას.

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის „ქვათა ლაღადი,“ რომელიც პირველად 1899 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ და შემდეგ წიგნად გამოიცა.¹ იგი კარგად თავსდება ძმობა-კონფრონტაციის ნარატივის ჩარჩოში. ნაშრომის ხასიათს კარგად გამოხატავს ნამძღვარებული ამონარიდი „ვეფხისტყაოსნიდან“: „*ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მანყინარობს; მოყვარესამტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს*“, რომელიც იმთავითვე ნათლად ამჟღავნებს ილიას დამოკიდებულებას. ძირითადი პრობლემა, რასაც ილია ეხება, სომეხი და რუსი მეცნიერების მიერ ქართველი ერის დაკნინება და სომხების წინა პლანზე წამოწევაა. მისი აზრით, სწორედ ამ „პირმოშვებულმა ფილოსოფოსებმა“ აუცრუეს ერთმანეთზე გული ქართველებსა და სომეხებს, თორემ, მისი შენიშვნით, ორმოცი-სამოცი წლის წინ მათ ასე არ ჰყავდათ ერთმანეთი ათვალწუნებული. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მოდგმისანი და სარწმუნოებისანი იყვნენ, სომეხებს ქართველი და ქართველს სომეხი არ სძულდა. ილია

¹ იხ. ჭავჭავაძე, ილია. „ქვათა ლაღადი“. *რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად*. ტ. 5. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1987.

სომეხ-ქართველთა შერყეულ ურთიერთობას სომეხი მეცნიერების „გულნამცეცობას, უვიცობას, ნაცარქექიაობასა და ოინბაზობას“ მიაწერს. მისი თქმით, ეს უკანასკნელნი ცდილობენ ისტორიის დამახინჯებით კავკასიაში საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას, წერენ ისეთ საისტორიო ნაშრომებს, სადაც საქართველოს ტერიტორიები ისტორიული სომხეთის მიწებად, ხოლო ქართული კულტურა კი სომხური კულტურის ნაწილად არის მოხსენიებული. მიუხედავად აღმფოთებისა, ილია ცდილობს, არ დაკარგოს ზომიერება და ერთმანეთისგან მიჯნავს, ერთი მხრივ, ზემოთ აღწერილ მიდგომას, მეორე მხრივ კი მთელ სომეხი ერთან დამოკიდებულებას. მისი განცხადებით, სომხები მშვიდობიანი, მშრომელი და გამრჯე ერია, რომელთანაც ქართველებს დაპირისპირება არ აქვთ.

რუს და სომეხ მეცნიერებს ილია ქართველი და ევროპელი მკვლევრების თუ მოგზაურების ნაშრომებიდან ამოკრებილი, ქართველებისათვის სასარგებლო არგუმენტებით უპირისპირდება. მისი ტექსტი ქმნის მოწინააღმდეგის ხატს, რომლისგანაც გამოწვევა და საფრთხე მომდინარეობს და, რომელიც ერთნაირად საშიშია ყველა ქართველისათვის. ეს გახლავთ ერთგვარი მუხტი ეთნიკური კონსოლიდაციისათვის. ილია წერს:

„ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს... გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას, და რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულს მატრიანებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა, მთელს ჩვენს სისხლით-მოსილს ღვანლს ქრისტიანობისათვის შეწირულსა... რისთვის არის ატეხილი ეს მტვერ-ბუქი, ეს ფუქსავატი ჭექა-ქუხილი? იმისთვის, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ამიერკავკასიაში ერთადერთი სომხის ერია, რომელიც ძველისძველადაც ყოფილა, დღესაც არის და ამის გამო მომავალიც მისთვის უფრო უპრიანია, ვიდრე სხვისათვის,“¹

წერს ილია, თუმცა იმასაც დასძენს, რომ ქართველებს „სომხების არავითარი ღირსება, არავითარი სიკეთე არა გვჭურს... პირიქით, თუ სიკეთე, ღირსება რამ სჭირთ, იგი ჩვენთვის მხოლოდ სანატრელია და არა საშურველი.“

¹ ჭაჭავაძე, ილია. „ქვათა ლაღადი“, გვ. 22.

ამ ტექსტში სრულად არის გადმოცემული ქართველთა და სომეხთა ურთერთობის ამსახველი ნარატივის ძირითადი ასპექტები, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს საკვლევი პერიოდის განმავლობაში ქართულ თუ სომხურ პრესაში გამოქვეყნებულ მასალას. მომდევნო პერიოდში, ქართველ-სომეხთა კონფრონტაციის შესახებ საუბრისას, ქართველი ინტელექტუალები ძირითადად, ანალოგიურ პოზიციას იკავებდნენ.

პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები. ძნელია განვაცალკევოთ ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, რომლებიც მჭიდროდ იყო ერთმანეთთან გადაჯაჭვული.

პოლიტიკურ ცხოვრებაში მძაფრად ჩანს მეტოქეობა (ხმოსნების საკითხი), თუმცა ისიც აღინიშნება, რომ ქალაქების მმართველობაში ქართველთა სუსტი პოზიციები, უპირველესად, ქართველთა ბრალია.¹ სხვა მიზეზებთან ერთად, აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქალაქო მმართველობაში მონაწილეობისათვის აუცილებელი ქონებრივი ცენზი. ამის ნათელი დასტურია 1897 წლის 18 მაისს თბილისში გამართული ქალაქის საბჭოს არჩევნები, რომელსაც ქალაქის მთავარი სათათბირო ორგანო ოთხი წლის ვადით უნდა აერჩია. წინასაარჩევნო პერიოდში ქართული პრესის (განსაკუთრებით, „ივერიის“) ფურცლებზე აქტიურად განიხილებოდა არჩევნების საკითხი. ქართველები საბჭოს წევრობის კანდიდატებისთვის ქონებრივი ცენზის გაუქმებას მოითხოვდნენ, რასაც ეწინააღმდეგებოდა სომეხი ბურჟუაზია, რომელიც ქალაქის მოსახლეობის ყველაზე მდიდარ ფენას წარმოადგენდა. „ივერიაში“ გამოქვეყნდა წერილი „დღევანდელ არჩევანების გამო“, სადაც ავტორი, ფსევდონიმით „Plebs“² წინა მოწვევის ქალაქის საბჭოს „სოლოლაკელი კრეზების“³ პარლამენტს უწოდებდა და იმედოვნებდა, რომ იგივე აღარ განმეორდებოდა⁴. საბოლოოდ, მიუხედავად ქართველების მცდელობისა, სომეხებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს. არჩევნები

¹ პ. კიდევ ორიოდე სიტყვა ქალაქის არჩევნებზე, კვ „კვალი“, 1897, № 9 (ფსევდონიმით პ. წერდა პეტრე უმიკაშვილი (1834-1904), ფოლკლორისტი, ლიტერატორი და პუბლიცისტი).

² ნიკოლოზ თადეოზის ძე ხიზანაშვილის (1851-1906) ფსევდონიმი, რომელიც იყო ისტორიკოსი, იურისტი. წერდა აგრეთვე ფსევდონიმით „ურბნელი“.

³ ასე უწოდებს ავტორი ყველაზე შეძლებულ და გავლენიან თბილისელ სომეხებს.

⁴ „ივერია“, 1897. № 95, გვ. 2.

ნააგო ბევრმა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ, მათ შორის, ილია ჭავჭავაძემ, რომლის მოწინააღმდეგეთა ხმების რაოდენობამ (559) მომხრეთა ხმების რაოდენობას (504) საგრძნობლად გადააჭარბა.¹

არჩევნებს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე. იგი მოითხოვდა, რომ თბილისის ქართველ მოსახლეობასაც მისცემოდა საკუთარი წარმომადგენლობის ყოლისა და გადანყეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება: „ლახვა სხვის უფლებისა, მერე იმისთანისა, რომელიც ბუნებითად მინიჭებული აქვს ყოველს ადამიანს, შეუწყნარებელია და დაუზოგველად განსაკითხავი ყოველგან და ყველასგან. შენც იყავ და მეც მამყოფე, განა ბუნებრივი და სამართლიანი სურვილი არ არის?“² მეორე მხრივ, ილია არ ეწინააღმდეგებოდა ქალაქის საბჭოში სომხების ყოფნას. იგი მოუწოდებდა საზოგადოებას, გაეზიარებინა სიბრძნე – „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“, რომლის გარეშეც შეუძლებელია რაიმე წარმატებასა და უკეთესობაზე ფიქრი.

ეკონომიკის სფეროში, ერთი მხრივ, შეინიშნება ქართველთა უძლურება სავაჭრო-საწარმოო სფეროში სომეხთა გაბატონების წინაშე (ობიექტურ მიზეზებთან ერთად, განპირობებული იყო დამკვიდრებული შეხედულებით, რომ ქართველი აზნაური და თავადი ვაჭარი და მევახშე ვერ გახდებოდა), მეორე მხრივ კი აშკარა ქართველების აქტიური მცდელობა, წინ აღუდგნენ სომხური კაპიტალის მომძლავრებას (სათავადაზნაურო ბანკის დაარსება და სხვ.).

1883 წელს გაზეთი „მშაკი“ საგანგებოდ განიხილავდა გაზეთი „კავკაზის“ პოზიციას კავკასიაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით,³ სადაც აღნიშნული იყო, რომ არსებობს ნიშა, რომელიც სომხებს შეუძლიათ დაიჭირონ იმპერიის ცხოვრებაში; ხაზგასმული იყო რამდენიმე გარემოება, რომელიც ისტორიული წარსულით და იმდროინდელი ობიექტური რეალობით გახლდათ გამონვეული; „კავკაზი“ მიუთითებდა, რომ რუსები, რომლებიც ქვეყანაში, უმეტესად, მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს იკავებენ, კაპიტალისტები არ არიან, შესაბამისად, ისინი ვერ დაკავდებიან მრეწველობით. ქართველები, ისტორიული გარემოებების წყალობით, არ ფლობენ კაპიტალს, არც

¹ „ივერია“, 1897. № 96, გვ. 2-3.

² ჭავჭავაძე, ილია. ტფილისში სომხობამ ხელთ იგდო ქალაქის თვითმართველობა. თხზულებანი. ტომი XIII. ილიას ფონდი. თბილისი, 2007, გვ. 307.

³ ეკონომიკური საკითხი, „მშაკი“, 1883, № 34.

დიდ უნარიანობას ამჟღავნებენ სამრეწველო საქმიანობაში.¹ ამ დროს კი სომხები იოლად უღებენ ალღოს ახალ სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას, ქმნიან კაპიტალისტთა ძლიერ ფენას, მდიდრდებიან და, რიგ შემთხვევაში, გაკოტრებულ ქართველ თავდაზნაურთა ქონებას ეპატრონებიან. „კავკაზის“ პრეტენზია სომხების მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ, მიუხედავად ყველანაირი ხელშემწყობი გარემოებისა, სამრეწველო საქმის ხელში აღების ნაცვლად, ისინი ვაჭრობით დაკავდნენ. დილიდან სალამომდე მალაზიაში უსაქმოდ ჯდომა, მუშტრის ლოდინი – აი, ადამიანური ღირსების დამაქვეითებელი გარემოება, რადგანაც, ამ შემთხვევაში, ის არც ფიზიკურად იხარჯება და არც გონებრივადო.² ამის შემდეგ „მშაკში“ დაბეჭდილი სტატიის ავტორი მრეწველობის უპირატესობაზე საუბრობს და მოჰყავს გაზეთ „კავკაზის“ დასკვნა: ერთადერთი ჯგუფი, რომელმაც შეიძლება ხელი მოკიდოს მრეწველობას, სომხობაა, რადგანაც მათ ხელშია ქვეყნის მთელი ეკონომიკური ძალა. ისინი ფლობენ ქვეყნის სოფლებსა თუ ქალაქებში დიდ მამულებს, მათ ხელშია კაპიტალი, თუმცა, ამავე დროს, გაზეთი იმედს ვერ ამყარებს სომხებზე, რადგანაც ფიქრობს, რომ ვაჭრობა მოკლავს სომხებში მრეწველობის სულს. როგორც „მშაკი“ აღნიშნავს, რუსული გაზეთი კავკასიაში მრეწველობის განვითარებას მხოლოდ უცხოელ კაპიტალისტებს უკავშირებს და სურს, რომ მალე იხილოს ისინი აქ, რათა მათ ხელი მოჰკიდონ მრეწველობის განვითარებას მთლიანად კავკასიასა და, კერძოდ, ამიერკავკასიაში.³

გაზეთ „მშაკში“ განხილული „კავკაზის“ სტატია კარგად წარმოაჩინს სომხთა მისწრაფებას ეკონომიკური ძლიერებისაკენ. ფინანსური წარმატება წარმოადგენს საქართველოს მნიშვნელოვან ურბანულ ცენტრებში სომხების მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების წინაპირობას. ქართველების გაღიზიანებისა და სომხებთან კონფრონტაციის ძირითადი საფუძველიც სწორედ ეს გარემოება ხდება.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე პრესაში გამართული პოლემიკა იდენტობის მშენებელი მნიშვნელოვანი ნარატივია. ინტელექტუალები ამ პოლემიკის დროს მკაფიოდ ავლებენ საზღვარს ჩვენ და სხვა ჯგუფებს შორის და, რაც ყველაზე მთავარია, მკითხველს

¹ ეკონომიკური საკითხი, „მშაკი“, 1883, № 34.

² იქვე.

³ იქვე.

ხაზგასმით უხსნიან, თუ რატომ არის სომეხი *სხვა*, წყალგამყოფი კი არის სამშობლო — მამა-პაპათა სისხლით მორწყული მამული, რომელზეც უპირატესობა სომხებს მოუპოვებიათ. ინტელექტუალთა ძირითადი მიზანია „ქართველთა გამოფხიზლება“, კონსოლიდაცია, ბრძოლა უფლებების გაფართოებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური პოზიციების გამყარებისათვის.

მიუხედავად ეკონომიკურ ნიადაგზე არსებული ქართველ-სომეხთა წინააღმდეგობისა, სომეხი ძმა და მეზობელია, რომელთანაც ქართველებს მათთან ისტორიული თანაცხოვრება და ქრისტიანობა აკავშირებთ. ის არ არის *მტერი*, ვისაც ქართველი ებრძვის, მაგრამ წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ *მეტოქეს*.

სომხებთან მიმართებაში არსებული ეკონომიკური მეტოქეობაც ორაზროვანი და წინააღმდეგობრივი ხასიათის იყო. 1875 წლის „დროების“ ერთ-ერთ ნომერში გვხვდება საგულისხმო სტატია, სათაურით „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს,“ რომლის ავტორია აკაკი.¹ ავტორის პოზიციის მიხედვით, თუ ქართველები, მათივე დაუდევრობით, დაკარგავენ რაიმეს, ისევე ჯობს, რომ ის „ჩვენი მოძმეების“ – სომხების ხელში ჩავარდეს და არა უცხოების. თუმცა ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ქართველობამ დიდი ხნით უნდა დაითმინოს სომხების ბატონობა ქალაქის მმართველობაში, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მოიჯარადეობის დროს მხოლოდ ქართველის ინტერესი იკარგება და არა სომხის, რომელიც არაფერს ზარალობს. პრობლემად არის დასახელებული დღიური მუშების დაჯარიმება, რომლებიც მეტწილად იმერლები არიან და ქალაქში ორი გროშის საშოვნელად მოდიან, გამგეობა კი ჯარიმას ადებს მათ და კიდევ უფრო ცუდ დღეში აგდებს. სანტერესოა ამ ფაქტის შეფასება სომხებთან დამოკიდებულების და განწყობის კუთხით: აღნიშნულია, რომ ქართლებსა და იმერლებს ქალაქში ალა-მაჰმად ხანობა მოუბრუნდათ ქალაქის სომხური გამგეობისგან და მათ თბილისში ტრაფარეტით უნდა იარონ: „რადგან ქართველად დავბადებულვარ, ნება არ მქონდა უჯარიმოდ თბილისში ქუჩებზედ სიარულისა, მაგრამ მანეთი გადახდილი მაქვს და ნულარ დამიჭერთ.“²

¹ აკაკის სახელით ფსევდონიმების ლექსიკონში იძებნება მხოლოდ აკაკი წერეთელი.

² *თავის თავს უნდა ჰგავდეს*, „დროება“, 1875, № 7.

სომეხი მევახშეებისადმი ნეგატიური განწყობა იკვეთება სერგეი მესხის სტატიაში „რისთვის გვინყრებიან?“ („დროება“, 1875 №13). ავტორი აკრიტიკებს სომეხ მევახშეებს, რომლებიც კიდევ უფრო აჭერენ ნიხლს ცუდ დღეში მყოფ ქართველებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ მისი კრიტიკა მიმართულია არა ზოგადად სომხობის, არამედ იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც „მოყვრულად“ არ ეკიდებოდა ქართველებს.¹ ამგვარად, მკაფიოდ არის გამიჯნული ქართველის „მტერი“ სომეხი (ბურჟუაზიული ფენა) და, ზოგადად, ეთნიკური სომეხი.

ერთ-ერთი დიდი პრობლემა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ურბანულ ცენტრებში სომეხთა ძლიერი პოზიციებია. 1886 წლის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „წერილი გადაღმითგან“,² ჩიტორელიძის ავტორობით.³ ეს არის წერილი მეგობრისადმი, სადაც ავტორი უყვება მას, თუ როგორი შეხედულება აქვთ ევროპელებს ქართველებზე. ვინმე ელიზე რეკლიუს აზრით,⁴ ქართველები ყველაზე ჩამორჩენილები არიან კავკასიაში, ამის მიზეზი კი ის არის, რომ „ქართველები სოფლებში მცხოვრებლები არიან, სომხები კი – მოქალაქენი.“⁵ ეს საკითხი ქართველი ინტელექტუალების მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა. ისინი მუდმივად საუბრობდნენ ქალაქებში ქართველთა პოზიციების გაძლიერების საჭიროებაზე. 1870-იანი წლების შემდეგ საქართველოს ურბანულ ცენტრებში ახალი რეალობა შეიქმნა: პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოს ცვლილების შედეგად, სოფლის მოსახლე ქართველებმა — როგორც გლეხებმა, ასევე თავადაზნაურობამ — ქალაქებს მიაშურა, სადაც არაფრისმქონე ქართველებს ძლიერი სომხური ბურჟუაზია დახვდა, რომელიც სხვა ენაზე საუბრობდა, სხვა ეკლესიაში დადიოდა და განსხვავებული კულტურული ღირებულებები ჰქონდა. ამ ორი ეთნიკური ჯგუფის ყოველდღიური ურთიერთობის გაღრმავებამ მათ შორის არსებული განსხვავებები კიდევ უფრო მკაფიოდ გახადა. პირველ ეტაპზე აშკარა იყო სომეხთა პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობა

¹ მესხი, სერგეი. *რისთვის გვინყრებიან?* „დროება“, 1875, №13.

² „ივერია“, 1886, № 260.

³ ჩიტორელიძის ფსევდონიმით წერდნენ როგორც ილია ჭავჭავაძე, ასევე მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი (1833-1891) – საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, პედაგოგი.

⁴ ვინ არის ელიზე რეკლიუს, სტატიაში დაზუსტებული არ არის.

⁵ „ივერია“, 1886, № 260.

ქართველ თავადაზნაურობასთან შედარებით, რომელიც მანამდე საქართველოში წამყვან სოციალურ ფენას წარმოადგენდა. სომეხთა უპირატესობა ქართველებთან შედარებით სომხური ინტელიგენციის ორგანიზებულობითაც იყო განპირობებული.

გაზეთებში მუდმივად გვხვდება ამ პროცესის ამსახველი პუბლიკაციები. მაგალითად, 1889 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ტფილისის ქართველთა ინტელიგენცია“, ¹ რომლის ავტორია პ. (პეტრე უმიკაშვილი). ავტორი დასაწყისშივე აცხადებს, რომ „სამწუხარო ყოფაა ტფილისის ქართველი ინტელიგენციის ყოფა“; ქართველთა საზოგადო მოღვაწეობა არსად ჩანს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სტატიის მეორე ნაწილი, სადაც ავტორი ქართველ ინტელიგენციას თბილისის სომეხ ინტელიგენციას ადარებს: „აბა შეხედეთ ტფილისის სომეხთა ინტელიგენციას, სად არა ხედავთ? ... ტფილისის ქალაქის რჩევაში უმრავლესობა მას ეკუთვნის, ... ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების შემადგენელი და მმართველი იგია. ექვსი-შვიდი ყურნალ-გაზეთი აქვს და ყველა ეს ჩვენს დედაქალაქს ტფილისშია.“ ²

ქართველთა ნაკლოვანებებზე საუბრისას, ისინი, თითქმის ყველა შემთხვევაში, შედარებული არიან სომეხებთან. „რისგან არიან სომეხნი უფრო დანინაურებულნი? იმით, რომ მიხვედრილნი არიან, რა ძალა აქვს ერთმანეთთან კავშირს, ერთობას. ... აი, ამიტომ ვამბობთ, რომ დროა ტფილისის ქართველ ინტელიგენციამ შეიგნოს ძალა ერთად მოქმედებისა და მეთაურობა გაუწიოს ტფილისის ქართველობას...“ ³ სტატიის ავტორის მთავარი მიზანია „ჩვენს დედაქალაქს ტფილისში“ ქართველთა უფლებების გაზრდა. თუმცა იმ პერიოდის პრესაში ქართველთა სისუსტე არა პოლიტიკურ არარეპრეზენტატულობას, არამედ, უპირველესად, კულტურულად სუსტ ორგანიზებულობას მიეწერება.

რატომ არის ზემოთ მოყვანილი ტექსტები ჩვენთვის საინტერესო იდენტობის მშენებელი ნარატივების კონტექსტში? სომხური ბურჟუაზია ქართველი ინტელექტუალებისთვის ხდება, ერთი მხრივ, მისაბაძი ნიმუში, ხოლო მეორე მხრივ, ყალიბდება იმ

¹ „ივერია“, 1889, № 114.

² იქვე.

³ იქვე.

მეტოქედ, რომლის ძალაუფლების შესუსტება პირდაპირ უკავშირდება ქართველების გაძლიერებას. ქართველი ინტელიქტუალები, რომლებიც ქართული ნაციის მშენებლებად გვევლინებიან, აცნობიერებდნენ, რომ ეკონომიკური სიძლიერე ნაციის კონსოლიდაციის ერთ-ერთი საფუძველია. ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის ნარატივში გაჩნდა სომხის ახალი სახე – სომეხი ვაჭარი, რომელსაც ქართველები ჩარჩს უწოდებდნენ და ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიებდნენ. თუ სომეხი ინტელიგენცია მისაბაძად ჩანდა ეთნიკურ-კულტურული მობილიზაციის მხრივ, სომეხი ვაჭარი ის ცალსახა მტერი იყო, რომელიც ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქართველს კიდევ უფრო უძნელებდა ყოფას. სწორედ ამიტომ პრესაში ვაჭრები, უმეტესწილად, ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიებიან.

1900 წელს, გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულია ფელეტონი სათაურით „თელავი: რამე-რუმეები“. სტატიის ავტორი, ფსევდონიმით „მოქალაქე“,¹ აღწერს კახეთის ყოფას, საუბრობს არსებულ პრობლემებზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „აქ სოფლებზედ სომეხ ჩარჩ-ვაჭართა ბრბო კალიასავით მოდებულა და ლამის ხალხი მთლად დასცენ ქონებრივად და გაალატაკონ!“² ავტორი გულისტკივილით აცხადებს, რომ ქვეყნისათვის ისეთი სასარგებლო საქმე, როგორც აბრეშუმის წარმოებაა, „უცხო ქვეყნელთა ხელში გადადის“, ეს „უცხო ქვეყნელები“ კი „თელავის სომეხ-ჩარჩები“³ არიან, რომელთაც სტატიის ავტორი „მგელ-კაცებად“ მოიხსენიებს:

„ისე კვირა არ გავა, ორჯელ, სამჯერ არ აიარ-ჩამოიაროს თავის საწილადო სოფელში სისხლის მწოვარა ჩარჩმა.... იმასაც სცდილობენ, რომ სოფელს თავისი ამქრის კაცები აარჩევიონ მოხელეებად... ვინ იცის, კიდევ რამდენს ხანს გასტანს კახეთის ჩარჩ-ვაჭართა თარეშობა ჩვენს მამაპაპათა სისხლით მორწყულს და ძვლებით გაპოხიერებულს მადლიანს ნიადაგ ზედ, თუ ჩვენ ასე უსაფუძვლოდ ერთი-მეორის მტრობაში ამოვიძრობთ სულს? თუმცა კახეთის გლეხებს ზოგან პოეტის ლექსი გაუზეპირებიათ და სიმღერაშიც ჩაუქსოვიათ:

¹ ამ ფსევდონიმით გაზეთ „ივერიაში“ წერდა სერგეი მესხი.

² მოქალაქე, ფელეტონი. თელავი: რამე-რუმეები, „ივერია“, 1900, № 261.

³ იქვე.

ვაჭარო, მაგ შენ აბაზში
 სისხლი და ოფლი ჩვენია,
 როგორ არა გქვს ღვთის შიში,
 ან კაცის არა გრცხვენია?
 რომ ჩვენვე მოსანამლავად
 ხელში გიჭირამს ეგ ფული,
 და უცდი მარჯვე შემთხვევას,
 რომ ამოგვადრო მით სული.
 რა დაგიშავეთ, რას გვერჩი,
 რა მოგვიცია მიზეზი?
 ის, რომ არ მოუქნევია
 ჩვენ სულგრძელობას ჯერ დეზი?!“¹

სტატიამი კარგად ჩანს ორი მხარე: ერთი მხრივ — „სულგრძელი“ ქართველი გლეხი, რომელსაც ეკუთვნის მინა-მამული და, მეორე მხრივ, „უცხო ქვეყნელი სომეხი“, რომელიც „ჩარჩ-ვაჭრობით“ ხელში იგდებს ქონებას. „ჩარჩ-ვაჭარი“ უარყოფითი ეპითეტია, რომელიც ავტორისთვის და, აქედან გამომდინარე, მკითხველისთვისაც ასოცირდება „მგელ-კაცთან“, მტაცებელთან, ხოლო ვაჭრების უმრავლესობა ეთნიკური სომეხია. სტატიამი მკაფიოდ ესმება ხაზი იმას, რომ „სომეხ-ჩარჩ-ვაჭარი“ სხვაა, რომელსაც არ ეკუთვნის „მამა-პაპათა სისხლით მორწყული“ ქართული მინა/მამული. ავტორი კახეთის ქართველებს ერთიანობისაკენ და ამ პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებისკენ მოუწოდებს.

იგივე აზრი გრძელდება 1901 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიამი, სათაურით „ცხოვრების გამოძახილი.“ ავტორი, ფსევდონიმით კლდია², კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით საუბრობს სომეხების შესახებ. „საქართველოს ერს სამოცი მოსისხლე კიდევ ემატება, მაგრამ რუსისა კი არა, სომხისა. ჩვენს მოკეთე-მეზობელსაც აეშალა მადა ჩვენის ქვეყნის გაშენებისა და ფიქრობენ, თუ რუსის მუჟიკებს ეპატიჟებიან, ჩვენი კრუები³ ვითომ რად ვერ შეიფერებენ ცხოვრებას იმ ქვეყანაში,

¹ მოქალაქე, ფელეტონი. თელავი: რამე-რუმეები, „ივერია“, 1900, № 261.

² ამ ფსევდონიმით „ივერიაში“ სტატიებს აქვეყნებდა როგორც ცნობილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი, ასევე ლიტერატორი, მთარგმნელი და პუბლიცისტი პეტრე გრიგოლის ძე მირიანაშვილი (1860-1944).

³ გაზეთი „ივერია“ ეთნიკურ სომეხებს ხშირად ასე მოიხსენიებს.

რომელიც ძველად ჩვენი ყოფილა და მომავალშიც ჩვენი იქნებაო“.¹ ავტორს ყველაზე მეტად ის ადარდება, რომ სომეხები ფულით „ჰლამიან ჩვენის ქვეყნის დაპყრობას;“ მან იცის, რომ ფული დიდი ძალაა, მაგრამ ქართველთა მხრიდან წინააღმდეგობის განწევსა ეიმედება და წერს, რომ სომეხთა ფულს „მოცილებდ უდგია ერის ზნეობა, რომელსაც ჯერ კიდევ საკმაო სიმტკიცე შერჩენია.“² ავტორი ასახელებს მდიდარ თბილისელ სომეხს მირზოევს, რომელსაც ბორჩალოს მაზრაში შეუძენია დიდძალი მიწები, დაუყვია და „თავისი ერთმორჯულე ხალხი დაუბარებია ერევნიდან: მოდით, დასახლდითო...“³ ავტორის თქმით, მირზოევს „საერო საქმე“ არც პირველია და არც უკანასკნელი, ამიტომ ის მკითხველს აფრთხილებს: „სომეხთა შემოსევას ჩვენს ქვეყანაში დიდად უნდა დავუფიქრდეთ ... თვალწინ უნდა გვედგას ის განსაცდელი, რომელიც მოელის ჩვენს ქვეყანას ჩვენის მამულების არაქართველის, მეტადრე სომხის ხელში გადასვლით.“ გამოსავალს კი იმაში ხედავს, რომ „დავტრიალდეთ შინვე, მოვიწვიოთ ჩვენივე უმინაწყო გლეხობა და იმას მივყიდოთ შელავათიანის პირობით... ნაჭერ-ნაჭერ დავუყოთ საცხოვრებლად.“⁴

1903 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ ფელეტონში „პროფესორ ეგიაზარის წერილის გამო“ რედაქცია წერს, რომ სომეხ ბურჟუაზიას „აღმოსავლეთ საქართველოს მთელი ვაჭრობა ხელში ჩაუგდია. საქართველოს ნახევარ ნაწილს არ ჰყავს თავისი ვაჭართა ნოდება... მართალია ვენახები არა, მაგრამ ნაურთმევიათ სამაგიეროდ ვაჭრობა, ურომლისოდაც ახლანდელ დროში შეუძლებელია კულტურული ზრდა-განვითარება“.⁵ ქართველთა გაღიზიანება გამოუწვევია პროფესორის დამოკიდებულებას, რომლის აზრითაც, „ტფილისი და სხვა ქალაქები პოლიტიკურად რუსის ქალაქებიაო... სომეხებსაც, როგორც რუსის ქვეშევრდომს, კანონი არ უკრძალავს ხსენებულ ქალაქებში იცხოვრონო“.⁶ „ივერიის“ რედაქცია განმარტავს საკუთარ დამოკიდებულებას საქართველოს ტერიტორიაზე სომეხების

¹ კლდია. *ცხოვრების გამოცხილი*, „ივერია“, 1901, № 188.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ *ფელეტონი პროფესორ ეგიაზარის წერილის გამო*. „ივერია“, 1903, № 2.

⁶ იქვე.

განსახლების მიმართ და ღიად აცხადებს: „მათ სურთ, რომ სომხის ბურჟუაზიამ ეკონომიკურად სული ამოგვაცალოს, „შეგვიერთოს“ და ჩვენ ამისთვის გვიყვარდეს... ჩვენ გვსურს ერთობა ნამდვილი, რეალური ძმობა, თანასწორობა“.¹ აქ ნათლად ჩანს, რომ ქართველებს ყველაზე მტკივნეულ პრობლემად სომხური ბურჟუაზიის ეკონომიკური ძლიერება მიაჩნდათ.

1903 წელს გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენციაში გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია, რომლის ავტორი იყო ვინმე არონა.² იგი გოლოვინის პროსპექტზე ქართველი თავადიშვილის დასაფლავების ცერემონიას შესწრებია. ამ პროცესიის შემდეგ მალევე გამოუსვენებიათ მდიდარი სომხის ცხედარი. როგორც ავტორი ამბობს, „მიუბრუნდა ხალხს ერთი კაცი და უთხრა: მოსეი ოსიფიჩ! გარწმუნებ, იმ თავადს ამ სომხის ვალი ემართებოდა და აქ რომ ვერ გამოურთმევია, საიქიოს დასდევნებიაო“.³ ეს ნახევრად სახუმარო ამბავი სიმბოლური გამოხატულებაა დამოკიდებულებისა, რაც სომეხი ვაჭრებისადმი ჰქონდა მაშინდელ ქართველობას.

„ივერიასა“ და სხვა გაზეთებში მიმდინარე პოლემიკა, გამოქვეყნებული ტექსტები, სტატიები ეთნიკური იდენტობის მშენებელ, ეთნიკური სხვის კონსტრუირების ერთ-ერთ მთავარ ნარატივად იქცა. ეთნიკური სომხების სხვა ჯგუფად აღქმა, მნიშვნელოვან მონინააღმდეგედ წარმოჩენა და, ამის საფუძველზე, ქართველთა კონსოლიდაციის ხელშეწყობა მედიაში მოღვაწე ქართველი ინტელექტუალების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩეოდა გაზეთ „ივერიის“, ხშირ შემთხვევაში (როგორც ეს ზემოთაც ჩანს), მკაცრი და უკომპრომისო პუბლიკაციები. ასეთი დამოკიდებულების გამო, განსხვავებული მოსაზრებების მქონე ინტელექტუალები ხშირად აკრიტიკებენ „ივერიის“ რედაქციას. თუმცა თავად რედაქცია მკაფიოდ ემიჯნებოდა „სომეხთმოძულეობას“, ხედავდა რა მასში როგორც საქართველოს მომავლის, ასევე კავკასიის ხალხებთან სამომავლო ურთიერთობისათვის შესაძლო საფრთხეს.

ამ კუთხით, ძალზე საინტერესო პოლემიკა გაიმართა გაზეთებს „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელს“ შორის. 1903 წლის გაზეთ

¹ ფელეტონი პროფესორ ეგიაზარის წერილის გამო. „ივერია“, 1903, № 2.

² არონას ფსევდონიმით მოღვაწე პიროვნების ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

³ არონა, „ივერია“, 1903, № 252.

„ივერიაში“ (№ 2 და № 9) რედაქციის სახელით დაიბეჭდა სტატია, რომელიც პირველ გვერდზე იწყება და დასათაურებული არ არის (ტფილისი, 4 იანვარი — მითითებულია სათაურის მაგივრად). სტატია წარმოადგენს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ კრიტიკას. ჩვენთვის საინტერესოა ერთი მონაკვეთი, სადაც ივერია „ცნობის ფურცელს“ ცილისნამებაში ადანამაულებს. როგორც სტატია იტყობინება, „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა სტატია (სამწუხაროდ, მას ვერ მივაკვლიეთ), სადაც გაზეთი „ივერიის“ რედაქციას და მის დასს „სომეხთა მოძულეს“ უწოდეს. „წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება და მწუხარება, როდესაც ცილისნამება ამოვიკითხეთ გაზეთში შესახებ ქართველების მტრულის განწყობილებისა სომეხებთანა. ამ გაზეთმა აღმოაჩინა ქართველთა შორის და საჯაროდ, ხმა მაღლა აღვიარა სომეხთა მოძულე დასი“.¹ როგორც აღმოჩნდა, „ივერიის“ რედაქციამ ეს მტკივნეულად აღიქვა. მათი აზრით, „ცნობის ფურცელმა“ ორი დიდი შეცდომა დაუშვა: ერთი და უმთავრესი, რომ ეს იყო ცილისნამება, ხოლო მეორე – მტრის წისქვილზე წყლის დასხმა, რადგან ეს სიტყვები მაშინვე „იქმნა გადათარგმნილი სომხურს გაზეთებში და აგრეთვე რუსულშიაც... მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თარგმანში სომეხების ძაგებამ ქართველების მიერ დაიჭირა პირველი ადგილი.“² „ივერია“ „ცნობის ფურცლის“ ამ ქმედებებს დანამაულს უწოდებს და თვლის, რომ მსგავსი სტატიები წარმოადგენს ძალას,

„რომელსაც შეუძლიან მტერს ხელში მისცეს იარაღი ჩვენ წინააღმდეგ და შეარყევინოს ეს მოყვარული განწყობილება კავკასიის ერებისა ქართველობისადმი..... ყველა კავკასიის ხალხს შეაგონეს, დახეთ, დახეთ, თვით გულწრფელი ქართველები გულუბრყვილოთ აღიარებენ, რომ ქართველ პატრიოტებს თქვენა სძულხართ და თუ ხელში ძალა იგდეს, შეგჭამენ და მიწასთან გაგასწორებენო.“

არანაკლებ საინტერესოა სტატიის მეორე ნაწილი:

„მართალია, ქართველებს პოლიტიკური ბრძოლა არავისთან მოელოთ, მაგრამ მოყვარენი და მოკეთენი არანაკლებ არიან საჭირონი ეკონომიკურის, სოციალური და ეროვნულის ბრძოლაში... ავიღოთ თუნდაც ჰაისტანის ბურჟუაზია. ამ

¹ „ივერია“, 1903, № 3.

² იქვე.

ძლიერმა კლასმა დაიჭირა ყველა ქალაქები აღმოსავლეთის საქართველოსი, ხელთ იგდო სამოქალაქო თვითმართველობა, თითქმის მთელ ფულს კავკასიისას თავის ჯიბეში მოუყარა თავი, მაგრა ჩაბლუჯა და სოფლის მამულებსაც ხარბად ყიდულობს. ერთის სიტყვით, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ საქართველო სომეხთა სამშობლოდ გარდააქციოს და შემდეგ კავკასიის სხვა ხალხებსა ხელიდან გამოაცალოს... ამ ნადილს უსათუოდ ეწევა, თუ ქართველობა ამ ბურჟუაზიას არ ალაგმავს, ფხიზლად და მედგრად არ იბრძოლებს თავისი მამაპაპურ საკუთრების დასაცავად. ამ ალაგს კი ქართველობა მხოლოდ მაშინ შეინარჩუნებს, როდესაც ეყოლება მომხრენი, თანამგრძობნი, მოკავშირენი. ამისთანა მომხრეებად იქმნებიან კავკასიის ყველა ხალხები, თუ ქართველობამ შეინარჩუნა ის სიმპატია, ის ტრადიციული თანაგრძობა, ის მამაპაპური პატივისცემა, რომელიც მათში ღვივოდა და ღვივის ახლაც.“¹

ამ ტექსტში შეიძლება ორი მიმართულების გამოყოფა: პირველია სომეხთა და ქართველთა დაპირისპირების ნარატივი; მეორე — კავკასიის, როგორც იდენტობის კიდევ ერთი სივრცის, გამოყოფა და იქ დომინანტის როლის შენარჩუნების მნიშვნელობის ხაზგასმა.

ამგვარად, სომხების საკითხთან დაკავშირებულ პოლემიკაში „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. ეს უკანასკნელი ეთნიკური სომხების საკითხს კლასობრივი ბრძოლის პარადიგმაში ათავსებდა. მათთვის მიუღებელი იყო „ივერიის“ იდეოლოგია, რომელიც ქართველ-სომეხთა კონფრონტაციას ეროვნულ ჭრილში განიხილავდა. თავის მხრივ, „ივერია“ „ცნობის ფურცელს“ აკრიტიკებდა და 1903 წლის № 91-ში დაბეჭდილ ფელეტონში, სათაურით „მასლაათი“, ავტორი, ფსევდონიმით Plebs მას ასე მოიხსენიებდა: „ქართულს ... უკაცრავად! სომხურს „ცნობის ფურცელში“...“

1903 წელს გახშირდა ეთნიკური სომხების პრობლემებზე დანერგილი სტატიები და ინფორმაციები, რაც განაპირობა ოსმალეთის იმპერიიდან ეთნიკური სომხების მასობრივმა მიგრაციამ და მათი განსახლების პოლიტიკამ. ქართველი ინტელექტუალები, განსაკუთრებით გაზეთ „ივერიის“ გარშემო შემოკრებილნი, საფრთხედ აღიქვამდნენ საქარ-

¹ „ივერია“, 1903, № 9.

თველოს ტერიტორიაზე სომხების განსახლებას. ილია და მისი თანამოაზრეები მიიჩნევდნენ, რომ, ზოგადად, უცხოტომელთა მიერ ქართული მიწების ხელში ჩაგდება დიდ საფრთხეს შეუქმნიდა ქართველობას. განსაკუთრებული ზიანის მოტანა კი სომხებს შეეძლოთ, რადგან ისინი შეეცდებოდნენ ქართული მიწების „გასომხებას“. ეს შიში, სავარაუდოდ, ორმა ფაქტორმა განაპირობა – სომხების უშუალო მეზობლობამ და თბილისსა თუ სხვა მნიშვნელოვან ქალაქებში მათმა ძლიერმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პოზიციებმა.

გარდა საკუთარი მოსაზრებებისა და პროცესების შეფასებისა, „ივერიაში“ იბეჭდებოდა სომხურ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების თარგმანები. 1903 წელს ივერიაში დაიბეჭდა სომხურ გაზეთ „ნორდარში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის თარგმანი, რომელიც სომხურიდან თარგმნა კლდიაშვილმა. აი, რატომ აღმოჩნდა ის „ივერიისათვის“ საინტერესო:

„ქართული ჟურნალ-გაზეთობა განაგრძობს თავდასხმას საქართველოში მცხოვრებ სომხებზე და ის კი ავიწყდებათ, რომ სომხები მათი საქართველოსათვის უცხონი არ არიან. ათასი წელიწადი იქნება რაც სომხები მოსულან საქართველოში და ქართველ წარჩინებულ თავადთა შორის გვარიშვილობით არაერთია სომხის შთამომავალი, როგორც ბაგრატიონები (?), ჯორჯაძეები (?) (ორივე შემთხვევაში, კითხვის ნიშანი სტატიის ქართულად მთარმნელის დასმულია — დ.მ., ი.წ.)... ქართველები თავის-თავს სთვლიან თავადების მოდგმით არისტოკრატი ხალხად, ხოლო სომხებს ჩარჩებად, რომელნიც საქართველოში ქართველების ყმებად ყოფილან.“¹

სტატიის ავტორი ისტორიას იშველიებს და აცხადებს, რომ ქართველებზე ადრე სომხებსაც ჰყავდათ თავადები „და უფრო მნიშვნელოვანი და მტკიცე არისტოკრატია, რასაც ვერ სწვდებოდა ვერც ქართველთა და ვერც აზიის სხვა ქვეყნის არისტოკრატია“², რომლის გაქრობას ავტორი მიწის დაკარგვას აბრალებს და აცხადებს:

„რაო მერე ის ამბავი, რომ ქართველები სომხებს ძმურად მოპყრობიან... ის გარემოება, რომ ყველა სომხების

¹ რას ლაპარაკობს სომხური ჟურნალ გაზეთობა? სომხები და ქართველები. „ივერია“, 1903, № 33.

² იქვე.

მოსამსახურეები ქართველები არიან, მოასწავებს მას, რომ სომხებს ქართველების სანინააღმდეგო არაფერი აქვთ, პირიქით, თუ გნებავთ, კიდევ ზრუნავენ ქართველებისათვის.¹

„ნორდარში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ქართველ ინტელექტუალებში. „ივერია“ არ დააყოვნა და 1903 წლის 37-ე ნომერში, ნაიბის² ავტორობით, საპასუხო წერილი გამოქვეყნა, სათაურით „აი, ძმობა?!“ როგორც ორივე წერილიდან ჩანს, სომხებსაც და ქართველებსაც გააზრებული აქვთ, რომ მეზობლები არიან და დიდი ხნის წარსული აკავშირებთ ერთმანეთთან. „ძმობის“ მტკიცება, თითქოს, ორივე წერილის ლაიტმოტივია, ავტორები ერთმანეთს სწორედ ძმობისა და ერთობისადმი მიდგომას უწუნებენ. წერილის ავტორი წერს:

„საუცხოო ძმობა-ერთობაა, ვფიცავ, ნორდარის ამქრის მისის უსტაბაშით, ერთის მხრით ფარეშ-მზარეულობა და მეორეს მხრით — ალა-ბატონობა... ბარემ ადრევე სომეხთა ფარეშ-მზარეულობას გვემზადებინა მათთვის ფლავ-ბოზბაში... რომელ კარაბადინში ამოიკითხა — საქართველოს წარჩინებული გვარისშვილნი (ბაგრატიონი, ჯორჯაძენი და სხვ.) სომხები არიან შთამომავლობითო...“³

სტატიის შინაარსი და ხასიათი კარგად გამოხატავს ორივე მხარის მთავარ მიზანს: საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას. ხშირად მთავარ არგუმენტად წარსული გამოიყენება. ნაიბი ერთგვარი სარკაზმით ეხმიანება „ნორდარის“ მტკიცებას, რომ ქართველებს წარსულში სომხები იფარავდნენ მტრისაგან და ამბობს: „ჰო, მართლაც დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალესი, ერეკლე მეფისა და სხ. ძღვეამოსილება სულ კროათა წყალობა იყო“.⁴ გმირი მეფეების დასახელება და მკითხველისათვის ძველი დიდების გახსენება საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად ერთ-ერთი ძლიერი ხერხია ეროვნული იდენტობის წარმოსახვისათვის.

¹ რას ლაპარაკობს სომხური ჟურნალ გაზეთობა? სომხები და ქართველები. „ივერია“, 1903, № 33.

² სავარაუდოდ, ამ ფსევდონიმით გაზეთ ივერიაში სტატიებს აქვეყნებდა ილია ჭავჭავაძე.

³ ნაიბი. აი ძმობა? „ივერია“, 1903, № 37.

⁴ იქვე.

1903 წლის „ივერიის“ №38-ში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ნორდარის ძმური სიტყვა“. ავტორი, ფსევდონიმით ბერი¹, წერილის დასაწყისშივე იშველიებს არგუმენტებს ისტორიიდან და აცხადებს, რომ „ჩრდილოეთ სომხეთი XI საუკუნიდგან საქართველოს უცილობელს კუთვნილებას შეადგენდა... ისტორიულ სინამდვილეს სად გაექცევა კაცი!... თუ ქართულის წყაროების დაჯერება არ ჰსურს „ნორდარს“, საკმაოა ჩაიხედოს ბროსეს ნაწერებში, რომ დარწმუნდეს, რა გზით მსვლელობდა ქართველ-სომეხთა ისტორია.“² ავტორი ცდილობს ქართველთა უპირატესობის ხაზგასმას, იგი დარწმუნებულია საკუთარი მოსაზრებების სისწორეში. საუბრობს საქართველოში მცხოვრებ სომხებზე და მათ „აქაურ ჯგუფს“ უწოდებს. მისი აზრით,

„აშკარაა ყველასათვის, ვისაც თვალები არ დაუხუჭია, ენა, ჩვეულება, ზნე, ჩაცმა-დახურვა და ამ ბოლო დრომდის წიგნიც აქაურს სომეხთა ჯგუფს ქართული ჰქონდა ჯერ ისე გუშინაც, 20-30 წლის წინად ხომ მთელი ტფილისის ქართველი სომეხობა ანაგრიშობდნენ, სთვლიდნენ, ციფრების მაგიერ წერდნენ ქართულის ანბანით. რა გავლენა უნდა ქონოდა სომხის აქაურ ჯგუფს ქართველებსა და მათ ისტორიის მსვლელობაზედ, როდესაც თავისი გადაივიწყეს და შეისწავლეს ქართული ენა, ჩვეულება, წერა-კითხვა და თვით წირვაც კი მოაწყვეს ქართულად.“³

განხილული ტექსტები წარმოგვიდგენენ იდენტობის ანალიტიკურ ასპექტს, რომელიც განსაზღვრავს, როგორ უნდა მოხდეს სხვა ჯგუფის აღქმა. ინტელექტუალთა ნააზრევი, რომელსაც პრესის საშუალებით ეცნობოდა მკითხველი, ხდება სომეხთა მიმართ ქართველთა დამოკიდებულების არქიტექტორი. იკვეთებოდა წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება: სომეხი – „მოდმე“ და, პარალელურად, „მეტოქე“. ქართველთა და სომეხთა „ძმობის“ მიზეზებზე ავტორები ნაკლებს საუბრობდნენ, რაც შეეხება მეტოქეობის საფუძვლებს, ის მკაფიოდ და დაწვრილებით იყო განხილული.

¹ კირიონ ეპისკოპოსის, ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილის (1885-1918) ფსევდონიმი, გარდა ამისა, იგივე ფსევდონიმით წერდა მოსე გორგის ძე ჯანაშვილი (1855-1934).

² ბერი. *ნორდარის ძმური სიტყვა*. „ივერია“, 1903, № 38.

³ იქვე.

პრესის მასალების მიხედვით, მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ქართველ-სომეხთა ურთერთობის ამსახველი ნარატივი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ ყალიბდებოდა და იცვლებოდა: 1860-იანი წლებიდან, როდესაც ეთნიკური ქართველები რეგიონებიდან ქალაქებში იწყებენ მიგრაციას, ძლიერი ეკონომიკური პოზიციების მქონე სომეხ მოქალაქეებთან შეხვედრა ეთნიკურ განსხვავებათა გამოკვეთისა და, აქედან გამომდინარე, პრესაში პოლემიკის საფუძველი ხდება. მას კიდევ უფრო ამძაფრებს წარმომადგენლობით ორგანოებში სომეხი მოქალაქეების ძლიერი პოზიციები. შემდეგ ეტაპი იწყება 1900-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალეთის იმპერიიდან წამოსული სომეხები სახლდებიან, რის შემდეგ პრესაში პოლემიკა მწვავედება; და ბოლოს, ნარატივზე გავლენას ახდებს 1905 წელს კავკასიის მასშტაბით სომეხებსა და „თათრებს“¹ შორის დაწყებული დაპირისპირება და სისხლისღვრა, რომლის შესახებ ქართული პრესა მუდმივად აწვდიდა მკითხველს ინფორმაციას.

ამ მოვლენებს ემთხვევა ასპარეზზე მარქსისტების გამოსვლა, რის შემდეგ პოლემიკა უფრო საინტერესო და მრავალმხრივი ხდება. მარქსისტების მოსაზრებები განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან, როგორც ვიცით, შემდგომში სწორედ მათ მოღვაწეობას უკავშირდება საქართველოს, კავკასიისა და მთლიანად რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ცხოვრება. იდეები, რომელთაც ოდნავ მოგვიანებით შეესხა ხორცი, სწორედ მე-20 საუკუნის დასაწყისში ყალიბდება. მარქსისტების გავლენით, იდენტობის ნარატივი ივსება ახალი მნიშვნელობითა და მიმართულებით. მათი პოლიტიკური პლატფორმიდან გამომდინარე, იკვეთება იდენტობის ახალი სივრცეები — ეთნიკურ და ეკონომიკურ განზომილებას იდეოლოგიური ასპექტიც ემატება. თუ თერგდალეულებმა ხელი შეუწყვეს ეთნიკურ დონეზე ჩვენ ჯგუფის გააზრებას, მარქსისტებმა შეავსეს ეს მიდგომა. ქალაქებში ჩამოსახლებული გლეხების უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეებად იქცა, ანუ შეიქმნა გარკვეული სოციალური ფენა, რომელსაც მარქსისტები პროლეტარიატს უწოდებდნენ. მათთვის სახელმწიფო, პოლიტიკა და, მითუმეტეს, „ეროვნულობა“ მეორეხარისხოვანი ცნებები იყო და წინ იწევდა ხალხთა ძმობაზე დაფუძნებული, ზენაციონალური,

¹ ასე მოიხსენიებდნენ იმ პერიოდის ქართულ პრესაში არაქართველ მუსლიმებს.

კლასობრივი ერთობის ფენომენი. ეს იყო იდენტობის ახალი სივრცის კონტურების გამოკვეთა, რომელსაც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ეხმიანება სტივენ ჯონსი და ეთნიკური და კლასობრივი იდენტობების მონაცვლეობაზე საუბრობს.

ასეთი ფენომენის გაჩენას ამტკიცებს 1905 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილი, სათაურით „ივერიის რედაქციაში“. მისი ავტორი გახლავთ ეთნიკური სომეხი ბაგრატ მიკირტუმიანი, რომელიც აცნობიერებს კლასობრივი იდენტობის მნიშვნელობას და ძალას. როგორც ის აღნიშნავს,

„ჩვენ, გაუნათლებელმა ხალხმა და ჩვენთან ერთად წერა-კითხვის უცოდინარმა გლეხობამ (სომხები და ქართველები), არ ვიცით თუ რა არის ეროვნული სხვადასხვაობა. ას მუშაში ნახევარი ქართველი თუ არის და ნახევარი სომეხი, არავის აზრადაც არ მოსდის, რომ შეიძლება ერთი შეიყვაროს ადამიანი, როგორც სომეხი და მეორე კი შეიძულოს, როგორც ქართველი.“¹

პრესაში აღწერილი ფაქტები (მაგალითად, სხვადასხვა ეროვნების მუშების ერთობლივი მონაწილეობა გაფიცვებში და სხვ.) ადასტურებს, რომ ამ პერიოდში ღვივდება კლასობრივი სოლიდარობის განცდა. შეიძლება ითქვას, რომ ერთი მხრივ, პოლიტიკურ-იდეოლოგიური ცვლილებების, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენ და სხვა ჯგუფების ეთნიკური ნიშნით წარმოსახვის პარალელური პროცესების შედეგად, ჯგუფებს შორის ეთნიკური და სოციალური წინააღმდეგობების ერთგვარი ურთიერთაღრევა წარმოიშვა. მაგალითად, ძნელი იყო იმის გარკვევა, ქართველთათვის მტერი სომეხი ერი იყო თუ სომეხი ბურჟუაზია? პრობლემები პოლიტიკური წინააღმდეგობებით იყო განპირობებული თუ ინტერეთნიკური დაპირისპირებებით?

ქართველების და სომხების კონფრონტაციულ ურთიერთობაზე პოლემიკა მოგვიანო პერიოდშიც გაგრძელდა. 1916 წლის გაზეთ „სახალხო ფურცელში“ დაიბეჭდა სტატიების ციკლი სათაურით „ქართველთა ნაციონალიზმი და სომხები,“ სადაც სიღრმისეულად არის განხილული ქართველთა და სომეხთა კონფრონტაციის საფუძვლები. გაზეთი საკითხზე საუბარს იწყებს სომხურ გაზეთ „ჰორიზონში“ ნ. დერუნცის ავტორობით გამოქვეყნებული ამავე სახელწოდების

¹ მიკირტუმიანი, ბაგრატ. „ივერიის რედაქციაში“. „ივერია“, 1905, № 69.

(“ქართველთა ნაციონალიზმი და სომხები”) სტატიის განხილვით, რომელიც გაგრძელებებით დაიბეჭდა რამდენიმე ნომერში. დერუნცის სტატიაში აღნიშნულია, რომ ქართულ საზოგადოებაში კარგა ხანია სომხებისადმი მტრული დამოკიდებულება არსებობს. ამ განწყობის ნაქეზებაში პუბლიცისტი და გამომცემელი (მათ შორის, გაზეთ „კავკაზის“), თავისი ანტისომხური განწყობით ცნობილი ვასილი ველიჩკო და ქართული პრესა არის დადანაშაულებული. დერუნცის თქმით, ქართული გაზეთები „ივერია“, „კლდე“, „საქართველო“, „სახალხო გაზეთი“, „ჩვენი მეგობარი“ უტევს და ემტერება სომხურ პრესას, განსაკუთრებით კი „ჰორიზონს“ და „მშაკს“. მეტოქეობა და დავა მიმდინარეობს განათლების, კულტურის და პოლიტიკის საკითხებზე.¹ აქედან გამომდინარე, „ჰორიზონის“ ფურცლებზე იწყება იმის ძიება, თუ ვინ არის სომეხთა მონინალმდეგე, რომელი სოციალური ჯგუფი – ქართველი თავადაზნაურობა თუ ქართველი ბურჟუაზია?² იქვე აღნიშნულია, რომ ქართველ-სომეხთა მტრობის მთავარი მიზეზი ისევ და ისევ მინებია, რომლებიც სომხების ხელში ხვდება და ქართველები მის გამოსყიდვას თითქმის ვერ ახერხებენ. თუმცა „ჰორიზონი“ აღნიშნავს, რომ ქართული მინების „დამპყრობელად გამოდის არა მთლად სომხის ერი და დაპყრობილად არა მთლად საქართველო, ნამდვილად კი ბრმათათვისაც კი ცხადია, რომ კი არავინ იპყრობს და იტაცებს მინებს, არამედ მას ზოგიერთი სომხის კაპიტალისტები ყიდულობენ და არა მთლად საქართველოს, არამედ მხოლოდ თავადაზნაურთა მინებს.“³

„ჰორიზონში“ საუბარია ასევე ქართულ გაზეთ „თემზე“, რომელიც წერს: „აი, შეხედეთ, როგორ ცდილობს სომეხი ბურჟუაზია ქართველის სახლში მოკალათებას და მისი ტერიტორიის შექენას.“⁴ „ნაციონალისტებს სხვანაირად არ შეუძლიან, ქართველთა თავადაზნაურობის მინებს ქართველი ერის ტერიტორია არ უწოდოს“⁵ და ქართველი თავადაზნაურის გაყიდული მინა, რომელიც სომხის ხელში გადადის, სომხის დაპყრობილ მინად არ გამოაცხადოს,

¹ ქართველთა ნაციონალიზმი და სომხები, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 628.

² ქართველთა ნაციონალიზმი და სომხები, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 630.

³ იქვე.

⁴ ქართველთა ნაციონალიზმი და სომხები, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 635.

⁵ იქვე.

აღნიშნავს დერუნცი, სინამდვილეში კი მინა თავადაზნაურობის ხელიდან ბურჟუაზიის ხელში გადადის, ხოლო ამ უკანასკნელში სომხები ქარბობენ.¹ სტატიაში ის აზრიც არის გატარებული, რომ ქართველი თავაზნაურობა ცდილობს, მინების საკითხით უკმაყოფილო გლეხობის საპროტესტო განწყობა სომხების წინააღმდეგ მიმართოს და იმის მტკიცებასაც კი არ ერიდება, რომ „სომხები მოსულნი, ხოლო ქართველები და თათრები (თურქები) კავკასიის მკვიდრი მოსახლეები არიან“².

„ჰორიზონი“ კავკასიაში სომხების წინააღმდეგ ქართველი და „თათარი“ თავადაზნაურობის ალიანსზეც საუბრობს. მოყვანილია ციტატა გაზეთიდან „კლდე“, სადაც გატარებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ კარგი იქნებოდა სომხებისადმი ქართველების და თათრების მხრიდან ერთობლივი ბოიკოტის გამოცხადება; დამოკიდებულების და განწყობის გამომხატველ ლოზუნგს „საქართველო ქართველებისთვისაა“ სომხური პრესა ისევ ნაციონალისტური ტენდენციის გამომხატულებად მიიჩნევს. ავტორი დასძენს, რომ ეს ქართველი ბურჟუაზიის ვაჭრობა-მრეწველობაზე ზრუნვაა და სხვა არაფერი.

ამგვარად, გაზეთი „ჰორიზონი“ მიიჩნევს, რომ ქართულ ნაციონალიზმს ორი მიზანი აქვს: თავადაზნაურობის მინების შენარჩუნება და ქართველი ბურჟუაზიის გაძლიერება. გულისტკივილია გამოთქმული იმ ფაქტის გამო, რომ ქართველ პატრიოტებს ვერ წარმოუდგენიათ ქართველი, სომეხი და თათარი მუშის ერთად მუშაობა, რადგან ეს ქართველი თავადაზნაურობის ინტერესებს ეწინააღმდეგება და სწორედ ეს უკანასკნელი აპირისპირებენ ქართველებსა და სომხებს. სტატია ქართველი და სომეხი ბურჟუაზიის დაპირისპირებას ეკონომიკურ მეტოქეობას მიაწერს.³

ბურჟუაზიის და თავადაზნაურობის გარდა, გამოყოფილია მესამე ჯგუფი – ქართველი ექიმები, ვექილები, ინჟინრები, რომლებიც ასევე უკმაყოფილო არიან სომხებით. ისინი სამსახურში აყვანისას უპირატესობას ქართველებს აძლევენ და, ამგვარად, კიდევ უფრო ამწვავებენ სომეხ-ქართველთა ურთიერთობას.

გაზეთის შეფასებით, „საქართველო ქართველებისთვის“

¹ ქართველთა ნაციონალიზმი და სომხები, „სახალხო ფურცელი,“ 1916, № 635.

² ქართველთა ნაციონალიზმი და სომხები, „სახალხო ფურცელი,“ 1916, № 640.

³ იქვე.

ლოზუნგი აღიარო და სხვა ეროვნებას სდევნიდე – ყველაფერი ეს იმისთვის კეთდება, რომ ქართველმა ვაჭრობამ წელი მოიმაგროს და ქართველი თავადაზნაურობა არ მოისპოს. არა, ეს პრინციპები, ეს გრძნობები არ შეიძლება ნამდვილ ინტელიგენციას ეკუთვნოდეს, ეს მხოლოდ ველურობაა.“¹

იმავე გაზეთში („სახალხო ფურცელი“, № 646, 1916) დაიბეჭდა სტატია სათაურით „ნ. დერუნცის წერილის გამო“ (ავტორი ქ. რაჭველი — ქრისტეფორე რაჭველიშვილი), რომლის ძირითადი თემა ერთა სოლიდარობაა. ავტორის აზრით, აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამორკვევა იმ პირობებისა, რომლებიც ართულებს ორი ერის შეთანხმებას. ამიტომ ქართველებმა და სომხებმა ერთმანეთს უნდა გააცნონ საკუთარი მისწრაფება-მოთხოვნილებები და ინტერესები. „იქნება მართლა ქართველ და სომეხ ერს სადაო არა ჰქონდეს რა და მთელი ეს ბრძოლა ბურჟუების და თავად-აზნაურთა მოგონილი და წამონყებული ხრიკი იყოს?“² ქ. რაჭველიშვილი აკრიტიკებს დერუნცის მოსაზრებებს და დასძენს, რომ „სომეხ-ქართველთა ბრძოლა არ არის რომლისამე კერძო კლასის, ან წოდების ბრძოლა. ეს პირწავარდნილი, წმინდა ეროვნული ბრძოლაა... საერთო ეროვნულია და არა რომლისამე კლასისა.“³ ავტორი გვთავაზობს ისტორიულ ექსკურსს ერეკლე მეორიდან და რუსეთთან შეერთების ეპოქიდან მოყოლებული, როდესაც იმ დროს მოქმედი სომხური დასები, სომხების არაჩნურთის (ეპარქიის უფროსის) იოსებ არლუთიანის ხელმძღვანელობით, რუსეთთან შეერთებას ესწრაფოდნენ, დამთავრებული იმ ფაქტების აღნიშვნით, რომ ერმიაძინის კათალიკოსმა ლუკამ ალა-მაჰმად ხანს ასი ათასი მანეთი მისცა სამხედრო ხარჯად. ავტორი დასძენს, რომ ეს ყოველივე, შეიძლება, სომეხთა ინტერესებით გამართლდეს, თუმცა ფაქტი ჯიუტია: „სომეხ-ქართველთა ბრძოლა არ ახალია, ძველია.“⁴

ამგვარად, სტატიის ავტორს აუცილებლად მიაჩნია ქართველთა მკაფიო პოზიციის ჩამოყალიბება სომეხებთან უთანხმოების საკითხზე. იგი თვლის, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, ქართველ-სომეხთა

¹ ქართველთა ნაციონალიზმი და სომხები, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 644.

² რაჭველიშვილი, ქრისტეფორე, ჩვენ და სომხები, ბ.დერუნცის წერილის გამო, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 647.

³ იქვე.

⁴ იქვე.

უთანხმოება წარსულით არის განპირობებული და მოჰყავს ოტომანთა იმპერიიდან სომეხთა დევნის და მათი ახალციხის მაზრაში დასახლების ფაქტი, რომელიც გულს სტკენს ქართველებს, მათ მინაზე შემოჭრის გამო; დერუნცის მოსაზრებისაგან განსხვავებით, ამას, რეალურად, არანაირი კავშირი არ აქვს თავადაზნაურთა ინტერესების დაცვასთან, რაც „ჰორიზონის“ ცილისნამებაა. დასასრულს, ავტორი აღნიშნავს: „ნება მომეცით, ეს მოვლენა პროგრესულად არ ჩავთვალოთ (იგულისხმება სომხების ხელში ქართული მიწების გადასვლა კაპიტალიზმის აღმავლობის ეპოქაში – დ.მ., ი.წ.) და დავიცვათ ჩვენი მინა-წყალი“;¹ „პატივისცემა საქართველოს საპოლიტიკო იდეალისა, ტერიტორიის საკითხის სერიოზულ საკითხად მიჩნევა და ბრძოლის ნამდვილი მიზეზის გარკვევა-გაშუქება – აი, რაა საჭირო ჩვენ და სომეხთა ურთიერთობის მოსაგვარებლად.“²

კულტურული ასპექტები. პოლიტიკური და ეკონომიკური წინააღმდეგობის პარალელურად, რომელიც კონფრონტაციული ხასიათის იყო, მე-19-20 საუკუნეთა მიჯნაზე ქართველთა და სომეხთა კულტურულ ცხოვრებაში იკვეთება ურთიერთინტერესის ნიშნები, ჩანს დაახლოების მცდელობები. ცდილობენ არა მარტო სხვისი, არამედ საკუთარი ნაკლის და ერთმანეთის დადებითი მხარეების დანახვასაც. ნერილებს პათოსიდან ნათელია, რომ კულტურის სფერომ უნდა გაანეიტრალოს პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროში არსებული კონფრონტაციის ნეგატიური შედეგები და ხელი შეუწყოს ეთნიკური ჯგუფების მშვიდობიან თანაარსებობას. კულტურის სფეროში დაახლოების მაგალითებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ქართული ლიტერატურული ნიმუშების სომხური თარგმანების გაჩენა და სომეხთა ინტერესი ქართული კულტურის მოღვაწეების ნაშრომებისადმი. ამავე დროს, ქართულ ენაზე იბეჭდება მოთხრობა „ძვირფასი ბორკილი“;³ შირვანზადეს⁴ ავტორობით, რომელიც სომხურიდან თარგმნა ტერ დავითიანცმა.

¹ რაჭველიშვილი, ქრისტეფორე, *ჩვენ და სომხები, ბ.დერუნცის ნერილის გამო*, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 647.

² იქვე.

³ *ძვირფასი ბორკილი*, „კვალი“, 1897, № 37.

⁴ სომეხი მწერლისა და დრამატურგის ალექსანდრე მოვსესიანის (1858-1935) ფსევდონიმი.

გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილია სტატია „სუნდუკიანცი და ქართული თეატრი,“ სადაც აღნიშნულია, რომ სუნდუკიანცს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული თეატრის გამართვაში. ქართული სცენის მოყვარულთა წრეს (ე. ყიფიანი, ალ. ყაზბეგი, კ. ყიფიანი და სხვ.) პირველად სუნდუკიანცის ქართულად ნათარგმნი „პეპო“ წარმოუდგენია. მას მოჰყვა „ხათაბალა“. ახალი ქართული თეატრის დასში პირველი ადგილი ამ სპექტაკლს დაუჭერია. ისტორიული დრამების შემდეგ, ქართული თეატრის მაყურებლისათვის სუნდუკიანცის პიესები ყველაზე საყვარელი გამხდარა მისი თემატიკის, ჟანრის და სტილის გამო. გაზეთი „ივერია“ სუნდუკიანცს მაღლობას უხდის ქართული თეატრისთვის ამ პიესების უსასყიდლოდ გადაცემის გამო. გამოთქმულია იმედი, რომ სუნდუკიანცის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს, სომხურ საზოგადოებასთან ერთად, ქართული საზოგადოებაც აღნიშნავს. ასევე მოხსენებულა პირველი სომხური სასცენო პიესის ავტორი აკოფ კარინიანცი. აღნიშნულია, რომ გიორგი ერისთავის მსგავსად, რომელმაც 1850 წელს საფუძველი ჩაუყარა ქართული თეატრის არსებობას, კარინიანციც სომხური თეატრის დამფუძნებლად გვევლინება. მან პირველი წარმოდგენა გამართა 1860 წელს. „მშაკის“ ერთ-ერთ წერილში გვხვდება ცნობა ქართულ-სომხური წარმოდგენის შესახებ, რომელშიც მონაწილეობდნენ ტერ-გრიგორიანი და ფოთის ახალგაზრდა მსახიობები.

პიესების არჩევა, მათი სომხურად თარგმნა რთული საქმე იყო, მაგრამ არც ისე გადაუჭრელი. თბილისის სომხების დრამატული საზოგადოების გადანყვეტილებით, ყალიბდებოდა თეატრალური დასები, რასაც ხელი უნდა შეეწყო თეატრალური საქმის განვითარებისთვის. ქართულ-სომხური თანამშრომლობის კარგ ნიმუშად გვევლინება სომხური წარმოდგენების გამართვა ქართულ სააზნაურო თეატრში. წარმოდგენებს როგორც ქართული, ისე სომხური მოსახლეობა ესწრებოდა. ამასთანავე, გამოთქმულია მოსაზრება ბილეთების ფასის დანების თაობაზე, რადგანაც მაღალი წრის საზოგადოება თეატრში იშვიათად შედიოდა, მისი სტუმრები, ძირითადად, საშუალო ფენის ადამიანები იყვნენ, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თუ ბილეთები შეღავათიან ფასში გაიყიდებოდა, თეატრის დარბაზიც გაივსებოდა.

ქართველებიც და სომხებიც იზიარებდნენ იმ მოსაზრებას, რომ

ერთმანეთთან დასაახლოებლად საჭირო იყო ერთმანეთის მწერლობის გაცნობა. ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები იდგმებოდა. ქართულიდან სომხურად ითარგმნა ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის ზოგიერთი თხზულება. დანაწევრებით არის აღნიშნული, რომ სომხურიდან ქართულ ენაზე მხოლოდ რაფის¹ შემოქმედებაა თარგმნილი, რაც საკმარისი არ არის სომხური მწერლობის გასაცნობად.² მოგვიანო პერიოდის თარგმანებს შორის გვხვდება ფაფაზიანცის „საახალწლო მოთხრობა“, რომელიც კლასთა შორის ძმობას ეძღვნება. სომხური ტექსტის დედააზრს ქართულ ენაზე მოკლედ გადმოგვცემს ნ. მენაბდიანცი.³ ამავე დროს, არსებობს გარკვეული პრობლემებიც: მაგალითად, საქართველოში გამოიგზავნა არუთინ მირიმარიანცის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული სომხური თარგმანი, მას დაერთო იოსელიანის, ფურცელაძის და ჭიჭინაძის კომენტარები; აღინიშნა, რომ სომხური გამოცემა ნააგავდა გ. იოსელიანის მიერ მოთხრობად გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც რამდენიმე წლით ადრე გამოსცა „ჯეჯილის“ რედაქციამ;⁴ ამგვარად, ეს ნაშრომი წარმოადგენდა არა „ვეფხისტყაოსანის“, არამედ მისი ერთ-ერთი ვერსიის თარგმანს.

პუბლიკაციები, რომლებიც აღწერს კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებს, ასახავს ქართველ-სომეხთა სიახლოვის განცდას. ვხვდებით როგორც ურთიერთპატივისცემის ნიმუშებს, ასევე ქართველთა მხრიდან სომხების ამა თუ იმ მოქმედების სანიმუშო ქცევად წარმოდგენის შემთხვევებს. ურთიერთპატივისცემის მაგალითია ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების ფაქტზე საქართველოს სომხების გამოხმაურება ვრცელი სტატიით; ვრცელ ცნობა-ნეკროლოგს ხელს აწერს ტერ დავითიანცი; ეს გამოხმაურება შედარებულია რაფის სიკვდილზე ქართველების გამოხმაურებასთან; ორივე შემთხვევაში ისინი ერთმანეთს თანაუგრძნობენ გამოჩენილ მოღვაწეთა დაკარგვის გამო.⁵ მოგვიანებით, ტერ დავითიანცის გარდაცვალების ცნობაში, იგი მოხსენიებულია როგორც ორ მეზობელ და ნათესავ ერს შორის

¹ აკოფ მელიქ-აკოფიანის — სომეხი მწერლის — ფსევდონიმი (1835-1888).

² დავით ტერ-დავითიანცი. *ამბები სომეხთა ცხოვრებიდან*, „კვალი“, 1901, № 8,

³ *საახალწლო მოთხრობა* (ვ. ფაფაზიანცისა), თარგმანი სომხურიდან, „კვალი“, 1904, № 1.

⁴ „კვალი“, 1896, № 33.

⁵ ნეკროლოგები, „კვალი“, 1893, № 51.

ურთიერთობის გაუმჯობესების ხელშემწყობი პიროვნება, რომელიც თარგმნიდა სომხურ და ქართულ ნაწარმოებებს და თანამშრომლობდა გაზეთებში „მშაკი“, „მურჭი“, „ალპიურ ტარაზი“ და „კვალი“.¹

მწერლობის სფეროში სომხები მისაბაძ ნიმუშად არიან წარმოდგენილი. სხადასხვა სტატიებში დანახვით არის აღნიშნული, რომ ქართულ კულტურაში ბოლო 20 წელი არაფერი შექმნილა; რაც არსებობს, 1860-70-იანი წლების დამსახურებაა, შემდეგ კი ქართული კულტურა დაკნინდა, მეცნიერება უკან წავიდა. სომხები შრომობენ თავიანთი მწერლობის გამდიდრებისთვის, თარგმნიან ყველაფერს, ქართველებს კი ჯერ ევროპული კლასიკა არ აქვთ თარგმნილი, წერდა არტულ ლაისტი გაზეთ „ივერიაში“.² გარდა ამისა, სომხები მისაბაძად არიან მიჩნეული, მაგალითად, ქალთა განათლების საკითხში. ქართველი ქალებისათვის სწავლის ნაკლებ ხელმისაწვდომობაზე საუბრისას აღნიშნულია მათთვის სამზარეულო კურსების გამართვის აუცილებლობა, ხოლო ნიმუშად მოყვანილია სომხების მიერ შემოღებული სამზარეულო ხელსაქმის შემსწავლელი კურსები, რომელიც ქართველებმა და ებრაელებმაც გაიარეს.³ ქართველები ყურადღებით ადევნებენ თვალს სომხების სამეურნეო მოღვაწეობას: მაგალითად, მოხსენიებულია მამაჯანოვის მიერ პურის სალენი მანქანის გამოგონების ფაქტი და აღნიშნულია, რომ კარგი იქნება, თუ ამ მანქანას ქართველებიც შეიძენენ.⁴

ქართულ პრესაში გვხვდება ტექსტები, სადაც ქართველი ავტორები სომეხთა დადებით თვისებებზე საუბრობენ. საინტერესო სტატია დაიბეჭდა 1892 წელს გაზეთ „ივერიაში“, სათაურით „სომეხთა ეკლესია“, რომლის ავტორიან. კ-ძე.⁵ პუბლიკაციას სომეხთა კათოლიკოსის არჩევას ეხმიანება. სომხებისათვის ეკლესია და ეჩმიაძინის სულიერი ლიდერი მუდმივად ასრულებდა შემაკავშირებლის ფუნქციას. მისი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ქართველ ინტელექტუალებსაც. ავტორის აზრით, „სომეხი ერი წარმოადგენს არა უხმოსა და უსიტყვო ნახირს, არამედ მორწმუნეთა კრებულს“. ყველაზე მნიშვნელოვანია ის

¹ დ.პ. ტერ დავითიანცის ნეკროლოგი, „კვალი“, 1901, № 8.

² ქართული კულტურა უკანასკნელ 20 წელში, „ივერია“, 1909, № 9.

³ სწავლის საქმე ჩვენში, „კვალი“, 1893, № 2.

⁴ „კვალი“, 1900, № 22.

⁵ დავით კასრაძე (1885-1965), მწერალი.

ფაქტი, რომ სომხურ ეკლესიაში წირვა-ლოცვა და ქადაგება „ერისავე ენაზედ“ გაისმის. „სასულიერო ეროვნულს განათლებას სომეხთა შორის საძირკვლად აქვს სასულიერო სასწავლებლები“. „ეროვნული მოწყობილებითა და მიმართულებითა“ შექმნილი სასულიერო სემინარია და ეჩმიაძინთან არსებული აკადემია, სადაც „გამეფებულია სომხური ენა“. სომეხთა ეკლესია და მისი ლიდერი წრმოადგენს „დაუძინებელ მზურნველს თავისის ერის ქვეყნიერისა და ზეციერის ბედნიერებისათვის.“¹

საგულისხმოა, რომ სომხებიც, თავის მხრივ, მისაბამ ნიმუშად სახავდნენ ქართველებს. სომხურ პრესაში აღნიშნულია, რომ ადრე სომხები ქართველებს შენატროდნენ ნაციონალური მობილიზაციის და კონსოლიდაციის საქმეში. ხაზი ესმება ქართველების სომხებზე უპირატესობის რამდენიმე ასპექტს, რომელიც ნაციონალურ თვითშეგნებას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ, სომხების აზრით, ქართველებს, მათგან განსხვავებით, არ აქვთ მდიდარი ისტორიული წარსული, ძველი მწერლობა, მდიდარი თანამედროვე ენა, დამოუკიდებელი ეროვნული ეკლესია, მათში ეროვნული თვითშეგნება უფრო განვითარებულია, ვიდრე სომხებში. ქართველები იცავენ თავიანთ მშობლიურ ენას, არა მხოლოდ ერთმანეთთან საუბრობენ ქართულად, არამედ მორალურად აიძულებენ მათ გვერდით მცხოვრებ სომხებსაც, ქართულად ილაპარაკონ. სომხები სომხად არ სცნობენ განსხვავებული კონფესიის სომეხს, ქართველებს კი იმდენად ძლიერად აქვთ განვითარებული ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, რომ შეუძლიათ მიიღონ და დაიპყრონ განსხვავებული ერისა და რწმენის ადამიანები.²

ქართველთა ეთნიკური იდენტობის სიძლიერის მაგალითად მოყვანილია ის ფაქტი, რომ სომეხი კათოლიკეები თბილისში, ახალციხესა და ყარსის ოლქებში თავიანთ თავს ქართველს უწოდებენ. „მშაკის“ აზრით, ისინი ტომით სომხები არიან, რწმენით – კათოლიკეები, მაგრამ ქართველები, თავიანთი ძლიერი გრძნობის მეშვეობით, არწმუნებენ მათ, რომ ისინიც ქართველები არიან, რადგანაც მათი სალაპარაკო ენა ქართულია. აქედან ჩანს, რომ ეროვნული პრიციპის დამცველი არც რელიგიაა და არც ტომი, არამედ უმთავრესად –

¹ ნ.კ-ძე, სომეხთა ეკლესია, „ივერია“, 1892, № 46.

² ქართველები და სომხები, „მშაკი“, 1880, № 167.

სამშობლო და ენა. ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თუ სომხები ქართველებთან ქართულად საუბრობენ, თურქეთში მცხოვრებნი თურქებს თურქულად ელაპარაკებიან, ბერძნებს – ბერძნულად და ა.შ., ისინი დაკარგავენ თავიანთ ენას, ველარ დაიცავენ თავიანთ რელიგიას, ბოლოს დაკარგავენ თავიანთ ეროვნულობასაც. აქედან, სომხების მომავლისათვის გარკვეული დასკვნებიც არის გამოტანილი: სომხებმა თავად უნდა განსაჯონ, რა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის – მწვალებლობა თუ ეროვნულობა. სომხები, გარკვეულწილად, მათი ეროვნულობის ძირითადი მარკერის — რელიგიის — გადაფასებასაც იწყებენ: დასმულია კითხვა: რამდენად სწორია ის შეხედულება, რომ რელიგია ეროვნულობის საყრდენია? და იქვე აღნიშნულია: მიუხედავად იმისა, რომ სომხებმა რელიგია შეინარჩუნეს, მათ დაინცეს მშობლიური ენის დაკარგვა, რომელიც ჭეშმარიტად ეროვნულობის საფუძველია.¹

სომხებში ენასა და ეროვნულობას შორის არსებული დაპირისპირების მოუხედავად, რაც მათი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას წინააღმდეგობრივს ხდიდა, ხაზგასმით არის აღნიშნული სომეხი ერის ერთი განსაკუთრებული თვისება, რომლის მსგავსი არ ახასიათებს არც ერთ სხვა კავკასიელ ხალხს: სომეხი, სადაც არ უნდა მოხვდეს იგი, რომელ ქვეყანაში, რომელ რეგიონში, მუდამ ადვილად ეგუება გარემო პირობებს ისე, რომ არ კარგავს თავის ეროვნულ ნიშან-თვისებებს, თავის გენიალურობას. სომეხს მოქნილი ბუნება, პრაქტიკული უნარები აქვს. ის გარშემორტყმული იყო უცხო ერებით, მაგრამ მუდამ ინარჩუნებდა საკუთარ მეობას. სომეხი ვაჭრები კავკასიასა და, კერძოდ, ამიერკავკასიაში თავისი საქმიანობის შედეგად, ადვილად უღებდნენ ალლოს გარემო პირობებს, სწავლობდნენ იმ ენებსაც, რომლებზეც საუბრობდნენ მათი მეზობელი ხალხები. სომეხი ხალხის ეს თავისებურება აქტიურად განიხილებოდა სომხურ პრესაში.²

გაზეთ „მშაკში“ ნათლად ჩანს წარსულის გადაფასებისა და მომავლის ორიენტირების გამოკვეთის აშკარა მცდელობა. ერთ-ერთ სტატიაში, სათაურით „გუშინ, დღეს, ხვალ“ შემდეგი აზრია გატარებული: გუშინ ჩვენ, სომხები, მხოლოდ სარწმუნოების მიმდევარი ხალხი ვიყავით, რომელთაც სარწმუნოების იქით არაფერი გვექონდა, დღეს შევიქენით პატრიოტები და სიტყვითა და უწინდელ სომხების

¹ ქართველები და სომხები, „მშაკი“, 1880, № 167.

² სომხური და ქართული პრესა, „მშაკი“, 1877, № 44.

დიდებაზე ლაპარაკით ვამტკიცებთ მამულისადმი სიყვარულს. მამულის სიყვარული კი არ კმარა, არამედ განათლებით უნდა წავწიოთ წინ ჩვენი ხალხიო.¹

ქართველების მსგავსად, სომხებიც კამათობენ იმის თაობაზე, რამდენად პატრიოტული საქმეა საკუთარი ერის ნაკლოვანებათა მხილება. 1891 წელს „მშაკის“ ერთ-ერთ სტატიაში განხილულია ყოველკვირეული გამოცემის „არძაგანქს“ (გამოძახილი) სტატია, რომელიც „მშაკს“ ადანაშაულებს იმაში, რომ სომეხი ხალხის ნაკლოვანებების წინ წამოწევით იგი ერის სახელს ამცირებს უცხოელების თვალში. თუმცა, ავტორის თქმით, პირიქით, უცხოელებისთვის უფრო მეტად მიმზიდველია ის თვითკრიტიკა, რაც „მშაკის“ ფურცლებიდან ისმის. ავტორი იხსენებს გასულ წელს, როცა თბილისის სომხები ზეიმობდნენ „მშაკის“ 25 წლის იუბილეს, ამ დროს თბილისის, ბაქოს, სტავროპოლის, ყირიმის და პეტერბურგის რუსულმა პრესამ ერთხმად აღნიშნა, რომ გაზეთი არასდროს მალავდა სომეხი ერის ნაკლოვანებებს, პირიქით, აკრიტიკებდა ერს და ამით სამაგალითო ხდებოდა მათთვისაც. ავტორი სტატიაში ავითარებს აზრს, რომ ერის სწორად და ჯანსაღად განვითარებისთვის აუცილებელია თვითკრიტიკა და არცერთი ერი ამას არ უნდა შეუშინდეს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ის წინსვლას.² სწორედ ეს ჰქონდა დასახული მიზნად გაზეთ „მშაკს“.

სტატიაში „სომხები და ქართველები“ შედარებულია ქართველი და სომეხი კაცის ბუნება. ხაზგასმულია, რომ ქართული გაზეთები ხშირად წერენ ქართველი კაცის ამპარტავნობის შესახებ, რომ მათ არანაირი კრიტიკის მოსმენა არ შეუძლიათ. სომხები ამ მხრივ ქართველებზე მაღლა დგანან, ისინი მოთმინებით იღებენ ყოველგვარ კრიტიკას. ავტორი აღნიშნავს, რომ მას კარგად ესმის სომხების ნაკლი და არ შეწყვეტს მის აღნიშვნას, ამით ხელს შეუწყობს მათ მოქალაქეობრივ განვითარებას.³ აქ კარგად ჩანს პარალელი თერგდალეულების, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებასთან, რომელიც აღნიშნავდა საკუთარი ერის ნაკლოვანებათა წარმოჩენის მნიშვნელობას.

პრესის ფურცლებზე აისახა საქართველოში მცხოვრები სომხების იდენტობის შენარჩუნების პრობლემა. მისი გადაჭრის გზად

¹ ახალი სომხური გაზეთი — „მშაკ“ და ახალი რედაქცია გაზეთი „კავკაზისა,“ „დროება“, 1872, № 2.

² ვანგრევთ თუ ვაშენებთ, „მშაკი“, 1891, № 110.

³ სომხები ქართველები, „მშაკი“, 1882, № 107.

სამღვდელოების მიერ ეკლესიებთან სკოლების გახსნა დაისახა, რასაც უნდა შეეკავშირებინა გაფანტული და ისტორიადავინწყებული სომხობა. საგულისხმოა, რომ განათლება იმ ძალად არის მიჩნეული, რომელიც განათლებული სომხების და ქართველების ახალ თაობას ძმურ ურთიერთობას დაამყარებინებს ერთმანეთთან.¹ იდენტობის შენარჩუნებაზე ზრუნვის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ სომხური საქველმოქმედო საზოგადოების მიერ სომხურენოვანი სამკითხველოს დაარსება და სომხური წარმოდგენების გამართვა თბილისში;² დუშეთის სომხური სკოლის დაარსება, სადაც ასწავლიდნენ სომხურ წერა-კითხვას, „თუმცა მათ შორდებათ სომხური ენა, რადგან იქაური ქალები ქართულად ლაპარაკობენ და ბუნებით ამათი ენა გამხდარა ქართული ენა.“³

ეს საკითხები კარგად არის ასახული ქართულ ნარატივშიც. ქართველებისთვის და სომხებისთვის ენის შენარჩუნება-დაცვის საკითხი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასთან არის გაიგივებული. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მშობლიური ენისადმი სომხების დამოკიდებულებას ქართულ პრესაშიც ეხმიანებიან. მაგალითად, გაზეთ „ივერიაში“ (1892 წ. № 86, № 87) გამოქვეყნებულია ანდრია ბენაშვილის პიესა „დაუსრულებელი ამბავი, ანუ თელაველი ოტელო“. მოქმედება ხდება ქალაქ თელავში, ერთ-ერთ სომხურ ოჯახში. მოქმედი პირები, ეთნიკური სომხები — ნუშო და სოფო — საუბრობენ სომხურის, როგორც მშობლიური ენის მნიშვნელობის შესახებ:

„სოფო — ერთხელ, იცი, მივუტანე დედას წიგნი, უნდა სომხური მესწავლებინა — ყველამ უნდა იცოდეს თავისი ენა მეთქი — მერე არ იცი, რა მითხრა? შვილო, საგიჟეთში გასაგ ზავნი არ გამიხდომ! მოდი და ამისთანა ხალხს ელაპარაკე; სწორეთ უბედურ დღესა ვართ გაჩენილები.

ნუშო (გაიცინებს) — კარგი პასუხია! შენც რაღა აგიჩემებია ეგ სომხური, საქმე გამოგლევია?

სოფო — ეჰ, ქალო, არც შენ გეყურება! აბა ერთი მიპასუხე, გიყვარს შენი მშობელ ქვეყანა?

ნუშო — ქალო, თავის ქვეყანა ვის არ უყვარს? შარშან ორ

¹ სომეხთა სასკოლო მზრუნველების ამორჩევა, „კვალი“, 1894, № 27.

² „კვალი“, 1896, № 48.

³ „დროება“, 1870, № 14.

კვირა ველისციხეში ვიყავი და მანამ თელავში არ ჩამოვიდოდი, მე ჩემი დამემართა.

სოფო – ეჰ, არ მესმის, შენ რა რჯულისა ხარ?

ნუშო – სომხისა.

სოფო – ჰო და, შენი სამშობლო სომხეთია, შენი დედაენა სომხურია და ამიტომ უნდა იცოდე სომხური, გინდა გასწავლო?

ნუშო – საქმე გამოგწყვეტია შენცა! ყარამანიანსაც ძლივს ვკითხულობ და კროული თუ არ ვიცოდე, ძალიან საჭიროა.

სოფო (გაჯავრებით) – სომხურ ენაზე ამას ამბობ? უთუოდ ქართველმა ქმარმა გადაგვრია! სომეხმა ქართველი არ უნდა შეირთოს, იმიტომ რომ რჯული იკარგება! შენი შვილები ქართველის რჯულისა იქნებიან.

ნუშო – სულ ერთია, ქალო, ყველას ქრისტე გვწამს!..

სოფო – როგორ რას ვაკეთებ? სომხურ წიგნებსა ვკითხულობ, ვმღერი, „ინჩპეს სანთსაშური“ გაგიგია? რა სიმღერაა!..

შენ ქართულ სიმღერებსა სწავლობ, სომხური კი ინჩიც არ იცი...

ეგ არი და სომხეთი იმიტომ იღუპება! უეჭველად იმისთანას მივსთხოვდები, რომ სომხეთში წამიყვანოს...

ნუშო – მოიცა ერთი, შენ კი არ იცი ქართული წერა-კითხვა?

სოფო – ტყუილად მასწავლეს, ახლა ვცდილობ დავივიწყო.“

ამ პატარა და თითქოს უმნიშვნელო მონაკვეთში მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები იკვეთება. სომხები წარმოსახვით საზღვარს ავლებენ ქართველებსა და სომხებს, როგორც სხვა ჯგუფს შორის, რადგან მათ სხვადასხვა მშობლიური ენა აქვთ; თუმცა, განსხვავების პარალელურად, გამოკვეთილია საერთო იდენტობის ნიშნებიც, რომელიც მათ აერთიანებს — „ყველას ქრისტე გვწამს“, რაც, მესამე სხვა ჯგუფთან შედარების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი კომპონენტია.

მოცემული ანალიზი გვაჩვენებს სომხების მიერ საკუთარი თავის ქართულ სივრცეში წარმოსახვას, კერძოდ, მათ წარმოდგენას იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავთ მათ ქართულ კულტურულ გარემოში; როგორი უნდა იყოს მათი ქართველებთან მიმართება; როგორ უნდა მოახერხონ თანაარსებობა და რას უნდა მიაქციონ ყურადღება, რათა შეინარჩუნონ თავიანთი ეთნიკური იდენტობა; რა არის მათი იდენტობის მთავარი მარკერ(ებ)ი?

„მშაკის“ ფურცლებზე აქტიურად განიხილებოდა განათლების საკითხები. სომეხი ინტელექტუალები სრულად აცნობიერებდნენ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების მნიშვნელობას ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისათვის. ისინი ნუხდნენ სომხეთა განათლების მწირ შესაძლებლობებზე, აღნიშნავდნენ, რომ ქვეყანაში საგანმანათლებლო რესურსები სუსტია და ვინროდ შემოფარგლული. რაიონებს და სოფლებს სკოლა არ აქვთ, ნიგნს არ კითხულობენ, გაზეთს არ იღებენ და მოკლებული არიან ბეჭდვითი სიტყვის კეთილ გავლენას. სოფელში წერა-კითხვის მცოდნე მღვდელი იშვიათად დგას მონოდების სიმაღლეზე და ეხმარება მოსახლეობას განათლების მიღებაში.¹ სოფლებში, სადაც სკოლაა, მიეწოდებათ ბეჭდური მასალა, მაგრამ ნიგნიერი ახალგაზრდების რიცხვი თითზე ჩამოსათვლელია. ერთ-ერთი ავტორის თქმით, ვისაც პრეტენზია აქვს კულტურულ ერად იწოდებოდეს, სერიოზულად უნდა იფიქროს ხალხის მასების განათლებაზე, გამოიყენოთ მთელი რიგი რესურსები ამ მეტად მნიშვნელოვანი და არსებითი საქმის ხელშესაწყობად. სკოლა, ნიგნი, ქადაგება, პრესა, მასწავლებლები და სპეციალისტები – ყველა ერთად უნდა შეეცადოს, რომ საზოგადოება მიმართოს განათლებისკენ.² ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წერა-კითხვის გავრცელებისადმი დამოკიდებულების მხრივ დიდი მსგავსება ჩანს ქართველებსა და სომხებს შორის.

განათლების საკითხებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში საუბარია თელავში არსებულ ორ სომხურ სასწავლებელზე: წმ. ვარდანის სახელობის ვაჟთა სასწავლებელსა და წმ. გაიანეს სახელობის ქალთა სასწავლებელზე. აღნიშნულია ამ სასწავლებლების შესაშური მდგომარეობა. მღვდელი გევორქ ტერ-სარქსიანი ძალ-ღონეს არ იშურებდა მათი კეთილმოწყობისათვის. მან მიიწვია ორი ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელთა დახმარებითაც წინ წაიყვანა სკოლების საქმე. საერთოდ, ამ სასულიერო პირს დიდ პატივს სცემდნენ თელაველები. ტერ-სარქსიანი ბევრს ზრუნავდა თეატრის ხელშეწყობაზეც, მან ვაჟთა სასწავლებელში მოაწყო თეატრალური სცენა, დროებით იქ იმყოფებოდა ქართული სამსახიობო დასი, რომელმაც იმ დროისათვის სამი პიესა დადგა ამ სცენაზე და სასწავლებელს გადაუხადა 50 მანეთი

¹ საგანმანათლებლო რესურსები, „მშაკი“, 1902, № 109.

² იქვე.

ნაღდი ფული. ტერ-სარქსიანის წყალობით, თელავსაც ჰქონდა მუდმივი სცენა სპექტაკლებისთვის. ავტორის თქმით, ახალი მასწავლებლების ხელშეწყობით, იგეგმებოდა რამდენიმე წარმოდგენის გამართვა სომხურ ენაზე. იქვე გამოკვეთილია ამ საქმის ორმაგი სარგებელი: ის ხელს შეუწყობდა თელაველებში დედაენის გავრცელებას და გააუმჯობესებდა სასწავლებლის მატერიალურ მდგომარეობას.¹ ეს ფაქტი სომხების კულტურული და ეკონომიკური თვითორგანიზების კარგი ნიმუშია, აქ კარგად ჩანს მათი კომერციული აზროვნება და ნიჭი: ერთი მხრივ, შესანახია სკოლა, ხოლო მეორე მხრივ, გასავითარებელია თეატრი; ამ ორი ამოცანის ურთიერთდაკავშირებით კი ორივე საქმეს მოხერხებულად და ეფექტურად აგვარებენ.

სომხები მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობაზე ზრუნავდნენ ყველგან, სადაც ეს მოხერხდებოდა. მაგალითად, ზაქათალის რაიონში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს სომხები შეადგენდნენ, რომლებიც მისდევენ ვაჭრობას, ხელოსნობასა და მეზღვეობას, იხსენიება სკოლის მასწავლებელი მატინეანცი, რომელმაც სამოცამდე მოსწავლეს მოუყარა თავი. თუმცა სკოლა არ არის სახარბიელო მდგომარეობაში, მაგრამ მასთან ქალთა სასწავლებელიც არსებობს, რომლის აუცილებლობაზე აღარც დაობენ. სტატიის ავტორი მიმართავს ზაქათალელ ძმებს: „თუ საზოგადოებას შესწევს ძალა, რომ 140 კომლიან დასახლებას 30 ათასიანი ტაძარი აუშენოს, ამის 1/10 ნაწილი მიუძღვნას იმ ცოდნის ტაძრის აშენებას, რომელიც მათ დაეხმარება გოგონების აღზრდაში.“²

საინტერესო ცნობა გვხვდება ქალაქ თბილისში სკოლების თაობაზე. ივანე გომელაურის სტატიაში „ახალი სასწავლებელი ტფილისში“ აღნიშნულია, რომ ვაჭრებმა (სავარაუდოდ, სომხებმა) თბილისში ვაჭართა სასწავლებელი დააარსეს. ჩამოთვლილია მთელი რიგი სასწავლო საგნები, მათ შორის, ორი ადგილობრივი ენა და მინერალია, რომ აქ სომხური და ქართული ენები უნდა იგულისხმებოდეს,³ რაც ლოგიკური ჩანს იმ პერიოდის დემოგრაფიული სურათის გათვალისწინებით. თბილისში ქართული და სომხური ენების სწავლების საკითხი აქტიურად განიხილებოდა. მაგალითად, გაზეთ

¹ წერილი თელავიდან, „მშაკი“, 1883, № 141.

² როგორც ჩანს, არსებული ქალთა სკოლა მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებდა.

³ „კვალი“, 1900, № 18.

„კავკაზის“ 260-ე ნომერში საუბარია თბილისში არსებულ ქართულ, სომხურ და რუსულ დაწყებით სკოლებზე აქ მცხოვრები ქართველი, სომეხი და რუსი ბავშვებისთვის, მაგრამ, ამათ გარდა, თბილისში ცხოვრობდნენ თურქები, ლეკები, ასირიელები, ოსები, ბერძნები, გერმანელები და ა.შ. „კავკაზის“ მიხედვით, მათი უფლებები ირღვეოდა, რადგან მათ არ ჰქონდათ მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება. თანაც, მრავალ ენაზე სწავლება მოსახლეობის გათიშვას გამოიწვევდა, ამიტომ, „კავკაზის“ აზრით, უნდა გაუქმებულიყო ცალკეული ეროვნული დაწყებითი სასწავლებლები და გახსნილიყო სახელმწიფო დაწყებითი სკოლები, სადაც სწავლება ერთ — რუსულ ენაზე — იქნებოდა. ამგვარად, საფრთხის ქვეშ დგებოდა სწავლება როგორც ქართულ, ასევე სომხურ ენაზე. „მშაკის“ ავტორი არ ეთანხმება რუსულ გაზეთში გამოთქმულ ინიციატივას. მისი აზრით, სომეხი, ქართველი, თურქი ბავშვები უფრო ადვილად და სწრაფად შეისწავლიან რუსულ ენას, თუ ისინი ჯერ მშობლიური ენის გრამატიკულ თავისებურებებს გაეცნობიან და რუსული ენა მშობლიური ენის მეშვეობით მიეწოდებათ. ავტორი ეთანხმება მოსაზრებას, რომ რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში საერთო სასაუბრო ენა რუსული უნდა იყოს, მაგრამ, მისი თქმით, ყოველგვარი საგნის სწავლება მშობლიური ენის საფუძვლებს უნდა დაეყრდნოს. იგი რუსულ გაზეთს ეთანხმება, რომ სხვა ეროვნების ბავშვებსაც უნდა მიეცეთ საშუალება, დაწყებითი განათლება თავიანთ მშობლიურ ენაზე მიიღონ, ამაზე ქალაქის ხელძღვანელობამ უნდა იფიქროს და, შესაძლოა, მათთვისაც გახსნას დაწყებითი სკოლები.¹

მიუხედავად იმისა, რომ სომხებს კარგად აქვთ გაცნობიერებული ენის მნიშვნელობა, „მშაკში“ გვხვდება ერთი საინტერესო სტატია, სადაც იკვეთება განსხვავებული დამოკიდებულება ენისა და ეროვნული საკითხისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ენა ეროვნების მთავარ მახასიათებლად არის მიჩნეული, აღნიშნულია, რომ „როდესაც ენა ძველი და მკვდარია და აღარ ვითარდება, იგი მიუღებელი ხდება განათლებული მოღვაწეებისათვის.“ პრობლემად იქცევა ახალგაზრდების მიერ რუსული და ევროპული ფორმების გამოყენება სომხურად წერის დროს, როდესაც ისინი არ ფიქრობენ, რომ „ეს არც რუსულია, არც ფრანგული ან გერმანული, არამედ საერთო ლოგიკური

¹ სახელმწიფო ენის შესწავლის პედაგოგიური საფუძელი, „მშაკი“, 1894, № 114.

ფორმებია, რომლებიც ნებით დაემორჩილნენ საზოგადოებრივ განვითარებას.“ აღნიშნულია, რომ „ჩვენი ენის, ჩვენი ცოცხალი სამეცყველო ლიტერატურული ენის შემუშავებისათვის საკმარისი არ არის მკვდარი გრაბარის ან დიალექტების გაგება.“¹

წარსულისა და მომავლისადმი დამოკიდებულება იკვეთება „მშაკში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით: „გუშინ, დღეს და ზევ (თანამედროვე სომეხის შესახებ)“. საინტერესოდ არის წარმოჩენილი სომხების იდენტობის მარკერების ტრანსფორმაცია: წარსულში — ანუ გუშინ, „ისტორიის მწირი ცოდნა, ვითომცდა ენის არცოდნა და დღესასწაულებზე ეკლესიაში სიარული, საკუთარი ერის ისტორიით ამაყობა და ამავე დროს შვილებთან ურთიერთობისას მშობლიურ ენაზე არ საუბარი ახასიათებდა სომეხს. მას სძულდა თავისი თანამემამულეები, მათში ბევრ ნაკლს ხედავდა და არც ცდილობდა ეზრუნა მათი ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.“ წერილში გვხვდება საგულისხმო ფრაზა: „ხალხი უსწავლელი და ფანატიკოსი იყო. მათ სომხური არ იცოდნენ, მაგრამ ეკლესიაში მხურვალედ ლოცულობდნენ. ისინი საკუთარ თავს სომეხს უწოდებდნენ, მაგრამ კაპიკიც კი ენანებოდათ შვილისათვის სომხური წიგნის შესაძენად.“ მოგვიანებით, უკვე დღევანდელ დღეს, მათ დაიწყეს სომხური ენის სწავლა და ყურადღება მიაქციეს განათლებას. „გრაბარისა და ძველი მოსახსენიებლების შესწავლამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა. დღეს ჩვენ გვაქვს ცოცხალი ენით დაწერილი წიგნები. ბოლოს და ბოლოს, ვინცებთ თანამედროვე მოთხოვნების შეცნობას“, რაც სომხების კონსოლიდაციის წინაპირობა გახდება. „ზეგინდელი დღეც მოვა. ის ახალგაზრდები, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს უნივერსიტეტში, **სამშობლოში** (ხაზგასმა ჩვენია — დ.მ., ი.წ.) დაბრუნებისას ჩვენს მოძველებულ საზოგადოებაში განათლების მაჩვენებლად აღიქმებიან... საჭირო შეიქნება პატარა თაობისთვის კარგი განათლების, ხალხისთვის – შესაბამისი განათლების მიცემა, საზოგადოებაში კი სწორ ცოდნაზე დამყარებული აზროვნების უნარის გამომუშავება... ზევ საჭირო გახდება უმაღლესი განათლების მქონე პირებისაგან არა მხოლოდ მოსახლეობის ყველა კლასის ცხოვრებისეული მოვლენების ღრმა კრიტიკა, არამედ თავიანთი საკუთარიპიროვნებისსინდისიერად, დაულალავადთვითგამორკვევა.“

¹ ენა და ეროვნება, „მშაკი“, 1877, № 28.

ამგვარად, სტატიაში ჩანს საქართველოს სომხური საზოგადოების იდენტობის ჩამოყალიბების სამი საფეხური: „გუშინდელი“ — როცა ძნელია ლაპარაკი ერთობის განცდის არსებობაზე; „დღევანდელი“ — როცა იწყება წარმოსახვითი საზოგადოების ფორმირება და პატრიოტიზმის გაღვივება; და „ხვალინდელი“ — როცა ასპარეზზე გამოვლენ განათლებული მშრომელები, რომელთაც გაცნობიერებული ექნებათ პიროვნული თვითგამორკვევის აუცილებლობა. სომხები ცდილობენ წარსულსა და აწმყოს შორის ერთგვარი ხიდების აგებას მომავლის შესაქმნელად. ეს ნაციონალური კონსოლიდაციის სანყის ეტაპად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ ისინი მკაფიოდ განსაზღვრავენ თავიანთ მისიას: „გუშინ ჩვენ სახარებისეული ერი ვიყავით, დღეს ჩვენ პატრიოტები ვართ, ზეგ ჩვენ მშრომელები უნდა გავხდეთ.“¹

“მშაკში“ გვხვდება სტატია განათლების როლზე ვაჭრობის განვითარებაში. ავტორის აზრით, იმისათვის, რომ სააღებმიცემო საქმე სწორად და წარმატებით განვითარდეს (რაც სასიცოცხლოდ აუცილებელ საქმედ არის მიჩნეული) აუცილებელია, რომ საქმეში ჩართული იყოს განათლებული პიროვნება, რომელსაც ეცოდინება მეზობელ ქვეყნებში არსებული სავაჭრო სისტემა, უცხო ენა და ა.შ. ამისთვის უნდა არსებობდეს სპეციალური სასწავლებელი, სადაც ადამიანები საჭირო საგნების დაუფლებას შეძლებენ. ასეთი სასწავლებლები უკვე არის ევროპისა და რუსეთის ქალაქებში. ავტორის თქმით, კავკასიაშიც, თბილისში, უნდა შეიქმნას მსგავსი სასწავლებელი, ამისთვის თანხაც არსებობს, საჭიროა მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა.²

ზემოთქმულის საპირისპიროდ ჩანს იმავე „მშაკში“ აღწერილი სომეხთა დამოკიდებულება საზოგადოებრივი საქმიანობისადმი. სტატიაში აღნიშნულია, რომ სომხებს ძალიან სუსტი წარმოდგენა აქვთ საზოგადოებრივი ვალდებულებების შესახებ, სომეხი ცხოვრობს მხოლოდ საკუთარი თავისა და საკუთარი ოჯახისთვის და არა საზოგადოებისთვის. იგი აძლევს თანხას ამა თუ იმ ორგანიზაციას, სკოლას, გამომცემლობას, მაგრამ არ არის დარწმუნებული მისი გაღებული წვლილის საზოგადოებრივ სარგებლიანობაში. ის ამას

¹ გუშინ, დღეს, ზეგ, „მშაკი“, 1872, № 1.

² სავაჭრო სასწავლებელი კავკასიაში, „მშაკი“, 1891, № 111.

აკეთებს მხოლოდ იმისთვის, რომ მას სთხოვენ, სთავაზობენ და არ შეიძლება უარის თქმა, აკეთებს სახელისთვის. სომეხს არ შეუძლია, სხვაგვარად შეხედოს საკითხს; ნუთუ აუცილებელია საქველმოქმედო ორგანიზაციები, გამომცემლობები, სკოლები და ა.შ.? – სრულებითაც არა. სიცოცხლისთვის, ფულის შეგროვებისთვის, ოჯახის ყოლისთვის სულაც არ არის საჭირო საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეები. ცხოვრებისთვის საკმარისია მხოლოდ ჭამა, სმა, ძილი და მეტი არაფერი, – ირონიით აღნიშნავს ავტორი.¹

„მშაკის“ აზრით, მთავარ პრობლემად გვევლინება სომხის ხასიათის თავისებურებანი. სომხისთვის „უცხოა საზოგადოებრივი თუ მეგობრული განცდები. მისთვის არ არის მთავარი, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმე გააკეთოს, ყოველი სომეხი ფიქრობს, რომ უნდა გააკეთოს მხოლოდ განსაკუთრებული რამ, რომლის მსგავსი სხვას არ გაუკეთებია ... ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყოს და შეენიოს უკვე არსებულ საზოგადოებრივ დაწესებულებებს, რომლებიც ამას საჭიროებენ, ის იწყებს ახალს, ყოველთვის ახალს, რათა ამით როგორმე უკვდავყოს თავისი სახელი“. სტატიის ავტორის აზრით, სომეხი მოკლებულია მეგობრულ გრძნობებსა და ღირსებებს, ის უზომოდ ამპარტავანი და ეგოისტია, ის არ შეუერთებს თავის ძალებს უკვე არსებულს, რადგანაც, ამ შემთხვევაში, ის ხდება რალაცის მხოლოდ ნაწილი, საზოგადოების ერთი მარცვალი, მას კი სხვა რამ უნდა, „მისთვის მთავარია სახელი, დიდება..... სომეხი ან არაფერს გააკეთებს, ან მხოლოდ ახალს დაიწყებს, დაიწყებს და ველარ დაამთავრებს“.²

სტატიის ავტორი საზოგადოებრივი მოძრაობისადმი ამგვარ დამოკიდებულებას თავად სომეხი ხალხის თავისებურებით ხსნის და აღნიშნავს, რომ საზოგადო მოღვაწისადმი სომეხთა დამოკიდებულება მაშინვე იცვლება, როგორც კი ეს პიროვნება გარდაიცვლება: მას გმირად აცხადებენ, აქებენ, ადიდებენ, მისი სულის მოსახსენებლად წირვას აღავლენენ. ასე მოხდა ნერსე კათალიკოსის, აივაზოვსკის, ნაზარიანის, ნალბანდიანის და სხვათა შემთხვევებში. სტატიაში ამ პიროვნებათა მოღვაწეობის შესახებ მოკლედ არის მოთხრობილი.³

„მშაკი“ აღნიშნავს სომეხების მანკიერ თვისებებს, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას და მნიშვნელოვნად დააბრკოლოს

¹ სომხის ქველმოქმედება, „მშაკი“, 1891, № 127.

² სომხის ხასიათი, „მშაკი“, 1876, № 37.

³ სომხის ბუნება, „მშაკი“, 1882, № 127.

მათი კონსოლიდაცია. ნათქვამია, რომ ცალკეულ მანკიერ თვისებებს მტკიცედ აქვს ფესვები გადგმული. მლიქვნელობა, ტყუილი, სუსტის დაჩაგვრა — ეს ის ხერხებია, რომელსაც აქტიურად იყენებენ სომხები საკუთარი მიზნის მისაღწევად, თანაც ამასვე ურჩევენ იმ გამოუცდელ პირებს, რომლებიც ახლალა ჰკიდებენ ხელს საოჯახო თუ საზოგადოებრივ საქმეს. ავტორს მოჰყავს მაგალითები, თუ როგორ ცდილობენ ადამიანები საკუთარი თავის ამაღლებას სხვისი დაჩაგვრა-დამონების ხარჯზე და ნუხს, რომ ამგვარ შემთხვევებს თბილისის სომხურ საზოგადოებაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით. ისიც არის აღნიშნული, რომ ამ ტენდენციას ნეგატიური გავლენა აქვს თაობებზე. აღნიშნულია, რომ თბილისის სომხური საზოგადოების გარკვეული წრეები ერთგვარი ზემოქმედების მოხდენას ცდილობენ ნერსესიანის სკოლის მეურვეებზე. ეს უკანასკნელნი მტკიცედ იცავენ თავიანთ უფლებებს, მოქმედებენ იმ წესდების მიხედვით, რომელიც თბილისის სომხური საზოგადოების უძვირფასესი მემკვიდრეობაა. მათ შეძლეს წესდების დაცვა მაშინ, როცა ზოგიერთები, პატრიოტიზმის ნიღბით, შეეცადნენ მის ფეხქვეშ გათელვას. სანაცვლოდ ისევ იღებდნენ შენიშვნებს „პატიოსანი“ მრჩევლებისგან, რომ ისინი ვერასდროს მიაღწევდნენ მიზანს, თუ „სხვაგვარად არ მოიქცეოდნენ.“ ავტორი მკითხველს უტოვებს საფიქრალად იმას, თუ რას უნდა ნიშნავდეს „სხვაგვარად მოქცევა“.¹

აღნიშნულია სხვა „თვისებებიც“: „მშაკის“ აზრით, სომეხი მოკლებული იყო ამაღლებულ მორალურ იდეალებს; იქნებ, არც ერთი ერი ყოფილა სომეხთა მსგავსად ანგარებიანი. სომეხი ყველა საქმეს უყურებს ფულის შოვნის თვალთ. სწავლა, საზოგადოებრივი საქმიანობა, მეცადინეობა, თანამდებობა, ნოდება, პროფესია, სიყვარული, ოჯახი — ყველაფერს შედარებითი ფასი აქვს, იგი ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელსაყრელია მატერიალურად. სომეხი ყველაფრისგან ელოდება მატერიალურ შედეგს, სარგებელს, პროცენტს; განათლებას იღებს წინასწარი გათვლით, პროფესიას ირჩევს გათვლით, გარდაცვალებამდე ანდერძს წერს გათვლით, საზოგადოებაში კეთილ საქმეს აკეთებს სარგებლის მიზნით – თავისი სულის საცხონებლად. მაგალითად მოყვანილია ამიერკავკასიელი

¹ სხვაგვარად უნდა მოქცეულიყავით, „მშაკი“, 1874, № 3.

სომხების მიერ რუსული ენის სწავლა და შვილებისთვისაც რუსული განათლების მიცემა. დასმულია კითხვა: „*ნუთუ ფიქრობთ, ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ესმით მოქალაქისათვის სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობა? – არა, ისინი ასე განათლებული არ არიან, ყველაფერს სარგებლისა და ფულის გამო აკეთებენ. მაგრამ, თუკი ერთ დღესაც სომეხი დაინახავს, რომ სომხურ ენას ფასი დაეძება, საზოგადოებაში გამოიყენება და მშობლიური ენის ცოდნით ფულის გამომუშავებაც შესაძლებელია, იგი მაშინვე დაიწყებს შვილებისათვის სომხური ენის სწავლებას.*“¹

სომეხს მტერი ზიანს მხოლოდ სომხის დახმარებით თუ მიაყენებს. სომეხი უმოქმედოა ყოველგვარ პოლიტიკურ და ეროვნულ ცხოვრებაში, მას არ უჭირავს მნიშვნელოვანი პოზიცია. მაგრამ იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი თანამდებობა და სტატუსი მოიპოვოს, უარს არ ამბობს ლალატსა და მოძმისთვის ზიანის მიყენებაზე. ეს კი სომეხი ერის სისუსტით არის გამოწვეული. რომ არა სომხების ეს თვისება, სომეხი ერი არა მხოლოდ მცირე აზიაში, არამედ მთელს აზიაში უძლიერესი და დაუმარცხებელი იქნებოდა.² აქ გარკვეული მსგავსება იკვეთება ქართველების ხასიათის ნიშნებთან, რომელთაც აღნიშნავდნენ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები.

ზემოთ მოყვანილი განსხვავებების, მეტოქეობის და ერთმანეთის ხასიათში ნეგატიური და პიზიტიური ასპექტების გამოკვეთის პარალელურად, ხაზგასმულია ქართველთა და სომეხთა თანამშრომლობის აუცილებლობა. ეს ვლინდება კავკასიის უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხის თაობაზე მიმდინარე დისკუსიაში. გაზეთ „მშაკში“ აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი თბილისში უნდა გაიხსნას: „კავკასიის მრავალეროვან მოსახლეობაში არის ორი ერი, რომელიც თავისი ისტორიული წარსულით, ძველი და ახალი მწერლობით, თავისი კულტურით ევროპული სამეცნიერო სამყაროს შესწავლის საგანი გახდა. სომხური და ქართული ძველი მწერლობა, ეთნოგრაფია, ენები ელოდებიან დაულალავ და სერიოზულ მკვლევარებს, მათი აღზრდა კი შეუძლია მხოლოდ უნივერსიტეტს,“ — აღნიშნავს სტატიის ავტორი. მისთვის უდავოა, რომ უნივერსიტეტი თბილისში უნდა გაიხსნას, არა მარტო იმიტომ, რომ თბილისი კავკასიის დედაქალაქია,

¹ ყველაფერი ფულის გამო, „მშაკი“, 1877, № 7.

² სომხის მტერი სომეხია, „მშაკი“, 1881, № 68.

არამედ იმიტომაც, რომ „არ უნდა დაგვაზინყდეს თბილისის კარგი და ჯანმრთელი ჰავა, კვებისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები, ვიდრე ბაქოში და, რაც მთავარია, ინტელექტუალური და სამწერლობო ცხოვრების უფრო ძლიერი განვითარება თბილისში, ვიდრე ბაქოში. აქ არის მთელი რიგი სამეცნიერო, ფილოლოგიური და ისტორიული დანესებულებები, უფრო მეტი საშუალებაა, ფილოლოგიის, ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ენათმეცნიერების შესასწავლად.“¹

სომხები თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის მიზეზებზეც საუბრობენ. ერთი მიზეზი ის არის, რომ საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები, მატერიალური შემოსავლის არქონის გამო, ვერ ახერხებენ უმაღლესი განათლების მიღებას. მათ ოჯახებს არა აქვთ საკმარისი შემოსავალი, რომ შვილების საზღვარგარეთ სწავლება უზრუნველყონ. მეორე მიზეზი ის არის, რომ დროა, საქართველო მეცნიერულად იქნას შესწავლილი. დასახულია პრაგმატული მიზნებიც: ენათმეცნიერების ფაკულტეტი სხვადასხვა ენებს და სიძველეებს შეისწავლის, საბუნებისმეტყველო განყოფილება – ბუნებრივ, სამრეწველო თუ მცენარეულ სიმდიდრეს, მედიცინის ფაკულტეტი ადგილობრივ სამკურნალო საშუალებებს გამოიკვლევს და ა.შ.² უმაღლესი განათლების დანესებულების თბილისში დაარსების პარალელურად, საუბარია სომხურ ენაზე ლექციების ჩატარების შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ახალგაზრდების განვითარებისათვის. როგორც წერილიდან ჩანს, უკვე მეხუთე ლექცია ჩატარდა სომხურ ენაზე. ლექციები უნდა გაგრძელდეს სხვადასხვა საკითხებზე, ამისთვის საჭიროა პედაგოგების გადამზადება და საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელება, რაც, როგორც ჩანს, „მშაკის“ რედაქციამ შეიძლება უზრუნველყოს. უმაღლესი სასწავლებლის ლექციებს უფრო დიდი საგანმანათლებლო გავლენა ექნება საზოგადოებაზე, როცა ისინი განიხილავენ ერის ნაკლოვანებებს და ერი ამ ნაკლოვანებებისგან გათავისუფლდება.³

უნივერსიტეტის გახსნისკენ სწრაფვა სომხებში უმაღლესი განათლების მიღების და სომეხთა შორის მეცნიერების განვითარების სურვილით იყო გამოწვეული. „მშაკი“ ერთ-ერთ სტატიამში წუხს იმის თაობაზე, რომ სომეხ ახალგაზრდებში არ შეინიშნება სწრაფვა

¹ უბირველეს ყოვლისა უნივერსიტეტი თბილისში, „მშაკი“, 1910, № 47.

² უნივერსიტეტი საჭიროა, „მშაკი“, 1879, № 54.

³ სომხური ლექციები, „მშაკი“, 1879, № 58.

მეცნიერებებისადმი. ნახევარი საუკუნეა, რაც სომხები ახალგაზრდებს აგზავნიან რუსეთში ან საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად. მოსწავლე ახალგაზრდების (სტუდენტების) რიცხვი ხუთასამდე იქნება. მაგრამ სომხებში აქამდე არ იყო სამეცნიერო სახის მოძრაობა, არ იყო ჯგუფები, რომლებიც მიზნად დაისახავდნენ მეცნიერულად გამოეკვლიათ ესა თუ ის საკითხი. ცალკეული პიროვნებები, რა თქმა უნდა, ცდილობდნენ სამეცნიერო საქმიანობას, მაგრამ ძალიან ცოტა იყო ისეთი, ვინც სერიოზულად მოჰქიდა ამ საქმეს ხელი. სერიოზული და მნიშვნელოვანი კვლევების დიდ ნაწილს კავკასიელები არ ასრულებენ. მაგალითად, მოსკოვში ჩატარებულ ბუნებისმეტყველთა მეცხრე ყრილობაზე, სადაც 364-მდე მოხსენება წაიკითხეს, ორიოდ სომხური გვარი თუ გამოერია. ასევე ბაქოში რამდენჯერმე ჩატარებულ ნავთობის წარმოებასთან დაკავშირებულ ყრილობაზე სომეხი ინტელიგენტები ყველაზე უმნიშვნელო როლს ასრულებენ მნიშვნელოვანი საკითხების წარმოდგენაში. მაგალითად, ბაქოს ტექნიკური ამხანაგობის ბიულეტენში ვერ იპოვიდით კავკასიელების კვლევებს ნავთობის წარმოებასთან დაკავშირებით, რითაც შემდგომში დაკავებული იყო სომეხი ინტელიგენტების დიდი უმრავლესობა. თბილისში არსებული ამხანაგობების ისტორიის შესწავლა ცხადყოფს, რომ კავკასიელები გულგრილნი იყვნენ სამეცნიერო საქმიანობისადმი. ამის მიზეზი არა ინტელექტუალური პოტენციალის ნაკლებობა, არამედ ახალგაზრდობის სუსტი ინტერესი გახლდათ. ახალგაზრდობა გაურბოდა საზოგადოებრივ ცხოვრებას. „სამეცნიერო საქმიანობის გარეშე წინ ვერ წავალთ“,¹ აფრთხილებდა გაზეთი მკითხველს. მსგავსი საკითხებია წამოწეული ანალოგიური პერიოდის ქართულ პრესაშიც (იხ. თავი 2).

„მშაკი“ საუბრობს ქართველი „ფრანგების“ ცუდ მდგომარეობაზე სარწმუნოების მხრივ, რომელთაც სომეხთა კათალიკოსი ავინროებს და წირვა-ლოცვის სომხურ-ლათინურად ჩატარებას აიძულებს. ქართველ კათოლიკეებს ქართულ ენაზე სკოლაც აქვთ გამართული, რომელიც სომხურად უნდა გადაკეთდეს. ქართველი ფრანგები შერაცხული არიან სომეხ კათოლიკეებად. აღნიშნულია, რომ უმაღლეს მთავრობას ხელთ აქვთ საკმაო მასალა, რომელიც ამტკიცებს სომხების ძალმომრეობას.² სავარაუდოდ, აქ ახალციხის მაზრა უნდა იგულისხმებოდეს, სადაც

¹ მეცნიერება სომხებში, „მშაკი“, 1894, №8.

² ქართველი ფრანგების საქმე, „კვალი“, 1897, № 46.

ამ პერიოდში აქტიურობდნენ კათოლიკე მისიონერები. ახალციხიდან მონერილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში ხაზგასმულია, რომ მაჰმადიან ქართველებთან ერთად, იქ ცხოვრობენ სომხები და კათოლიკური სარწმუნოების მიმდევრები. მოხსენიებულია ადგილობრივი სომეხი მღვდელი არარატიანცი, რომელიც სომხურ ენაზე საუბრობს, მის სამწყსოში ყველას სომხად თვლის და „ლამის ქართულად ლაპარაკიც კი დაუშალოს.“ იქვე ახსნილია არარატიანცის ამგვარი ქცევის საფუძველი: აქაურ მღვდელ ხარასჩიროვს, რომელიც კონსტანტინოპოლში წირავს, მიზნად აქვს დასახული მღვდლების ქართულად მომზადება და მათი აქ გამოგზავნა; ეს სომეხი მღვდელი კი ამაში ხელს უშლის და გზას უღობავს.¹ ამგვარად, მეტოქეობა სარწმუნოების სფეროშიც იკვეთება.

ამ საკითხს ეძღვნება გაზეთ „მშაკში“ მოცემული სტატია, სადაც აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიაში მცხოვრები სომეხი-კათოლიკეები დასახლებული არიან თბილისში, ქუთაისში, ერევნის ოლქში, ასევე ყარსისა და ართვინის რაიონებში. მათი ოფიციალური რიცხვი 50.000 სულია, აქვთ ორი სასულიერო მმართველობა, ერთი ახალციხეში, მეორე — ართვინში. ეს მმართველობები ზედამხედველობს სომეხ კათოლიკეთა სასულიერო საკითხებს. სასაუბრო ენა ოჯახში, ეკლესიასა და სასულიერო მმართველობებში სომხურია.² ადილობრივი სომეხები ძლიერ იღვნიან საკუთარი პოზიციების გაძლიერებისათვის რელიგიურ სფეროში. 1877 წელს 8 იანვარს ახალციხეში ჩატარდა ეროვნული კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა მამა ალექსანდრე არარატიანი, მონაწილეობდა 68 სასულიერო და საერო დელეგატი. კრების მიზანი იყო სომეხ კათოლიკეთა სასულიერო მმართველობის გადატანა თბილისში, რომელიც ცენტრი იყო და შესაფერის ადგილად მიიჩნეოდა. სურდათ ასევე სომეხ კათოლიკეთა სასულიერო სკოლის გახსნა, სადაც მომავალი მღვდლები მიიღებდნენ განათლებას. ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ მალე დაიწყება ამ საკითხების განხორციელება, იგი მოუწოდებს სასულიერო პირებს, რომ თავი დაანებონ ურთიერთბრალდებებს და გაერთიანდნენ საერთო საქმისთვის.³

ახალციხეში სომეხები მძლავრად ჩანან წარმოდგენილი. აქ არის ახალციხის კარაპეტიანის სასწავლებელი, რომელსაც ფინანსური პრობლემები აქვს. ხაზგასმულია სასწავლებლის მნიშვნელობა; მისი

¹ „დროება“, 1876, № 17.

² *სომეხ კათოლიკეთა ერთიანობა*, „მშაკი“, 1902, № 131.

³ *იქვე*.

კურსდამთავრებულები ახალციხეში ვარდანიანების სასწავლებლის და სამრევლო სკოლების მასწავლებლები არიან, მის წიაღში არაერთი პიროვნება აღიზარდა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (ქუთაისში, სურამში, გორში და სხვ.) მღვდლებად მსახურობენ და სომხურ ენას ასწავლიან მოსახლეობას. კარაპეტიანის სასწავლებელს არ გააჩნია სოფლები, რომ იქიდან ჰქონდეს შემოსავალი. მას არც მალაზიები აქვს, რის გამოც მრევლი საყვედურობს სასწავლებლის ხელმძღვანელობას. თუმცა წერილის ავტორი მკაფიოდ აფიქსირებს თავის პოზიციას – მისთვის მიუღებელია, სასწავლებელი სავაჭრო ადგილად გადაიქცეს. მისი აზრით, ამ ადამიანებს მხოლოდ ეგოისტური მიზნები ამოძრავებთ, რომ როგორმე სარგებელი იპოვონ და გახსნილ მალაზიებში დაიკავონ ადგილები. ავტორი დარწმუნებულია, რომ კარაპეტიანის სასწავლებელი მაინც მოახერხებს არსებობის შენარჩუნებას, ხოლო, სასწავლებლების სახელით გახსნილი „მალაზიების დახურვას მალე ნახავენ ამ მეთოდის მომხრეები, რომლებიც სანთლისა და საკმევლის გაყიდვით საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ოცნებობენ და არა სასწავლებლის კეთილდღეობაზე.“¹

გვინდა ყუარდლება გავამახვილოთ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან მომენტზე: „მშაკი“ ისეთივე მნიშვნელოვანი აქტორია მრავალეთნიკური ქართველი ერის იდენტობის ფორმირებისთვის, როგორც „ივერია“, „დროება“, „კვალი“ და სხვა ქართული გაზეთები. „მშაკი“ თბილისში გამოდიოდა. მის დამფუძნებელ ინტელექტუალებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ „მშაკის“ მკითხველი ეთნიკური სომეხი, რომელიც ქართულ გარემოში ცხოვრობდა, საჭიროებდა ორი მნიშვნელოვანი ასპექტის გაცნობიერებას: ერთი მხრივ, ის უნდა გამხდარიყო მრავალეროვანი ქართული კულტურული სივრცის ნაწილი, მეორე მხრივ, ამ მრავალფეროვნებაში საკუთარი იდენტობა უნდა შეენარჩუნებინა. ამავე დროს, „მშაკი“, საქართველოში მცხოვრები სომხების სამშობლოსთან დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციას ასრულებდა. ის მუდვივად ახსენებდა მათ იქ მიმდინარე მოვლენებს (ერშიაძინის ამბები, სომხების მდგომარეობა ოსმალეთში და ა.შ.).

მოცემული ანალიზი გვაჩვენებს სომხების მიერ საკუთარი თავის წარმოდგენას ქართულ სივრცეში. განხილულია ქართველთა და სომეხთა შორის მსგავსებისა და განსხვავების საკითხები,

¹ წერილი ახალციხიდან, „მშაკი“, 1874, № 1.

ქართული და სომხური ენისადმი დამოკიდებულების პრობლემები, ქართველებისა და სომხების მიერ საკუთარი წარსულის განსხვავებული აღქმა, განათლების, როგორც იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის პრობლემა, საქართველოში მცხოვრები სომხების სამშობლოსადმი დამოკიდებულება, აღნიშნულია საკუთარი და ერთმანეთის უარყოფითი და დადებითი თვისებები.

ქართველები და აზერბაიჯანელები. საგაზაეთო პუბლიკაციებში დღევანდელი აზერბაიჯანელები „თათრების“ სახელით არიან მოხსენიებული. პრესაში მათზე დაცული ინფორმაცია ძალზე მწირი და ფრაგმენტულია. ეს ნაკლოვანება შევეცადეთ შეგვევსო იმ პერიოდის ქართულ პრესაში დაცული ინფორმაციით და მონაცემებით. აქაც, მეტწილად, ფრაგმენტული ცნობები გვხვდება. 1903 წლის გაზეთ „ივერიაში“ *ქართველის*¹ ფსევდონიმით დაიბეჭდა ცნობა, რომელშიც მოხსენიებულია თრიალეთის საბოქაულოში, ბორჩალოს მაზრაში მცხოვრები ქართველები, რომელთაც დავინწყებული აქვთ ქართული ენა, თუმცა ქართული პატრიარქალური ზნე-ჩვეულება აქვთ შენარჩუნებული და აღნიშნავენ, „მე ქართველი ვარო;“ ისინი მონადინებული არიან, „შეისწავლონ ქართული ენა, ჩაიცვან ქართულად და ყოველნაირად დაუახლოვდნენ ქართველობას.“² არ გვხვდება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორც განსაზღვრავენ თავად „თათრები“ თავიანთ მიმართებას ქართველებთან, რომელიც მათი ურთიერთაღქმის პროცესის წარმოჩენაში დაგვეხმარებოდა. როგორც ჩანს, იმ პერიოდში ეს ეთნიკური ჯგუფი ქართველებისთვის არ წამოადგენდა იმ სხვას, რომელთან მიმართებაში ხდებოდა თვითიდენტიფიკაცია.

3.2.2. ქართველები, ოსები და აფხაზები: იდენტობების ურთიერთმიმართება

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან თვითიდენტიფიკაციის ხარისხით, კონსოლიდაციის დონით და საზოგადოებრივი აქტიურობით. მჭიდრო კავშირები და ყოველდღიური ურთიერთობა ამ განსხვავებულობას კიდევ უფრო აშკარას და შესამჩნევს ხდიდა.

¹ სავარაუდოდ, *ქართველის* ფსევდონიმით სარგებლობდა ვალერიან გუნია (1862-1938).

² „ივერია“, 1903, № 131.

ოსური ნარატივი. ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფი, რომელთან მიმართებაშიც ხდებოდა ქართველთა თვითიდენტიფიკაცია, იყვნენ ოსები. საკვლევ პერიოდში ისინი საქართველოს ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არ სახლობდნენ და კონსოლიდაციის დაბალი ხარისხითა და საზოგადოებაში ნაკლებ აქტიურობით გამოირჩეოდნენ. მათ არც კაპიტალი ჰქონდათ დაგროვილი და არც პოლიტიკურ პოზიციებზე აცხადებდნენ პრეტენზიას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მცხოვრები ოსების უმრავლესობამ, მით უმეტეს ახალგაზრდა თაობამ, როგორც ამას გაზეთები ადასტურებენ, მშობლიურ ენასავით იცოდა ქართული, რაც მიუთითებს ქართულ საზოგადოებაში ოსთა ინტეგრაციის მაღალ ხარისხზე. ამის დამადასტურებელი ინფორმაცია ჯერ კიდევ 1901 წლის „ივერიაში“ გვხდება:

„საქართველოს ეპარქიაში ვერსად ვერ შეხვდებით ოსის ისეთ ბავშვს, რომელსაც სრულებით არ ესმოდა ქართული ენა, პირიქით, ოსები, რომლებიც ქალაქ დუშეთისა და თბილისის მაზრაში ქართველებს შორის ცხოვრობენ, ქართულად ლაპარაკობენ როგორც სამშობლო ენაზე. ამ ენას დიდის პატივისცემით ეპყრობიან, რადგანაც მას საღვთო წერილისა და ლიტერატურის ენად სთვლიან, და საზოგადოდ ოსები სრულად შეუერთდნენ კულტურულ ქართველ ხალხს.“¹

„ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში, სათაურით „წერული ოსეთითგან“, ავტორი ფსევდონიმით ქართველი ოსებში² საუბრობს განათლების მხრივ სოფელ ნებითი-ქრისტიანში (კავკავის მაზრა) მცხოვრებ ოსებს შორის არსებულ პრობლემებზე, რომელთაც ბევრი საერთო აქვთ ზოგადად არსებულ პრობლემებთან: მცირე ინტერესი დაბალ ფენებში ბავშვების სასწავლებლად მიზარებისადმი და ნაკლები ზრუნვა ქალთა განათლებაზე. სასწავლებლად შვილს მხოლოდ შეძლებული კაცი თუ მიაბარებს, მაგრამ დროთა განმავლობაში დამოკიდებულება იცვლება და მივარდნილ სოფლებშიც კი ცდილობენ სკოლის გამართვას. ქვეყნდება სტატისტიკური მასალა, რამდენი ქალი და კაცი სწავლობდა სკოლაში და რა ჯდება მათი განათლება.³

ამ პერიოდში საქართველოში მცხოვრები ოსები მკაფიო

¹ ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებითგან), „ივერია“, 1901, № 150.

² მღვდელ ნესტორ ნიკოლოზის ძე ბაკურაძის (1861-1931) ფსევდონიმი.

³ ქართველი ოსებში, წერილი ოსეთითგან „ივერია“, 1900, № 209.

კულტურული თვითიდენტიფიკაციით არ გამოირჩეოდნენ. ამდენად, ოსების მხრიდან ქართველთა ჩვენ ჯგუფი, იდენტობის განსაზღვრის თვალსაზრისით, მკაფიო და, მით უმეტეს, მკაცრ გამონწვევებს ვერ იღებს. სწორედ ამიტომ ქართულ-ოსური ურთიერთობის ამსახველ ნარატივს მწვავე კონფრონტაციული ხასიათი არ აქვს და უფრო კულტურული განსხვავებულობის ხაზგასმაზეა ორიენტირებული.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობა და, აქედან გამომდინარე, ნარატივიც მოკლებულია კონფრონტაციულ ხასიათს, ცალსახაა, რომ ოსი სხვა ჯგუფია. მართალია, არა ისეთი სიმძაფრითა და სიხშირით, როგორც სომხებზე, მაგრამ პრესაში მაინც გვხვდება სტატიები, სადაც საუბარია ოსებზე, როგორც „ხიზნებზე“. სომხებთან, ბერძნებთან და ზოგ სხვასთან ერთად, ოსები ხვდებიან იმ ხალხთა ჩამონათვალში, ვისაც სურს ქართველთა „მამაპაპისეული მიწის დაკავება“. 1903 წლის გაზეთ ივერიაში (№ 147) დაიბეჭდა ფელეტონი „ნახული და გაგონილი“, რომლის ავტორი იყო ა. ფრონელი.¹ მისი თქმით, „ჯერ იყო და ქართლ-კახეთში ბინა დაიდევს სომხებმა, ამათ მოჰყვა ბერძნობა და გერმანელობა. რაც რამ დარჩა თავისუფალი ადგილ-მამული, ისიც ხიზნობამ დაიჭირა... „ბეჩავი“ ქართლელი, ჩვეულებრივ, გარიყული დარჩა.“²

ოსები 1900-იანი წლებიდან იწყებენ ნაციონალური კულტურის კერის გაღვივებას, როგორც ამას თვითონ უწოდებენ. 1906 წელს თბილისში მცხოვრებ ოსებს დაუარსებიათ „ოსური საგამომცემლო საზოგადოება“. ამ საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ გიორგი ჯიოთი და ვასო ცაბათი. მათი მონაყოლიდან ირკვევა:

„იმისათვის, რომ თბილისში მცხოვრებ ოსებს ნაციონალური კულტურის კერა გაეღვივებინათ, ოსი ხალხის რჩეულმა პირებმა გადაწყვიტეს შეკრებილიყვნენ. რამდენიმეჯერ მიმართეს მთავრობას, მაგრამ ნებართვა ვერ მიიღეს. მაშინ გადაწყვიტეთ ქუვდი³ გაგვემართა. პირველი ქუვდი 1905 წელს მუშტაიდის პარკში მოვანყვეთ, მაგრამ სახელმწიფოს მიერ მოგზავნილი მოყურიადეები მოგვადგნენ და ვერაფერი შედეგი ვერ მივიღეთ. მეორე ქუვდმაც ასე უშედეგოდ ჩაიარა, მაშინ

¹ ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძის (1862-1916) ფსევდონიმი.

² ფრონელი, ა. ფელეტონი „ნახული და გაგონილი“, „ივერია“, 1903, № 147.

³ ოსურად: საღვთო ნადიმი, წვეულება; ამ შემთხვევაში – თავყრილობა.

მესამეჯერ გავმართეთ ქუვდი, 1906 წელს, ავჭალასთან ახლოს მდებარე გაშლილ მინდორზე. ამ ქუვდზე დამტკიცდა ოსური საგამომცემლო საქმიანობის შემადგენლობა და წესდება.¹

ამ საზოგადოებამ 1906 წელსვე ჩამოაყალიბა ოსური დრამწრე, რომელიც 1980-იან წლებამდე დგამდა სპექტაკლებს ოსურ ენაზე. საზოგადოების ხელმძღვანელებმა რამდენჯერმე მიმართეს ხელისუფლებას ოსური გაზეთის დაარსების თხოვნით, 1907 წელს (13 თებერვალს) ნებართვაც მიიღეს და უკვე იმავე წლის 6 მარტს თბილისში ოსური გაზეთის „ნოგ ცარდ“ პირველი ნომერი გამოვიდა.

„ნოგ ცარდი“ მეორე ოსურენოვანი გაზეთი იყო (პირველი ოსური გაზეთი 1906 წელს გამოვიდა ვლადიკავკაზში). ჯერ კიდევ პირველი ნომრის გამოსვლამდე ქართულმა გაზეთმა „ისარმა“ მკითხველს ამცნო: „მარტის პირველი რიცხვებიდან თბილისში შეგიძლიათ გამოიწეროთ ოსური გაზეთი „ნოგ ცარდი“, რომელიც კვირაში ორჯერ გამოვა. გაზეთის ფასია წელიწადში 4 მანეთი“.² პირველი ნომრის ტირაჟი იყო 400, შემდეგი კი 1800 ეგზემპლარამდე გაიზარდა. პირველი ნომრიდან ჩვიდმეტ ნომრამდე ამ გაზეთის რედაქტორი იყო პეტრე თედეთი, შემდეგ კი გაზეთს ხელმძღვანელობდა გაიოზ ცხვრბათი. გაზეთის მთავარი რუბრიკები იყო: მთავრობის დადგენილებები, ლიტერატურა, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი საკითხები, ქრონიკა, რუსეთისა და ოსეთის ცხოვრება, გამომცემლობა, ლიტერატურული კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ფელეტონები, ლექციები, თეატრი, ხელოვნება, მედიცინა, სოფლის მეურნეობა და სხვ. ბეჭდვითი ორგანო მკაცრად გამოდიოდა მოძველებული საზიანო წესების წინააღმდეგ (სისხლის ალება, ირადის (ურვადი) გადახდა და ა.შ.). „ნოგ ცარდში“ პირველად გამოქვეყნდა კოსტა ხეთაგუროვის ის ლექსები, რომლებიც, ცენზურის გამო, არ იბეჭდებოდა: „სალდათი“, „დოდოი“, „დათვი და მგელი“, „ვაიძაფ“, მოგვიანებით აქვე გამოქვეყნდა ცეკა გადიათის მოთხრობა „აისა“.

თბილისში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში პირველად იბეჭდებოდა ოსურ ენაზე სხვა ოსი მწერლების ნაწარმოებებიც. საინტერესოა, რომ თვით ჟურნალის რედაქტორის, არსენ ქოცოითის ნაწარმოებები ოსურ ენაზე მხოლოდ თბილისში გამომავალ ჟურნალ

¹ „ნოგ ცარდ“, 1906, № 4.

² იქვე.

„ვსირში“ დაიბეჭდა. ის ფაქტი, რომ ვლადიკავკაზის ოსურენოვან გამოცემაში არ თუ ვერ ქვეყნდებოდა ოსურ ენაზე არსენ ქოცოითის, კოსტა ხეთაგუროვის ზოგიერთი ნაწარმოები, მიგვანიშნებს იმაზე, რომ თბილისში ხელსაყრელი გარემო იყო ოსებისათვის, ეზრუნათ მშობლიური ენისა თუ კულტურის შენარჩუნება-განვითარებისათვის.

ოსი, როგორც სხვა ჯგუფი, მე-20 საუკუნის დასაწყისში აქტიურად ჩნდება ქართველთა ცხოვრებაში. მართალია, არა იმდენად მძაფრად, როგორც სომხებს, მაგრამ ქართველი ინტელექტუალები ოსებსაც იმ სხვა ჯგუფად წარმოაჩენენ, ვინც კულტურულად განსხვავებულია და, ამავე დროს, დაპატრონებია ქართველთა „მამულს.“

აფხაზური ნარატივი. ინფორმაციის დიდი ნაწილი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქართულ პრესაში აფხაზებზე გვხვდება, ძირითადად, შორეულ ისტორიას, ან ყოველდღიური ყოფაცხოვრების და ადგილობრივი ტრადიციების აღწერას ეძღვნება. აქ მცირეა უშუალოდ იდენტობის მშენებელი ტექსტები. არ იგრძნობა სწრაფვა აფხაზების, როგორც ქართველთა მიღმა მდგარი ჯგუფის კონსტრუირებისკენ. ისიც კი არ არის აღნიშნული, რომ აფხაზები სხვა ენაზე საუბრობენ.

საინტერესო ინფორმაციაა დაბეჭდილი გუდაუთაში სკოლის გახსნის თაობაზე. დაუსათაურებელ ცნობაში, რომლის ავტორია თ.გ-ძე.¹ აღნიშნულია, რომ გუდაუთის მცხოვრებნი მზად არიან, სკოლის გასახსნელად სახსრები თავად გაიღონ. სკოლა ქართულ ენაზე უნდა მუშაობდეს, ვინაიდან შეგირდთა უმეტესობა არის ქართველი; ბუნებრივია, მასწავლებელიც ქართველი უნდა იყოს. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქართული სკოლის გახსნაზე ქართველები და აფხაზები შეთანხმებულან.² ამავე პერიოდში შექმნილა აფხაზური ენის ლექსიკონი, სადაც, „კვალის“ სიტყვით, არის უზუსტობები, რის გამოც იგი თავიდან არის შესასწორებელი და დასასტამბი.³ გაზეთ „კვალში“ მოგვიანებით იბეჭდება სტატია პ.ჭ-ა.-ს⁴ ავტორობით, სადაც აღნიშნულია, რომ

¹ თორნიკე გეგეშიძე (1877-1942).

² „კვალი“, 1895, № 3.

³ მცირე ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, „კვალი“, 1895, № 16.

⁴ პეტრე გიორგის ძე ჭარაია (1861-1919), წერდა ასევე პ. გიორგაძის ფსევდონომით. ქართველი პედაგოგი, ლიტერატორი და ეთნოგრაფი. კარგად ფლობდა აფხაზურ ენას, იღვწოდა აფხაზებში წერა-კითხვის გასავრცელებლად, ქართულ პრესაში აქვეყნებდა ეთნოგრაფიულ წერილებს აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ.

აფხაზური ენა ქართული ძირი ენის მონათესავეა, ასე რომ, მცდარია იმის მტკიცება, თითქოს აფხაზურ ენას არ აქვს კავშირი ქართულ ძირ ენასთან.¹ ნათქვამია, რომ აფხაზეთში ვრცელდება მეგრული ენა.² გაზეთ „ივერიის“ 1888 წლის 46-ე ნომრის კორესპონდენციაში იბეჭდება შემდეგი ინფორმაცია: „ახალგაზრდა განათლებულს აფხაზს განუზრახავს აფხაზური მწერლობის დაარსება და კიდევ შეუდგენია აფხაზური ანბანი.“³ სამწუხაროდ ამ ფაქტზე დამატებითი ინფორმაცია გაზეთში განთავსებული არ არის. მოგვიანებით, გაზეთ „ივერიის“ 198-ე ნომერში აღნიშნულია, რომ ქართული ანბანი უკეთ გადმოსცემს აფხაზურს, ვიდრე კირილიცა, რის დასადასტურებლად მოტანილია მრავალი ნიმუში.⁴

აფხაზეთში აქტუალური იყო სამკითხველოების გახსნა, რამდენადაც სწავლა-განათლება დაქვეითებულიყო, ქართველს ქართველობა აღარ ეტყობოდა, მშობლიური ენა და ლიტერატურა გამქრალიყო, არ არსებობდა ბიბლიოთეკა. ქართველები ბევრი იყვნენ, მაგრამ არ იყო ღვთისმსახურება ქართულ ენაზე.⁵ გაზეთში დაბეჭდილია დაუსათაურებელი ცნობა თეოფ. გოგიტიძის ავტორობით, რომელიც აფხაზეთში ქართული ენის სწავლების გაძლიერების საკითხს ეძღვნება. მოხსენიებულია მასწავლებელი ნიკო ჯანაშია, რომელმაც გამართა გუდაუთის სკოლა, სადაც მანამდე მასწავლებლები ვერ მუშაობდნენ ენის უცოდინრობის გამო და ამიტომ ბავშვები სკოლაში არ მიჰყავდათ. ჯანაშიამ იცოდა ადგილობრივი ენა და ეხმარებოდა ბავშვებს სწავლაში. მანვე გამართა გუდაუთის სამკითხველო და დააარსა ადგილობრივი ჟურნალი „კრებული“, სადაც აქვეყნებდა სტატიების ციკლს „ეთნოგრაფიული წერილები აფხაზეთიდან“, მისი მეუღლე კი უფასოდ ასწავლიდა ხელსაქმეს, ჭრა-კერვას და ა.შ.⁶ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში აფხაზეთში სკოლების მართვისა და საქმიანობის თაობაზე გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება ცნობები რუსული გაზეთიდან „გოლოს“ (№166) აფხაზეთში რუსული სკოლების და ეკლესიების

¹ მინათ-მფლობელობა აფხაზეთში, „კვალი“, 1897, № 11.

² იქვე.

³ „ივერია“, 1888, № 46.

⁴ აფხაზური ანბანები, „ივერია“, 1888, № 198.

⁵ კვალის კორესპონდენციები. „კვალი“, 1898, № 39.

⁶ „კვალი“, 1899, № 38.

გამართვის საჭიროების შესახებ, და იქვე აღნიშნულია, რომ ამ საქმისთვის საჭირო თანხების მოძიებაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება.¹

იდენტობის მშენებელი ტექსტების თვალსაზრისით, საინტერესო მასალას გვანვდის ირაკლი გელენავა ნაშრომში „აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან. 1917-1921 წლები“. ქართველი და აფხაზი ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთზე შეხედულებების გადმოსაცემად, ავტორს მოტანილი აქვს დიმიტრი გულიას სიტყვები: „აფხაზ ხალხს ქართველებზე უფრო ახლო მეცეცხლური მეზობელი, კეთილისმსურველი მეგობარი და თანამდგომი არავინ ჰყოლია. მათ ერთმანეთთან აკავშირებთ სასიცოცხლო ინტერესები – მოყვრობა, ტრადიციები, და ადათ-წესები, სოციალური და ეროვნული მიზნები და ამოცანები“.² სწორედ მსგავსი სახის ტექსტები წარმოადგენს იდენტობის მშენებელ ნარატივებს, რადგან აქ მკაფიოდ არის გამოკვეთილი ორი ეთნოსის მჭიდრო ურთიერთობის საფუძვლები. სხვა ეთნიკური უმცირესობებისაგან განსხვავებით, აფხაზი ქართველისათვის ყველაზე ახლო სხვაა.

ეთნიკურ აფხაზებში ამ დროისათვის უკვე გამოკვეთილია ორი პოზიცია – პროქართული და პრორუსული. ქართველი ინტელექტუალები, როგორც ეს პრესის მასალებიდან ჩანს, ცდილობენ აფხაზთა გაუცხოება მესამე ძალას დააბრალონ. 1907 წელს გაზეთ „ისარის“ რამდენიმე ნომერში გაგრძელებით დაიბეჭდა ნიკო თავდგირიძის სტატია „ნამუსიც კარგი საქონელია (წერილი რედაქციის მიმართ)“, სადაც მიწის საკითხთან დაკავშირებით აფხაზი მემამულეების, აფხაზი გლეხებისა და მეგრელი მოიჯარადრეების პრობლემებზეა საუბარი. სტატია საინტერესოა როგორც იდენტობის მშენებელი ტექსტი, იგი ზემოთ აღნიშნული ფაქტის (მესამე ძალისთვის დაბრალება) კარგი მაგალითია. აი, რას წერს ავტორი სტატიაში: „საქმე გამწვავდა მეგრელ მოიჯარადრეებსა და აფხაზთა მემამულეთა შორის... ჩვენებური სოციალ-დემოკრატიები ხშირად გაიძახიან, ქართველი ნაციონალისტები ხალხთა შორის არსებულ დამოკიდებულებას ამწვავებენო. მაგრამ სინამდვილე სხვას გვეუბნება: არც ერთს აფხაზს ამ უკანასკნელ ხანამდის არ მოსვლია აზრად — მეგრელები რატომ არიან ჩვენ შორისო, ან ქართველი სხვა არის და ჩვენ მათთვის

¹ „დროება“, 1870, № 26.

² გელენავა, ი. აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან, გვ. 3.

უცხონი ვართო; დღეს კი, სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენლების ერთის წლის მოღვაწეობის მეოხებით, საუბედუროდ ჩვენდა, ხიდი ჩატყდა ქართველ ხალხსა და აფხაზთა შორის: „ჩვენ ძმათ მივიღეთ ქართველები, მეგობრობა გაგინიეთ, შემოგითვისეთ და თქვენ კი თურმე ჩვენ წალეკას, დედამიწისაგან ამოფხვრას გვიპირებთო; წადით, მოგვშორდით, არ გვინდა თქვენი არც მეზობლობა, არც ნაცნობობაო“. ასეთია დაახლოებით შინაარსი ყველა იმ მსჯელობისა, რომელიც ქართველ კაცთან აქვს დღეს აფხაზ მცხოვრებს. ამ გარემოებით, რა თქმა უნდა, ძლიერ კარგად ისარგებლეს ჭეშმარიტ-რუსთა წარმომადგენლებმა: „ხომ გელაპარაკებოდით, რომ ქართველები არიან ერთადერთი თქვენი მოსისხლე მტრები: ქართველებს უნდათ მინა-წყალი წაგართვან, თქვენი ეროვნული ხასიათი მოსპონ და თქვენ ნამოსახლზედ, ნაპარტახზედ თვითონ გადმოსკუპდნენო. ჩვენ, რუსები, სანყალი ხალხი ვართ; ჩვენ არავისი დამორჩილება, გადაგვარება არ შეგვიძლიან. ამას გარდა, ყველა ქართველი აჯანყება-არეულობის მომხრეა, იმათთან კავშირი ხელს არ მოგცემთ, განდევნეთ ისინი და რუსის მთავრობა თქვენს ყოველ მოთხოვნილებას შეგისრულებთო.“ ასეთმა მაცდურმა ქადაგებამ გასჭრა და ამის შედეგს თითქმის ყოველ დღე ვხედავთ: რამდენიმე ქალაქია წარდგენილი, სადაც ჯერს არს აფხაზების სახელით რომ ქართველებთან არავითარი საერთო არ გვინდა გვექონდესო და წავიდნენ აქედანაო; ისევ რუსები იყვნენო. ბიუროკრატიაც, ადვილი წარმოსადგენია, რომ წინააღმდეგი არ გახდება ამნაირ სურვილის დაკმაყოფილებისა. ჯერ-ჯერობით აძევებენ ქართველ მოხელეებს, მასწავლებლებს სოფლებიდან ყოველდღე ერეკებიან... ნუ თუ შესაწყნარებელია ასე წინდაუხედავად, უგუნურად ხალხის ინტერესების არევ-დარევა?¹“

საინტერესოა ნიკო თავდგირიძის საშუამდგომლო წერილი, რომელიც მან განათლების მინისტრს მისწერა. ნ. თავდგირიძე აფხაზური ენისადმი მეტი ყურადღების მიქცევის აუცილებლობაზე საუბრობს. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ აფხაზებს, რომ ჩვენ დიდი პატივისცემით ვეპყრობით ყოველი ერის დედაენასო, აღნიშნავს ნ. თავდგირიძე. მისივე თქმით, აუცილებელი და უკვე გადანყვეტილი იყო ქართულ უნივერსიტეტში აფხაზური ენის კათედრის დაარსება.

¹ თავდგირიძე, ნ. *ნამუსიც კარგი საქონელია*. „ისარი“, 1907, №16.

აფხაზური ენის ლექტორად მოუწვევიათ ცნობილი ლინგვისტი პეტრე ჭარაია.¹

ამგვარად, საგაზეთო პუბლიკაციების ანალიზი გვაჩვენებს, რომ აფხაზი ცალსახად არც *ჩვენ* ჯგუფის წევრად აღიქმება და არც მკაფიოდ გამიჯნული სხვაა. აფხაზების ენასთან და განათლებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას ქართველები საკუთარ საქმედ მიიჩნევენ.

1919 წლის 25 ნოემბერს აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განიხილებოდა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დანერგვა აფხაზეთის განათლების სისტემაში. საბჭოს სეპარატისტული ნაწილი ამ იდეას ეწინააღმდეგებოდა და აცხადებდა, რომ ქართული ენა გაუგებარი იყო აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობისათვის. მისი მიღება დაძაბავდა ურთიერთობებს ამ მხარეში. მკაფიოდ ჩანდა ლინგვისტურ საფუძველზე სეცესიის პროცესის წინაპირობები. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ გამოვიდა დეპუტატი ვ. ანჩაბაძე, რომელიც აფხაზეთს საქართველოს რესპუბლიკის ნაწილად მიიჩნევდა და, მიუხედავად მისი მრავალეროვნულობისა, თვლიდა, რომ ქართული უნდა ყოფილიყო აღიარებული სახელმწიფო ენად. საგულისხმოა ანჩაბაძის შეკითხვა: „აბა რომელი ენა უნდა იქნას შესწავლილი, თუ არა ქართული, ენა მეზობელი ხალხისა, რომელსაც აფხაზეთმა თავისი ბედი დაუკავშირა?“² თუმცა, არსებობდა განსხვავებული მოსაზრებაც: 1920 წლის 22-23 თებერვლის სახალხო საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ქართული ორიენტაციის მოწინააღმდეგე მხარე ი. მარლანიას ხელმძღვანელობით. მათ მიაჩნდათ, რომ აფხაზები უფრო ახლოს იყვნენ რუსეთთან, რუსულ კულტურასთან, ქართველები კი ცდილობდნენ ქართული კულტურისა და ენის ძალდატანებით დამკვიდრებას, რაც აფხაზეთში მათ ძალადობრივ შეჭრასთან იყო დაკავშირებული.

იდენტობის მშენებელ ნარატივებად შეგვიძლია ასევე განვიხილოთ სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტები. ისინი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ქმნიან იდენტობისთვის ბრძოლის, მისი განმტკიცების და შენარჩუნებისათვის საჭირო პოლიტიკურ ჩარჩოს. მაგალითად, ირკვევა, რომ 1917 წლიდან, სამთავრობო და ადმინისტრაციულ დანესებულებებთან და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზა-

¹ გელენავა, ირაკლი. *აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან*, გვ. 12-13.

² იქვე, გვ. 20-28.

ციებთან ურთიერთობისას, აფხაზი ხალხის წარმომადგენელს და ნების გამომხატველს აფხაზთა სახალხო საბჭო წარმოადგენდა; ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვის მიზნით, საკითხებს, რომლებიც ეხებოდა სოხუმის ოლქის სხვა ეროვნებების ინტერესებს, საოლქო კომიტეტი, ოლქის საერთო ყრილობა ან დაინტერესებულ მხარეთა ყრილობა წყვეტდა. როგორც 1917 წლის 8 ნოემბერს აფხაზი ხალხის ყრილობაზე მიღებულ დელკარაციაში აღინიშნებოდა, აფხაზი ხალხის თვითგამორკვევაში, „რომელიც ათასწლოვან ისტორიას ითვლის და გააჩნია უდიდესი თავისებურებანი თავისი ცხოვრების მონყობაში“, უნდა გაჩენილიყო „ისეთი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც, აფხაზი ხალხის გაერთიანებით, გამოხატავდა უმრავლესობის ნებას და მისი ინტერესების სადარაჯოზე იდგებოდა.“¹

ეს მოთხოვნა მკაფიოდ იკვეთება აფხაზეთში 1917 წლის რევოლუციის თანმდევ მოვლენებში. საგულისხმოა ის მომენტი, რომ ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში აფხაზები ჩრდილოკავკასიელ ხალხებს ძმებად მოიხსენიებენ: „აფხაზი ხალხი დარწმუნებულია იმაში, რომ მისი ძმები, ჩრდილოეთ კავკასიის და დაღესტნის მთიელები, მხარს დაუჭერენ მას იმ შემთხვევაში, როდესაც ის დაიცავს თავის უფლებებს.“² როგორც ჩანს, აფხაზები ესწრაფოდნენ მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას ჩრდილო კავკასიელ ხალხებთან, რომელთაც ისინი თანამოდმეებად მიიჩნევდნენ: „აფხაზი ხალხი შედის ჩრდილოეთ კავკასიის, დაღესტნისა და აფხაზეთის გაერთიანებულ მთიელთა კავშირში – და, რა თქმა უნდა, საჭიროებს თავის ჩრდილოელ ძმებთან ყველაზე მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას.“³

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პოლიტიკური და, რაც მთავარია, კულტურული სიახლოვის განცდა და თვითიდენტიფიკაციის შეგრძნება არსებობდა ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებს შორის: „ზაქათალის და სოხუმის ოლქების მიმართ კავკასიის მთიელთა დროებით მთავრობას გააჩნია ხელისუფლება ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური ხასიათის საკითხებში, ახლავე და სრულად კავკასიის მთიელთა დროებითი მთავრობის სახელმწიფო ხელისუფლების გავრცელება

¹ აფხაზი ხალხის ყრილობაზე მიღებული დელკარაცია. 8 ნოემბერი 1917 წელი, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსის საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). გვ. 11.

² იქვე.

³ იქვე.

ამ ოლქებზე გადასაწყვეტად წარედგინოს ზაქათალის და სოხუმის სახალხო საბჭოებს.¹ შეიძლება ითქვას, რომ ამ ნარატივების მიხედვით, აფხაზები მეტწილად ქართველთა ჩვენ-ჯგუფის მიღმა მოიაზრებიან.

ამ პერიოდში აფხაზთა კულტურულ თვითგამორკვევას თან სდევდა მათი პოლიტიკური თვითგამორკვევა. სწორედ ამიტომ, საქართველოს ეროვნული საბჭოს დადგენილებით, შეიქმნა ერთი მთლიანი აფხაზეთი მდ. ენგურიდან მდ. ზზიფამდე, სადაც შევიდა საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო, ანუ სოხუმის მთელი ოლქი. მთლიანი აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური წესწყობილების შემუშავება, დამყარებული ეროვნებათა თვითგამორკვევის პრინციპზე, აფხაზეთის დამფუძნებელი კრების მიერ უნდა გადაწყვეტილიყო, რასაც საქართველო თავის მხრივ დაადასტურებდა. ხოლო თუ აფხაზეთი სხვა ერებთან და სახელმწიფოებთან პოლიტიკური კავშირის შეკვრას მოისურვებდა, მოვალე იყო, წინასწარ ეცნობებინა საქართველოსთვის, და პირიქით.²

საინტერესოა ერთი ასპექტი: ნაციონალურ-პოლიტიკურ თვითგამორკვევას ამ პერიოდის აფხაზეთში აფერხებდა კლასობრივ საფუძველზე ფრაგმენტირებული პოლიტიკური ჯგუფების არსებობა:

„შემძლე მემამულეთა კლასი აშკარად ემხრობა თურქულ ორიენტაციას, მოელის თურქეთისაგან თავისი დაკარგული უფლებების აღდგენას, არის მცირეოდენი ბოლშევიკური ორიენტაციის მიმდინარეობაც, მოსახლეობის ნაწილი სიმპათიითაა განწყობილი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა მიმართ. ყველა ამ მიმდინარეობასთან საბრძოლველად აფხაზეთის სახალხო საბჭო მოელის დახმარებას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან და იმედოვნებს, რომ ქართული წითელი გვარდია არ იქნება გაყვანილი აფხაზეთის ფარგლებიდან და დაეხმარება აფხაზეთის ადმინისტრაციას და ახლად შექმნილ ინტერნაციონალურ რაზმს მის ბრძოლაში ამ ელემენტებთან.“³

¹ კავკასიის მთიელთა კავშირის დროებითი მთავრობის დეკრეტი № 1, 4 დეკემბერი 1917 წელი, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). იქვე, გვ. 15-16.

² ამონაწერი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ოქმიდან №30, 9 თებერვალი, 1918 წელი. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). იქვე, გვ. 16-17.

³ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ყურნალი, 1918 წლის 6 ივნისი, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). იქვე, გვ. 21-22.

ამავე პერიოდში, აფხაზები აქტიურად ჩაერთნენ მუჰაჯირების საკითხის განხილვაში და თავისი მოსაზრება გამოთქვეს თავიანთ თანამოძმეებთან მიმართებით ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრაში. ამ მიზნით,

„აფხაზთა სახალხო საბჭოს 28 ივლისის დადგენილების საფუძველზე, რწმუნებები ენიჭებათ საბჭოს წევრებს გიორგი დავითის ძე თუმანოვს და სიმონ პეტრეს ძე ბასარიას, რათა როგორც მრჩეველნი, შევიდნენ საქართველოს დიპლომატიურ მისიაში კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე, მისიის მუშაობაში მონაწილეობისა და იმ საკითხთა გარკვევისათვის, რომლებიც უკავშირდება თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ გადასახლებულ აფხაზთა სამშობლოში დაბრუნებას.“¹

ეთნიკურ უმცირესობებს, როგორც აფხაზებს, ასევე ოსებს კონსტიტუციურად გარანტირებული ჰქონდათ მშობლიური ენის დაცვა-შენარჩუნება. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული, თუმცა ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება სხვადასხვა დაწესებულებაში ცალკე კანონით განისაზღვრა. აღინიშნა, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა წარმართულიყო ქართულ ენაზე, თუმცა, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცოდა, შეეძლო სიტყვა წარმოეთქვა დედაენაზე.² ამავე დროს, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, რომელმაც ქართული ენა არ იცოდნენ, შეეძლოთ სიტყვა წარმოეთქვათ, გარდა თავისი დედაენისა, უმცირესობათა ენით, რომელიც პრეზიდენტის ერთმა წევრმა მაინც იცოდა. უმცირესობის ენაზე წარმოთქმული სიტყვის დედააზრი გადმოცემული უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე, თუ ამას 15 დეპუტატზე არანაკლები მოითხოვდა. თუმცა, ქართული ენიდან სხვა ენაზე სიტყვა არ გადაითარგმნებოდა, ისევე როგორც

¹ ამონაწერი აფხაზთა სახალხო საბჭოს სხდომის ოქმიდან, 1918 წლის 28 ივლისი, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 27.

² კანონი საქართველოს სახელმწიფო ენისა, 1918 წლის 1 ოქტომბერი, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 34.

ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლის მიერ წარმოთქმული სიტყვა სხვა უმცირესობის ენაზე არ გადაითარგმნებოდა.¹ რუსული ენა არ გამოდგებოდა უნივერსალურ ენად, რადგანაც „რუსული ენა უპირველეს ყოვლისა იცოდნენ რუსებმა, და შემდეგ სომეხთა და თათართა მცირე ჯგუფებმა, ე.ი. ინტელიგენციამ. ორივე ეროვნების ფართო მასა კი მაინც მოკლებული იქნებოდა საშუალებას, წაეკითხა და გაეგო კანონი.

ამგვარად, ოფიციალური დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ პერიოდში უკვე იკვეთება აფხაზური იდენტობის განმამტკიცებელი პოლიტიკური ნარატივი, რომლის მიზანია, სამომავლოდ საფუძველი შეუქმნას აფხაზი ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. აფხაზეთში არსებობდა ორი ხედვა აფხაზების მომავლის თაობაზე — ერთი მხრივ, ეს არის თვითიდენტიფიკაცია ქართულ კულტურულ სივრცესთან, ხოლო, მეორე მხრივ, ჩანს მისწრაფება რუსული კულტურული სივრცისკენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველთა და აფხაზთა შორის დაპირისპირება ლიტერატურაში არცთუ იშვიათად აიხსნება მათი „საუკუნოვანი“ მტრობით. მაგრამ ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი მასალები ადასტურებს ს. ჯონსის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ეს პრიმორდიალისტური შეხედულება მეტისმეტად მარტივად წარმოადგენს რეალობას; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების რეპრესიულ ზომებს აჯანყებული ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ ნაკლებად ჰქონდა ეთნიკური განზომილება: ეკონომიკური სირთულეების, სამოქალაქო ომის, ბოლშევიკთა შემოჭრისა და სხვა საგარეო პრობლემების წინაშე მდგარ ქვეყანაში ეს – ხშირად გაუმართლებელი და შემდგომში ბოლშევიკების მიერ წარმატებით გამოყენებული – ზომები უფრო მეტად ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებით იყო ნაკარნახევი.²

¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დამატება წესი ენის ხმარებისა, 1918 წ. 15 ოქტომბერი, *აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988)*, გვ. 35.

² Jones, Stephen. Georgia: Nationalism from under the Rubble, p. 250-254.

დასკვნა

ჩვენ მიერ მოძიებული საგაზეთო პუბლიკაციების დამუშავებამ და გაანალიზებამ საქართველოში იდენტობის ფორმირების საინტერესო სურათი დახატა. ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ იდენტობის მშენებელ ნარატივებში თავს იჩენს როგორც აშკარა წინააღმდეგობანი, ასევე ერთმანეთის პოზიტიური მხარეების აღნიშვნა და საკუთარი ჯგუფის სამომავლო განვითარებისათვის მათი გამოყენების სურვილი. ეთნოსთაშორისი ურთიერთობის ეს ასპექტი განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან დადებით თუ უარყოფით კონტექსტში განსხვავებულ ჯგუფთა ურთიერთმედარება ხელს უწყობს ეთნიკურ დონეზე ჩვენ ჯგუფის კონსოლიდაციას.

ანალიზმა აჩვენა, რომ ამ პერიოდში ქართველთათვის ყველაზე მნიშვნელოვან სხვა ჯგუფს, რომელთან პირისპირ ხდებოდა თვითგანსაზღვრა, სომხები წარმოადგენდნენ. ქართველი და სომეხი ერთობები მკაფიოდ გამიჯნული და ურთიერთდაპირისპირებული სხვადასხვა ჯგუფებია. მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, ვინ მოიაზრება ჩვენ ჯგუფს შიგნით და ვინ – მის მიღმა, რატომ ხდება დაპირისპირება და რა არის წინააღმდეგობის საფუძველი. ინტელექტუალთა ნააზრევში, რომელსაც პრესის საშუალებით ეცნობა მკითხველი, იკვეთება წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება: სომეხი და ქართველი – ერთმანეთის „მოძმე“ და, იმავე დროს – „მეტოქე“. ქართველთა და სომეხთა ძმობის მიზეზებზე ავტორები ნაკლებს საუბრობენ, რაც შეეხება მეტოქეობის საფუძვლებს, ის მკაფიოდ და დანვრილებით არის განხილული.

რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, ეთნიკური სომხებისგან განსხვავებით, ისინი არ გამოირჩეოდნენ ეთნიკური მობილიზაციის ხარისხით და პოლიტიკურ-ეკონომიკური აქტიურობით. აზერბაიჯანელები („თათრები“), მართალია, აღიქმებოდნენ სხვა ჯგუფად, მაგრამ, სომხებისაგან განსხვავებით, არა იმ ერთობად, რომელიც შეძლებდა, გამოწვევა გაეგზავნა ჩვენ ჯგუფის — ქართველებისათვის.

ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფი, რომელთან მიმართებაში ხდებოდა ქართველთა თვითიდენტიფიკაცია, იყვნენ ოსები. ისინი არ წარმოადგენდნენ ძალას, რომელთანაც ქართველთა ჩვენ ჯგუფს რაიმე სახის კონფრონტაცია ექნებოდა. ოსი მოაზროვნეები ეთნიკურ კონსოლიდაციაზე ზრუნვას 1900-იანი წლებიდან იწყებენ. ამ პერიოდში

საქართველოში მცხოვრები ოსების კულტურული იდენტობა მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის. ქართულ-ოსური ურთიერთობის ამსახველი ნარატივი, ძირითადად, სწორედ კულტურული განსხვავებულობის ხაზგასმაზეა ორიენტირებული. მართალია, არა დიდი სიმძაფრითა და სიხშირით, მაგრამ მაინც გვხვდება სტატიები, სადაც საუბარია ოსებზე, როგორც „ხიზნებზე.“ საგულისხმოა, რომ ოსები, 1900-იანი წლებიდან, ნაციონალური კულტურის კერის გაღვივებას სწორედ საქართველოში იწყებენ. როგორც თავად აღნიშნავენ, თბილისში, ვლადიკავკაზისგან განსხვავებით, უფრო ხელსაყრელი გარემო იყო ოსებისათვის, რათა მშობლიური ენისა თუ კულტურის შენარჩუნება-განვითარებისთვის ეზრუნათ. ოსი ინტელექტუალების მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები პირველად თბილისში გამომავალ ოსურ გაზეთებში დაიბეჭდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მცხოვრები ოსების უმრავლესობამ, მითუმეტეს ახალგაზრდა თაობამ, როგორც ამას გაზეთები ადასტურებენ, მშობლიურ ენასავით იცის ქართული, რაც მიუთითებს ქართულ საზოგადოებაში ოსთა ინტეგრაციის მაღალ ხარისხზე.

ოსებისგან განსხვავებით, ძნელია ვისაუბროთ ამ პერიოდში აფხაზის, როგორც ცალსახად სხვა ჯგუფის არსებობაზე. აფხაზები მე-20 საუკუნის დასაწყისის ჩათვლით ქართული კულტურული სივრცის ნაწილად მოიაზრებოდნენ. ინფორმაციის დიდი ნაწილი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქართულ პრესაში აფხაზებზე გვხვდება, ძირითადად, შორეულ ისტორიას ან ყოველდღიური ყოფაცხოვრების და ადგილობრივი ტრადიციების აღწერას ეძღვნება. აქ მცირეა უშუალოდ იდენტობის მშენებელი ტექსტები. არ იგრძნობა სწრაფვა აფხაზების, როგორც ქართველთა მიღმა მდგარი ჯგუფის კონსტრუირებისკენ. საგაზეთო პუბლიკაციების მიხედვით, აფხაზი ცალსახად არც ჩვენ ჯგუფის წევრად აღიქმება და არც მკაფიოდ გამიჯნული სხვაა. 1910-იანი წლების ბოლოდან იდენტობის მშენებელ ნარატივებად განვიხილავთ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებიც ქმნიან იდენტობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლის პოლიტიკურ ჩარჩოს. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ეთნიკურ აფხაზებში ამ დროისათვის უკვე გამოკვეთილია ორი პოზიცია — პროქართული და პრორუსული. ქართველი ინტელექტუალები ცდილობენ, აფხაზთა გაუცხოება მესამე ძალას დააბრალონ.

საგაზეთო პუბლიკაციების ანალიზმა ნათლად დაგვანახა, რომ მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ქართველთა თვითიდენტიფიკაცია და მრავალეთნიკური ქართველი ერის მშენებლობა რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი იყო, რომელსაც ბევრი საერთო ჰქონდა სხვა მრავალეთნიკურ საზოგადოებებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებთან.

ბიბლიოგრაფია

წყაროები

ა) გაზეთები

- „დროება“, 1870, № 14, № 26
- „დროება“, 1872, № 2.
- „დროება“, 1875, № 7, № 8, № 13.
- „დროება“, 1876, № 17.
- „ივერია“, 1880, № 349.
- „ივერია“, 1881, № 150,
- „ივერია“, 1886, № 260.
- „ივერია“, 1888, № 46, № 198.
- „ივერია“, 1889, № 114.
- „ივერია“, 1892, № 46, № 86, № 87.
- „ივერია“, 1900, № 160, № 261.
- „ივერია“, 1901, № 188.
- „ივერია“, 1903, № 2, № 3, № 9, № 33, № 37, № 38, № 91, №124, №131, №252.
- „ივერია“, 1905, № 11, № 17, № 21.
- „ივერია“, 1909, № 9.
- „კვალი“, 1893, № 2, № 51.
- „კვალი“, 1894, № 27.
- „კვალი“, 1896, № 33, № 48.
- „კვალი“, 1897, № 9, № 37, № 46.
- „კვალი“, 1900, № 28, № 22.
- „კვალი“, 1901, № 8.
- „კვალი“, 1904, № 1.
- „მშაკი“, 1872, № 1.

- „მშაკი“, 1874, № 1, № 3.
 „მშაკი“, 1875, № 20.
 „მშაკი“, 1876, № 37.
 „მშაკი“, 1877, № 7, № 28, № 44.
 „მშაკი“, 1879, № 54, № 58.
 „მშაკი“, 1880, № 167.
 „მშაკი“, 1881, № 68.
 „მშაკი“, 1882, № 107.
 „მშაკი“, 1883, № 141, № 144.
 „მშაკი“, 1891, № 58, № 110, № 111, № 127.
 „მშაკი“, 1894, № 8, № 98, № 114.
 „მშაკი“, 1902, № 109, № 131, № 259.
 „მშაკი“, 1905, № 42, № 83.
 „მშაკი“, 1910, № 47.
 „ნოგ ცარდ“, 1906, № 4.
 „სახალხო ფურცელი,“ 1916, № 628.
 „სახალხო ფურცელი,“ 1916, № 630.
 „სახალხო ფურცელი,“ 1916, № 635.
 „სახალხო ფურცელი,“ 1916, № 640.
 „სახალხო ფურცელი,“ 1916, № 647.

ბ) ოფიციალური დოკუმენტები

ამონაწერი აფხაზთა სახალხო საბჭოს სხდომის ოქმიდან, 1918 წლის 28 ივლისი. *აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. ავტორი და რედაქტორი თამაზ დიასამიძე. თბილისი, 2004.*

ამონაწერი საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომის ჟურნალიდან, 1920 წლის 23 ივნისი. *აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. ავტორი და რედაქტორი თამაზ დიასამიძე. თბილისი, 2004.*

ამონაწერი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ოქმიდან № 30, 9 თებერვალი, 1918 წელი. *აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-*

სამართლებრივი აქტების კრებული. ავტორი და რედაქტორი თამაზ დიასამიძე. თბილისი, 2004.

აფხაზი ხალხის ყრილობაზე მიღებული დეკლარაცია. 8 ნოემბერი 1917 წელი. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. ავტორი და რედაქტორი თამაზ დიასამიძე. თბილისი, 2004.

კავკასიის მთიელთა კავშირის დროებითი მთავრობის დეკრეტი №1,4 დეკემბერი 1917 წელი. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. ავტორი და რედაქტორი თამაზ დიასამიძე. თბილისი, 2004.

კანონი საქართველოს სახელმწიფო ენისა, 1918 წლის 1 ოქტომბერი. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. ავტორი და რედაქტორი თამაზ დიასამიძე. თბილისი, 2004.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. ავტორი და რედაქტორი თამაზ დიასამიძე. თბილისი, 2004.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ჟურნალი, 1918 წლის 6 ივნისი. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. ავტორი და რედაქტორი თამაზ დიასამიძე. თბილისი, 2004.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დამატება წესი ენის ხმარებისა, 1918 წ. 15 ოქტომბერი. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. ავტორი და რედაქტორი თამაზ დიასამიძე. თბილისი, 2004.

გ) სამეცნიერო ლიტერატურა

ანდერსონი, ბენედიქტ. *წარმოსახვითი საზოგადოებები, გამომცემლობა „ენა და კულტურა,“* თბილისი, 2003.

გელენავა, ირაკლი. *აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან. 1917-1921 წლები.* თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.

საქართველოს ისტორია, ოთხ ტომად, რედ. მაყვალა ნათმელაძე, ტ. 4, თბილისი, 2012.

სონლულაშვილი, ავთანდილ. *ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში.* თბილისი, მეცნიერება, 2002.

ჩხარტიშვილი, მარიამ. „ქართული იდენტობის მთავარი მარკერი“. *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე.* თბილისი, 2005.

ჭავჭავაძე ილია. „ქვათა ღალადი“. *რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად.* ტ. 5, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1987.

ჭავჭავაძე ილია. ტფილისში სომხობამ ხელთ იგდო ქალაქის თვითმმართველობა. *თხზულებანი*, ტ. XIII. ილია ფონდი, თბილისი, 2007, გვ. 300-307.

ჯანელიძე, ოთარ. *სამხრეთ ოსეთის კონფლიქტური ზონა (ისტორია და თანამედროვეობა)*, თბილისი, 2007.

ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917.* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2007.

Gleason, Gregory. *Federalism and Nationalism – The Struggle for Republican Rights in the USSR.* Westview Press, Boulder, San Francisco&London, 1990.

თავი 4

ეპრაული იდენტობის ნარატივი

ამ თავში განხილულია საქართველოში ებრაელთა იდენტობის ფორმირების საწყისი ეტაპი (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი – მე-20 საუკუნის პირველი ორი ათწლეული), ამ პროცესის დინამიკა და ძირითადი თავისებურებები; გამოკვეთილია ორი – ქართული და ებრაული – ხედვა იმისა, თუ როგორი იყო ებრაული თემის (თვით) აღქმა, როგორ განისაზღვრებოდა მისი ადგილი და სამომავლო პერსპექტივა ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ საერთო ქართულ კულტურულ სივრცეში.

იდენტობის ფორმირება, თავისთავად, რთული პროცესია. საქართველოში საკითხის პრობლემურობას განაპირობებდა როგორც საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური სიჭრელე, ასევე თავად ქართველთა ეთნიკური ჯგუფის რელიგიური არაერთგვაროვნება. ქართული იდენტობის განსაზღვრა გულისხმობდა, ერთი მხრივ, ქართველთა ერთობის გამოკვეთას, მეორე მხრივ კი ამ ერთობის სხვა ეთნიკურ/რელიგიურ ერთობებთან მიმართების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, წინ წამოიწია არა მხოლოდ ქართველთა, არამედ საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების იდენტობის განსაზღვრის საკითხმაც. სწორედ ამ კონტექსტში გახდა აქტუალური საქართველოში მცხოვრები ქართულენოვანი ებრაელების იდენტობის, ქართულ იდენტობასთან მისი მიმართების საკითხი.

4.1. საკითხის შესწავლის მდგომარეობა

საქართველოში ებრაელთა შესახებ გამოცემულ ლიტერატურას მე-20 საუკუნის დასაწყისიდან შეიძლება მივადევნოთ თვალი. ეს ტექსტები, ალბათ, უნდა განვიხილოთ როგორც ებრაული იდენტობის ნარატივის შემადგენელი ნაწილი და გავიაზროთ ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ტექსტებთან ერთად, ქართველ ებრაელთა იდენტობისა და მათდამი მიმართების ფორმირების კონტექსტში (მაგალითად,

კირიონ II, იუდეველები ძველ ივერიაში, თბილისი, 1901; ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველი ურიანი საქართველოში, თბილისი, 1904 და სხვ.). ამ პერიოდში შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები უმთავრესად ისტორიული გამოკვლევებია და დაკავშირებულია ებრაელთა ისტორიის ძველ პერიოდთან (მაგალითად, ალექსანდრე წერეთელი, ებრაელების ძველი ისტორია თბილისი, 1935), მაგრამ ისინი ნაკლებად ეხება ებრაულ იდენტობასა და საქართველოში ებრაელთა ისტორიას.

1940-იანი წლებიდან ებრაელთა ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ებრაული ენის კვლევა უფრო სისტემურ ხასიათს იძენს. სწორედ ამ პერიოდში გამოიცა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების სამი ტომი (1941, 1943, 1945 წლებში). პუბლიკაციები, ძირითადად, ეძღვნებოდა ებრაელთა ისტორიასა და ეთნოგრაფიას. იგივე თემები შუქდებოდა სხვადასხვა გამოცემებში (მაგალითად: როზა თავდიდიშვილი, ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან. საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების შრომები, თბილისი, 1940; არონ კრიხელი, ქართველ ებრაელთა კვლევა, „საბჭოთა ეთნოგრაფია“, 1940, N 3 (რუსულ ენაზე)). 1940-იან წლებში დაიწყო ძველი ებრაული ისტორიისა და ენის კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გიორგი წერეთლის ინიციატივით დაარსებულ სემიტოლოგიის კათედრაზე. შემდგომ ათწლეულებში საქართველოში ებრაელთა კულტურისა და ისტორიის კვლევა ნაკლებად მიმდინარეობდა. ნაშრომები, ძირითადად, ლინგვისტიკის სფეროს მოიცავდა და ეხებოდა არამეულ, ძველებრაულ ენებსა და ამ ენებზე შესრულებულ, საქართველოში აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ წარწერებს.

1960-1970-იანი წლებიდან პერიოდული გამოცემების ზოგიერთი პუბლიკაცია ხაზს უსვამდა ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობას და აშუქებდა კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებს საქართველოს ებრაელთა ისტორიიდან (აბონ ციციაშვილის ნაშრომები: „ხალხთა მეგობრობის ნათელი ფურცლები: ქართველ ებრაელთა ცხოვრებიდან 1921-1928 წლებში“. „ქუთაისი“, 1968, 17 მაისი; „მას საბჭოეთი ჰქვია: საქართველოში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა შესახებ“. „სამშობლო“, თბილისი, 1970, 9 ოქტომბერი; სიონიზმი და საბჭოთა სინამდვილე. თბილისი, 1972). ორი ხალხის მეგობრობა კარგად იყო მორგებული „ხალხთა მეგობრობისა და ძმობის“ საბჭოთა იდეას (ილია გაგულაშვილი,

საქართველოში ინტერნაციონალური აღზრდის ზოგიერთი საკითხის სწავლებისათვის: ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრული ურთიერთობის მაგალითზე. თბილისი, 1987).

ქართველ ებრაელთა თემატიკა განსაკუთრებულად პოპულარული გახდა პოსტსაბჭოთა პერიოდში. ნაშრომთა უდიდესი ნაწილი ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობის იდეით იყო გამსჭვალული. გამოიცა ასევე ისტორიული და ეთნოგრაფიული ნაშრომები (რ.მეტრეველი, ებრაელები საქართველოში, თბილისი, 2003; ე. მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია (ანტიკური და ფეოდალიზმის ხანა). თბილისი, 1995; თ. იველაშვილი, გვიხმობს მამული მამა-პაპათა. თბილისი, 1995; ც. მესხიშვილი, ქართველ ებრაელთა დასახლების ფორმები ახალციხეში. თბილისი, 1997; მ. ლორია, საქართველოს შავიზღვისპირეთის ებრაელები. ბათუმი, 2009). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომები, რომლებიც ებრაელი საზოგადო მოღვაწეების, ძირითადად, დავით ბააზოვისა და მისი თანამოაზრეების პუბლიცისტურ მოღვაწეობასა და ქართულ მწერლობაში ასახულ ებრაულ თემას ეძღვნება (მეფისაშვილი, გივი. საქართველოში მოღვაწე ებრაელები. ქუთაისი, 1994; გელაშვილი, თორნიკე დავით ბააზოვი – ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის სიმბოლო. თბილისი, 1998; ნიკოლეიშვილი, ავთანდილ, ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან, ქუთაისი, 2003; ნიკოლეიშვილი, ავთანდილ. ებრაული თემა ქართულ მწერლობაში. ქუთაისი, 2008; ციციანიშვილი, აბონ. ებრაელები და საქართველო: 2600 წელი ერთად. თბილისი, 2003; ვადაჭკორია, შოთა. ებრაელთა საკითხი და ქართული სინამდვილე (1921-1940). თბილისი, 2005).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შალვა წინუაშვილის ნაშრომები, რომლებიც ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ებრაულ თემატიკაზე არსებულ ლიტერატურაში. შ. წინუაშვილი, ფაქტობრივად, ერთადერთია, ვინც აანალიზებს ანტისემიტიზმის შემთხვევებს მე-19 საუკუნის საქართველოში („ალილათ დამ - სისხლის შარი“ ცილისწამებაა. თბილისი, 2001; ანტისემიტიზმი და ქართული საზოგადოებრიობა. თბილისი, 2001). თუმცა ანტისემიტური განწყობების ასახსნელად ავტორი მაინც რჩება 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნარატივის ფარგლებში: ანტისემიტიზმი წარმოდგენილია არა როგორც იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი

ეკონომიკური და სოციალური პროცესების კანონზომიერი შედეგი, არამედ როგორც ქართული რეალობისათვის არაბუნებრივი, ხელოვნურად დამკვიდრებული ფენომენი.

განსაკუთრებით საინტერესო შ. წინუაშვილის უახლესი ნაშრომი „ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან (1915-1926 წწ.)“ (დ. ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომები, ტ. 9, თბილისი, 2014). ავტორი ეხება ებრაული იდენტობის ფორმირების უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს და აანალიზებს მიმდინარე დისკუსიას ქართველ ებრაელთა თვითიდენტიფიკაციისა და ქართულ ერთობასთან მისი მიმართების შესახებ. ამასთან ერთად, ნაშრომს დანართის სახით ახლავს დ. ბააზოვისა და მ. ხანანაშვილის პოლემიკის ამსახველი ტექსტები, რაც მას კიდევ უფრო ღირებულს ხდის.

ცალკე უნდა აღინიშნოს დანიელ ხანანაშვილის მიერ შედგენილი ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც საქართველოს გასაბჭოებამდე გამოცემული ქართული და რუსული პერიოდიული გამოცემების მიხედვით არის შედგენილი (ებრაელობა. ქართულ-ებრაული ურთიერთობანი. დანიელ ხანანაშვილის არქივში დაცული საქართველოს გასაბჭოებამდე გამოცემული ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთების მიხედვით. ანოტირებული ბიბლიოგრაფია. გამოსაცემად მოამზადეს შალვა წინუაშვილმა და გერშონ ბენ-ორენმა. დ. ბააზოვის საქართველოს ებრაელთა მუზეუმის შრომები. ტ. 8, თბილისი, 2012). გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ეს ფასდაუდებელი მნიშვნელობის ნაშრომია ამ პერიოდის საქართველოში ებრაული პრობლემატიკის კვლევისათვის.

საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოცემულ სამეცნიერო პუბლიკაციებში ქართველ ებრაელთა საკითხი ნაკლებად არის განხილული. მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი შეიძლება დასახელდეს რუსეთისა და საბჭოთა ებრაელებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში. მაგალითად, ცვი გიტელმანის წიგნი „*A Century of Ambivalence. The Jews of Russia and the Soviet Union, 1881 to the present*“, YIVO Institute for Jewish research, 1988 მხოლოდ მცირე თავის ერთ-ერთი ქვეთავი ეძღვნება ქართველ ებრაელებს (გვ. 297-304), სადაც მოკლედ მოცემული ცნობები ქართველი ებრაელების შესახებ, ისიც, ძირითადად საბჭოთა ეპოქას ეხება და არ აშუქებს ჩვენთვის საინტერესო პერიოდს.

კვლევის ემპირიული საფუძველი. ნაშრომში იდენტობის კვლევების კუთხით გაანალიზებულია ტექსტები, რომლებიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის (10-20-იანი წლები) ქართულენოვან პრესაში სხვადასხვა რუბრიკით გამოქვეყნდა და საქართველოში ებრაელთა იმ პერიოდის ცხოვრებას აშუქებდა. გაზეთი საინტერესო წყაროა იმდენად, რამდენადაც მრავალფეროვან თემატიკას მოიცავს. იგი გამოხატავს არა მხოლოდ მის სათავეში მყოფ ინტელექტუალთა იდეებსა და პოზიციას, არამედ დეტალურად აშუქებს მიმდინარე პროცესებს, ასახავს იმ პერიოდის საზოგადოებრივ აზრსა და ტენდენციებს. როგორც წესი, სამეცნიერო კვლევებში ყურადღება მახვილდება ინტელექტუალური ელიტის მიერ შემოთავაზებულ ხედვაზე, რის შედეგად რჩება შთაბეჭდილება, რომ სწორედ ეს თვალსაზრისი წარმოადგენდა დომინირებულ პერსპექტივას¹. ამ დროს კი მხედველობის მიღმა რჩება იმ პერიოდის წინააღმდეგობრივი და არაერთგვაროვანი სააზროვნო კონტექსტი.

შერჩეული ტექსტები განეკუთვნება 1860-იან წლებსა და შემდგომ პერიოდს. ეს განპირობებულია რამდენიმე მიზეზით. პირველ რიგში, ამ პერიოდიდან აქტიურად იწყება მრავალფეროვანი ქართულენოვანი გაზეთების გამოცემა. თავად ეს ფაქტი დაკავშირებული იყო ქართული ნაციონალური იდენტობის ფორმირების საწყის ეტაპთან, რომელიც კიდევ უფრო აქტიური გახდა შემდგომ ათწლეულებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის სოციალური ცვლილებები, პირველ რიგში, ბატონყმობის გაუქმება 1860-იან წლებში, რამაც დასაბამი მისცა ახალ სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებსა და ახალი იდენტობების ჩამოყალიბებას. ეს პროცესი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეთნიკური და რელიგიური იდენტობების გამძაფრებასთან, ახალი მახასიათებლებით მათ აღჭურვასა და ამ იდენტობებს შორის ახალი მიმართებების ჩამოყალიბებასთან.

ქართველ ებრაელთა იდენტობის მშენებელი ტექსტების რაოდენობა გაცილებით დიდია, ვიდრე ქვემოთ გაანალიზებული პუბლიკაციები. ნაშრომისათვის შევარჩიეთ მხოლოდ ისინი, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველაზე მკაფიოდ ასახავს ქართველ ებრაელთა იდენტობის ფორმირების პროცესს.

¹ თუმცა უდავოა, რომ სწორედ ინტელექტუალებს – მწერლებს, ისტორიკოსებს, პუბლიცისტებს – ეკუთვნის მთავარი როლი ნაციონალური იდენტობის ფორმირებაში.

4.2. ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნარატივი

ქართველებსა და ქართველ ებრაელთა შორის მყარად არის დამკვიდრებული ამ ორი ხალხის მშვიდობიანი თანაცხოვრების, საუკუნოვანი, მყარი და შეუბღალავი (ან, უკიდურეს შემთხვევაში, უცხო ძალების – რუსეთის იმპერიის და საბჭოთა იდეოლოგიის – პროვოცირებით შებღალული) მეგობრობის იდეა. მას შეიძლება ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნარატივი ან, მოკლედ, მეგობრობის ნარატივი ვუწოდოთ. საგანგებო კვლევის გარეშეც ნათელია, რომ ეს იდეა დომინირებს, პრაქტიკულად, ყველა სფეროში, დაწყებული ოფიციალური პოლიტიკური რიტორიკიდან, დასრულებული ტრადიციული სუფრის სადღეგრძელოთი. აღნიშნული ნარატივი მსჭვალავს აკადემიურ სფეროსაც: ებრაული პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ნაშრომების დიდი ნაწილი ხაზს უსვამს ამ მეგობრობას ან გვერდს უვლის იმას, რაც საწინააღმდეგოს დაადასტურებდა. ისტორიული ფაქტების, საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიებისა და სხვადასხვა სახის ტექსტის ინტერპრეტირება, უმთავრესად, მეგობრობის ნარატივის ფარგლებში ხდება. ეს ბუნებრივია, რადგან ნარატივი ძალიან მკაცრ და მკაფიო ჩარჩოს საზღვრავს ისტორიის აღწერისა და ინტერპრეტაციისათვის; ეს არის ერთგვარი არაოფიციალური ცენზურა, რომლის დარღვევაც, სულ მცირე, არაკორექტულობად შეიძლება შეფასდეს. სავარაუდოდ, ზუსტად ამით არის გამონწეული ის, რომ შრომების უდიდესი ნაწილი მე-19 საუკუნის პრესიდან მეგობრობის და თანადგომის ამსახველ პუბლიკაციებს უთმობს ყურადღებას და არა იმ ფაქტების ამსახველ ტექსტებს, რომლებიც ანტისემიტიზმის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ტექსტები, რომლებიც ამ ნარატივში არ თავსდება, უმეტეს შემთხვევაში, მარგინალიზებული და იგნორირებულია.¹

¹ ამ მხრივ, როგორც აღინიშნა, გამონაკლის ნარმოადგენს შალვა წინუაშვილის ნაშრომები „ალილათ დამ - სისხლის შარი“ ცილისწამება“. თბილისი, 2001; „ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან (1915-1926 წწ.)“. დ. ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომები, ტ. 9, ქართული აკადემიური წიგნი, თბილისი, 2014.

მეგობრობის ნარატივი რამდენიმე აუცილებელ კომპონენტს შეიცავს, რომელთაგან თითოეული ხაზს უსვამს როგორც ამ ორი ერის, ასევე მათი თანაცხოვრების ისტორიის უნიკალურობას:

- ტოლერანტობა, როგორც ქართველი ხალხის საუკუნოვანი ტრადიცია, მისი ერთ-ერთი უნიკალური მახასიათებელი;

- ქართველთა გამორჩეულმა ტოლერანტობამ შესაძლებელი გახადა საქართველოში შემოხიზნული ებრაელების სრულუფლებიანი და უსაფრთხო, დევნისა და შევიწროების გარეშე ცხოვრება საუკუნეთა მანძილზე, რაც უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში;

- ქართველთა განსაკუთრებული დამოკიდებულება ებრაელების მიმართ;

- ებრაელი ღვთის რჩეული ერის უნიკალური მადლიერების განცდა ქართველი ერისადმი (საქართველომ ბევრი სხვა ეთნოსიც შეიფარა, მაგრამ არც ერთი არის ქართველთა ისეთი ერთგული და მადლიერი მისი სტუმართმოყვარეობის გამო, როგორც ებრაელები); საქართველო – ებრაელთა მეორე სამშობლო;

- ორი რჩეული ერის უნიკალური მეგობრობა.

ნარატივის ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების საფუძვლები როგორც ქართველების, ასევე ქართველი ებრაელების იდენტობის ფორმირების ეტაპზე (მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის დასაწყისი) ჩამოყალიბდა და ერთგვარ ესენციალისტურ მახასიათებლებად იქცა. ნარატივი განსაკუთრებით გაძლიერდა 1970-იანი წლების ალიას შემდეგ და პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც საქართველოში ისევ აქტუალურ პრობლემად იქცა ნაციონალური/ეთნიკური/რელიგიური იდენტობის განსაზღვრის საკითხი. როგორც ზოგადად დამახასიათებელია ტრანზიციული პერიოდებისათვის, პოსტ-საბჭოთა საქართველოშიც დამკვიდრდა იდენტობის ესენციალისტური ხედვა, რომლის თანახმად, ჯგუფის მახასიათებლები მყარია და დროში უცვლელი. იდენტობის ასეთ ხედვას იდეალურად მიესადაგება 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნარატივი, რომლის დებულებები არ ითვალისწინებს დროში დინამიკასა და ცვალებადობას.

საქართველოში ებრაელთა იდენტობის ფორმირების კვლევა, გარკვეულწილად, თავად მეგობრობის ნარატივის ფორმირების კვლევაცაა. იგი საჭიროებს შესასწავლი პერიოდის ტენდენციების სრულ ასახვას, ყველა იმ ტექსტის ანალიზს, რომელიც წარმოაჩენს

როგორც იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ ანტისემიტურ განწყობებს, ცრურწმენებსა და სტერეოტიპებს, ასევე პუბლიკაციებს, სადაც ხაზგასმულია ებრაელთა სამოქალაქო ინტეგრაციისა და მათი უფლებრივი მდგომარეობის გამოსწორების აუცილებლობა. აღნიშნული საყურადღებოა, ერთი მხრივ, ებრაული თემის ისტორიისა და მისი იდენტობის, მეორე მხრივ კი ქართული იდენტობისა და ნაციონალური პროექტის ფორმირების კვლევისათვის.

იმისათვის, რომ უფრო ცხადი გახდეს, რა იგულისხმება ზემოთქმულში, მაგალითის სახით ორ შემთხვევას შემოგთავაზებთ. სხვადასხვა პუბლიკაციიდან მკითხველისათვის, შეიძლება, ცნობილი იყოს ამონარიდები ანტონ ფურცელაძის სტატიიდან, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ

„ერთ-ერთი უკეთესი ღირსებათაგანი ქართველი ტომისა იყო გატანა და თანასწორული შეწყნარება ყოველი რიგის ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელნიც-კი შემოჰხიზნიან საქართველოს... თუ დღეს საქართველოს ერი კიდევ არსებობს... მიზეზი იყო ეს ძვირფასი ხასიათი ქართველობისა – შეწყნარება და შეთვისება უცხო მორწმუნეთა და ეროვნებათა... ქართველ კაცს ამითი, ამ ნაციონალური მაღალის თვისებით მოსწონდა თავი წინაშე მთელი ევროპისა, მთელი კაცობრიობისა. იმ დროს, როდესაც საყოველთაო გახდა თითქმის მთელს ევროპაში დევნა ნაციათა და მედატრე ისრაელთა, ჩვენ თავმომწონედ შევყურებდით ჩვენს ხალხს, რომელიც სრულიად არ გასდევდა ამ საზოგადო ფეხის ხმას და ისევ ძველებურად, ძმურად, ამხანაგურად შესცქეროდა მასთან შემოხიზნულ ხალხთ და მათ შორის ებრაელთაც“...

რომლებიც

„...სარწმუნოებაში გახდა მოძღვარი მთელი დაწინაურებული კაცობრიობისა; რომელმაც ასწავლა კაცობრიობას ერთღმერთობა, მოსცა საღმრთო სათნოების კანონები, მოსცა მოსე, სოლომონ ბრძენი, ისო სირაქი, ივდიითი, ბარუხი, ერემია...“¹

მაგრამ, ვერსად ნახავთ ციტირებულს² იმ მონაკვეთს, რომელიც სტატიის ამ ორ პასაჟს აერთიანებს:

¹ ფურცელაძე, ანტონ. „ივერია“, 1895, № 246, გვ. 1.

² ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ცნობილ პუბლიკაციებში.

„ქუთაისის ქართველობამ, ... ქუთაისის ქართველმა მოსწავლე ახალგაზრდობამ (თუ ეს დასაჯერებელია!) შებლალეს ის ტრადიციული სინმიდე, ძველად მამა-პაპათაგან დაცული და შვილითი-შვილად შენახულ გადმოცემული ანდერძი... იჩინეს სიმძულვარე იმ ხალხისა, რომელიც ქართველი ერისაგან განირჩევა მხოლოდ თავისის სარწმუნოებით... იმერისა, რომელიც სარწმუნოებაში გახდა მოძღვარი მთელი დანინაურებული კაცობრიობისა...“¹

ან შემდეგ ფრაზებს იმავე სტატიიდან:

„ნუ-თუ იმ დროს, როდესაც ჰუმანურს სწავლა-განათლებას უნდა ჩვენს გულსა და გონებაში უფრო და უფრო გაეღვიძებინა და შთაენერგა კაცთ-მოყვარეობა, კაცთა შეთვისება, კაცთა თანასწორობა და ძმობა, – სწორედ ამ დროს დავდექით ჩვენ „გზასა წარმართთასა“ და ვულალატეთ ჩვენს დიდებულს ტრადიციას, ... ძმათა გატანას... გადვუდექით ქართველთა ვაჟკაცურს ქცევას და მივესიენით უიარალო, უპატრონო ხალხს... ვდევნით ვის? – ებრაელთა, რომელნიც იქაც კი იცავენ ჩვენს ენას, ჩვენს ზნე-ჩვეულებას, სადაც თვით ქართველთაც-კი დაუკარგავთ თავისი ენა, თავისი ზნე-ჩვეულება, თავისი ხასიათები?!“

სად არის სათავე ამ უცნაურისა და სამწუხარო მოვლენისა? სამწუხაროდ ... ზოგიერთა ნაკადულებს ამისას ვპოულობთ ჩვენს მწერლობაშიც, რომელნიც ამ ათიოდე თხუთმეტი წლის წინად ისე ენერგიულად გაჰკიცხა ბ-მა ნ. ნიკოლაძემ“²

სწორედ ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის სტატია, რომელიც მეორე საილუსტრაციო მაგალითად გვინდა შემოგთავაზოთ. ანალოგიურად, ზოგიერთი მონაკვეთი ამ სტატიიდან მკითხველისათვის, შეიძლება, ლიტერატურიდან იყოს ცნობილი:

„სწავლაში, პოეზიაში, ხელოვნებში პოლიტიკაში, ერთი სიტყვით, ყოველგვარ საქმეში, ურიებმა აღმოაჩინეს საკვირველი ნიჭი, გონება და პატიოსნება“³

ორივე შემთხვევაში გაკვრითაც არსად არის ნახსენები კონტექსტი, რომელმაც განაპირობა ამ სტატიების შექმნა, კერძოდ,

¹ ფურცელაძე, ანტონ. „ივერია“, 1895, № 246, გვ. 1.

² იქვე.

³ ნ. სკანდელი. ურიების მდგომარეობა საქართველოში. „დროება“, 1871, № 32, გვ. 3.

ქუთაისში, 1895 წლის ოქტომბერში ლუკა კოსტავას მკვლევლობის გამო ებრაელთა უბანზე განხორციელებული თავდასხმა, რამაც ანტონ ფურცელაძეს ზემოხსენებული სტატიის დაწერა აიძულა;¹ ასევე დავიწყებას მიეცა აკაკი წერეთლის ანტისემიტური განწყობის შემცველი წერილიც², რომელზეც პასუხობდა თავისი სტატიით ნ. ნიკოლაძე. ორივე შემთხვევაში თვალსაჩინოდ იმუშავა ინფორმაციის სელექციის პრინციპმა, რომელიც მეხსიერების კვლევის სფეროში კარგად შესწავლილი ფენომენია: წარსულიდან შეირჩევა მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც შეესაბამება ანმყო კონტექსტსა და კონიუნქტურას, ხოლო ამ კონიუნქტურის საწინააღმდეგო ინფორმაცია დავიწყებისათვის არის განწირული. ასეთ კონიუნქტურას წარმოადგენს 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნარატივი, რომელიც განაპირობებს ინფორმაციის გადარჩევას და ადგენს მის „ვარგისიანობას“.

ეთნოსი ისტორიული კატეგორიაა. შესაბამისად, ეთნოსთა შორის ურთიერთობები ვერ იქნება აისტორიული, დროში უცვლელი. ქართველებისა და ებრაელების საუკუნოვანი თანაცხოვრებაც კანონზომიერად განიცდიდა კონკრეტული ისტორიული ეპოქების გავლენას, განპირობებული იყო ამ ეპოქების თავისებურებებით, მრავალი საუკუნის მანძილზე არ იყო და ვერც იქნებოდა ერთგვაროვანი – კარგი ან ცუდი, მეგობრული ან მტრული. ანტისემიტური განწყობების³ არსებობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, იმპერიული კონტექსტის გათვალისწინებით, უფრო ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა, ვიდრე ასეთი განწყობების არარსებობა იქნებოდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ანტისემიტიზმი რუსეთის იმპერიის პოლიტიკის მიერ ხელოვნურად იყო დანერგილი საქართველოში, არამედ იმდენად, რამდენადაც მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროცესები განაპირობებდა ამ ფენომენის ჩამოყალიბებას. თუ ჩვენ წარმოვიდგენთ ამ პერიოდის საქართველოს ისტორიას ანტისემიტური განწყობების გარეშე, იგი, მარტივად რომ ვთქვათ, იქნება არა

¹ ეს ფაქტი იმავე ნომერში არის გაშუქებული, სადაც ა. ფურცელაძის ხსენებული სტატიაა დაბეჭდილი: „ქუთაისში მომხდარ არეულობის შესახებ“ („ივერია“, 1895, № 246, გვ. 2-3).

² წერეთელი, აკაკი. ცხელ-ცხელი ამბები, „დროება“, 1871 № 31, გვ. 1-2.

³ ცხადია, აქ არ არის საუბარი ანტისემიტურ იდეოლოგიაზე. ასევე ფარდობითია ხარისხი და მასშტაბები.

კონკრეტულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული მეცნიერული კვლევის ობიექტი, არამედ ერთგვარი მითოსური კონსტრუქტი, რომელიც მოუხელთებელია ანალიზისა და შესწავლისათვის.

4.3. ეპრაული იდენტობის ნარატივის ამსახველი ტექსტები (1860–1890–იანი წლები)

ნეიტრალური დამოკიდებულებიდან უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბებამდე. პირველი ტექსტი, რომელიც, საყურადღებოა შესავალში დასმული პრობლემის კონტექსტში, 1860 წელს განეკუთვნება. ავტორის ცნობით,

„ქალაქ ქუთაისში „იარმუკაზედ ხალხი იყოფებოდა სხვა და სხვა ტომებათ. აქ იყუნენ იმერლები, მეგრელები, გურულები, აფხაზნი, ახალციხის სომეხნი და ქუთაისის მცხოვრებნი ურიანი. ესენი ყველანი ირჩეოდნენ სახით, ჩაცმულობით და ლაპარაკით“.¹

ტექსტში ეთნიკური ქართველები (იმერლები, მეგრელები, გურულები) ისევე სხვადასხვა ტომებად არიან ჩამოთვლილნი, როგორც ეთნიკურად არაქართველნი – აფხაზები, სომხები და ებრაელები. ერთიან ქართულ ნაციონალურ იდენტობასა და ინტეგრაციაზე საუბარი ამ პერიოდში ჯერ ადრეა. ამ ფონზე ებრაელები ერთ-ერთ სხვა ჯგუფს შეადგენენ.

შემდეგი ტექსტი უფრო ნათლად გამოხატავს იმას, რომ ებრაელები უცხო, ჩამოსული, სტუმრები არიან:

„ეს ორი უცხო ხალხი [ურიები და სომხები, ხაზგასმა აქ და ქვემოთ ჩვენია — ქ.კ.] ძველიდგანვე ცუდი ისტორიული გარემოებებისგან ჩამოსაფრებულა ჩვენში. ... გაჭირებას და მინა-წყლის უქონლობას სხვა უცხო მხარეში ადრიანათვე გაუჩვევია ისინი ვაჭრობაში. ... ისინი თავის ვაჭრობით კეთილის მყოფელათაც ირიცხებოდნენ ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან ეს მოგ ზაური სტუმრები ერთი მხრიდგან მეორე მხარეში გადადგადიოდეს“.²

ანალოგიური აღქმა იკვეთება 1882 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში:

¹ ერისთავი, ზაქარია. ქუთაისის იარმუკა, „ცისკარი“, 1860, № 1, გვ. 135-137.

² ჩვენი ხალხის მდგომარეობა. „სასოფლო გაზეთი“, 1871, №15, გვ. 1-2.

„ქართველებმა პატივით მიიღეს ეს უცხო ტომი. ებრაელები უშიშრად ცხოვრობდნენ სატახტო ქალაქში მცხეთაში, როცა სხვა ქვეყნებში სრულიად აკრძალული ჰქონდათ სატახტო ქალაქებში ცხოვრება“.¹

ინფორმაცია ებრაელების შესახებ გვხვდება კორესპონდენციებში საქართველოს ქალაქებიდან და სოფლებიდან, სადაც ებრაელები სახლობდნენ (ცხინვალი, ქუთაისი, ონი და სხვა). ეს პუბლიკაციები, უმთავრესად, აღწერს ამ ქალაქების მოსახლეობის და, მათ შორის, ებრაელების საქმიანობას, სოციალურ და ეკონომიკურ, ასევე განათლების მდგომარეობას. ტექსტები აღწერილობითი ხასიათისაა, მეტ-ნაკლებად ნეიტრალური. ზოგიერთ მათგანში იკვეთება იდენტობის კვლევის თვალსაზრისით საინტერესო ასპექტები.

1867 წელს კორესპონდენციაში ცხინვალიდან, სოფლის ზოგად აღწერასთან ერთად, გადმოცემულია იქ მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ცხოვრების თავისებურებებიც. ტექსტი არ შემოიფარგლება არსებული სურათის უბრალო დახასიათებით, არამედ სხვა ეთნიკური ჯგუფების მდგომარეობა შედარებულია ქართველების მდგომარეობასთან და ნაჩვენებია ამ უკანასკნელთა ნაკლებად სახარბიელო ყოფა.

„სომხები და ურიები სულ ვაჭრები არიან, და მდიდრებიცა, აქვთ სახლებად ქვითკირის ნაშენობები, და გარეშემო სოფლები არიან მათგან ძლიერ დავალიანებულები... მხოლოდ ქართველები კი ისევ მისწოლიან თავიანთ მამა-პაპურს გუთანსა და ურემსა. დახედეთ ჩვენს უბედურებასა, როგორ დავარდნილნი არიან ამ ნაირს სავაჭრო ადგილს მცხოვრებელნი ქართველები.

ამასთანავე განათლება მცხოვრებლებისაცა უფრო იმყოფება სომხებსა და ურიებშია... ურიების ხახმები სულ-ყველა ურიების შვილებს ასწავლიან თავიანთ სჯულს, კითხვას და წერას, ქართულს მხედრულს კითხვას და წერას. ესრეთ იზრდებიან მათი შვილებიც გამოსადეგად. ქართველები ამით ჩაცვივნი არიან სიღარიბეში, რომ არ მიჰყოლიან არც ვაჭრობასა და არც წიგნის სწავლასა...

სომხები და ურიები მდიდრები არიან აღმორჩეულნი მოსამართლეებათა, სწავლაც რომ არა ჰქონდეთ იმათა, მათ სიმდიდრეს პატივს სცემენ და შიშიც აქვსთ... ქართველები ამით არიან

¹ აკოფოვი, ალექსანდრე. ჩვენებურს ურიებზედ, „დროება“, 1882, № 153, გვ. 1-2.

დაჩაგრულები, რომ არც წინამძღოლელნი მოსამართლეები ზრუნავენ მათის სასარგებლო საქმისა და უმჯობესის ცხოვრებისათვის და არც თვით მეცადინეობენ, რომლითაც ამოვიდნენ საუკუნო მწუხარებისა და სიღარიბისაგან“.¹

ეს ტექსტი აჩვენებს, რომ ამ ეტაპზე მკაფიოდ არ იკვეთება არაკეთილგანწყობა უპირატესი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე სომხებისა და ებრაელების მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ ის უფრო მეტად გულისტკივილს გამოხატავს ქართველთა არასახარბიელო მდგომარეობის გამო. თუმცა ცხადად ჩანს, რომ ეთნიკური და სარწმუნოებრივი ნიშნით განსხვავებულობა დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან და ამ ორი (ეთნიკურ-რელიგიური და სოციალურ-ეკონომიკური) ნიშნით ერთმანეთთან შეპირისპირებულია ჩვენი – ქართველთა – და სხვა – არაქართველთა იდენტობა („დახეთ ჩვენს უბედურებასა, როგორ დავარდნილნი არიან ამ ნაირს სავაჭრო ადგილს მცხოვრებელნი ქართველები“).

იდენტობის კვლევის თვალსაზრისით, საინტერესოა „დროების“ 1868 წლის № 43-ში გამოქვეყნებული კორრესპონდენცია ქუთაისიდან. აქ მკაფიოდ არის გამოკვეთილი ავტორის პოზიცია ორი ჯგუფის – ქართველი კათოლიკებისა და ებრაელების – ქართულ კულტურულ სივრცესთან მიმართებასთან დაკავშირებით. ეს არის ერთგვარი მცდელობა ქართული ეთნიკური და კულტურული ფაქტორის დომინირებული მდგომარეობის ჩვენებისა.² ამ მიზნით, ხაზგასმულია როგორც ეთნიკურად ქართველი, ასევე არაქართველი მოსახლეობის მჭიდრო კავშირი ქართულ კულტურასთან:

„...აქ იმერლები უფრო ჩერქეზულს ტანთ საცმელ იცომენ, ფრანგები და ურიები კი ქართული ტანთ საცმლით არიან: კაბას და კალმუხის – ან ბუხრის ქუდს თავითგან და ტანითგან არ იშორებენ“.³

1870-იანი წლების დასაწყისიდან უკვე ჩნდება ტექსტები, რომლებიც აშკარა არაკეთილგანწყობას გამოხატავს ებრაელების მიმართ,

¹ ეფემიაშვილი, იოსებ. „დროების“ კორრესპონდენცია. „დროება“, 1867, № 42, გვ. 1-2.

² საქართველოს ქალაქებში ქართველთა ეთნიკური/კულტურული დომინირების საკითხი თანდათან სულ უფრო აქტუალური ხდებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ქალაქების მოსახლეობას, ძირითადად, ეთნიკურად არაქართველები შეადგენდნენ.

³ არაგველი. „დროების“ კორრესპონდენცია. „დროება“, 1868, № 43, გვ. 3-4.

მათი საქმიანობისა (ვაჭრობა, მევახშეობა) და ეკონომიკური მდგომარეობის გამო. ამ კონტექსტში თვალსაჩინო ხდება, რომ ებრაელები და ქართველები/ქრისტიანები დაპირისპირებულ იდენტობებს წარმოადგენენ, განსხვავებული ფასეულობებით, ცხოვრების წესით, სოციალური სტატუსით, ეკონომიკური მდგომარეობით, ინტერესებით და, რა თქმა უნდა, რელიგიით. ისინი არ არიან ერთი ერთობის განსხვავებული წევრები. 1870 წლის კორესპონდენციაში ქართლიდან დაუფარავი გალიზიანება იკითხება:

„ურეებმა და სომხებმა ლამისაა მთელი [გორის] უეზდი გაატყაონ. ხშირათ შეხვდებით აქა, რომ სარგებელი თავანზედ ერთი წლის განმავლობაში ერთი ორათ მეტი მოდის“.¹

ასევე უკმაყოფილების საფუძველი იყო ბანკში დაგირავებული თავადაზნაურთა მამულების თანდათანობით გადასვლა სომეხთა და ებრაელთა ხელში:

„ფულის პატრონები ... ვაჭრების, ცოტაოდენ დიდრონ-დიდრონ მებატონეების და ურიების გარდა – ჩვენში არავინ არის. მამასადამე ბანკის განკარგულებით და ბანკის წყალობით აზნაურობის მამულები ნელ-ნელა ზოგი გადავა ვაჭრების, ესე იგი სომხების და ურიების ხელში“.²

აკაკი წერეთლის 1871 წლის სტატიაში ებრაელებისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება და ორი ჯგუფის დაპირისპირება განსაკუთრებით თვალში საცემი ხდება:

„საზოგადოთ იმერეთში და რასაკვირველია ქუთაისშიც ისე უსარგებლო და მავნებელი ხალხი არა ვინ ჰყავს, როგორც ურიები: არა ვითარი მოხელობა მათის ხელიდან არ გამოვა და არც ცდილობენ ისწავლონ, ეგენი არიან სწორედ მკბენარნი საზოგადოებისათვის; მათი ხელობა მხოლოდ ის არის, რომ ქალაქს გარეთ დაიარებოდნენ, სოფლის ხალხს, ქალაქში მომავალს მოტყუებით გამოგლიჯონ ხელიდამ რაც რამ მოაქვს გასასყიდი; დაბრუნდნენ თვითონ და აბაზად ორი აბაზი აიღონ.

...გამგებისად სცდილობენ, რომ შვილებს არა ასწავლონ რა თვინიერ იმ აზრის, რომ ისე იცხოვრე, როგორც ჩვენ და რითიც კი მოახერხო ქრისტიანს ნუ დაზოგავო“.³

¹ „დროების“ კორესპონდენცია ქართლიდან. „დროება“, 1870, № 23, გვ. 2

² ბანკის თაობაზე. „დროება“, 1870, №17, გვ. 1.

³ წერეთელი, აკაკი. ცხელ-ცხელი ამბები. „დროება“, 1871, № 31, გვ. 2.

თანდათან ყალიბდება სტერეოტიპული შეხედულებები ებრაელთა სიძუნწეზე, არაკეთილსინდისიერებასა და ფულისმოყვარეობაზე:

„შევიტყვე, რომ ქუთაისის ქალაქს ჰქონია თითქმის 80,000 მანეთამდის შემოსავალი. ეს რომ გავიგე, საშინლათ გამიკვირდა... მე ვიცი ქუთაისში ზოგიერთი ურიები, რომელნიც მისდღეში დაგლეჯილი და ნუნჩიანი ახალუხით დადიან და დანანნალებენ, მაგრამ შეძლებით კი მილიონს აღარა უკლია რა. სწორეთ ქუთაისსაც ამათგან მიუღია მაგალითი“.¹

„რაც სახლება აბასთუმანში, იმათი მომეტებული ნაწილი ეკუთვნის ახალციხის ურიებს და სომხებს... ჩვენის საუკუნის ლტოლვილება ფულის შეძენისა ისე გასჯდომია ტანში ახალციხელ ვაჭრობასაც, რომ არავითარ ღონისძიებას არ თაკილობენ: ... მარტო რომ ჩარჩობით ეშმაკობდნენ ახალციხელი ურიები და სომხები, მაშინ კიდევ მაგდენი არა ფერი სამწუხარო იქნებოდა. უბედურება ის არის, რომ არც ვაჭრობაში იცავენ პატიოსნებას (რასაკვირველია, ზოგიერთნი კი პატიოსნათ იქცევიან)“.²

„ურიები მელასავით დაძვრებიან სოფლებში თავიანთის ხერხიანი ენა ტკბილის ვაჭრობით. ისინი ისრე გამოქნილი არიან სოფლებში სიარულით, ისრეთის ალერსით შეხვდებიან კაცს და ნამეტურ ქალებს, რომ სადაც მივლენ, თუ არა ივაჭრეს რა, ისრე ფეხს არ მოიცვლიან“.³

„ურია რომ ფულს შეხედავს, თვალები აუბზინდება, ხელში სიმარდე ემატება და შლის ათს და სხვა და სხვა ფართალს ერთად“.⁴

„ჩვენი ქუთაისელი კორრესპონდენტი გვწერს, გავიგეო, რომ აქაური ურიები მანეთიან ქალაქის ფულებს ექვს-ექვს შაურად ჰყიდულობენ სოფლელებისაგანო, და ასე ხალხს ატყვილებენო. ძლიერ შესაძლებელია, რომ ეს ამბავი მართალი იყოს“.⁵

ამ ტენდენციის ფონზე სავსებით ლოგიკურად ჩანს 1871 წელს ოდესაში მომხდარი პოგრომის მიზეზების ახსნა. ასეთი პოზიცია, რა

¹ თუმანოვი, დიმიტრი. „დროების“ კორრესპონდენცია. „დროება“, 1874, № 417, გვ. 2.

² დროებითი აბასთუმნელი. „დროების“ კორრესპონდენცია. „დროება“, 1874, № 439, გვ. 3.

³ „დროების“ კორრესპონდენცია. „დროება“, 1875, № 86, გვ. 2.

⁴ ქალების ერთგული. ნაგომარის იარმუკა გურიასში. „დროება“, 1875, № 99, გვ. 2.

⁵ ცნობა ქუთაისიდან. „დროება“, 1875, № 34, გვ. 1.

თქმა უნდა, არ იყო გამონაკლისის სახით დამახასიათებელი მხოლოდ ამ კონკრეტული ტექსტისათვის და ქართული პრესისათვის:

„ოდესაში განსაკუთრებით, რუსეთის დასავლეთ გუბერნიებში და პოლშაში, ურიებს ძალიან შევიწროებული ჰყავთ ხალხი, რადგან წვრილი ვაჭრობა, რომელიც პირდაპირ ღარიბ ხალხს შეეხება, თითქმის მხოლოდ ამათ ხელშია, და მართალი უნდა თქვას კაცმა, რომ ისინი უმოწყალოთ ეპყრობიან ხალხს და იმისი შრომით და შეძლებით, რაც შეუძლიან, სარგებლობენ“.¹

საინტერესო და უჩვეულო ინტერპრეტაციაა მოცემული ვინმე მესხის (ივანე გვარამაძის ფსევდონიმი) სტატიაში „ხმა ახალციხიდან“. ამგვარი ტექსტის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ მეგობრობის ნარატივის ფარგლებში დამკვიდრებული იდეა საქართველოს, როგორც ებრაელთა მეორე სამშობლოს შესახებ ამ პერიოდში ჯერ არ არის საბოლოოდ ფეხმოკიდებული (თუმცა საფუძვლები სწორედ ამ დროს ისახება, რასაც ქვემოთ მოყვანილი ტექსტები ცხადყოფს). ავტორი ებრაელთა არაკეთილსინდისიერ და მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობას ხსნის თავად ებრაელთა პოზიციით: ისინი ტყვეები არიან სხვის ქვეყანაში (და არა სამშობლოში), უცხო ხალხში (და არა თავისიანებში), რომელთა მიმართ არანაირ მორალურ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ.

„ბევრჯერ დაინერა ჩვენს ლიტერატურაში სამდურავი მოვაჭრე ურიისა და სომხების უსინდისო აღებ-მიცემობითს ცარცვაზედ საქართველოში...“

ზოგ ურიას რომ ჰკითხოთ ამ საგანზედ, გიპასუხებენ: ჩვენ ღვთისაგან თავითგანვე თავისუფალ ერთად გაჩენილი ვართ, კანონითა არავის უფლებების ქვეშ არ უნდა ვიყოთ; მაგრამ დღეს, დროების უკუღმართობით, მთელ ქვეყანაზედ გაფანტული ვართ, გარდასახადს ვიხდით ტყვესავითა... ამიტომ რასაც მეტს ნავჰგლეჯთ მცხოვრებთა, ჰალაღია ჩვენზედ ისე, როგორც ძველ ისრაილთა ეგვიპტესგან ნათხოვად გამოტანილი ძვირფასი ნივთეულება შეენარჩუნათ თავის ნამდვილ საკუთრებასავითა!

თუ მივიღოთ მათი ყოფნა ტყვეობად, ტყვე თავის ბატონს არასდროს არ დაზოგამს, მუდამ გაკვრა გაგლეჯას ეცდება და ღალატსა. ამის გამო რაცა ჰქმნან ურიებმა, არ არის ესრედ გასაკვირვებელი“.²

¹ „დროება“, 1871, № 20.

² ვინმე მესხი. ხმა ახალციხიდან. „დროება“, 1878, № 7, გვ. 2.

სავარაუდოდ, ზემოთ მოყვანილი ციტატა არ მიუთითებს ებრაულ თემში დამკვიდრებული შეხედულებაზე. უფრო მეტად საფიქრებელია, რომ ეს არაებრაელთა მიერ მევახშეობისა და ვაჭრობის ახსნის ერთ-ერთი ვერსია იყო.

უნდობლობასა და ეჭვიან დამოკიდებულებაზე მიუთითებს ცნობები, რომლებიც გაზეთის მკითხველს საქართველოში სხვადასხვა მიზნით ჩამოსული ებრაელების შესახებ ამცნობს, თუმცა უნდობლობის კონკრეტული მიზეზები არც ერთ შემთხვევაში არ არის დასახელებული. აქედან ერთ-ერთი ცნობა საქართველოს ებრაელების შესახებ დღეისათვის კარგად ცნობილი წყაროს ავტორს იუდა ჰალევი ჩორნის ეხება:

„ერთი სოკრატ ფილოსოფოსის მსგავსი ურია დაიარება ჩვენში, სახელად იუდა ჩორნი (შვარცი-შავი), რომელიც, როგორც თვითონ არწმუნებს ყველას, კავკასიის ურიების ისტორიისათვის მასალებსა ჰკრებს. როგორღაც არ გვჯერა, რომ ეს იუდა ჩორნი მართლა სწავლული იყოს და მეცნიერებისათვის ზრუნავდეს. მაგრამ ვინც უნდა იყვეს, ამას არ დავსდევთ. იმიტომ დავინწყეთ ამ კაცზე ლაპარაკი, რომ, როგორც ამბობენ, სოფელ-სოფელ დაიარებაო და ზოგ თავადიშვილებს სხვა და სხვა ძველებური ძვირფასი ნივთები გამოართვაო. ... თუ ეს ამბავი მართალია, ძველი ნივთების პატრონებს ურჩევთ, ფრთხილად იყვნენ: თუ რამ აქვთ ისტორიისათვის გამოსადეგი, ჩვენი აზრით, სხვები უფრო კარგათ მოიხმარებენ...“¹

„თფილისის მოამბეში“ ინერებიან, რომ კიევიდამ, ვარშავიდამ და ოდესიდამ რამდენიმე ურია ჩამოვიდაო და განზრახვა აქვთო, რომ ტყით ვაჭრობა დაიწყონო: ქუთაისსა და ფოთს შუა მოაგროვებენ ტყეს და ივაჭრებენო.

თუ ეს ამბავი მართალია, ჩვენ ვაფრთხილებთ ჩვენ ტყის პატრონებს, რომ ამ ოდესისა და კიევიურ ურიებს ნუ ენდობიან, თორემ ბოლოს ინანებენ“²

სისხლის ცილისწამების ფაქტები. ქართული პერიოდული გამოცემები დეტალურად აშუქებდა სისხლის ცილისწამების ფაქტებს, რომლებიც 1876-1885 წლებში თითქმის ყოველწლიურად მეორდებოდა

¹ „დროება“, 1875, № 2, გვ. 1.

² „დროება“, 1877, № 210, გვ. 3.

(თბილისი – 1876, სურამი – 1877, საჩხერე – 1878, ჯულაურთა – 1881, სენაკი – 1881, სუჯუნა – 1883, თბილისი – 1884, ქუთაისი – 1884, ვეჯინი – 1884, თბილისი – 1885). ამ საკითხისადმი მიძღვნილი ტექსტები საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იკვეთება ქართული და ებრაული იდენტობების ურთიერთმიმართება ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე. გარდა ამისა, გაზეთის ფურცლებიდან შეიძლება ამოვიკითხოთ როგორც იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი მასობრივად დამკვიდრებული წარმოდგენები და სტერეოტიპები, ასევე ინტელექტუალთა ხედვა ამ ცილისწამების მიზეზების და, ზოგადად, ებრაული თემის როლისა და ადგილის შესახებ იმ პერიოდის საქართველოში. ამ დროს ყალიბდება ებრაელის ორგვარი სახე: ერთი მხრივ, ეს არის ქრისტეს მწვალებელი, ხარბი, ძუნწი და მატყუარა „ჩარჩ-წურბელა“¹, ხოლო მეორე მხრივ, ებრაელებს უკავშირდება საქართველოში უმთავრესი სინმინდის – ქრისტეს კვართის ჩამოტანა და ქრისტიანობისა და ერთღმერთიანობის დამკვიდრება.²

იმდენად, რამდენადაც ლიტერატურაში ფართოდ არ არის გაშუქებული სისხლის ცილისწამების შემთხვევები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თანმიმდევრულად გადმოვცეთ გაზეთში ასახული, იმ პერიოდში მასობრივად დამკვიდრებული წარმოდგენა ებრაელების მიერ ქრისტიანი ბავშვების რიტუალური მიზნით მოტაცებისა და წამების შესახებ, აგრეთვე ინტელექტუალთა პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ერთ-ერთი პირველი ცნობა ებრაელების მიერ ქრისტიანი ბავშვის მოტაცების შესახებ 1876 წელს ჩნდება. ამ და ამავე ტიპის შემდგომ ტექსტებში ყოველთვის იკვეთება ორი დაპირისპირებული პერსპექტივა: ერთი, რომელიც ასახავს ფაქტს და ხალხის პოზიციას, ხოლო მეორე – ავტორის/გაზეთის პოზიციას:

¹ მაგალითად, თურმანოვი, დიმიტრი. „დროების“ კორრესპონდენცია. „დროება“, 1874, № 417, გვ. 2; ქალების ერთგული, ნაგომარის იარმუკა გურიაში. „დროება“, 1875, № 99, გვ. 2; ზოლ-კინ, კულაში. წურბელა ურიების ხრიკები. „ცნობის ფურცელი“, 1898, № 574, გვ. 2; „დროების“ კორრესპონდენცია, „დროება“, 1875, № 86, გვ. 2.

² მაგალითად, პოლიევქტოს კარბელაშვილი (ფსევდ. პ. ცხვილოელი), საქართველო და მისი ისტორიული წარსული, „ივერია“, 1891, № 37, გვ. 2; თედო ჟორდანია (ფსევდ. egrī), გატანილია თუ არა ჩვენის ქვეყნიდან უმთავრესი სინმინდე საქართველოსი, კვართი უფლისა. „ივერია“, 1892, № 9, გვ. 2; ფერაძე, ილია. პირველი ქადაგება ქრისტიანობისა საქართველოში. „ცნობის ფურცელი“, 1898, № 750, გვ. 2-3.

„ხალხის ცრუ-მორწმუნეობამ ... ყმანვილის მოტაცება ურიებს დააბრალა. ამის გამო გასულ პარასკევს მეიდანზე რამდენიმე უნესობა მოხდა: გამვლელ გამომვლელ ურიებს ხალხმა შეურაცხყოფა მიაყენა.

შესანიშნავია, რომ ყოველთვის ამ დროს, ამ დიდ-მარხვაში ვრცელდება ხოლმე ჩვენში, რომ ურიებმა ქრისტიანი ყმანვილი მოიტაცესო. ხალხი დარწმუნებულია, რომ ურიების სარწმუნოება მოითხოვს, რომ ყოველ წელიწადს ამათ ერთი ქრისტიანი ყმანვილი უნდა ჩაიგდონ ხელში და სისხლი იშოვნონ.

ეს რწმენა ცრუ-მორწმუნეობაა, ამას არავითარი საფუძველი არა აქვს ... რამდენჯერ იყო ამ გვარს ხმებზე გამოძიება და ყოველთვის დამტკიცდა, რომ ეს იყო ხალხის ცრუ-მორწმუნეობისაგან წარმომდგარი უბრალო ცილის-წამება“¹.

მსგავსი ტიპის ტექსტები სხვა შემთხვევების აღწერის დროსაც გვხვდება.

„ქუთაისიდან გვწერენ, რომ... ერთი ვიღაც გლეხი შევარდნილა ურიების სალოცავში პოლიციის დესიატნიკით, დაუნყია ყვირილი, ერთი ამბავი დაუნევია, რომ შვილი დამეკარგა, უეჭველად თქვენ წაიყვანეთ სისხლისთვისაო და ამწამ დამიბრუნეთო. სალოცავში ერთი ხმაურობა და ვაი-ვაგლახი მომხდარა; პოლიციისთვის შეუტყობინებიათ ეს ამბავი და ბოლოს ყმანვილი აღმოჩენილა: ქუჩაში თამაშობდა თურმე სხვა ბიჭებთან.

...კარგი იქნება, საფუძვლიანი გამოძიება მოახდინონ და დაუმტკიცონ ხალხს, რომ ეს ქრისტიანის სისხლის საჭიროება ცრუ და სრულებით უსაფუძვლო რწმუნებაა ჩვენს ხალხში გავრცელებული“².

ფართოდ გაშუქდა რამდენიმე, მათ შორის 1877 წლის სურამელი და, განსაკუთრებით, 1878 წლის საჩხერელი ებრაელების შემთხვევა.

1877 წლის 4 აპრილს სოფელ ოსიაურში ცრუ განგაში ატყდა ბავშვის დაკარგვის გამო, რაც სოფელში გამვლელ სურამელ ებრაელებს დაბრალდათ. ეს შემთხვევა პრესაში ფართოდ გაშუქდა. ასეთი ყურადღება, სავარაუდოდ, იმ ფაქტმა გამოიწვია, რაც ამ განგაშს მოჰყვა:

¹ „დროება“, 1876, № 28, გვ. 1.

² „დროება“, 1877, № 59, გვ. 2.

„ამ ამბავმა ხალხი საშინლად შესზარა და ააღელვა; მაშინათვე გაექანენ სურამისაკენ და პოლიციისთვის აღარც კი დაუცდიათ, შექმნეს ერთი მეორეთ მოსვლა, გაუსვეს ხელი ქართველებმა და სომხებმაც, ვისაც-კი მოასწრეს ან ურიას ან ურიის ქალს ცემით სულეები ამოართვეს. სად სახლებში უცვივდებოდნენ, სად ფანჯრებს და კარებს ამტვრევდნენ და ერთის სიტყვით, ბაშიბუზუყები რომ სლავიანებში დარეულიყვნენ, სწორეთ იმ სურათს წარმოადგენდა... ამბობენ, ამ ათის წლის წინათაც ნამდვილათ მომხდარა ამ გვართვე ბავშვის ქურდობა“.¹

„სწორედ მოგახსენოთ, ძალიან უსინდისოთ იქცეოდნენ სურამელები და სოფლიდან ჩამოსული გლეხები. ვისაც იჭერდნენ, ძროხასავით სცემდნენ; წვერების გლეჯას და კეტებით ცემას ანგარიში არ ჰქონდა. გასისხლიანებული ურიებისა და იმათი ცოლ-შვილის საცოდავი ღრიალი ცამდი ადიოდა! მძიმე დღე იყო იმ დღევანდელი რიცხვი ისრაელებისთვის!..

ამ ნაირი ქცევა სურამელებისა ურიებთან სწორედ აღამამად-ხანის დაცემას წარმოადგენდა ქრისტიანების ქვეყნებში.

მარტო ცემით არ დაკმაყოფილდნენ: იმათი სალოცავიდან დაწყებული უკანასკნელ სახლამდისინ უსამართლოთ პირქვე აქციეს. იმ დღეს ურიების სალოცავი წარმოადგენდა სოლომონის გაოხრებულ ტაძარს. ამ საცოდავ ურიებს რა მოუვიდათ წრეულს? დაბადება იყო, მოუპარა ვიღამაც და დაჭრილი პერგამენტები იპოვეს სურამულაში. ახლა ესეც ასე.

ამ ნაირს ძალაობაში, სომხებისა და გლეხების გარდა, გაცხარებულ მონანილეობას იღებდნენ იმისთანა პირები, რომელთაც თანამდებობა უჭირავსთ და ითვლებიან განათლებულ პირებად...“²

განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ზემოთ ნახსენები ორი პოზიცია ილია ალხაზაშვილისა და სერგეი მესხის სტატიებში. ორივე ავტორი ვრცლად აღწერს ებრაელებზე თავდასხმას, რაც ილია ალხაზიშვილს ბრმა ცრუმორწმუნეობის შედეგად მიაჩნია:

„დაერივნენ ურიებს და ბრალიან და უბრალოს, ქალსა და კაცს ვინც კი ხელში მოხვდათ სულ ყველას თავ-პირი ამტვრიეს,

¹ მეც ნახირ-ნახირ. „დროების“ კორრესპონდენცია. „დროება“, 1877, № 38, გვ. 2.

² ს. ა. „დროების“ კორრესპონდენცია. 1877, № 40, გვ. 2.

ვინ სკივრებს ამტვრევდა ბავშვის აღმოსაჩენათ, ვინ ქვევრებში ეძებდა, ვინ პატარა ყუთებში; სახლების კარებებს და ფანჯრებს ხო კოჭაკებიც აღარ შეარჩინეს. ბოლოს სახლებსა და ეზოებში რო ვერა აღმოაჩინეს რა, ურიების სალოცავში – სინაგოგში შეცვივდნენ და რაც კი ხელში შეხვდათ, სუ ყოველივე მილენ-მოლენეს. თორა... და დაბადება სულ მტვრათ აქციეს.

...როგორც ხედამთ, ამოდენა აყალ-მაყალი სულ ერთი მწყემსის ფანტაზიიდგან და იმ ცრუ-მორწმუნეობიდან წარმოსდგა, რომელიც ჩვენ ხალხს ასე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი“.¹

სერგეი მესხი კი ერთდროულად ემოციურიც არის და რაციონალურიც. მის ტექსტში მკაფიოდ იკვეთება, ერთი მხრივ, ხალხში მყარად დამკვიდრებული ცრურწმენა, მეორე მხრივ, ავტორის მძაფრად უარყოფითი დამოკიდებულება ამ, მისი აზრით, უსამართლო ქმედების მიმართ.

„...გასაკვირველია სწორეთ ამისთანა დაბრმავება და ცრუ მორწმუნეობა ჩვენის ხალხისა! ყოველთვის ამ დროს გავარდება ხოლმე ხმა, რომ ამა და ამ სოფელში ურიებმა ქრისტიანის ყმანვილი მოიტაცეს, სადგისით დაჩხვლიტეს, სისხლით დანრიტეს და ამა და ამ ადგილას, ტყეში ან მინდორში ნახეს მკვდარიო. ... ყოველთვის აღმოჩენილა, რომ ეს ხმები სრულიად უსაფუძვლო ხმებია; არასოდეს არ დამტკიცებულა, რომ სადმე ურიებს მართლა ქრისტიანის ყმანვილი ეწვალებინოსთ, რომ სარწმუნოება მოსთხოვდეს ამას იმათა და სხვ. მაგრამ ხალხი მაინც თავისას არ იშლის; ასე ძნელია ამოფხვრა ერთხელვე ღრმათ ჩანერგილის ცრუ-მორწმუნეობისა და შემცდარის ჰაზრისა. დრო კია, ღმერთმანი, გავიგოთ, რომ ჩვენ შემცდარი ვართ. დროა ჩვენმა მთავრობამ რამე ღონის-ძიება მიიღოს, რომ ამგვარი მხეცური მოქმედება არ გამეორდეს ჩვენში.

...ცრუმორწმუნეობისაგან გამშაგებული ხალხის ნაწილი ბევრს მხეცობას, საძაგლობას ჩაიდენს, როგორც სხვათა შორის, ეს ახლანდელი სურამის მაგალითი გვიმტკიცებს; და ამისთვის ხალხის ნაწილის სასტიკად დასჯა, რასაკვირველია, ბევრ ნაყოფს ვერ მოიტანს. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ: რისთვის უნდა იტანჯებოდნენ, რისთვის უნდა ითმენდნენ შეურაცხყოფასა და

¹ ალხაზაშვილი, ილია. 4 აპრილის ამბავი სურამში. „დროება“, 1877, № 46, გვ. 2-3.

უბედურებას ის ურიები, რომელთაც ამ შემთხვევაში არავითარი ბრალი, არავითარი დანაშაული და შეცოდება არა აქვთ?“¹

მსგავსი სურათი იკითხება გაზეთის იმ პუბლიკაციებში, რომელიც სისხლის ცილისნამების სხვა ფაქტებს ეხება, მაგალითად, საჩხერის (1878):

„მთელი საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ბავშვი ურიებმა აწვალეს, რადგან მათი დღესასწაული იყო იმ დროს... საზოგადოება ურიებს ითხოვს, სოფელში არ დაგვენახოთ, თორემ ვერ გაგვასწრებო... ყველამ ვიცით, რომ ურიების სარწმუნოების სწავლაში ქრისტიანების ბავშვების წვალეაზე არაფერი არ არის ნათქვამი; მაგრამ ჩვენს საზოგადოებას მაინც ვერ დაარწმუნებთ...“²

გორის (1878):

„დღევანდელ ნომერში იბეჭდება გორიდან მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც იმავე საგანს შეეხება, რომელზედაც ამას წინათ ჩვენ შორაპნელი კორრესპონდენტი გვწერდა, ე.ი. ებრაელისაგან ქრისტიანი ყმანვილის წვალეობას. ეს ცრუ მორწმუნეობა ერთობ მკვიდრად არის ჩვენს ხალხში გავრცელებული, და, საუბედუროთ, თითქო ამის გასამართლებლად, დრო-გამოშვებით თითო-ოროლა შემთხვევა ხდება ჩვენში. სასურველია, ძალიან სასურველია, რომ ყველა ამ გვარი ჭორების მოსასპობელად მთავრობამ და სასამართლომ ფიცხელი გამოძიება მოახდინოს, გამოსცეს სახალხოთ ეს გამოძიება და ამნაირად ერთხელ და სამუდამოდ დააჯეროს ხალხი, რომ ებრაელებისაგან ქრისტიანის ბავშვის წვალეობა ტყუილი და უსაფუძვლო ამბავია. ნუ თუ ჩვენ უნდა უცდიდეთ იმ დროს, როდესაც ხალხი ერთხელ კიდევ იმისთანა საქმეს ჩაიდენს, როგორც შარშანწინ ჩაიდინა სურამში“.³

სისხლის ცილისნამების ამსახველ ტექსტებში შესაძლებელია გაიმიჯნოს ორი ჩვენ ჯგუფი. ქვემოთ მოყვანილი ციტატები, რომლებიც სარა მოდებადის ფართოდ გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებულ დეტალებს ასახავს, ამის მაგალითს წარმოადგენს:

¹ ს.მ. უნესობა სურამში. „დროება“, 1877, № 40, გვ. 1.

² N. N. „დროების“ კორრესპონდენცია. „დროება“, 1878, № 101, გვ. 3.

³ „დროება“. 1878, № 108, გვ. 2.

„ვნების კვირაში ერთ გლეს სოფლის პერევისაში პატარა ბავშვი დაეკარგა. როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, მაშინვე ურიებზე შეიტანეს ეჭვი; ...საჩხერელმა ურიებმა კარგათიცოდნენ – თუ რა საქმე მოუვიდათ ამას წინათ სურამელ ურიებს და მაშინვე შეუდგნენ თავდარიგს. იმათ ეგონათ, რომ დაეცემოდნენ თავზე **ჩვენი გლეხები დიდ-პარასკევს და ამოიყრიდნენ მათ გულის ჯავრს ქრისტეს წვალებისათვის და ამ ბავშვის მოტაცებისთვისაც!**..

რომ ჯეროვანი ზომა არ მიეღოთ, ვინ იცის მართლა ამ საცოდავებსაც ის დღე დაადგებოდათ, რაც სურამელ ურიებს დღე დაადგათ **ჩვენი ქართველებისაგან**“!

„რასაკვირველია, მე არ ვერწმუნები მას, რომ **ურიები ჩვენს ბავშვებს** აწვალებდნენ სისხლის გულისათვის, მაგრამ პოლიციურმა გამოკვლევამ და სხვა-და-სხვა გარემოებამ სწორეთ დამაფიქრა ამ ბავშვის სიკვდილზე...“².

„გასაკვირველია მართლაც ის მღელვარება და აყალ-მაყალი, რომელიც ურიების საქმემ აღძრა იმერეთში. ეს მღელვარება წარმოსდგება იმისგან, რომ იმერეთში ძნელად ნახავთ იმისთანა კაცს ქრისტიანთაგანს, რომელიც მტკიცედ დარწმუნებული არ იყვეს, რომ **ურიებს ქრისტიანის სისხლი ეჭირვებათ** და ამისათვის დრო-გამომწვებით იტაცებენ და აწვალებენ **ჩვენი რჯულის ბავშვსო**“³.

„ზემო იმერეთში და რაჭაში ურიებს ველარ გაუვლიათო, საცა კი დაინახავენ ჩვენებურები, დაიჭერენ, გაცარცვენ, ბევრს სცემენ, ხანდისხან დასჭრიანო და ისე უშვებენო.

ამ გვარი შეუბრალებლობა ურიებისა ადრეც იყო ჩვენში; **ჩვენი ხალხი** მაინც-და-მაინც არასოდეს არ ზოგავს **ებრაელს**, თუ რასმე მოუხერხებს...

ჩვენში დღესაც კიდევ დარწმუნებული არიან, ქუთაისის პროცესის შემდეგაც, რომ **ურიები აწვალებენ ქრისტიანის ბავშვს** და, თუ ეს ჯერ კიდევ არ დამტკიცებულა, ამიტომ არ დამტკიცებულაო, რომ ურიებს ფული აქვთო, „ნოეს კიდობანს“ გახსნიან ყოველთვის ამ გვარს შემთხვევაშიო...

¹ N. N. „დროების“ კორრესპონდენცია. „დროება“, 1878, № 80, გვ. 2-3.

² N. N. „დროების“ კორრესპონდენცია. „დროება“, 1878, № 101, გვ. 2-3.

³ სოლოლაკელი (სერგეი მესხი). მასლაათი. „დროება“, 1879, № 60, გვ. 2.

ეს არის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იმ გარემოებისა, რომ ურიები ასე სძულს ჩვენს ხალხს, რომ იმათ ჩვენში ასე შეუბრალებლად სდევნიან.¹

„...ოც-დაორს აპრილს ოთხი ონელი ურია საჩხერიდან მოდიოდნენ ონში. როდესაც გამოუდგნენ შქმერის მთას, შეხვდნენ წინ ოთხი საჩხერელი გლეხი და ერთი აზნაური და უთხრეს ურიებს: **„თქვენ, ქრისტიანის მწვალებელნო, რათ დადიხართ სოფელში? კიდე გინდათ, რომ აწვალოთ ვინმე?“**²

ხაზგასმული მონაკვეთები აჩვენებს, რომ ორი ჯგუფი – ებრაელები და ქრისტიანები/ქართველები იდენტობის ფორმირების ამ ეტაპზე არა მხოლოდ მკაფიოდ გამიჯნული, არამედ, გარკვეულწილად, დაპირისპირებული ერთობებია. ამგვარი წინააღმდეგობის განმაპირობებელი მიზეზების ძიებისა და ახსნის მცდელობა ამავე გაზეთის პუბლიკაციებში გვხვდება. როგორც ითქვა, ამ ტექსტების შექმნა სისხლის ცილისწამების, ებრაელთა დევნის სხვა შემთხვევების³ და უფლებრივი შეზღუდვების ფაქტებმა განაპირობა. ამ მოვლენებთან დაკავშირებულმა კომენტარებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოში ებრაელთა იდენტობის ნარატივის საფუძვლები და, გარკვეულწილად, 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნარატივის ზოგიერთი ასპექტიც.

1880-იანი წლების დასაწყისში, გარკვეული თვალსაზრისით, განსხვავებული სურათი იკვეთება სისხლის ცილისწამების შემთხვევების გაშუქებისას. თუ ადრე ასეთ ფაქტებს, გაზეთში მონოდებული ინფორმაციის თანახმად, ხალხის ცალსახად ნეგატიური და აგრესიული დამოკიდებულებაც ახლდა, 1881 წლის ჯალაურთას და სენაკის შემთხვევების შესახებ თხრობისას სხვადასხვა ნომერში ერთმანეთის საპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავ რეაქციაზე საუბრობენ. ორივე შემთხვევაში ჯერ ნათქვამია, რომ ქრისტიან ბავშვებთან დაკავშირებული ინციდენტები ებრაელებს ბრალდება,

¹ ს.მ. ურიების სდევნა იმერეთში. „დროება“, 1879, № 135, გვ. 2.

² მ. ბ. ჯვარისუბნელი. წერილი რედაქტორთან. „დროება“, 1879, № 136, გვ. 4.

³ ცემის, ძარცვის, დამცირების ფაქტები ასახულია „დროების“ სხვადასხვა ნომერებში: 1875, № 19, გვ. 3; 1875, № 27, გვ. 2; ს.მ. (სერგეი მესხი). ურიების სდევნა იმერეთში. „დროება“, 1879, № 135, გვ. 2; მ. ბ. ჯვარისუბნელი. წერილი რედაქტორთან. 1879, № 136, გვ. 4; ვინმე ისრაელი. „დროების“ კორრესპონდენცია. 1881, № 165, გვ. 2; 1882, № 129, გვ. 2; 1882, № 153, გვ. 1-2; 1883, № 195, გვ. 2; 1884, № 66, გვ. 2-3.

რამაც მათ მიმართ აგრესია გამოიწვია, შემდეგ კი ეს ფაქტი უარყოფილია. მაგალითად, 1881 წლის №4-ში ნათქვამია, რომ „ქუთაისის სასამართლოს პროკურორმა საჩხერის პრისტავისგან ამბავი მიიღო. საჩხერის საპრისტაოს ერთს სოფელში კიდევ ერთი ქრისტიანის ბავშვი დაიკარგა და ამას ხალხი ადგილობრივ ურიებს აბრალებს“.¹ ამავე წლის მე-8 ნომერში ასევე აღნიშნულია: „ნამდვილი ცნობა მოვიდა აქ, რომ საჩხერის მახლობლად სოფ. ჯალაურთას 24 დეკემბერს დაიკარგა გლეხის დარბაიძის ბავშვი. ბავშვის მამას ორ ურიაზედ აქვს ეჭვი, რომელთაც წინა ღამეს ამ სოფელში გაათიეს“.² მაგრამ უკვე მე-16 ნომერში კორესპონდენციის ავტორი აღნიშნავს, რომ მომხდარ ფაქტს ებრაელების წინააღმდეგ „ხალხის აღელვება“ არ გამოუწვევია: „ხალხი არასოდეს არ აღელვებულა, არც პირველი ბავშვის დაკარგვის დროს, არც ეხლა. „ხალხის აღელვება“ გახლავსთ მოგონილი მოსამსახურე პირებისა“.³ 24-ე ნომერში კი აღნიშნულია, რომ გარდაცვლილი ბავშვის მამამ გამოძიებელთან უარყო, რომ იგი ურიებს ადანაშაულებდა, რადგან ბავშვი ავადმყოფი იყო. კორესპონდენტის ცნობით, არც ადგილობრივი გლეხები ადანაშაულებდნენ ებრაელებს. „ეს კია, რაც უფრო გაშორდებით საჩხერეს, ისე უფრო სხვას იტყვიან, ვინც საქმის გარემოება არ იცის“.⁴ ერთ-ერთ ნომერში აღნიშნულია, რომ ებრაელების შიშს, რომ მომხდარის გამო მათზე თავდასხმა იყო მოსალოდნელი, არანაირი საფუძველი არ ჰქონია: „გასაკვირველია, საიდგან და ან რა აზრში მოუვიდათ აქაურ ურიებს, ვითომც აქაურ ქრისტიანებს მათი თავზე დაცემა და აკლება განეზრახოს და უთხოვნიათ უმაღლეს მთავრობასთან დაგვიფარეთო... თუმც მათზე უფროსიც დარწმუნებული იყო, რომ არც ერთ ქრისტიანს ეს აზრი თავში არ მოსვლია და არ მოუვიდოდა, მაგრამ აუსრულა თხოვნა ურიებს და დასტოვა სამი ყაზახი“.⁵

ამ შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ, რომ წინააღმდეგობრივი შინაარსის ცნობები კორესპონდენტების მიერ დაუზუსტებელი ინფორმაციის გადმოცემით იყო გამოწვეული. მაგრამ კულაშის

¹ „დროება“, 1881, № 4, გვ. 2.

² „დროება“, 1881, № 8, გვ. 1.

³ „დროება“, 1881, № 16, გვ. 2.

⁴ „დროება“, 1881, № 24, გვ. 3.

⁵ „დროების“ კორესპონდენცია, საჩხერე. „დროება“, 1881, № 46, გვ. 3.

ინციდენტის გაშუქება სხვაგვარი მოსაზრების საფუძველსაც იძლევა. პირველ შეტყობინებებში დომინირებს ებრაელების მიმართ ცალსახად აგრესიული განწყობის ამსახველი ცნობები:

„საშინელი ამბავია სოფ. კულაშში. ხალხი საშინლად ალეღვებულა: ლამის გაჟლიტონ ურიები ... ხალხი ამტკიცებს, ჩვეულება აქვთ ურიებს, და კაცი არ ჩნდება გამგონე! ხალხის კრება 3000 მეტი იქნება“.¹

„კულაშელ ურიებს ... დასწამდა ქრისტიანის ყმანვილ გლეხის ბალანჩივადის დაჭერა... ადგილობრივ უმეცარს და ცრუმორწმუნე ხალხს წინდა წინვე სჯერა ... ბრალდების სინამდვილე. ამის გამო მოუსპიათ ყოველგვარი სავაჭრო განწყობილება ურიებთან და გარდა ამისა უწყალოდ სცემენ, სადაც კი შეხვდებიან, საცოდავ ურიებსო“.²

„კინალამ, სამწუხაროთ, ერთი იმისთანა ამბავი არ მომხდარა ჩვენში, როგორც ხდებოდა ამას წინათ კიევის, ეკატერინოსლავის, ხერსონის და სამხრეთ რუსეთის ზოგიერთ სხვა გუბერნიებში. ჩვენ ვამბობთ ურიების შეურაცყოფის, ცემა-ჟლეტისა და გაცარცვის თაობაზედ. აი, რას გვწერენ დაბა სუჯუნიდამ (სენაკის მაზრიდამ): „მოვიდა აქ ამბავი, რომ ვითომც კულაშის ურიებს [ქრისტიანის] ... წვალემა განეზრახოსთ, და იმ წამსვე ძველებური ბუკი დაჰკრეს და შუალამემდინ ექვსასზე მეტი ხალხი მოგროვდა. ამ ხალხში ისმოდა გაცხარებული ლაპარაკი ურიების შესახებ, ზოგიერთები ამბობდნენ, მაგათი შებრალება როგორ იქნებაო თავს დავესხეთ, ავიკლათო. ეს მოხდა შაბათს, როდესაც ურიებს არც დეპეშის გაგზავნა შეეძლოთ მაზრის უფროსისთვის სენაკში და არც თვითონ წასვლა. მაგრამ აღმოჩნდა იმისთანა მადლიანი კაცი, რომელმანც ეს ამბავი მაზრის უმფროსს შეატყობინა; ის იმ წამსვე საჩქაროთ მოვიდა ყაზახ-რუსებით და გაჰფანტა ხალხი... იმედია, ამისთანა ხეპრულ საქმეს შემდეგში ჩვენი მხრის ხალხი არა თუ არ მოიმოქმედებს, არამედ არც განიზრახავს.“³

თუმცა შემდეგ ნომრებში უარყოფილია ასეთი განწყობის არსებობა. ერთ-ერთ კორესპონდენციაში ავტორი აღნიშნავს, რომ

¹ „დროება“, 1881, № 204, გვ. 2.

² „დროება“, 1881, № 209, გვ. 1.

³ „დროება“, 1881, № 210, გვ. 2.

სუჯუნიდან დროების კორესპონდენტის გზავნილმა ებრაელების წინააღმდეგ ხალხის გამოსვლის შესახებ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა: „ნუ თუ ჩვენი ხალხიც იმ აზრისაა, რომ ვინც ქრისტიანი არ არის, ყველა უნდა ვდევნოთ და ვჟლიტოთ? ნუ თუ მართლა ჩვენ ხალხსაც სჭირს ის სენი, რომელსაც ფანატიზმს ეძახიან?“ ავტორმა გადანყვიტა, თავად გაერკვია დეტალები და გაემგზავრა სენაკის მაზრის უფროსთან. ეს უკანასკნელი ადასტურებს, რომ სუჯუნელმა ურიებმა ცრუ განგაში ატეხეს, ისინი დაამინა იმ ცრუ ინფორმაციამ, რომ კულაშის შემთხვევის გამო ებრაელები გაამტყუნეს და ჯერ კულაშის, შემდეგ კი სუჯუნის ურიებს უპირებდნენ გაჟლეტას. სენაკის მაზრის უფროსის სიტყვებით, „ხალხმა ამნაირი სიტყვები მითხრა: – ბატონო, განა ჩვენ კი არ ვიცით, რომ კანონის წინაშე ყველა ერთია? ან რა გვაქვს ჩვენ ურიებთან გასაყოფი? ისინი თავისთვის ცხოვრობენ, ჩვენ ჩვენთვის. არაოდეს ჩვენ და მათ შორის განხეთქილება არ მომხდარა და არც მოსალოდნელია, რომ მოხდეს. აბა, თვითონ სთქვან, თუ რამ უკმაყოფილება გვექონია და ან ახლა გვაქვს ჩვენ იმაზე. აქ კი ფრთხალმა ურიებმა სულ სხვა თქვეს; როგორ შეიძლება! ჩვენ ძალიან მეგობრულად ვცხოვრობთ და ჩუმად კი სხვას ლაპარაკობდნენ“. ავტორის სიტყვებით, ქრისტიანებს არათუ არ განუზრახავთ, არამედ არც კი მოუფიქრებიათ ურიების დევნა და ჟლეტა“.¹ ამავე წლის 30 ნოემბრის ნომერში ავტორი კიდევ ერთხელ უსაფუძვლოდ მიიჩნევს სუჯუნელი ებრაელების შიშს მათზე მოსალოდნელი თავდასხმის გამო.²

შესაძლოა, ასეთი წინააღმდეგობები ერთი და იმავე ფაქტის გაშუქებისას, როგორც ჯალაურთას შემთხვევასთან დაკავშირებით აღინიშნა, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით და ავტორების განსხვავებული ინფორმირებულობით იყოს განპირობებული. მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ აქ სხვა ფაქტორიც თამაშობდეს გარკვეულ როლს. პირველი, რაც ზოგიერთი ავტორისათვის, შესაძლოა, არასახარბიელო ელფერს აძლევდეს ანტისემიტურ გამოსვლებს საქართველოში, არის სწორედ ამ პერიოდში განხორციელებული, მასობრიობითა და სისასტიკით გამორჩეული პოგრომები რუსეთის სამხრეთ ნაწილში. ეს ფაქტები ცალსახად უარყოფითად ფასდებოდა

¹ ბესო. „დროების“ კორესპონდენცია. ახალი სენაკი. „დროება“, 1881, № 219, გვ. 2.

² აბაშელი. „დროება“, 1881, № 227, გვ. 3.

ქართულ პრესაში, შესაბამისად, საქართველოში ანტისემიტური განწყობების არსებობა, ბუნებრივია, არასასურველ რეალობად იქნებოდა აღქმული. გარდა ამისა, ანტისემიტური განწყობების არსებობა ქართველთა შორის ეწინააღმდეგებოდა, სავარაუდოდ, უკვე იმ დროისთვის დამკვიდრებულ შეხედულებას ქართველთა ტოლერანტობის შესახებ. ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი ციტატის ავტორს ეს ფაქტი სწორედ ამიტომ მიაჩნია სამწუხაროდ: „სამწუხარო“ ვამბობ მიტომ, რომ ჩვენ მუდამ თავი მოგვქონდა, რომ სარწმუნოების განსხვავებას არ ვაქცევთ, კაცს მხოლოდ კაცურ თვისებებით ვაფასებთო...“.¹ იმ პერიოდისათვის უკვე არაერთი სისხლის ცილისწამების ბრალდების და ამასთან დაკავშირებული ძარცვა-ძალადობის ფაქტების ფონზე, ასევე ცოტა ხელოვნურად ჟღერს ერთ-ერთი კორესპონდენციის ტექსტი: „რა გვაქვს ჩვენ ურიებთან გასაყოფი? ... არაოდეს ჩვენ და მათ შორის განხეთქილება არ მომხდარა და არც მოსალოდნელია, რომ მოხდეს.“² კონკრეტული ფაქტების გარდა, ამ სიტყვებისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას აძლიერებს ისევე „დროების“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია, რომელიც კულამის ამავე შემთხვევას ეხება:

„დროების“ მკითხველს არა ერთხელ გაუგონია, რომ ამა და ამ სოფელში ან ამა და ამ სახელმწიფოში ურიებმა ქრისტიანის ბავშვი დაიჭირეს და აწვალესო ... საუბედუროდ, თითო ოროლა მაგალითი, რომელიც ამ უკანასკნელ დროებში ხშირად ხდება ხოლმე ჩვენს იმერეთში, არღვევს ხალხში იმ რწმენას, რომ ურიებიც ჩვენი ძმები არიან და ისეთივე კაცები, როგორც ჩვენ, მხოლოდ სხვა სარწმუნოებისა“.³

არაერთგვაროვანი პოზიცია. ებრაელების საქმიანობა და ეკონომიკურად უპირატესი მდგომარეობა, როგორც მათ მიმართ არაკეთილგანწყობის მიზეზი, არაერთგვაროვანი პოზიციის საფუძველი გახდა. ერთი მხრივ, სერგეი მესხი მიიჩნევდა, რომ დასახელებული ფაქტორი არ შეიძლება ამართლებდეს ებრაელთა მიმართ განუკითხავ დამოკიდებულებას:

¹ „დროება“, 1881, № 210, გვ. 2.

² ბესო. „დროების“ კორესპონდენცია. ახალი სენაკი. „დროება“, 1881, № 219, გვ. 2.

³ ა. ნ. „დროების“ კორესპონდენცია. „დროება“, 1881, № 201, გვ. 2.

„ურების სიმძულვარის ... მიზეზი გახლავთ ის, რომ ქრისტიანებისაგან დაჩაგრული ურიებიც თავის მხრითაც არავითარ ღონის-ძიებას არ ზოგავენ, ოღონდ კი ვაჭრობაში მოატყუილოს ხალხი და „კანონიერად“ ალებ-მიცემობის საშუალებით გასცარცვონ. ვისაც ქუთაისში და საზოგადოთ იმერეთში უცხოვრია, იმას ეცოდინება – თუ როგორ დაჩაგრული და შეწუხებულია იმათგან განსაკუთრებით სოფლის ხალხი. ქალაქს ქუთაისში, მგონი, ორ ურიას ვერ ნახავთ, რომ უკანასკნელი ხუთას-ექვსას თუმნის შეძლება არ ჰქონდეს, და იმისთანებიც ხომ ბევრი მოინახება, რომელთაც ოთხას ხუთასი და ათასი თუმანიც წელიწადში აქვთ შემოსავალი.

საიღამ, რა საშუალებით არიან ეს იმერეთის ურიები ასე გამდიდრებული? ვაჭრობით, გაიძვერობით, ... სოფლის ხალხის მოტყუილებით, ჯერ ორი სამი ათასი მანეთი შეიძინეს, მერმე ჩამოვიდნენ ქალაქში, გახსნეს დუქნები, მაღაზიები და დაიწყეს ვაჭრობა.

მაგრამ ვაჭრობა იმათ კიდევ იმდენ მოგებას არ აძლევს, რამდენსაც ფულის გასესხება და, როგორც ჩვენში ამბობენ, „ურიული სარგებლის“ ალება. გაჭირებული კაცი თუ ჩაიგდეს ხელში და მანეთზე მანეთი გადაახდევინეს წელიწადში, – სინდისის გარეშე საქმედ არ მიაჩნიათ...

ყველა ამას რომ მივიღებთ მხედველობაში, ადვილად გავიგებთ, რომ ჩვენებურ ხალხს მაინც-და-მაინც მართლა არ უნდა უყვარდეს ეს წურბელასავით იმის გამომწოვი ურიები. ეს უფრო სოციალური, ეკონომიკური სიმძულვარეა, ჩვენის აზრით, ვინემ სარწმუნოებრივი.

მაგრამ ვერავინ გაამართლებს ჩვენს ხალხს, რომ, ამ სიძულვილის გამო, ის მოჰყვეს და საცა წააწყტეს ურიას, სცარცვოს, სცემოს და გაგლიჯოს... აქაო, ვაჭარი ურიები გვცარცვენო, და მოსისხლე მტერივით სიძულვილს უცხადებთ, საცა წაენევით, სცემთ, სცარცვავთ და სტანჯავთ, – ეს სადაური ლოლიკაა, სადაური სამართალია? ... სად წავა საქმე, თუ ყველა ქრისტიანს ნება მიეცა, რომ დაუსჯელად ცარცვოს და სტანჯოს

შარა გზაზე გამვლელ-გამომვლელი კაცი, თუნდაც ეს კაცი ურიაც იყვეს?!“¹

არის სხვა შეხედულებებიც, რომლებიც, ს. მესხისა და ნ. ნიკოლაძის სტატიებისაგან განსხვავებით, უფრო მეტად გამოხატავს ემოციურ განწყობას და ცალმხრივ პოზიციას ებრაელთა და ქართველთა ურთერთდამოკიდებულების საკითხისადმი; პასუხისმგებლობასაც, უმთავრესად, ებრაელებს აკისრებენ, მათი საქმიანობის არაკეთილსინდისიერი ხასიათიდან გამომდინარე:

„მოგეხსენებათ, რომ ჩვენში ებრაელები ბლომად ცხოვრობენ და იმათგან ჩვენი ხალხის შევიწროებაზე, იმათ ვაჭრულ მიმართულებაზე და საზოგადოთ იმათ ხასიათზე ბევრი საყვედური და უკმაყოფილება ისმის სიტყვიერათაც და ბეჭდვითაც. ... ბედნიერი, საქები და მოსაწონი ხალხი ის ხალხია, რომელსაც სიმდიდრის მოსაპოებელად და თავის კეთილ-დღეობისათვის სხვისი ოფლითა და სისხლით არ უსარგებლნია, რომელსაც არც ვაჭრობაში და არც არასოდეს ზნეობა, სინდისი და ძმის სიყვარული არ დაუკარგავს, არ ამოუფხვრია გულიდამ“.²

¹ ს.მ. ურიების დევნა იმერეთში. „დროება“, 1879, № 135, გვ. 2. ასეთივე პოზიციას გამოხატული ზოგიერთ სხვა ნომერშიც: „ქუთაისიდან გვწერენ რომ ამ უკანასკნელ ხანებში რამდენიმე იქაურს ებრაელს სცემა ხალხმაო, პარასკევობით ბაზარში ვაჭრობისა და ბულვარში გამოსვლის ნებას არ აძლევენო. თუ ეს ანბავი მართალია, ადგილობრივი ადმინისტრაცია მოვალეა, ახლავე მიაქციოს ამ სამწუხარო გარემოებას ყურადღება, სანამ ეს ებრაელების შეურაცხყოფა გადაამდებ ავადმყოფობასავით სხვებსაც არ გადაედება; ახლავე უნდა გაახსენოს ადმინისტრაციამ ქუთათურებს, რომ კანონი ქრისტიანთა და ებრაელთათვის ერთია ...ამასთანავე ისიც უნდა ვთქვათ, კარგი იქნება, რომ იქაურ ებრაელების ვაჭრობას ცოტა არ იყოს კანონიერ და კაცობრიულ კალაპოტში ჩააყენებდნენ; თორემ ერთობ უღმერთოდ ექცევიან ესენი განსაკუთრებით სოფლის ნაწარმოებით ჩამოსულ გლეხებს და ერთობ უსამართლოდ მიჰყავთ ვაჭრობა. ამიტომაც არის იმერეთის ხალხი უკმაყოფილო ებრაელებზე. მაგრამ ამ უკმაყოფილების დასამშვიდებლად ცემა- ტყეპა კი არ არის საჭირო, არამედ წესდება, კანონი და ქალაქის გამგეობისა და ადმინისტრაციის გონიერი განკარგულება და განსაზღვრა ვაჭრობის წარმოებისა“ („დროება“, 1882, № 129, გვ. 2).

... მართალია, რაკი ებრაელები მთელს დედამიწის ზურგზედ მოიფინენ და თავიანთ მიწა-წყალი დაკარგეს, ისეთს საქმეს მიჰყვეს ხელი, რომელიც მამულის-მუშაკისთვის მოსაწონი არ არის; მართალია, უმთავრესი ხელობა ებრაელებისა ვაჭრობაა და ხშირად უსინდისო ვაჭრობაც, მაგრამ ეს მაინც არავის არ აძლევს ნებას უსამართლოდ უმანკო ბავშვის სისხლის დაღვრა დასწამოს მათ“ („დროება“, 1883, № 152, გვ. 1).

² ებრაელები. „დროება“, 1881, № 43, გვ. 2.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ციკატის ბოლო ფრაზა, სადაც საყვედურის ტონი იგრძნობა ებრაელების მიერ ძმის სიყვარულის დაკარგვის, ანუ, ამ შემთხვევაში, ქართველთა მიმართ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო. ამ მხრივ უფრო ნაკლებად ორაზროვანია ალექსანდრე აკოფოვის სტატია „ჩვენებურ ურიებზე“. ეს ვრცელი პუბლიკაცია ეხება ქუთაისში ქრისტიან ბავშვებში ჩვეულებად ქცეულ „პატარა ურიების“ დაჩაგვრასა და აბუჩად აგდებას, რაც, ავტორის თქმით, უფროსებისგანაც ნახალისებული იყო. ალ. აკოფოვი აღწერს ებრაელთა გაფანტვისა და საუკუნეების მანძილზე ევროპაში მათი დევნის ისტორიას. მისი აზრით, სწორედ ამან განაპირობა, რომ „ურიები შეიქმნენ ქრისტიანების მტრებად და ზნეობითაც დაეცნენ. ჩვენ ცხად მტერობას მოჰყვა მათი ფარული მტრობა. ჩვენ ცხად ცარცვას – მათი ფარული ცარცვა“. ავტორის აზრით, ცხადია, არ შეიძლება ქრისტიანი ბავშვების და, მით უფრო, უფროსების მხრიდან, ებრაელი ბავშვების ჩაგვრა, თუმცა ასევე აღნიშნავს, რომ რადგან, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში ებრაელებს არ განუცდიათ დევნა და შევიწროება, მათი მხრიდან ასევე გაუმართლებელია არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ქრისტიანების მიმართ და მათ ხარჯზე სიმდიდრის დაგროვება:

„ქართველებმა პატივით მიიღეს ეს უცხო ტომი. ებრაელები უშიშრად ცხოვრობდნენ სატახტო ქალაქში მცხეთაში, როცა სხვა ქვეყნებში სრულიად აკრძალული ჰქონდათ სატახტო ქალაქებში ცხოვრება. იგინი ავრცელებდნენ ვაჭრობას, მეფეების ვაჭრებიც ურიები იყვნენ, სანამ სომხები არ გამოუჩნდნენ მეტოქეთ. ქართველებისაგან ურიებს არ ახსოვთ არა-ვითარი დაჩაგვრა, არც ტანჯვა, არც გაცარცვა... თავისი მხრით ურიებიც მოვალენი არიან, რომ მეგობრულად და კაცობრიულად იმოქმედონ იმ ხალხში, რომელშიაც რამდენიმე საუკუნეების გამომავლობაში ცხოვრობენ მშვიდობიანად და შეუძენიათ დიდი შეძლება. მთელი ქუთაისი თითქმის იმათ ხელშია. ქრისტიანების ოფლით ნაშოვნნი ქვითკირის შენობები თითქმის მუქთად გადადიან მათ ხელში. ნამოჭიმეს სასახლეები. მოტყუება ქრისტიანის კაცისა მადლად მიაჩნიათ. გლეხის ჭირნახული ხომ მათი სარგებელია რამოდენიმე თუმანში...

ურიებს ჩვენში საფუძველი არა აქვს, რომ მტრებად გვიცქეროდნენ და ჩავთვალონ. მათი მოქმედება ჩვენში არა გზით არ გამართლდება. ეს ნიშნავს ნამდვილ ებრაულ ფანატიკოსობას და ზნეობით სიმახინჯეს.¹

ამ ტექსტში უკვე იკვეთება ის მორალური პასუხისმგებლობა, რასაც ავტორი აკისრებს ებრაელებს იმ ხალხის წინაშე, რომელმაც ისინი შეიფარა და საუკუნეების მანძილზე კეთილდღეობაში ცხოვრების საშუალება მისცა. აქ აღარ არის საუბარი არც უფლებრივ თანასწორობაზე, არც ინტერესთა ერთიანობაზე და საერთო სამოქალაქო იდენტობაზე. ავტორი საკითხს უკიდურესად შეფასებით ჭრილში განიხილავს და, რაც არანაკლებ საინტერესოა, ყურადღების მიღმა ტოვებს სისხლის ცილისნამებისა თუ ებრაელთა რბევის არცთუ შორეულ წარსულში მომხდარ ფაქტებს.

საერთო ქართულ სივრცეში ებრაელთა ინტეგრაციის საკითხი. ქართველი ებრაელის² კონცეფციის ჩამოყალიბება. განსახილველ პერიოდში ჩნდება საქართველოში მცხოვრები ქართულენოვანი ებრაელების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების იდეაც. აღსანიშნავია, რომ ეს გამონაკლისი შემთხვევაა და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სხვა ეთნიკურად არაქართველი უმცირესობების მიმართ მსგავსი ტენდენცია არ შეინიშნება. ამ პერიოდის პრესაში ებრაელები, ძირითადად, მოიხსენიებიან როგორც *ურები*³, იშვიათად – როგორც *ებრაელები* და გამონაკლისის სახით – როგორც *ქართველი ებრაელები*. უფრო ხშირად მათ მოიხსენიებენ „ჩვენებურ“, ანუ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებად, რითაც, სავარაუდოდ,

¹ აკოფოვი, ალექსანდრე. *ჩვენებურს ურიებზედ*. „დროება“, 1882, № 153, გვ. 1-2.

² ამ შემთხვევაში საუბარია არა ტერმინის სიახლეზე, არამედ ახალი იდენტობის კონცეფციის ფორმირებაზე.

³ ურია, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არცთუ დადებით კონტექსტში მოიხსენიება, ჩვეულებრივ, ებრაელის აღსანიშნავად გამოიყენება და ჯერ არ შეიცავს უარყოფით და დამამცირებელ შინაარსს, რომელიც მოგვიანებით შეიძინა როგორც რუსული жид-ის ანალოგმა. გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის № 152-ში გამოქვეყნებული წერილი ევროპული ანტისემიტის შესახებ (გვ. 2-3) ერთ-ერთი პირველია, რომელიც, ძირითადად, ებრაელ-ს იყენებს, ურია-ს კი ანტისემიტური განწყობის გამო-სახატად იშველიებს. ნიკო ხიზანაშვილი კი 1902 წელს აღნიშნავს, რომ ებრაელს სოფლად მოიხსენიებენ როგორც ურიას (Plebs (ნიკო ხიზანაშვილი). *ჩვენებური ებრაელობა*, „ივერია“, 1902, № 141, გვ. 2). ამ პერიოდიდან ინტელექტუალები, ძირითადად, ებრაელს ანიჭებენ უპირატესობას.

ხაზი ესმება უფრო მეტად საქართველოში მათი ცხოვრების ფაქტს და გამოყოფას რუსეთის იმპერიის სხვა ებრაელებისაგან, ვიდრე ინტეგრირებულობას საერთო ქართულ ერთობაში. ტექსტებში, რომლებშიც საუბარია ებრაელთა ინტეგრაციაზე, უფრო ხშირად ვხვდებით ტერმინებს ქართველი ებრაელი და ქართველი ისრაელი. ებრაელების ამგვარად მოხსენიება მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ფართოდ მკვიდრდება.

საკითხის მიმართ საინტერესო მიდგომით გამოირჩევა ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის პუბლიკაციები. შექმნილი პრობლემის გადაჭრა, მათი აზრით, ებრაელთა სამოქალაქო ინტეგრაციითა და მათი უფლებრივი მდგომარეობის გამოსწორებით იქნებოდა შესაძლებელი. მათი პოზიცია რაციონალურია, არ არის განმსჯელი: ისინი ცხადად ხედავენ „ურიობის“ – „ურიის ვალისა“ და „ურიული სარგებლის“ მძიმე შედეგებს როგორც ეკონომიკური, ასევე ებრაელთა მიმართ უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით; ქრისტიანთა/ქართველთა მხრიდან სისხლის ცილისწამებისა და ებრაელთა შვეინროების მცდელობებს განიხილავენ, როგორც უსამართლოს და უნაყოფოს, თუმცა არც ერთ შემთხვევაში ცდილობენ გამოავლინონ დამნაშავეები ან ერთ, ან მეორე მხარეს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა რამდენიმე პუბლიკაცია, რომელთაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შემოგთავაზებთ.

სტატიაში „ურიების მდგომარეობა საქართველოში“ ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთლის ზემოთ დასახელებული პუბლიკაციის (ა. წერეთელი, ცხელ-ცხელი ამბები, „დროება“, 1871 № 31, გვ. 1-2) საპასუხოდ, წერს:

„თუ ჩვენ საზოგადოებას ისინი [ებრაელები] მავნებელ პირებათ მიაჩნია, ეცადოს, რომ ურიების შვილები ჩვენს შვილებთან იზდებოდნენ, რომ ყოველ ყმანვილს, ურიის იყოს თუნდ ქრისტიანის – მიეცეს უსათუოდ ხეირიანი სწავლა, რომ მათ წინ გახსნილი იყოს ამნაირივე მომავალი, როგორიც გახსნილია ჩვენებური ყმანვილების წინ, რომ მათ იმნაირივე უფლება ჰქონდეთ ყველაფერში, როგორიც ჩვენებურებს აქვთ – და მაშინ ნახავთ, რომ ერთი-ორი თაობის შემდეგ ურიები ამნაირივე ქართველები გახდებიან, როგორიც ჩვენი შვილები იქნებიან, რომ ისინი ხეირიანად და ძმურად გამოგვადგებიან ჩვენ

ჭირში და ლხინში და ეხლანდელი შეურაცხყოფის და მტრობის მაგიერ, ეხლანდელი შევიწროების და გამოხსნის მაგიერ ძმურად შეგვიდგებიან ჩვენ საზოგადო უღელში, თუ ჩვენ იმათ ძმურათ ნილს დაუდებთ საზოგადო სიკეთეებით სარგებლობაში“¹

ფრაზაში „ურჩები ამნაირივე ქართველები გახდებიან“ ნ. ნიკოლაძე, ცხადია, არ გულისხმობს ებრაელების მიერ ეთნიკური/რელიგიური იდენტობის შეცვლას, არამედ მათ მიერ საერთო ქართული ინტერესების გაზიარებას. ამით ის ხაზს უსვამს ქართველთა და ებრაელთა საერთო, სამოქალაქო იდენტობის ფორმირებისა და ამ უკანასკნელთა უფლებრივი გათანასწოების აუცილებლობას, როგორც დაპირისპირებულ ერთობათა შორის საერთო ინტერესებისა და სოლიდარობის გრძნობის ჩამოყალიბების წინაპირობას. ეს ტექსტი, შესაძლოა, მივიჩნიოთ ქართველი ებრაელის კონცეფციის სათავედ.

იგივე იდეა, კიდევ უფრო ნათლად და მკაფიოდ, ჩამოყალიბებულია სერგეი მესხის სტატიაში. იგი საუბრობს ახალი კანონის შესაძლო გამოცემის შესახებ, რომლის ძალით ებრაელებს რუსეთის ყველა გუბერნიაში დასახლების უფლება მიეცემოდათ და აღნიშნავს:

„ყველა, ვინც ახლანდელი ებრაელების მდგომარეობა იცის, ვისაც ესმის – თუ რა ცუდი შედეგები და ზედ-მოქმედება აქვს თვით ქრისტიანებისთვისაც იმ შევიწროებასა და დევნას, რომელსაც ურჩები ითმენენ, ვინც ხედავს, რა მოსდევს ჩვენგან ურჩების თითქმის კაცად ჩაუთვლელობას, ყველადაგვეთანხმება, რომ ამგვარი კანონი კეთილ ნაყოფს მოიტანს... თუ ურიას ყველა მოქალაქის უფლება ექნება მინიჭებული, თუ კანონი და ხალხი ისე შეხედავს, როგორც ადამიანს, – დარწმუნებული იყავით, რომ დროის განმავლობით ისიც კანონიერ და კაცურს გზაზე დაადგება. დაანებებს თავს იმ საძაგელ გზებსა, იმ იდუმალად ქრისტიანების მოტყუებისა და დაჩაგვრის სურვილს, რომელიც ახლა მიყენებული შევიწროების შურის საძიებლად გადაქცევია...“

ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები და შვილის-შვილები მაინც მოესწროებიან იმ დროს, როდესაც ურჩები თანამოქალაქენი და თანა მოძმენი შეიქნებიან ქრისტიანებისა, როგორც ჩვენ ერთმანეთში ვართ. და ეს მოხდება, უიჭველია, მხოლოდ მაშინ,

¹ ნ. სკანდელი, ურჩების მდგომარეობა საქართველოში, 1871, № 32, გვ. 3.

როცა კანონი და ხალხი ნამდვილ ადამიანად იცნობს, როცა არავინ მოსთხოვს, რომ მაინცა და მაინც თავიანთი ხალხოსნობა და სარწმუნოება დააგდონ და სხვა რომელიმე მიიღონ, ერთის სიტყვით, როცა იმათაც ყველა ის უფლებანი მიენიჭებათ, რაც სხვა მოქალაქეებს აქვსთ. მაშინ „ურია“ საგინებელ სიტყვათ აღარ იქნება“.¹

თუმცა სერგეი მესხი არ ავლებს მიჯნას ქართველ და სხვა ებრაელთა შორის, რასაც ცხადყოფს მისი სტატია თბილისიდან ებრაელთა გასახლების შესახებ. აქ საუბარია აშკენაზებზე, ავტორი კი მათ უბრალოდ ქალაქის ურიებად მოიხსენიებს. შესაძლოა, იმ პერიოდის კონტექსტიდან გამომდინარე, მკითხველისთვის ისედაც ცხადი იყო, რომ საუბარი რუსეთიდან ჩამოსახლებულ აშკენაზებზე იყო, და არა ადგილობრივ ებრაელებზე.²

გრიგოლ ვოლსკი (ფსევდ. გრ. უმნიფარიძე), წინა ავტორებისაგან განსხვავებით, საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს „ქართველ ებრაელებად“ მოიხსენიებს (თუმცა ის, რა თქმა უნდა, არ იყო პირველი. ზაქარია ჭიჭინაძე მოთხრობაში „ჭონის შეგირდი“ (1875) უკვე იყენებდა ამ ტერმინს). ეს ფაქტი, სავარაუდოდ, იმაზე მიუთითებს, რომ ებრაელებს ავტორი განიხილავს როგორც ჩვენ ქართველთა ჯგუფის შემადგენელ ნაწილს, ან, სულ ცოტა, ამ ჯგუფთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერთობას. გრიგოლ ვოლსკი სწორედ ებრაელების ინტეგრაციის საჭიროებაზე მიუთითებს, თუმცა თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად იგი არ იწყებს ქართველთა და ებრაელთა საუკუნოვან მეგობრულ თანაცხოვრებაზე საუბარს, უფრო პირიქით; ის უფრო მეტად ხაზს უსვამს ებრაელების სიახლოვეს ქართულ კულტურასთან („შეითვისეს ქართული ენა, ტანსაცმელი, ბევრი ზნე და ჩვეულება“), რაც, მისი აზრით, მტკიცე კავშირებისა და წარმატებული ინტეგრაციის წინაპირობაა:

„სარწმუნოებას ყოველთვის ერთობ დიდი ადგილი ეჭირა ჩვენს საზოგადოებრივს და ისტორიულს ცხოვრებაში და არა გვეგონია, რომ ვიზედმე ნაკლებ სჯულ-კერპი ვყოფილიყავით ან ურიების შესახებ სხვებზე უფრო სამართლიანი... საქართველომ,

¹ მესხი, სერგეი. *ებრაელების შესახებ*. „დროება“, 1875, № 9, გვ. 1.

² ს.მ. ქალაქის ურიების გასახლება. „დროება“, 1877, № 27, გვ. 1.

რაც უნდა იყოს, შეიფარა და იშვილა ურიები. მათ იპოვეს აქ ახალი სამშობლო, დასახლ-კარდნენ, სცხოვრებენ აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა, შეითვისეს ქართული ენა, ტანსაცმელი, ბევრი ზნე და ჩვეულება, ერთის სიტყვით, გაქართველდნენ და წმინდად შეინახეს მხოლოდ თავის სარწმუნოება. ჩვენს დროში სარწმუნოება სინდისის საქმედ მიაჩნიათ. სხვის სინდისის საღმეთო საგანთან არავის ხელი არა აქვს.... დიდი ხანია დროა, რომ ჩვენებური ქართველი ებრაელებიც დაუკვირდნენ თავიანთ მდგომარეობას, შეიგნონ სწავლა განათლების საჭიროება, იცნონ ახალი დრო და მიანებონ თავი თავის კარ-ჩაკეტილობას და იმ უსაფუძვლო შიშს, ვითომც თანამედროვე ევროპიული განათლება სარწმუნოებას და მამა-პაპურ სინწინდეს ნაგვიბილწავსო... ჩვენებურმა ქართველმა ებრაელებმა უნდა შეიცვალონ შეხედულობა, შეუერთდნენ დანარჩენ ქართველობას. ქართველობა აღტაცებით და უსაზღვრო სიხარულით შეეგება ბათუმის მაზრის შემოერთებას, რადგან იქ დიდის ხნით დაკარგული ძმა-ქართველები სახლობენ. არა კაცს არ უთქვამს, ისინი ქართველები როდი არიანო, რადგან მაჰმადი სწამთო და არა ქრისტე. რასაკვირველია ისინი შთამომავლობითაც ქართველები არიან, მაგრამ როგორც ზემოდ ვსთქვით, ისე დიდი ხანია, რაც ებრაელები ჩვენში გადმოსახლდნენ, რომ გაქართველდნენ, და ბათუმელებმაც ხომ ბევრი ოსმალოს ზნე-ხასიათი და სისხლი შეირიეს, თუკი ვაკადრებთ ჩვენს განათლებულ საუკუნეს და „სისხლზე“ მიდგა ლაპარაკი!⁴¹

ამ სტატიაში განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ გრ. ვოლსკი ქართული სივრცის შემოსაზღვრისას, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს კულტურული ფაქტორების როლს, ხოლო მეორე მხრივ, ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს შთამომავლობას, სისხლის სინწინდეს (“თუკი ვაკადრებთ ჩვენს განათლებულ საუკუნეს და „სისხლზე“ მიდგა ლაპარაკი!"). ამით ის აფართოებს ქართული ერთობის ფარგლებს და ზრდის მისი პოტენციური წევრების რაოდენობას. მხოლოდ საკითხის ამ კუთხით დასმით ხდება შესაძლებელი ქართველი ებრაელების ამ ერთობის ფარგლებში გააზრება. ასევე უჩვეულო და

⁴¹ გრიგოლ უმწიფარიძე. ებრაელების საქმე ჩვენში. „დროება“, 1883, № 186, გვ. 1-3.

საინტერესო, თუმცა ლოგიკურია, რომ გრ. ვოლსკი ერთმანეთის გვერდით აყენებს ეთნიკურად ქართველ მუსლიმებსა და ქართველ ებრაელებს, რომლებიც, ცხადია, ქართულ ეთნიკურ ჯგუფს არ მიეკუთვნებიან. ცნობილია, რომ ქართველი მუსლიმების პრობლემა იმ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური იყო. მათი ნაციონალური იდენტობის განსაზღვრისა და რელიგიური განსხვავების მიუხედავად, მძაფრი მსჯელობა მიმდინარეობდა, მათი „სრულფასოვანი“ ქართველობის დასასაბუთებლად. ქართველი ებრაელების ქართველ მუსლიმებთან საერთო კონტექსტში მოხსენიებითა და ქართველებსა და ქართველ ებრაელებს შორის არსებული კულტურული სიახლოვის ხაზგასმით, ავტორი აჩვენებს, რომ ეს უკანასკნელნი ფორმირების პროცესში მყოფი საერთო ქართული ერთობის სრულუფლებიანი წევრები არიან.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა სტატია ნიშანდობლივი სახელწოდებით „სხვა რჯულის ქართველი განა არ ქართველობს?“¹, სადაც აღნიშნულია:

„ვერა და ვერ შევიგენით, რა არის ერი, როგორი არის მისი ძალი და მნიშვნელობა. მაგრამ, თუ მდაბიოს ეპატიება ქართველი მართო ქართლის მკვიდრს და ისიც მართლ-მადიდებელს ენოდოს და დანარჩენი ქართველობა თემობით მოიხსენიოს, ან სულ უარჰყოს, თუ ქრისტიანე არ არის, იგივე არ ეპატიება განათლებულ ქართველს და მეტადრე ჩვენებურის ნასწავლ-კაცობის ნათაურ წრეს, ქართველ მწერალთა თუნდა ერთ ჯგუფსაც. ასეთი მდაბიურობა გამოიჩინა ამას წინად „ივერიამ“ ... და მითივე ეჭვს ჰბადებს, ნუ თუ მართლა „ივერიელებს“ არ შეუწყნარებიათ ის ქართველები, რომელნიც, ღვთის განგებით, ან კათოლიკობასა და გრიგორიანობას, ან ისრაელობას და მაჰმადიანობას აღიარებენო... გვმართებს ყოველი ქართველი, რა რჯულისაც უნდა იყვეს, შევიტკობთ და მისი სულიერ-ზნეობრივ განვითარება იმდენადვე სანაღვლეელი გავიხადოთ, რამდენადაც მისი გონებრივი და ეკონომიკურად დანინაურება“².

¹ სტატიას ხელს აწერს ავტორი ფსევდონიმით „კლდია“. ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ, პრობლემატიკისა და სტილის მიხედვით, აღნიშნული სტატიის ავტორი პეტრე მირიანაშვილია.

² კლდია. *სხვა რჯულის ქართველი განა არ ქართველობს?* „ივერია“, 1903, № 25, გვ. 2.

ისრაელები აქაც იმ ქართველთა შორის მოიხსენიებიან, რომლებიც, უმრავლესობისაგან განსხვავებით, მართლმადიდებლური აღმსარებლობის არ არიან. „ივერია“ იმავე ნომერში კომენტარს აკეთებს თავისსავე ავტორის პუბლიკაციაზე და აღნიშნავს:

„პატივცემული ჩვენი თანამოკალმე ამტკიცებს, რომ საქართველოში მრავლად მკვიდრობენ ისეთი ქართველნი, რომელნიც რჯულით მართლ-მადიდებელნი არ არიან, აღიარებენ სხვა სარწმუნოებას, სხვა რჯულს, კათოლიკობას, გრიგორიანობას, მაჰმადიანობას, ისრაელობასაო. ეს გარემოება არ უშლით ამ სხვა რჯულის აღმსარებელთ იქართველონ, ქართულ საქმეს ემსახურონ, ქართველურის გრძნობით განიმსჭვალონ, რადგან სისხლით, ჩამომავლობით ისინიც ქართველნი არიანო. სრული ჭეშმარიტებაა და ჩვენც არასოდეს ამ აზრის წინააღმდეგი არა ვყოფილვართ“.¹

გრიგოლ ვოლსკისა და კლდიას პუბლიკაციებს შორის ოცნლიანი ინტერვალია. დროის ამ შუალედში არაერთი საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა, რომელიც ებრაელთა იდენტობის განსაზღვრის საკითხს ეხება.

პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი ილია ბახტაძე (ფსევდ. ილია ხონელი) რუბრიკით „ფელეტონი“ წერდა:

„იცით თქვენ, მკითხველებო, რა შეუვალ სიმაგრეს, რა ჩინეთის კედლით გარ-შემოზღუდულს წარმოადგენენ ამდენ ხანს ჩვენი ეგრედნოდებულნი ქართველი ებრაელები? მართლია, ეს განცალკევება მარტო რჯულით და სარწმუნოებით იყო გამოწვეული, მაგრამ მით უფრო მტკიცე და შეურყეველი იყო იგი. ... ეს მიუწოდომელი შიში სარწმუნოებისა გამო და მისგან გამოწვეული განცალკევება ებრაელებისა სულ უკანასკნელის დროსი ნაამაგარი რამ არის და არა ჩვენის ისტორიულის ცხოვრების ნაანდერძევი ნაყოფი. ებრაელები ჩვენში არასოდეს არა ყოფილან დევნილნი ისე, როგორც სხვაგან... ქართველი ებრაელი – იგივე ქართველი იყო, მხოლოდ ისრაელის სარწმუნოებისა. ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ ენა, ტანისამოსი, ჩვეულებანი და მიდრეკილებაც კი ჩვენი ხალხისა

¹ „ივერია“, 1903, № 25, გვ. 1-2.

აქვს, შეთვისებული ძველის დროიდან და არც უნდათ და არც ეძიებენ სხვისას. **ისტორიამ დაგვაახლოვა ერთი მეორესთან, ისტორიამ შეგვაჩვია ერთი-მეორეს და ისტორიამვე დასდვა ჩვენ შორის იდუმალი კავშირი, რომელიც, იმედია, გაუნყვეტელი დარჩება სამუდამოდ...**

...საჭირო იყო მხოლოდ ერთი რამ, რომელიც ჩვენთან ერთად აკლდათ ებრაელებს, ... ეს სწავლა-განათლება გახლავსთ ... ხოლო ჩვენი ებრაელები კი არა თუ ეძიებდნენ, – თითქო განგებ გვერდს უხვევდნენ და ზურგს აქცევდნენ ამაებს... იმათ ეგონათ, რომ განათლება ბოლოს მოუღებდა სარწმუნოებას და ამ გვარად ხელიდან გამოაცლიდათ იმ განძს, რომელიც მათ სიცოცხლეზე უძვირფასესადაც კი მიაჩნიათ ხოლმე...

მით უფრო სასიამოვნოა, მაშასადამე, რომ ამ ტყუილის შიშის უსაფუძვლობა თვითონვე სცნეს ებრაელებმა და მხნედ შეუდგნენ თავის ცხოვრების განახლების და გადახალისების საქმეს... როგორც ბუნებითნიჭიერი და ყოველგვარის სულიერისთვისებებით უხვად მოჭმადლებული ერი, იგი გამოიჩინს თავს ვაჭრობაში, მოხელეობაში, მეცნიერობაში და მწერლობაშიც... თუ კი ევროპაში ამდენი სახელ-განთქმულია და გამოჩენილი მწერლები და მეცნიერებია ებრაელებთაგანი, ნუ თუ ჩვენი ებრაელები იმავე ტომის არ არიან, რომ ჩამორჩენ მათ უკან და არ ისახელონ თავი?“¹

ავტორი ამ შემთხვევაში ქართველ ებრაელთა ორმაგ იდენტობაზე საუბრობს: ერთი მხრივ, ისინი კულტურულად ქართველები არიან, ხოლო მეორე მხრივ, „ტომით“ ანუ ეთნიკურობით – ებრაელები, რაც მათ აკავშირებს ევროპელ და სხვა ებრაელებთან. ხაზგასმული ფრაგმენტი კი 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნარატივის ერთ-ერთი არსებითი იდეის წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ. სავარაუდოდ, სწორედ ამ პერიოდან იწყება 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნარატივის ჩამოყალიბება. უფრო გამოკვეთილად ეს იდეა შემდეგ ფრაზაში ჩანს:

„გვიკვირს, რომ ქრისტიანის სისხლის ხმარება ებრაელთა შორის სჯერათ იმ გვარ პირთა, რომელნიც ყურს არ უნდა უგდებდნენ ამ გვარ საზიზღარს ცილის წამებას... დამასკის,

¹ ილია ხონელი. ფელეტონი. „ივერია“, 1886, № 198, გვ. 2-3.

სარატოვის, ქუთაისის და ვენგრის პროცესებმა ამ საქმის შესახებ ნათლად დაგვანახვა ამ საქმეში სიმართლე ებრაელთა. **ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ჩვენმა ხალხმა, რომელსაც ოცდა-ექვსი საუკუნის განმავლობაში მყუდრო და მშვიდი განწყობილება ჰქონია ურიებთან, მიბაძოს სხვებს.** დღემდე თუ დაგვიცვამს მოყვასის სიყვარული, დღეის შემდეგ უფრო გვმართებს არ ვუმტყუნოთ ჩვენთ ნინაპართა ანდერძა“!¹

ქართველთა და ებრაელთა ურთიერთმიმართებაზე საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ნიკო ხიზანაშვილი (ფსევდ. Plebs):

„ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე ებრაელი საქართველოში დასახლდა და, რასაკვირველია, გაქართველდა. მაგრამ ეს გაქართველება თავისებურად მოხდა. ებრაელმა შეითვისა მხოლოდ ქართული ზნე, ჩვეულება და ენა. თორაში (სალოცავია და სკოლა) ლოცვის დროს ხახამი დაბადებას და სხვა წიგნს ჯერ ებრაულად უკითხავს და მერე ქართულად უთარგმნის მლოცველებს. იგივე ხახამი შეგირდებს ქართულის ენის საშუალებით ასწავლის ებრაულსა. კარგი და პატიოსანი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს გაქართველებული ებრაელი მაინც სულითა და გულით ქართველი არაა. ამ ებრაელისთვის საქართველო დროებითი ბინაა, მეტად ტურფა და სასიამოვნო სამყოფია, მაგრამ სამშობლოს მაინც არ შეადგენს. თვითოეული ქართველი ებრაელი თავისებური სიონისტია და ღრმად დარწმუნებულია, რომ მოვა მესხია და ისრაელიც ხელმეორედ პალესტინაში დამკვიდრდება. მიზეზიც აქ არის, რომ ეგრედ წოდებულმა სიონიზმმა საქართველოშიაც ასე ადრე ფეხი მოიკიდა“.²

მეტად საინტერესო ხედვაა, თუმცა უნდა ითქვას, რომ 1910-იან წლებში უკვე საკუთრივ ებრაელებს – სიონისტებსა და ასიმილატორებს შორის გაიშალა პოლემიკა იმის შესახებ, თუ ვინ არიან ორმაგი ეთნონიმის მქონე ქართველი ებრაელები, მოსეს რჯულის ქართველები, რომელთაც ქართველთაგან მხოლოდ სარწმუნოება განასხვავებს (ასიმილატორების პოზიცია), თუ მსოფლიო ებრაული დიასპორის ნაწილი, რომლის მიზანი ებრაული სახელმწიფოს აღდგენა

¹ ა. ა. „დროების“ კორრესპონდენცია ქუთაისიდან. „დროება“, 1884, № 166, გვ. 3.

² Plebs. ჩვენებური ებრაელობა. „ივერია“, 1902, № 141, გვ. 2.

და პალესტინაში დაბრუნებაა (ეს საკითხი დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული). აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ქართველ ებრაელ სიონისტთა პოზიცია ფრთხილი და ნაკლებად კატეგორიული იყო. სიონისტები და მათი ლიდერი დავით ბააზოვი იძულებული იყო, ანგარიში გაენია იმ პერიოდისათვის უკვე დამკვიდრებული შეხედულებისათვის ქართველთა და ებრაელთა შორის ისტორიული მეგობრული თანაცხოვრების შესახებ. ამიტომ ნიკო ხიზანაშვილის მოსაზრება ქართველ ებრაელთა შესახებ ლოგიკურია, რადგან ქართველი ებრაელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სარწმუნოების პრინციპების, სიონისა და იერუსალიმის ხსოვნის ერთგულებით; თუმცა პარადოქსულია, რომ ამავე დროს ისინი (მათი დიდი ნაწილი რაბინთა ლიდერობით) საქართველოს მეორე სამშობლოდ მიიჩნევდნენ და სიონიზმს ეწინააღმდეგებოდნენ არა რელიგიური დოგმატიკისადმი ერთგულების გამო, არამედ იმიტომ, რომ ქართველთა და ებრაელთა შორის ისტორიული კავშირის დარღვევის მონინააღმდეგენი იყვნენ.

ბოლოს, საქართველოში ებრაული იდენტობის ფორმირების კონტექსტში გვინდა განვიხილოთ ორი ტექსტი, რომლებიც თავად ებრაელ ავტორებს ეკუთვნის. ეს პუბლიკაციები უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგამ ამ პერიოდის ჩვენთვის ცნობილ ტექსტებს შორის მხოლოდ ეს ორი გამოხატავს საკუთრივ ებრაულ პოზიციას საკუთარი იდენტობისა და ქართულ სივრცესთან მიმართების შესახებ. პირველი ეკუთვნის ებრაელ ავტორ ზაქარია გაბრიელასშვილს. ავტორი ეხება 1879 წლის თბილისის სინაგოგასთან ორკლასიანი სასწავლებლისა და პანსიონის გახნას. იგი აღნიშნავს ამ ფაქტის გადაუჭარბებელ მნიშვნელობას, თუმცა, ამავე დროს, საუბრობს ერთ, მისი აზრით, არსებით ხარვეზზე. კერძოდ, იმ გარემოებაზე, რომ სკოლის სასწავლო პროგრამა ქართული ენის სწავლებას არ ითვალისწინებს. ავტორი ასაბუთებს ქართული ენის ფლობის აუცილებლობას „საქართველოს ებრაელებისათვის“. მისი არგუმენტები ასეთია: 1) ქართული ენა მათ შეთვისებული აქვთ, როგორც მშობლიური; 2) ქართული ენა აუცილებელია ვაჭრობისათვის, რაც ებრაელთა საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს. 3) ისინი არ ფლობენ ებრაულ და რუსულ ენებს, შესაბამისად, ამ ენებზე განათლების მიღება ებრაელი მოზარდებისათვის შეუძლებელია. უკანასკნელი არგუმენტით კი ავტორი ქართველი ებრაელების საქართველოსთან მჭიდრო კავშირს უსვამს ხაზს:

„იქნება ჩვენმა უმაღლესმა პირებმა ქართული ენა ჩვენ ენათ არ ჩათვალონ და მისთვის არ შეიტანონ ჩვენს სასწავლებელში; ამის გამო მივმართავთ კავკაზის სამასწავლებლო მზრუნველს უფ. იანოვსკის, რომ გვიშუამდგომლოს ამ საქმეში და პირველ დაწყებით ჩვენს ყმანვილებს ქართულს ენაზე ასწავლონ, რადგამაც ესენი აქ აღზრდილან, აქ დაბადებულან და აქვე დაიხოცებიან“.¹

ტექსტიდან ჩანს, რომ იდენტობის ფორმირების საწყის ეტაპზე ებრაული თვითაღქმა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ კულტურულ სივრცესთან. შესაძლოა, სწორედ ამან ითამაშა გარკვეული როლი იმაში, რომ 1910-იან წლებში დავით ბააზოვის მიერ სიონისტური მოძრაობის დაწყება საქართველოში განიხილებოდა, როგორც ქართველთაგან ებრაელების ჩამოშორებისა და დაცილების მცდელობა. ასეთ ბრალდებების გამო, დ. ბააზოვს არაერთხელ მოუწია საკუთარი პოზიციების დაცვა და თავის მართლება.

საყურადღებოა ზ. გაბრიელასშვილის სტატიის დაწერის დრო. ის გამოქვეყნებულია 1879 წლის 4 მარტს, ქუთაისის პროცესის დაწყების წინა დღეს. სტატიაში ეს გახმაურებული ფაქტი მხოლოდ გაკვირით არის ნახსენები („რაბინი ჩამოგვივიდა პარიჟიდან და ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება; როგორც მოგეხსენებათ ის უფრო იმისთვის მოსულა, რომ დაესწრას ურიების საქმეს და შემდეგ კი სამუდამოთ თფილისში დარჩება“). საქართველოს ებრაელებისთვის ეს, შეიძლება ითქვას, უკიდურესად დაძაბულ პერიოდი იყო. სერგეი მესხის სიტყვებით, „ურიების ბედი და უბედობა, იმათი არსებობა ან ფეხისამოკვეთა ჩვენს ქვეყანაში ამ საქმეზედ არის დამოკიდებული“.² ამ გარემოებების გათვალისწინებით, კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება ავტორის მიერ გამოთქმული პოზიციის მნიშვნელობა.

1882 წელს გაზეთმა „დროებამ“, ქუთაისის ცხოვრების სხვა სიახლეებთან ერთად, გამოაქვეყნა რაბინ არონ ელუაშვილის ქადაგების ტექსტი. პუბლიკაციის თანახმად, ქადაგებაში რაბინი მრევლს ესაუბრა სარგებლით ფულის გასესხების შესახებ: „პატივცემული რაბინი ზნეობითის და რჯულის კანონების დასაბუთებით უმტკიცებდა თავის

¹ გაბრიელასშვილი, ზაქარია. *წერილი რედაქტორთან*. „დროება“, 1879, № 48, გვ. 3-4.

² ს.მ. ურიების საქმე. „დროება“, 1879, № 38, გვ. 1.

მრევლს, რომ ვინც მათ შორის ფულს ასესხებენ, ვალდებულნი არიან არამც და არამც არ აიღონ თუმანზე აბაზისა ანუ ექვსი შაურის მეტი“.¹

ქუთაისის რაბინის ეს მოწოდება ადვილი ასახსნელია იმ პერიოდის კონტექსტიდან გამომდინარე: მზარდი უკმაყოფილება ებრაელების მიმართ, გახშირებული სისხლის ცილისწამების ფაქტები. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ ცდილობს რაბინი მრევლის დარწმუნებას. ის ზომიერებისაკენ მოუწოდებს სამწყსოს, თუ არ სურთ, რომ მოიმდურონ ქართველები, ანუ „ის ხალხი, რომელმაც ასე გულ-ლიად მიიღო და შეიწყნარა დასაბამიდგანვე დევნილი ძენი ისრაელისანი“.² სავარაუდოდ, რაბინმა ეს სიტყვები მიზანმიმართულად წარმოთქვა არა იმდენად ან არა მხოლოდ თავისი სამწყსოს, არამედ სწორედ იმ ხალხის საყურადღებოდ, რომელთაგან დავალებულად მიიჩნევს ებრაელებს. ამ მოსაზრებისაკენ გვიბიძგებს ის, რომ გაზეთში ქადაგების გამოქვეყნების მსურველი თავად რაბინია: „ებრაელთ რაბინი ბ. არონ ელიაშვილი გვთხოვს მკითხველთ საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ იმ ქადაგებაზე, რომელიც მას წარმოუთქვამს წარსულს შაბათს სინაგოგაში“.³ ამავე დროს, ადვილი შესამჩნევია, რომ რაბინი ელუაშვილის სიტყვები ქართველების მიერ ებრაელების შეწყნარების შესახებ შეესაბამება ქართველი ავტორების პათოსს ქართველების მიერ ებრაელების შეფარებისა და საუკუნოვანი მშვიდობიანი თანაარსებობის თაობაზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რაბინი ცდილობს მოთავსდეს ჩამოყალიბებული რიტორიკის ფარგლებში.

ყველა ზემოთ მოყვანილი ციტატა ამოღებულია პუბლიკაციებიდან, რომლებიც იმ პერიოდში არსებულ წინააღმდეგობებსა და სირთულეებს გვერდს არ უვლიდა, არამედ სწორედ მათი გათვალისწინებით იწერებოდა. შემდგომ პერიოდში, როგორც ითქვა, ეს ან სხვა მსგავსი იდეის მატარებელი ფრაზები კონტექსტის გაუთვალისწინებლად შემორჩა მეხსიერებას სხვადასხვა მოგვიანო შრომებისა და პუბლიკაციების წყალობით, რამაც საბოლოო სახე მისცა და ჩამოაყალიბა 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნარატივი.

¹ ქუთათური ამბები. „დროება“, 1882, № 93, გვ. 2.

² იქვე.

³ იქვე.

4.4. თვითიდენტიფიკაციის საკითხი ქართველ ებრაელთა შორის

ქართველ ებრაელთა იდენტობის კვლევის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა 1910-იან წლებში გამოქვეყნებული ტექსტები. მათი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, ამჯერად „ეროვნული თვით-გამოკვლევის“ საკითხი თავად ებრაელების განსჯის საგანი გახდა. ეს საინტერესო ტერმინი აღებულია იმ დროის ებრაელი ავტორის ტექსტიდან¹, რაც ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად გააზრებულად და კონცეპტუალურად იყო დასმული თვითიდენტიფიკაციის პრობლემა. აქვე ჩანს ავტორის მოსაზრება ამ პრობლემის აქტუალურობის შესახებაც: „ეხლა რომ ... დაეკითხოთ ჩვენს ებრაელებს, ვინა ხარო — ფრიად დიდი უმრავლესობა გიპასუხებთ: „ურია ვარ, ბატონო, ურია“, მცირედი ნაწილი — „ებრაელი ვარ“ და იშვიათ შემთხვევაში კი — „ქართველი ებრაელი“, ან „ქართველი მოსეს მოძღვრების მიმდევარი“. ამის მიზეზია თავის ვინაობის გამოურკვეველობა და ეროვნული თვითშეუგნებლობა“;² „ბუნებრივმა სურვილმა ჩვენი **რაობისა და ეროვნული სახის** (ხაზგასმა ავტორისაა — ქ.კ.) გამორკვევისა გვაიძულა ხელი მიგვეყო ჩვენი წარსულისა და ისტორიული დოკუმენტების გამოკვლევისათვის.“³

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი აღნიშნავს: „ქართველმა ისრაელობამ გაიღვიძა და სცდილობს გამოარკვიოს თავისი ვინაობა, რაობა და იდეალი“.⁴ სწორედ ეს საკითხი გახდა მწვავე პოლემიკის საგანი; შეიქმნა ქართველ ებრაელთა იდენტობის ორი ურთიერთდაპირისპირებული კონცეფცია, რომელთა ძირითადი დებულებები

¹ ხანანაშვილი, მიხაკო. *ცოტა რამ ქართველ ებრაელების შესახებ*. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 477, გვ. 3; ხანანაშვილი, მიხაკო. *ცოტა რამ ქართველ ისრაელთა შესახებ*. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 669, გვ. 2.

² ხანანაშვილი, მიხაკო. *ცოტა რამ ქართველ ებრაელების შესახებ*. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 477, გვ. 3.

³ ხანანაშვილი, მიხაკო. *ცოტა რამ ქართველ ისრაელთა შესახებ*. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 674, გვ. 3.

⁴ „სამშობლო“, 1916, № 392, გვ. 2. რედაქტორის შესავალი წანამძღვრებული იოსებ ხანანაშვილის სტატიისათვის „იძულებითი განმარტება. ქართველ ისრაელების საყურადღებოდ“.

ჩამოყალიბებულია რაბინ დავით ბააზოვისა და მისი ოპონენტების — იოსებ და მიხაკო ხანანაშვილების პუბლიკაციებში. ნაშრომის ეს ნაწილი ამ კონცეფციების განხილვას ეთმობა.

მთავარი და არსებითი განსხვავება თვითიდენტიფიკაციის ორ მოდელს შორის იყო შემდეგი: დავით ბააზოვი (და მისი თანამოაზრეები, რომელთაც ოპონენტები *სიონისტებად* მოიხსენიებდნენ) ქართველ ებრაელებს განიხილავდნენ, როგორც მსოფლიო ებრაული დიასპორის შემადგენელ ნაწილს ეთნიკური, რელიგიური და კულტურული თვალსაზრისით. მათი მოწინააღმდეგეები (ძმები ხანანაშვილები, რომელთაც დ. ბააზოვი *ასიმილატორებს* უწოდებდა, ადარებდა რა მათ შეხედულებებს მოსე მენდელსონისა და მისი მიმდევრების იდეებს) ასაბუთებდნენ, რომ ქართველი ებრაელები „სჯულით ისრაელნი და ეროვნებით ქართველნი“¹ არიან, შესაბამისად, მათ მხოლოდ სარწმუნოება აკავშირებს მსოფლიო ებრაელობასთან, ქართველებთან საუკუნოვანი თანაცხოვრების გამო კი „ეროვნულად“ ისეთივე ქართველები არიან, როგორც მართლმადიდებლები, ან მუსლიმი, კათოლიკე და გრიგორიანი ქართველები.

დაპირისპირებულ მხარეთა კამათისას გამოიკვეთა უაღრესად საინტერესო შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავს „ეროვნებას“, შესაბამისად, რას შეიძლება ეყრდნობოდეს ქართველ ებრაელთა იდენტობა. განსაკუთრებით მწვავედ დადგა სარწმუნოების, როგორც „ეროვნების“ განმსაზღვრელი მარკერის მნიშვნელობის საკითხი.

„ქართველი ისრაელის“ კონცეფცია. 1915 წელს გაზეთმა „სახალხო ფურცელი“ რამდენიმე ნომერი დაუთმო თევდორე (თედო) ლლონტის სტატიას „ქართველობის მთლიანობა“. ამ ნაშრომში ავტორი, საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ცდილობს გაარკვიოს, თუ როგორია თანაფარდობა „ძირითად“ ერს — ქართველებსა — და „უცხო ეროვნულ ჯგუფებს“ შორის. მისი მიზანია აჩვენოს, რომ საქართველოში ქართული ეთნიკური ჯგუფი უმრავლესობას წარმოადგენს და, შესაბამისად, საფუძვლიანია ეროვნული თვითმმართველობის (ტერიტორიულ-

¹ ხანანაშვილი, იოსებ. *იძულებითი განმარტება. ქართველ ისრაელების საყურადღებოდ*. „სამშობლო“, 1916, № 393, გვ. 2.

ეროვნული მმართველობა“) მოთხოვნაც.¹ თედო ლლონტი ნაშრომის ერთ-ერთ ნაწილში აქვეყნებს მიხაკო ხანანაშვილისაგან მიღებულ პირად წერილს; ეს უკანასკნელი ადრესატს აკრიტიკებს იმის გამო, რომ ქართველი ებრაელები მის მიერ მოცემულ სტატისტიკურ მონაცემებში ქართველებისაგან განცალკევებით არიან მოყვანილი. მ. ხანანაშვილი სწორედ ამ წერილში სვამს ქართველ ებრაელთა იდენტობის საკითხს:

„აღტაცებაში მომიყვანს ხოლმე ჩვენს („სახ. ფურც.“) გაზეთში მოთავსებული წერილები ეროვნების შესახებ და მიყენებს ხოლმე თვალწინ დიდად საინტერესო კითხვას: რომელ ეროვნებას, რომელ ხალხს ეკუთვნის ქართველი ებრაელობა? შეადგენს იგი ქართველ ერის ნაწილს თუ არა — ეროვნების და არა სარწმუნოების თვალსაზრისით, რასაკვირველია“.²

როგორც დასაწყისში აღინიშნა, ქართველ ებრაელთა იდენტობის პრობლემა წამოიჭრა კონტექსტში, რომელშიც ერთ-ერთი უმთავრესი იყო აღმსარებლობის საკითხი: განსაზღვრავს თუ არა სარწმუნოება ეთნიკურ იდენტობას, შესაბამისად, შეიძლება თუ არა არამართლმადიდებელი ქართველები ქართული ერთობის, ქართველი ერის ნაწილად განიხილებოდნენ? ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი, ზოგი კარგად, ზოგი კი ნაკლებად ცნობილი ნაშრომია შექმნილი. ამჯერად გვინდა თედო ლლონტის ამავე სტატიაში მოცემული საინტერესო თვალსაზრისი მოვიყვანოთ, რომელმაც, სხვა მრავალთან ერთად, საფუძველი შეუქმნა ხანანაშვილების კონცეფციას. თ. ლლონტი მიჯნავდა „ხალხისა“ (ეთნოსის) და „ეროვნების“ ცნებებს და აღნიშნავდა, რომ „**ხალხი** არის კუთვნილება ერთ ეთნოლოგიური ჯგუფის, რომელსაც ენა აერთებს, **ეროვნება** კი სულიერი და კულტურული ერთობის კუთვნილებაა“. იგი ინდივიდის ეროვნულ თვითიდენტიფიკაციას მისი „სულიერ-კულტურული ნების“ გამოხატვად მიიჩნევდა და, შესაბამისად, მიაჩნდა, რომ „არც გრიგორიანის, არც მოსეს, არც მაჰმადის მოძღვრება, არც სრული რელიგიური სკეპტიციზმი შეუშლის ხელს ადამიანს იყოს ქართველი, ან სხვა რომელიმე ეროვნების ადებტი.

¹ ეს სტატია გაზეთმა 5 ნაწილად გამოსცა. ჩვენ შევძელით მიგვეკვლია მხოლოდ სამი — პირველი, მეოთხე და მეხუთე ნაწილისათვის: ლლონტი, თევდორე. ქართველობის მთლიანობა. „სახალხო ფურცელი“, 1915, № 279, 315, 316.

² ლლონტი, თევდორე. ქართველობის მთლიანობა. „სახალხო ფურცელი“, 1915, № 315, გვ. 3.

ამიტომ მოსეს რჯულის ადამიანის აღსარება, რომ ის სულიერად და კულტურულად ენათესავება ქართველობას — როგორც ეროვნებას — სავსებით საკმაოა, რომ კოლექტივი აგეთი ინდივიდუუმებისა სტატისტიკურ ციფრში მოვაქციოთ, მაგრამ ასე შეგვიძლიან მოვიქცეთ მხოლოდ მაშინ, როცა აღწერას ვახდენთ და ადამიანსაც საშუალებას ვაძლევთ, ცხადჰყოს თავისი ეროვნული ნებისყოფა — საზოგადოდ“.¹

ქართველი ებრაელების არამართლმადიდებელ ქართველთა რიგში მოხსენიების რამდენიმე შემთხვევა ადრეც იყო. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ზემოთ განხილული ზოგიერთი პუბლიკაცია: გრიგოლ ვოლსკის „ებრაელების საქმე ჩვენში“ („დროება“, 1883, №186, გვ. 1-3), ანტონ ფურცელაძის 1895 წლის ქუთაისის მოვლენებთან დაკავშირებული სტატია („ივერია“, 1895, №246, გვ. 1) და კლდიას „სხვა რჯულის ქართველი განა არ ქართველობს?“ („ივერია“, 1903, №25, გვ. 2).

სწორედ ამავე ჭრილში განიხილავდნენ იოსებ და მიხაკო ხანანაშვილები ქართველ ებრაელთა იდენტობის საკითხს. იოსებ ხანანაშვილი წერდა:

*„შეიგნეს ქართველმა მაჰმადიანებმა თავისი ვინაობა და აღარ იძახიან ძველებურის დაუკვირვებლობით „ჩვენთათრები ვართო“, ჩანვდნენ ქართველი კათოლიკეებიც, რომ „ფრანგები“ არ არიან. არ კარგავენ თვალთახედვას ქართველი გრიგორიანებიც და არც „სომხებად“ ნათლავენ თავის თავს. არა ნაკლებ საგულისხმიერო შეიქმნა ქართველი ისრაელების გამოღვიძებაც და, პრესის საშუალებით თუ სიტყვიერად, ყოველი მათგანი გრძნობს უკვე და ეს გრძნობა შეგნებულად იქცევა თანდათანობით, რომ ის არ არის ებრაელი, არამედ **ქართველი** (ხაზგასმა ავტორისაა — ქ.კ.) ეროვნებით, მალიარებელი ისრაელის სარწმუნოებისა.“²*

¹ ლლონტი, თევდორე. ქართველობის მთლიანობა. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 315, გვ. 3. იგივე აზრს იმეორებს თ. ლლონტი ნაშრომის შემდეგ ნაწილშიც: „ქართველი ებრაელობა, ქართველი სომხობა და სხვ. იმ ცხრილში უნდა იქმნას მოცემული, რომელიც ქართველთა **ეროვნებას** გამოხატავს. მაგრამ მეცნიერულის სისწორით ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა საზოგადოდ გვეცოდინება ეროვნული ნაწილების ნებისგამოხატვა (волеизъявление)“ (ლონტი, თევდორე. ქართველობის მთლიანობა. „სახალხო ფურცელი“, 1915, № 316, გვ. 3).

² ხანანაშვილი, იოსებ. ქართველ ისრაელთა საკითხის გარშემო. „საქართველო“, 1916, № 179, გვ. 3.

მიხაკო ხანანაშვილი ვერ ხედავს განსხვავებას ქართველ მუსლიმებსა და ქართველ ებრაელებს შორის ეთნიკური მიკუთვნებულობის თვალსაზრისით:

„ჩვენ აჭარლებს რომ მაჰმადიანობის მაგიერ ისრაელობა მიეღოთ, განა ამით ისინი უარჰყოფდნენ თავის ქართულ ენას, ისტორიას, სამშობლოს, კულტურას და სხვა? არასოდეს! მათ ისევე შეეძლოთ ყოფილიყვნენ ქართველი ისრაელები, ე.ი. ქართველები ეროვნებით და ისრაელები სარწმუნოებით, როგორც ეხლა არიან ქართველი მაჰმადიანები, ე.ი. ქართველები ეროვნებით, მაჰმადიანები სჯულით... რჯულთა ერთობა არ ნიშნავს უსათუოთ ეროვნებათა ერთობასაც“.¹

ქართველი ებრაელების იდენტობის ამგვარი ხედვა სრულებით ახალი იყო. ახალი კონცეფცია დამკვიდრებული „ქართველი ებრაელისაგან“ განსხვავებულ თვითდასახელებას მოითხოვდა და ასეთად შეირჩა „ქართველი ისრაელი“. იოსებ ხანანაშვილი საგანგებოდ განმარტავს, რომ „ისრაელს“ ის განზრახ ხმარობს, რადგან ეს სიტყვა გამოხატავს მხოლოდ სარწმუნოებას და არა ეროვნებას. „ჩვენ, ქართველთა შორის მოსეს რჯულის მიმდევარნი, მართლაც, მხოლოდ ისრაელები ვართ და არა ებრაელები, რასაც ჩვენ შეცდომით გვინოდებენ და რომელი სიტყვაც (ებრაელი) ეროვნების გამომხატველი ტერმინია. ამიტომ, ზედმეტი არ იქნება, რომ შემდეგში ჩვენზე იხმარებოდეს ქართველი ისრაელი და არა ქართველი ებრაელი,“² — აღნიშნავს იგი.

სარწმუნოება, ი. ხანანაშვილის აზრით, არ შეიძლება ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორად განიხილებოდეს: „მომაკვდინებელი ცოდვაა **რჯულისა და ეროვნების** (ხაზგასმა ავტორისაა — ქ.კ.) ერთმანეთში განურჩევლობა“³, „რჯული არ შეადგენს ეროვნების ფაქტორს... მე მწამს რჯული, მაგრამ ეროვნების ფარგლებში ... არ შემაქვს.“⁴ ერთმორწმუნეობისათვის გადამწყვეტი

¹ ხანანაშვილი, მიხაკო. ცოტა რამ ქართველ ისრაელთა შესახებ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 669, გვ. 2.

² ხანანაშვილი, იოსებ. იძულებითი განმარტება. ქართველ ისრაელების საყურადღებოდ. „სამშობლო“, 1916, № 392, გვ. 2.

³ ხანანაშვილი, იოსებ. ქართველ ისრაელთა საკითხის გარშემო. „საქართველო“, 1916, № 179, გვ. 3.

⁴ ხანანაშვილი, იოსებ. ქართველი ისრაელის პასუხი „არა ქართველ რაბინს“. „სამშობლო“, 1916, № 410, გვ. 2.

მნიშვნელობის მინიჭების სავალალო მაგალითად მას საქართველოს რუსეთთან დაკავშირების ფაქტი მიაჩნია და ამიტომ თვლის, რომ მსგავსი შეცდომა არ უნდა დაუშვან ქართველმა ისრაელებმა და სარწმუნოების გამო არ უნდა მიიჩნიონ თავი ებრაელი ერის ნაწილად: „სწორედ ერთგვარი რჯულის ქონის მიზეზით დაადგა საქართველო სულ სხვა გზას ამ ასი წლის წინად. ამიტომ ყოველ წუთში უნდა გვახსოვდეს და არც მოვცუყედეთ, რომ რჯული რჯულია და ეროვნება – ეროვნება.“¹ ი. ხანანაშვილი დარწმუნებით აცხადებს, რომ „ჩვენი მასა „ისრაელს“ უწოდებს თავის თავს და ამ სიტყვით მართლაც რჯულს ჰგულისხმობს თავისას და არა ეროვნებას“,² „ისეთი რამის თქმა კი მე-20 საუკუნეში, რომ სარწმუნოება და ეროვნება განუყოფელიაო... მხოლოდ მთქმელის კულტურულად ჩამორჩენას მოასწავებს.“³

სიცხადისათვის ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას იმ კონცეპტუალური ჩარჩოს შესახებ, რომლის ფარგლებშიც განიხილავდნენ იოსებ და მიხაკო ხანანაშვილები ქართველ ებრაელთა იდენტობას. ისინი ოპერირებენ ცნებით *ერი/ეროვნება* არა ეთნოსის, არამედ ნაციის მნიშვნელობით. შესაბამისად, მსჯელობენ რა ქართველ ებრა-

¹ ხანანაშვილი, იოსებ. *ქართველი ისრაელის პასუხი „არა ქართველ რაბინს“*. „სამშობლო“, 1916, № 410, გვ. 2.

² იქვე.

³ ხანანაშვილი, იოსებ. *ქართველი ისრაელის პასუხი „არა ქართველ“ რაბინს*. „სამშობლო“, 1916, № 411, გვ. 2. იდეა სარწმუნოებისა და ეროვნების, როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფენომენების შესახებ იმ პერიოდისათვის ფართოდ იყო დამკვიდრებული, განსაკუთრებით არამართლმადიდებელი ქართველების იდენტობის დისკურსში. ივანე გომართელი წერდა: „დღეს კი თანდათან ფეხს იკიდებს ის ჭეშმარიტი აზრი, რომ სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა ეროვნულ მთლიანობას სრულებით არ ეწინააღმდეგება“ (გომართელი, ივანე. *ქართველი ისრაელები*. „თეატრი და ცხოვრება“, 1916, № 39, გვ. 3). შემდეგი ციტატები აჩვენებს, რომ იოსებ და მიხაკო ხანანაშვილების კონცეფცია ზუსტად იმეორებდა სარწმუნოებისა და „ეროვნულობის“ ურთიერთმიმართების ხედვას ქართველი მუსლიმების შემთხვევაში. სამსონ ფირცხალავა (ფსევდ. „სიტყვა“) მათთან დაკავშირებით წერდა: „სარწმუნოებას, როგორც ყველას მოეხსენება, დიდი ადგილი უკავია ჩვენი მაჰმადიანი ძმების ცხოვრებაში... ჩვენი პირველი მახვილი იმისთვის იქნება გალესილი, ვინც უპატიურად მოიხსენიებს ჩვენი ძმების სარწმუნოებას. მაგრამ ასევე გალესილი გვექნება მახვილი იმის წინააღმდეგაც, ვინც სარწმუნოებას ეროვნებაში აურევს და მოინდომებს სარწმუნოებით დაშორებას ღვიძლი ძმებისას“ (*სიტყვა. პატარა ამბები*. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 698, გვ. 3). ანალოგიურად, მემედ აბაშიძე (ფსევდ. „ვინმე ქართველი მაჰმადიანი“) აღნიშნავდა: „ეროვნულ საკითხებს სარწმუნოებრივი საკითხები უნდა ჩამოაშოროთ. დღევანდელმა მსოფლიო ომმა ვის არ დაუმტკიცა, რომ ეროვნება სხვაა და სარწმუნოება სხვა“ (ვინმე ქართველი მაჰმადიანი. *სარწმუნოება და ეროვნება*. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 738, გვ. 3).

ელთა ვინაობაზე, მხედველობაში ჰქონდათ მათი არა ეთნიკური, არამედ ნაციონალური იდენტობა. ეს ავტორები საკუთარი პოზიციის ასახსნელად და დასასაბუთებლად ეყრდნობოდნენ მე-19-20 საუკუნეების ევროპელ ავტორებს (ე. რენანი, მ. ვებერი, გ. იელინეკი, ფ. ლისტე და სხვები), რომელთაც შეიმუშავეს ნაციის, მისი ჩამოყალიბებისა და განმსაზღვრელი ფაქტორების კონცეფცია. ი. ხანანაშვილი, იმონებდა რა გ. იელინეკის, ფ. ლისტისა და გ. ტარდის დეფინიციებს, აღნიშნავდა, რომ ერი/ნაცია არის ერთობა,

„რომელიც შეერთებულია თავისებური კულტურის მრავალ მხრივი და მრავალ ფეროვან ელემენტებით და ერთი ისტორიული წარსულით, ... „განსაკუთრებული ენით და ლიტერატურით, ... ისტორიით, განსაკუთრებული ზნითა და ჩვეულებებით, კანონებითა და დანესებულებებით;“¹ „ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი ... შემდგარი ერთგვარ ან მრავალგვარ ეთნიკურ და სოციალურ მასალისგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ... ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა.“²

მ. ხანანაშვილი ასევე აღნიშნავდა:

„ჩვენ ვსაზღვრავდით ეროვნებას შემდეგი ფაქტორებით: 1. დედა-ენით, 2. სამშობლო-ტერიტორიით, 3. ზნე-ჩვეულებათ-ხასიათით, 4. კულტურულ-ეკონომიკური ერთობით, 5. მიზნით და მისწრაფებით, 6. ჩვენი (ქართველი ისრაელების) ისტორიული წარსულით.“³

მ. ხანანაშვილი იმონებდა ასევე არჩილ ჯორჯაძეს: „ეროვნებას ხსნის სამი ფაქტორი: ენა, ტერიტორია და ზნე ჩვეულება. სარწმუნოება კი სინდისის საქმეა, – ვისაც რა სურს ის იწამოს“.⁴

¹ ხანანაშვილი, იოსებ. ქართველი ისრაელის პასუხი „არა ქართველ რაბინს“. „სამშობლო“, 1916, № 410, გვ. 2-3.

² ხანანაშვილი, იოსებ. ვინა ვართ ქართველი ისრაელები? „საქართველო“, 1917, № 49, გვ. 2.

³ ხანანაშვილი, მიხაკო. ქართველი ისრაელები (ბააზოვის წერილის გამო). „სახალხო ფურცელი“, 1916, № 707, გვ. 2.

⁴ ლლონტი, თევდორე. ქართველობის მთლიანობა. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 315, გვ. 3.

აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, რატომ გადადის ხანანაშვილების კონცეფციაში უკანა პლანზე სარწმუნოება და რატომ ენიჭება უპირატესობა კულტურულ ასპექტებს ქართველ ებრაელთა იდენტობაზე საუბრისას. მ. ხანანაშვილი აღნიშნავდა: „ჩვენთვის ყოვლად საკმაოა ზემო აღნიშნული ფაქტორების მიხედვით აღვიართ თავი **ქართველად ეროვნებით და ისრაელად სარწმუნოებით** (ხაზგასმა ავტორისაა — ქ.კ.).“¹ იგივეს ადასტურებდა ი. ხანანაშვილიც: „აი, როგორი მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდით, როცა ვამტკიცებდით, რომ ჩვენ, ისრაელები რჯულით, ქართველები ვართ ეროვნებითაო.“²

ამასთანავე, ხანანაშვილები უგულვებელყოფდნენ შთამომავლობის, ნათესაობისა და რასობრივი ფაქტორების მნიშვნელობას ამა თუ იმ ჯგუფის ეროვნული იდენტობის განსაზღვრისას:

„ერი არა რასიული ინდივიდუალობაა, არამედ სოციალური და ფსიხოლოგიური ინდივიდუალობაც, განსაზღვრული სოციალური ორგანიზმი, რაიც უკვე ერის თავისებურებობის საფუძველია.“³ „შთამომავლობა და რასული სიმტკიცე არ შეადგენს აუცილებელ პირობას ეროვნებისას, თუ კი დანარჩენი უმთავრესი ფაქტორები (ენა, ზნე-ჩვეულება, ტერიტორია — სამშობლო, კულტურა, ისტორიული წარსული, **ეროვნული შეგნება, სულიერი ერთობა და სხვ.**) არის შეგნებული, შეთვისებული, და საუკუნოებით შესისხლხორცებული;“⁴ „ჩვენ ვფიქრობთ, რომ შთამომავლობა არ შედის ეროვნების ახსნაში, როგორც უმთავრესი ფაქტორი, თუ კი სხვადასხვა შთამომავლობის ხალხს შეუძლია ერთი სარწმუნოებისა იყოს, ... რისთვის არ შეიძლება, რომ ერთ ეროვნებას ეკუთვნოდეს სხვადასხვა შთამომავლობის ხალხი, თუ კი, რასაკვირველია, წარსული და უმთავრესი ნიშნები ეროვნებისა აერთებთ მათ?“⁵

¹ ხანანაშვილი, მიხაკო. ქართველი ისრაელები (ბააზოვის წერილის გამო). „სახალხო ფურცელი“, 1916, № 707, გვ. 2.

² ხანანაშვილი, იოსებ. ქართველი ისრაელის პასუხი „არა ქართველ რაბინს“. „სამშობლო“, 1916, № 410, გვ. 3.

³ ხანანაშვილი, იოსებ. ვინა ვართ ქართველი ისრაელები? „საქართველო“, 1917, №49, გვ. 2.

⁴ ხანანაშვილი, მიხაკო. ქართველი ისრაელები (ბააზოვის წერილის გამო). „სახალხო ფურცელი“, 1916, № 708, გვ. 2.

⁵ ხანანაშვილი, მიხაკო. ცოტა რამ ქართველ ისრაელთა შესახებ. „სამშობლო“, 1916, № 409, გვ. 3.

თუმცა ხანანაშვილები ასაბუთებდნენ იმასაც, რომ ანთროპოლოგიური მონაცემების მიხედვით, ქართველ ისრაელებს უფრო მეტი საერთო აქვთ ქართველებთან, ვიდრე ებრაელებთან.¹

ქართველ ებრაელებთან მიმართებაში ერის ზემოთ მოყვანილი კომპონენტების განხილვით ხანანაშვილები ცდილობდნენ ეჩვენებინათ, თუ რამდენად აახლოებს თითოეული მათგანი ქართველ ებრაელებს ქართველებთან და განასხვავებს მათ დანარჩენ ებრაელთაგან:

„ა) სამშობლო ჩვენი საქართველოა. მართალია, მოსულები ვართ იერუსალიმიდან, მაგრამ თვით ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანები კი არ არიან მოსული საქართველოში? ...

ბ) დედა-ენა ჩვენი ქართულია. ამას დიდი მტკიცება არ უნდა, მაგრამ მაინც მოგაგონებთ, რომ წმ. ნინოს ცხოვრება ქართველ ისრაელების... მიერ IV საუკუნეში ქართულად არის დანერილი...

გ) ზნე-ჩვეულება და ხასიათი, დაგვეთანხმეთ, რომ ჩვენ უფრო ქართული გვაქვს, ვიდრე რუს-ამერიკის ებრაელობის.

დ) კულტურულად, სოციალურად, პოლიტიკურად და ეკონომიურად ვენათესავეებით რომელს უფრო, ქართველობას, როგორც ეროვნებას თუ რუს-ამერიკის ებრაელობას?

ე) გრძნობა, ფიქრი, რწმენა, მისწრაფება გვაქვს ერთი ქართველებთან უფრო თუ რუს-ამერიკის ებრაელობასთან?

ვ) ჩვენი ისტორია, წარსული? მართლაც ბევრ რამეს საგულისხმიეროს გვეუბნება ქართული ისტორია და, უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ჩვენი წინაპრების რაბინები და აგრეთვე ქართველი ერის მოწინავენი ასე გადაგვარებულად არ სწყვეტდნენ ჩვენს და ჩვენ მოძმე ქართველ ქრისტიანების საკითხს. საკმარისია მოვიგონოთ ბაგრატიონთა დინასტია, რომ სიამაყით ვთქვათ: „ჩვენ ქართველი ისრაელები ვართ“.²

ხანანაშვილები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მშობლიურ ენას, როგორც ნაციონალური იდენტობის უმთავრეს კომპონენტს („ანინდელ ეროვნებათა დაყოფაში სარწმუნოებამ

¹ იქვე, გვ. 2; ხანანაშვილი, მიხაკო. ცოტა რამ ქართველ ისრაელთა შესახებ. „სამშობლო“, 1916, № 432, გვ. 4; ხანანაშვილი, იოსებ. ვინა ვართ ქართველი ისრაელები? „საქართველო“, 1917, № 49, გვ. 2.

² ხანანაშვილი, მიხაკო. ცოტა რამ ქართველ ისრაელთა შესახებ. „სამშობლო“, 1916, № 409, გვ. 2. იხ. ასევე ხანანაშვილი, მიხაკო. ცოტა რამ ქართველ ებრაელების შესახებ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 477.

ყველა ფაქტორზე ნაკლები მნიშვნელობა იქონია. ენა კი უმთავრესი ფაქტორია ადამიანთა ერთი მეორისადმი დამოკიდებულებაში;¹ „ენა ყველაზე მეტ როლს თამაშობს მაშინ, როცა გინდათ გაიგოთ, კაცი რა ეროვნებას ეკუთვნის“²). ქართულს ისინი მიიჩნევდნენ მშობლიურ, ხოლო ებრაულს — სარწმუნოების ენად:

„ჩვენ კი ხომ მხოლოდ ქართული ენა გვაქვს, ქართულად ვსწერთ (ახლა კი არა და 20 საუკუნის წინადაც), ქართულად ვენევით ვაჭრობა მრეწველობას, ქართულ ენაზე ვზრდით შვილებს და სხვა. (მაშასადამე კი ვყოფილვართ ძალიან ბევრით განსხვავებული რუსის ებრაელებისგან).³

„ებრაული ენით მე შევდივარ სალოცავში და უფალს ვადიდებ, ქართული მშობლიური ენით კი, რომელიც სისხლში და ძვალ-რბილში მაქვს გაჟღენთილი და რომელიც ზედმინევენით მესმის, მე ვსარგებლობ ჩვენი ლიტერატურის გასაცნობათ.“⁴

მკაფიოდ საზღვრავდა ქართული და ებრაული ენის როლს ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში მიხაკო ხანანაშვილი:

„უაზრობაა იმის მტკიცება, რომ ჩვენი ეროვნული ენა „ლაშონ აკოდეშია“ [წმინდა ენა], რადგან ... ამ ენაზე ვსწავლობთ ბიბლიას, თალმუდს მიშნეთს და სხვ. ... რიღას წმინდა ენა იქნებოდა ჩვენი საღვთისმსახურო ენა, თუ მაგ ენაზე არ ვისწავლეთ ჩვენი სჯული: „დაბადება“ და „თალმუდი“. მხოლოდ რომ გაგვეგებოდეს რასა ვსწავლობთ, გვიხსნიან ჩვენს დედა-ენა ქართულზე... ლოცვებსაც... წმინდა ენაზე ვლოცულობთ. მხოლოდ რომ გაგვეგებოდეს რასა ვლოცულობთ, გვითარგმნიან მშობლიურ ენაზე — ქართულად. ქადაგება ჩვენს სალოცავებში ქართულადაა“.

... ჩვენი სალაპარაკო, საეკონომიო, საპოლიტიკო, სალიტერატურო და საყოველთაო ენა ათას წლობით... არის ქართული, ხოლო „წმინდა ენა“ — სამლოცველო.“⁵

¹ ხანანაშვილი, იოსებ. ქართველი ისრაელის პასუხი „არა ქართველ რაბინს“. „სამშობლო“, 1916, № 410, გვ. 3

² იქვე.

³ იქვე.

⁴ ხანანაშვილი, იოსებ. იძულებითი განმარტება. ქართველ ისრაელების საყურადღებოდ. „სამშობლო“, 1916, № 392, გვ. 3.

⁵ ხანანაშვილი, მიხაკო. ქართველი ისრაელები (ბააზოვის წერილის გამო). „სახალხო ფურცელი“, 1916, № 709, გვ. 2.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი შემდეგი სიტყვები:

„დღიდან ქართული ენის წარმოშობისა, მას აქეთ 23 საუკუნეა ჩვენ ვგრძნობთ ქართულ ენაზე (ხაზგასმა ჩვენია — ქ.კ.). ეს უკანასკნელი დანარჩენ ქართველებზე არა ნაკლებ ჩვენთვის იყო, არის და იქნება ნამდვილ დედა ენათ ...“¹

ხანანაშვილების მეორე მთავარი მიზანი იყო იმის დასაბუთება, რომ, მიუხედავად საერთო მრწამსისა, ქართველი ისრაელები არ შეადგენენ „სხვა ებრაელებთან ერთ ოჯახს ეროვნულად.“² ისინი აღიარებდნენ სარწმუნოების მნიშვნელოვან როლს საზოგადოების ცხოვრებაში, მაგრამ, ამავე დროს, თვლიდნენ, რომ მას „არ ძალუძს დაარღვიოს ის ერთობა, რომელიც რამოდენიმე ათასი წლის განმავლობაში შეუქმნია ერთ სამშობლოს, ისტორიულ წარსულს, ენას.“³

„მართალია, რჯული, სარწმუნოება ჩვენ ყველას [ებრაელებს] ერთი გვაქვს, მაგრამ ნუ თუ პოლონელები, იტალიელები, ფრანგები, ქართველი ან გერმანელი კათოლიკენი ერთ ეროვნებით ეკუთვნიან მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ესენი კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებენ?... განა ჩვენი მოძმე ქართველები მხოლოდ იმიტომ არიან ქართველები, რომ

¹ ხანანაშვილი, მიხაკო. ცოტა რამ ქართველ ისრაელთა შესახებ. „სამშობლო“, №432, გვ. 4; იგივე აზრს იმეორებს ავტორი სხვა პუბლიკაციაშიც: „დღიდან ქართული ენისა და ლიტერატურის გაჩენისა (მე-3 საუკუნე ქ.წ.), ჩვენ ვლაპარაკობთ, ვწერთ და ვფიქრობთ ქართულად, ქართულად და კიდევ ქართულად!“ (ხანანაშვილი, მიხაკო. ცოტა რამ ქართველ ისრაელთა შესახებ. „სახალხო ფურცელი“, 673 №, 1916, გვ. 2).
² ებრაელების მიერ ქართულის, როგორც მშობლიური ენის გააზრების თვალსაზრისით, საინტერესოა გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებული „ქართველ ებრაელის სიტყვა“. ეს გამოსვლა ეკუთვნის სტუდენტ ელიგულაშვილს, რომელიც მან სინაგოგაში აკაკის გარდაცვალების გამო გადახდილ პანაშვიდზე წარმოთქვა. ის აღნიშნავს: „ჩვენთვის, ქართველი ებრაელებისთვისაც, რომლებიც საუკუნოების განმავლობაში ისტორიულად შეისისხლხორცებულნი ვართ ქართველ ერთან, რომლებისთვისაც ქართული ენა ითვლება მშობლიურ ენათ და აღზრდილნი ვართ ქართველ მწერლების ნაწარმოებზედ, ეჭვი არ არის, დიდ დანაკლისათ უნდა ჩაითვალოს დიდებულ მგოსნის გარდაცვალება. ... კიდით კიდამდე ძაძით შემოსილი საქართველო ფიცსა სდებს დიდებულ ცხედრის წინაშე, რომ მის ნაკარნახევ იდეალებსა და აზრებს არ უღალატოს და საქმეთ აქცევს. ჩვენც, ქართველი ებრაელნი, სიხარულით ვეგებებით ქართველ ერის ასეთ გულისთქმას და მოზარდი თაობა ებრაელებისა ვეცდებით ჩვენი წვლილიც შევიტანოთ ჩვენთვისაც სამშობლო ქვეყნის საბედისწეროთ“ („სამშობლო“, 1915, № 4). ტექსტი, განსაკუთრებით კი ბოლო მონაკვეთი, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ცხადყოფს პერიოდისათვის მიღებულ შეხედულებას ქართველი ებრაელების საქართველოსა და ქართულ კულტურასთან მიმართების შესახებ.

² ხანანაშვილი, იოსებ. ქართველი ისრაელის პასუხი „არა ქართველ რაბინს“. „სამშობლო“, 1916, № 410, გვ. 3.

³ ხანანაშვილი, მიხაკო. ქართველი ისრაელები (ბააზოვის წერილის გამო). „სახალხო ფურცელი“, 1916, № 708, გვ. 2.

ქრისტეს რჯულს აღიარებენ, თუ ქართველი აღნიშნავს მხოლოდ ეროვნებას? ან რა შუაშია აქ სარწმუნოება? მაშასადამე ჩვენ, ისრაელ ქართველებს, რათ გვნათლავთ არა ქართველებათ? ნუ თუ იმიტომ, რომ მოსეს თორა გვნამს?¹

„ნუ თუ თქვენთვის (მიმართავს დ. ბააზოვს – ქ.კ.) ჯერ კიდევ უხილავი რამაა ის გარემოება, რომ ქართველი ისრაელის გულის ნადები და სულის კვეთება (ფსიხოლოგია) სულ სხვაფერია, ვიდრე რუსის ისრაელისა? განა ვერ ხედავთ, ყოველი ჩვენგანი ისე ვერ შევთვისებვართ რუსის ებრაელს, როგორც თვით რუსს ან პოლონელს?... მე მოძმე ქართველებთან უკეთა ვგრძნობ თავს, ვიდრე ... უცხო რუს-ამერიკის ებრაელებთან.“²

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხანანაშვილები ასკვნიან:

„ჩვენ (ქართველი ისრაელები – ქ.კ.) ქართველი ერის ერთი სხეულთაგანი ვართ... ჩვენ ქართველებთან სიკვდილს ვამჯობინებდით, ვიდრე თავისუფალ და გაცილებით მეტს კულტუროსან შვეიცარიელებთან; მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიკვდილიც ქართული იქნება. ქართველი ქრისტიანი და მაჰმადიანისგან ყოველთვის უფრო მეტ სანუგეშოს მოველით ჩვენ, ვიდრე რუსეთის ებრაელებისგან, რადგანაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ 20 საუკუნეზე მეტი... ნუ თუ თქვენ (მიმართავს დ. ბააზოვს — ქ.კ.) მტკიცება გჭირდებათ იმისი, რომ მე ქართული ენა, ქართული კულტურა, ზნე ჩვეულება და სხვა უფრო მესმის და გამეგება და ყოველთვის გავიგებ, ვიდრე რუსის ან სხვა ებრაელების?“³

საკუთარი პოზიციის გასამყარებლად იოსებ ხანანაშვილს მოჰყავს მაგალითები იმისა, თუ რამდენად დიდია ყოფით დონეზე გათიშულობა ქართველ ებრაელებსა და ამკენაზებს შორის (განცალკევებული სინაგოგები, შერეული ქორწინებების არარსებობა⁴), რაც, მისი აზრით,

¹ ხანანაშვილი, იოსებ. ქართველი ისრაელის პასუხი „არა ქართველ რაბინს“. „სამშობლო“, 1916, № 410, გვ. 3.

² იქვე.

³ ხანანაშვილი, იოსებ. იძულებითი განმარტება. ქართველ ისრაელების საყურადღებოდ. „სამშობლო“, 1916, № 393, გვ. 2.

⁴ ხანანაშვილი, იოსებ. ვინა ვართ ქართველი ისრაელები? „საქართველო“, 1917, №49, გვ. 2-3.

საფუძვლიანი არგუმენტია იმის საჩვენებლად, რომ სარწმუნოებრივი ერთიანობა არასაკმარისი საფუძველია ეროვნული სოლიდარობისათვის. ამის საპირისპიროდ კი, როგორც მიხაკო ხანანაშვილი წერს, „ჩვენ – ქართველ ქრისტიანებს და მოსეს მოძღვრების მიმდევარ ქართველებს გვაქვს ერთი ძვირფასი სამშობლო, დედა ენა, ერთი წარსული, იმედიანი მომავალი, ერთი რწმენა, მისწრაფება“.¹

და ბოლოს, ხანანაშვილების აზრით, „ქართველი ისრაელებისა“ და „რუსის ებრაელების“ ერთ ერთად გააზრება არა მხოლოდ გაუმართლებელია, არამედ საზიანოც პირველთათვის, რადგან მათ ამ განურჩევლობის გამო დაკარგეს ყველა კანონიერი უფლება და ისეთივე დევნილებად იქცნენ, როგორც რუსეთის ებრაელები.²

იოსებ და მიხაკო ხანანაშვილების კონცეფციას თანამოაზრეები ქართველ ინტელექტუალთა შორისაც ჰყავდა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს თედო ლლონტის ზემოთ ხსენებული პუბლიკაცია. 1916 წელს ივანე გომართელმა გაზეთში „თეატრი და ცხოვრება“ გამოაქვეყნა სტატია „ქართველი ისრაელები“, სადაც იგი იზიარებდა ხანანაშვილების შეხედულებას ქართველ ებრაელთა იდენტობის შესახებ. მისი აზრით, ქართველი ისრაელი შერეული წარმოშობისაა, მათ წინაპრებში ქართველებიც არიან და ებრაელებიც. ასეთი შერევა გამოიწვია სარწმუნოებრივმა ერთიანობამ: საქართველოში ქრისტიანობამდე მოსულმა ებრაელებმა საკუთარი სარწმუნოება გაავრცელეს ქართველთა ნაწილს შორის. ამ ფაქტორმა ხელი შეუწყო შერეულ ქორწინებებს, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ებრაელთა დაახლოება ქართველთა ანთროპოლოგიურ ტიპთან. თუმცა ივ. გომართელი თვლიდა, რომ განსხვავებული წარმომავლობის შემთხვევაშიც კი, ქართველი ისრაელები ქართველები არიან და არა ებრაელები, საერთო ისტორიული წარსულის გამო:

„ერის წარმოშობაში ჩამომავლობას არა აქვს იმდენი ძალა და მნიშვნელობა, რამდენიც ისტორიას. ... ქართველებთან ერთად საერთო ისტორიულმა ცხოვრებამ ქართველი ისრაელები

¹ ხანანაშვილი, მიხაკო. *ცოტა რამ ქართველ ებრაელების შესახებ*. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 607, გვ. 2.

² ხანანაშვილი, იოსებ. *ქართველი ისრაელის პასუხი „არა ქართველ რაბინს“*. „სამშობლო“, 1916, № 411, გვ. 2; ხანანაშვილი, იოსებ. *ვინა ვართ ქართველი ისრაელები? „საქართველო“*, 1917, № 48, გვ. 3.

ნელ-ნელა გააქართველა და დღეს ისინი ქართველები არიან. მართლაც, ქართველი ერის ისტორია ამავე დროს არის ისტორია ქართველი ისრაელებისა.¹

პეტრე მირიანაშვილი განასხვავებდა ევროპის დევნილ ებრაელობასა და ქართველ ებრაელებს, რომელთაც მსგავსი რამ საქართველოში არ განუცდიათ; ასევე საუბრობდა ქართველებისა და ებრაელების ნათესაურ წარმოშობაზე და ხაზს უსვამდა მათ საზიარო ისტორიულ გამოცდილებას.

„ებრაელი ქართველი, როგორც ძველის-ძველად ჩვენში ბინა დადებული, მონშეა ქართველთ პოლიტიკურ ცხოვრების დასაწყისის და ცეცხლის თაყვანისცემის შემოღებისა ფარნავაზ მეფის დროს ... და ქრისტიანობის შემოღებისა მირიან მეფის ... დროს, ... საქართველოს პოლიტიკური გაძლიერების და დასუსტებისა ვიდრე მის ნებაყოფლობით გადასვლამდე რუსთ ხელმწიფის ხელში. ჭირი და ლხინი ამ გრძელის-გრძელის დროის განმავლობაში ებრაელსა და ქართველს საქართველოში ერთი ჰქონდათ... ქართველი ებრაელი საქართველოში ყოფილა თავისუფალი, როგორც ქართველი და თავისუფლად აღმასრულებელი მოსეს სჯულისა“.²

ყოველივე ეს მას მიაჩნდა რაბინ ბააზოვის არგუმენტების შემასუსტებელ გარემოებად, ხანანაშვილების მიდგომას კი უფრო „სალად“ თვლიდა და აღნიშნავდა, რომ:

„ქართველი ებრაელობა, მოსეს სჯულის დამცველი, განუკვეთელი ნაწილი უნდა იყვეს ქართველებისა და ქართულ ეროვნულ კულტურულ განვითარებას უნდა მისდევდეს საქართველოს ჭირსა და ლხინს შუა იყოფდეს“.³

როგორც გაზეთები იუწყებიან, 1917 წლის 14 ივნისს იოსებ ხანანაშვილმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე წაიკითხა მოხსენება „ისრაელ ქართველთა ისტორიული, ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მიმოხილვა“.⁴

¹ გომართელი, ივანე. ქართველი ისრაელები. „თეატრი და ცხოვრება“, 1916, № 39, გვ. 4-5.

² მირიანაშვილი, პეტრე. ზოგი რამ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 668, გვ. 2-3.

³ იქვე, გვ. 3.

⁴ „საქართველო“, 1917, № 180, გვ. 4; „საქართველო“, 1917, № 181, გვ. 2; „სახალხო ფურცელი“, 1917, № 888, გვ. 2; „სახალხო ფურცელი“, 1917, № 890, გვ. 2.

მოსხენების შემდგომ დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, სერგი გორგაძე, დავით კარიჭაშვილი, ილია ჭყონია. როგორც ჩანს, „ქართველი ისრაელის“ კონცეფცია ფართო განხილვის საგანი იყო. ეს ნარატივი არ დამკვიდრდა შემდგომ პერიოდში, თუმცა აქტუალური გახდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც საფრანგეთში ემიგრირებულმა იოსებ ელიგულაშვილმა და მიხეილ კედიაშვილმა ნაცისტებისაგან ქართველი ებრაელების გამოსახსნელად გამოიყენეს „ქართველი ისრაელის“ კონცეფციის იდეა საერთო კულტურული-ისტორიული გამოცდილებისა და ანთროპოლოგიური ტიპის შესახებ.

დავით ბააზოვის კონცეფცია. რაბინი დავით ბააზოვი, როგორც აღინიშნა, საპირისპირო მოსაზრებას ავითარებდა. მან შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ქართველ ებრაელთა ცხოვრების საფუძვლიან ცვლილებას გულისხმობდა.¹ პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი განათლების გზით – ებრაული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის სწავლებით – ქართველ ებრაელებში ებრაული იდენტობის გაძლიერება იყო. იგი გამოდიოდა ინიციატივით, ყოველ ებრაულ დასახლებაში შექმნილიყო თალმუდ თორა², ხოლო ქუთაისში (ან სხვა რომელიმე ადგილას) — ცენტრალური იეშიბა³. დ. ბააზოვი საჭიროდ მიიჩნევდა იეშიბაში რვაკლასიანი გიმნაზიის კურსების შემოღებას. ამით ებრაელ ახალგაზრდებს, ერთი მხრივ, გზა გაეხსნებოდათ უნივერსიტეტისაკენ, მეორე მხრივ კი დაცული იქნებოდა ებრაული ცხოვრების წესი, შაბათი და სხვა უქმეები, რაც ვერ ხერხდებოდა სხვა გიმნაზიებში სწავლისას. დავით ბააზოვი ქართველ ებრაელთა სათემო ცხოვრების მონყობას რუსეთის ებრაული თემების მოდელზე ვარაუდობდა. მისი ინიციატივები არაერთგვაროვნად იყო მიღებული ქართველი ებრაელი ლიდერების მიერ. ძმები ხანანაშვილების გარდა, მისი ოპონენტი იყო ქუთაისის გავლენიანი რაბინი რეუბენ ეუაშვილიც. იგი ცდილობდა შეენარჩუნებინა ქართველ ებრაელთა ტრადიციული ყოფა, ბააზოვის მოღვაწეობას სარწმუნოების სანინააღმდეგოდ მიიჩნევდა და თვლიდა,

¹ ბააზოვი, დავით. *პასუხი ბ. პალესტინელს*. „სამშობლო“, 1915, № 135, გვ. 4; ბააზოვი, დავით. *მომავალი კრება საქართველოს ებრაელთა რაბინებისა*. „სამშობლო“, 1915, № 192, გვ. 4.

² დაწყებითი ებრაული სასწავლებელი, სადაც ისწავლება ებრაული ენა, თორა და თალმუდი.

³ უმაღლესი რელიგიური სასწავლებელი, სადაც თალმუდ თორას დასრულების შემდეგ აგრძელებენ სწავლას.

რომ ის თავისი საქმიანობით ებრაელების ქართველი ხალხისაგან ჩამოშორებას ცდილობდა.¹

დ. ბააზოვის კონცეფციაში, მისი ოპონენტების კონცეფციის მსგავსად, შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი საკითხი, რომელიც მისი მსჯელობის საგანს წარმოადგენდა: 1) ქართველ ებრაელთა მიმართება მსოფლიო ებრაულ დიასპორასთან; 2) სარწმუნოების მნიშვნელობა ებრაული იდენტობის განსაზღვრისათვის; 3) ქართველ ებრაელთა მიმართება საქართველოსთან, ასევე ქართული და ებრაული ენის ფუნქცია ქართველი ებრაელებისათვის.

დავით ბააზოვი ასაბუთებდა, რომ ქართველ ებრაელთა თემი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული დასოლიდარული დანარჩენ ებრაულ დიასპორასთან. ამ მიზნით იგი ხშირად აქვეყნებდა პუბლიკაციებს, რომლებიც რუსეთისა და ევროპის ებრაელთა ცხოვრებას ეხებოდა. მას მტკიცედ სწამდა, რომ იქ მიმდინარე მოვლენები აქტუალური უნდა ყოფილიყო ქართველი ებრაელებისთვისაც. იგი ეჭვქვეშ არ აყენებდა ებრაელი ერის მთლიანობას და ქართველ ებრაელებს მის ნაწილად მოიაზრებდა. დ. ბააზოვის კონცეფციის იდეა შემდეგი იყო:

“მთელი ქართველი ებრაელობა იმისთანავე ებრაელებია, როგორც არიან რუსეთ-ამერიკისა და თვით პალესტინისა. არაფერი იოტისოდენა განსხვავება ჩვენში არ არსებობს ეროვნულად და სარწმუნოებრივადაც.”²

1916 წელს გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიებში „ჩემი პასუხი „არა-ებრაელს““ (№ 399, 400, 401, 402) და „ქართველ ისრაელთა საკითხის გარშემო (პასუხი სტ. ბ. ი. ხ.-შვილს)“ (№ 429, 431) დავით ბააზოვი ასაბუთებდა, თუ რამდენად ყოვლისგანმსაზღვრელია სარწმუნოება ებრაელი ერისათვის; სწორედ ის აყალიბებს ერს და აკავშირებს დიასპორაში გაფანტულ ებრაელობას:

„სარწმუნოება ებრაელობისა ქმნის ჩვენს ხალხში საერთო ფსიხოლოგიას, საერთო ზნეობრიობას და სულიერგაკვეთილებს.“³
„ებრაელთა ერის სარწმუნოება იმისთანად არის შემოხვეული ირგვლივ ებრაელთა ცხოვრებაზე, რომ ძალა უნებურად, თუ კი იგი გვნამს, გვაკავშირებს მთელ დედამიწის ებრაელობას და

¹ ბააზოვი, დავით. *ქუთაისის რაბინის წერილის გამო*. „სამშობლო“, 1915, № 246, გვ. 4.

² ბააზოვი, დავით. *ჩემი პასუხი „არა-ებრაელს“*. „სამშობლო“, 1916, № 399, გვ. 4.

³ ბააზოვი, დავით. *ჩემი პასუხი „არა ებრაელს“*. „სამშობლო“, 1916, № 402, გვ. 3.

თუ კი გინდა ებრაელებს ჩამოშორდე ეროვნულად, ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ თვით სარწმუნოებაზე ხელს აიღებ.“¹

დ. ბააზოვი თანმიმდევრულად განიხილავდა „ეროვნების ფაქტორებს“ და აჩვენებდა, თუ რამდენად არის თითოეული მათგანი — სამშობლო, ენა, ზნე-ჩვეულება, კულტურა, „ეროვნების ტიპიური სახე“ — გამსჭვალული სარწმუნოებით.² ამ და სხვა პუბლიკაციებში ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ენის ფაქტორს და აღნიშნავდა, რომ

„სარწმუნოებამ მას (ებრაულ ენას — ქ.კ.) დიდი უპირატესობა მიანიჭა... სახელათაც „წმინდა ენა“ („ლაშონ აკოდემ“) დაარქვა... მართალია ყველა ქვეყანაში ებრაელობამ დედა ენათ შეითვისა იქაური ენა, რადგანაც ... ებრაელის ცხოვრება ეკონომიურად თუ პოლიტიკურად შეკავშირებულია იმ ქვეყნებთან, საცა მას ბედმა არგუნა დასახლება... ამიტომ დედა-ენათ ვითვისებთ ადგილობრივ ენას და „საერთო ძველი ენა კი შემაკავშირებლად“ დარჩა ებრაელებში. ... ამ ენით ვსწავლობთ ჩვენ „თორას“ და სარწმუნოებას და არც ის, როგორც კათოლიკეები ლათინურად გაუგებრათ ლოცულობენ. ჩვენ ამ ენით ვლოცულობთ, ვსწავლობთ და კარგათ გვესმის“.³

დ. ბააზოვი ქართული და ებრაული ენის მნიშვნელობას ქართველი ებრაელებისათვის შემდეგნაირად ხედავდა: ებრაულს უწოდებდა „ეროვნულ ენას“, ხოლო ქართულს — „სამშობლო“ ან „დედა-ენას“. იგი აღნიშნავდა:

ებრაელმა ახალგაზრდებმა „უნდა ისწავლონ როგორც ეროვნული ებრაული ენა, ისე ქართული, როგორც სამშობლო ენა და რუსული, როგორც სახელმწიფო ენა.“⁴

„ებრაულ ენაზე ჩვენ ვერსად მოვანყობთ ჩვენ ეროვნულ ცხოვრებას, რადგან ეს ენა მარტო ჩვენთვისაა ნაცნობი. ... აი მიზეზი, რომ სხვის ენას დედა ენად ვითვისებთ და ქართულიც ასე

¹ ბააზოვი, დავით. ჩემი პასუხი „არა-ებრაელს“. „სამშობლო“, 1916, № 399, გვ. 4

² ბააზოვი, დავით. ქართველ ისრაელთა საკითხის გარშემო (პასუხი სტ. ბ. ი. ხ.-შვილს). „სამშობლო“, 1916, № 429, გვ. 3.

³ იქვე.

⁴ ბააზოვი, დავით. ჩემი პასუხი „არა ებრაელს“, „სამშობლო“, № 401, გვ. 2. ქართულს „სამშობლო ენად“ მოიხსენიებს ასევე სტატიიაში „ქუთაისის რაზინის წერილის გამო“. „სამშობლო“, 1915, № 246, გვ. 4.

შეგვითვისებია. ... კიდევ ვცნობთ დედა ენად, მაგრამ ეროვნულ ენად ყოფილა და იქნება ის ენა, რომლის ისტორიაც ებრაელის ისტორიად ითვლება. თუ ისტორიაში აღმოიფხვრება ებრაელობა, მხოლოდ მაშინ სამუდამოდ მოისპობა მისი ძველი ენაც...¹

მიიჩნევდა რა ებრაულს არა მხოლოდ სარწმუნოების, არამედ „ეროვნულ ენადაც“, დ. ბააზოვი იმთავითვე გულისხმობდა, რომ ქართველები და ებრაელები განსხვავებულ ერებს წარმოადგენენ. თუმცა კავშირი ამ ორ ერს შორის მისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო.

„არა თუ მარტო ჩვენ, ქართველი ებრაელები ვსთვლით საჭიროდ, რომ ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური ბედი უნდა იყოს დამოკიდებული ქართველი ერის ბედთან, არამედ მთელი ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეებიც ასე სცნობენ საჭიროთ.“²

დ. ბააზოვი თავის ერთ-ერთ მთავარ მიზანად ქართველი ებრაელების ქართველებთან მჭიდრო დაკავშირებას სახავდა, რადგან სწორედ ამ უკანასკნელთ უკავშირებდა ებრაელთა იმედებს და ებრაელთა სამშობლოდ საქართველოს განიხილავდა:

„თუ კი უფლის შემწეობით ისინი რაიმე ბედნიერებას მიაღწევენ, მაშინ არც ჩვენ ჩამოგვიტოვებენ უკან...“³; „საქართველოს აყვავება რომ ქართველმა ერმა შესძლოს, ჩვენი ხალხიც მასთან ერთად აყვავდება. ამას მოითხოვს ჩვენი პირადი ინტერესები და ამიტომ მოვითხოვ მათთან დაკავშირებას. ეს მოთხოვნილება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ ჩემ მცირე მოთხოვნილებას, ე.ი. ჩვენი ხალხის წარმატებას რელიგიურად, კულტურულად და ეკონომიურად.“⁴

როგორც უკანასკნელი ციტატა ცხადყოფს, იგი თვლიდა, რომ მისი მთავარი მიზანი — ქართველ ებრაელებში ებრაული იდენტობის გაღვივება — არ მოასწავებდა დაპირისპირებას ან მოწყვეტას ქართული ერთობისაგან, არამედ პირიქით. შემდეგი ციტატაც იგივეს ადასტურებს:

„ავზარდოთ იმისთანა მოზარდები, რომელნიც სარგებლობას მოუტანენ ჩვენ ერს — ებრაელებს, ჩვენ სამშობლო — საქართველოს და ჩვენ მოძმე ქართველ ერს.“⁵

¹ ბააზოვი, დავით. *ორი უკიდურესობა*. „სახალხო ფურცელი“, 1916, №663, გვ. 3.
² ბააზოვი, დავით. *ქუთაისის რაბინის წერილის გამო*. „სამშობლო“, 1915, №247, გვ. 3.
³ ბააზოვი, დავით. *ჩემი პასუხი „არა ებრაელს“*. „სამშობლო“, 1916, № 400, გვ. 3.
⁴ იქვე, გვ. 2.
⁵ ბააზოვი, დავით. *ქუთაისის რაბინის წერილის გამო*. „სამშობლო“, 1915, №247, გვ. 4.

დ. ბააზოვის, ისევე როგორც ხანანაშვილების კონცეფციაში, შეიძლება გამოვყოთ ქართველი ებრაელების იდენტობის ორი დონე. განსხვავება ის არის, რომ ხანანაშვილებისთვის „ქართველი ისრაელი“ გულისხმობს იდენტობის ნაციონალური (ქართველი) და რელიგიური (ისრაელი) დონის სინთეზს, ხოლო ბააზოვისათვის — ნაციონალურისა (ქართველი) და ეთნიკურის (ებრაელი). ქვემოთ მოყვანილი ციტატები ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ:

„კაი ებრაელი კაი ქართველის მოძმეა და კაი მამულიშვილიც იქნება საქართველოსი და არასოდეს ნაკლებად არ შესწირავს თავს საქართველოს ინტერესებს, ვიდრე ქართველი. ქართველი ხალხის კეთილი დღე ჩვენ კეთილდღეობას ნიშნავს და ამას სრულიად ხელს არ უშლის ჩემი ებრაელობა და არც ქართველობა შემეშლის ხელს, რომ დავრჩე ძველებურად, რაც ვარ.“¹

„ჩემი ებრაელობა ხელს არ შემეშლის, რომ საქართველოს თავი შევსწირო და არც ქართველობა შემეშლის ხელს, რომ ებრაელობა მტკიცეთ შევინახო.“²

„ხმა ებრაელისა“. ქართველ ებრაელთა იდენტობის ნარატივის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთი „ხმა ებრაელისა“. ეს იყო ქუთაისის სიონისტთა სახალხო ფრაქციის „ცეყირე ციონის“ გამოცემა, როგორც გაზეთის თავფურცელზე იყო წამძღვარებული – „ორკვირეული ორგანო ებრაული ეროვნული აზრისა“. გაზეთი გამოიცა 1918 წელს და გამოვიდა მხოლოდ 15 ნომერი. მასში განთავსებული პუბლიკაციები საინტერესოა იმ კუთხით, რომ ქართველი ებრაელები ახალ კონტექსტში – დამოუკიდებელი საქართველოს ფარგლებში განაგრძნობენ განსჯას საკუთარი თემის ინტერესებისა და აქტუალური საკითხების შესახებ. გაზეთის ერთ-ერთი მთავარი თანამშრომელი დავით ბააზოვი იყო. სწორედ ამ გამოცემაში აისახა და განვითარდა მისი კონცეფციის ძირითადი იდეა მტკიცე ებრაული იდენტობის მქონე და, ამავე დროს, საქართველოს პატრიოტი მოქალაქის შესახებ. პირველი ნომრის მეთაურ სტატიაში გადმოცემულია გაზეთის მთავარი მიზნები:

„ეროვნულათ მოაზროვნე ჩვენი ნორჩი ინტელიგენცია ... დღეს გამოდის საზოგადოების წინაშე საკუთარი ორგანოთი,

¹ ბააზოვი, დავით. *ორი უკიდურესობა*. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 663, გვ. 4.

² ბააზოვი დავით. *ქართველ ისრაელთა საკითხის გარშემო* (პასუხი სტ. ბ. ი. ხ.-შვილს). „სამშობლო“, 1916, № 431, გვ. 4.

რომლის ლოზუნგი „ებრაელი ერის მთლიანობა და მისი განუყოფლობა“, რომლის მიმართულება მხოლოდ ერთია — ეროვნული, რომლის დანიშნულება მიძიმეა, მაგრამ საპატიოა — ხელი შეუწყოს იმ პროცესის დასრულებას, რომელსაც განიცდის დღეს ჩვენი ხალხი და რომელიც ეჭვს გარეშეა — დაგვირგვინდება ჩვენი ეროვნულათ აღორძინებით; ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხის კულტურულათ ამაღლებას და წარმატებას, მისი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, ჩამოყალიბებას!.. ამ ორგანომ უნდა გაგვინიოს ჩვენ სახალხო ტრიბუნის, შკოლის მაგიერობა, სადაც ჩვენ გავეცნობით ჩვენს კულტურას, ჩვენს წარსულს, აწმყოს, ჩვენ ჭირ-ვარამს და იმედებს. ამასთანავე ჯეროვანი ყურადღება ექნება მიქცეული ქრონიკას რუსეთის და სხვა ებრაელების ცხოვრებიდან.“¹

ამავე ნომერში, რუბრიკაში კორესპონდენცია, გამოქვეყნებულია, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო წერილი. ავტორი, ფსევდონიმით „პატარა ებრაელი“, აღწერს ონსა და ახალციხეში ებრაელების დიდ საზეიმო ღონისძიებებსა და ემოციურ სადღესასწაულო განწყობას იმის გამო, რომ „ინგლისის მთავრობამ აღიარა ჩვენი რესპუბლიკა პალესტინაში.“² ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ აღნიშნულ ქალაქებში რაბინი დავით ბააზოვი იყო, რომლის ორგანიზებითაც მოეწყო ეს ზეიმი. ვფიქრობთ, საინტერესოა ის, რომ ავტორი და, სტატიის თანახმად, თავად ზეიმში მონაწილე ხალხი, რა თქმა უნდა, რაბინ ბააზოვის შრომისა და ძალისხმევის შედეგად, თვითიდენტიფიკაციას ახდენდა პალესტინის ებრაულ სახელმწიფოსთან და ებრაელ ხალხთან („ჩვენი რესპუბლიკა პალესტინაში“); სალოცავის ეზოში აღმართული იყო დიდი ტრიბუნა, რომლის თავზე გადმოფრიალებდნენ ჩვენი

¹ „ხმა ებრაელისა“, 1918, № 1, გვ. 3. მეორე ნომერში განთავსებულ სარეკლამო განცხადებაში, რომელიც მკითხველს გაზეთის გამონერას სთავაზობს, ასე არის ჩამოყალიბებული გაზეთის მიზანი: „ხმა ებრაელისა“ „მიძღვნილი ებრაელთა ინტერესებს საქართველოში. „ხმა ებრაელისა“ იბრძვის ჩვენი ხალხის თვითმოქმედებისა და აღორძინებისათვის, ეცდება მისცეს მკითხველებს სრული სურათი თანამედროვე მსოფლიო ებრაელობის ცხოვრებისა. „ხმა ებრაელისა“ გააცნობს მკითხველებს საქართველოს ებრაელობის ცხოვრების ყველა მოვლენებთან, გამოეხმაურება ყველაფერ მას, რაც აღელვებს ებრაულ აზრსა და გრძნობას. გაზეთში მოთავსებული იქნება წერილები იუდაიკიდან: ისტორიიდან, რელიგიიდან, ებრაულ ლიტერატურიდან და სხვ. ვეცდებით აგრეთვე გავაცნოთ მკითხველები ებრაელთა შორის არსებულ ყველა პარტიებთან“. „ხმა ებრაელისა“, 1918 № 2, გვ. 16.

² პატარა ებრაელი. ებრაელების დღესასწაული პროვინციაში. „ხმა ებრაელისა“, 1918, № 1, გვ. 12.

ეროვნული დროშები“, „ხალხის სიხარულს და აღფრთოვანებას საზღვარი არ ქონდა. მონაფეები „ათიკვას“ სიმღერით და ხელში ეროვნული დროშებით გაემურნენ ქუჩებში“; „ყველა ებრაელები მოკაზმულ იყვნენ... მათ გულზედ და მარცხენა კლავზედ ჩვენი ეროვნული ფერების ლენტები ქონდათ გაკეთებული.“¹ — ხაზგასმა ყველგან ჩვენია — ქ.კ.).

გაზეთის მეორე ნომრის მეთური წერილიდან ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტი კი მეტყველებს ქართველი ებრაელის მტკიცე სამოქალაქო იდენტობაზე. საკითხი ეხება იმ შესაძლო საშიშროებას, რაც საქართველოს სახელმწიფოს შეიძლება დაემუქროს ოსმალეთის მხრიდან.

„საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის დასაცავათ, საქართველოს ებრაელი ისევე დაღვრის ქართველთან ერთად თავის სისხლს, ისევე განირავს საჭირო მსხვერპლს, როგორც ეს სჩვევიათ ყველა კუთხის ებრაელობას ყველგან და ყოველთვის, და როგორც ეს ყოფილა საქართველოშიც მისი დამოუკიდებელი არსებობისდროს. საქართველოს ებრაელობა, რომელსაც მრავალი საუკუნოები გაუტარებია საქართველოში ქართველებთან ერთად ძმურ და კეთილ მეზობლურ განწყობილებებში, ვერასოდეს ვერ შეურიგდება მას, რომ საქართველოში გაბატონდნენ ოსმალები, რასაც ძალიან ცუდი შედეგები მოყვება როგორც ქართულ ეროვნულ-კულტურულ განვითარებისთვის, ისე ებრაელების კულტურულათ აღორძინებისათვის.“²

დავით ბააზოვის სტატია „ჩვენ და ქართველები“ კიდევ ერთხელ მკაფიოდ აყალიბებს ქართველ ებრაელთა იდენტობის ორი ასპექტის — ეთნიკურისა და ნაციონალურის — ჰარმონიული თანაარსებობის შესაძლებლობას. მას მოჰყავს მაგალითები ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, სადაც სახელმწიფო მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს ებრაული თვითიდენტიფიკაცია ხელს არ უშლიდა ერთგულად ემსახურათ საკუთარი ქვეყნისათვის. მისი აზრით, ასევე იქნება დამოუკიდებელ საქართველოშიც. ძლიერი ებრაული იდენტობა ქართველ ებრაელებს ხელს არ შეუშლიდა საქართველოს სამსახურში:

¹ პატარა ებრაელი. ებრაელების დღესასწაული პროვინციაში. „ხმა ებრაელისა“, 1918, № 1, გვ. 12-13.

² „ხმა ებრაელისა“, 1918, № 2, გვ. 3.

„ჩვენი, შინაური, სპეციფიური ებრაული საქმეების გარდა, ჩვენ იგივე ვართ საქართველოსთვის, როგორც თვით ქართველები. როდესაც ჩვენ შეიძლება გვექნება თავისუფლათ ეროვნულათ განვითარებისა, საჭიროა იმის მტკიცება, რომ ამით არა თუ გლახას, არამეთ სარგებლობას მოუტანთ ქართულ კულტურას.“¹

დასკვნა

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის პირველი ათწლეულების პერიოდულ გამოცემებში ებრაული თემატიკისადმი მიძღვნილი ტექსტები, ძირითადად, ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1) ქართველი და საქართველოში მცხოვრები ებრაელებისადმი მიძღვნილი და 2) რუსეთისა და მსოფლიო ებრაელობის ცხოვრებისადმი მიძღვნილი სტატიები. ჩვენი ანალიზის საფუძველს, უმთავრესად, პირველი წარმოადგენდა. გამოკვლევამ ცხადყო, რომ ამ პერიოდის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი ქართულენოვანი ებრაელების იდენტობის განსაზღვრა იყო. პირობითად, შეიძლება გამოიყოს იდენტობის ნარატივის ფორმირების ორი ეტაპი: 1) როდესაც ებრაელთა იდენტობის საკითხი, უმთავრესად, ქართველ ინტელექტუალთა მსჯელობის საგანი იყო და 2) როდესაც თავად ებრაელები ცდილობდნენ, განესაზღვრათ საკუთარი იდენტობა და მიმართება, ერთი მხრივ, ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ გარემოსთან, მეორე მხრივ, მსოფლიო ებრაულ დიასპორასა და პალესტინასთან. გამოიკვეთა, თუ როგორ ტრანსფორმირდა „ურია“ — საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი „უცხო ტომთაგანი“ — „ქართველ ებრაელად“, თუ როგორ გადაფარა ქრისტეს მწვალებელი, „ჩარჩ-წურბელა“ ურიის სახე საქართველოში ქრისტეს კვართის ჩამომტანი, ქართველი ხალხის ისტორიული ბედის გამზიარებელი, საქართველოს პატრიოტი ქართველი ებრაელის იმიჯმა.

ბიბლიოგრაფია

წყაროები

„დროება“, 1867, № 42.

„დროება“, 1868, № 43.

„დროება“, 1870, №17, № 23.

¹ იქვე, გვ. 5.

„დროება“, 1871, № 20, № 32.
„დროება“, 1874, № 417, № 439.
„დროება“, 1875, № 2, № 9, № 19, № 27, № 34, № 86, № 99.
„დროება“, 1876, № 28.
„დროება“, 1877, № 27, № 38, № 40, № 46, № 59, № 210.
„დროება“, 1878, № 7, № 80, № 101, № 108.
„დროება“, 1879, № 38, № 48, № 49, № 50, № 51, № 53, № 54, № 55,
№ 56, № 57, № 58, № 59, № 60, № 61, № 62, № 63, № 64, №
65, № 135, № 136.
„დროება“, 1881, № 4, № 8, № 16, № 24, № 31, № 43, № 46, № 165,
№ 201, № 204, № 209, № 210, № 219, № 227.
„დროება“, 1882, № 93, № 129, № 153.
„დროება“, 1883, № 152, № 186, № 195.
„დროება“, 1884, № 66, № 166.
„ივერია“, 1886, № 198.
„ივერია“, 1892, № 9.
„ივერია“, 1895, № 246.
„ივერია“, 1902, № 141.
„ივერია“, 1903, № 25.
„სამშობლო“, № 356, 358.
„სამშობლო“, 1915, № 4, № 55, № 73, № 96, № 97, № 101, № 112, №
113, № 125, № 126, № 127, № 134, № 135, № 152, № 163, №
167, № 168, № 188, № 192, № 246, № 247, № 356, № 358.
„სამშობლო“, 1916, № 118, № 317, № 347, № 348, № 355, № 364, №
365, № 366, № 392, № 393, № 399, № 400, № 401, № 402, №
408, № 409, № 410, № 411, № 427, № 429, № 431, № 432, №
447, № 517, № 179.
„საქართველო“, 1917, № 48, № 49, № 50, № 158, № 180, № 181.
„სასოფლო გაზეთი“, 1871, № 15.
„სახალხო ფურცელი“, 1915, № 279, № 315, № 316, № 392, № 398, №
421, № 438, № 458.
„სახალხო ფურცელი“, 1916, № 477, № 607, № 625, № 661, № 663,
№ 668, № 669, № 673, № 674, № 698, № 706, № 707, № 708,
№ 709, № 738.
„სახალხო ფურცელი“, 1917, № 888, № 890.

„ცისკარი“, 1860, № 1.

„ცნობის ფურცელი“, 1898, № 574, № 750.

„ხმა ებრაელისა“, 1918, № 1, № 2, № 3, № 4, № 5.

სამეცნიერო ლიტერატურა

დ. თნის რაზინი დ. ზაზოვი, ქართველ ისრაელთა საკითხის გარშემო (პასუხი სტუდ.	
ბ. ი. ხ-შვილს). „სამშობლო“, 1916, № 427, გვ. 3	389
„სამშობლო“, 1916, № 429, გვ. 3, (გაგრძელება)	391
„სამშობლო“, 1916, № 431, გვ. 4 (დასასრული)	393
თნის ებრაელების რაზინი დ. ზაზოვი, ორი უკიდურესობა.	
„სახალხო ფურცელი“, 1916, № 661, გვ. 3	394
„სახალხო ფურცელი“, 1916, № 663, გვ. 3-4 (დასასრული)	396
ძველ-ახალი ზღაპარი. „სმა ებრაელისა“, 1918, № 1, გვ. 13	398
ბ. ი. ელიგულაშვილი, ლექსი აღორბინებისა. „სმა ებრაელისა“, 1918, №1, გვ. 16	399
თბილისის ებრაული თვითმმართველობის სამჭოს არჩევნებზე. (კვირას 22 და ორშაბათს	
23 აპრილს 1918 წ.). „სმა ებრაელისა“, 1918, № 4, გვ. 3-4	399

ქართული ილენტობის ნარატივები

დიმიტრი ზაქარაძე, ზოგიერთი რამ ჩვენ ისტორიაზე, არქეოლოგიაზე,
უოფა-ცხოვრებაზე და სს. ათონის მთილამ მოტანილის ძეგლის წიგნის გამო
„ივერია“, 1877, №8

[წერილის დასაწყისში ავტორი საუბრობს ათონის ქართველთა მონასტრის და იქ
დაცული ქართული ხელნაწერების მდგომარეობის შესახებ.]

საქმე აი რაშია. იქ, სადაც ხალხს გონება გახსნილი აქვს, სადაც ესმის, რაში
მდგომარეობს იმისი აწმყო და მომავალი კეთილ-დღეობა, იქ საკუთარ წარსულს
ცხოვრებასაც საზოგადოების აზრში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორითაც იმის
აწინდელს და მომავალ სევს. იქ ამბობენ: თუ გესურს წარმატების გზას დაეადგეთ,
უნდა გამოვიკლიოთ ჩვენი საზოგადო თვისება, შევისწავლოთ ჩვენი ბუნება, ძველი და
აწინდელი. კერძო პირნი, სახლის-წულნი, რომელთაც კი ესმით თავისი სახლის ღირსება და
პატიოსნება, უოველთების იხსენიებენ თავიანთ მამა-პაპათ სურათებს და ღირს-სახსოვარ
საქმეებს, რომელნიც ადამიანს ამხსნეებენ და სწერთნიან, თუ რომელიმე სახლის-წული
ივისეებს თავის წინაპართ, ის ივისეებს და ამცირებს თავის თავს. ასეა მთელი ხალხიც...
განათლებულ ქვეყნებში წარსულის დროების ცნობის მოუყარეობას სახლვარი არა აქვს.
არა თუ მართებლობანი, თვით კერძო პირნიც არა ზოგავენ ღონისძიებებს ძეგლისა და
უძველესის დროთ გამოსაკვლეად. ღრმად სთხრიან ღედა-მინის გულს, იქ ეძებენ თავიანთ
წინაპართ კვალს და სამკაულს, რომ მისხდნენ რა თვისებისანი უოფილან, რა გვარი
ცხოვრება ჰქონიათ, ძველ ტაძრებს და სხვა გვარ შენობებს უფრთხილდებიან და უვლიან,
რომ საშეილი-შეილოდ დარჩნენ, რომ ზოლოს ჩვენი სახელი ძვირად არ მოიხსენიონო.
თვით მმართველობათაგან სასტიკად და სასჯელ ქვეშ არის აღკრძალული იმათი ხელ-
ხლება და შეურაცხუოფა. ძველი ხელ-წერილები, ძველი სამკაულები ამ გვარადევა
დაცული.

ჩვენი აზრით, ზევრ მხარეს ვერ ნახავთ ქვეყნის პირზე, რომ იქ იმოდენა რამ იუოს
უძველესის დროებიდამ დატოვებული ღირს-სახსოვარი და ღირს საცნობი, როგორითაც
საქართველოში. უბრალო შემთხვევას რომ არ აღმოეჩინა 1870 წელს, ჩვენ აქამომდე
არაფერი გვეცოდინებოდა თუ რა არქეოლოგიური საუნჯე ძეგს ღედა-მინის გულში
სამთავროს გვერდით მცხეთაში. ცოტაოდენმა რამ, რაც კი იქიდამ ამოვიღეთ, ღიდი
ურადღეება მოაქცია ჩვენ მხარეზე ვეროპიისაც და რუსეთისაც. ამ გვარივე უურადღეება
აღძრა მეცნიერებ შორის საქართველოს ძველმა ტაძრებმა და მონასტრებმა, რომელთაც
ჩვენ გულგრილად შეესცქერით და უპატიურად ეეპურობით. რუსეთიდამ და ვეროპიდამ ამ
მოკლე ხანში, 1870 წლიდამ იწყეს სიარული მსწავლულ პირთა, რომ ისინი გადიღონ და
ჩვენი ძველი ხელოვნება შეისწავლონ, თუმცა საქართველოში უმეტესი ნაწილი ძველის
სამკაულებისა სამუდამოდ დაკარგულია ჩვენი უმეტრებისა და უთაურობისაგან, მაინც
კიდევ ზოლმად არიან დარჩენილნი. მაგრამ რა მდგომარეობაში ეპოულობთ იმათ? თუ
ისინი არიან კერძო სახლებში, სშირად იმათ უმიზეზოდ ადნობენ, ალპობენ, ავირავებენ
და უბრალო ფასათ ჰყიდიან. ეკლესიებში და მონასტრებში ჩვენ თვითონ გეინახავს
ზევრ ადგილას ძვირფასი ნიეთეულობა, ვერცხლისა, ოქროსი, სხვა და სხვა გვარი ხელ-
ნაწარმოები მტვერში და ნაგავში. ჩვენი ღედელები და მამა ბერები ისე უეურებენ,
როგორათაც უბრალოსა და გამოუსადეგს ნიეთებს. ძველი ხელწერილები? რამდენი
იმათგანი შეიცავს ძვირფასს მასალას ჩვენი ისტორიისათვის, მაგრამ ჩვენთვის დახშულ
არიან. ისტორიას არ შეუძლიან იმათით ისაგებლოს, რადგანაც დაფანტულნი არიან აქა-
იქ კერძო სახლებშივე და მონასტრებშივე ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში,
გურიაში და სხვაგან. კარგი, თუ რომელიმე იმათგანი შემთხვევით წაგვივარდა ხელში,

როგორათაც ზენედექტესაკან მოტანილი ივერიის მონასტრიდამ. უკეთეს მდგომარეობაშია სიგელები, რადგანაც ამათი ჰირები, მთავარ მართებლის ერმოლოვის ბრძანებით ქართლ-კახეთში და გნ. ვარანცოვის ბრძანებით იმერეთში, გადმოიღეს და დიდ წიგნებად შეკრული დაცულია გუბერნიის სამართველო არხიეებში — თბილისში 83 და ქუთაისში 200 მეტი წიგნი, მომატებული ნაწილი საეკლესიო გუჯრებისაც ორ-სამ ადგილას არის შეკრებილი თბილისში და ქუთაისში.

სხვა ქვეყნებში თითქმის უველგან ძველ ნაწარმოებს ძველ ხელ-ნაწერებს უველანი ისე უუერებენ, როგორათაც კუთნილებას მთელის ხალხისას, ამისათვის იე იმათ აგროვეზენ ერთს რომელსამე ადგილს, სადაც ვისაც სურს უფრო ადვილად შეუძლიან იმათით ისარგებლოს, იმათთვის არის ისტორიული ანუ არქეოლოგიური მუზეუმები. მხოლოდ ამ ხალხს შეუძლიან იქონიოს საკუთარი ნამდელი ისტორია, რომელსაც თავისი მუზეუმი აქეს კარ-ლია უველა ისტორიულის მასალების შემუშავების მოსურნესათვის. უამისოდ შეუძლებელი საეპეა ხალხმა ისტორია იქონიოს.

ჩვენ ჯერ ამ გვარი საჭიროება არ გვესმის. გესურს კი ეიქონიოთ ისტორია, მაგრამ შესაძლებელი კია ოდესმე ის შეიძინოთ? გინდათ სახლი აიშენოთ? ჯერ აირჩიეთ ადგილი, მასუკან იმ ადგილს მიზიდეთ უველა საჭირო მასალა, თორემ უამისოთ სახლს ვერ აიშენებთ. მართალია ესა თუ არა? ისტორიაც სახლია, რომელშიაც უნდა იცხოვროს მთელმა ხალხმა. მივილოთ უველამ მონასნილოება, ერთ ადგილს მოეზილოთ უველა მასალა, ვისაც რა გეაქეს, და შემდეგ მოვითხოვოთ ისტორიის აშენება.

მოიფიქრეთ, ბატონო ქართველებო, ამ საგანზე და დაასწესეთ თბილისში ისტორიული მუზეუმი; თუ არა და იუკან ნება თქვენ!

**ივანე როსტომაშვილი, აღზრდა ერისა, საზოგადოებისა, ურთიერთობის გრძნობის
გახსნა ერში
„მოგზაური“, 1903, №11**

ჩვენ დაჩვეულები ვართ, რომ მართო ბალანებს უნდა სწავლა-აღზრდა და ამიტომ მოზრდილებისა და ცოლშვილიანების ანუ სხვანაირად ხალხისა და საზოგადოების აღზრდისათვის ფრიად მცირედს ვზრუნავთ, მაშინ როდესაც ამათს აღზრდასაც ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქეს, როგორც მოზარდი თაობისას, თუ არ მეტი. მკითხველს ეჭვი არ არის ხშირათ ექნება გაგონილი: „საქართველო დაეარდნილია, საქართველო დაცემულია!“ — და იმას კი არ კითხულობენ, თუ რისგან არის იგი დაცემული და დაეარდნილი, თუშეცა ბუნების სიმდიდრით ზეერი მხარე არ შეედრება ჩვენს ქვეყანას. ძირითადი მიზეზი კი ჩვენის ტურფა სამშობლოს ასე დაცემისა და დაეარდნის იყო და არის სრული უზრუნველობა ჩვენის მხრით თვითონ ხალხისა და საზოგადოების აღზრდისათვის! ზეერნაირად აუხსნიათ ჩვენს მეთაურებს ჩვენის ქვეყნის დაცემის მიზეზი. მის და გეარად ზეერნაირადაც სცდილან მალამო დაედოთ იმის ჭრილობებისათვის, მაგრამ ჭრილობის წყლულს უარესობა თუ არა, არც საიმისო სიკეთე ეტყობა. მის მიზეზი, ჩვენის აზრით, ის ცრუ საფუძვლებია, რომლებზედაც ამუარებენ ჩვენის ქვეყნის დაცემას და მის აღორძინებას და ამიტომ აე ჩვენ ვეცდებით აღწუხსოთ და განემართოთ ის უტყუარი ჰირობები, რომლებიც საჭიროა ხალხის უოველმხრევი წარმატებისათვის, მისის კეთილ-დღეობის აღდგენისათვის. ეს საგანი ისეთ ძვირფას საგნად მიგეაჩნია ჩვენის თანამემამულეებისათვის, რომ იმედი გეაქეს არ გეისაუვედურებენ, თუ ცოტა არ იყოს გეაგარძელებთ წერილებს ამის შესახებ. უპირველეს უოვლისა კი საჭიროა, რომ ჩვენმა ხალხმა ერთი გარკვეული და ნათელი აზრი და შეხედულება თავისი უოფა-ცხოვრების გაუკეთესების ჰირობებზე და საშუალებებზე, რათა ჩვენი უოველი საზოგადო მოქმედება ამ მხრათ იყოს ერთ სულ და ერთ ხორც.

როგორც სხვა უველა ცხოველი, ადამიანიც საჭიროებს საჭმელ-სასმელსა, სამოსელსა,

მიღსა და სხე. მაგრამ, როგორც ამბობს ერთი მეცნიერი, მის უპირველეს და უმთავრეს თვით ბუნების საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს **სხეებთან ერთად ცხოვრება**. ეს იმიტომ, რომ ადამიანი იზადება ქვეყანაზე სხვა ეველა ცხოველებზე უფრო უღონო და უმწეო. ის პატარაობითვე საჭიროებს უმეტეს მზრუნველობას და მოვლას, მაშინ როდესაც ფრინველებზე და სხვა ცხოველებზე მრავალ რაშიმე ზრუნავს თვით მათი ბუნება.

მართალია, ადამიანი იზადება იმისთანა ნიჭებით, რომ შეუძლიან მიაღწიოს უმაღლეს განვითარებას და სწავლას, მაგრამ დაბადებით კი ის ისეთი სუსტი იზადება, რომ მოკლებულია იმ ალღოსაც (ინსტიქტებს), რომლებიც ფუტყარსა და ობობას, ფრინველსა ასწავლიან თავიანთების სადგომების აშენებას და საზრდოს მოპოვებას. ერთი სიტყვით, აუცილებელი საჭიროებანი აიძულებენ ადამიანს — ელტვოდეს იგი სხვა ადამიანებსა და ეს არის მიზეზი, რომ ეველა სხვა ცხოველებზე, ადამიანში უფროა განვითარებული მდრეკილება ურთიერთობისადმი, ე. ი. სხეებთან ერთად ცხოვრებასა და მოქმედებისადმი. დანიშნულება ადამიანისა ამ ქვეყნად იმაში მდგომარეობს, რომ როცა და როგორც უნდა, ისე მოიხმაროს ბუნების ძალნი საერთო საკეთილდღეოდ და საერთო სასარგებლოდ. ხოლო, დასაძლევად ბუნების ძალთა და წვენს გონიერ ნებაზე ამ ძალთა მოსახმარებლად აუცილებლად საჭიროა **ურთიერთობა**, რადგანაც სათითაოდ სრულიად ვერას გავხდებით ბუნების ძლიერების წინააღმდეგ. გნებავთ მოჰფინოთ ქვეყანა არხებით, გზებით, ხიდებით? — საჭიროა დიდი ურთიერთობა დასაძლევად ბუნების უოველ დაბრკოლებათა — მთათა, ღრეთა, მდინარეთა, უდაბნოთა, ზღვათა... გნებავთ ააგოთ ჰალატნი, ეკლესიანი, სკოლანი? — ისევე საჭიროა ურთიერთობა...

მაშ ეგრე, პირველი პირობა ქვეყნის წარმატებისათვის უფილა გახსნა და განვითარება ხალხში იმ მდრეკილებისა, რომელსაც მეცნიერნი ეძახიან მდრეკილებას ურთიერთობადმი. აუცილებლად საჭიროა კარგად შევიგნოთ ეს, რადგანაც რომელს ხალხშიაც გახსნილია ეს მდრეკილება ურთიერთობისადმი, იქ კეთილდღეობაც ამ ხალხისა საათობით იზრდება, ხოლო, სადაც ნაკლებად ან სრულიად მცირედ არის გახსნილი ხალხში ეს თვისება, იგი ხალხი დაცემულია, იგი ხალხი სიკედილს არის მიახლოებული...

ახლა, რა ჰკლავს და რა აღორძინებს ხალხში ამ აუცილებელს პირობას მის წარმატებისას?

თვით-მართველობა ანუ თემობა არის დასაზამი პირობა ურთიერთობისადმი მდრეკილების გახსნისათვის ხალხში.

„თავისუფლება, შენ ხარ კაცთა ნაე-საყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალეზულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღეთაებამდე კაცთ-ბუნებისა...“

„ღედა და შილი“ ილია ჭავჭავაძისა.

ბუნებაში არსებობს ერთი უცვლელი და საყოველთაო კანონი: **დიდი სხეული იზიდავს თავისზედ უფრო მცირესა, ხოლო ეს მცირე თავისზედ მცირესა**.

ეს კანონი ეველაზედ უკეთ წარმოსადგენი და დასაანახია ცათა მნათობთა და სხეულთა წეს-წყობილების გაცნობითგან. მოგეხსენებათ, რომ მზის სამფლობელოში (სისტემაში), ერთის, წარმოუდგენლად უშველებელის სხეულის, მზის, გარშემო, მიმოივლიან მრავალნი, მასზედ და ერთი-ერთმანეთზედ უფრო დიდ-მცირენი. ეველა ეს სხეულნი მიმოივლიან ცის სიერცეში უოლის ფეხ-მოუცილებლად რაზედმე ნიეთიერზედ შესანიშნავის წესითა და ძნელად მომხდარა, რომ რომელიმე მათგანს ემტუუნოს მთელის საუკუნოებით დაჩემებულის გზისათვის.

მიზეზი ამის მიზიდულობის ის ძალაა, რომელიც ასე შესაფერად მიზომილი აქვს ქვეყანაზედ ეველა დიდს და პატარა სხეულებს, რომ მზის სამფლობელოში, გარდა მეორე ხარისხოვან სხეულებსა, არ უფილიყუნეს სხვა, ამათზედ უფრო მომცრო სხეულნი, მაშინ მოხდებოდა შემდეგი ამბავი: ეველა ეს მეორე ხარისხოვანი სხეულნი მიზიდულ იქნებოდნენ

მხისაკან. ესევე დაემართებოდა მესამე და მეოთხე ხარისხის მნათობებსა; და თუმცა ამით მზე ერთ ათასად უფრო უშველებელი და ძლიერი შეიქმნებოდა, ვიდრე იგი ახლა არის, მაგრამ მის სამფლობელოში კი სრულიად შესწუდებოდა მოძრაობა, შესწუდებოდა სიცოცხლე და გულ-საკლავი წვედიადი მოეფინებოდა ქვეყნის სიერცესა!..

სწორედ ესევე წესი და კანონი სწარმოებს ხალხთა ცხოვრებაში და, როგორც ქვემოთ დაეინახავთ, რომელს ხალხშიაც არის ან უფილა ეს წესი ურთი-ერთის დამოკიდებულობისა, იქ ცხოვრებაც ხალხისა გახრდილა საათობითა, ხოლო სადაც არსებობენ ან არსებულან უშველებელნი ცენტრნი ხალხთა მოსახლობისა და ხელისუფლებისა, მეორე და მესამე ხარისხის უცენტრებოდ, იქ იგივე ცხოვრება უკუღმართად წარმართულა.

უდიდესი ცენტრები ხალხთა მოსახლობისა წყენს დროში არიან: ლონდონი, პარიჟი, ბერლინი, ვენა, ნიუ-იორკი და სხვანი. ამდენი ცენტრების მაგიერ რომ მხოლოდ ერთი ან ორი ქალაქი უფილიყო, მაშინ ამ უკანასკნელებს იმისთანა დიდი მიზიდულობის ძალა ექნებოდა, რომ, რაც ეხლა ასს და ათს ქალაქს აწუდება ხალხი, მაშინ მხოლოდ ამ ორს ქალაქს მიასწუდებოდა თვისი გონებითი და ნივთიერი ნაწარმოებების საცულებლად და კანონების მისაღებად. თუმცა ამით ეს ორი ქალაქი წარმოუდგენელის ძლიერების ბუდედ შეიქმნებოდა, მაგრამ ამით მოხდებოდა სწორედ იგივე უსიცოცხლობა, იგივე სიკვდილი მათ გარემო ქვეყნებში, რაც მოხდებოდა მსოფლიოს სიერცეში, რომ მხოლოდ მზეს მიეზიდნა უველა დანარჩენი მნათობნი წყენის მიწითურთ!

ცხადია აქედამ, თუ რამდენად მაკნებელია ქვეყნისათვის ამ გვარი უშველებელი და სრულის ძალით აღჭურვილი ცენტრი, რადგანაც ამით მას ეძლევა უოვლად შემძლებელი ძალა მიზიდულობისა, რომელიც სპობს მიდამოთა ცენტრებში საკუთარი მიზიდულობის ძალასა და მით ამცირებს ხალხში ურთიერთდამი მიდრეკილებას, რომელიც, როგორც ეს ზემოთაცა ესთქვით, არის უმთავრესი პირობა საზოგადოების წარმატებისათვის.

ცხადია აგრეთვე, თუ რამდენად სასარგებლო და საპროგრესოა ხალხისთვის ის წეს-წყობილება, როცა ერთი საერთო ცენტრის გარდა (როგორც მზის სამფლობელოში მზე) არის კიდევ სხვა უთვალავი ცენტრები ადგილობრივ, რომლებიც ნებას არ აძლევენ დიდს საერთო ცენტრსა სრულიად მიიხილოს ადგილობრივი ცენტრები და მით ფრთას აკეცენ მის სრულს მძლავრობას...

მოსხენებულის ჭეშმარიტებას ნათლად გვიმტკიცებს ძველი და ახალი ისტორიაცა. მოვიუყანოთ ზოგიერთი მაგალითი იქიდან.

ამ გვარი ადგილობრივი ცენტრები არსებობდნენ საბერძნეთის თითქმის ყველა პროვინციებში და კუნძულებზედ. ადგილობრივი ურთიერთობა მივიდა იქ ისეთ განვითარებამდის, როგორც იმ დრომდე არსად არ უფილა მთელს ხმელეთზედ. ადგილობრივ ურთიერთობასთან ერთად იქ გამოცხადდა **მიდრეკილება საკავშირო ურთიერთობისადმი**, დაარსებით ისტმიის, ნემეანის და, უფრო განთქმულის, ოლიმპიის თამაშობებისა, რომლებზედაც, როგორც ეუწყით, იკრიფებოდა რაც კი გამოჩენილი იყო ფიზიკურისა და გონებითის ძალით, არა თუ საბერძნეთის ყველა რესპუბლიკებში და ქალაქებში, არამედ იტალიასა და თვით უშორეს აფრიკასა და აზიამიც. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ეს იდეა, ე. ი. იდეა საერთო და ადგილობრივ ცენტრების ურთიერთშორის ჰარმონიულად განსწობისა და დამოკიდებულობისა, ვერ გამოცხადდა იქ საკმაოდ ძლიერად: მიზიდველობის ძალამ ამ წეს-წყობილების მზისამ ვერ შესძლო დაცვა წესიერებისა ადგილობრივ ცენტრებს შორის.

წესიერი და შეურეველი მოძრაობა ციურთა მნათობთა აიხსნება იმ გვარის ძალების არსებობით მათში, რომლებიც მოქმედობენ ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულებით, მაგრამ თანასწორის ძალის-ხმევითა, თანასწორის ცდითა. ხოლო ამ გვარს წესწყობილებაზედ აშენებულ სახელმწიფოს უნდა უმაღლოდეს წრდილო ამერიკის შტატები, რომ მისი ისტორიით არ წარმოგვიდგენს გამუდმებულს სამოქალაქო ომებს.

მოსპევით იქ თვით-მართველობა კერძო შტატებისა და თავი მოუყარეთ მათ მსოლო საკაეშირო ვაშინგტონში და ამისი აუცილებელი შედეგი ის იქნება, რომ მაშინაც მეტად შეძირდება მიდრეკილება თავისუფალ ურთიერთობებისადმი მშვიდობიანის მოქმედებისათვის. მოსპევით იმაე დროს შტატების საერთო ცენტრი — ვაშინგტონი, ეი სრულიად განუეიტეთ მათ შორის კაეშირი, მიანეზეთ ეველა მათგანი სრულს თვითნებობაზედ და შეჯახება მათ შორის აუცილებელი შეიქმნება.

გაიხსენეთ წევნის ქვეუენის ისტორიაც. განა ზემოდ მოხსენებულის წეს-წუობილებით არ უნდა აიხსნას გამუდმებული ომები წევნის ქვეუენის თავისუფალ — კახეთსა, ქართლსა, იმერეთსა და დანარჩენ ნაწილებს შორის?! ეს ნაწილები, მოკლებულნი საკაეშირო ცენტრსა, განსაკებლად ქვეუენის საერთო საქმეებისა, და თავინებებულნი თვით-ნებობაზე ეველა საქმეში, თავიანთ ძალას მსოლოდ იმაში ძლეედნენ, რომ ერთმანეთს არბეედნენ, ერთმანეთს ასუსტებდნენ. სად იყო მათში მიდრეკილება უერთიერთთადმი მშვიდობიანის მოქმედებისათვის? საბერძნეთიც სავსე იყო ადგილობრივი თავისუფალი ცენტრებითა, ხოლო არ იყო იქაც საერთო ძლიერი ცენტრი, რომელსაც შესძლებოდა დაეცვა მშვიდობიანობა და სამართლიანი განწუობილება კერძოთა შორის. ამის შემდეგი იყო გამუდმებული ომები ნაწილთა შორის, ხოლო ამ ომებს შედეგათ — ქვეუენის საერთო გათახსირება და დაცემა...

ახალი იტალია, მრავალი საუკუნოების განმავლობაში, წარმოგვიდგენს ფრიად შესანიშნავ კაეშირის ადგილობრივის მიხიდეულობის ძალისას და თავისუფალ ასოციაციისადმი მიდრეკილებას შორის. მილანი, ჰენუა, ვენეცია, ფლორენცია, რომი, ნეაპოლი, პიზა, [...] ჰალუა და ვერონა იეუნენ იმისთანავე ცენტრები მიხიდეულობისა, როგორებიც არსებობდნენ საბერძნეთში, მაგრამ უქონლობისა გამო მხისა (ეი. საერთო ცენტრისა), რომელსაც ჰქონოდა საკმაო მიხიდეულობითი ძალა რალაც დაეცვა წესი და მშვიდობა მთელის ქვეუენის აგებულებაში, იეუნენ მუდმიე ომებში ერთმანეთთან, სანამ დასასრულ აესტრიამ და ფრანციამ არ ჩაიგდეს ხელში თავიანთ კლანჭებში მთელი აპენინის ნახეეარკუნული და სანამ მასთან ერთად შესამჩნეეად არ მოისპო მის მცხოვრებთა შორის მიდრეკილება ურთიერთადმი.

გერმანია ითელება მიდამოთა ცენტრების (დეცენტრალიზაციის) სამშობლოდ, იგი მუდამ ცუდის თეალით უეურებდა ცენტრის გამლიერებას, და მუდამეე იმას ელტეოდა, რომ დაეცვა ადგილობრივი უფლებანი.

გერმანია, საბერძნეთის მსახესათ, მუდამ თითქოს მოკლებულიყო მხესა (საერთო ცენტრსა), რომლის გარშემო მშვიდათ უნდა ემოქმედნათ მრავალ მეორე ხარისხოვანს ცენტრებსა, რის გამო, როგორც საბერძნეთში, ძალები დამოუკიდეებულნი მთელს წეს-წუობილებაზე, ადეილად მიესეეოდნენ ხოლმე ერთმანერთს და მით ფრიად აფერხებდნენ ცივილიზაციას თავის ქვეუენსაში. გერმანიაში მრავლად იყო ადგილობრივი თავისუფალი ცენტრები, არ იყო მსოლოდ ერთი საერთო, სახელმწიფო ცენტრი, რომ იეილამ საერთოდ განეგოთ საერთოეე აზრი და მოქმედება. ამ უკანასკნელს ხანებში (1870 წ.) დაფუძნდა იე ეს ცენტრიცა — პრუსიის მეტაურობით, თუმცა ამითაც ჯერ კიდეე ბეერი აკლია გერმანიას მხის სისტემის წეს-წუობილების მსგაესებამდე.

მაგრამ არსად მთელს ქვეეანახედ, მიდამოთა და საერთო ცენტრები ისე შეთანხმებულად არ არის შეკაეშირებული, როგორც ჩრდილო ამერიკის შტატებში. ეს არის მიზეზი, რომ იე ფრიად ალორმინებულია ადგილობრივი მოქმედება, რომელიც ნათლად გამოიხატება აუარებელ სეოლების დაარსებით, გზების გაეუენით, საზოგადო ცხოვრების განეითარებით, შეძლების მომატებით და ეოველნარი ასოციაციების დაარსებით. სწორედ ზღაპარი წარმოგიდგებათ, როდესაც გახეთებში კითხულობთ, რომ ჩრდილო ამერიკის რესპუბლიკაში, მსოლოდ ერთს თეეში, შემდგარა შეიდასი სხეადასხეა ასოციაცია ორასი მილიონის მანეთის თანხითათ...

შევიკრიბეთ ტფილისელი პედაგოგები ზზობის წინა დღეს და ვინაჲთრეთ თავისუფალს რუსეთში თავისუფალი სკოლა. სომ უმანყო და სიმპატიური ნატურაა? მაგრამ კრებას დაქსნრო მხოლოდ ქართველები და სხეებმა კი ვერ გაბედეს მოსკლა. არ დაქსნრენ საშუალო სასწავლებლების მასწავლებელნი, გარდა სათავად-აზნაურო სკოლისა. მხოლოდ იყო ორიოდ-სამი, მაგრამ ისმენდნენ სხვის ნალაპარაკებს, თვითონ კი მუნჯად იდგნენ და, როცა ხელის მოწერაზე მიდგა საქმე, გაიპარნენ, რათა მეორე დღეს მოსხენება წარუდგინონ თავის მომავლინებელთ. რუსთაგანი თავიდან ზოლომდე მხოლოდ ერთი იყო, მაგრამ ნიჭიერი, ფრიად განვითარებული და გაბედული ბ-ნ ცეცხინციკის მიერ წაკითხული დახასიათება რუსეთის სკოლისა დაწერილი იყო ღრმა ცოდნით, სამღელი ნიჭითა და იშვიათის გულწრფელობით.

დიად, არ დაქსნრენ რუსები, ქართველებთან ერთად არ ისურვეს განთავისუფლებულს რუსეთში განთავისუფლებული სკოლა. რატომ? განა მათთვისაც სასარგებლო არ იქნება ეს თავისუფლება? რასაკვირველია, იქნება. მაშ რად მოერიდნენ კრებასა? ალბად თავისი პრინციპლების, ბატონების შიშმა ჩაუკლა მათ გულში ნატურა უურმოჭრილი უმობისაგან განთავისუფლებისა. მაგრამ იმ პედაგოგებს რალამ დაუშალა, ვინც პირდაპირ არ ექვემდებარება ამ ეაყმატონებს, რომელთაც სრულიად უშიშრად შეეძლოთ საზოგადო ნატურის მომხროება? რატომ კრებას არ დაქსნრენ ის სომეხთა პედაგოგები, რომელნიც ტფილისის თვითმმართველობის ხელეკეითნი არიან? სომეხთა შორისაც გამოკლებას შეადგენდა ბ-ნ ცეცხინციკისავით, ბ-ნი ზაზოვი. ამ ორმა პირმა გადაარჩინა დიდს სირცხვილსა და სახელის გატყვას ორივე ეროვნება.

ამ სახით თუ რუსეთის სკოლა ეღირსება თავისუფლებას, ქართველობას შეუძლიან თამამად სთქვას: განახლებულ სკოლის მოპოების საქმეში ჩემი წერილიც ურევიათ.

დიდ შეცდომად უნდა ჩაეთვალოთ იმათ, ვინც განზე გადგნენ და საზოგადო ფერხულში არ ჩაერიდნენ. თავისუფალი სკოლა რუსეთში აუცილებელი გარემოებაა, უსაჭიროესი პირობა თავისუფალი სკოლისა კავკასიაში. თუ რუსეთში სკოლა დარჩება აწინდელს მონობაშიც, ჩვენშიც იგივე მონობა შეურყეველი დარჩება. თუ რუსეთმა ვერ აიცლია თავიდან ეს მომაკვლინებელი სენი, ჩვენშიაც იმპინეარებს. იქნება სომეხები ფიქრობდნენ: ეკლესიის მამულებს დაეიბრუნებთ, გაეხსნით ისე სამრეელო და კერძო სკოლებს და ჩვენს ჭკუაზე ეაწარმოებთო, რაც უნდა მოხდეს რუსეთშიათ. ამათ ფიქრია, ფუჭი იმედიათ. თუ რუსეთის სკოლაში აწინდელი რეჟიმი დარჩება სწავლა-აღზრდისა, მთავრობა იმავე რეჟიმს დაამყარებს სომხურს სამრეელო და კერძო სკოლებშიაც. ეველა რუსეთის ჭირი ჩვენც გეედება, ჩვენს სენადაც იქცევა ხოლმე. ამის გამო მოწინავე რუსეთს უოველთვის მხარი უნდა მიეცეთ, როცა იგი სცდილობს აიცდინოს თავიდან რომელიმე სენი, რომელიმე უკუღმართი წეს-წყოზილება. ამას მოითხოვს ჩვენი სიკეთე, ჩვენი მომავეალი ზედნიერება.

აი, რისთვის უოველი კეთილ-გონიერი კავკასიელი პედაგოგი უთუოდ უნდა დასწრებოდა სხენებულ კრებას, ზანი მიეცა მოზამსეთათვის, ხელი მოეწერა გადაწვეუტილებასზე და ამით ეთქვა: მეც მონატური ვარ თავისუფალის სკოლისა თავიუფალს რუსეთშიო.

მაგრამ დამსწრეთ შეკასრულეთ მხოლოდ ერთი ნახეკარი ჩვენი მოვალეობისა. მეორე მისი ნახეკარი დღემდის კისერზე გეაწეეს და თხოულობს სისრულეში მოეყანასა.

რაში მდგომარეობს ეს მეორე ნახეკარი ჩვენის მოვალეობისა?

მოგახსენეთ, რომ უოველი სენი რუსეთისა ჩვენს უთუოდ გადმოგეედება ხოლმე. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იგივე არ ითქმის სიკეთის შესახებ. ზეერი სიკეთე რუსეთისა ჩვენ სიკეთედ არ გადაქცეულა, ზეერი რეფორმა კავკასიონის ქედს ვერ გადმოსცილებია. ეს ქედი, ადელი გადმოსალახავი უოველი ცუდისათვის, გადმოუვალ საზღვრად შეიქმნება ხოლმე

სიკეთის გადმონერგისათვის. რუსეთმა მიიღო ერობა, ნაფიცთა სამართალი, დააარსა საკლუხო ზანკები და სხვანი. ჩვენ კი არც ერთი ეს დაწესებულება არ გვაღირსა. სკოლის შესახებაც შეიძლება ესევე მოხდეს. რუსეთში სკოლამ შეიძლება მიიპოვოს თავისუფლება, ჩვენებური სკოლა კი ისევე მოხობის ულელ ქვეშ დარჩეს.

ჩვენ აგრეთვე მოვისურვეთ, გულით ვინატრეთ პარლამენტის დაწესება რუსეთში. ოღონდაც რომ პარლამენტი დიდი ღვთის წყალობაა რუსეთისათვის, დიდად ხელს შეუწყობს მის წინსვლა-წარმატებას, განვითარებას, ააუეაეებს. მაგრამ ამ სიკეთეს ჩვენც მოგვიტანს რუსეთის პარლამენტი?

ჩაეიხედოთ ისტორიაში.

თავისუფალს ინგლისს თავისუფალი პარლამენტი აქვს აკერ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში და ამ პარლამენტმა კეთილდღეობით აავსო თვით ინგლისი. მაგრამ ირლანდია კი იმდენად შეზორკა, იმ ზომამდე შეაეისროვა პარლამენტმა, რომ მცხოვრებთა რიცხვმა ერთი-ორად იკლო მასუკან, რაც ამ, ესრედ წოდებულ, „ზურმუხტის კუნძულზე“ გაბატონდა ინგლისის პარლამენტი. უარესიც დაემართებოდა სასუალ ირლანდიას და ბედნიერ დღეზე ველარც იოცნებებდა, თუ ამერიკაში გადასახლებულს და გაძლიერებულს ირლანდიელებს მხარი არ მიეცათ თავისი დანაგრული მოძმეებისათვის და მეღვარი, შეუპოვარი და შეუსუვეტელი ბრძოლა არ გამოეცხადებინათ ინგლისისათვის, აღსადგენად ირლანდიის თვით-მართველობისა, აეტონოპისა.

გადმოვაბიჯოთ ინგლისიდან პრუსიაში და კიდევ უფრო უდიერს გაბატონებას ეიხილაკეთ მთავარის ერისა დამორჩილებულს ერზე პარლამენტის საშუალებით. პრუსიას, როგორც მოგრხსენებათ, საკუთარი პარლამენტი აქვს, რომლის წევრებმად ითვლებიან განთქმულნი მეცნიერნი, პოლიტიკურნი რადიკალნი. და ეს პარლამენტი **რადიკალურად** მიწასთან ასწორებს პოხნანის პოლონელებს, რომელიც შეადგენს აღმოსავლეთის ნაწილს პრუსიის სამეფოისას, მართალია, ამ პარლამენტში პოხნანელ პოლონელებსაც ჰყავთ თავისი დეპუტატები, მაგრამ ისინი ეერაფერს ასუობენ, რადგან თითო ას სულ ნემენცხე მოდის მხოლოდ ორიოდე პოლონელი.

ვენგრია არ შეადგენს საკუთარ სახელმწიფოს; მაგრამ მას აქვს საკუთარი პარლამენტი, და ეს პარლამენტი ისევე აეისროებს მასთან შეერთებულ ხორვატებს, როგორც პრუსიელები პოხნანელ პოლონელებს.

ერთი სიტუეით, წარსული და აწმდგომი სახელმწიფოებისა მჭერმეტყუეელურად გეამცენებს: ყოველს პარლამენტში გამეფებულია მთავარის ერის ეგოისტური მიმართულება, ეისრო ნაციონალიზმი, და ის ერი სარგებლობს თავისი დეპუტატების სიჭარბით, რათა შეაეისროვოს, შეზორკოს, შეასუსტოს, დაამცროს და მიწასთან გაასწოროს შემოერთებულნი, რიცხვით მცირენი ერნი და სამაეიეროდ გააძლიეროს თავისი თავი, აალორძინოს შემოერთებული ერების აელადიდება თვითონ დაისაკუთროს და სიმსუქნით აიკოს.

ამ მხრივ ყოველი პარლამენტი, მეტად სასარგებლო დაწესებულება მთავარი ერისათვის, გამოდის მანეხელ სალაყბოდ (გოეორილნიად, დობროლიუბოეისა არ იეოს) შეაკეშირებულის მცირე ერებისათვის, — სალაყბოდ, სადაც სოფისტურად ამართლებენ მთავარის ერის წარმომადგენელთა მიერ მცირე ერების ძარცვა-გლეჯას, თავის ნაციონალურს რახზობინიკობას, ავახაკობას.

ეს მიმართულება ცენტრალურის პარლამენტისა სულთამსუთავე მაჯლოაჯუნასავით აწეება მეტადრემცირე ერთა სკოლასა. ამ სკოლაში ცენტრალური პარლამენტი ამეფებს მთავარის ერის ენასა, სდევნის და საშინლად აეისროებს ქეეშეერდომის ერის ენასა, სკოლას ჰხდის პოლიტიკანურს დაწესებულებად, სადაც მცირე ერის მოხარდ თაობას, უცხო გაუგებარ ენაზე სწავლების წყალობით გონებას უხშობს, უხუსტებს, სწაკრავს, უკარგავს მხნეობას, უკლავს უნარსა და ამხადებს საბოლოოდ მთავარის ერის ფართაშობას მცირე რიცხოვანის ერის ტერიტორიაზე, მიწა-სუალზე.

რა გვარ მონობასიც ამყოფებს პრუსიის პარლამენტი პოლონელთა სკოლას პოზნანში, ეველას გაგებული გეაქვს. რა გვარად სწავრავდა და სწავრავს თვით საფრანგეთის რესპუბლიკის დემოკრატიული პარლამენტი არაბულს ენასა და არაბულს სკოლასა, ესეც ეველამ უსწის. მაგრამ იქნება ზოგმა მაინც არ იცოდეს, რომ ეს დემოკრატიული პარლამენტი, მაღიარებელი თანასწორობისა, მშობისა და თავისუფლებისა, ნებას არ აძლევდა და არც აძლევს ბრეტონელებს, თავის დასაჯელეთის მოძმეებს, რომელნიც ლაპარაკობენ კულტურს ენაზე. ჰქონდეთ თავისი ეროვნული სკოლა. და თუმცა ამ ეროვნულის სკოლის და ენის უარყოფა თვითონ საფრანგეთსაც სჯიდა იმ მხრივ, რომ უეცი ბრეტონი აგზავნიდა უმეტეს ნაწილად დეპუტატებად რეტროგრადებს საფრანგეთის პარლამენტში, რომელნიც უშლიდნენ ამით წინსვლელობას მთელ საფრანგეთსა. მაინც ეროვნული სკოლა საფრანგეთის პარლამენტმა არ მიანიჭა ბრეტონსა.

თუ ევროპიდან ამერიკაში გადავალთ, იქაც ეიხილავთ საშინელს ეგოიზმს რესპუბლიკის კონგრესისას. ამ კონგრესმა მინასთან გაასწორა და თითქმის აღმოფხვრა ადგილობრივი წითელ-კანიანი ხალხები, რომელნიც უსათუოდ თავისებურს წვლილს შეიტანდნენ საკაცობრიო კულტურის საღაროში, თუ მათ სამართლიანობით მოპქეოდა შეერთებულის შტატების კონგრესი და მიეცა შეძლება დაუბრალოებელი განვითარებისა...

მე უფრო მეტს ჭეშმარიტებასაც მოგახსენებთ. თვითმპურობელი ხელმწიფე შეიძლება იყოს კაცთმოუყვარე, მაგრამ ცენტრალური პარლამენტი კი უოველთის უოფილა და არისგამომხატველი და წარმომადგენელი მთავარის ერის ეგოიზმისა. გამჭვალული მთავარის ერის სიკეთით, სხენებული პარლამენტი იჩენს უსულგულობას მცირე ქვეშევრდომ ერების შესახებ, შეუწუნარებელ, უკიდურეს უსამართლობასა. და ამ უსამართლობისა არც კი რცხვნიან, რადგანაც საპარლამენტო კოლეკტივიზმი სრულიად სპობს პირად ზნეობრივს ჰასუხისკებასა. უგულობა და უსირცხვილობა უოველგვარი ცენტრალური პარლამენტისა მცირე ერთა შესახებ ნამდვილი ფაქტია, — ფაქტი საყოველთაო სამსუხარო და მეტად საგულისხმიერო.

თუ ასეთს ნაციონალურს ეგოიზმსა და შეუწუნარებლობას იჩენს ცენტრალური პარლამენტი განათლებულს ევროპასა და ამერიკაში, მით უმეტესად უნდა მოველოდეთ ამასა რუსეთის ცენტრალური პარლამენტისაგან, სადაც დიდი უმრავლესობა დეპიტატებისა კუთვნილება იქნება მთავარი ერისა და სადაც სუეორინებს, კრუშეეანებს, კატკოეებსა და სხვა რეტროგრადებს ზანს მისცემენ ჩვენის გარუსების შესახებ. ის რუსების გაიძახიან: ძირს ჰატარა ერთა ნაციონალიზმი და აეტონომია.

ეს ცენტრალური ტუსეთის პარლამენტი ჩვენ შესახებ არამც თუ არ შეასუსტებს იმ სულთამხუთავე რეჟიმს, რომელიც გააბატონა რუსეთის ბიუროკრატია, არამედ კიდევ გააძლიერებს: სკოლაში გამეფებული დარჩება რუსული ენა და განდევნილი დედა-ენა. ქართველებს არც სასამართლოში და არც ადმინისტრაციაში ჯეროვანი ადგილის დაჭერას არ აღიარებს და განაძლიერებს იმ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთიდან გადმოსახლებულის რუსის მუყიეების საშუალებით მიხნად აქვთ გარუსება საქართველოსი. საქართველოსი-მეთქი იმითომ მოგახსენებთ, რომ ეს პოლიტიკა ქართველებს კი არ არუსებს, არამედ სწაღიან გარუსება ტერიტორიისა, მიწა-წყლისა, ქართველთ მესაკუთრეთა შემცირება და ბოლოს გაქრობაც. ამგვარს პოლიტიკას ადგია პრუსიის პარლამენტი პოზნანის შესახებ და ზაუშობა იქნება ეიმედოვნით, რომ რუსეთის პარლამენტი არ იკადრებს ჩვენს შესახებ ამისთანავე უდიერობასაო. განსხვავებული მხოლოდ ის იქნება, რომ ჩვენ ვერ გაუსწევთ მედგარს წინააღმდეგობას საქართველოს გარუსების შესახებ, რომელსაც უსწევს პრუსიას პოზნანის პოლონელნი, ჩვენზე უფრო განათლებულნი, ძლიერი ნაციონალიზმით გამსჭვალულნი და აღფრთოვანებულნი და სამაგალითო ერთობით შეკავშირებულნი...

სად უნდა ევიით ხსნა? ამ საკითხზე მისცა ჯეროვანი ჰასუხი თავადაზნაურობამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოსამ და ქართულმა პრესამ, გარდა ერთის ქართული გაზეთისა. ამათ დასახებლეს უებარ წამლად აეტონომია საქართველოსი.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტერმინმა ზეერი განაცვიფრა, გააკაპასა და საომარს ფეხზე თურმე დააყენა ჩვენ წინააღმდეგ. ავტონომია ხომ პოლიტიკურს განცალკევებას, რუსეთის წამოშორებას, სეპარატიზმს მოასწავებსო, გაიძახიან სიტუეითაც და კალმითაც, გაიძახიან გარეულნი და შინაურნი. ეს ან უსუსურის გაუგებრობის ნაყოფია, ან ბოროტ-განხრახულობისა. ავტონომია არამც თუ სეპარატიზმს არ მოასწავებს, არამედ ძირიან-ფესვიანად სთხრის და სპობს სეპარატიზმსა. სეპარატიზმი არის პირმშო შვილი ცენტრალიზაციისა, რომელიც სულს უხუთავს ეროვნებას და სულ იმას ანატრულებს, როდის იქმნება ამ ჩემს მტარეალს სახელმწიფოს თავი დაეკახნით და ცალკე ეციხოვროვო. ავტონომია კი ხალხს ანიჭებს შინაურ თავისუფლებას და უკვლევს ფართო გზას კულტურულის განვითარებისათვის.

ჩვენ, ქართველებმა, კარგად ვიცოდით და ვიცით, რომ ჰატარა ერი ვართ, რომელსაც ცალკე სახელმწიფოს გაძლოდა და შენახვა მძიმე ტვირთად დაგვანუა კისერზე. უზედური სერბიის ზედი ჩვენში არაგის სახარბილოდ არ მიანია. ჩვენში ეველა შეგნებული ქართველი დარწმუნებულია, რომ ჰატარა სახელმწიფოების ხანამ გაიარა, და დადგა დრო დიდი ფედერაციებისა. ავტონომიურს პროცესზე მოწუხილი ქვეყანა სარგებლობს ეველა იმ სიკეთით, რომელიც აქვს ცალკე თვით მდგომარე სახელმწიფოსა, და იმავე დროს მოშორებულია ზეერს იმ მძიმე ზრუნვას, მოუსვენრობას, საკლსა, რომელსაც თავიდან ვერ იცილებს ვერც ერთი თვითმდგომარე სახელმწიფო. ამის გამო ავტონომიურ ნაწილს, ერთეულს, მეტი თავისუფალი დრო დ შეძლება აქვს თავისი კულტურული ზრდა ააღორძინოს, დააჩქაროს.

საქართველოს ავტონომიის დამყარების შემდეგ ზეერი რამ დარჩება კიდევ ცენტრალურის მთავრობის ხელში. სახელმწიფოს ძირითადი საკონსტიტუციო კანონები, ცენტრალურ პარლამენტში დადგენილნი, საეკლდებულო იქმნებიან ჩვენთვისაც. საერთო იქმნება: ფარი, ფლოტი, ფინანსების ნაწილი, დამოყენა, საგარეო პოლიტიკა, საერთო ვალი და ზოგი სხვა საქმეცა. თვით საქართველოს მიენიჭება საკუთარი კანონმდებლობითი დაწესებულება, ადგილობრივი პარლამენტი. რომელიც არჩეულ იქმნება საუოველთაო, პირდაპირი, საზოგადო და ფარულის კენჭის ყრით. ეს ადგილობრივი პარლამენტი შეიქმნავეს, დაადგენს და გამოსცემს უოველგვარ კანონს შესახებ საქართველოსა. სკოლა გვექნება ქართული, ქართული იქმნება აგრეთვე ადმინისტრაცია და სამმართველო; ჩვენს ეკლესიას მიენიჭება სრული ავტოკეფალია, საკუთარი კათოლიკოზი. ერთი სიტუეით, შინაური მართებლობა იქმნება საესეებით ქართული.

ამგვარ ავტონომიას ითხოვს დაციენებით, არა მარტო აწმდგომისა და მომავლის სიკეთე, არა მარტო დაუბრკოლებელი წინ მსელელობა და კულტურული განვითარება ჩვენის ქვეყნისა, არამედ წარსულის ხმაც, ისტორიული სიმართლეც. წარსულის საუკუნის დასასწისში საქართველო შეუერთდა რუსეთსა იმ პირობით, რომ იგი დარჩენილიყო ავტონომიურ ნაწილად საერთო სახელმწიფოსი და ჰქონოდა სრული შინაური თვითმმართველობა, ნაციონალური თავისუფლება და უოფილიყო თავის თავის ზატონი. დროა, რომ ეს პირობა საესეებით იქმნას შესრულებული და მოისპოს მთელის საუკუნის უსამართლობა. მაგრამ შეიძლება სთქვან და ზოგნი კიდევ ამბობენ: თუმცა ქუთაისის გუბერნია თითქმის მარტო ქართველებით არის დასახლებული, მაგრამ სამაგიეროდ, ტფილისის გუბერნიაში ზლომად არიან სომხები, და ვაი თუ ქართველობამ ისარგებლოს ავტონომიითა და მათ შეეისროება მიაყენსო. ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ დედამისის ზურგზე ძნელად მოიპოვება ქვეყანა, სადაც სცხოვრობდეს მხოლოდ ერთად-ერთი ერი; ეველგან მთავარ-ერთან სცხოვრობენ სხვა ერებიც და, თუ ავტონომიის აუცილებელ პირობად უოფილიყო ერთობა, ვერც ერთი ქვეყანა თვითმართველობას ვერ ეღირსებოდა. მაგრამ მათ არას დროს არ მოსელიათ გონებაში. წარსულს საუკუნოებში ქართველებს ჰქონოდათ თავისი საკუთარი სახელმწიფო; მაგრამ მათ არას დროს არ მოსელიათ გონებაში შეეისროება სომხებისა,

თათრებისა და უერებისა. სომხები სრულიად გათანასწორებულნი იყვნენ ქართველებთან უოველ მხრივ და, ასე განიხილოთ, ზოგი მაღალი სახელმწიფო ადგილი ჩამომავლობით ეჭირათ. სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ აგრეთვე თათრები, რომელნიც მაღლიერი იყვნენ საქართველოსი, რომ შემოსეულს თათრებს ებრძოდნენ სრულის თავ-განწირვით. მოწორებულნი იყვნენ აგრეთვე დევნასა ურები. წარსულში ქართველები თითქმის სარწმუნოებრივი ფანატიკოსები იყვნენ; მაგრამ ისტორიას არ ახსოვს, რომ ებრაელები, შემოხიზნულნი საქართველოში, ჩვენებს ეწვალეზინათ, ედევენათ და ეწვალეზინათ, ედევენათ და ეყლიტათ, თუშცა ეს ყლიტა მაშინ ევროპაში ხშირი იყო და ახლაც ხშირია რუსეთში... ფრიად შესანიშნავია, რომ ეს ხათრი-ჯამობა ქართველებისა მით უფრო მეტი იყოს დასახელებულ ერთა შესახებ, რამდენადაც უფრო ძლიერი იყო საქართველო, მაგალითად, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროსა... ამიტომ სრულს ჭეშმარიტებას ვაღიარებთ, თუ ვიტყვიით, რომ ავტონომიურს საქართველოში უველას საზოგადოდ და კერძოდ სომხებს მინიჭებული ექმნებათ სრული თავისუფლება ეკლესიისა, სკოლისა, ლიტერატურისა, თავისი ეროვნულის კულტურის განვითარებისა, ჯეროვანი ადგილი ეჭირებათ ადმინისტრაციამში, სამსახურში და ჰარლამენტში.

ახლა ვიკითხოთ: რა გავლენა ექმნება ავტონომიის დამუარებას საქართველოში სოციალური საკითხის გადასწევტახე? მუშათა და გლეხთა ზედი უფრო სწრაფად გადასწედება სასურველად, თუ ავტონომია დააკვიანებს, შეაჩერებს სანატრელს სოციალურს ცელილებასა? ზოგნი იმ აზრისანი არიან, რომ ავტონომია დააშორებს ქართულ მშრომელ კლასს რუსეთის მშრომელს ხალხსა, შეასუსტებს მათს ძალასა და სოციალურს ცელილებასაო. ეს აზრი უოვლად უსაფუძუელოა. დემოკრატიულ ავტონომიას არსად არ შეუსუსტებია მშრომელი ხალხის სოლიდარობა და ეერც ჩვენში შეასუსტებს. რაც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარიის კანტონები, გერმანიის იმპერიის სამეფონი, თუარა სრული ავტონომიური ნაწილნი საერთო სახელმწიფოსი. მაგრამ აქ მშრომელთა ხალხის ერთობა ზეერად უფრო მტკიცეა, ვიდრე უნიტარულს — ცენტრალურს საფრანგეთში, და სოციალურ-რადიკალურს ცელილებას შესაძლებელია უფრო ადრე მოესწრნენ ამერიკელები, შვეიცარიელები და გერმანელები, ვიდრე ცენტრალიზმის მიმდეარნი ფრანცუზები — ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ ავტონომია საქართველოსი ზეერად დააქარებს სოციალურს ცელილებას ქართველთა შორის და დაეხმარება მის დროიანად განხორციელებას თვით რუსეთში, და, აი, ამისი საბუთებიც.

ქართველი ხალხი უფრო ცოცხალი, უფრო მოძრავი, ახალის სასიკეთო ცელილებს უფრო ადვილად შემთვისებულია, ვიდრე რუსი ხალხი.

საქართველო ჰატარა ქეეუანა და ერთს კუთხის მოძრაობა სწრაფად იფინება სხვა კუთხეებზე ან სულ არ ერცელდება და, თუ ერცელდება მეტად გეიან.

სოციალურ ცელილებს წინააღმდეგნი ელემენტნი საქართველოში ზეერად სუსტნი არიან, ვიდრე რუსეთში, ჩვენში ამ ცელილებას ეწინააღმდეგება უმთავრესად მსხელილი თავადობა, და ამის რიცხვი კი თითებზე დაითელება. ქართველი წერილფეხა ახსაურობა გლეხისაგან არაფრით განირჩევა და სოციალური ცელილებით იგი მოიგებს და არ წააგებს. ზურყუახია ჩვენ ჯერ არა გეუავს და, თუ თითო-ოროლა ეაჭარს სიმსუენე ეტეობა, ეს ანგარიში წასაგლები არ არის. თვით თავადახსაურობის კრებაზე სოციალურის ცელილებს მომხრენი ზეერნი იყენენ და ხიმუტის წარეის მსურველნი — ერთ მუჭა დასს შეადგენდნენ, რომელიც დამობილი იქმნა თავად-ახსაურის უმრაველსობისაგან. ესლა გავითვალისწინოთ რუსეთის ელემენტები. იქაური მუშა ხალხი და მეტადრე გლეხობა ჩვენებურ მუშა-ხალხზე და გლეხობაზე, უეჭველია, დაზლა დგას განვითარებით და, მაშასადამე, ისე მტკიცედ ეერ იბრძოლებს სოციალურის ცელილებს განსახორციელებლად, როგორც იბრძოლებენ ჩვენებურნი. ზურყუახია რუსეთისა საკმაოდ მრავალ რიცხოვანია და სოციალურს ცელილებას დიდს წინააღმდეგობას გაუწევს. მრავალ-რიცხოვანი ახსაურობა რუსეთისა

მდიდარია მამულით და დიდძალს ჯარს გამოიუყანს თავისი ინტერესების დასაცველად, რომელნიც ეწინააღმდეგებიან მშრომელი ხალხის ინტერესებს. რუსეთის ბიუროკრატია მრავალ-რიცხოვანია, გალეხიანი, გაწვრთნილი და დღესაც დიდ ძალას წარმოადგენს, და ეს ძალა კი წინააღმდეგი იყო, არის და იქნება აწინდელის სოციალურის წესრიგის შეცვლისა საასროდ... ერთი სიტყვით, ხალხი ბევრათ უფრო ადვილად და ადრე გამეფდება საქართველოში, ვიდრე რუსეთში, და ამიტომ ჩვენი „დასკლები“, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ავტონომიას, ძირს უთხრიან განხორციელებას თავისავე მოძღვრებისას და მოგაკონებენ იმ ადამიანებს, რომელზედაც ჯვარცმულმა ქრისტემ სთქვა: არა უწიან, რასაც იქმენ...

მართო სოციალური ცვლილება არ არის საქმარისი ჩვენის ქვეყნის აუჯავებისათვის, ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე ეროვნული თავისუფლება, ფართო ნაციონალიზმი, ეროვნული პრინციპის გარეშე, უძლურია აალორძინოს ქვეყანა. აგრეთვე უძლურია, ნაციონალიზმი უსოციალიზმოდ. დიდი ხანია ნათქვამია: „არა ერთი პურიტა ცოცხალ არს კაციო.“ საჭიროა სრული დაკმაყოფილება სულისაც. სული კი, როგორც ხორცი, უველა ადამიანისა, ეროვნულია, ნაციონალურია. ნაციონალიზმი კოლექტიური პიროვნობის, კოლექტიური თავისუფლებაა. და როგორც კერძო ვერ განვითარდება, ვერ გაიფურჩხება, თუ მის პიროვნებას და თავისებურებას ფართო გზა არ ექმნება გახსნილი, ის ერი ისე დაიჩაქრება, თუ მის ეროვნებას არ მიენიჭება სრული თავისუფლება, თუ არ მიენიჭება: ეროვნული სამართალი, ეროვნული სკოლა, სრული გამგეობა, ეროვნული თვით-მართებლობა. ამიტომ, ვინც გაიძახის: ძირს ნაციონალიზმი და ძირს ავტონომია და გაუმარჯოს მართო სოციალიზმისაც, აცლის ხალხს კეთილდღეობის ერთს მთავარს ზომსა და სტოვებს მას მხოლოდ მეორე მთავრის ზომის ამარა. მეორე მხრივ, ვინც ამბობს, გაუმარჯოს მართო ნაციონალიზმს და ხიდ ქვეშ სოციალიზმიო, სწადის იმავე ცალ-მხრიობას, უკულმართობას, ჭკუა-მოკლეობას. ჯერ კაცობრიობა არ მოსწრება იმისთანა მაგალითს, რომ ერს ელაღატებინოს ეროვნული გზისათვის, გადასცდენოდეს მას და არ წასულიყოს უკან, არ გადაშენებულიყოს. ნაციონალიზმი, ხელისულ წაკიდებული სოციალიზმთან, გახლავთ ორპირი იარაღი, რომელიც ერთი პირითაც უკაფავს ხალხს გზას ბედნიერებისაკენ და მეორე პირითაც.

ამ ნაციონალ-სოციალურ მიმართულებას თანაუგრძნობს დღეს დიდი უმრავლესობა ქართველ შეგნებულ საზოგადოებისა და დიდი უმრავლესობა ქართველ შეგნებულ საზოგადოებისა და დიდი უმრავლესობა თვით მღაბით ხალხისა, ზოგი ინსტიტუტურად და ზოგი შეგნებით.

მხოლოდ ამ ფართო მიმართულებას, მოკლებულს ეიწრო დოქტრინის ცალმხრიობას, შეუძლიან თავი მოუყაროს მთელს ქართველობას ერთის დროშის ქვეშ, დააყენოს კულტურის ფართო გზაზე, განავითაროს ნიეთიერადაც, გონებრივად და ზნეობრივად და მომავალში მიანიჭოს კეთილდღეობა.

საერთო კანონმდებლობა და დამოკიდებული ეროვნება

„ივერია“, 1905, №44

კიდევ უნდა დაეუბრუნდეთ იმ საგანს, რომელსაც უკანასკნელ დღეებში რამდენჯერმე შეეხეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსასწეენი არაა და ყოველთვის ახლად და საინტერესოდ წაითლება. ეს საგანია — საკითხი დამოკიდებულ ერთა მდგომარეობის პოლიტიკურ ცვლილების წინ და ცვლილების შემდეგ განახლებულ რუსეთში.

ეს საკითხი მით უფრო საყურადღებოა, რომ წვენში, როგორც ეტობა, მოიპოვებიან ისეთი „ინტელიგენტებიც“ კი, რომელთაც არ აქვთ ამ საკითხის წინაარსი საესებით გამორკვეული და გათვალისწინებული.

ამ გამოურკვევლობისა და შეუგნებლობის მაგალითი ენახეთ გუშინ-წინ თავად-ახნაურთა კრებაზე და მსგავს მაგალითებს ეხედებით ხოლმე ცხოვრებაშიც. თქვენ, იმედია,

არ დაგეინუებით ის სიტუეები, რომლითაც მიმართა კრებას ამიერიდან განთქმულმა მ. ვ. მანაშელმა: „აუტონომიის მოთხოვნა ეწინააღმდეგება რუსის ხალხის სურვილსაო. ჩვენ და რუსის ხალხი ერთად ვიტანჯებოდით, ერთს ტაფაში ვინოდით და ახლა, როცა მოგვეცა ხმის ამოღების ნება, რუსის ხალხს ვეუბნებით: თქვენთან ერთობა არ გეინდა, თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვისო, ამას რუსის ხალხი არ მოგეინონებსო“ და სხე.

ერთის სიტუეით, ამ ორატორის მსგავს ჰირთა ახრი და შეხედულება ცხადი და ადელოდ გასაკება: ისინი ამბობენ — შეუერთდით რუსეთის მოწინავე საზოგადოებას და მოითხოვეთ მხოლოდ ის და დაკაუთილოდით მხოლოდ იმით, რასაც რუსეთის საზოგადოება მოითხოვს და მოიპოვესო.

— მაგრამ ჩვენ რომ რუსნი არა ვართ და, გარდა რუსულ მოქალაქობრივ უფლებებისა, ეროვნული, ე.ი. „არა რუსული“ უფლებებიც გვესაჭიროებაო? — ჰკითხავთ თქვენ, მაგრამ თავისებურ „ერთობის“ მქადაგებელნი ამ კითხვაზე ჰასუსს არ გაძლევთ და ვითომ ამით გაკაუთილებთ, რომ ეს უფლებები „რუსის ხალხს არ მოწონებაო“.

რასაკვირველია, ძელია ისეთი კაცის დარწმუნება, რომელიც სხვისის დაწუნებითა და მოწონებით ხელმძღვანელობს და თავის ხალხის სარგებლობის საქმეს პრინციპილორად გარეშეთა გემოვნების საფუძველზე ამუარებს.

მას ეუბნებიან: ჩვენთვის უფრო სასარგებლოა გვეონდეს უფლება — ჩვენი შინაური ცხოვრება ისე მოეინუთ, როგორც ჩვენს ადგილობრივ მოთხოვნილებათა და საჭიროებათ შეეფერებაო. ჩვენ გეინდა ჩვენისავე სისხლით მორწულ მინაზე ვიცხოვროთ, ტერიტორია შეეინარჩუნოთ, მინათომქედს მამული მიეცეთ, ენა დავიცვათ, თავისუფალი განათლება მიეილოთ, ჩვენ გეინდა მშრომელი ხალხი ზეით ავნიოთ, გაეაღონიეროთ, კულტურულად აკამალოთ, გეინდა ვითარცა ხალხი, ვითარცა ერი, აელორძინდეთ, განვეითარდეთ, მსოფლიო კულტურის ღირსეული თანამონაწილე შევიქნეთ. გაურკვეველ „ერთობის“ მოტრფიალე ამ მოთხოვნის ჰასუსხად ორის სიტუეით გამშეიდებთ: საერთო კანონის ორგანიში ჩვენც გვეუოლებიან წარმომადგენლები და იე „ლიბერალორ“ კანონებს დაწუნებენო. ტუეილად დაწუნებთ რწმუნებას: თუ ის — რაღაც ლიბერალორი კანონებია — კარგი არის, ზარემ ის არ ემჯობინება, ჩვენეე გვეონდეს უფლება მათის შემოღებისა და ჰარლამენტში უმრავლესობის შემადგენელ სხვა ხალხის წარმომადგენელთა სურვილისაგან არ ვიუოთ დამოკიდებულნიო? — ის მანეც თავისას გაიძახის და გაიმედებთ, რომ სხეები ჩვენს საქმეს ჩვენეე უკეთ გაგეიკეთებენ.

სამწუნხაროდ, ისტორიული მაგალითები არ ამართლებს ამგეარ ოპტიმიზტობას. არის ქეეყანაზე ისეთი „ლიბერალორი“ სახელომწიფოები, სადაც ჰატარა, დამოკიდებული ერები ცხოვრობენ და მიუხედავად კანონმდებლობის „ლიბერალობისა“, ამ ერთა ეროვნული ცხოვრება და ხალხოსნური განვეითარება ფრიად შეეინროეებული და დაბრკოლებულია. გაბატონებულ ერის ბურჟუაზია თავის ეიზის წყაროდ სთელის დამოკიდებულ ხალხის ქეეყანას და ცდილობს მის ნიეთიერ და სულიერ ძალ-ღონის გამოცლას. ჩვენ საფუძველი არა გეაქვს ვიფიეროთ, რომ რუსეთში, როცა ახლანდელის გატაცების დრო გაიელის და რუსეთის ბურჟუაზიას ბატონობა ექნება, ჩვენს შესახებ მეტ გულომტყიენეულობასა და უურადღებას გამოიჩენენ და ცხოვრების უკეთეს ჰირობებში წაგეაყენებენ, ვიდრე, მაგალითად, ჰოლონელები არიან ავსტრიასა და გერმანიაში. საკონსტიტუციო დაწუნებულებათა შემოღების შემდეგ რუსეთის ბურჟუაზიას ფართო ასპარეზი გაეხსნება და ისე შორიდან და შორიდებულად აღარ დაგეინუებს ცქერას, როგორც ამდენხანს, ბიუროკრატიულ რეჟიმის დროს. ძალო-უნებურად შერებოდა.

ჩვენი ზრძენი ორატორი კი a la ჟამადარ-მანაშლისა სწორედ ამ ბურჟუაზიის ემოზას გეიქადაგებენ და ქართველ ერს გათახსირების გზაზე დადგომას ურჩევენ.

კრებამ ღირსეულად დააფასა მათი სიბრძნე და ჰოლიტიკური მიმართულება და იმედია, მათს „პროგრამას“ ასეეე ღირსეულად დააფასებს საზოგადოებაც...

არტურ ლეისტი (ლაისტი), რა არის კულტურა?

„იერია“, 1905, № 155

გერმანულ ერთ-ერთ გაზეთში ეს საკითხი განიხილა ახალგაზრდა, მაგრამ თავისებურმა ისტორიკოსმა კურტ ბრეიზიგმა. ბრეიზიგი ცნობილია, როგორ ავტორი ცნობილი თხზულებისა „ევროპის ხალხთა კულტურის ისტორიისა“.

სიტუეას „კულტურა“ სხვადასხვა გვარად ხსნიან, მაგრამ არის ორნაირი ახსნა, რომელიც აერთებს ამ განმარტებათ და ამ სიტუეის მნიშვნელობას საერთო, ფართო მნიშვნელობას აძლევს.

1) ერთნი ამბობენ, „კულტურა“ არის ცხოვრების განვითარება დანიშნულ წერტილამდე. მაშასადამე იმ ხალხს, რომელსაც განვითარების ამ წერტილამდე არ მიუღწევია, უკულტუროა.

2) სხვების აზრით კი კულტურა არის გამომხატველი ხალხის ცხოვრებისა, განვითარების, რომელ წერტილზედაც უნდა იდგეს იგი.

მაშასადამე ველურ ხალხსაც ჰქონია თავისი კულტურა.

ბრეიზიგი ნათლად არ აღნიშნავს, რომელის მხრით უუერებს ამ სიტუეის მნიშვნელობას. მისი თუალთა ხედვის ისარი გამოურკვეველია, მაგრამ ნათლად სჩანს, რომ „კულტურა“, — მისის აზრით, — ნიშნავს ხალხის თვითგანვითარებას, ხოლო კულტურის ისტორია — ისტორიას ეროვნულ „მე“-სი, ეროვნულ სულისას.

უოველივე ცხოველმყოფელი მოქმედება ამა თუ იმ ხალხის ნაყოფია საზოგადოებრივ ნებისა, შედეგია ხალხის მცნება-ჩვეულებათა.

ეს ცხადია, ხოლო, როცა ბრეიზიგიც იმასვე ამბობს, იგი გულისხმობს „განვითარებულ საზოგადოებრივ ნებას“ ხალხის განვითარებულ მცნება-ჩვეულებათ, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, იგი გულისხმობს „უმაღლეს კულტურას“. განხილვა განმარტება კულტურისა, როგორც დღეს ჩვენ გვესმის იგი — ახალი მეცნიერებისა. კულტურის განმარტებას პირველად შეუდგნენ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში, მაგრამ მკვლევარებს ერთი განსაზღვრული აზრი არა ჰქონიათ აჩემებული და ამის გამოსაკვლევად სხვადასხვა გზასა და საშუალებას ხმარობდნენ. ასე იქცოდნენ მკვლევარნი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრამდე და ისეთი დიდებული ისტორიკოსნიც კი, როგორცაა შლოსერი, ხალხთა პოლიტიკურ ისტორიას ჰყოფდა ამავე ხალხის გონებრივ-მატერიალურ განვითარების ისტორიისაგან.

მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში კი აზრი, შეხედულება ისტორიაზე ძირიანად შეიცვალა და დღეს ვერაინ ვერ იტყვის, რომ ხალხის ცხოვრების, პოლიტიკური იქნება იგი თუ საზოგადოებრივი, გონებრივი თუ მატერიალური მტკიცე კავშირი არა ჰქონდეთ ერთმანეთში და საერთოდ თავმდებნი არ იყვნენ ხალხის წარმატებისა თუ დაქვეითებისა.

თუ გვწამს, რომ კულტურა — თვითგანვითარებაა მნაშინ უნდა მივემხროთ ბრეიზიგს და ვაღიაროთ, რომ ამა თუ იმ ხალხის კულტურის მანვენებელია არა მარტო უმთავრესი მოვლენანი ხალხის ცხოვრებისა, არამედ ამავე ხალხის კულტურის მანვენებელია ამ ხალხში არსებული გრძნობა სიყვარულისა, ამხანაგობა, ბინის მოწყობა, ტანთსაცმელი და სხვა წერილმანები, ეინაიდან მარტო ეველა ეს ერთად აღებული მოგეცემს სრულ სურათს ამა თუ იმ ხალხის კულტურულ განვითარებისას.

კულტურის უმთავრესი დანიშნულებაა პროგრესი, ესე იგი დაუსრულებელი მისწრაფება ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, რა მხრივაც უნდა ავიღოთ იგი ცხოვრება. ამ მიზნის მისაღწევად კი ხალხის „საზოგადო ნება და „საზოგადო შექმნება“ უნდა იყოს შეგნებული და უნდა თანხმობით მისისწრაფოდეს ცხოვრების ამა თუ იმ დარგის განკარგებისაკენ, ანუ, სხვანაირად რომა ვსთქვათ, ესა თუ ის კულტურული მოძრაობა უნდა იყოს შედეგი უმრავლესობის ძალთა მოკრებისა, ხალხის „მნიშვნელოვანი ნაწილი“

კი არის ინტელიგენცია. ინტელიგენცია ასევე თავისებურ ზეჯედს ხალხის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, აღორძინებს ლიტერატურასა და ხელოვნებას, იგი ხელს უწყობს ეროვნული აზრის განვითარებას. თუმცა ხალხი სხვადასხვა წევრებისაგან შედგება, მაგრამ ხალხსა აქვს საერთო აზრი, საერთო გულის თქმა და აი, ამ საერთო გულის თქმით ხელმძღვანელობს ამა თუ იმ ხალხის ინტელიგენცია.

ხალხის საერთო აზრი, მისი საერთო გულის თქმა თავისებურ დაღს ასევე კულტურას და ეს დაღი, ეს თავისებურობა ამა თუ იმ ხალხის კულტურისა მით უფრო სუსტია, რაც ხალხი იგი ემორჩილება, ექვემდებარება მეორე ხალხის ზეგავლენას, ის ხალხი რომელსაც სხვა ხალხებთანა აქვს დამოკიდებულება და კულტურული ურთიერთობა უფრო მალე ადგება წარმატების გზას, და მისი კულტურაც ჰკარგავს ეროვნულ ელფერს. საზოგადოდ რომა ესთქვათ ეროვნული კულტურა არც კი არსებობს, ხოლო სადაც კულტურა დამყარებული, იქ გარეშეთა გავლენას დიდი წვლილი მიუძღვის. ავიღოთ მაგალითად ასურელებისა, ებრაელებისა, ბერძნებისა და რომაელების კულტურა. არც ერთი მათგანი არ იყო წმინდა ეროვნული, საკუთრივ ამა თუ იმ ხალხის მიერ შექმნილი. მით უმეტეს თანამედროვე ხალხის კულტურა არ შეიძლება იყოს ეროვნული. მაგრამ ერს, ხალხს ერთი თვისება კი აქვს სხვისგან შენაძენ კულტურას იგი თავისებურად ამუშავებს, თავისებურ, ხალხოსნურ ელფერს სდებს. იგი ექვემდებარება ამ კულტურას თავის მოთხოვნილებით, თავის მისწრაფებით.

მხელი სათქმელია, როგორი იყო საქართველოს კულტურა ქრისტიან მოძღვრების გავრცელებამდე, მაგრამ ეს კი ეჭვ გარეშეთა, რომ იგი ექვემდებარებოდა სხვა ხალხთა ზეგავლენას და ნამეტნავად კი სპარსელებისას. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ კი, საქართველოში ფეხი შემოსდგა ვიზანტიისა და ერთით ასურეთის კულტურამ.

დავით აღმაშენებლამდე საქართველო უცხო კულტურის გავლენის ქვეშ იყო, ხოლო იმ დროიდან საქართველო წელში გაიძარდა, აღორძინდა ეროვნული ცხოვრება, გარეშე გავლენამ იკლო და საქართველოში დამყარდა ეროვნული კულტურა. მართალია „ქართლის ცხოვრება“ ბევრს არაფერს გვეუბნება საქართველოს კულტურის შესახებ დავით აღმაშენებლიდან დასწყებული თამარ მეფის დრომდე, მაგრამ მაშინდელი ცხოვრების მოვლენები ნათლად გვანჩვენებს რომ იმ დროის საქართველოს უნდა მიეღწია ეროვნულ კულტურის უმაღლეს წერტილამდე. მაშინ საქართველო ამაღლებული უნდა უფილიყო ზნეობრივად და გონებრივად. სწორედ ეროვნულ კულტურის ბრალია, რომ საქართველომ შემდეგში გაუძლო მონგოლთა შემოსევას, ხოლო უფრო გვიან ქართლსა და კახეთში სპარსეთის გავლენის გაბატონებას. მეთერთამეტე საუკუნეში ვახტანგ VI, ქათოლიკოსი ანტონი და სხვა მამულიშვილნი სცდილობდნენ კელაე აქევაეებისათ მეღებური კულტურა და, თუმცა ეს საეხებით ვერ მოახერხეს, მაგრამ ქართველებმა მეცხრამეტე საუკუნემდე მაინც შეინახეს ნაშთი თავისებურის კულტურისა. გატედა მეცხრამეტე საუკუნეც, საქართველოში დამყარდა რუსეთის ზატონობა. ევროპის გავლენას გზა გაეხსნა.

ამ ახალმა გზამ მიიპყრო ქართველების უურადლება, ახალმა კულტურამ გადიბირა იგინი. ძველს პირი აზრუნეს და მიენდვნენ მათთვის სრულიად უცნობ ქვეყანას. მართალია არც ძველად ქონდათ ქართველებს ტკბილი ცხოვრება, მაგრამ ამ ძველიდან შეიძლებოდა შეეხახათ ცოტა რამ და ახალის ცხოვრებისათვის გამოეყენებინათ.

[წერილის დასკენით ნაწილში ავტორი საუბრობს ქართული ლიტერატურის, მეცნიერების განვითარებასა და ახალი ცხოვრების წესზე მორგების აუცილებლობაზე.]

სომხები საქართველოში

„კლდე“, 1912, №8

როდესაც ქართველები სომხებზედ ლაპარაკობენ სახეში ჰყავთ ის სომხები, რომლებიც საქართველოში მოსახლეობენ. არამც თუ შორეულ ადგილების სომხები, თვით მოსახლერე

განჯის გუბერნიის სომეხები კი არ შედიან დამოკიდებულების იმ სფერაში, რომელსაც ქართველ-სომეხთა ურთიერთობა ჰქვია. აქედან ცხადია, რა უსამართლოა ის აზრი, როცა წვენ საზოგადოთ სომეხების სიძულვილს გვიკიციანებენ.

ქართველ-სომეხთა დამოკიდებულობა საქართველოში კი სულ სხვა ნიადაგზედა სდგას და შესაძლებელია წვენი საურთიერთო სიმპატიაც სხვა ფასისა იყუეს — და რომ ეს სიმპატიაც არც თუ ისეთი ფასისა უფილა, როგორც ეს ზოგიერთებს მიაჩნდათ, ეს იქიდანაც სჩანს, რომ თვით ისეთი იდეალისტიც კი ქართველ-სომეხთა ურთიერთობისა, როგორც არჩილ ჯორჯაძე იყო, ერთ თავის უკანასკნელ წერილში ამბობს — სამწუხაროდ, სომეხ ქართველთა ურთიერთობას ზიანი შეეპარა და ეს ზიანი არც ერთს კეთილს არ დააყრისო. არჩილ ჯორჯაძე უკანასკნელი არ არის და სომეხ-ქართველთა სოლიდარობას კიდევ უკეს მცველები წვენს საზოგადოებაში. მაგრამ, წვენის აზრით, რამდენადაც უფრო ნაკლებს იყვირებენ ეს წრეს გადასული მითაუყვანენი არ არსებულ სოლიდარობისა, იმდენად უფრო მალე შევაგნებინებთ ერთმანეთს წვენს და სომეხებიც, რომ ეს სოლიდარობა აუცილებელია.

საჭიროა წვენსა და სომეხებმაც შევიგნოთ ერთმანეთის უფლებანი. აი, მთავარი პირობა, ურომლისოდაც წვენს, ვერა თუ ვერ მოერიგდებით, ვერც კი გაცივსოთ ერთმანეთს.

საქართველოში მცხოვრებმა სომეხებმა უნდა შევიგნონ ის აზრი, რომ საქართველოში პირველობა ქართველებს ეკუთვნით. როცა სიტუეა „პირველობას“ ესმარობთ, წვენს სახეში მათი სომეხების, უკანა რიგში წაყენება კი არა გვაქვს, სახეში გვაქვს ინტერესების პირველობა. თუ ისინიც იმ აზრისაინ არიან, რომ წვენს, ქართველები, წვენი ეროვნულის ცხოვრებით ვსცხოვრობთ, ვიძულებით წვენს მიწა წყალზე და წვენსა გვაქვს რამე იდეალი, მაშინ მათ ისიც უნდა აღიარონ, რომ საქართველოში გაბატონებული ინტერესი — ქართული ინტერესი უნდა იყოს. ეს ისეთი მარტივი ფორმულაა, რომ მას არავითარი ქართული სპეციფიური თვისება არა აქვს. გადიტანეთ ეს ფორმულა რომელ ხალხშიაც გინდათ, რომელ ტერიტორიაზედაც გინდათ, იგი უველგან ეროვნულ ცხოვრების თავი და ბოლო იქმნება. თვით უკეთილშობილესი თეორია ერთა თანასწორობისა მას წუნს ვერ უპოვნის. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ საქართველოში მცხოვრებ სომეხებს ჰგონიათ, რომ მათაც სწორედ ისეთივე, მაგრამ სომხური ინტერესი აქვთ აქა, როგორც წვენს. რაკი სომეხები ასე ფიქრობენ, წვენს, რასაკვირველია, აღარ გვაოცებს ის შედეგიც, რომელიც მოსდევს ასეთ აზროვნებას. ცხადია, ეს ინტერესები ერთმანეთს უნდა დაეჯახნენ და ამის მაგალითები სომეხებმა უნდა იმდენი არის ქართველ-სომეხთა დამოკიდებულებაში. სომეხებს ჰგონიათ, რომ მათი ინტერესები საქართველოში იმავე ზომისავე და იმავე მოდგმისავე არიან, როგორც წვენი. მაგრამ ეს შემცდარი აზრია. საქართველოს საკითხი საქართველოში უნდა გადასწდეს, მაგრამ სომეხთის საკითხი კი ვერ გადასწდება საქართველოში. განა მართო აქედანაც ცხადათ არა სჩანს, თუ რამდენად პრიეტულია სომხური საკითხი საქართველოში. მაშასადამე, თუ სომეხთა საკითხს საქართველოში ფართო ეროვნულ-სომხური ხასიათი არა აქვს, მაშ რომელ სომხურ ინტერესებზედ შეიძლება მსჯელობა? მაგრამ არის ერთი ინტერესი კიდევ, — ეს არის უმცირესობის ინტერესი. ინტერესი იმ სომეხობისა, რომელიც საქართველოში უმცირესობას შეადგენს და შესაძლებელია ქართველთა უმრავლესობამ დაჩაგროს იგი.

ამაზედ ლაპარაკი სომეხებს არ აკერძალგებთ, თუმცა ისიც უნდა ესთქვათ, რომ არც თუ საჭიროა ჯერ ამაზედ ლაპარაკი, რადგან სიცილის მეტს რას გამოიწვევს განა ის აზრი, რომ ქართველები სომეხებს სჩაგრავენო. ასეთი ფაქტი არ არსებობს. ხოლო რაც შეეხება მომავალს, რომ სხვა პირობებში ქართველები დასჩაგრავენ სომეხებს — სად გაგონილა ჯერ არ არსებული დაჩაგვრისთვის ესლავე დაჰგმონ წვენი მომავალი და ინტერესთა წინააღმდეგობა გამოაცხადონ.

კანონი ნებამ აძლევს ადამიანს უოველივე წინასწარი ზომა მიიღოს თავის არსების დასაცავად, მაგრამ აქედან იმ უცნაურ აზრის გამოუყანა კი არ შეიძლება, რომ იგივე კანონი ნებამ გამოკეთ ადამიანი მოკლათ იმ მოსაზრებით, რომ მას შეეძლო თქვენი მოკლა.

ამ პატარა მაგალითიდანაც ცხადია, თუ რა შეცდომას სწადიან საქართველოში მცხოვრები სომხები, როცა ქართულ ეროვნულ იდეის წინააღმდეგ არიან იმ მოსახრებით, რომ ჩვენ შეგვიძლიან მათი ოდესმე დაჩაგვრა.

უეველა ზემოსხენებულიდან სჩანს, რომ ჩვენი ებრაელების საცოდავ და დაბეჩავებულ საზოგადოებას რაბინები ერთი ალთას ეწევა, მეორე — ზალთას. ერთის მხრით, „ჩვენ ქართველებთან ერთად უნდა მოეკედეთ“ მაგრამ... სიბეჩავე-სილატაკეში და უეცილობა-სილუხჭირეში. სულთამხუთავი (თუ საერთო ეროვნულ იდეისთვის მებრძოლი?) მეორეს მხრით ეერთობიულად განათლებული რაბინები აწოდებენ ქართველ ებრაელების საზოგადოებას „ჰან-ისრაელიზმით“ შეზავებულ ხაჭაპურებს.

მიეშართავთ ზემოსხენებულ რაბინებს, სუ აინყარებენ ქართველი ებრაელების ეროვნულ საკითხის „მოხუთშაბათებს“. იმის გადასუევეტა რაბინებისათვის, როგორც სასულიერო წოდების პირთათვის, არავის მიუნდვია. დიდად სასიამოვნოა, რომ რუსეთიდან მოხვეულმა ბ.ბ. რაბინებმა განამტკიცეს ქართველ ებრაელობაში მოსეს მოძღვრება, „შეასწავლეს ჩვენ ხალხის წმინდა სარწმუნოება“. ასეთ მათ ღეაწლს დააფთხებს მოხარდი თაობა და მადლობასაც უძღვნისთ მათ. არ ეეჭვობთ, რომ ბ. დ. ზაახოვი მეტად ნასწავლი, ნიჭიერი და ზედმიწევნით ენერგიული მუშაიკია; კონგრესებზე და განათლებულ საზოგადოებაში მიღებული. რაბი აბრამ ხეოლეს ხომ პირად პატივსაცა ესცემ, როგორც ჩემს სულიერ მასწავლებლს; მაგრამ განა შესაძლებელია, რომ სხვის მონასტერში თავის „წესდებებით“ მოზრმანდებინან?

სასულიერო სწავლის მისაღებად ძლიერ საჭიროა და აუცილებელიც „თაღმუდ თორები“ და „იეშიბები“, მაგრამ უეველა ხომ ერთბაშად რაბინები და სხვა სასულიერო წოდების არ გაუხდებით. ტფილისში ოცამდინ სხვა და სხვა ჯურის საშუალო სასწავლებელია საერო ხასიათისა და მხოლოდ ორი (მართლმადიდებლების და გრიგორიანების) სასულიერო სემინარია.

ჩვენი ხალხის საერო სწავლა-განათლებისათვის საჭიროა ეროვნული სკოლების გახსნა, რაც უნდა მინდობილი ჰქონდეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელის წევრებიც შეუძლიათ იუენენ ჩვენს რაბინებსაც, ჩვენი ხალხის დამსახურებულ-წარჩინებულ პირთაც და ინტელიგენციასაც.

ცნობილია, რომ უოველი შეგნებული ადამიანი (თუ გინდ უეიდურესი ათეისტიც კი) პირველ უოვლისა იწეებს თავის შთამომავლობის გონების განეითარებას რელიგიური საფუძელის წაყრით, ასწავლის თავის შვილებს ლოცვებს, რჯულის წესებს, აცნობს მათ თვის და თვის წინაპრების სარწმუნოებას და სხ. ავად თუ კარგად აგეთივე წესით ზრდის ჩვენი ქართველი ებრაელებიც თავის შთამომავლობას: 6-7 წლიდანვე შვილს „აჯენს თორაზე“, ე. ი. აძლევს სასულიერო სასწავლებელში, ასწავლის ლოცვებს, ღმერთის სიუეარულს და კრძალვას, „თორულად“ — ძველ ებრაულად კითხვას და ლაჰარაკს. მართალია, ამ დიდ მნიშვნელოვან საფუძელის ამოუეანას ეწეიან მეტ-წილად თვით უეიცინი და გამოუცდელი მოხელენი, მაგრამ ეს ხომ ჩვენი ებრაელების საერთო უეკულტურობის მიხეხია მართო. უმრავლეს შემთხვევაში მე 8-9 წელზე სრულდება „თორაზე სიარული“ და ამ ხნიდან დაწეებული ზოგი მშობელი წარწობას და ღლეტვას აჩეევს თავის შვილებს და ზოგი კი ღვთის ანაბარად სტოეებს ქუჩაში, რომლებიც ამ „ქუჩიშვილობიდან“, „ურიისშვილობიდან“ ჯიბგირებად და დეგენერატებად გამოდიან ცხოვრებაში. და აი, სად არის საჭირო სულიერი და კულტურული დახმარება, ძმური ხელის განწოდება ქართველ საზოგადოებისა. ამას წინად მოუწოდებდით წ. კ. გ. საზოგადოებას, გახსნას ქართველ ებრაელებშიაც

სკოლები და წააბას იგენიც ქართულ ეროვნულ-კულტურულ ცხოვრებაში. ვიძებოდა, ეს წვენი „წყნარი“ თხოვნა არ დარჩება სხად მღალაღებლისა უღამბოსა შინა. გასსოვდეთ, რომ ათასწლობით ამომა, კეთილ-განსუობილება და საერთო ტაფაში წუა ერთნაირ თამასუქებად იქცევიან ქართველ ეზრაელების მოზარდ თაობის ხელში და მალე თუ გვიან უფრო შედგად და შუეპოვრად მოგთხოვენ ანგარიშის განვეას...

ბ. ი. გელეჯანიშვილი ერთ-ერთ თავის წერილში ესაღმება ქართველ ეზრაელების ამოძრავებას, მაგრამ ეს გამოთხიხლება ჯერ-ჯერობით უფრო სარწმუნოებრივი თვისებისაა, ვიდრე ეროვნული თვით-გამოკლევისა, და რომ ეს ასეა, ამას მოწმობს როგორც იმ „ორი, ეზრაელებში ცნობილ ჰირთა“, აგრედვე მთელი წუება თვით ქართველ ეზრაელთა წერილებისა (მცირედის გამოხსკლისით). აქ საჭიროა დაკვირება და სათელყოფა იმ **სახლერისა, სადაც თავდება სარწმუნოებრივი რიგი და იწუება ეროვნული საკითხი...**

ქუთაისის ქართველ ეზრაელთა ინტელიგენციის რაოდენობის წამოსათელელად ორივე ხელის თითები უელად საკმაოა: 1 კეში, 6-7 სტუდენტი და 2-3 თვითშეგნებული და განვითარებული ჰირი. ამა მიზრმანეთ, რომელი საზოგადოებრივი და ეროვნული საქმე შეუძლია ჯერ-ჯერობით ამ „ნორწს“ თაობას და რუსეთის სხუა და სხუა ქალაქებში მეოფ სტუდენტობას განახორციელოს. ადვილობრივ გამუდმებით კი ცხოვრობენ რამზინები, „წვენი ეზრაელების მოწინავენი“ და მათი აღზრდილი სასულიერო თუ საერო ჰირები. მაგრამ რა სიკეთეს უნდა მოელოდეთ იმ „მოწინავეებისგან“, რომლებიც სწავლას, როგორც ბუ ღლის სხივებს, გაურზიან და საერო განათლება საერო უბედურებად და ღვთის რისხვად მიანწიათ.

ჰატიცეუბული თ. ღლონტი წვენს საუეღურზე იმის შესახებ, რომ ის არ ათავსებდა ქართველ ეზრაელებს ქართველთა საერთო სტატისტიკურ რიცხუში, გვიპასუხებდა ჯერ ღღღღღ შპრინგერის სიტუებით... „ამა თუ იმ ერის კუთვნილების საკითხი არ შეიძლება სხუანაირად გარდასუდეს თუ არა ინდივიდუების განცხადებით კომპეტენტურ დაწესებულების წინაშე თავის ეროვნულ ეინაობის შესახებ“... და შემდეგ თავის მხრით დასძენდა: „წვენც ინდივიდუუმის სულიერ-კულტურულ ნების გამოხატვით ესახლერავთ ამა თუ იმ ეროვნებას და უეჭველია, არც გრიგორიანის, არც მოსეს, არც მამამადის მოძღვრება, არც ახალი რელიგიური სკეპტიციზმი შეუშლის ხელს ადამიანს იეოს ქართველი, ან სხუა რომელიმე ერის წვერი. ამიტომ მოსეს რჯულის ადამიანის აღსარება, რომ ის სულიერად და კულტურულად ენათესაება ქართველობას — როგორც ეროვნებას — საესებით საკმაოა, რომ კოლექტივი აგეთი ინდივიდუუმებისა სტატისტიკურ ციფრში მოუაქციოთ, მაგრამ ასე შეგვიძლია მოვიქცეთ მხოლოდ მამწინ, როცა აღწერას ეახდენთ და **ადამიანს საშუალებას ეამღვეთ, ცხადჰუთ თავის ეროვნული ნებისყოფა საზოგადოდ**“ (კურსივი წვენია). კეთილი და ჰატიოსანი, მაგრამ ესღა რომ აღწერა მოხდეს და დაკვითხთ წვენს ეზრაელებს, ეინა ხარო — ფრიად დიდი უმრავლესობა გიპასუხებთ: „ურია ეარ, ზატონო, ურია“, მცირედი ნაწილი — „ეზრაელი ეარ“ და იშუიათ შემთხეევაში კი — „ქართველი ეზრაელი“, ან „ქართველი მოსეს მოძღვრების მიმდევარი“. ამის მიზეზია თავის ეინაობის გამოურკეველობა და ეროვნული თვითშეგნებლობა...

წემდა საუბედუროდ არც მე ეარ თავისუფალი იმ სამწუხარო ნაკლისგან, რომელიც ახსიათებს საერთოდ დიდ ნაწილს ქართველ სტუდენტობისას — ნაკლებად, ძლიერ სუსტად ეიცნობ მშობლიურ ისტორიას და აგრედვე ქართველ ეზრაელების შორეულ წარსულს. საჭიროა და ღროცაა, ამ საკითხს შუეი მოჰტინონ წვენმა სპეცილისტებმა და მცოდნე ჰირებმა. აგრედვე სასურველია გამოსთქვას თავისი ახრი ამ საკითხზე წვენი ეზრაელების ერთი მუჭა ინტელიგენციამაც.

მ. ხანანაშვილი, ცოტა რამ ქართულ ებრაელების შესახებ
„სახალხო ფურცელი“, 1916, № 607, გვ. 2-3

დასრულდა ტფილისში მეფის ნაცვლის მიერ მოწვეული საეროზო თათბირი, და რამდენად განხორციელდება იმ ტიპის ეროზა, რომელიც ჩვენი კუთხისთვის პირველ ხანად სასარგებლოდ სცნო უმრავლესობამ, ამას მომავალი გეიჩვენებს. ამ თათბირზე გადასწულა ერთი პატარა, მაგრამ ჩვენთვის მეტად ღირსშესანიშნავი საკითხი, რაც უკვე აღნიშნა ქართულმა პრესამ: ქართველი წარმომადგენლის მეორე სექციის თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ ჩვენს ებრაელებს, რომელნიც მკვიდრთაგან განსხვავდებიან მხოლოდ სარწმუნოებით, მიენიჭოთ უფლება შეუზღუდავი მონაწილეობისა საეროზო თვითმმართველობაში. შეიძლება ვინმე — გარეშემ, ვინც არ იცნობს ქართველ ებრაელების წარსულს, ერთხანად ნაბიჯად წასთვლოს ეს ფაქტი და გაიფიქროს: დიდად არ ეპიტხაება ქართველ თავად-ახსნაუროზას „ებრაელების საკითხი და მათ სეე-ბედზე ზრუნვა“-ო. ჩვენ-კი არ შეგვიძლია მის სისწფელეში რაიმე ეჭვი შევიტანოთ, მით უმეტეს, თუ არ დაგვაინწუდება, რომ ქართველ ებრაელთა საკითხი ნაწილია თვით ქართველი ერის საკითხისა...

იმ რეალურ სარგებლობის გარდა, რაც შედეგად მოჰყვება ქართველ ებრაელთა შეუზღუდავ მუშაობას საეროზო საქმეებში, ეს ფაქტი მეტად საგულისხმოა იმ მხრითაც, რომ, მიუხედავად ჩვენი სამშობლოს ასი წლის პოლიტიკურ დამოკიდებულებისა და ჩვენში რუსული აზროვნებისა, შეხედულებისა და თვალსაზრისის ძლიერი გავლენისა, ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი შვილი და მოწინავენი არ დამორჩილებიან რუსულ წინოსსურ სულს და სწამთ, რომ, მიუხედავად სარწმუნოების სხვა და სხვაობისა, ჩვენ — ქართველ ერისტიანებს და მოსეს მოძღვრების მიძღვარ ქართველებს, გვაქვს ერთი ძვირფასი სამშობლო, ღედა ენა, ერთი წარსული, იმედიანი მომავალი, ერთი რწმენა, მისწრაფება... აი, რით არის გასახარელი ზემო-სხენეზული ფაქტი.

ჩვენის აზრით, ქართველი ებრაელების საკითხის ქართველების მიერ ასე თუ ისე გადასწევეტა ეზგავსება იმ ბარომეტრს, რომელიც ნათლად დაგვანახებს ჩვენი ერის გადაგვარებას და გარუსებას, თუ ეროვნული ტრადიციების, თვითცნობების და საზოგადოდ მთლიანობის შურეველობა-სიმტყიცეს...

თუ მართლდაც არ გამქრალა ჩვენში ეროვნული სახე, გვახსოვს ჩენი ისტორია და გათვალისწინებული გვაქვს ჩვენი ხალხის შორეული წარსული, განა გასაკვირალია, რომ მეტის უურადლებით და მზრუნველობით ეეპურობოდეთ ქართველ ებრაელებს და მეტ გულშემატკიერობას ვიჩენდეთ მათ გათელილ უფლებების აღსადგენათ? საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ შემთხვევას: როდესაც ტფილისში ესწავლობდი, ერთი წლის განმავლობაში სამჯერ გამიმასხეს საპოლიციო უზანში, სადაც ზოქაული მოითხოვდა ჩემგან წარმედგინა საბუთები, რომლის ძალითაც მე უფლება მაქვს ტფილისში ცხოვრებისა. საცოდავები! ვერც-კი დააჯერებთ, რომ ჯერ კიდევ, არამც თუ რუსი პოლიციელის, არამედ რუსუს სახელის ნატამალიც-კი არსად იყო ღედამიწის ზურგზე, როდესაც ჩვენი წინაპრები უ-“ПРАВАЖИТЕЛСТВО“-დ სცხოვრობდნენ საქართველოს მისა-სწავლზე...

წარსულ წელს ჩვენ საუვედურს გამოვხატეამდით იმის შესახებ, რომ ქართველი მოღვაწენი არ ათავსებდნენ ქართველ ებრაელებს ქართველების საერთო სტატისტიკურ რიცხეში. ამის უსამართლობას მაშინ ეგრძნობდით თავის თავად, ისტიქტიურად. მას შემდეგ ვერ აგვიღია ერთი ქართული ისტორიული წიგნი, სადაც ქართველ ებრაელთა შესახებ არ იყოს რამ ნათქვამი. მაგალითად, ახახანაშვილის მიერ შეგროვებულ გუჯრებში (გვ. 111-112) მოხსენებულია: „ამას გარდა ეაჭარი ორი ურია მოშა და მისი ძმები, მოძღვარი კიდევ ქუთაისილამ გამოვიყვანე მათი ცოლ-შვილით და გელათს შევწირე დავითია და მოშიკა. მეფე სოლომონმა შესწირა ისრაელა და მისი ცოლ-შვილი იაშვილმა მთავარ

უპისკოპოსმა მაქსიმემ შესწირა გელათს. ბაზალია მისი ცოლ-შვილით — აბრამია და მისი ძმა მათის ცოლ-შვილით. უეხერა და მისი ცოლ-შვილი. ხანანია და მისი ძმა მათის ცოლ-შვილით. ცოცია და ორი მისი ძმა მათის ცოლ-შვილით. შამოელა და მისი შვილი ახალციხელი კაცი ცოლ-შვილით. წითელი დაეითია ურია, მისი ძმა და მათი ცოლი: ესენი უეელა სიუძანვილიდამ დაეისხენი და ამოვიუეანე და გელათს შეესწირე. სიძე ჰატარ ურია ობოლი კიდევ გელათს შეესწირე. და მისი ძმა და მათი ცოლ-შვილი. მეორე შალომია და დიაკონი მათის ცოლ-შვილით საგელათო ამოვიუეანე და გელათს შეესწირე“.

ეს არის ჩასწერილი გელათის სიგელში 1776 წელს. თუ ამ 140 წლის წინად შემოსხენებულნი შეადგენდნენ ქართველი ერის ნაწილს, ახლა რა მსარე ბალახი უჭამიათ, რომ ქართველი ხალხის სტატისტიკურ რიცხვის და მის ალა-დიდების გარეშე გაძევებულან! (თუ გაუძევებიათ?) და მის გერად ქვეულან?! და განა ჩვენი ისტორია, ან ის ღვაწლი, რაც ებრაელებს მიუძღვით ქართველი ერის და სამშობლოს წინაშე, ძალაუხებურ განდევლობას ანიჭებს მათ!..

„... მერე მოვიდა წინო და ვიცით ვისის შემსვობითაც განავერცელა ქრისტეს სჯული; ეს შემსენი იუენენ დედანი — ურიის ქალი სიდონია, მირიანის მეულლე ნანა და უჯარმის დედოფალი სალომე“... „სხვა რა უნდა ესთქვათ საქებრად ჩვენ წინაპარ დედათა“?, დაასკენის „ქართველი ქალები“—ში დიმიტრი ბაქრაძე. საესეა წმინდა წინოს ცხოვრება ამავე სიდონიას და ძამა მისი, გამოჩენილი აბიათარის წერილებით. ეს მოთხრობანი შეტანილიცაა ქართულ „მამათა ცხოვრების“ კრებულში. სიდონია მარჯვენა ხელი იყო წმ. წინოსი ქრისტიანობის გავრცელების საქმეში; აბიათარი, რომელსაც, როგორც მოკლედ მოგვითხრობს ქართული მათიანე, წმინდა წინო კამადოკიელმა უამბო მთელი ისტორია ქვეენიერების განენისა, ეს აბიათარი ხომ მთავარი ეეზირი იყო სარწმუნოების საკითხში მეფე მირიანისა, რომელის დროსაც გავრცელდა ახალი მოძღვრება საქართველოში. „მეფე მირიანი, მას შემდეგ, რაც წმ. წინომ განკურნა მისი მეულლე, ხშირად და დიდხნობით ებასებოდა ბრძენ, მცხეთის ურიების მღვდელ-მთავარს, რომელსაც მათიანე უწოდებს ახალ ჰაკელეს, ებასებოდა იმ მიხნით, რომ გამოეკელია ქრისტიანობა ძველი და ახალი წიგნებით, ე. ი. ძველი და ახალი მცნებით“¹ წმ. წინო, სიდონია აბიათარის ასული, დედოფალი ნანა და დედოფალი სალომე — აი, ის გამოჩენილი იმ დროს ქართველი ქალები, რომელთაც ქებასა და ხოტმას ასხამდა დ. ბაქრაძე. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა სჭეროდა სიდონიას, თორემ გვერდში ვერ ამოუდგებოდა წმ. წინოს და ორ დედოფალს. „და ხდუაი წილითა კუართი უფლისა ჰურიათა მცხეთელთა და ესმა ხმათ სამჭუალთა დედასა ელიოხისსა მუოფსა მცხეთას და ჰგონებდა ჰურიათათეის და ქადაგებდა განათლებასა წარმათათასა. და შეის-უჰნა და მიეგება ელიოხს დაი მისი (სიდონია) და მოსცა კუართი უფლისაი, რომელი სურვილით შეიტკბოი და მანცა შეისუჰნა. იყო ესე ნათესაეისაგან ელი მღვდლისა“. ეს ის წმ. სიდონია გახლავთ, რომელსაც „საერთო სინწინდე“ — კუართი უფლისა ხელში უჰურია, გულზე მიუკრავს და ისე საუკუნედ განისვენებს მცხეთაში სეეტიცხოვლის ქვეშ. ეს მერიფასი განძი — „საერთო სინწინდე“ სიამაყეა ქართული ეკლესიისა და მეფე მირიანიც გარდაცვალებისას უანდერძებს თავის მეუკიდრეს და შვილს ბაქარს: „ჰატივისემდე სეეტსა ცხოველსა, ღვთივალმართებულსა მცხეთას“...

ასეთია ქართველ ებრაელთა ღვაწლი სარწმუნოების დარგში. რაც შეეხება ენას, ჩვენი ებრაელების მშობლიურ ენად თავიდანვე იყო და არის ქართული, და იმ სამსუხარო შემთხვევაშიც-კი, როდესაც სხვა სარწმუნოების ქართველობამ ამა თუ იმ მიზეზების გამო დაჰკარგა ეროვნების ბურჯი — დედა ენა, ქართველი ებრაელები ჩვეულებრივის თანატოლნი მტყიცედ აღგენენ მშობლიურ ენას. „ტრაპიზონში მუსლიმანმა ქართველებმა ოსმალური

¹ еп. Кирион, «Культ. роль Ивер. в ист. Руси». გვ. 261-262.

ენა შეითვისეს და გაოსმალდნენ და ქრისტიანმა ქართველებმა შეითვისეს ბერძნული ენა და გაბერძნდნენ... ქართული ენა შეინარჩუნეს მხოლოდ ქართველ ებრაელთა, რომელთა რიცხვიც ტრაპიზონში 500 კომლზედ მეტი იყო ძველთაგანე“. „ერთი ნაწილი დევნილი ქართველებისა დაუკავშირდა გრიგორიანობას. მათი რიცხვი ტრაპიზონის ვილაიეთში საკმარისი უნდა იყოს და თვით გამაჰმადიანებული ებრაელებიც, რომელთაც ზოგნი სომხის გეარისად სთვლიან, თვით ამათშიაც კი მრავლად უნდა გახლდნენ ქართველი გეარის გასომხებული ქართველები, რომელთაც ყამთა ვითარების წყალობით ქართული ენა დაჰკარგეს და დღეს სომხურად ლაჰარაკობენ...

„ტრაპიზონში იმ კუთხეს, სადაც ქართველი ებრაელი სცხოვრობდნენ, მთელ მხარეს ოსმალურად ქართველთ კუთხე ეწოდება. ქართველ ებრაელთა წყალობით მთელს ტრაპიზონში ქართული ენა დაცული იყო და ვაჭარ ებრაელთაგან მთელს ქალაქში ისმოდა ქართული სიტყვები. ერთის სიტყვით, აქაც ებრაელი ისე იცავდნენ ქართულ ენას, როგორც მათ დაცევს ქართული ენა მესხეთსა, ჯაჯახეთსა და სამეცხაველ ახალციხეში“. ვფიქრობთ, რომ თვითონ ის, ველა ჩვენგან დაწუნებული და „სასაცილო“ ჩვენი ებრაელების კილოც, ძველი ქართული კილო უნდა იყოს, რომელიც შეუნარჩუნებიათ მათ ოჯახში პატრიარქალური წეს-წყობილების წყალობით... ჩვენი კუთხის ეკონომიკურ განვითარებაში განა საკლები ღვაწლი მიუძღვით ქართველ ებრაელებს? რადგან განსაკუთრებულ პირობებში იუენენ და განიცდიდნენ სარწმუნოების განსაკუთრებულ ზედგაულებას, ჩვენი ებრაელები მეტ წილად ეწეიან ვაჭრობას (სამწუხაროდ უფრო ჩარჩულს, ვიდრე შემოქმედებითს. ეს უნდა მიეწეროს მხოლოდ მათ სიბნელეს), რითაც ხელს უწყობდნენ ჩვენი სამშობლოს და ხალხის ორგანიზმის ფანსრთელობას და ეკონომიკურ განვითარებას. „შესაძლებელია, რომ ჩამომავლობით ვაჭართა უმეტესი ნაწილი არა ქართველი იყო. ხოლო ისინი მაშინ (ათეულ საუკუნის წინედ) გაქართველებულნი იუენენ და საქართველოში ასრულებდნენ იმ საქმეს, რა საქმესაც აასრულებდნენ ქართველი ტომის ვაჭრები“. ჩვენ ებრაელებს არ შეუქმნიათ განსაკუთრებული, განცალკევებული ვაჭრობა-მრეწველობა, ვიტყვი მეტს — არცა და ვერც შექმნიან ამისთანას, რადგან, შესისხლობრცებული და შედუღებული მათი ეკონომიკური თუ კულტურული განვითარება განუურელია მთელი ქართველი ერის წინმსვლელობასთან. საერთო ენა, საერთო მისა-წყალი, ისტორიული წარსული, სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების თანხმობა და ერთობა, ნუთუ არა ჰქმნის ეროვნულ მოვლენას? ნუთუ არ გევალებს ხეობრივადაც და იურიდიულადაც, რომ მეტის გულშემატკივრობით შეეპყრათ განათლებით და უფლებით ჩამორჩენილი ჩვენი ხალხის პატარა ნაწილს, და მეტის სიფრთხილით შეეხედეთ იმ განათლებულ ჩამოსულებს, რომლებსაც ადვილად შეუძლიათ წააგონონ ჩვენს ებრაელებს, რომ „ისრელები“ არიან და არა „ქართველები“ ეროვნულად და რომლების „პროგრამით“ „გამოთხიხლებული“ ხალხი, შესაძლოა, იქამდის მივიდეს, რომ ზოგიერთმა „შეგნებულმა“ პირმა აღარ ისურვოს სამშობლო ენაზე ლაჰარაკი, იმ ენაზე, რომელზედაც ჯერ კიდევ 2000 წლის წინად ჩვენი წინაპრები ამა თუ იმ მოძღვრებას ჰქადაგებდნენ ჩვენში.

დ. ონის რაზინი დ. ზააზოვი, ქართველ ისრაელთა საკითხის გარშემო
(პასუხი სტუდ. ზ. ი. ხ-შეილს)
„სამშობლო“, 1916, № 427, გვ. 3

წინა წერილში დაკვირდით, რომ სიონისტების შესახებ ცალკე გიპასუხებთ მეთქვი. სხვა და სხვა მიზეზების გამო ეს პასუხი აქამდე დამიგვიანდა. ამასობაში თქვენი მეორე წერილიც დაიბეჭდა, საცა იმეორებთ მხოლოდ იმას, რაც პირველ წერილში ბრძანეთ, და თუ რამე მოგიმატებიათ, ისიც იმის მანვენებელია, რომ ამ ცოტა ხანში ძალიან „ებრაელობა“ გეჭუობათ...

მანამ თქვენ ამაზე ლაპარაკს დაიწყებდეთ, მოკლედ მოგახსენებთ სიონისტების შესახებ: მე გადაჭრით უარსა-ვეუფო თქვენსა და თქვენი ამხანაგის მოსახრებას, უითომც ჩემი წერილები იუვენს საგაიტიაციო სიონისტობისა.

გარდა ორის, ან სამის წერილისა ვერ შევხვებოდა ჩემ ამდენ წერილებში სიონისტობის შესახებ, ვერაფერს და იმასაც სხვათა შორის ნათქვამს. თქვენი უოველი ლაპარაკი ამაზედ უადგილოა. მართალია მე ესწრდი ებრაელების ცხოვრებიდან და მომუამდა სხვა და სხვა მაგალითი მათი მოქმედებიდინ, მაგრამ არასდროს არ მიმიკუთვნებია რაიმე უპირატესობა სიონისტებისათვის. პირიქით, ბევრგან ვადიდებდი იმნაირ პირებს, რომლებიც სრულიად წინააღმდეგები არიან სიონისტობისა.

ვერც ერთს წერილს ვერ მიჩვენებთ რომ ცალმხრობა სიონისტებისგან გამეწიოს ან და პირდაპირ მათ პროგრამაზე დამეწუოს რამე. თქვენ ცდილობთ საბუთად დაამტკიცოთ რომ უველა ჩემი წერილი მხოლოდ სიონისტურია და ამის საბუთად მოგუამთ ის ადგილი, საცა სხვათა შორის ნათქვამი მაქვს: ჰეტროგრაფში უოფნის დროს ებრაელთა შორის წერა კითხ. გამ. სახოვადოვებში მითხრეს „თუ საჭირო იქნება სახელოსნო სასწავლებელი ქ-ლი ებრაელებისათვის ჩვენ დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით“. აქედან გამოუყვდათ ის დასკვნა რომ „სიონისტური აგიტიაციას ეწეუოდე“ და თანაც სწერებით იმათ რად მიმართეთ.

უნდა მოგახსენოთ რომ მე მაგისათვის ქ. ჰეტროგრაფში არ წავსულვარ, მაშინ სხვა მიზანისათვის ვიუაგი, იმ „სახოვ. მეთაურებთან კერძოდ ლაპარაკი ქართველ ებრაელებზე. როცა ჩვენი ახრი გამოვსთქვი: საჭიროა დაარსდეს მათთვის „იეშბა“ და სახელესნო სასწავლებელითქო, მათ: მიპასუხეს „დაარსეთ, და თუ საჭირო იქნება, ჩვენც დაგეხმარებით“. თუ არა გეჭიროდა დახმარება ეს სულ სხვა საკითხია, მაგრამ განა ამისათვის მეცა და ისინიც გასაკიცხი ვართ? ან თუ კი იმათი არა გეჭიროა რა, რატომ არ დაუუარსებთ საბრალო ქალ ებრაელებს იმნაირ სასწავლებელს? აგრეგულად რომ გაიძახით „ჩვენ გული შეგვეტვივაო“ ამა მიჩვენეთ რამდენ-ნაირი წრე გაქეთ დაარსებული პროვინციის ებრაელების დასახმარებლად ან და რანაირი შკოლები გაქეთ მათთვის მოწყობილი? მგონია რომ არამც თუ მათთან თვით ქუთაისის ლარებ ხალხისთვინაც არაფერი გაქეთ რა დაარსებულ? და თუ ამ ჭირ ვარამზე მე ბოლმით და სეედით საეხე ელაპარაკობდი, თქვენ საშინელი უსამართლობით გადაამბრუნეთ ჩემგან წამოუყენებული ახრი, დაამახინჯეთ, და ნამდვილი მიზანი კი გოლორში დამარხეთ და სიონისტებათ ისიზრმეთ? რას ბრძანებთ, ჰატიეცემულო მკითხველსო, რომ მოგახსენოთ: ჩვენ სტუდენტებს რომლებსაც უკისრიათ ჩვენი ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ისიც კი არ ცეოდნიათ რომ ეს „Общ. распр. культ. ср. евреев“ სასტიკი წინააღმდეგია სიონისტობისა და როგორ უნდა ჩაითვალოს მათი ხსენება წერილში სიონისტურ აგიტიაციით?

ეს 20 წელიწადია რაც ებრაელობაში გაჩნდა „აკტიური: უკედ რომ ესთქვა „პოლიტიკური სიონისტობა“ გერცელის მეთაურობით. მან მიიმხრო ძალიან ცოტა ნაწილი ებრაელებიდან, რადგანაც უდიდურესი რაბინები ამის საწინააღმდეგოთ ადგნენ, იმ მოსახრებით რომ „პოლიტიკურ სიონისტობით“ „პალესტინას სარწმუნოებითი ხასიათი ეკარგებო“...

რაც შეეხება იმას რომ, სიონისტების ორგანიზაციამ ილტს თერინანსამ, თუ ორდენ იზრაილისამ იეიდონ მამული პალესტინაში, და იქ გადაასახლონ ის პირნი რომლებიც დევნილი არიან თავიანთი ქვეყნებშით და იძულებული ხდებიან მოშორდნენ სამშობლოს და გადასახლდნენ შორეულ ქვეყნებში, ამ-ნაირ გადასახლებით მოწყობაზე პალესტინაში, მომხრეა ეველა ებრაელი, თუ მოწყვეტილი არაა თავის ერის სარწმუნოებას და ხმა ძალდა ეიძახი რომ „ამ ნაირი სიონისტი მეც გახლავართ და ძალინაც მახარებს პალესტინის აუყვავება და დევნილი ებრაელების იქ მოწყობა.

საქართველოს ებრაელებს კი საამისო არა გეჭიროს რა რადგანაც მტკიცედ შეთვისებული ვართ ქართველებთან და მათგან დევნა არ გაგეიცდია (და თუ გეაკლია რამე მხოლოდ

და მხოლოდ იმიტომ რომ მათაც აკლიათ) აი ამიტომ არ მაძისურებია და არც მსურს საქართველოს ებრაელებში ამნაირი სიონისტობის ქადაგება და ეს რომ ასეა იმიტაც მტკიცდება რომ 13 წელიწადი რაზინათ ვარ ღ. ონში და ნუ თუ ვერ შევძლებ აქ სინოსტურ ორგანიზაციების მოწივობას? თუ ბევრათ არა ცოტათი ხომ მაინც მოვიმხრობდი. ექადაგებ მუდამ შაბათს... აბა თუ ერთი აქაური ებრაელი იტუვის რომ სიონისტობის წრების დაარსებაზე შექადაგოს რამე დაღიარები წვენი ქვეყნის სხვა და სხვა დაბეებში იქაც ექადაგობ ვერც იქაურ ებრაელებს შეუძლიათ სთქვან რომ მე ეს შექადაგოს განა საკმარისი არ არის მის დასამტკიცებლად რომ მე სიონისტი არ ვარ.

რაც მიმანხნია აუცილებელ საჭიროებათ საქართველოს ებრაელებისათვის, იმას ვლავარაკობ ქადაგებაში იმას ესერ გახეებებში... შესწავლა ებრაელის კულტურისა, ქართული ლიტერატურისა, ხელოვნება, მტკიცედ კავშირი ქართველ ხალხთან და მათთან ერთათ მუშაობა აი საგანი წემის ქადაგებისა და განა ეს სიონისტობა?

„სამშობლო“, 1916, № 429, გვ. 3
(გაგრძელება)

ზემთ ვსთქვი: თქვენი მეორე წერილი გამეორებია მხოლოდ პირველისა, და არა ჰასუსი წემ მიერ დაუენებულ საკითხებზე ახალი არა ფერი გითქვამთ რა, გარდა წემი პიროვნების ლანძლვა გინებისა, და პირიქით იმას გაიძახდით ვითომც „მე თქვენ პიროვნებას შეეხებოდე“ როდის? რით? როდის დაგაბეზღეთ წვენი ხალხის წინაშე? ან რა დროს გინოდეთ ის რომ, ვითომც თქვენ სარწმუნოების წინააღმდეგი იყოთ?

თქვეც მსთოვთ: მეცნიერულად დაგიმტკიცოთ, რომ ეროვნებით წვენ ქართველები არა ვართ. ეს წემთვის ისეთივე საკითხია, როგორც კაცმა რომ მითხრას აბა დამიმტკიცე რომ მე „ხე“ არ ვარო, რაც შეეხება თქვენ მიერ წამოყენებულ საბუთებს წვენ „ქართველობაზე“ ამაზე უკვე გავგზანე ჰასუსი თქვენ ამხანაგ ბ. მ. ხანანაშვილისადმი და იქ ნახამთ თქვენ ჰასუსსაც. აქ შეეხები მხოლოდ იმ მუხოს, საცა თქვენ ახლად გეწვენებთ ის ფაქტი, რომ „წვენში სარწმუნოება ქმნის თვის ეროვნებას“. პირველი ფაქტორი ეროვნებისა სამშობლოა. სარწმუნოების მიღებამდის წვენ არა გექონია სამშობლო, თვით სარწმუნოებამ მიგვითითა მისკენ (ე. ი. ქანანისკენ), სარწმუნოებამ დაგვისახა სამხლვარი იმ ქვეყნებისა და რომ სამუდამოდ შთანერგილიყოს მისი სიუერული სირაელის გულში, უწოდა მას „წმინდა ქვეყანა“ (ერეც აკედოშა) ამით სარწმუნოებამ მიხანს მიანსია. ებრაელი საცა უნდა იყოს, მაინც გული იმისი იქიტყენ მიილტვის თუ მას არ შეუძლია იქ თვის ცხოვრება მოასწოს, სიუერული მაინც აქვს შეუწუვეტელი, დღისით თუ ღამით, ჭირსა თუ ლხინში, ლოცვას დროს თან დასდევს მას გულით. აი ამას ქვია „ხსენება ისრაელის ქვეყნისა“ („ზიხრონ ერეც ისრაელ“). იუდა ჰალევის ლექსი „მე დასავლეთით ვარო, გული აღამოსავლეთითათო“. სწორეთ მტკიცე¹ მე-2 ფაქტორი ეროვნებისა ენაა. ებრაული ენა ძალზე მდიდარია და სარწმუნოებამ მას დიდი უპირატესობა მიანიჭა, მაგ ენით „უბრალო ლავარაკსაც კი მადლათ უთელის“ სახელათაც „წმინდა ენა“ დაარქვა (ღაშონ აკოდეშ). ამითი შთანერგა ებრაელის გულში ამ ენის სიუერული და იმ სამხლვრამდი მიანსია, რომ ვერათერმა წვენმა უანგარიშო წვამ და დაგვამ მაგ ენაზე ხელი ვერ აგვავლებინა, და ეს ენა მაინც 14 მილიონ ებრაელის ენათ დარჩა! მართალია უველა ქვეყნებში ებრაელობამ დედა ენათ შეითვისა იქაური ენა, ასედაც უნდა ყოფილიყო რადგანაც ყოველივე ებრაელის ცხოვრება ეკონომიკურად თუ პოლიტიკურად შეკავშირებულია იმ ქვეყნებთან საცა მას ბედმა არგუნა დასახლება. შეუძლებელია დაფანტულმა ერმა თავიანთი ენით სხვა და

¹ იხ. „ნაციონალიზმუს“ ვაისისა, გვ. 47. თარ. მარკოლინისა. კიდევ ლექცია ვლენიკისა ქ. ლინცში, თარგ. მარკოლინისა, კიდევ იხილე „სპინოზა“, გვ. 55, ნათარგმნი ლახარისა...

სხვა ქვეყნებში, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პირობებში იარსებოს გაუგებარი ენით (ე.ი. სხვა ერებისთვის). აი, ამიტომ დედა-ენათ ვითარებებში ადგილობრივ ენას და საერთო ძველი ენა კი „შემაკაცებინებლად“ დარჩა ებრაელებში. ამ ენით ისერება ებრაული სალიტერატურო წიგნები, გამოდის რამდენიმე თვიური, ორ კვირეული, კვირეული, დღიური ყურნალები და გახეთქები ამ ენით ვასწავლობთ ჩვენ „თორას“ და სარწმუნოებას და არც ისე როგორც კათოლიკები ლათინურათ გაუგებარათ ლოცულობენ. ჩვენ ამ ენით ელოცულობთ, ვსწავლობთ და კარგათ გვესმის...

მე-3 ფაქტორია ეროვნებისა ზნე-ჩვეულება. აქაც სარწმუნოებამ რჩინის გალავანი შემოარტყა ებრაელებს. და სხვა და სხვა დალის ერთ ფერობა დაადო ჩვენ ერს, რომ ვინც წინაგანზრახვით არ შეხედავს და სიმათლეს დაუკვირდება მალე მიხედება რომ ისეთი ზნე ჩვეულება რომელიც ჰქონიათ ძველ ისრაელებს მოხედან დასწებული თალმუდის შედგენამდის, მოუშლელ დაღათ დასწევია ისრაელებს, რადგანაც სარწმუნოების დიდ გავლენას უმოქმედია ძველ ჩვეულებას: „ისრაელის ჩვეულება ნამდვილ სჯულივით არისო ამბობს თალმუდი და იმ ჩვეულების შემსლელი სარწმუნოებას არღვევს“. აი, ამნაირად შეახორცა ძველი ზნე-ჩვეულება ძველი მოხუცი ისრაელისა სარწმუნოებამ და უველა ესენი საერთოა მთელ ქვეყნიერების ისრაელებისათვის და არც საქ. ებრაელებს აკლიათ ესენი.

აქ ადგილი არ არის, რომ წამოსთვალო 1000 წაირი ზნე-ჩვეულება ჩვენი და სხვა ისრაელებისა საერთო. უმრავლესობის ატმოსფერა უოველთვის თავის გავლენას ახდენს უმცირესობაზე, და ჩვენს ამდენი 1000 წლის ერთათ მძურ-ამხსნაკურ ცხოვრებით ბევრ რასზე შევითვისებდით ქართული ერისას, (აგრეთვე სხვა ერებისას) მაგრამ ძველი ზნე-ჩვეულება კი ძველებურად დარჩა... მე-4 ფაქტორია ეროვნებისა კულტურა, დაინეე თვით ბიბლიიდან, გაათავე ვიდრე თალმუდამდის, ესენი სულ საესეა ვედრებით უფლისადმი. „ასწავლე შენ შეილს“ ებრაელები „თორა“ (ე. ი. მისი კულტურა) მის კულტურას შეადგენს თალმუდი და მას შემდეგ შემდგარ ათასობით სხვადასხვა ქვეყნის ებრაელები წიგნები. ბევრი მათგანი ნათარგმნია ევროპიულ ენაზე და საფილოსოფო ფაკულტეტზეც ასწავლიან, მაგალითად არამზამის ფილოსოფიური ნაწერები და სხვები. ვინც არ სწავლობს ებრაელის კულტურას, იმას ჰქვია „უბრალო ადამიანი“ (ყამ აარეცი) მის პიროვნებას დიდათ ამცირებს სარწმუნოება ხალხის თვალში, სამაგიეროდ დიდ უპირატესობას ანიჭებს ამ კულტურის მოსწავლეს. ამ რიგათ დაასეა სარწმუნოებამ თავის ბეჭედი ებრაელებს კულტურასაც და ხალხის თვალში სწავლას მისცა „სინსინდის“ ხასიათიც...

მე-5 ფაქტორია ეროვნების ტიპიური სახის შენარჩუნება. აქაც სარწმუნოებამ ისეთი გალავანი შემოარტყა ებრაელებს, რომ არავითარი გეოგრაფიული ცვლილება მათ ძველ ტიპს ვერ შეცვლის და უოველთვის ისინი გაირჩევიან საცა გინდა იუვენ სხვა ერებისაგან. ეს გახლავთ „სისხლის წმინდათ შენახვა“. აქაური ებრაელი ითხოვს ქალს ამერიკაში თუ იგი ებრაელის ქალია და არა თვით მეზობელ ქართველისას, თუ იგი ებრაელისა არ არის, და სწორეთ ამიტომ გახლავთ რომ ებრაელის ტიპი ძველად ინახება, აი ეს 5 ფაქტორები ეროვნებისა რითაც მტყიცდება რომ „სარწმუნოება“ ქმნის ჩვენში თვით ეროვნებას და განსაკუთრებულ ისტორიასაც.¹ მეცნიერი ლახარი ამბობს: საუცხოოდ გაუთვალისწინებიათ ებრაელის-სჯულის მწერლებს მათი ერის მომავალი და ამიტომ ის, რაც სხვა ერებს ეროვნულად აკავშირებს ებრაელების სარწმუნოებას ჩაუგდია ხელშიო, თუ ეს ასე არ მომხდარიყო, აქამდის ებრაელების სახელიც აღარ იქნებოდაო, „სარწმუნოებამ შეასრულა როლი ეროვნებისაო ამბობს მეცნიერი ზამპურტი, თუ ეს ასე არ იყოს, აზა რალა აქეთ საერთო ინგლისის და გერმანიის ებრაელებს ერთმანეთშიო“.

¹ თქვენ მიერ მოუვანილი საბუთი, ვითომ სარწმუნოების მიღებამდე ერად ეუფილიყოთ, მართალი არა რის. წაიკითხეთ მოსეს სიტყვები „დღეს შეიქენით ერთათ“ ან და ვაისის წიგნი „ებრაელის ეროვნება“. მერე თქვენ თვითონ დასცინებთ თქვენ სათქვამ სიტყვებსა.

თუ უველა ეს ფაქტები თქვენთვის საკმაო არ იქნება, მაშინ თუ ვალაპარაკებ თვით თქვენგან ნახსენებ პირსაც მეცნიერს ლაცარუსს.

მარტინ ფილიფზონი სწერს თავის წიგნში: ერთხელ ე. ბერლინში მოხდა კრება მთელი გერმანიის გამოჩენილ ებრაელებისა. დაეით ლაცარუსმა წაიკითხა თავისი მეცნიერული ლექცია და დაასკენა ამხანაგთ: „უოველი ფაქტორი, რაც აერთიანებს სხვა ერებს ერთმანეთთან ეს წევნთინ არ არსებობსო, რადგანაც სარწმუნოება აქაც თავის გალავანს გვარტყამსო, წვენთინ კი აუცილებელი საჭიროებაა. ეროვნებით გერმანელი და სჯულით კი მოსეს მიმდევარნი ვიუთოთ. წვენ, ისტორიაში მდ. რეინის ნაპირებზე 500 წლის წინეთ ერისტეს დაზადებამდე, ეისხენიებოდიოთ. გერმანიის ცხოვრების ცვლილებაში უოველთვის დიდი მონასწილე ვუოფილვართ, ამიოთმ წვენ გაუსხვადებოთ სხვა ებრაელთაგან, არამც თუ ისტორიოთ, არამედ ფსიხლოგიოთაც. მაგრამ უოველთვის შეუძლებელი იქნება წვენთინ გერმანელი ვიუეუთ ეროვნებით, ვიდრე სარწმუნოებაში დიდ რეფორმებს არ მოვასდენოთ. 1) სამშობლო სიონი აღარ უნდა ეახსენოთ იე საცა ის იხსენებოთ, მხოლოდ მაშინ დაგვრწება ერთათ ერთი სამშობლო გერმანიოთ, 2) ამოიშალოს ის ძველი ზნე-წვეულება რაც სხვა ებრაელებს აქეთო. 3) ებრაელური კულტურა, თალმუდი ან სხვა არ იუეეს დაშეებული წვენ სასწავლებლებშიო. 4) ამასთანავე ენაც უნდა შეიცვალოსო, ლოცვები გერმანულათ უნდა იუეესო და არა იმ ენით რომელიც გეაკავშირებს სხვა ებრაელებთანო. 5) ტიპიური უალობი აღარ იუეეს საკუთარი ებრაელისა, ამისათვის საჭიროა ქორწინების თავისუფლება და არა მარტო ებრაელის ქალისათ და თუ ეს ასე არ მოხდა ძალა უნებურათ წვენ ვერ გავგერმანელებულვართ ვერასოდესაო“.

აი, ბ-ნო სტუდენტო! იმ მეცნიერის მოსაზრება, რომელიც თქვენ ახსენეთ, თორემ მე რომ მეხსენებინა, მაგასაც სიონისტად მონათლავდიოთ... როცა მე თქვენი პირველი წერილი წაკიკითხე სწორედ ვიფიქრე, რომ თქვენ უველა მხრიდან განცობილი იქნებოდიოთ ამ საკითხს და მე მხოლოთ საკითხათ დავისეით, რატომ ასე არ შერებოთთქო, და თქვენ რა მიჰასუსებთ? ის, რაც მე მინდოდა და რაც წვენ გეამართლებს, თალმუდი, არამზამი, უკანასკნელი პოეტები, როგორც იუედა ალევი, ზენ გაბიროლი და თვით ბლომიც (რომელზედაც პირველ წერილში ქარიშხალივით სწერებოდიოთ „ენ არის წვენთინ ბლომიო“) თქვენც აღიარეთ, ებრაელური ენაც გისურვებოთ, რომ ეასწავლოთო. აზა ახლა მითხარით ჰატიეცემულიო შკითხეულნო რალაში უოფილა წვენი დაეა? სიონისტობაზე? სიონისტები სულ 60,000 მთელ ქეეუანაზე ებრაელობა კი 14 მილიონია: წვენ აქ ვლავარაკობთ ებრაელის ენაზე და არა სიონისტობაზე, რომელსაც ჰარტიული ხასიათი აქეს და არა ეროვნული: შეგვიძლია არ ვიუოთ თ. ბ. გერცელის სიონისტობის მომხრე, მაგრამ გიმეორებთ „ებრაელი კი ვართ ისე როგორც უველა ებრაელი“. იმის შემდეგ რომ თქვენ წერილში წვენი კულტურაც, ლიტერატურაც, ებრაული ენაც აღიარეთ საჭიროთ, რალა უფლება გაქეთ, რომ თქვენ კიდევ გაგეპორობოთ ის რომ თქვენ ქართული ხართ ეროვნებით? თუ მიჰასუსებთ, უველა შეგან ნათქვამი „სარწმუნოებითი ხასიათის საგნებოთ“, სომ აგისენით ზემოთ რომ „მთელ წვენ ცხოვრებას მხოლოდ სარწმუნოებითი ხასიათი აქეს“. ისე ჩემო ბატონო, ძალიან „გაეზრაელებულხართ“ ამ ცოტა ხანში მე კი მეტს არაფერს ვიოთხოვ, რაც თქვენ თქვენი ჰატიოხანი პირით არ აღიარეთ. წვენ არც ვიოთხოვთ რომ წვენი ენა გაეაბატონოთ საქართველოში, ან და წვენი ეროვნული პოლიტიკა ეასწარმოვოთ, ქართული ენა კიდევ იქნება, როგორც იუო დედა ენათ და უფროც ვეცდებით მის გამდიდრებას. ქართველი ერის პოლიტიკა იქნება წვენი პოლიტიკა და მათთან ერთათ ხელწართული ვივლით. ჩემი ებრაელობა ხელს არ შემიშლის, რომ საქართველოს თავე შეესწირო და არც ქართველობა შემიშლის ხელს რომ ებრაელობა მტკიცეთ შეეინახო, მისი კულტურა კარგად შეეისწავლო

და არც ვიქვე დამახინჯებული ებრაელი... თქვენ დიდი დანაშაული მივიძლიეთ ჩემ წინაშე რომ ჩემ წერილს „პრაუკაცია“ უწოდეთ მაგრამ მაინც გაპატიებთ, შორედან ხელს გინვლით და გიძახით: ახალგაზრდა ისრაელი! იუკეთ კარგი პატრიოტი საქართველოსი, ემსახურე ერთგულად ქართველი ერის ინტერესებს, მაგრამ ნურც შენ ძმებს დაივინებ, მათკენაც გადმოიხედე...

ონის ებრაელების რაზინი დ. ზააზოვი, ორი უკიდურესობა¹
„სახალხო ფურცელი“, 1916, №661, გვ. 3

აქამდის მივიჩინებდნენ უკიდურესი ფანატიკოსები სარწმუნოების სახელით: უოველი უცხო ერის სწავლა-განათლება ზიანს მოუტანს ჩვენს ერსაო, ზააზოვის პროგრამა სარწმუნოებას ეწინააღმდეგებაო და სარწმუნოების სახელით შეაჩერეს უოველი განზრახული საქმე და „პირ ნათლად“ გამოვიდნენ ებრაელთა ერის წინაშე. მაგრამ არსებობდა ერთხაირი საზოგადოება, რომელიც თვალუურს ადევნებდა ჩვენს მოძრაობას და არჩევედა ხალის თვალით სიძართლესა. ეს იუო ქართული ჰრესა, რომლის წინაშე ადვილი არ იუო თავის ძართლება — ზნელ ფანატიკურ ხერხებით. ხოლო არც აქ დაიხიეს უკან და ძალე იპოვნეს საბუთი თავის ძართლებისა: „ზააზოვი სიონისტია და ამიტომ არის, რომ არა გესურს მისგან „წამოუყებული პროგრამაო“...

განულო ორმა წელიწადმა, რა გააკეთეს ებრაელებისთვის თუ ქართველებისთვის? მაგრამ ჰასუსს ვინ მოსთხოვს მათ: „ივინი სიონისტები არ არიან.“ ახლა იწინა თავი მეორე უკიდურესმა ჯგუფმა ასიმილიატორებისამ ზ.ზ ხანანაშვილების მეთაურებით, რომლებიც დაბეჯითებით გაიძახიან: ჩვენ ქართველები ვართ ებრაელობასთან არაფერი გვაქვს რა და უოველი ებრაელური ენა თუ კულტურა ჩვენთვის უცხოაო“. ვაითუ ებრაელობამ ამ ახალი ხილის არ იგემოსო და ამიტომ მათაც მოუქმნიათ „საზრალო სარწმუნოება“, გახეველან მის ტყაეში და იძახიან: „სარწმუნოება კი წმინდადა გეწამსო“... და აი, ამ რიგად დამოუერდა ეს ორი უკიდურესი ჯგუფი ჩემი საშუალო მოსახრების საწინააღმდეგოთ. ამ ეაკ-ბატონებს სურთ ერთი მეორის დახმარებით შეინარჩუნონ თავიანთი უკიდურესი შესედულებანი... ამ საკითხს როგორ მიეგებება ქართული საზოგადოება ჯერ არ ვიცი, მხოლოთ ვიცი, რომ ქართველი ერი იძითია ნაქები, რომ არ ცდილობს სხვა ერების გათქვეფას და არც თავად სურს გაითქეფოს სხვა ერებში. სრული იმედი მაქვს, ამ საკითხში ცოტა მოთმინებას იქონიებს და გადასწევეტილად არ მიიღებს ზ.ზ ხანანაშვილების გამოგონილ აზრებს... ამ საკითხში არც ჩემი ხმა და არც ხანანაშვილების ფრახებია საკმაო, არამედ აქ არის საჭირო თვით „ხალხის გულის ნადების“ გაგება, თუმცა სამწუხაროთ ჯერ ჩვენი ხალხი მომზადებული არაა გონიერი განვითარებით, რომ შეეძლოს მტყიცედ გვიპასუსოს დადებით თუ უარყოფით... დალოციელებმა ადრე ასტეხეს ამაზე საკითხი, რადგანაც ჯერ ხალხი მოუმზადებელია და სჭირია სწავლა-განათლება. შეიძლება მიპასუსოთ: იმითომ აესტეხეთ დაეა, რომ შენ სიონისტს ქადაგებდიო“. ესეც შეცდომაა. ძართალია მე ეწერდი ებრაელების ცხოვრებიდან, საერთოდ რაც კი ხდებოდა ან, და რანაირი სულიერი განსუობილება არსებობდა მათში, მაგრამ მე არც ერთს წერილში არ მიმიკუთნებია სიონისტებისთვის უპირატესობა. ბევრგან კი იმისთანა პირებს ვადიდებდი, რომლებიც სრულიად წინააღმდეგები არიან სიონისტებისა. ჩემი მიზანი იუო რომ: 1) გამეცნო ქართველი მკითხველისათვის რანაირი მისწრაფება არსებობს ებრაელებში. 2) დამეძტიციებინა ჩვენი ფანატიკოსებისათვის, რომ ძართო ჩვენ არა ვართ ებრაელების რჯულის შემსახველნი; არის 14 მილიონი ებრაელი, რომლებიც ძალლა დგანან კულტურით და წმინდად იცავენ

¹ ებეჭდაე ამ წერილს, რომ საშუალება მიესცეთ ავტორს გამოსთქვას თავისი აზრი. ამ დღეებში და-ებეჭდაეთ მიხაკო ხანანაშვილის წერილებს ზ. ზააზოვის შესახებ. რედ. [გახეთის რედაქტორის ენიშვნა].

რჯულოს. აი ეს იყო მიზანი ჩემი წერილებისა და არა „სიონისტობის“ გავრცელება...

პატივეცემულ გაზ. „სახალხო ფურცელში“ მოთაქვებული იყო ზ-ნი მ. ხანანაშვილის წერილი. როგორც მის წრილიდან სჩანს „სარწმუნოება მას წმინდად მიიჩნია მხოლოდ ეროვნებით კი ქართველია“. ცოტა ამაზე ლაპარაკი შევაჩეროთ და პალესტინისკენ მივიხედოთ... „მე დიდი ალტაცებით შევეურებ პალესტინის აუეაეებას, დიდი სიხარულით ვეგებები. პალესტინაში ებრაელურ ენის გაცოცხლებას, დიდად მოხარული ვარ ამ ორგანიზაციების, რომელნიც ხელს უწეობენ ებრაელებს იმ ქვეყნებიდან, საცა მათ სდევნიან გადასახლდნენ პალესტინაში, მიეჩვიონ მეურნეობას“. ეს ამბავი არამც თუ მართო მე გამახარებს, არამედ თვით ქართველსაც უნდა ესიამოვნებოდეს. მხოლოდ ეს ამბავი არ ესიამოვნებოდეს ანთისემიტებს, რომელნიც ეგებენ ებრაელების წარწეაჭრობის ნაკლს, და თუ თქვენ ზ. მ. ხანანაშვილს ნამდვილ ისრაელის¹ სარწმუნოებას აღიარებთ, მაშინ თქვენც ამის მომხრე უნდა იყუეთ, რადგანაც ჩვენ სარწმუნოებაში დიდი ალაკი უკავია პალესტინის აღდგენას და აუეაეებას. მაგრამ მე ეს ქართველი ებრაელებისათვის საჭიროდ არ მიმანჩნია, რადგანაც ჩვენში ებრაელობა დევნილი არაა და ემიგრაციაც არ ხდება და თუ საქართველოს რაიმე ზედი ეწვია, მაშინ ხომ მომე ქართველების დახმარებით სულ უკეთ გამტყიცდებოდა ჩვენი ცხოვრება. მე მიმანჩნია საჭიროდ მათი მხოლოდ სარწმუნოებრივი კულტურული და ეკონომიკური განვითარება... ამ მიზანს ემსახურება ჩემი წერილები და თუ თქვენ ამაში დანაშაულობას ხედავთ, ეს აიხსნება არა ჩემი სიონისტობით, არამედ ჩემი ისრაელობით, მაშინ დანაშაული უოფილა ისრაელობა და არა მე. მე არ შეუდგები თქვენი წერილის სათითაოდ ჰასუსხის გაცემას. აქ შევეხევი იმ მუხლებს, საცა ცდილობთ დაამტყიცოთ ვითომც ჩვენ ებრაელთა ტომის არ ეიუთ წამომავლობით. თქვენ ამხანაგსაც უჰასუსხე და თქვენც გიჰასუსხებთ: პატივეცემულ იე. გომართლის მოსახრებას ჩვენ ისტორიულ ფაქტად ვერ მივიღებთ. წინ გეიწუვია იმისთანა ისტორიული საბუთები, რომლებზედაც უარის თქმა არ შეიძლება, რაც შეეხება ეპისკ. კირიონის მოსახრებას, — უსაფუძელოა... ხახარალებმა მიიღეს ებრაელობა არა ქართველთ ისრაელების გავლენით ან ქადაგებით, არამედ სულ სხვა მოვლენით მოხდა საქმე. ჩვენი ისტორიკოსები, მაგალითად გრეცი, დ. როდნერი, ზ. კასელი, მარტინ ფილიფზონი და სხვები ერთხაირად ასახუთებენ რომ ეს გამოიწვია ხახარალების ამაყმა გულმა. იგინი მოდგმით მონგოლების შტოდან უოფილან და როცა მეზობლები ქრისტიანები და მაჰმადიანები დაიმორჩილეს და დაიპურეს, მაღლიდამ დაუსუეს უურება. ამ დროს მეღის ოჯახში გაჩნდა შეგნება რომ „კერზ-თაყუანის-ცემა“ ამცირებდა მათ სიდიდეს, ამიტომ შეუდგნენ სჯულის რჩევას. ვერ შეუთვისდნენ მეზობლების-სჯულებს (ქრისტიანების და მაჰმადიანების), არ იკადრეს მათი დაახლოება ამიტომ მიმართეს მესამე სჯულს. ეს იყო ებრაელობა. სჯულის მტკიცეთ გასაგებად ესჰანიელი ებრაელის რაბინი მიიწვიეს! ამ რაბინს გამოეკამათნენ ქრისტიანების და მაჰმადიანების მომხრენი, ასტეხეს დიდი დავა და ბოლოს მეფემ ბრძანა, „ებრაელებს შეუერთდით“. აი ასე მოხდა მათი გაიისრაელება. ჩვენი სარწმუნოება სასტიკად იცხება უცხო ერში ებრაელობის შეტანას. ვინც შეგვიერთდა ბოლომდის ვერ შეგერწა, ან დაარსა საკუთარი „სეკტა“ სხანაირი სახით და ჩვენ მტრად მოგეადგა ან მალე გაითქვიფა სხვა ერებში. საკმარისია ავილოთ თვით მოიისრაელებული ანტიფატერი და მისი ერი ედომიელები. რა დაგეპართა მისმა შვილმა ურედოსმა! თუ გნებავთ ქარაიებშიც ვერ შემოგვიერთდნენ, მერე კი განხე გაგვიდგნენ და მტრად გადაგვეკიდნენ. აგრე დაემართათ თვით ხახარალებსაც სად არის მათი სხენება? ზოგი შეუერთდა უირიბის ქარაიებებს, ზოგი კი გაითქვიფა სხვა და სხვა ერებში... ტუუილად არ უთქვამს ჰვიხს

¹ მე უკვე გახეთ „სამშობლოს“ № 399-ში განემარტე, რომ ცდება ვინც იტუვის „ისრაელი“ და „ებრაელი“ ერთხაირი სახელი არააო ან და „ისრაელი“ ნიშნავს სარწმუნოებას და „ებრაელი“ კი ეროვნებასაო. ისრაელიც და ებრაელიც მხოლოდ ეროვნული სახელია. აუტორი.

სიკვდილის დროს, როცა ისევ ებრაელობას დაუბრუნდა: „რა ექნა რომ ძველი სული სინას მთისა მიმისწევს ისევ თაგისკენაო, ებრაელობის შენარჩუნება მხოლოდ იმან შესძლო და გაუძლო ცეცხლსა და ნაფთსა, ვინც სინას მთაზე შეისისლა და შეისორცა ებრაელების ფსიხოლოგია და მისი ძლიერი შეუპოვარი სულიო“. ვერ ვეთანხმებით ეპისკ. კირიონს ვითომც „ებრაელები ხაზარელებში მისიონერებად წასულიყვნენ“, ვერ ვეთანხმებით, ბ-ნ სტუდენტო, თქვენ ნათქვამხედაც: „თუ კი შორეულ ქვეყნებში მიდიოდნენ მისიონერები ებრაელთა სარწმუნოების გასაქრცელებლათ, სამშობლოში ხომ უფრო გააქრცელებდნენ თავიანთ სარწმუნოებასო?“ ამას გარდა ისტორია ქართველობისა ამტყიცებს, რომ სუთჯერ მოვიდნენ საქართველოში ებრაელები, ჰალესტინაში კარგად სცოდნიათ ებრაელებს მოძვე ქართველი ებრაელების ცხოვრება, პირდაპირი დამოკიდებულებაც ჰქონიათ, თითქმის მთელი საქართველო მოფენილი უოფილა ებრაელებით. სად წავიდა ამდენი ებრაელი? განა ესენი გაჰქრნენ და თავის მაგიერად დასტოვეს „გაისრაელებული ქართველები? ეს დიდი აჩქარებაა თქვენი მხრით.

„სახალხო ფურცელი“, 1916, № 663, გვ. 3-4
(დასასრული)

რაც შეეხება ჩემს ნათქვამს, რომ „ჩვენ ერთხანრი ებრაელები ვართ“ და თქვენ ამაზე შფოთობთ, მოკლედ გიპასუხებთ: სურავინ გახომავს ებრაელის ერს იმ არშინით, როგორც იხოშებიან სხვა ერები — ერთხელ კიდე და საძუღამოდ გეტყვი: თუ თქვენ ებრაელების სარწმუნოებას სიძარბოთ ალიარებთ, მაშინ ისეთივე ებრაელი ხართ, როგორც უველა... თქვენ ისიც არა გცოდნიათ, სეფარალებს იმათ ეპახიან, ვინც ესპანის ტყვეობაში იყვნენ. ეშქენახებს კი მათ, ვინც გერმანიის ტყვეობაში იყვნენ. ჩვენ იმიტომ კი არა გვეკია სეფარალები, რომ სხვა ვართ, არამედ იმას ამტყიცებს, რომ ერთნი ვართ. ქართული ისტორია გვიმტყიცებს რომ „ნინოს მოსვლის დროსაც წმინდა ებრაელურ ენას ლაპარაკობდა საქართველოში ებრაელობა“. იმასაც ამტყიცებს ისტორია, რომ: „დიდი და გაუწევეტილი კაეშირი ჰქონიათ საქართველოს ებრაელებს ჰალესტინის ებრაელობასთანა, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები კარგად სცხოვრობდნენ საქართველოში, მათ მაინც სამშობლო ჰალესტინა არასდროს დაუენიწიათ და ახსოვდათ“. ნინო ცხადია ებრაელებისთვის მოსულა საქართველოში და არა ქართველებისათვის, რაც ამტყიცებს იმას, რომ ჰალესტინაში კარგად იცოდნენ აქაური ებრაელების უველაფერი. ეს იმ დროს მოსულა აქ როცა როცა სირიის ფუმბადითას და ნეარდეას ებრაელთა კულტურამ და თილოსთიამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, და თუ იმ დროს საქართველოს ებრაელებს პირდაპირი დამოკიდებულობა ჰქონიათ იქაურ ებრაელობასთან, უნდა დაეიჯეროთ ისტორიაში ნათქვამი. „მცხეთაში ებრაელებს თავიანთი უმაღლესი, სასულიერო მმართველობა ჰუაედათ, რომელიც ემორჩილებოდა ჰალესტინასაც“. ცხადია ისიც, რომ საქართველოს ებრაელები დიდად მაღლა იდგებოდნენ ებრაული კულტურით, როგორც იყვნენ იმ დროს უველგან ებრაელები. ამას ადასტურებს ებრაელი მოგზაური ზენამინ ტულიდა მე-12 საუკუნეში, რომელიც ისხენიებს რამდენიმე ებრაულ ნაწარმოებს ებრაულ კულტურაზე საქართველოს სხვა და სხვა სოფლებში. თანაც ამასაც ამბობს: მე თითონ დაწერილებით გაეიგე და ენახე რანაირი დამოკიდებულება აქეს მცხეთის და დერბენტის სულიერ მმართველობას ზაბილონის სულიერ პრეზიდენტთანაო. ეს ნათლად გვიჩვენებს რომ თვით შემდეგ დროსაც, როცა სპარსელებს ზაბილონში ებრაული სულიერი პრეზიდენტი (რეე გალუთა) ჰქონდათ დაარსებული, მაშინაც ქართველი ებრაელობა დამოკიდებული უოფილა აქაურ ებრაელობასთან. თვით ხაზარელების უკანასკნელი მეფის დროსაც ესპანელ ებრაელებს უმგზავრიათ საქართველოში (იხილეთ ესპანელ ებრაელ მინისტრის ღონ-ებენ სპორტის ნაწერები ებრაულ ენაზე „ხაზარელებთან და კაკასის ებრაელებთან“.

მეცნიერ არქეაქას გამოკვლეული. პეტროგრაფის საიმპერატ. ზიბლიოთეკაში). ებრაელების კულტურული დაქვეითება საქართველოში უნდა დასწავლიყო მე-14 საუკუნეში, როცა ეროპაში ქრისტიანობა მეტად გავრცელდა. ზნელმა ძალებმა გააგრძელეს ათასწიერი ცილისწამება ებრაელებზე; ისევე მათი ღვინა, საქართველოშიაც მოუწვევია ამ სმებს. შეიძლება ამ დროს კათოლიკე მგზავრები მოგზაურობდნენ, იმათ გააგრძელეს ეს სმები აქაც ებრაელებზე. თორემ ქართული ერის სუფთა და ნაზი გული იმ უსამართლო სმებს ვერ გააგრძელებდა, რადგანაც საქართველოს მეფეები ყოველთვის დიდი ჰატივისციებით უუარებდნენ ერთგულ ქვეშევრდომ მამულიშვილებს – ებრაელებს – ამითომ შუღლენ მათ დაფარვას, ღვინისგან, ამითომ საჭიროდ უცნინათ ებრაელობის უმებად მიცემა სხვა და სხვა ზატონებისა და ეკლესიებისთვის რათა ზატონებს და სამღვდლოებს დაეფარათ თავიანთი კალთით ღვინილი ებრაელობა.¹ აი სწორედ აქედან უნდა იწყებოდეს საქართველოს ებრაელების წამოქვეითება. მოგზაურ კასადის² ქ. ახალ-ციხეში უნახავს ძველი ნაწერები ლექსებად ე. ი. შაირებად ებრაულ ენაზე, რომელიც ეკუთვნოდა ხასამ ებითარ აქოენს და კიდევ სხვა ნაწარმოები ებრაულ ენაზე. მისი აზრით ეს უნდა ეკუთვნოდეს მე-18 საუკუნეს. ასე კიდევ აქა იქა შეუნარწუნებიათ ძველი სული, ძველ-ენა, თუმცა ქართული ენა, დიდი ხანია ღვინა-ენად შეგვითვისებია. საცა ჩვენი ძმები დამკვიდრდნენ, იქაური ენა შეითვისეს, და იქიდან სხვაგან გადადიოდნენ, ეს ენა არ ავიწყლებოდათ. აი მაგალითი: ესპანის ებრაელები ოსმალეთში დღესაც ლაპარაკობენ ესპანურ ფარგონს; ებრაული ენა ეველგან დარჩა, მხოლოდ აკადემიურად და ხილად გადებული 14 მილიონი ებრაელისთვის, რომლითაც ერთი მეორეს უკავშირდებიან. მაგ ენაზე უსწავლობთ ზიბლიას, მიშნაითოს, თალმუდს, ფოსკოს, არამზამს და კვითხულობთ ათასწიერი ნაწარმოებს, და სხვა და სხვა კუთხის ებრაელების წიგნებს. ვერ მიჩვენებთ ვერც ერთს საქართველოს ებრაელის სახლს რომ ათიდან ოცამდე ებრაელები ენაზე ნაწერი წიგნები არ ქონდეთ? მაშ ეველა ზემოთ ნათქვამიდან რა სჩანს, გექონია თუ არა ეროვნული ენა? არ ემაღავთ იმას რომ ებრაულ ენაზედ ჩვენ ვერსად მოვასწობთ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას, რადგანაც ეს ენა მართო ჩვენთვისაა საცნობი და სხვა ერი ვერ იცნობს. აი მიზეზი რომ სხვის ენას ღვინა ენად ვითვისებთ და ქართულიც ასე შეგვითვისებია ღვინა-ენად და კიდევ ეცნობთ ღვინა-ენად, მაგრამ ეროვნულ ენად ყოფილა და იქნება ენა, რომლის ისტორიაც ებრაელის ისტორიად ითვლება. თუ ისტორიაში ამოიფხვრება ებრაელობა, მხოლოდ მაშინ სამუდამოდ მოისპობა მისი ძველი ენაც... თქვენ უნდა დამეთანხმით რომ თუ ისტორია, ენა და კულტურა³ ფაქტორია ეროვნებისა, ეს ეველა მოგეპოვება. რაც შეეხება იმ ჩემ მოსაზრებას რომ „სარწმუნოება ქმნის ჩვენში თვით ეროვნებას“ გადაიკითხეთ მეცნიერი ლაზარის წიგნი, სპინოზას, ლაცარუსის მოღვაწეობა გერმანიაში (თარგმანი მარგოლინისა) და იქ გაიკებთ, რომ „ებრაელის სარწმუნოება განსაკუთრებულ გამოხატვისს შეადგენს ამ საკითხში“. სამშობლო ჰალესტინის სიეუარულს, ენის და თალმუდის სწავლას, ძველი ებრაელობის ზნე-ჩვეულობის შენახვას, და ებრაელის ერის ჭირ-ვარამში მონაწილეობის მიღება შეადგენს უმთავრესად ებრაელის სარწმუნოებას. ეს საკითხი, ბ. ხანანაშვილი! მთელი ქვეყნის ებრაელთა მეცნიერებისგან გადასწავთილია და თქვენი წამოყენებული საბუთები სუსტია მათ დასარღვევად. თქვენ ვერ იცნობთ ვერც ებრაელის კულტურას და ვერც მის სარწმუნოებას და სწორედ ამითომ დამდგარხართ დაზნეული გზაზე და სხვებიც გინდათ რომ თქვენსავით დააზნოთ. ამას ვერ შესძლებთ, ვიდრე ებრაელის სარწმუნოება სუფეეს. შესძლებთ მხოლოდ მუშაობის შეწერებას საბრალო ხალხის სინგელეში დატოვებას

¹ იხ. ზაქ. ჭიჭინაძის წიგნი.

² იხ. Горы Арарат сочинен. циви касдан.

³ ჩვენ კულტურას ექვახით თალმუდს და მის შემდეგ ათასობით დაწერილ წიგნებს ებრაულ ენაზე.

და „მეჩინებულების“ გამოზრდას, რომელნიც არც ეზრავლად ვარგა არც ქართველად... დასასრულ, ბატონო ხანანაშვილო, განა გულსრფელად ფიქრობთ, რომ მე თუ ჩემ თავს ეზრავლად აღვიარებ, ამით თქვენსე წაკლები ქართველი პატრიოტი ვარ? სცდებით. თუ გადაუხედავთ ეზრავლთა მოღვაწებს ევროპაში, ნათლად დაეინახავთ, რომ გამოჩენილი პოლიტიკოსები, დიპლომატები, მეცნიერები და სხვები 90 პროცენტით მხოლოდ იმნაირი პირები არიან, რომლებსაც თავიანთი ერი არ მიუტოვებიათ, მეტი ღვაწლი მიუძღვით სამშობლოსთან ვიდრე ასიმილატორებს. ლუცათო იტალიის მინისტრი იყო, მაგრამ თავის თავს ეზრავლად აღიარებდა. გარიბალდიელებიც არა ფარავდნენ თავიანთ ეზრავლობას. ამითი რა იზარალა იტალიამ? დღეს ინგლისის კაბინეტში ეზრავლი ლორდ მატინგოც არის, მაგრამ ამავე დროს წევრია ინგლის-ამერიკის კომიტეტისა რომლის მიხანია სამშვიდობო კონფერენციაზე წამოაუენონ ეზრავლების საკითხი, რათა მიენიჭოს მათ უველა უფლება და აღარ იუენენ დეენილნი. ენრიკ-მორგანტუ ამერიკის ელჩია სტამბოლში და მომხრეა პალესტინის უიდეისა. რატომ არ ემუდარებთან მათ ინგლის-ამერიკელები ეზრავლობისთვის? რატომ არ შეუშალა ხელი ლონდონის რაბინს ადრეკს ეზრავლობამ და მისმა ძვირფასმა კულტურამ, როდესაც ეს ორი წელიწადია თავის სურვილით საფრანგეთის ბრძოლის ეელზეა და ამხნეებს ეზრავლთა ლეგიონებს იბრძოლონ ინგლისის სასარგებლოდ? ამისთანა ფაქტს ათასობით დაეინახელებთ, მაგრამ ამითი კიდე მანინც ვერ გაგაცნობ ეზრავლობას კარგად და ამას უნდა სწავლა და არა კითხვა. და როცა თქვენ ამას შეისწავლით, მაშინ გეცოდინებათ რომ კაი ეზრავლი კაი ქართველის მოძევა და კაი მამულიშვილიც იქნება საქართველოსი და არასდროს წაკლებად არ შესწირავს თავს საქართველოს ინტერესებს, ვიდრე თვით ქართველი. ქართველი ხალხის კეთილი დღე ჩვენ კეთილდღეობას ნიშნავს და ამას სრულიად ხელს არ უშლის ჩემი ეზრავლობა და არც ქართველობა შემოშლის ხელს, რომ დაერჩე ძველებურად, რაც ვარ.

ძველ-ახალი ზღაპარი
„სმა ეზრავლისა“, 1918, № 1, გვ. 13

ასე, დაჯექი, ჩემო კარგო, და გიამბობ მე შენ ზღაპარს,
რაც რომ წიგნში წამიკითხავს, ან და უთქვამს ჩემ წინაპარს:

„იყო თურმე ერთი კაცი, უბინაო, უხახლ-კარო,
ქვეყნათ უველა მასა სდეედა, მინაც, ქეაც-კი... თვით სამუარო...“

ენი იყო ის არ აწამა, ენი იყო რომ ის არ სტანჯა,
მაგრამ თურმე არ კედებოდა და უცემდა მანინც მადჯა.

და ეს კაცი...“ — კარგი, ვიცი, შინაარსი მაკ ზღაპრის. —
ეს ხომ ჩვენი ძველთა ძველი წამებული ერი არის!

აბა კარგი, მეგობარო, მომისმინე მხოლოთ ზოლო,
რომ გაიგო ზღაპრის ძალა, რომ გაიგო მის სიმშოლო:

„და ეს კაცი ზევრს ეგონა, მიცვალებულთ სრეში წადგა,
მაგრამ მათდა გასაოცრათ მათ თვალ წინ ის ძვედრეთით აღდგა.“

ზ. ი. ელიგულაშვილი, ლექსი აღორძინებისა
„სმა ებრაელისა“, 1918, № 1, გვ. 16

გამოიღე, შენ, ისრაელი,
მრავალ-ტანჯულო მცხოვანო ერო,
ტანს დაშავებულს თბილი სხივები
თავისუფლების რომ მოაფინო.

წმინდა გალობა შენ სიონისა
დავითის წანგზე კელაე აამღერე,
სხივ ნათლიერი შენ ჩვენი დროშა
სიონის მთებზე აფრიალე.

შინაურულმა თუ გარეულმა
შენ უჯათებმა ვერ შეგაშინოს,
წმინდათა-წმინდა შენ ეროვნებმა
ვერეინ წაგართვას, ვერა მოგდრიკოს.

ძველი სამშობლო კიდევ გიხიდავს
გულწრფელო შეილო, შენ, სიონისა,
გულის სიღრმიდან ის გაიძახის
„სადა ხართ, ძენო ისრაელისა?“

ძმურათ მოჰკიდეთ საქმესა ხელი
და აღადგინეთ სამშობლო ჩვენი,
მედგრათა შედით იმა კუთხეში
და უკელაე ჰყავით სახელი ჩვენი.

სხიენი ბარ-ქობმა, მაქაბეების
გზას გაგინათებს და გაგიკაფაეს,
ნურას გეშინით, გამოიღეძეთ,
ნორწო შეილებო, თქვენ, სიონისა.

თბილისის ებრაული თვითმმართველობის საბჭოს არჩევნებზე
(კვირას 22 და ორშაბათს 23 აპრილს 1918 წ.)
„სმა ებრაელისა“, 1918, № 4, გვ. 3-4

ებრაელებო

თუ თქვენთვის ძვირფასია ეროვნული ერთობა დაფანტული ებრაელებისა;
თუ თქვენ სთელით თქვენ ძმებად უველა ებრაელს, განურჩევლად მათი საცხოვრებელი
კუთხისა და ქვეშევრდომობისა;

თუ თქვენ გსურთ, რომ ჩვენმა ცხოვრებამ შეინარჩუნოს განუწყვეტელი კავშირი ჩვენს
დიდ წარსულთან;

თუ თქვენ გსურთ, აცგოთ მძლავრი ებრაული თვითმმართველობა, რომელიც
დააკაყოფილებს მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს ებრაული მასისას;

თუ თქვენ გსურთ, რომ ჩვენი კულტურული სიძვირფასენი იქნეს ეზრაული ერის უველა ნაწვერების საკუთრებათ;

თუ თქვენ არ გსურთ შესთქვათ ღარიბი მასსა უმეცრებაზე და „უამ ჰაარაცოთობაზედ“;

თუ თქვენთვის ძვირფასია ჩვენი ეროვნული ისტორიული ენა, ენა ნეზიიმებისა, რომელიც აერთებს უველა ღრთის და უველა კუთხის ეზრაულებს, და თუ თქვენთვის ძვირფასია მისი ცოცხლური განვითარება და აუეაეება;

თუ თქვენ გულთან ახლოა საუკუნო იდეა ეზრაულის ერის თავის ისტორიულ სამშობლოზე აღორძინებისა, და თუ გსურთ რომ ეზრაულმა თვითმართველობამ ხელი შეუწეოს ჩვენი ჰოზიციების ჰალესტინაში გამაგრებას;

თუ თქვენ გსურთ გქონდეთ დემოკრატიული და ნამდვილი სახალხო თვითმართველობა;

თუ თქვენ გსურთ გქონდეთ თვითმართველობა, რომელიც უველაზედ მაღლა აუეებს ხალხის სურვილს და ისახავს ამ სურვილის განხორციელებას;

თუ თქვენ გსურთ თვითმართველობას სათაურში დააუენოთ ჰირნი, გამსჭვალულნი სამშობლო კულტურით, თავდადებით ერთგული ეზრაულის ერისა, განთქმულნი თავის საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და რომელნით მზათ იქნებიან თავგანწირულათ ემსახურონ სახალხო ინტერესებს მაშ –

ხმა მიეცით სიას № 6¹

¹ სიონისტთა საარჩევნო სია.